მერაბ ვაჩნაძე

ისტორიკოსის ჩანაწერები

ნაწილი პირველი
(1989-1993 წლები)

თბილისი 2007

წინამდებარე წიგნში ქვეყნდება ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მერაბ ვაჩნაძის ჩანაწერები. მასში შევიდა ყველა ის მოვლენა, რომლის თვითმხილველი და მომსწრეც ავტორი იყო.

„ისტორიკოსის ჩანანერები" (1989-2006 წწ.) გამოდის სამ ნაწილად. პირველი ნაწილი (1989-1993 წწ.) იწყება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების აღწერით და მთავრდება ასევე ტრაგიკული მოვლენით – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობით.

რედაქტორი პროფესორი **ვახტანგ გურული**

ავტორის წინათქმა

ამ ჩანაწერების გაკეთება 1989 წლის აპრილის დასაწყისში მთხოვა შესანიშნავმა ქართველმა ისტორიკოსმა, პროფესორმა **უშანგი სიდამონიძემ**. ამ პერიოდში მე, როგორც ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, უნივერსიტეტში მომხდარი მოვლენების მომსწრე ვიყავი. ცნობილია, რომ 1989 წლის აპრილის მოვლენებში განსაკუთრებულ როლს სწორედ ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები თამაშობდნენ. პროფესორმა უშანგი სიდამონიძემ მთხოვა, რომ ჩანაწერები გამეკეთებინა იმავე დღეს, როგორც კი უნივერსიტეტში რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდებოდა. სხვათა შორის, ბატონმა უშანგიმ სინანულით აღნიშნა, რომ 1956 წლის 9 მარტის შესახებ ჩანაწერები მხოლოდ პროფესორ ნოდარ ნათაძეს ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ცხელ კვალზე გაკეთებული ჩანაწერები ძალზე ემოციურია. ბევრ მოვლენას, მოვლენათა მონაწილე ადამიანების (ბევრი მათგანი შემდგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახდა) პოზიციას დღეს შეიძლება სხვაგვარად ვაფასებ. მიუხედავად ამისა, შინაარსისა და სტილის შეუცვლელად ვაქვეყნებ მაშინდელ ჩანაწერებს. ამასთან, ბოდიშს ვუხდი ბევრ უნივერსიტეტელსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, მე ვწერდი მხოლოდ და მხოლოდ იმას, რასაც ვფიქრობდი იმხანად.

პროფესორი **მერაბ ვაჩნაძე**

19 იანვარი, 2007 წელი

შესავლის მაგიერ*

კრიზისი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში XX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან სულ უფრო აშკარა ხდებოდა. სოციალისტური ბანაკის რღვევა კი **პოლონეთიდან** დაიწყო. კომუნისტური რეჟიმის ანტიეროვნული პოლიტიკის, მმართველი ზედაფენის სულ უფრო მზარდი კორუმპირებულობისა და ეკონომიკის მკვეთრი დაცემის პირობებში ძალას იკრებდა პროფკავშირული მოძრაობა **„სოლიდარობა“**. ახალი მოძრაობა 1980 წლისათვის 10 მილიონ წევრს აერთიანებდა. ამავე წელს პოლონეთის მთავრობა იძულებული შეიქნა ხელშეკრულება დაედო „სოლიდარობასთან“, რითაც მოხდა ანტიკომუნისტური, ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა მოძრაობის ლეგალიზება. მომდევნო წლები პოლონეთის კომუნისტური ხელისუფლებისა და „სოლიდარობის“ დაუსრულებელი კონფრონტაციის პერიოდია. ქვეყანაში ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემასთან ერთად განუხრელად იზრდებოდა „სოლიდარობისა“ და მისი აღიარებული ლიდერის **ლეხ ვალენსას** ავტორიტეტი. „სოლიდარობის“ ტაქტიკა სახელმწიფო ხელისუფლების მშვიდობიანი გზით დაუფლებაში მდგომარეობდა. 1989 წლის ივნისში პოლონეთის სეიმის არჩევნებში „სოლიდარობამ“ დიდ გამარჯვებას მიაღწია. არჩევნების შედეგად უმალლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმრავლესობაში, მართალია, კვლავ კომუნისტები რჩებოდნენ, პოლონეთის პრეზიდენტი გენერალი **ვოიცეხ იარუზელსკიც** კომუნისტი იყო, მაგრამ „სოლიდარობის“ გავლენით ქვეყანაში დაიწყო სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ასე დაიწყო სოციალისტური წყობილების რღვევა პოლონეთში. ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი გახდა. 1990 წლის დეკემბერში პოლონეთის პრეზიდენტად ლეხ ვალენსა აირჩიეს. პოლონეთში ე. წ. **„ხავერდოვანმა რევოლუციამ“** გაიმარჯვა. კომუნისტური დიქტატურა დასრულდა.

კომუნისტურმა რეჟიმმა 80-იანი წლების შუა ხანებისათვის ღრმა კრიზისამდე მიიყვანა **უნგრეთის** ეკონომიკა. უნგრელმა კომუნისტებმა 1988 წელს ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის **იანოშ კადარის** თავიდან მოცილებით სცადეს პოლიტიკური სისტემის გადარჩენა. ახალმა ლიდერმა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **კაროლ გროსმა** ეფექტური ეკონომიკური რეფორმები ვერ გაატარა. სნორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1990 წლის მარტში გამართულ არჩევნებში უნგრელმა კომუნისტებმა წააგეს. ამრიგად, **„ხავერდოვანი რევოლუციით“** დასრულდა კომუნისტური დიქტატურა უნგრეთშიც.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტმა ლიდერმა **გუსტავ ჰუსაკმა** 80-იანი წლების ბოლოს რიგი ღონისძიებანი გაატარა, რათა თავიდან აეცილებინა პოლონეთსა და უნგრეთში მიმდინარე პროცესების გავრცელება ჩეხოსლოვაკიაში. მიუხედავად ამისა, კომუნისტური რეჟიმის გადარჩენა ჩეხოსლოვაკიაშიც შეუძლებელი გახდა. თავისი ხასიათით ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა მოძრაობა **„ქარტია-77,** რომლის სათავეში **ვაცლავ ჰაველი** იდგა, აერთიანებდა მთელ ოპოზიციურ ძალებს. 1989 წლის ნოემბერსა და დეკემბერში პრაღაში დიდი დემონსტრაციები გაიმართა. 1989 წლის დეკემბერში ვაცლავ ჰაველი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად აირჩიეს. კომუნისტური რეჟიმი ჩეხოსლოვა-

* საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. პროფ. ვ. გურულის რედაქციით, „არტანუჯი“, თბილისი, 2003, გვ. 215-236.

კიაშიც **„ხავერდოვანი რევოლუციის“** გზით დაემხო.

აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან კომუნისტური რეჟიმის დამხობას სერიოზული სისხლისღვრა მხოლოდ **რუმინეთში** მოჰყვა. 1989 წელს რუმინეთშიც დაიწყო ანტიკომუნისტური გამოსვლები. რუმინეთის კომუნისტმა ლიდერმა **ნიკოლაე ჩაუშესკუმ** საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ არმია გამოიყენა. დაიღვარა სისხლი. კიდევ უფრო მეტი მსხვერპლი მოჰყვა 1989 წლის დეკემბერში ბუქარესტში არმიისა და დემონსტრანტების შეჯახებას. ნიკოლაე ჩაუშესკუს ვერ უშველა დედაქალაქიდან გაქცევამ. არმია ოპოზიციური ძალების მხარეზე გადავიდა. რუმინეთის კომუნისტი ლიდერი შეიპყრეს და 1989 წლის დეკემბერში სიკვდილით დასაჯეს. 1990 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის ლიდერმა **იონ ილიესკუმ** გაიმარჯვა. კომუნისტური რეჟიმი ისტორიის კუთვნილება გახდა.

1989 წელი საბედისწერო აღმოჩნდა **ბულგარეთის** კომუნისტი ლიდერის **ტოდორ ჟივკოვისათვის**. თანაპარტიელებმა იგი ქვეყნის მმართველობას ჩამოაცილეს. ანტიკომუნისტური ოპოზიცია ბულგარეთში არ იყო სათანადოდ ორგანიზებული. სწორედ ამიტომ კომუნისტებმა 1990 წლის არჩევნებში აჯობეს პროდასავლური ორიენტაციის დემოკრატიულ ძალებს. სამაგიეროდ, 1992 წელს ბულგარეთის პრეზიდენტად ყოფილი დისიდენტი **ჟელიუ ჟელევი** აირჩიეს, რაც დემოკრატიული ძალების გამარჯვებას ნიშნავდა.

1992 წელს კომუნისტური დიქტატურა დასრულდა **ალბანეთშიც**. ამ წელს ალბანეთში აირჩიეს პირველი არაკომუნისტი პრეზიდენტი **სალი ბერიშა**.

კომუნისტური რეჟიმის მსხვრევას **ბულგარეთსა** და **ალბანეთში** თან ახლდა **ეთნიკური კონფლიქტები**. ამ კონფლიქტებმა ფართო მასშტაბი შეიძინა და დიდ სისხლისღვრაში გადაიზარდა **იუგოსლავიაში**. აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, იუგოსლავია არ იყო ჩაკეტილი დასავლეთის სამყაროსთვის, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკის აღმავლობას. მაგრამ XX საუკუნის 80-იან წლებში იუგოსლავიის ეკონომიკა ღრმა კრიზისის სტადიაში შევიდა. პარალელურად გამწვავდა ეროვნული საკითხი. 1990 წელს **სერბიაში, სლოვენიასა** და **ხორვატიაში** ჩატარდა არჩევნები, რის შედეგადაც შეიქმნა ადგილობრივი მთავრობები. 1991 წლიდან სლოვენია და ხორვატია აშკარად დაადგა სრული დამოუკიდებლობის გზას. შეიქმნა იმის საშიშროება, რომ სლოვენიისა და ხორვატიის ტერიტორიაზე განლაგებული იუგოსლავიის ფედერალურ არმიას, რომლის ოფიცერთა უმრავლესობა სერბები იყვნენ, შეჯახება მოუხდებოდა ადგილობრივ სახალხო ლაშქართან. 1992 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა **ბოსნიამ** და **ჰერცოგოვინამ**. შეიქმნა შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების საფრთხე აქ მცხოვრებ **მუსლიმებს, მართლმადიდებელ სერბებსა** და **კათოლიკე ხორვატებს** შორის. ამ საფრთხის მშვიდობიანი გზით თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა. იუგოსლავია მოიცვა ეთნიკურმა და რელიგიურმა კონფლიქტმა, რასაც თან დიდი სისხლისღვრა და გაუგონარი სისასტიკე მოჰყვა.

1989 წლის დამდეგი გერმანიის **დემოკრატიულ რესპუბლიკაში** კომუნისტურ რეჟიმს თითქოს არაფერს ცუდს არ უქადდა. პოლონეთსა და უნგრეთში მიმდინარე მოვლენების ფონზეც კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტი ლიდერი **ერიხ ჰონეკერი** ჯიუტად უარყოფდა რეფორმების დაწყების აუცილებლობას. რეფორმების აუცილებლობაში იგი ვერც მოსკოვმა დაარწმუნა. 1989 წლის ივნისში **მიხეილ გორბაჩოვი** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ **ჰელმუტ კოლს** საბჭოთა კავშირისთვის ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლებას დაპირდა. ამ პერიოდისათვის მასობრივი ხასიათი მიიღო სხვადასხვა გზით გერმანიის დემოკრატიული

რესპუბლიკის მოქალაქეების გადასვლამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. 1989 წლის ოქტომბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრ ქალაქში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები. ერიხ ჰონეკერი დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიციის გამოყენებას აპირებდა. სისხლისღვრა თავიდან იმით იქნა აცილებული, რომ მოსკოვის ფარული მითითების თანახმად, 1989 წლის ოქტომბერში ერიხ ჰონეკერი გერმანელმა კომუნისტებმა ხელისუფლებას ჩამოაცილეს. ახალი ლიდერი **ეგონ კრენცი** იძულებული გახდა 1989 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ ბერლინიდან დასავლეთ ბერლინში გადასვლაზე მოეხსნა აკრძალვა. კომუნისტური რეჟიმის შენარჩუნება გერმანიაშიც შეუძლებელი შეიქმნა. 1990 წლის აგვისტოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციისა და აღმოსავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესვლის შესახებ. ასე უსისხლოდ გადაიჭრა 1990 წელს ურთულესი საკითხი — ორი გერმანიის გაერთიანება.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადაუჭრელი პრობლემების ნინაშე აღმოჩნდა. გატარებული რეფორმები შედეგს ვერ იძლეოდა. საბჭოთა კავშირის ცალკეულ რესპუბლიკებში დაწყებული ეროვნული მოძრაობა სულ უფრო რადიკალური ხდებოდა. კომუნისტური რეჟიმი კრიზისის უკანასკნელ სტადიაში შევიდა. **აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების დაცემამ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმის ლიკვიდაციას და თვით საბჭოთა კავშირის დაშლას.**

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან, როგორც აღვნიშნეთ, სულ უფრო რადიკალური გახდა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში დაწყებული ეროვნული მოძრაობა. ეს მოძრაობა აშკარად **ანტირუსულ** ხასიათს ატარებდა. 1986 წელს **ირკუტსკში** შეჯახება მოხდა რუს და იაკუტ ახალგაზრდებს შორის. 1986 წელს **ალმა-ატაში** ანტირუსული გამოსვლა ჯარის გამოყენებით ჩაახშვეს. 1987 წელს დიდი ანტირუსული გამოსვლები მოეწყო ბალტიის რესპუბლიკებში. 1989 წელს **ლიტვის, ესტონეთისა** და **ლატვიის** რესპუბლიკების უზენაესმა საბჭოებმა მოითხოვეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების უკანონოდ ცნობა მისი ხელმოწერის მომენტიდანვე. ცნობილია, რომ სწორედ ამ ხელშეკრულების ძალით საბჭოთა კავშირმა გერმანიისაგან მიიღო ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაციის უფლება. საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების I ყრილობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამ მოთხოვნისათვის. ყრილობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა მოეხდინა 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებლივი შეფასება.

1987 წლიდან **აზერბაიჯანის** შემადგენლობაში შემავალ **მთიანი ყარაბაღის** ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიწყო **სომხებისა** და **აზერბაიჯანელების** შეიარაღებული შეჯახებები. სომხები ითხოვდნენ მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გამოსვლას. ამის საპასუხოდ 1990 წელს **ბაქოში** დაიწყო სომხების დარბევა.

მოლდავეთში დაწყებული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მოსკოვის წაქეზებით აქტიურად ამოქმედდნენ სეპარატისტული ძალები. 1990 წელს სეპარატისტებმა მოითხოვეს მოლდავეთის რესპუბლიკიდან გამოეყოთ **ტირასპოლი**.

1989 წელს ანტირუსული გამოსვლები აღინიშნა **უზბეკეთსა** და **ყაზაზეთში**, რასაც თან სდევდა დარბევები და ადამიანთა მსხვერპლი. იგივე მდგომარეობა იყო **დუშანბეში** 1990 წელს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზული საფრთხე შეექმნა 1990 წლის გაზაფხულზე. 1990 წლის მარტში **ლიტვაში, ლატვიასა** და **ესტონეთში** გამა-

რთულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარ-ჯვეს დამოუკიდებლობის მომხრე ძალებმა. ლიტვის ახალმა პარლამენტმა მიიღო აქტი „ლიტვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ". ამ აქტით ლიტვის ტერიტორიაზე შეჩერებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციების მოქმედება. 1990 წლის 16 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკრეტი რესპუბლიკის **სუვერენიტეტის გარანტიების** შესახებ. საქართველომ პირველმა მოახდინა 1922 წლის 30 დეკემბრის სამოკავშირეო ხელშეკრულების დენონსირება.

მოვლენების განვითარებას სრულიად ახალი მიმართულება მისცა **რუსეთის ფედერაციის** სახალხო დეპუტატების I ყრილობამ. 1990 წლის ივნისში ყრილობამ მიიღო დეკლარაცია რუსეთის **სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის** შესახებ. რუსეთის ფედერაციის კვალობაზე სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციები მიიღეს **უზბეკეთმა, მოლდავეთმა, უკრაინამ, ბელორუსმა, თურქმენეთმა, სომხეთმა, ტაჯიკეთმა** და **ყაზახეთმა.** ჯერჯერობით საქმე ეხებოდა სუვერენიტეტს საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ცხადი იყო, რომ ეროვნულ რესპუბლიკებში დაწყებული მოძრაობა ამით არ დამთავრდებოდა.

საბჭოთა კავშირში დაწყებული **გარდაქმნის** პროცესი, უპირველეს ყოვლისა, **საჯაროობის** კურსის გატარებას ნიშნავდა. გზა უნდა გაეხსნათ აზრის, შეხედულებების თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთებისათვის. სუსტდებოდა საბჭოთა ცენზურის როლი. საჯაროობის პრინციპმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას. დაიწყო სხვადასხვა მიზნებისა და შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებსაც იმხანად არაფორმალებს, არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ.

ერთ-ერთი პირველი არაფორმალური გაერთიანების **„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების"** დამფუძნებელი კრება 1987 წლის დეკემბერში ჩატარდა თბილისში. საზოგადოების მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, დემოკრატია და კაპიტალისტური ეკონომიკა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თავდაპირველად თავს უყრიდა მომავალში არაერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ: **თამარ ჩხეიძე, გიორგი ჭანტურია, ირაკლი შენგელაია, ირაკლი წერეთელი** და სხვები. შემდგომში საზოგადოებაში შევიდნენ: **მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე** და სხვები. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას თითქოს უნდა გაეერთიანებინა ეროვნული მოძრაობის ძალები. მოკლე ხანში, 1988-1989 წლებში, საზოგადოების ყოფილმა დამფუძნებლებმა დატოვეს საზოგადოება და რამდენიმე ახალი პოლიტიკური პარტია შექმნეს.

1988-1989 წლებში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას. არენაზე გამოვიდნენ: **ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია** (ლიდერი ირაკლი წერეთელი); **სახალხო ფრონტი** (ნოდარ ნათაძე), **წმინდა ილია მართლის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება** და სხვ. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ადრე იყო დაარსებული და ახლა შეექმნა ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ: **რესპუბლიკური პარტია** (ვახტანგ ძაბირაძე), **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** (გიორგი ჭანტურია) და სხვ. საქართველოში საფუძველი ეყრებოდა მრავალპარტიულ სისტემას, რაც ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის თანამდევ პროცესს წარმოადგენდა.

ეროვნული მოძრაობის უმთავრეს ძალას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა წარმოადგენდა. უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს **პრესკლუბი,** რომლის მუშაობას უნარიანად წარმართავდნენ: **დათო ტურაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, თედო ისაკაძე** და სხვები. ეროვნული მოძრაობა ძლიერდებოდა ქუთაისში, ბა-

თუმში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში.

ეროვნულმა მოძრაობამ შედარებით მასშტაბური გამოსვლების ხასიათი 1988 წლიდან მიიღო. 1988 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების საარტილერიო პოლიგონის გადატანა მოითხოვეს. 1988 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. აკადემიის შესასვლელთან მიტინგი მოეწყო, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის შეწყვეტას. სამართალდამცავმა ორგანოებმა მიტინგის რამდენიმე მონაწილე დააკავეს, მათ შორის იყვნენ **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა.** საქართველოს ჰელსინკის კავშირის ლიდერების დაპატიმრებამ აღშფოთების უფრო დიდი ტალღა გამოიწვია, რის გამოც ხელისუფლებამ გაათავისუფლა დაპატიმრებულები.

თავისი მასშტაბით უპრეცედენტო იყო 1988 წლის ნოემბერ-დეკემბრის გამოსვლები. 1988 წელს მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ცვლილებები აესახა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესწორებებსა და დამატებებში. დემოკრატიული გარდაქმნების ამსახველ მუხლებთან ერთად დამატებები შეიცავდა აშკარა მიუღებელ მუხლებსაც, რომელთა მიზანიც იყო არ დაეშვათ საბჭოთა იმპერიის დაშლა. კერძოდ, კონსტიტუციის 118-ე და 119-ე მუხლებს ფაქტობრივად არარაობამდე დაჰყავდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლება, გასულიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. კონსტიტუციის დამატებების განხილვამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვდა აღნიშნული მუხლების ფორმულირების შეცვლასა და რესპუბლიკების თავისუფალი არჩევანის უფლების აღდგენას, რასაც სტალინური კონსტიტუციაც კი აღიარებდა. საზოგადოების დარაზმვაში დიდი წვლილი შეიტანა **აკაკი ბაქრაძემ.** პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა საზოგადოების საპროტესტო განწყობილების გამოყენება სცადეს. 1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში, იპოდრომის ტერიტორიაზე, **ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის** ინიციატივით შედგა მრავალათასიანი მანიფესტაცია. მთავარი მოთხოვნები იყო: ხელისუფლების იმ ბრძანებულების გაუქმება, რომელიც კრძალავდა ნებადაურთველ მანიფესტაციებს; საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკების გასვლის შემზღუდველი მუხლების გაუქმება და სვანეთში მიმდინარე გიგანტური წყალსაცავების მშენებლობის შეწყვეტა.

1988 წლის 22 ნოემბერს თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, დაიწყო შიმშილობა. საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია მოშიმშილეებისა და მათი მხარდამჭერი მრავალრიცხოვანი საზოგადოებისთვის, არაფორმალური ორგანიზაციებისთვის. 25 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდან 118-ე და 119-ე მუხლების შესწორებების ამოღება. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკან დაიხია და შესწორებები უარყო. 1988 წლის 29 ნოემბერს მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე აქცია ორგანიზებულად შეწყდა.

1988 წლის ნოემბრის მიტინგებისა და მანიფესტაციების შემდგომი რამდენიმე თვე ქარიშხლის ამოვარდნის წინ დასადგურებულ სიმშვიდეს მოგვაგონებდა. ხელისუფლება გრძნობდა, რომ მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები მალე ისევ დაიწყებოდა.

1989 წლის 18 თებერვალს **ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ მასობრივი მიტინგის ჩატარება სცადა. ხელისუფლებამ და ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მიტინგი

ჩაშალა. მომიტინგეებს ძალოვანი უწყებების გადაცმული თანამშრომლები და კომკავშირელი აქტივისტები შეესივნენ და რამდენიმე ადგილას პროვოკაციულად გამოიწვიეს ჩხუბი და არეულობა. საზოგადოების ზემოქმედების შედეგად ხელისუფლებამ კვლავ უკან დაიხია და მიტინგის ჩაშლის გარემოებათა დასადგენად შექმნა კომისია.

1989 წლის 4 აპრილს ისევ **ილია ჭავჭავაძის საზოგადოების** ინიციატივით მთავრობის სასახლის წინ პერმანენტული მიტინგი დაიწყო. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და მისმა არცთუ მრავალრიცხოვანმა მხარდამჭერმა მომიტინგეებმა მოითხოვეს აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება. ეს იყო რეაქცია აფხაზი სეპარატისტების მიერ 18 მარტს ლიხნის შეკრებაზე მიღებული ანტიქართული დოკუმენტის წინააღმდეგ. მომდევნო დღეებში მომიტინგეებს შეუერთდნენ სხვა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებმაც აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნა მეორეხარისხოვან მოთხოვნათა რიგში გადაიტანეს და წამოაყენეს **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის** მოთხოვნა. თავდაპირველად მცირერიცხოვანი მიტინგი ხალხმრავალ პერმანენტულ მანიფესტაციად გადაიქცა. მომიტინგეთა რამდენიმე ათეული ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა შიმშილობის აქცია დაიწყო. მოშიმშილეები უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ.

პოლიტიკური მოთხოვნების რადიკალიზაციამ ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს ხელისუფლების სრული დაპირისპირება გამოიწვია. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადამჭრელი ზომებისთვის მიემართა. საქართველოს ეროვნული მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ყველაზე მთავარ მონაპოვარს — იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქრა. 1989 წლის 8 აპრილს კრემლის ზეგავლენით საქართველოს რესპუბლიკური აქტივის კრებამ მხარი დაუჭირა მომიტინგეთა მიმართ მკაცრი ზომების მიღების წინადადებას. აქტივის კრების მიმდინარეობის დროს მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე, ტანკმა გაიარა, ხოლო იმავე დროს, თბილისის ცაზე სამხედრო შვეულმფრენები გამოჩნდნენ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის **ნიკოლსკის** ჩანაფიქრით, სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებას მომიტინგეთა დაშინება უნდა მოჰყოლოდა. პირიქით, მომიტინგეთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. მომიტინგეთა შორის იყო მოშიმშილეთა დიდი ჯგუფიც.

1989 წლის 8 აპრილს, გვიან ღამით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯუმბერ პატიაშვილმა** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს გენერალ **როდიონოვს** სთხოვა, დემონსტრაციის დაშლა სხვა დროისთვის გადაეტანა. მაგრამ მოსკოვს სამხედრო ძალებით მიტინგის დაშლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. თბილისში 7 აპრილს ჩამოსულმა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **კოჩეტოვმა** საქართველოს ხელისუფლებას განუცხადა, რომ თუ სამხედრო ძალებით არ მოხდებოდა სასახლის მოედნის გაწმენდა, უფრო დიდი სისხლისღვრა იქნებოდა მოსალოდნელი.

მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ინგლისში იმყოფებოდა, თბილისის მოვლენების კურსში იყო.

1989 წლის 8 აპრილს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობების გამკაცრების შესახებ, რომელიც უშუალოდ თბილისის მოვლენების ლიკვიდაციის საჭიროებამ განაპირობა. ასე შეიქმნა თბილისში მიმდინარე მიტინგის დარბევის იურიდიული საფუძველი.

თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, მიმდინარე მიტინგის დასაშლელად 1989 წლის 9 აპრილის დილისთვის მზად იყვნენ

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები. გარდა ამისა, მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოისროლეს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი გენერალ **ეფიმოვის** მეთაურობით. გენერალ ეფიმოვს სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად თავის გამგებლობაში 1900 ჯარისკაცი ჰყავდა. მიტინგის დაშლას უშუალოდ მეთაურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი **იგორ როდიონოვი.**

მიტინგის ხელმძღვანელებმა ყურად არ იღეს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გაფრთხილება, რომელმაც მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს აქციის შეწყვეტისაკენ მოუწოდა.

1989 ნლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე, მომიტინგეებს დამსჯელმა ნაწილებმა ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებით, ალესილი ნიჩბებით, მომნამვლელი გაზით. რამდენიმე ასეული ჯარისკაცი იერიშით შეიჭრა მთავრობის სახლის წინ მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა მომიტინგეებს, მოშიმშილე ახალგაზრდებს, რომელთა უმრავლესობას დასუსტებული ქალები და გოგონები წარმოადგენდნენ. დამრბევთა სისასტიკემ მოლოდინს გადააჭარბა. რამდენიმე წუთში მოიერიშეებმა მოედანი გაწმინდეს. მოედანზე დარჩა 19 მოკლულის, აქედან 16 ქალის გვამი. არაერთმა დაჭრილმა გაქცევით უშველა თავს. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოინამლა. მოგვიანებით დაიღუპა კიდევ ორი.

10 აპრილს დამსჯელებმა ალყა შემოარტყეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც იმუამად თავი მოეყარა ეროვნულ-პატრიოტული ძალების მნიშვნელოვან ნაწილს. მოსალოდნელი პროვოკაცია და სისხლისღვრა თავიდან იქნა აცილებული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფის გააზრებული მოქმედების შედეგად.

9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს დაანახა საბჭოთა იმპერიალიზმის სახე. **საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სცადა პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს ხელისუფლებისათვის დაეკისრებინა.** საბჭოთა კავშირის საბჭოების II ყრილობის დელეგატების უმრავლესობამ ოვაციებით დააჯილდოვა დამნაშვე გენერალი როდიონოვი. საქართველოს დელეგაციამ პროტესტის ნიშნად ყრილობა დატოვა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და ქართველი საზოგადოების რადიკალიზაცია გამოიწვია. **საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას საბოლოოდ გაუტყდა სახელი.** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი გადამდგარი **ჯუმბერ პატიაშვილის** ნაცვლად **გივი გუმბარიძემ** დაიკავა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე დაკარგა მართვის სადაეები. ეროვნული მოძრაობის სათავეში რადიკალური პოლიტიკური ძალები მოექცნენ. ისინი მართავდნენ პოლიტიკურ პროცესებს. ხელისუფლება თითქმის მორჩილად ასრულებდა ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს. ქვეყანაში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა დამყარდა.

რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს **ეროვნული ხსნის კომიტეტი.** მასში გაერთიანდნენ: **ჰელსინკის კავშირი** (თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია), **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** (გიორგი ჭანტურია), **ეროვნული სამართლიანობის კავშირი** (ირაკლი შენგელაია), **ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია** (ირაკლი ნერეთელი), **ილია ჭავჭავაძის საზოგადოება** (ზურაბ ჭავჭავაძე) და სხვ. ეროვნული ხსნის კომიტეტის უმთავრესი მიზანი იყო

საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო. ეტაპობრივი ბრძოლა ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურების თანდათანობით გაუქმებას, ბრძოლის საშუალებად კი მიჩნეულ იქნა საპროტესტო მშვიდობიანი მოძრაობა (გაფიცვები, მიტინგები, შიმშილობა).

ეროვნული ხსნის კომიტეტის ინიციატივით 1989 წლის ოქტომბერში თბილისში, სპორტის სასახლესთან, მიმდინარეობდა იმ ქართველი ახალგაზრდების მჯდომარე აქცია, რომელნიც უარს აცხადებდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე. ოქტომბერშივე ხელოვნების მუზეუმთან აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველები მჯდომარე აქციის გზით რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებას მოითხოვდნენ.

1989 წლის ოქტომბერ-ნოემბერში **ეროვნული ხსნის კომიტეტის** წევრები რამდენჯერმე შეხვდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს და წაუყენეს თავიანთი მოთხოვნები. ეროვნული ხსნის კომიტეტი მოითხოვდა: საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, საერთაშორისო ფორუმებზე დასწრების უფლებას, იმ წვევამდელების დაუსჯელობას, რომლებიც უარს ამბობდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე, სოხუმში 1989 წლის ივლისში მომხდარი სისხლიანი შეტაკების მოთავეების დასჯას, აფხაზეთის რამდენიმე რაიონში საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ნაცვლად ქართული მილიციის შეყვანას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელწოდების შეცვლას ცხინვალის ოლქით, როკის გვირაბის გაუქმებას, გარდაბნის, მარნეულის, დმანისის რაიონებსა და ფონიჭალაში უკანონოდ მიტაცებული მინების დაბრუნებას კანონიერ მფლობელთათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლასა და მათ მიერ მიკუთვნებული მინების გლეხობის ხელში გადაცემას, საეთერო დროს ტელევიზიაში, რადიოში, ალტერნატიულ ადგილს რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში და ა. შ.

ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა წამოაყენეს საერთო-სახალხო კენჭისყრის მოწყობის იდეა. ქართველ ერს უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეისადმი. **ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ზეგავლენით, 1990 წლის მარტში საქართველოს უზენაესმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით 1921 წლის თებერვალში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის სამხედრო მოქმედება შეაფასა, როგორც ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.**

ეროვნული მოძრაობის ზეგავლენით საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის მარტში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ჩატარების შესახებ. არჩევნების მიმართ პოლიტიკურმა პარტიებმა არაერთგვაროვანი პოზიცია დაიკავეს. მას შემდეგ, რაც 1988 წლიდან ეროვნულმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, საპროტესტო აქციებს პოლიტიკური პარტიები ხელმძღვანელობდნენ. ესენი იყვნენ, ერთი მხრივ, ჰელსინკის კავშირი და მისი აღიარებული მეთაურები **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა**, ამ თანაარსებობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მერაბ კოსტავას პიროვნული ავტორიტეტი, რომელიც ყოველთვის ახერხებდა არაფორმალების ორ ბანაკს შორის შეთანხმებას კომპრომისის საფუძველზე. 1989 წლის ოქტომბერში ავტოკატასტროფაში მერაბ კოსტავას დაღუპვით ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება გარდუვალი შეიქმნა. **„ჰელსინკელები“, მიუხედავად რადიკალური ბუნებისა, უფრო ზომიერ პოლიტიკურ ბრძოლასა და ლოზუნგებს უჭერდნენ მხარს;** მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიები, ილია ჭავჭავაძის საზოგა-

დოება (გიორგი ჭანტურია, ირაკლი ნერეთელი, ზურაბ ჭავჭავაძე) და სხვ. **ამდენად, ეროვნული მოძრაობის სათავეში ორი თაობის პოლიტიკური მოღვაწეები აღმოჩნდნენ. მათ შორის თავიდანვე იყო წინააღმდეგობა, მაგრამ ეპიზოდური განხეთქილებების მიუხედავად, 1990 წლის გაზაფხულამდე ისინი მაინც ახერხებდნენ მშვიდობიან თანაარსებობას.**

ქართველი საზოგადოების ზომიერმა ლიბერალურმა ძალებმაც სცადეს პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ამ ცდებს ხელისუფლებაც უჭერდა მხარს. 1989 წლის მარტში შეიქმნა **საქართველოს რუსთაველის სახელობის საზოგადოება,** რომელშიც მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები გაერთიანდნენ. საზოგადოების თავმჯდომარედ ცნობილი საზოგადო მოღვანე **აკაკი ბაქრაძე** აირჩიეს. რუსთაველის საზოგადოებას თავიდანვე დაპყვა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათი. მისი პროგრამა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ევოლუციური განვითარების გზას ითვალისწინებდა, ხოლო საზოგადოების თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე ცდილობდა იდეოლოგიური საფუძველი შეექმნა ეროვნული მოძრაობისთვის. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უფრო სწრაფცვალებადი აღმოჩნდა და საზოგადოებამ ვერ შეძლო თავის გარშემო ზომიერი ლიბერალური ძალების შემოკრება.

მოსახლეობაში უფრო პოპულარობით სარგებლობდა მეორე ზომიერი მიმართულების ორგანიზაციის — **სახალხო ფრონტის** საქმიანობა. ამ ორგანიზაციის პირველადი უჯრედების ჩამოყალიბება დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონის წარმოება-დაწესებულებებში. სახალხო ფრონტს ჰქონდა პრეტენზია გაეერთიანებინა ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ეს მისია ვერ შეასრულა. ამ ორგანიზაციას მალე ჩამოსცილდნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე ჯგუფები, ხოლო თვით სახალხო ფრონტი ჩვეულებრივ, რიგით პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. იყო სხვა ზომიერი ცენტრისტული ჯგუფებიც.

ზომიერი მიმართულების ძლიერი პოლიტიკური პარტიის ჩამოუყალიბებლობა ქართული პოლიტიკური სპექტრის სერიოზული ნაკლი იყო. ემოციურად განწყობილი ქართველი საზოგადოებისთვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა რადიკალური ხასიათის ლოზუნგები და მისი მქადაგებელი რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობები. რადიკალურმა ძალებმა მიიჩნიეს, რომ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული 1990 წლის 25 მარტის არჩევნები ერთპარტიული სისტემის პირობებში ტარდებოდა. სხვა პოლიტიკურ პარტიებს მასში გაუფორმებელი სახით უნდა მიეღოთ მონაწილეობა. 1990 წლის 13-15 მარტს რადიკალური ძალების ინიციატივით თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში, ჩატარდა ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენცია — **ეროვნული ფორუმი.** მასში ეროვნული მოძრაობის ყველა ძირითადი ძალა მონაწილეობდა. ფორუმმა ბოიკოტი გამოუცხადა 1990 წლის 25 მარტის არჩევნებს და, საერთოდ, უკანონოდ ცნო საბჭოთა სისტემა. ეროვნულმა ფორუმმა მაქსიმალისტური პოზიცია დაიკავა არსებული ხელისუფლების მიმართ. 1990 წლის აპრილში გამოქვეყნდა ფორუმის მიმართვა **„ქართველი ერისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი“,** სადაც იგი აცხადებდა, რომ ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც თავის მოქმედებას შეუხამებდა **„საბჭოურ კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, ვერ ჩაითვლებოდა ოპოზიციად“.** არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად ეროვნული დაუმორჩილებლობა იქნა მიჩნეული.

ეროვნული მოძრაობა, რომელსაც ერთი მიზანი — **საქართველოს სრული დამოუკიდებლობა** — ჰქონდა, ფორმალურად და ფაქტობრივად 1990 წლის გაზაფხულამდე ერთიანი იყო, მაგრამ მის ორ დაჯგუფებას შორის წინააღმდეგობა უკვე

შეუძლებელს ხდიდა ერთიანობას. წინააღმდეგობას ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონიისთვის ბრძოლაც განაპირობებდა, მაგრამ იყო იდეურ-სტრატეგიული უთანხმოებანიც, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. **ეროვნული მოძრაობის რადიკალური ახალგაზრდული ფრთა მაქსიმალისტურად უპირისპირდებოდა საბჭოთა სისტემასა და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს.** მაქსიმალისტების აზრით, ეროვნულ მოძრაობას უნდა მიეღწია საქართველოს კოლონიური მდგომარეობის აღიარებისათვის და დაუმორჩილებლობის გზით ებრძოლა დეკოლონიზაციისთვის, როგორც ეს მოხდა აფრიკა-აზიის რიგ ქვეყნებში.

ეროვნულ მოძრაობაში რადიკალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი **გიორგი ჭანტურია** მიიჩნევდა, რომ საბჭოური სტრუქტურების გამოყენების პოლიტიკამ ბალტიისპირეთის ქვეყნების ეროვნული მოძრაობანი თითქმის გამოუვალ ჩიხში მოაქცია. მისი აზრით, **აუცილებელი იყო ეროვნული მოძრაობის არა საბჭოურ, ძველ სტრუქტურებზე მორგება პროგრამა-მინიმუმის განხორციელების მიზნით, არამედ ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნის დაწყება პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებისათვის.** ახალი დემოკრატიული სტრუქტურა უნდა ყოფილიყო — **ეროვნული კონგრესი,** რომელიც ბოიკოტს გამოუცხადებდა ყოველგვარ საბჭოთა სტრუქტურასა და მის მიერ ორგანიზებულ არჩევნებს.

უფრო რეალისტურ ნიადაგზე აღმოჩნდნენ **უფროსი თაობის რადიკალები (ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრენი).** მათი აზრით, დეკოლონიზაციის აფრიკულ-აზიური პრაქტიკა მიუღებელი იყო საქართველოსათვის. საქართველო, ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის ფედერაციაში შემავალი სოციალისტური სახელმწიფო იყო. კონსტიტუციურადაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდა. **თუნდაც ეს ფორმალური უფლება საქართველოს შესაძლებლობას აძლევდა საბჭოური სტრუქტურების გამოყენებით, სამართლებრივი გზით ებრძოლა დამოუკიდებლობისათვის.**

1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ ჰელსინკის კავშირი და მისი მხარდამჭერი ძალები ეროვნული ფორუმიდან გავიდნენ და ჩამოაყალიბეს ახალი პოლიტიკური ბლოკი **„მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველოს“** სახელწოდებით. მასში შვიდი ორგანიზაცია გაერთიანდა. ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა ძალებმა **ეროვნული ყრილობა** მოიწვიეს და **ეროვნული კონგრესის** არჩევა გადაწყვიტეს.

ამრიგად, რადიკალური ძალები ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაითიშა და ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონობისთვის დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა.

ლიბერალური ბანაკი, რომელიც საკმაოდ ჭრელი შემადგენლობის იყო და არსებითად საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მესამე მიმართულებას წარმოადგენდა, თავდაპირველად რადიკალების ურთიერთდაპირისპირებაში არ მონაწილეობდა. ისინი **საბჭოთა სისტემის ევოლუციური ტრანსფორმაციის მომხრენი იყვნენ.** ამ მიმართულების ყველაზე სერიოზულ ძალას **„ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“** პოლიტიკური ორგანიზაცია წარმოადგენდა (თავმჯდომარე ვალერიან ადვაძე). მის ბირთვს ეროვნულად განწყობილი პარტიულ-ბიუროკრატიული ნომენკლატურისა და ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის დადგენილებით გადაწყდა უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების ჩატარება 1990 წლის ოქტომბერში. საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებების თანახმად, ახალი არჩევნები **მრავალპარტიული სისტემის** საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო. ეს

იყო ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ჩატარდა. ეს იყო 1919 წლის შემდეგ პირველი თავისუფალი არჩევნები, რომელიც მრავალპარტიული სისტემის პირობებში განხორციელდა. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული მოძრაობის ყველაზე ძლიერმა ფრთამ, საარჩევნო ბლოკმა: **„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“**, რომელმაც საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა (62%) მოიპოვა. საქართველოში ფაქტობრივად **„ხავერდოვანი რევოლუცია“** მოხდა. კომუნისტურმა ერთპარტიულმა დიქტატურამ საქართველოში სამოცდაათწლიანი არსებობა დაასრულა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება აღმოჩნდა.

ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლით ინყება იმ ღონისძიებებისა და მოვლენების სერია, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა **რესპუბლიკად**. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ მის პირველსავე სესიაზე არჩეულ იქნა **ზვიად გამსახურდია**.

ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა რამდენადმე მოულოდნელიც იყო. გარდამავალი პერიოდის უქონლობამ ახალი ხელისუფლება დამატებითი სიძნელეების წინაშე დააყენა. **საქართველოს მართვა მოსკოვიდან ერთბაშად შენყდა და ეროვნული ხელისუფლება მოზღვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა ხასიათის პრობლემებს მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეჭიდებოდა.** ეს, რა თქმა უნდა, სათანადო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მართვის გამოცდილების გარეშე ძნელი იყო.

ეროვნული ხელისუფლების პირველი ნაბიჯები მიზნად ისახავდა საბჭოთა ინსტიტუტების ადგილზე ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ქვეყანაში დაინყო წვრილი საწარმოებისა და ობიექტების პრივატიზაცია, თავისუფალი მენარმეობის ჩასახვა, კომერციული ბანკების შექმნა, თავისუფალი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და სხვ.

საბჭოთა სისტემის შეცვლის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო 1990 წლის ნოემბერში მიღებული **კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ**, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ახალი ინსტიტუტების შექმნა. კანონის თანახმად, უნდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები — **საკრებულოები** და **პრეფექტურები**. საკრებულოების დეპუტატთა არჩევნები 1991 წლის მარტში ჩატარდა. დამტკიცდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი წესი, რომლის თანახმადაც, ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ: **რაიონი, ქალაქი** და **თემი**.

ახალი ხელისუფლების მოსკოვთან დამოკიდებულების კურსი უკომპრომისო იყო — **საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირისაგან სრული გამოყოფა**. 1991 წლის 31 მარტს ეროვნულმა ხელისუფლებამ რეფერენდუმი ჩაატარა. მოსახლეობას თავისი ნება უნდა გამოეხატა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და ამით დაედასტურებინა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მოსახლეობის საერთო ნებაც. რეფერენდუმმა საყოველთაო მასშტაბით დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის სურვილი — რეფერენდუმში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 90%. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მხარი დაუჭირა რეფერენდუმში მონაწილეთა 97%. რაც მთავარია, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარი დაუჭირა ქვეყნის არაქართულმა მოსახლეობამაც.

რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა.

1991 წლის აპრილში საქართველოს უზენაესმა საბჭომ **ზვიად გამსახურდია** რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია, რაც 26 მაისს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა. საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი **ზვიად გამსახურდიას** სახელთან აკავშირებდა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების საუკუნოვან იდეას.

ახალგაზრდა დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე სულ უფრო მეტად იყრიდა თავს გადაუჭრელი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საერთაშორისო მასშტაბის პრობლემები. მათი გადაჭრა მარტოოდენ ხელისუფლების წრფელ ენთუზიაზმს არ ძალუძდა.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა მტკივნეულად მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში აზვირთებულ ეროვნულ მოძრაობას მოსკოვი სხვადასხვა საშუალებებით ებრძოდა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა **სეპარატისტული ძალების წაქეზება, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების პროვოცირება.** მოსკოვი იძულებული გახდა დაეთმო აღმოსავლეთ ევროპა, ხოლო უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან — **ლიტვა, ლატვია, ესტონეთი.** დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში გავლენის შესანარჩუნებლად საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ენერგიულად იბრძოდა. 1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ოფიციალურად დაიშალა. მის ადგილზე შეიქმნა 12 დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც შეიდნენ სახელმწიფოთა ახალ გაერთიანებაში — **დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ).** დასავლეთი თავდაპირველად შეურიგდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში რუსეთის ლიდერობასა და სამხედრო-პოლიტიკურ გავლენას.

საქართველო ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდა თორმეტთაგან, რომელიც არ შესულა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. **რუსეთის გავლენისაგან სრული თავდაღწევა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ოფიციალური საგარეო პოლიტიკური კურსი გახდა, რაც მაქსიმალიზმსა და რომანტიზმს ნიშნავდა პოლიტიკაში.** ამგვარი კურსი სრულიად მიუღებელი იყო რუსეთისათვის, რომელმაც დაუყოვნებლივ აამოქმედა პატარა ურჩი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა მექანიზმი. პირველ რიგში რუსეთმა ხელი შეუწყო საქართველოში არსებულ ავტონომიურ რესპუბლიკებში სეპარატისტულ მოძრაობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ.) აფხაზური საზოგადოების ერთ ნაწილში **ანტიქართული** განწყობილება ყოველთვის შეიმჩნეოდა და თითქმის ყოველ ათწლეულში ერთხელ მსხვილ **ანტიქართულ** მოძრაობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. გორბაჩოვისეული გარდაქმნების პერიოდამდე უკანასკნელ ანტიქართულ გამოსვლებს 1978 წელს ჰქონდა ადგილი აფხაზეთში. 1978 წლის დასაწყისში აფხაზი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა წერილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელშიც საჩივარი იყო აღძრული საქართველოს კომუნისტური ხელისუფლებისა და ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ. აფხაზური წერილის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა მიმართული იყო აფხაზი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ; მიმდინარეობდა აფხაზური ეთნოსის დემოგრაფიული შევიწროება; აფხაზთა ისტორიის გაყალბება, მათი კულტურისა და ტრადიციების დაკნინება და ა. შ. **საქართველოს კომუნისტური**

ხელისუფლება, სამწუხაროდ, ანტიქართული მოძრაობის მიჩქმალვის, გარეგნული სტაბილიზაციისა და მასთან მუდმივი კომპრომისების, დათმობების გაუმართლებელ გზას დაადგა. არამართებული იყო, რომ სოხუმში პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა უნივერსიტეტი, მაუწყებლობა დაინყო აფხაზურმა ტელევიზიამ, ჩამოყალიბდა აფხაზური თეატრი, გაფართოვდა გამომცემლობა „ლაშარი" და ა. შ. ყოველივე ეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აბორიგენი ქართული მოსახლეობისა და საქართველოს მთლიანობის ინტერესების შელახვის ხარჯზე მიმდინარეობდა.

ანტიქართულმა ისტერიამ აფხაზეთში ახალი სიძლიერით XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იფეთქა. 1989 წლის 18 მარტს აფხაზმა სეპარატისტებმა სოფ. **ლიხნში** მოანყვეს დიდი თავყრილობა, რომელმაც მიმართვა გაუგზავნა იმჟამად მიმდინარე სკკპ XIX კონფერენციას. სეპარატისტები აცხადებდნენ, რომ აფხაზური ეთნოსი გაქრობის საფრთხის წინაშე იდგა და მას უშველიდა მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა — აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნა, ე.ი. საქართველოდან გამოყოფა. აფხაზი სეპარატისტების გამოსვლებს ავტონომიური რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობის საპროტესტო აქციები მოჰყვა, რამაც მდგომარეობა დაძაბა. როგორც აფხაზი, ისე ქართველი მოსახლეობის მოთხოვნებში იყო ისეთი საკითხები, რომელიც ორივე ხალხის შეთანხმების გზით უნდა გადაჭრილიყო. ნაცვლად ამისა **მოსკოვმა მოახერხა, რომ აფხაზი მოსახლეობის მოძრაობისთვის სეპარატისტული მიმართულება მიეცა და ქართველი ერის ინტერესებისათვის დაეპირისპირებინა.**

1989 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისთვის გაგზავნილ წერილში ე. ნ. აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლების კრება ისევ მოითხოვდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის „აღდგენას" და საქართველოს კომუნისტური პარტიიდან აფხაზეთის კომუნისტური ორგანიზაციის გამოყოფას, მის უშუალო დაქვემდებარებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი. წერილში გამოთქმული იყო უკმაყოფილება საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი, რომლებიც, ავტორთა აზრით, მიმართული იყო ვითომ აფხაზი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. მოსკოვის მიერ მხარგამაგრებული სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლებას კატეგორიულ მოთხოვნებს უყენებდნენ და იმუქრებოდნენ, რომ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო „შეტაკებათა უმართავი და სისხლიანი ჯაჭვი". 1989 წლის 16 ივლისს აფხაზმა ექსტრემისტებმა სოხუმში დაარბიეს საშუალო სკოლის შენობა, რომელშიც განლაგებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. პროვოკაციულად გამოწვეული შეტაკების დროს დაიღუპა 14 კაცი. დაპირისპირებისა და შეტაკების საბაბად გამოიყენეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული ნიშნით გაყოფის ფაქტი.

ანტიქართულ მოძრაობაში აქტიურ როლს ასრულებდა აფხაზური სეპარატისტული ორგანიზაცია **„აიდგილარა"**, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ზემოაღნიშნული „ლიხნის წერილი" და სხვა სეპარატისტული აქციები სწორედ „აიდგილარას" მეთაურობით ხორციელდებოდა.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზ დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია მოიწვია. კვორუმის უქონლობის გამო სესია არ იყო უფლებამოსილი. მიუხედავად ამისა, სესიამ ცალმხრივად მიიღო **„დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ".**

1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ საბჭოს თავმჯდომარედ **ვლადისლავ არძინბა** აირჩია. თავდაპირველად საქართველოსა და აფხაზეთის ახალ ხელისუფალთა შორის საქმიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რაც ადრინდელ სისხლიან დაპირისპირებათა ფონზე თითქოს კონფლიქტისა და ორი ხალხის ურთიერთმოწყობის მშვიდობიან პერსპექტივას ქმნიდა.

ცალკეული ეპიზოდების მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევისა და აფხაზეთის გამოყოფის სტრატეგიული მიზნით მიმდინარეობდა.

მოსკოვიდან იმართებოდა ე. წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებიც, რომლებიც წმინდა ანტიქართული ისტერიის ხასიათს ატარებდა.

1989 წლის მაისში ოსი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ გენერალურ მდივანს წერილი გაუგზავნა. წერილში საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობასა და ქართველ საზოგადოებას ბრალი ედებოდა ოსი ხალხის სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ შევიწროებაში; ოსური ბოლშევიკური ინტელიგენციის განადგურებაში; ოსეთის ტოპონიმიკური სურათის შეცვლაში და ა. შ. წერილის ავტორები სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებასა და მის რუსეთის ფედერაციაში შესვლას მოითხოვდნენ.

1988 წლის აპრილში ცხინვალში პირველი მასობრივი დემონსტრაცია მოეწყო. დემონსტრანტები მოითხოვდნენ სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას. ანტიქართულ მოძრაობას მეთაურობდა ოსური სეპარატისტული ორგანიზაცია **„ადამონ ნიხასი“**, რომლის ლიდერი **ალან ჩოჩიევი** სოლიდარობას უცხადებდა სეპარატისტებს. 1989 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენად გამოცხადდა ოსური. ეს, რა თქმა უნდა, ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეზღუდვის ხარჯზე მოხდა.

„ოსეთის მშრომელების“ და „ადამონ ნიხასის“ მიმართვაში (1989 წლის ოქტომბერი) საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისადმი ნამოყენებული იყო ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების მოთხოვნა, რომლის პირველ ეტაპზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რესპუბლიკად გარდაიქმნებოდა და მოსკოვს დაექვემდებარებოდა. 1989 წლის 10 ნოემბერს ზემოაღნიშნული და სხვა ანტიქართული მოთხოვნები ოფიციალურ სახეს იღებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა სახით. ქართველმა საზოგადოებრიობამ და ეროვნულმა მოძრაობამ ანტიქართული ისტერიის აღკვეთა მოითხოვა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ ზემოაღნიშნული სესიის გადაწყვეტილებანი უკანონოდ ცნო, მაგრამ ამის იქით არ წასულა. სეპარატისტული მოძრაობის აღკვეთას სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის გზით, მოსკოვის ნებართვის გარეშე, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ვერ ბედავდა. ამგვარ ნებართვას კი მოსკოვი არც აფხაზი და არც ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ არ გასცემდა.

ამგვარ ვითარებაში ქართულმა საზოგადოებამ, საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა თავად სცადეს არ დაეშვათ სამხრეთ ოსეთში მოვლენების ანტიქართული მიმართულებით განვითარება. პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა ქართველ საზოგადოებას მოუწოდეს მონაწილეობა მიეღოთ 1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალში განზრახულ მიტინგში. საზოგადოება აქტიურად გამოეხმაურა ამ მოწოდებას. ცხინვალისკენ ათიათასობით ადამიანი დაიძრა, მაგრამ მათ გზა გადა-

ულობეს საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ბრძანებით მობილიზებულმა ძალოვანი სამსახურების ქვედანაყოფებმა.

ორივე მხრიდან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, სამხრეთ ოსეთში **ანტიქართულმა ექსტრემიზმმა გაიმარჯვა.** ოსურ სეპარატიზმს რომ რუსული იმპერიალიზმი ასაზრდოებდა, ეს კარგად იყო ცნობილი ქართული საზოგადოებრიობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II კონსტანტინოპოლის პატრიარქს დიმიტრიოს I-ს წერდა: „საბჭოთა კავშირი ატარებს ბარბაროსულ აქციებს საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნურად ამწვავებს ურთიერთობას ქართველ და ოს მოსახლეობას შორის, რითაც ქმნის მტრულ ურთიერთობას ამ ორ ქრისტიანულ ერს შორის... გთხოვთ აღიმაღლოთ ხმა“.

სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული პოლიტიკური პროცესები გეგმაზომიერად წარიმართა. 1990 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ; ნოემბერში — სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო დეკემბერში სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინა ხანებში და აღდგენის შემდეგ სეპარატისტული მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულება **„საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“**, რომელსაც მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილება **„საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ“**, რომელშიც ვკითხულობთ:

„ვინაიდან 1921 წ. თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია განხორციელდა წითელი არმიის — შეიარაღებული აგრესიის ძალის მეოხებით, რომელიც დღემდე იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ემორჩილება მხოლოდ სსრ კავშირის ხელმძღვანელობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო შეიარაღებულ ძალად.

2) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან საქართველოს ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე.

3) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრ კავშირის წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგანაც მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონში“.

ზემოთ აღნიშნულს მოჰყვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება **„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ“** (1991 წლის 15 სექტემბერი), **„სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს წილის შესა-**

ხებ", „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის შესახებ" კანონები (1991 წლის 15 სექტემბერი) და სხვა.

ამავე დღეებში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილებები: „ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ", ჰელსინკის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტთან" და ვენის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებთან" საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ (1991 წლის 15 სექტემბერი).

აგონიაში მყოფი საბჭოთა იმპერია მტრულად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ცხადია, საქართველოს ხელისუფლებას გაუჭირდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლა. ის ფაქტი, რომ საქართველოს საზღვრებს საბჭოთა კავშირის ჯარები იცავდნენ, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზები იყო განლაგებული, მრავალი სირთულის წინაშე აყენებდა საქართველოს ახალ ხელისუფლებას. გარდა ამისა, მოსკოვს შეეძლო საქართველოში საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ხელოვნურად გამოწვევა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ეფექტურად იყენებდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს.

ურთულესი ვითარების მიუხედავად, საქართველოს უზენაესი საბჭო შეუდგა მუშაობას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით ყოფნის პერიოდში დანერგილი სახელმწიფო სისტემის შესაცვლელად. შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია (1990 წ. 15 ნოემბერი), საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ საბჭოთა კავშირის კანონის მოქმედება (1990 წლის 15 ნოემბერი). მიღებულ იქნა დადგენილება „შინაგან ჯარებში - ეროვნულ გვარდიაში განვევის დროებითი დებულების შესახებ" (1991 წ. 29 იანვარი); კანონი „გარდამავალ პერიოდში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოს არჩევნების შესახებ" (1991 წლის 29 იანვარი); კანონი „რეფერენდუმის შესახებ" (1991 წლის 29 იანვარი) და სხვ.

ეროვნული ხელისუფლება ცდილობდა მშვიდობიანი, სამართლებრივი ფორმების გამოყენებით მოეგვარებინა მოსკოვის მიერ ინსპირირებული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

1990 წლის 22 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელით სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ", რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გარდაქმნის შესახებ და, აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის 1990 წლის 2 დეკემბრისთვის არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებსა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს,

განსაკუთრებით ოსი ეროვნების მოქალაქეებს, მონოდებით გამოიჩინონ კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, სიფრთხილე და სწორად შეაფასონ სეპარატისტული ძალების სახიფათო მოქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საერთო დესტაბილიზაცია და უაღრესად მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ იგი განუხრელად იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის. ამასთან ერთად, იგი ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას, რომ კვლავაც დაიცავს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის უფლებებს საერთაშორისო საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად".

ასეთი დადგენილების მიუხედავად, მოსკოვის მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტები აგრძელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებას, რასაც მოჰყვა იძულებითი ნაბიჯი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, მიიღეს - საქართველოს რესპუბლიკის კანონი **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ"** და დადგენილება **„ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ"** (1990 წლის 11 დეკემბერი).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ოსი სეპარატისტების წახალისების გზას დაადგა. 1991 წლის იანვარში გამოვიდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. ოსი სეპარატისტების ანტიქართული ქმედებების შედეგად დაიძაბა ურთიერთობა სამაჩაბლოს ქართველ და ოს მოსახლეობას შორის. დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები.

მოსკოვის მიერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ინსპირირებული საომარი მოქმედების შეჩერების მიზნით ზვიად გამსახურდიამ მოწოდებით მიმართა ოს მოსახლეობას, რომელშიც ნათქვამი იყო:

„... ქართველები და ოსები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ახლა ურთიერთს ხოცავენ, ეომებიან გარეშე ძალის წაქეზებით. ვინაიდან ეს ძმათამკვლელი ომი ვიღაცის იმპერიული ამბიციების დასაყრდენია... სირცხვილი იქნება, თუ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით არ აღდგება მშვიდობა და ძალისხმევა ჩვენს ხალხებს შორის. ამის უპირველესი და აუცილებელი პირობაა ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიერ იარაღის ჩაბარება შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, მათი სრული და უსიტყვო განიარაღება, რაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ცხინვალი გამონაკლისი არ უნდა იყოს. შეიარაღებული ჯგუფები უნდა განიარაღდნენ. სამაგიეროდ ჩვენ სრული ხელშეუხებლობის გარანტიას ვაძლევთ მათ, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება... ოსებისთვის შენარჩუნებული იქნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, რომელიც მათ ოლქის არსებობის პერიოდში ჰქონდათ. ის უფლებები კიდევაც გაიზრდება, გაფართოვდება და განმტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით... ქართველები და ოსები თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ. გარანტირებული იქნება მათი ხელშეუხებლობა, შრომითი მოწყობა და მშვიდი ცხოვრება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე..."

მოსკოვის წაქეზებით თანდათან იძაბებოდა სიტუაცია აფხაზეთში. ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, 1990 წლის აგვისტოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ

გააუქმა ეს უკანონო დეკლარაცია. საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 თებერვლის დადგენილებაში **„აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“** ვკითხულობთ:

„აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს არ გაუგრძელებია ვადა, არ მიუღია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი და შესაბამისადაც არც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაუნიშნავს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1) წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს:

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს არა უგვიანეს 1991 წლის 1 ოქტომბრისა;

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად გააგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა ა. წ. 15 მარტამდე.

2) იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ორგანოების ვადა განსაზღვრულია ხუთი წლით, ხოლო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ექვს წელზე მეტია მოქმედებს, ამ დადგენილების პირველი მუხლის შეუსრულებლობა გამოინვევს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას“.

არსებული დაძაბული მდგომარეობის განმუხტვას ისახავდა მიზნად ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 12 მარტის **„მიმართვა აფხაზი ხალხისადმი“**, რომელშიც ვკითხულობთ:

„აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება... ჩვენ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ურთიერთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით... ჩვენ მრავალი იმპერიის შემოტევას გავუძელით, ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყიეს ვერც რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა და ვერც სხვებმა. მაგრამ, აი, XIX-XX საუკუნეში, ჩვენ დაგვიპირისპირდა იმპერიათა შორის უვერაგესი და უბოროტესი — რუსეთის იმპერია, რომელმაც არნახული უბედურება მოუტანა ჩვენს ხალხს... მიზნად დაისახა ჩვენი ხალხების სრული ასიმილაცია და მოსპობა. მან დაინახა, რომ ამას ვერ განახორციელებდა მხოლოდ რეპრესიებითა და გენოციდით, ამიტომ გამოიყენა ყველა იმპერიის ნაცადი ხერხი — გათიშე და იბატონე და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთდასაპირისპირებლად... დღევანდელმა მოდერნიზებულმა კომუნისტურმა იმპერიამ, საუბედუროდ, მიაღწია ამას თავისი აგენტურის მეშვეობით, რაც, მისი გეგმით, დასაწყისი უნდა გახდეს კავკასიის ბალკანიზაციისა და ლიბანიზაციისა, რათა ცენტრმა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები და ჰეგემონია კავკასიაში.“

სამწუხაროდ, მოსკოვის მიერ წაქეზებული სეპარატისტული ძალები აფხაზეთში აგრძელებდნენ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს. აი, რას წერდა 1991 წლის 29 მარტს ზვიად გამსახურდია ვლადისლავ არძინბას:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება, ხოლო 1991 წლის 29 იანვარს საერთოდ გაუქმდა ადგილობრივი საბჭოების სისტემა. საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ვალდებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, რაც შეუწყნარებლად ჭიანურდება და მრავალი უხერხულობის მიზეზად შეიძლება იქცეს...“

მიუხედავად მოსკოვის იმპერიული ძალების წინააღმდეგობისა, ქართული და აფხაზური მხარის ორმხრივი კონსენსუსის საფუძველზე მაინც მოხერხდა მდგომარეობის ნორმალიზება — მიღებულ იქნა საარჩევნო კანონი, რომელიც გარკვეული კვოტების პრინციპს ითვალისწინებდა. კერ-

ოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბ-ლიკის უმაღლეს საბჭოში იქნებოდა 65 დეპ-უტატი, მათ შორის — 28 აფხაზი ეროვნებ-ის, 26 — ქართველი და 11 — სხვა დანარჩენი ეროვნების დეპუტატი. **მიღწეული შეთ-ანხმების თანახმად, აფხაზეთის ავტონომი-ური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა აფხაზური დეპუ-ტაციის წარმომადგენელი, მისი პირველი მოადგილე — ქართველი დეპუტაციის, მინ-ისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ქართვე-ლი, ხოლო მისი პირველი მოადგილე — აფხაზი.** რაც მთავარია, აფხაზეთის ავტონო-მიური რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუცია-ში შეიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც **ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (გარდა საპროცედუროსი) უნდა მიღებუ-ლიყო ხმების ორი მესამედით, რომლის მო-საგროვებლად (44 ხმა) აუცილებელი ხდე-ბოდა ქართველ და აფხაზური მხარის დეპუტატთა ურთიერთკომპრომისი.**

საქართველოს ახალი ხელისუფლები-სთვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქცა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის პოლიტი-კურ ხელმძღვანელობასთან. **მოსკოვი პრინ-ციპულად არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ყველაფერს აკე-თებდა საქართველოში ვითარების დაძაბვი-სათვის.**

საქართველოში, ისევე როგორც ბალტი-ის რესპუბლიკებში, მიმდინარე პროცესი დიდ წინააღმდეგობას უქმნიდა **ახალი სამოკავ-შირეო ხელშეკრულების** დადებას. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების ინი-ციატივა რუსეთის ფედერაციას და, კერძოდ, **ბორის ელცინს** ეკუთვნოდა. ბორის ელცინ-მა ნამოაყენა წინადადება სამოკავშირეო ხე-ლშეკრულების დადების მიზნით დაწყებუ-ლიყო მოლაპარაკება ცალკეულ რესპუბლიკებთან ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით საბ-ჭოთა კავშირის ნაცვლად უნდა შექმნილიყო სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც **ფედერაციის, კონფედერაციისა და თანამეგობრობის** პრინციპებს დაემყარე-ბოდა. 1990 წლის აგვისტოში ახალი სამოკავ-შირეო ხელშეკრულების პროექტები განხილ-ვისათვის გადაიგზავნა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში. 1990 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოების IV ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება წარმოადგენდა ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზაციის უმნიშვნელო-ვანეს ფაქტორს. ყრილობამ მიზანშეწონილად ჩათვალა ხელშეკრულების შემდგომი და-მუშავების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკე-ბის უმაღლესი თანამდებობის პირებისაგან შექმნილიყო სპეციალური კომიტეტი („მოსამ-ზადებელი კომიტეტი"). ამასთან ერთად, ყრილობამ საბჭოთა კავშირის უმაღლეს სა-ბჭოსა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს დაავალა უზრუნველეყოთ ხელისუფლების ყველა საკავშირო ორგანოს ნორმალური ფუნქციონირება ახალი სამოკავშირეო ხე-ლშეკრულების დადებამდე.

მრავალპარტიული არჩევნების (1990 წლის ოქტომბერი) შედეგად საქართველო-ში ხელისუფლების სათავეში მოსული ეროვნული ძალები აშკარად უარყოფითად იყვნენ განწყობილნი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისადმი. ეს დადასტურდა მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ 1990 წლის ნოემბერში გამართული საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღე-ბული დოკუმენტებით. ცხადია, საქართვე-ლოს უზენაესი საბჭოს ასეთ პოზიციას მოსკ-ოვი მოწონებით ვერ შეხვდებოდა. 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე ჩატარდა რეფერენდუმი **საბჭო-თა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-შირის შენარჩუნების მიზანშეწონილობის თაობაზე.** აღნიშნული რეფერენდუმი საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩატარებუ-

ლა. საპირისპიროდ ამისა, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობას. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, როგორც აღვნიშნეთ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მოსკოვში გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მოსამზადებლად. ცხადია, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ასეთი ნაბიჯები ძალზე აღიზიანებდა მოსკოვს.

1991 წლის 23 აპრილს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის რეზიდენციაში, **ნოვო ოგარევოში,** შედგა მიხეილ გორბაჩოვისა და ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრა. **საქართველო ამ შეხვედრაში არ მონაწილეობდა.** ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ფორსირებული ტემპით ამზადებდნენ. ხელშეკრულებაზე ხელმოწერა დანიშნული იყო 1991 წლის 20 აგვისტოსათვის.

1990 წლის ნოემბრიდან 1991 წლის აგვისტომდე განვლილ პერიოდში ცხადი შეიქმნა, რომ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება მოსკოვის ნებას არ დაემორჩილებოდა. საქართველოს პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** სულ უფრო აშკარად უპირისპირდებოდა მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკურ კურსს. დათმობას არც ერთი მხარე არ აპირებდა. მოსკოვი აშკარად უჭერდა მხარს აფხაზ და ოს სეპარატისტებს. განსაკუთრებით დაიძაბა პოლიტიკური სიტუაცია 1991 წლის აგვისტოს ბოლოს.

მოსკოვის აგრესიულ ქმედებებს, აშკარა თუ ფარულ ანტიქართულ პოლიტიკას, უნდა დაპირისპირებოდა ქართველი ერის მტკიცე ერთობა. **სამწუხაროდ, საქართველოში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ეროვნული ძალები ვერ გაერთიანდნენ.** ხელისუფლების უმრავლესობაში მყოფ ბლოკს **„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“** აშკარად დაუპირისპირდა **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია** და სხვა პარტიები და ორგანიზაციები, ასევე ორგანიზაცია **„მხედრიონი“.** ოპოზიციის ლიდერებს **გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთელსა** და სხვებს თანადგომა გამოუცხადეს მხედრიონის ხელმძღვანელმა **ჯაბა იოსელიანმა,** გვარდიის სარდალმა **თენგიზ კიტოვანმა** და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **თენგიზ სიგუამ.** პარლამენტში ხელისუფლების აშკარა კრიტიკით გამოდიოდნენ სახალხო ფრონტის ლიდერი **ნოდარ ნათაძე** და სხვა დეპუტატები. თვით ხელისუფლების სათავეში მოსული ბლოკი **„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“** გაითიშა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილებას გამოთქვამდა ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი დამაარსებელი **ვაჟა ადამია.**

წინააღმდეგობა გარდაქმნების მომხრე და მოწინააღმდეგე ძალებს შორის საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში საკმაო ხნის მანძილზე მწიფდებოდა. მიხეილ გორბაჩოვი აპირებდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში საკადრო ცვლილებების გატარებას. 1991 წლის 29 ივლისს ნოვო-ოგარევოში საიდუმლო ვითარებაში ერთმანეთს შეხვდნენ **მიხეილ გორბაჩოვი, ბორის ელცინი** და **ნურსულთან ნაზარბაევი.** შეხვედრაზე განიხილეს იმ საკადრო ცვლილებების საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელძღვანელობაში უნდა განეხორციელებინათ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების (ე. ი. 20 აგვისტოს) შემდეგ. ამ შეხვედრის შემდეგ მიხეილ გორბაჩოვი მოსკოვიდან დასასვენებლად გაემგზავრა. 1991 წლის 19 აგვისტოს, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად დანიშნულ დროზე ერთი დღით ადრე მოსკოვში დაიწყო **პუტჩი.** პუტჩისტებ-

მა ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გაავრცელეს განცხადება, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ გორბაჩოვს აღარ შეუძლია საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება და ეს ფუნქცია დააკისრა ვიცეპრეზიდენტ გენადი იანაევს. ამავე დროს გამოცხადდა, რომ ძალაუფლება გადავიდა **საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის ხელში,** რომელშიც შევიდნენ პუტჩის ორგანიზატორები და მათი მომხრეები, ანუ ის ძალები, რომლებიც დამლუპველად მიიჩნევდნენ საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს, ასევე რესპუბლიკებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. პუტჩისტების მოქმედებას დაუპირისპირდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბორის ელცინი** და, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მოსკოვში კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა. მართალია, მოსკოვის პუტჩი დამარცხდა, მაგრამ იმ დღეებმა (19-23 აგვისტო) საქართველოში ვითარება ძალზე დაძაბა. **საქართველოს ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ძნელი იყო იმის პროგნოზირება, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები მოსკოვში.**

პუტჩის დღეებსა და მომდევნო ხანებში ისეთ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, რომელთაც საფუძველი გამოაცალეს საბჭოთა კავშირის არსებობას. ჯერ კიდევ 1991 წლის 20 აგვისტოს **ესტონეთის** პარლამენტმა მიიღო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დადგენილება, 21 აგვისტოს კი **ლატვიის** პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი რესპუბლიკის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. 24 აგვისტოს **უკრაინის** უზენაესმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 25 აგვისტოს გამოცხადდა **ბელორუსიის** დამოუკიდებლობა. 1991 წლის აგვისტოს ბოლომდე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს **მოლდოვამ, აზერბაიჯანმა, ყირგიზეთმა** და **უზბეკეთმა.**

საქართველოში არსებული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში (1991 წლის დეკემბერი) შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. პუტჩის დამარცხების შემდეგ შექმნილ ვითარებაში რუსეთის ფედერაციას ხელსაყრელი პირობები შეექმნა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცებისთვის. მთელი რიგი საკავშირო მნიშვნელობის უწყებები რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში გადავიდა. **მიხეილ გორბაჩოვი** ვეღარ მართავდა სიტუაციას. მან ისღა მოახერხა, რომ საბჭოთა კავშირის V რიგგარეშე ყრილობის დადგენილებით 1991 წლის სექტემბრის დამდეგს შექმნა **საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საბჭო,** რომელსაც უნდა ემოქმედა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე და ახალი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებამდე. სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა 1991 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ ადრე მიღებული კანონის საწინააღმდეგოდ **ლატვიის, ლიტვისა** და **ესტონეთის** დამოუკიდებლობის ცნობა. **საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არცნობა მძიმე დარტყმა იყო ეროვნული ხელისუფლებისათვის.**

მოსკოვში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მზადება მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მიმდინარეობდა. საქართველო ამ პროცესში არ მონაწილეობდა, ამიტომ პროცესის წარმატებით დასრულება საქართველოსთვის არახელსაყრელი რომ იქნებოდა, ცხადი იყო.

1991 წლის 1 ოქტომბერს **ალმა-ატაში** შედგა საბჭოთა კავშირში შემავალი 13 რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს საბჭოთა კავშირის ფარგლებში ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების პროექტი. ამ ხელშეკრულების პარაფირება მოხდა 4 ოქტომბერს. 18 ოქტომბერს **ეკონომიკური თანამე-**

გობრობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს **მიხეილ გორბაჩოვმა** და 8 რეს-პუბლიკის ხელმძღვანელმა. ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა **საქართველომ, უკრაინ-ამ, აზერბაიჯანმა** და **მოლდოვამ**. 1991 წლის 5 ნოემბერს მიხეილ გორბაჩოვმა სახ-ელმწიფო საბჭოს წევრებს დაუგზავნა სუ-ვერენულ სახელმწიფოთა კავშირის შესახებ ხელშეკრულების პროექტი. უკრაინამ, რომელმაც მოახდინა ეკონომიკური თანამე-გობრობის შესახებ ხელშეკრულების პარაფირება, უარი განაცხადა ხელი მოეწ-ერა: **სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის** შექმნის ხელშეკრულებაზე, სანამ უკრაინაში არ ჩატარდებოდა რეფერენდუმი სახელმწი-ფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. ეს რეფერენდუმი 1991 წლის 1 დეკემბრისთვის იყო დანიშნული. 1991 წლის 25 ნოემბერს **ნოვოოგარევოში** დანიშნული იყო **სუვერ-ენულ სახელმწიფოთა კავშირის** შესახებ ხელშეკრულების პარაფირება. უკრაინის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო ხელშეკრულების პარაფირება არ შედგა. 1 დეკემბერს უკრაინაში გამართულმა რე-ფერენდუმმა ცხადყო, რომ მოსახლეობის აბ-სოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა დამოუკიდებლობას. 2 დეკემბერს უკრაინის დამოუკიდებლობა ცნო რუსეთის ფედერაცი-ის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. ცხადი გახდა, რომ მიხეილ გორბაჩოვის კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა.

1991 წლის 8 დეკემბერს **ბელორუსიაში, ბელოვეჟში, რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის** პოლიტიკურმა ლიდერებმა **ბორის ელცინმა, ლეონიდ კრავჩუკმა** და **სერგეი შუშკევიჩმა** განაცხადეს: **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირ-მა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა** და **გეოპოლიტიკურმა რეალო-ბამ, არსებობა შეწყვიტა**. 1991 წლის 10 დე-კემბერს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ ხელშეკ-რულების რატიფიცირება მოახდინეს **უკრაინამ** და **ბელორუსიამ**. 11 დეკემბერს ამ ხელშეკრულებას შეუერთდა **სომხეთი** და **ყირგიზეთი**, 12 დეკემბერს ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა **რუსეთის ფედ-ერაციის** უმაღლესმა საბჭომ.

1991 წლის 21 დეკემბერს **ალმა-ატაში** ბელოვეჟის შეთანხმების მხარდასაჭერად მიღებულ დეკლარაციას ხელი მოაწერა 11 დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურმა. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგო-ბრობის შექმნით არსებობა შეწყვიტა საბჭო-თა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირ-მა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თან-ამეგობრობის შექმნა საქართველოს გარეშე მოხდა. მოსკოვმა ვერ შეძლო საქართველოს ეროვნული ხელისუფლება კომპრომისზე დაეყოლიებინა. **ცხადია, თანამეგობრობის შექმნის შემდეგ საბჭოთა კავშირის სამარ-თალმემკვიდრე რუსეთი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობას არ გამოიჩენდა.** ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებელ სახელმ-წიფოთა თანამეგობრობის სივრცეში საქართველოს ხელისუფლება მხარდაჭერას ვერ მიიღებდა. საქართველოს ეროვნული ხე-ლისუფლების ძალით დამხობა მოსკოვში 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ დაიგეგმა.

1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სპეცნაწილებმა დაარბიეს ოპოზიციის მიტინგი, რომელიც ქვეყნის გარედან იმართებოდა. ამ დღეს საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელ კონ-გრესმენთა დელეგაცია, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესნავ-ლა. მზადდებოდა ჩვენი ქვეყნის ცნობა მრავალი უცხო სახელმწიფოს მიერ.

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დად-გენილება **„1991 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში მიტინგის დროს მომხდარი ფაქ-ტის შესახებ“**, რომელშიც ვკითხულობთ:

„ა. წ. 2 სექტემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მოხდა შეტაკება მიტინგის მონაწილეებსა და მილიციის ნაწილს შორის, რომლის შედეგადაც დაშავდნენ როგორც მომიტინგეები, ასევე მილიციის მუშაკები.

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის აღიარებული პრინციპების მოთხოვნებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამ ფაქტს მიიჩნევს ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და აქედან გამომდინარე ადგენს:

1) დაიგმოს ა. წ. 2 სექტემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის მოედანზე მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი.

2) მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ ფაქტის გამო თბილისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და ანარმოებს გამოძიებას.

3) მომხდარი ფაქტის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიის, აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4) კომისიამ თავისი დასკვნები წარუდგინოს უზენაეს საბჭოს".

1991 წლის 24 სექტემბერს გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება **„ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ"**, რომელშიც ვკითხულობთ":

„იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მიმდინარეობს სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, შექმნილია ხუნტა, რომელსაც აქვს ძალა, ქ. თბილისში გააქტიურდნენ დესტრუქციული ძალები, რაც გამოიხატა უსანქციო მიტინგების მოწყობასა და კანონიერი ხელისუფლების ძალადური დამხობისათვის მოწოდებაში, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბლოკირებასა და სახელმწიფო დანესებულებების შენობების დაკავებაში, საბრძოლო იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით შინაგან საქმეთა ორგანოებზე თავდასხმასა და სატრანსპორტო საშუალებების გატაცებაში, სავაჭრო და საზკვების ობიექტების ძარცვაში, მოქალაქეთა და მათი ავტომანქანების თვითნებურ დაკავებაში, ჩხრეკასა და ნივთების დათვალიერებაში:

1. გამოცხადდეს ქ. თბილისში საგანგებო წესები ა. წ. 25 სექტემბრიდან;

2. დაინიშნოს ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად პოლკოვნიკი ჯემალ ქუთათელაძე;

3. გამოცხადდეს საერთო მობილიზაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

4. დაევალოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შექმნან სამობილიზაციო პუნქტები, ჩამოაყალიბონ სახალხო რაზმები;

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები ქ. თბილისში სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რათა უმსხვერპლოდ მოეგვარებინათ ქვეყანაში შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობა.

ზვიად გამსახურდიას ოპოზიციამ გამოიყენა საგარეო გართულება — საქართველოს ხელისუფლების დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან. შეიარაღებული გამოსვლა დაიგეგმა 1991 წლის 22 დეკემბერს. **ოპოზიციას ეშინოდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნას (1991 წლის 21 დეკემბერი) მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, დამოუკიდებლობის ცნობა. ეს კი განამტკიცებდა ზვიად გამსახურდიას პოზიციებს. ოპოზიციას ამ მოვლენისთვის უნდა დაესწრო.** 1991 წლის 22 დეკემბერს ოპოზიციურმა ძალებმა,

საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების მხარდაჭერითა და დახმარებით, დაიწყეს შეტევა პარლამენტის შენობაზე. პუტჩს მხარს უჭერდნენ რუსეთის რეაქციული წრეები. 1992 წლის 6 იანვრამდე თბილისში, მთავრობის სახლის მიდამოებში, მიმდინარეობდა ბრძოლები ოპოზიციასა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შორის. ამ ბრძოლებმა უამრავი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. 6 იანვარს **ზვიად გამსახურდიამ** თავის მომხრეებთან ერთად თბილისი დატოვა.

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო **კანონიერი ხელისუფლება.** პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ჯერ სომხეთს, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა თავი. ძალაუფლება ხელში აიღო **სამხედრო საბჭომ** (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა).

სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში.

სამხედრო საბჭოს მმართველობის პერიოდში კრიზისი სულ უფრო მწვავდებოდა. დევნილ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას საქართველოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, რომლებიც აგრძელებდნენ ბრძოლას. ქვეყანა აშკარად გაითიშა ორ ნაწილად — ძველი ხელისუფლების მომხრეებად და სამხედრო საბჭოს მხარდამჭერებად. პოლიტიკური კრიზისი თბილისში, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს. სულ უფრო აუტანელი ხდებოდა ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (ცხინვალის რეგიონში).

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზად ქართულმა ინტელიგენციამ მოსკოვიდან **ედუარდ შევარდნაძის** ჩამოყვანა დასახა. სამხედრო საბჭომ ანგარიში გაუწია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის, ძირითადად, ინტელიგენციის მოთხოვნას. 1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა. ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ სამხედრო საბჭომ ძალაუფლება **სახელმწიფო საბჭოს** გადასცა. სახელმწიფო საბჭოში, განსხვავებით სამხედრო საბჭოსაგან, შევიდნენ პოლიტიკური პარტიების, ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საბჭო მაინც ხელისუფლების არალეგიტიმური ორგანო იყო, რაც ართულებდა მრავალი გადაუდებელი პრობლემის მოგვარებას, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე გახდა. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის — არჩევნების ჩატარება. 1992 წლის 11 ოქტომბერს გამართული არჩევნების შედეგად პარლამენტში აღმოჩნდა თითქმის ყველა ძალა, რომელმაც ედუარდ შევარდნაძესთან თანამშრომლობა განიზრახა. პარლამენტის თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს **სახელმწიფოს მეთაურის** ფუნქციები მიენიჭა.

კრიზისი საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა. დასავლეთ საქართველოში ტერიტორიის ერთ ნაწილს კონტროლს უწევდნენ დევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეები, აფხაზეთსა და შიდა ქართლში — სეპარატისტები. მთელი ამ უმძიმესი პერიოდის მანძილზე აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერით ამზადებდა აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსაგან. დაიწყო ადამიანთა გატაცება და თავდასხმები საქართველოში მომავალ სატვირთო მატარებლების შემადგენლობებზე მათი გაძარცვის მიზნით. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1992 წლის 14 აგვისტოს სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი, რაც **პოლიტიკური შეცდომა** იყო. ხელისუფლებას წინასწარ უნდა განეჭვრიტა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იქ ჯარების შეყ-

ვანა ყოველად გაუმართლებელი იყო. ანგარიში უნდა გაეწიათ იმისათვისაც, რომ იმხანად ჩვენთან სახელმწიფო მხოლოდ ყალიბდებოდა, ხელისუფლების სტრუქტურები ფაქტობრივად ან არ არსებობდა, ან მხოლოდ შეიქმნის პროცესში იმყოფებოდა, სუსტი და არაორგანიზებული ჯარი სათანადოდ არ იყო შეიარაღებული. პროვოკაციების შედეგად ჯარი ჩაბმული აღმოჩნდა საბრძოლო მოქმედებებში. არაორგანიზებული და უდისციპლინო ჯარი ხშირად თვითნებურადაც მოქმედებდა, რისი მაგალითიც იყო სოხუმის დაკავება. ასე დაიწყო ომი აფხაზეთისათვის.

ქართული მხარე არ წყვეტდა მოქმედებას აფხაზეთში მშვიდობის დამყარების მიზნით. ამის დამადასტურებელია 1992 წლის სექტემბერში მოსკოვში და 1993 წლის ივლისში სოჭში ხელმოწერილი შეთანხმებები, რომლებიც დარღვეულ იქნა აფხაზი სეპარატისტების მიერ. საომარი მოქმედებები აფხაზეთში განახლდა. ომში აფხაზი სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ დაქირავებულები (კაზაკები, ჩრდ. კავკასიის კონფედერაციის მეომრები). მათ მხარს უჭერდა აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის არმიის ნაწილები. გარეშე ძალების აქტიური დახმარებით სეპარატისტებმა აიღეს **გაგრა** (1992 წ. 2 ოქტომბერი), დიდი ბრძოლების შედეგად — **სოხუმი** (1993 წ. 27 სექტემბერი), **ოჩამჩირე, გალი** და 1993 წლის სექტემბრის ბოლოს ენგურზე გაავლეს საზღვარი. სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ჟიული **შარტავა**. მან საკუთარი სიცოცხლის ფასად ათასობით სოხუმელს აფხაზ სეპარატისტთა ტყვეობაში ჩავარდნა და სიკვდილი ააცილა თავიდან. აფხაზეთიდან გამოიდევნა დაახლოებით 300 000 ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქე. აფხაზეთში მარცხს ხელი შეუწყო საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ. ვერ მოხერხდა მთელი ძალების მობილიზება ომისათვის. კერძოდ, 1993 წლის შემოდგომაზე შექმნილ კრიტიკულ ვითარებაშიც კი შეუძლებელი გახდა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე სამხედრო ფორმირებებისა და სამთავრობო ჯარების გაერთიანება. უფრო მეტიც, ქვეყანაში ფაქტობრივად დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც ექსპრეზიდენტის მომხრეთა მარცხით დამთავრდა. **ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ფორმირებების დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწვეულმა რუსეთის სამხედრო შენაერთებმა. 1993 წლის 31 დეკემბერს,** დღემდე დაუდგენელ ვითარებაში, დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**. ეს იყო საქართველოს უახლესი ისტორიის დიდი ტრაგედია.

1989 წელი

8-9 აპრილი

8 აპრილს, დილით უნივერსიტეტში მივედი. სტუდენტები ისევ ისხდნენ კიბეებზე. დღის 12 საათი იყო, ვაკიდან ჩამოიარეს ტანკებმა. **დათო ტურაშვილი** და კიდევ ზოგიერთი სტუდენტი ტანკებს გაეკიდა. საღამოს 8 საათზე რექტორის, **ნოდარ ამაღლობელის*** კაბინეტში შევიკრიბეთ. რექტორი ტელევიზიაში იყო წასული. მის კაბინეტში ვიყავით: **თემურ ხუროძე, ემილ კოპალიანი, მარლენ შენგელია, ელგუჯა ხინთიბიძე, რეზო ჩხობაძე** და ალექსიძის მოადგილე – **რეზო შელეგია**. რექტორი ორ საათში დაბრუნდა. მალე ტელევიზიით მისი გამოსვლა აჩვენეს. ცოტა ხნის შედეგ მოვიდა **ვახტანგ გოგუაძე**, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა არაფორმალებთან. არაფორმალებს უარი განუცხადებიათ მოლაპარაკებაზე. ღამის პირველ საათზე სტუდენტები რუსთაველზე წავიდნენ. მე და მარლენმა გადავწყვიტეთ, გავყოლოდით მათ. გული ცუდს მიგრძნობდა. მანქანა ზემელზე დავაყენეთ და ფეხით წავედით. შესანიშნავი ამინდი იყო. რუსთაველზე ნამდვილი სახალხო სეირნობა გამართულიყო. შეგვხვდნენ დეკანი გია მარი და მისი მეუღლე, სტუდენტი ჭიჭილეიშვილი, ჩემი კლასელი ზეკახ კვასხვაძე, ელდარ ნადირაძე, კინო „რუსთაველის“ წინ — ოლეგ მელაძე და ჩვენი სტუდენტი დუშეთიდან. აქ იყვნენ კინორეჟისორები გიორგი შენგელაია და ირაკლი კვირიკაძე. ვნახე მიშა მინდაძე, რომელსაც მივულოცე ქალაქის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსობა. კარგად ვერ ვხედავდი, მიტინგი მიყავდა ან **გია ჭანტურიას**, ან **ირაკლი წერეთელს**. განწყობილება იყო სადღესასწაულო. ეძებდნენ ოთარ რამიშვილს, რათა მას დაეკრა. ჩვენ ისე გავერთეთ, რომ კიდეც გადაგვავიწყდა რექტორის თხოვნა: სამ საათამდე დაბრუნდითო. რექტორს აინტერესებდა, რა ხდებოდა რუსთაველზე. მისი თხოვნა გაგვახსენდა და უნივერსიტეტში დავბრუნდით. უნივერსიტეტში მოვედით 3 საათსა და 10 წუთზე. რექტორი კაბინეტში აღარ დაგვიხვდა, მარტო მორიგეები იყვნენ. მარლენმა შინ დაურეკა რექტორს და უთხრა, რომ რუსთაველზე სინყნარე იყო. მან გვითხრა, შინ წავსულიყავით, რადგან თვითონ ერთ საათში დაბრუნდებოდა. მე და მარლენი შინ წავედით.

9 აპრილს, დილით 6 საათზე და 30 წუთზე ტელეფონით დამიკავშირდა მარლენი და მითხრა: ემილმა დამირეკა, დემონსტრაცია დაარბიესო. მარლენი 10 წუთში მოვიდა. წავედით უნივერსიტეტში. ილია ჭავჭავაძის ძეგლთან დავინახეთ ჩქარი ნაბიჯებით მომავალი პროფესორი გურამ თევზაძე და პროფესორი ზურაბ კიკნაძე, მესამე ვინ იყო, არ მახსოვს. უნივერსიტეტში დამხვდნენ რექტორი, ემილ კოპალიანი, ჩარიტა ჯაში, კომკავშირის მდივნის მოადგილე ვახტანგი (გვარი არ მახსოვს). მე და მარლენი ჩავედით ეზოში, სადაც ხალხი იკრიბებოდა. გამოგვყვა გურამ არაშიძე (პროფკავშირის თავმჯდომარე). ეზოში დაგვხვდა **ნოდარ ნათაძე**, რომელიც ხალხს მოუწოდებდა, დაშლილიყვნენ. დროდადრო ვიღაცა დაიძახებდა: ჯარი მოდისო და ყველა გარბოდა, ჩვენს გარდა, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რა საშინელება მოხდა რუსთაველზე. დემონსტრაციის დარბევის თვითმხილველებს ლაპარაკის თავიც არ ჰქონდათ. ამ დროს გამოჩნდა დათო ტურაშვილი, რომელსაც ფეხი ჰქონდა ნატკენი, და ჩვენი სტუდენტი ლევან თითმერია, რომელიც ნაცემი ჩანდა. ორივეს ვთხოვე, რომ შინ წასულიყვნენ. დათო ავიდა კედელზე და დროშა ააფრიალა. მე და მარლენი თემურ ხუროძის მოსაყვანად წავედით, რადგან მისი ტელეფონი არ მუშაობდა. უკან რომ დავბრუნდით, უნივერსიტეტის ეზოში

* ნოდარ ამაღლობელმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში სისხლი არ დაღვრილიყო.

ბევრი ხალხი დაგვიხვდა. მათ ქუჩებში შავი ვოლგების დამტვრევა დაიწყეს. დილის 10 საათზე მოვიდა ირაკლი ნერეთელი და მიტინგი ჩაატარა. იგი ცუდად გამოიყურებოდა. უნივერსიტეტის კარები ჩავკეტეთ, რადგან კვირა დღე იყო და ლექციები არ ტარდებოდა. უნივერსიტეტის შენობაზე გააკეთეს წარწერა, რომ ჯუმბერ პატიაშვილი მკვლელია. რექტორის კაბინეტში ვიყავი, როდესაც დარეკა პატიაშვილმა და ჰკითხა რექტორს, თუ როგორი იყო ხალხის განწყობა. ამ კითხვით რექტორი მე მომიტრიალდა, რადგან ეზოდან ახალი ამოსული ვიყავი. რექტორს ვუთხარი რომ, პატიაშვილს ყველა აგინებს და მკვლელად თვლის. რექტორმა პატიაშვილს უთხრა, რომ ხალხის განწყობილება ძალზე ცუდი იყო, მაგრამ არაფერი უთქვამს წარწერების შესახებ. თანდათან მოვიდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც. ველოდებოდით ინფორმაციას ტელევიზიით. მალე ტელევიზიით გადმოსცეს, რომ დაიღუპა 16 ადამიანი, მათ შორის 14 ქალი. ეს საშინელი შოკი იყო, გონზე ვერ მოვდიოდით.

მე და მარლენი ხშირად გავდიოდით ეზოში, სადაც მრავლად იყო ხალხი. ტანკები უკვე იდგნენ უნივერსიტეტის წინ. ახალგაზრდობა მანქანებით დაქროდა, ხელში შავი დროშები ეკავათ. ხალხი ტიროდა. მთელი დღე უნივერსიტეტში ვიყავი, შემდეგ შინ დავბრუნდი. შინ დაბრუნებიდან 10 წუთის შემდეგ ტელევიზიით გამოვიდა **იგორ როდიონოვი**. ეს მოხდა ზუსტად 10 საათსა და 55 წუთზე. როდიონოვმა განაცხადა, რომ 11 საათიდან დანესდა კომენდანტის საათი.

10 აპრილი

10 აპრილი – ყველაზე მნიშვნელოვანი დღე უნივერსიტეტში. დაახლოებით დილის 10 საათზე ფეხით მივედი უნივერსიტეტში. მიტინგი უკვე მიმდინარეობდა. მომიტინგეთა წინააღმდეგ ჯარი ნამოვიდა. ესენი იყვნენ მკვლელები – ფარებით, ნიჩბებით, ხელკეტებით, მუზარადებით. ოფიცრებს ავტომატები ეჭირათ. მიტინგის მონაწილეებთან ერთად შევევარდი უნივერსიტეტში, სადაც საშინელი მდგომარეობა დამხვდა. უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ბევრ მათგანს თავზე შავი თავსაფარი ჰქონდა წაკრული. მათ შორის ჩემთვის ბევრი იყო უცნობი. მათ ეტყობოდათ, რომ რკინის ხელკეტები ჰქონდათ. ეს იყო დაუმორჩილებელი, 9 აპრილის ამბებით განრისხებული ახალგაზრდობა. ისინი მზად იყვნენ, თავი დაედოთ საქართველოს განთავისუფლებისთვის. მათგან ბევრი რაიონებიდან იყო ჩამოსული. რექტორის კაბინეტისკენ გავიქეცი, მაგრამ ის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე წასულიყო. ამ დროს უნივერსიტეტში შემოვიდა ირაკლი ნერეთელი თავის ჯგუფთან ერთად. კორპუსში იყვნენ პარმენ მარგველაშვილი და აკაკი ბაქრაძე, რომლებიც მალე პრორექტორ ვახტანგ გოგუაძის კაბინეტში შევიდნენ. მათთან ერთად კაბინეტში შევიდნენ დათო ტურაშვილი, დავლაძე (ისტორიკოსი) და რამდენიმე კაცი. ავედი მეორე სართულზე. იქ იდგნენ ოთარ ჯაფარიძე, ნოდარ ნონიკაშვილი, კოტე ანთაძე. ქვემოდან ყვირილი გავიგონე. აღმოჩნდა, რომ გარეთ ჯარისკაცები ხელკეტების ცემით მოსდევდნენ სტუდენტთა ჯგუფს. პირველ სართულზე სტელაჟები იდგა, რომლებიც სტუდენტებმა დაამტვრიეს და შეიარაღდნენ. მე და პრორექტორი მირიან შიხაშვილი კარებისკენ გავიქეცით და სტუდენტებს ვაკავებდით. ამ დროს კორპუსში ჯარისკაცები შემოსულან. როდესაც მოვიხედე, ისინი ჩემს უკან იდგნენ. ერთ მათგანს აწეული ჰქონდა ხელკეტი და აპირებდა ჩემთვის ჩაერტყა. მაგრამ, ეტყობა, როცა დაინახა, რომ სხვებს ვაკავებდი, შეყოყმანდა. მე დავიყვირე, რომ იქ დარჩებოდნენ მხოლოდ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები (ვიგულისხმე მირიან შიხაშვილი). გამომიხტა ერთი ეკონომისტი და საქმის გარჩევა დამინყო: სადა ჰყავს უნივერსიტეტს ხელმძღვანელებიო. მე ხელი ვკარი. ჯარისკაცები უკან გაბრუნდნენ.

ზემოთ უნდა აღმენიშნა, უნივერსიტეტის კორპუსში რომ ჯარისკაცები შემოიჭრნენ, მე შევევარდი ვახტანგ გოგუაძის კაბინეტში და **აკაკი ბაქრაძეს** ვთხოვე, ისეთი კაცი დამხმარებოდა, რომელიც უკეთ იცნობდა შეკრებილ ხალხს. გამოვიდა **ზურაბ ჟვანია** (ბიოლოგი), რომელიც ძალიან მოგვეხმარა. ჩემთან მოვიდა ვარლამ გოგუაძე (ლაბორანტი), მას ვთხოვე, ასულიყო მეორე სართულზე და ისტორიკოსებისთვის ეთხოვა დახმარება. მართლაც ჩამოვიდნენ ნოდარ ნონიკაშვილი და როლანდ ჯანაშია. ისინი ძალიან დამეხმარნენ, სტუდენტობა მეორე სართულზე ავიყვანეთ და კარები ჩავკეტეთ. მე გავიქეცი რექტორის კაბინეტისკენ და რექტორის თანაშემწეს, გულიკოს ვთხოვე, რომ ცენტრალურ კომიტეტში დაგვერეკა. **ნუგზარ ფოფხაძის** კაბინეტში დავრეკეთ. შემხვდა მდივანი, რომელმაც მითხრა, ფოფხაძე ბიუროზეაო. თავი ვეღარ შევიკავე და დავიწყე ყვირილი: რექტორი მაინც გამოუშვით, უნივერსიტეტში დიდი ქაოსია!

ამის შემდეგ მეორე სართულზე ავედი და დავიწყეთ სტუდენტებისა და ხალხის შეყვანა აუდიტორიებში. მოვიდნენ ემილი და თემურ ხუროძე. ხუროძე რექტორის კაბინეტში შევიდა. ხალხი აღგზნებული იყო. დავიწყეთ მათი აუდიტორიებში შეყვანა, ვითომ ლექციები ტარდებოდა. არ გვინდოდა ჯარისთვის უნივერსიტეტში შემოჭრის საბაბი მიგვეცა. ამის შემდეგ ქვემოთ ჩამოვედით და გარეთ გავიხედეთ. გამოჩნდა კიდეე ერთი ტანკი, მოვიდნენ ჯარისკაცებიც, რომლებმაც გადაკეტეს ქუჩა ლეჩკომბინატთან და ჰაერში სროლა დაიწყეს. ამავე დროს დაერივნენ ხალხს. ხალხი ვაკის მიმართულებით გაიქცა. ჩვენ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის უკანა კარიდან გვქონდა გასასვლელი. ხალხის ნაწილმა ამ გასასვლელით ისარგებლა, მაგრამ ისიც დაგვიკეტეს. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე და მესამე სართულებიდან ხალხი ჯარისკაცებს რაღაც საგნებს ესროდა. მათ ისევ დაიწყეს ჰაერში სროლა და რუპორით მოითხოვეს, თუ ფანჯრებს არ დაკეტავდით, სროლას დაიწყებდნენ. მაღლა ავევარდით, ყველა აუდიტორიაში შევდიოდით და ვთხოვდით, ფანჯრები დაეკეტათ. დაგვიჯერეს და ფანჯრები დახურეს; ჩამოვედით ქვემოთ. მივხვდი, რომ ალყაში აღმოვჩნდით. მოიყვანეს დამატებით ჯარის ნაწილები, აშკარად იერიშისათვის ემზადებოდნენ. მე, მირიანი, ნოდარ ნონიკაშვილი, გია ბაბუნაშვილი, **ლევან ალექსიძე** და მისი შვილი **გოგი ალექსიძე** ქვემოთ ჩამოვედით, მეორე გასასვლელთან, მაგრამ ჯარისკაცები არავის ატარებდნენ. ლევან ალექსიძე თემურ ხუროძესთან ავიდა, რომელმაც ბეგლარ მახარაშვილს დაურეკა და სთხოვა, ხალხი უნივერსიტეტიდან გაეშვათ. ბეგლარ მახარაშვილმა უთხრა, რომ სამხედროებთან დასაკავშირებლად დრო დასჭირდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ **მურმან ომანიძე** მოვიდა (საათობრივზე იყო მონვეული იურიდიულ ფაკულტეტზე). მან თქვა, რომ კაპიტანს ელაპარაკა და ორი გოგონა გააშვებინა. ომანიძემ გვირჩია, სამხედროებს მოველაპარაკოთო. ყველა სამხედროებთან მივედით. კაპიტანმა გვითხრა, რომ თანახმაა მხოლოდ ქალების გაშვებაზე, მაგრამ პასუხს ჩვენ ვაგებდით. გაგვაფრთხილეს, ვინმეს რომ რაიმე მოემოქმედებინა, მაშინვე გვესროდნენ. სამხედროებმა გახსნეს კორიდორი ნაფარეულის ქუჩისკენ. საშინელი სანახაობა იყო. ახლომახლო კაცი შვილი არ ჭაჭანებდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ კინოდარბაზში ვიყავი და ფაშისტებს ვუყურებდი. ვიგრძენი, ნამდვილი ოკუპანტების წინაშე ვიდექი. ხალხი გავაფრთხილეთ, რომ ჯარისკაცები მხოლოდ ქალებს გაატარებდნენ. ორ-ორ ქალს ვაცილებდით ავტომატიანი ჯარისკაცების კორიდორში. უნდა აღვნიშნო, რომ ქალებმა ძალზე ვაუკაცურად გაიარეს; ამისთვის ორი საათი დაგვჭირდა; მერე მამაკაცების გაყვანაც ვთხოვეთ, რაც, ცხადია, ძალზე საშიში იყო. მამაკაცებს განვუცხა-

დეთ, ვისაც თავისი იმედი არ ჰქონდა, ჯობდა არ გამოსულიყო უნივერსიტეტიდან. პირველ კორპუსში აკაკი ბაქრაძე და ვახტანგ გოგუაძეც ურჩევდნენ მამაკაცებს, რომ მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. ისინიც ორ-ორი გაგვყავდა, თან ვთხოვდით, ხმა არ ამოეღოთ, ნინაალმდეგ შემთხვევაში გვესროდნენ.

მანამდე ლევან თითმერიამ (სტუდენტი, ისტორიკოსი) დათო ტურაშვილის დედის გაყვანა მთხოვა ერთ ქალთან ერთად. დათოს დედა ტიროდა, რადგან შვილს შენობაში ტოვებდა. მე ვამშვიდებდი, ვარწმუნებდი, რომ სანამ ცოცხალი ვიყავი, ბავშვებს არ მივატოვებდი და არც დათოს დავტოვებდი მარტო; მერე ცრემლები მომერია, შვილები გამახსენდა. დათო ტურაშვილის დედა ნაფარეულის ქუჩამდე მივაცილე და უკან დავბრუნდი.

ვაუების გაყვანა დავასრულეთ. გავისტუმრე დათოც. ირაკლი წერეთელი, ირაკლი მელაშვილი და რამდენიმე კაცი მეორე გასასვლელიდან გავიდნენ, რადგან დაჭერის ეშინოდათ. მართლაც, ნახევარ საათში მოვიდა მილიცია, აშკარად მათ ეძებდნენ. ხალხის გაყვანა რომ დავასრულეთ, უკან ამოვედით რექტორთან. იქ იყვნენ **ოთარ ჯაფარიძე, გურამ ლორთქიფანიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, გურამ თევზაძე, ზურაბ კიკნაძე, პარმენ მარგველაშვილი, კარლო მეშველიანი, ზურაბ ჟვანია** (ბიოლოგი), **ზურაბ ჟვანია** (უცხოეთის განყოფილება), **თეიმურაზ კოპალეიშვილი, თამაზ გამყრელიძე, ოთარ გამყრელიძე, ზურაბ ფორაქიშვილი** და კიდევ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს რამდენიმე წევრი, რომლებიც ადგენდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიმართვის ტექსტს.

მე და ემილი პირველსა და მეორე კორპუსს შორის გამოვედით და კომენდანტებად დავდექით, რათა უნივერსიტეტში ზედმეტი ხალხი არ შემოსულიყო და ამავე დროს მშობლებისთვის პასუხი გაგვეცა – ქალაქში ხმა გავრცელდა, უნივერსიტეტში ხალხი დახოცესო. ამბის გასაგებად მოდიოდა უამრავი ადამიანი, ყველას ვუხსნიდით, რომ არავინ არ მოუკლავთ. უნივერსიტეტთან კვლავ იდგა ტანკი, ოღონდ ის ჩაფხუტიანი მხეცები აღარ იყვნენ.

ხალხი შეგროვდა. გოგონები და ბიჭები ტანკის წინ ჩამოსხდნენ. მათ დილით მომხდარი ამბების შესახებ არაფერი იცოდნენ. გულმა არ მომითმინა, ჩავედი და ვთხოვე, შინ წასულიყვნენ. არ დამიჯერეს. მეორე კორპუსისკენ მიმავალმა გავიგონე ყვირილი. თურმე ვიღაცას ტანკზე მდგომი ჯარისკაცებისთვის ბოთლი უსვრია და ისინიც ხალხს გამოეკიდნენ. კიდევ კარგი, უბედურება არ მოხდა.

საღამოს რექტორის კაბინეტში მოვიყარეთ თავი. მალე მიმართვაც შეადგინეს. მე, ემილმა და ჩარიტა ჯაშმაც მოვაწერეთ ხელი. რექტორმა ფოფხაძესთან დარეკა და შეატყობინა, რომ ცენტრალურ კომიტეტში აგზავნიდა გურამ თევზაძესა და ზურაბ კიკნაძეს (მესამე არ მახსოვს). ერთი საათის შემდეგ ფოფხაძემ დარეკა და გვითხრა: უკვე მოქმედებს სამხედრო ცენზურა, მიმართვიდან ერთი პუნქტის ამოღება იყო საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართვა არ დაიბეჭდებოდა. ეს იყო პუნქტი მთავრობის გადადგომის შესახებ. ამაზე ყველამ უარი განაცხადა. მალე ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი სამი კაციც მოვიდა. მათ გვაცნობეს, რომ ფოფხაძეს ძალიან უჭირდა მიმართვის დაბეჭდვა. ყველანი ნავიდნენ. დავრჩით მე, ემილი, მარლენი და თემურ ხუროძე. ღამის 11 საათისთვის ჩვენც შინ ნავედით.

14 აპრილი

14 აპრილი გლოვის დღედ გამოცხადდა. დილით რექტორთან ვიყავით მე, მარლენი, ემილი, ხუროძე. ამ დროს შემოვიდა რუსი

მაიორი, რომელსაც ორი ჯარისკაცი შემოპყვა. ერთი იმოდენა იყო, რომ წელამდე ვწვდებოდი. ჯარისკაცს წელზე დიდი დანა ეკიდა. მაიორმა თქვა, რომ შავი დროშა, რომელიც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულზე იყო გამოკიდებული, უნდა ჩამოგვეხსნა. რექტორმა აუხსნა, რომ სამგლოვიარო დღე ოფიციალურად იყო გამოცხადებული. მაიორმა რექტორს ურჩია, ნითელ დროშაზე გაგვეკეთებინა შავი არშია. რექტორმა მაიორს უპასუხა, რომ დროშასთან დაკავშირებით ცენტრალურ კომიტეტში დარეკავდა. მაიორს გაეცინა და უთხრა: *„Сперва снимите, а потом позвоните"*.

ნერვიულობისაგან კინაღამ გავგიჟდი, არ ვიცოდი, რა მექნა. ვგრძნობდი, რომ უძლური ვიყავი, და ეს მაშინ, როცა ჩემს ცხოვრებაში არავისთვის არაფერი შემირჩენია. მაიორი გავიდა, ცოტა ხანში შემოვიდა ლეიტენანტი და გვითხრა, რომ **მაიორი დროშის ჩამოსახსნელად მხოლოდ ხუთ წუთს გვაძლევდა. რა გვექნა, ყველა მეორე სართულზე ავედით. არ გვინდოდა, რომ უნივერსიტეტში ჯარი შემოსულიყო.** ამას ძალზე ცუდი შედეგები მოჰყვებოდა. შემოგვიერთდა ნოდარ ბლიაძე. კომკავშირის კომიტეტის კაბინეტი დაკეტილი დაგვხვდა. რექტორმა თქვა, მდივანი მოიყვანეთო. **ულტიმატუმის დროიდან უკვე ორი წუთი იყო გასული. იძულებული გავხდი ფეხის დარტყმით შემენგრია კარი. მეხუთე წუთზე ჩამოვხსენით დროშა. ტირილი ამივარდა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ასეთ საცოდავ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.**

27 აპრილი

შეიკრიბა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო. მე მოვითხოვე, მოგვეწვია ფაკულტეტის კრება და შეგვეფასებინა 9 აპრილის მოვლენები. კრება გაიმართა 27 აპრილს. გამოვედი სიტყვით. აფხაზეთიდან ჩამოვიდნენ პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც გვთხოვეს, მხარი დაგვეჭირა სოხუმში თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის შექმნისთვის. კრებამ იმსჯელა ამ საკითხზე და მხარი დაუჭირა აფხაზეთში უნივერსიტეტის ფილიალის დაარსებას. კრებამ ოთხ საათს გასტანა. კარგად გამოვიდნენ სტუდენტები – დავლაძე, კვიტაიშვილი და სხვ. რაღაც გამოცოცხლება იგრძნობოდა. ბოლოს თამაზ გამყრელიძე მოვიდა. მან გვთხოვა, რომ მხარი დაგვეჭირა **თბილისის უნივერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭებისთვის. ამ წინადადებას ყველა დაეთანხმა.**

13 მაისი

თსუ-ში სახალხო ფრონტის დაარსება. დღეს შემხვდა ბეჟან ჯავახია. მან მითხრა: საინიციატივო ჯგუფის წევრების ერთ ნაწილს ფაქტობრივად უნდა, უნივერსიტეტი გამოეყოს სახალხო ფრონტსო. არსებობს მეორე პროექტი, რომელიც უფრო მისაღებია. მეორე პროექტის მომხრენი დამარცხდნენ, რადგან აქტიურობდნენ ფიზიკოსები. მე და ბეჟანი მარიკა ლორთქიფანიძესთან შევედით, გადავწყვიტეთ, მეორე პროექტის მომხრეებს დავხმარებოდით. წინა რიგებში ერთად დავსხედით ოთარ ჯაფარიძე, ეთერ ავსაჯანიშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, ფილოლოგი გოშაძე და მე. სხდომის თავმჯდომარედ ზურაბ კიკნაძე აირჩიეს.

გამოვიდა ერთი ფიზიკოსი და პირველი პროექტი ნაგვიკითხა, სადაც უნივერსიტეტის სახალხო ფრონტს ეწოდა ეროვნული სახალხო ფრონტი. გამოვიდა ნიქაბაძე, მან მეორე პროექტი წაიკითხა, რომელიც აღიარებდა, რომ უნივერსიტეტის სახალხო ფრონტი საქართველოს სახალხო ფრონტის შემადგენელი ნაწილი იყო და რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო

ფრონტის სათათბიროში უნდა შესულიყვნენ ფაკულტეტის წარმომადგენლები. ეს პროექტი დამსწრეთა ძირითად ნაწილს მოენონა. შემდეგ კრებაზე გამოვიდნენ – **ლევან სანიკიძე, ბეჟან ჯავახია, გოგი ლაპიაშვილი** (ფიზიკოსი), **ზურაბ ყვანია** (ბიოლოგი). თავმჯდომარე ცდილობდა, გასულიყო პირველი პროექტი. მოვიდა ნოდარ ნათაძე, რომელმაც ფაქტობრივად პრესკონფერენცია გამართა. მე გავუგზავნე თავმჯდომარეს შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენი სახალხო ფრონტი იყო შექმნილი ფიზიკის ფაკულტეტზე. მან იმ დროს მიპასუხა, როდესაც ხალხი ყვიროდა. ამის გამო ხალხმა ვერ გაიგო, რომ შექმნილი იყო სამი სახალხო ფრონტი. თავმჯდომარემ ნაიკითხა პირველი პროექტი, რომლის მიხედვითაც თბილისის უნივერსიტეტის სახალხო ფრონტის სათათბირო უნდა შემდგარიყო პირველადი ჯგუფების წარმომადგენლებისაგან. მაშინ მე გამოვედი კრებაზე და ვთქვი, რომ ამ პროექტის მიხედვით ფიზიკის ფაკულტეტიდან სამი წარმომადგენელი იქნებოდა, ხოლო სხვა ფაკულტეტებიდან – ერთი. ამიტომ მოვითხოვეთ, რომ ყველა ფაკულტეტს სათათბიროში ერთი წარმომადგენელი პყოლოდა. საბოლოოდ მეორე პროექტი გავიდა.

19 მაისი

დღეს 9 აპრილს დაღუპულების ორმოცი გადაიხადეს, რომელზეც უამრავი ხალხი მოვიდა. ნირვა მთლიანად აჩვენეს ტელევიზიით. წინა დღეს, 18 მაისს, ღამის 12 საათზე საპატიმროდან გამოუშვეს **ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი.** ახალგაზრდობა ამ ამბავს დიდი სიხარულით შეეგება.

21 მაისი

უნივერსიტეტში გაიმართა დიდი მიტინგი. ხალხი 10 საათისთვის შეიკრიბა. მე დაგვიანებით მივედი, როდესაც განიხილავდნენ საკითხს ხუდონჰესის მშენებლობის შესახებ. საბოლოოდ სიტყვით გამოვიდა მერაბ კოსტავა, რომელსაც წვერი ჰქონდა მოშვებული. მიტინგი ლოცვით დამთავრდა. ხალხმა დაიჩოქა. მერაბ კოსტავამ აღნიშნა, რომ ყველაფერში საბჭოთა ხელისუფლება იყო დამნაშავე.

მიტინგის დროს მოვიდნენ ჩემი სტუდენტები – მეხუთე კურსელები. მათ მომიტანეს პლაკატი, რომელზეც ეწერა: მხარი დავუჭიროთ მერაბ ეაჩნაძის წინადადებასო. საქმე ის იყო, რომ მე განათლების სამინისტროს წინადადების წინააღმდეგ წავედი და ჩემი ინიციატივით მოვხსენი სახელმწიფო გამოცდა სკკპ ისტორიაში. სწორედ ამიტომ გამოხატეს თანადგომა სტუდენტებმა. ბედნიერი ვიყავი.

დღეს გამოქვეყნდა ჯონი ხეცურიანის დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება არ ჰქონდა გამოეცხადებინა კომენდატის საათი. უკანონო ქმედება იყო ისიც, რომ ხალხი წინასწარ არ გააფრთხილეს.

25 მაისი

15 საათზე 93-ე აუდიტორიაში შეეიკრიბეთ ვახტანგ გოგუაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, სოლიკო ხუციშვილი, ზურაბ კიკნაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ემილ კოპალიანი, მე, სტუდენტები (გიორგი მაისურაძე, მანჯავიძე), ფიზიკოსი გოგი ლაპიაშვილი, ბეჟან ჯავახია, დათო დარჩიაშვილი. განვიხილავდით ერთ საკითხს – საქართველოს ეროვნული დროშა აღგვემარ-

თა უნივერსიტეტის თავზე. ყველა დაეთანხმა.

26 მაისი

დილის 11 საათზე უნივერსიტეტში მიტინგი დაიწყო. მე გვიან მივედი, რადგან ვაკეში გზა გადაკეტილი იყო. ამდენი ხალხი ჯერ არ მენახა. თითქმის ყველას დროშები ეჭირა. დაიწყო სვლა ვაკის პარკისკენ. შემხვდა ელდარ ნადირაძე და უნივერსიტეტში ავედით, რათა მიმეცა პროგრამა. მე და ელდარი ჩამოვედით ეზოში, სადაც პაატა ფირანიშვილი შეგვხვდა. ნავედით ვაკის პარკში. გზაში ელდარი დაგვეკარგა. მივედით მიტინგზე. სიტყვით გამოდიოდა მერაბ კოსტავა. შემდეგ გამოვიდა კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი. ირაკლი წერეთელმა წაიკითხა პარტიის დეკლარაცია, მიმართული გაეროსადმი, ჯორჯ ბუშისა და მარგარეტ ტეტჩერისადმი. სიტყვით გამოვიდა ირაკლი შენგელაია. მან აღნიშნა, რომ შეიქმნა ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ნმინდა ილია მართლის საზოგადოება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, სამართლიანობის კავშირი და პელსინკის ჯგუფი. სიტყვით გამოვიდა გია ჭანტურია, რომელმაც თქვა, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიდის სწორი გზით, რომ მათ არაფერი შეუცვლიათ და რომ ჩვენ გავხდით სამაგალითონი სხვებისთვის, თვით ბალტიისპირელებისთვისაც კი; გამოვიდნენ წარმომადგენლები სომხეთიდან, ლიტვიდან და რუსეთიდან. შემდეგ მიტინგი უნდა გამართულიყო რიყეზე. გამომრჩა დათო ტურაშვილის გამოსვლა, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა. მან თქვა: ჩვენ არ უნდა ავიღოთ ამერიკელების მაგალითი, რადგან მათთვის უცხოა ეროვნული საკითხიო. ჩვენ უნდა მოვახდინოთ კონსოლიდაცია. შეცდომა იყო ის, რომ გუშინ უნივერსიტეტში ცენტალური კომიტეტის წევრს სიტყვა არ მივეცით და გავაგდეთო. საღამოს შევიკრიბეთ გია ბერულავას სახლში და აღვნიშნეთ დღევანდელი დღე.

29 მაისი

დღეს ჩაინერეს ჩემი ინტერვიუ რადიოსთვის, საბჭოთა კავშირის საბჭოების ყრილობის მსვლელობის შესახებ. მე აღვნიშნე, რომ ბევრს არაფერს ველოდი ამ ყრილობისგან, რადგან იქ შეკრებილია 1200-1300 დეპუტატი –გარდაქმნების აშკარა მოწინააღმდეგე. რას უნდა ელოდე, როდესაც სიტყვის თქმის უფლებას არ აძლევენ აკად. ანდრეი სახაროვს და უმაღლეს საბჭოში არ აირჩიეს ბორის ელცინი. ამავე დროს აღვნიშნე, რომ მალე თვით მიხეილ გორბაჩოვი გადაიქცეოდა მუხრუჭად დემოკრატიის განვითარების გზაზე. შემდეგ ვისაუბრე იმის შესახებ, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო არ უნდა ერეოდეს თბილისის უნივერსიტეტის საქმეებში; არ შეიძლება თავისუფლების დროშა ფრიალებდეს სერგო ორჯონიკიძის სახელობის რაიონში. დაუყოვნებლივ უნდა გადაერქვას ამ რაიონს სახელი.

30 მაისი

ჩემი სიტყვები გამართლდა. დღეს დეპუტატთა ყრილობაზე გამოვიდა თამაზ გამყრელიძე. სიტყვის ბოლოს დეპუტატების ნაწილი ფეხზე ადგა. შემდეგ გამოვიდა გენერალი იგორ როდიონოვი, რომელმაც, რა თქმა უნდა, ყველაფერი უარყო. მაგრამ ეს არ იყო მოულოდნელი, მკვლელისაგან სხვას რას უნდა ელოდე. ჩემი აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ როდიონოვს დარბაზში „სახალხო დეპუტატებმა" ხანგრძლივი ტაში დაუკრეს. მერე გამოვიდა ჯუმბერ პა-

ტიაშვილი. აღშფოთებული წამოვედი უნივერსიტეტში, სადაც ქალთა მიტინგი მიმდინარეობდა. მიტინგი მიყავდა **ლუიზა შაკიაშვილს.** მათ მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის დეპუტატთა ყრილობისა და საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის, სუხარევისადმი. გამეცინა. **სასაცილო არ იყო მიმართვის გაგზავნა იმ ყრილობისადმი, რომლის დეპუტატებიც ტაშს უკრავდნენ როდიონოვს.** თურმე ისინი გადაწყვეტენ საკითხს, სად იმსახურონ ქართველებმა ჯარში – საქართველოში თუ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

31 მაისი

დღეს ყრილობაზე ნაიკითხეს 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისიის დასკვნა. კომისიის შემადგენლობა საზიზღარია. მასში შედიან საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის იაზოვის მოადგილე გოვოროვი, პოლკოვნიკი მარტინსონი. ამ კომისიის თავმჯდომარედ ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნურსულთან ნაზარბაევი** დაუნიშნავთ. მან ვერ მოითმინა და თქვა, რომ წინა ღამეს ნახა ფილმი 9 აპრილის შესახებ და იქ მხოლოდ დიქტორი ლაპარაკობდა, ფაქტები კი არ იყო. გამოვიდა რეზო თაბუკაშვილი და აცილება მისცა მის კანდიდატურას. გადაწყვიტეს, რომ თავმჯდომარე აერჩიათ თვით კომისიის წევრებს. დარბაზი საზიზღრად იქცევა. მაგრამ ამ ისტერიაში გამოდის ლიტველი დეპუტატი, რომელმაც განაცხადა, რომ **არ უნდა მკვლელ როდიონოვთან ერთად ჯდომა. სიტყვის თქმის საშუალებას არ აძლევენ, მაგრამ ის მაინც იხსნის თავის უფლებამოსილებას.** მე და ჩემი მეუღლე მაია ჭკუაზე აღარა ვართ ნერვიულობისაგან, ველით, რომ ქართველები გამოვლენ. ისინი არ ჩანან. ეტირით. მერე წამოვედი უნივერსიტეტში. მიმდინარეობდა მიტინგი. გამოვიდა ირაკლი ნერეთელი. მან თქვა, რომ ყველაფერი ჩვენი ბრალია, რომ საერთოდ მონანილეობა არ უნდა მიგვეღო დეპუტატთა ყრილობის დელეგატების არჩევნებში, ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ არჩევნებს და ჩვენ რაღაც რწმუნებულების არჩევნები უნდა ჩავატაროთო. ამას ხალხი არ შეხვდა ენთუზიაზმით. კარგად გამოვიდა პროფ. ნოდარ ნათაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ბრძოლის ყველა ხერხი უნდა გამოვიყენოთ და რომ საჭიროა საქართველოს უმაღლეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა. გამოვიდა **ირაკლი მელაშვილი.** განსაკუთრებით მომენონა დათო ტურაშვილის გამოსვლა. მან თქვა, რომ უნდა გაერთიანდეთ. შემდეგ აღნიშნა, რომ ნაწყენია, რატომ არ ილებს ხმას პარმენ მარგველაშვილი, რომლის გულისთვისაც დარბოდა არჩევნებზე. განსაკუთრებით ნაწყენი იყო იმის გამო, რომ ყრილობაზე პარმენ მარგველაშვილი დანიშნეს ხმების დამთვლელად. დათო ტურაშვილმა აღნიშნა, რომ ქართველები ბუნებით ჩქარი ხალხი ვართ, რომ უცებ გვინდა თავისუფლება, რახან გამოვიღვიძეთ, ახლავე გვინდა დამოუკიდებლობა. დათომ გამოაცხადა, რომ როდიონოვს მოსკოვში სახლის ფანჯრები ჩაუმტვრიეს და რომ პირველი საათიდან როდიონოვმა დატოვა ყრილობის დარბაზი. ყველა აღფრთოვანებული შეეგება ამ ცნობას.

2 ივნისი

ყრილობის მიმდინარეობის დროს დელეგატები მიხეილ გორბაჩოვს შეხვდნენ. შეხვედრაზე გამოვიდა თამაზ გამყრელიძე. აღმოჩნდა, რომ მისი მოხსენება არავის წაუკითხავს და რომ მხოლოდ ჩვენს წარმომადგენლობაში განიხილეს. ამ დღეს წავედი უნივერსიტეტში მიტინგზე, სადაც ორი დღეა ერთად ვართ მე, თამაზ დვალი და გია ბერულავა. მიტინგზე **ირაკლი მელაშვილმა**

აღნიშნა, რომ ჩვენ დეპუტატები საერთოდ არ გვყავს. როდესაც ის ტრიბუნიდან ჩამოვიდა, მე ეუთხარი, რომ **სჯობს ჩვენ დელეგატებად ავირჩიოთ ბალტიისპირელები, რომლებიც უკეთესად ლაპარაკობენ ჩვენს პრობლემებზე.** ირაკლი უკან შეტრიალდა და ჩემი სიტყვები გამოაცხადა მიტინგზე. ამას ხალხი დიდი ოვაციით შეხვდა. გამოვიდა ოთარ ეგაძე, შოთა ბადრიძე. შემდეგ იყო ლაპარაკი ჯარზე, იყვნენ მოშიმშილეებიც. ბოლოს, როცა მიტინგი დაიშალა, ერთად ვსაუბრობდით გოგი დემეტრაძე, ომარ გოგიაშვილი, მანანა (ომარის მეუღლე), კოტე გაბაშვილი, გია ბერულავა, გია მარი. გვიან დავიშალეთ.

4 ივნისი

რეზო თაბუკაშვილი და აკაკი ბაქრაძე გამოვიდნენ ტელევიზიით. ისინი სპეციალურად ჩამოვიდნენ მოსკოვიდან. რეზომ თქვა, რომ რასაც ჩვენ მოვითხოვთ, ყველაფერზე გვეუბნებიან, კომისიას გადავცემთო; გვეუბნებიან, რომ როდიონოვს პასუხი გაეცემა; გვეუბნებიან, რომ შეკითხვები გაეგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს, სამხედრო მინისტრს; ამავე დროს აღნიშნა, რომ დიდი განსხვავება იყო დარბაზში მყოფ დეპუტატებს და ლუჟნიკებში (სტადიონზე) მყოფ მომიტინგეებს შორის. რ. თაბუკაშვილმა თქვა, რომ მერვე დღეა ჩაწერილია ყრილობაზე გამომსვლელთა სიაში, მაგრამ არ აძლევენ სიტყვას; დაგვპირდა, ასეთი შერცხვენილები არ დავბრუნდებითო. ჩვენ კინაღამ დავტოვეთ ყრილობა, იმის გამო, რომ ლიტველმა დატოვა მანდატი. ჩვენ წამოსვლა გადავწყვიტეთ. ყრილობაზე საშიში მდგომარეობაა. პროვოკაციის საბაბი არ უნდა მივცეთ, მაშინ სამუდამოდ დავკარგავთ ყველაფერსო. აკაკი ბაქრაძემ თქვა, რომ დარბაზში დეპუტატების მხოლოდ 10% არის საღად მოაზროვნე, დანარჩენი 90% — შავბნელი მასაა, რომელსაც არაფრის განსჯა არ უნდა. რაც შეეხება 1921 წლის 25 თებერვლის აქტს, ბალტიისპირელებს ურჩევიათ, რომ ჯერ თავიანთ უმაღლეს საბჭოში დააყენონ ეს საკითხიო. ა. ბაქრაძემ აღნიშნა, თქვენ არ იცით, რა ხდება კულუარებში, თვითონ ლიტველები მოვიდნენ და გვითხრეს, ყრილობა არ დატოვოთო. მათ გვითხრეს, არ შეგვედარებინა თავი ბალტიისპირელებისთვის, რადგან ამ ერებს დიდხანს ჰქონდათ თავისუფლება, რომ ისინი ნამდვილი ევროპელები არიან.

4 ივნისს, კვირა დილით პეკინში მოშიმშილე სტუდენტების წინააღმდეგ გამოიყენეს არმია. დაიღუპა 1000 სტუდენტი, უკვალოდ დაიკარგა 10000. რა საინტერესო დამთხვევაა. მეორე დღეს ჩინეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ იქ ექსტრემისტები იყვნენ და რომ მათ სოციალისტური წყობილების დამხობა უნდოდათ.

8 ივნისი

დღეს გაზ. „თბილისში" იყო ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან, სადაც მან საბჭოთა კავშირის დეპუტატთა ყრილობას კარგი სპექტაკლი უწოდა.

10 ნოემბერი

ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი და ტრაგიკული იყო ერთ-ერთი უდიდესი მამულიშვილის, მერაბ კოსტავას დაღუპვა. **მერაბ კოსტავას ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან დიდ პატივს ვცემდი, იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ გატეხეს. მთელი ცხოვრება დაუდგრომელი კაცი გახლდათ. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლებოდა ერთ ადამიანში ყოფილიყო ამდენი სიყვარული სამშობლოსადმი.** მის სიკვდილამდე ორი დღით ადრე ვიყავი ვახტანგ გოგუაძესთან, რომელიც რექტორის მოვალეობას ასრულებ-

და. ამ დროს შემოვიდა მერაბ კოსტავა და ყველას ხელი ჩამოგვართვა.

11 ნოემბერი

ისტორიის ფაკულტეტზე საწარმოო თათბირი გაიმართა. რამდენიმე დღით ადრე უნივერსიტეტში საგაფიცვო კომიტეტი შეიქმნა, რომელშიც შევიდნენ მათემატიკოსი ვახტანგ ცაგარეიშვილი, ეკონომისტი მურმან ტოგონიძე, ჯემალ კახნიაშვილი, დემურ ბახტაძე. მათ მოითხოვეს 14 ნოემბრამდე რექტორის გადაყენება. საწარმოო თათბირზე გამოვედი და ვთქვი, რომ მე ვერც რექტორატის დამქაში გავხდები და ვერც საგაფიცვო კომიტეტს დავუჭერ მხარს, რადგან ძალდატანებას ვერ ვიტან. საგაფიცვო კომიტეტს არც ჩვენმა სტუდენტებმა დაუჭირეს მხარი.

17 ნოემბერი

რექტორის მოთხოვნით გაიმართა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც უნდა განგვეხილა და დაგვეგმო 14 ნოემბერს გამართული მიტინგის მოთხოვნები. საბჭოს ზოგიერთმა წევრმა საგაფიცვო კომიტეტის დასჯა მოითხოვა. მე გამოვედი და აღვნიშნე, რომ ჩვენ ვერ ავიტანთ ძალდატანებას, რომელსაც მიმართავდა საგაფიცვო კომიტეტი, მაგრამ ამჟამად ვერ ავიტანთ იმას, რომ გამარჯვებული რექტორატი თვითონ მიმართავს ძალადობას. ამიტომ საერთოდ ამ საკითხის განხილვის წინააღმდეგი წავედი. საბჭოს სხდომა ჩაიშალა.

18 ნოემბერი

დილით პირველ კორპუსთან შევხვდი ვახტანგ ცაგარეიშვილს, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ. მას ვუთხარი, რომ არ ღირდა გაფიცვის დაწყება. 12 საათისთვის მაღლივი კორპუსიდან ჩამოვიდნენ გაფიცულები თავიანთი სტუენტებით და პირველი კორპუსის ეზოში მიტინგი დაიწყეს. ჩემთან მოვიდნენ ჩემი სტუდენტები: მაისურაძე, ჭელიძე, მესხიძე, სხირტლაძე, ჭარელიშვილი და მითხრეს, რომ უნდა გამოვიდეთ მიტინგზეო. მეც გავყევი. გამოვიდა გიორგი მაისურაძე, რომელმაც უნივერსიტეტის პრეს-კლუბის სახელით მოუწოდა მომიტინგეებს, სტუდენტებისთვის მთავარია სწავლა და არა გაფიცვაო. მე კი შეკრებილებს მივმართე, რომ უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო ერთიანი, რომ ჩვენც გვქონდა მრავალი მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ძალადობის, რადგან სწორედ მას მიმართავდა საბჭოთა ხელისუფლება 70 წლის განმავლობაში. შემდგომ ისტორიკოსები ამოვედით პირველ კორპუსში და გავმართეთ კრება, სადაც შემუშავდა ისტორიის ფაკულტეტის მოთხოვნები. ეზოში დაწყებული მიტინგი მალე დაიშალა.

21 ნოემბერი

15 საათზე რექტორატის სხდომაზე გამოიტანეს ბრძანება, რომლის ძალითაც სასტიკი საყვედურები გამოეცხადათ საგაფიცვო კომიტეტის წევრებს — ორი ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მოხსნეს. ბრძანებას ყველა მხარს უჭერდა. მე გამოვედი და ვთქვი: მე და ჩემი სტუდენტები არ დავუშვებთ, ვინმე დაისაჯოს უნივერსიტეტში და რომ დასჯა არ არის ადამიანთა შეცდომების გამოსწორების მეთოდი. ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა კორნელი დანელიამ მხარი დამიჭირა, რომელმაც განაცხადა, რომ მასთან იყვნენ დათო ტურაშვილი, გია მამალაძე და სხვები. მათ უთქვამთ, რომ არ დაუშვებდნენ ვინმეს დასჯას. რექტორატმა არ გაიზიარა ჩვენი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ გამოვედი სიტყვით.

12 დეკემბერი

დღეს გაიხსნა საბჭოთა კავშირის საბჭოების II ყრილობა. კარგი სიტყვა თქვა ბალტიისპირეთის წარმომადგენელმა, რომელმაც თავის დროზე პირველმა მოითხოვა 9 აპრილის მოვლენების განხილვა. მან აღნიშნა, რომ 7 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ეგორ ლიგაჩოვმა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრთან დიმიტრი იაზოვთან ერთად გადაწყვიტა ჯარების გაგზავნა თბილისში და თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო პასუხს არ მოსთხოვს იაზოვს, მაშინ ისინი დატოვებენ დეპუტატობის მანდატებს.

სამხედროებმა სამხედრო პროკურორის მოხსენება მოითხოვეს. სობჩაკმა და სხვა იურისტებმა განაცხადეს, რომ დეპუტატთა კომისია 9 აპრილის მოვლენებს პოლიტიკურ შეფასებას აძლევს და ამიტომ არ შეიძლებოდა პროკურორის მოხსენების მოსმენა. მიხეილ გორბაჩოვი ჩვენს წინააღმდეგ წავიდა. მე და ჩემი მეუღლე ისევ ვტირით. თუ ასე გაგრძელდა, ვაბარებ სკკპ წევრის ბილეთს. მეტი აღარ შემიძლია.

26 დეკემბერი

უნივერსიტეტში გაიმართა კრება. მოინვიეს აკაკი ბაქრაძე. კრება ეხებოდა იდეოლოგიური დაწესებულებებისგან (კერძოდ, პარტკომი და კომკავშირის კომიტეტი) უნივერსიტეტის განთავისუფლებას. კაკომ შესანიშნავი ლექცია წაიკითხა. კრება მიპყავდა ვახტანგ ცაგარეიშვილს, სტუდენტ გია მამალაძეს და დათო ტურაშვილს. კრებამ მიიღო რეზოლუცია:

1. რუმინეთის ხალხს გაეგზავნა სამძიმრის დეპეშა 2 ათასი სტუდენტის დაღუპვის გამო.

2. 25 თებერვლიდან უნივერსიტეტში აღარ არსებობდეს პარტიული კომიტეტი და კომკავშირის კომიტეტი.

3. ვინც არ წავიდა საბჭოთა არმიაში, მათ წინააღმდეგ არ გამოიყენონ ძალა.

1990 წელი

8 იანვარი

მთავრობის სასახლესთან შიმშილობა დაიწყო. ტელევიზიით აჩვენებენ ირინა სარიშვილს, რომელიც თბილისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების ჩამოსვლას მოითხოვს.

10 იანვარი

ტრანსპორტი საერთოდ არ მუშაობს. გაფიცულებმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის პირველი სართული დაიკავეს. ღამით ტელევიზიით გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე, როგორც მკვდარი ისე გამოიყურებოდა, ძლივს ლაპარაკობდა.

11 იანვარი

ქუჩებში ტრანსპორტი გამოჩნდა. გარეთ სიცივეში დაიტანჯნენ ქალები და ბავშვები. ნუთუ ვერ ხვდებიან გაფიცულები, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი სჭირდება ხალხს: ზოგს ავადმყოფი პყავს შინ, ზოგს საჭმელი არა აქვს, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ისინი, ვინც ნუცუბიძის პლატოზე ცხოვრობენ. უნივერსიტეტში გამოცდები ნორმალურად მიმდინარეობს. გია ბერულავას მანქანით გამოვედი უნივერსიტეტიდან. დათო ტურაშვილი მოხუც ქალს ქუჩაში გადასვლაში ეხმარებოდა. ვიფიქრე: იმ მოპიკეტეებს, რომლებიც აჩერებენ ავტობუსებს და ქალებსა და ბავშვებს ძირს ყრიან, ნუთუ უფრო უყვართ საქართველო, ვიდრე დათო ტურაშვილს? თითქოს ისეთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, რომ მოსკოვში ინერვიუულებენ: ქართველი მანდილოსნები და ბავშვები ფეხით დადიან და თავისუფლება მივცეთ საქართველოსო!

8 თებერვალი

დღეს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 2 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამოცხადდა დეკლარაცია უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც წაიკითხა რექტორმა ნოდარ ამაღლობელმა. სიტყვით გამოვიდნენ პროფ. ზურაბ კიკნაძე, პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე, პროფ. ვახტანგ გოგუაძე, დოც. ზურაბ შენგელია, აკად. ანდრო აფაქიძე, ესწრებოდა მინისტრი გურამ ენუქიძე. გამოვიდა ამ დღისადმი მიძღვნილი თსუ-ის გაზეთი, სადაც იყო ჩემი სტატია „რა ავირჩიოთ". სხდომის მიმდინარეობის დროს რექტორს გავუგზავნე ორი ბარათი. ერთში ეწერა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს თანამშრომლებმა **დაღუპეს უნივერსიტეტისთვის თავდადებული კაცი გურამ ჭილაშვილი და, რომ უნივერსიტეტს მადლობაც კი არ უთქვამს კაცისთვის, რომელიც მძიმედ ავადმყოფი წევს საავადმყოფოში.** მეორე ბარათში ეწერდი: რატომ გამოვიდა უნივერსიტეტის გაზეთი წარწერით, რომლის მიხედვით უნივერსიტეტის გაზეთი არის თსუ პარტიული კომიტეტის, რექტორატის და კომკავშირის კომიტეტის ორგანო.

ეს ბარათები გადავეცი სტუდენტ მჭედლიშვილს, რომელმაც იგი გადასცა რექტორს. ცოტა ხანში რექტორი წამოდგა და დარბაზში ვიღაცის ძებნა დაიწყო, ბოლოს დაიძახა: სად არის ბატონი მერაბ ვაჩნაძე? მე წამოვდექი და მივედი. მან მთხოვა, რომ ორივე პირობას შეასრულებდა, ოღონდ ნუ ჩავაგდებდი ამ დღეს უხერხულ მდგომარეობაში. მე დავთანხმდი.

23 თებერვალი

თსუ სააქტო დარბაზში გაიმართა შეკრება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის დეიდეოლოგიზაციას მიეძღვნა. პრეზიდიუმში იყვნენ დოც. ვახტანგ ცაგარეიშვილი, სტუდენტი გია მამალაძე და კიდევ ერთი, რომლის გვარი არ ვიცი. მათ ჯერ კიდევ ადრე გამართეს ასეთი სხდომა და მოითხოვეს, რომ პარტიულ კომიტეტსა და კომკავშირის კომიტეტს უნივერსიტეტი დაეტოვებინა. ამ ხნის განმავლობაში პარტიულმა და კომკავშირის კომიტეტებმა პასუხი არ გასცეს მოთხოვნას. სიტყვით გამოვიდა ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის პრეზიდენტი **ირაკლი კაკაბაძე.** მისი გამოსვლისას დარბაზში შემოვიდა ახალგაზრდების ჯგუფი ირაკლი ნერეთლის მეთაურობით. შემოსულების ნაწილი ტრიბუნაზე ავიდა. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ისინი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბიდან მოდიან და გზად შემოიარეს, რათა მხარდაჭერა გამოეცხადებინათ უნივერსიტეტის დეიდეოლოგიზაციისათვის. სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. ტარიელ კვანჭილაშვილი, პროფ. ვახტანგ გოგუაძე, დათო ტურაშვილი, რომლებმაც მოითხოვეს, რომ მეორე დღეს შეკრებილიყო თსუ დიდი სამეცნიერო საბჭო და გადაეწყვიტა იდეოლოგიზაციის საკითხი. მეორე დღეს, 24 თებერვალს, სრულდებოდა ორი წელინადი მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის ბაღში თედო ისაკაძემ, დათო ტურაშვილმა, ფიქრია ჩიხრაძემ, ნიკო ნიკოლოზიშვილმა და სხვებმა პირველად მოაწყვეს მიტინგი. კენჭისყრის დროს მთელმა დარბაზმა, მათ შორის მეც, მხარი დავუჭირეთ დ. ტურაშვილის წინადადებას.

25 თებერვალი

დღეს გაიმართა სამგლოვიარო პროცესია, რომელსაც არ დავსწრებივარ. ეს მართლაც მძიმე და **საშინელი დღე** არის **საქართველოს ისტორიაში. როგორც იქნა მოვესწარით იმას, რომ სამშობლოს დაპყრობის დღეს ზეიმით აღარ აღგვანიშნინებენ.**

27 თებერვალი

სამშაბათს, 2 საათზე თსუ დიდმა საბჭომ გადაწყვიტა პარტიული და კომკავშირის კომიტეტების გაუქმება უნივერსიტეტში. საღამოს ამას დაეთანხმა თსუ პარტიული კომიტეტიც.

22 მარტი

22 მარტს დავწერე განცხადება, სადაც აღნიშნული იყო: თუ შარშან არ იყო ცნობილი, ვინ იყო დამნაშავე 9 აპრილის ტრაგედიაში, ამჟამად ეს უკვე ვიცით. დამნაშავე გახლავთ კომუნისტური პარტია, ამიტომ გავდივარ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

9 აპრილი

9 აპრილს, საღამოს ვსვამდით ანდრო ჭელიძესთან. ღამის ორ საათზე ჩემი მანქანით ნავედი. მანქანა ზემელზე დავაყენე. მთავრობის სასახლესთან უამრავი ხალხი იყო. მე პიონერთა სასახლესთან დავდექი, საიდანაც შარშან ტანკები წამოვიდა. გამთენიისას, 4 საათზე, უწმიდესი და უნეტარესი, **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** გამოვიდა. ყველა ვიჩოქებთ და თითქმის ყველა ტირის. ყველა ერთად ვართ.

1991 წელი

23 თებერვალი

აღარ ვაპირებდი დღიურის წერას, მაგრამ გუშინდელმა შეხვედრამ უნივერსიტეტში მაიძულა გამეგრძელებინა წერა.

მე მხოლოდ მოკლედ გავიხსენებ, რა მოხდა მანამდე. ზვიად გამსახურდიამ, საკოორდინაციო ცენტრისგან განსხვავებით, შექმნა „მრგვალი მაგიდაქ, თავისუფალი საქართველო“ და გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ე. წ. არასაბჭოურ, დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებში. საკოორდინაციო ცენტრმა კი გადაწყვიტა, კონგრესის არჩევნები ჩაეტარებინა. უნივერსიტეტში, ჩვენს ქვემოთ აუდიტორიაში, არ მახსოვს რა დღეები იყო, არასაბჭოური არჩევნების ჩატარების მოთხოვნით ხუთი ახალგაზრდა შიმშილობდა. მათ შორის ჩემი ნაცნობები – ემზარ გოგუაძე და ნუგზარ წიკლაური. მე ხშირად ჩავდიოდი და ვამხნევებდი მათ. სწორედ ამ დროს უნივერსიტეტში მოვიდნენ საკოორდინაციო საბჭოს წევრები: ირაკლი წერეთელი, სუმბათაშვილი, გოგა ხაინდრავა, გიორგაძე (გია ჭანტურია არ იყო, თუ არ ვცდები, პარიზში იყო. მასთან ერთად იყო მისი მეუღლე ირინა სარიშვილიც). შეხვედრა მიყავდა დათო ტურაშვილს. დარბაზი აშკარად მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას. ერთ მომენტში ირაკლი წერეთელმა თავი ვერ შეიკავა, ოდნავ ხელი ჰკრა დათო ტურაშვილს და მიკროფონი გამოართვა. დათო გაფითრდა და, როცა მიკროფონი აიღო, განაცხადა: აქ უნივერსიტეტია და უხერხულია, თორემ მანაც მშვენივრად იცის ხელის კვრა. გამოვიდა ნუგზარ ნიკლაური, რომელმაც განაცხადა: პრორექტორი ვახტანგ გოგუაძე საღამოს ტელეფონით ელაპარაკებოდა ვიღაც თანამდებობის პირს და არწმუნებდა, რომ ბიჭები არ შიმშილობენო. ამან მთელი დარბაზი აღაშფოთა. შემდეგ მოვიდა ზვიადი. მას აღფრთოვანებით შეხვედნენ.

30 სექტემბერს დაიწყო კონგრესის არჩევნები, რომელმაც რამდენიმე დღე გასტანა და შემდეგ კიდევ გაგრძელდა. ხალხი დაეჭვდა, რომ ეს იყო ფალსიფიკაცია, მაგრამ კონგრესი მაინც აირჩიეს.

ახლოდებოდა მრავალპარტიული არჩევნები. 77-ე აუდიტორიაში შიმშილობა დაიწყეს ემზარ გოგუაძემ, თემურ ლეჟავამ და სხვებმა. მოშიმშილეები მოითხოვდნენ, საზოგადოება „სტალინი“ არ დაეშვათ არჩევნებში. მე ვინახულე მოშიმშილეები, ქობულეთში მივდიოდი და გოჩა ხუნდაძეს ვთხოვე, რომ მათთვის დახმარება აღმოეჩინა. დავწერე განცხადება, რომ მეც მომხრე ვიყავი, არ დაეშვათ ორგანიზაცია „სტალინი“ არჩევნებში, რადგან იგი ძალმომრეობას ქადაგებდა. **დიდი ფიქრის შემდეგ ქობულეთში გადავწყვიტე, რომ ხმა მიმეცა „მრგვალი მაგიდისათვის“**, რადგან მიმაჩნდა, რომ, სხვა ბლოკებისაგან განსხვავებით, მას უფრო შეეძლო ებრძოლა დამოუკიდებლობისთვის.

ერთ დღეს ვესაუბრებოდი პრორექტორ ლევან ალექსიძეს და პროფ. გურამ ლორთქიფანიძეს, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ კომუნისტების გამარჯვებაში. კერძოდ, ბატონმა **ლევანმა მითხრა**, რომ, სოციალური გამოკვლევების მიხედვით, „მრგვალი მაგიდა“ მიიღებს 17%-ს, კომუნისტები – 45%-ს. **მე ვუთხარი, რომ პირიქით მოხდებოდა:** კომუნისტები მიიღებენ მაქსიმუმ 30%-ს, ხოლო „მრგვალი მაგიდა“ — 50%-ზე მეტს. თან ვუთხარი, რომ შემეძლო დამედო სანაძლეო.

28 ოქტომბერს ჩატარდა არჩევნები. მეორე დღეს, როდესაც ლევანმა დამინახა, დამიძახა და მითხრა: მგონი მართალი აღმოჩნდიო. მართლაც, „მრგვალმა მაგიდამ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

მე აღარ ვჩერდები სხვა საკითხებზე. პირველი დაპირისპირება ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოსა და ოპოზიციას შორის დაიწყო ტელევიზიაში, სადაც თავმჯდომარედ დანიშნეს კვანტალიანი. მან სულ სამი დღე იმუშავა და ტელევიზიაში დიდი აქციები გამოიწვია. 1991 წლის იანვარში კი „ქართულ ფილმში“ მივიდნენ **ნოდარ ნულეისკირი,**

გიორგი მარჯანიშვილი და ბესარიონ გუგუშვილი. მათ ბრძანებებით დაიწყეს კინოსტუდიაში საუბარი, რასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

17 თებერვალს საბჭოთა არმიის ნაწილები თავს დაესხნენ შავნაბადზე განლაგებულ მხედრიონის ბაზას.

18 თებერვალს მთავრობის სასახლესთან გაიმართა მიტინგი. ზვიად გამსახურდიამ მხედრიონს ბრალი დასდო კრემლის აგენტობაში. მისი თქმით მხედრიონი მოქმედებდა მოსკოვში მოკალათებული გ. მგელაძის, გივი გუმბარიძის, ნუგზარ ფოფხაძის დავალებით. ამავე დროს ოპერასთან გაიმართა მიტინგი. **ჯუმბერ კოპალიანმა, გურამ ყორანაშვილმა** და **ჯაბა იოსელიანმა** ზვიად გამსახურდიას რუს სამხედროებთან კავშირში დასდეს ბრალი. ამ მიტინგზე შემთხვევით მოხვედრილა **ლევან სანიკიძე.** იგი დეკანატში მომიყვა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში მიდიოდა, გზაში შეხვედრია შვილი, გორდა, რომელსაც უთქვამს: შავნაბადაზე 40 კაცი არ მოუკლავთ და, რომ მხოლოდ რამდენიმე დაჭრილია. ამის გამო გორდას დაუწყეს ცემა. ლევანი მიეშველა შვილს, გორდამ გაისროლა. გორდას რამდენიმე კაცი სცემდა. ლევანი ყვიროდა: შვილი არ მომიკლათო. გორდა ვიღაცეებს გადაურჩენიათ.

იმავე საღამოს დაიჭირეს ზაზა ვეფხვაძე, ხოლო 19 თებერვალს, დილის 8 საათზე — ჯაბა იოსელიანი.

21 თებერვალს უნივერსიტეტში გაიმართა კრება (მე არ ვესწრებოდი), რომელზეც მოითხოვეს, რომ 22 თებერვალს 12 საათზე მოსულიყვნენ ზვიად გამსახურდია და თემურ ქორიძე.

22 თებერვალს მე და გოჩა ხუნდაძე უნივერსიტეტის საქტო დარბაზში შევედით. უამრავი ხალხი იყო. მოვიდა თემურ ქორიძე. სხდომა დათო ტურაშვილს მიჰყავდა. მან ნაიკითხა მიმართვა, რომელსაც ხელს აწერდნენ აკაკი ბაკრაძე და სხვები. დათომ განაცხადა, რომ ის არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის, მაგრამ აღშფოთებულია, რომ დაიწყო დაჭერები, აგრეთვე ხალხის ნების გაუთვალისწინებლად პრეფექტების დანიშვნები. დათომ აგრეთვე გაიხსენა ის ინციდენტი, რომელიც კინოსტუდიაში მოხდა. დათო ძალიან ღელავდა. გამოვიდა ლევან ღვინჯილია, ფიქრია ჩიხრაძე, თემურ ფიფია. დარბაზში ბევრი იყო კონგრესის წარმომადგენელი. ქალები კიოდნენ, შეუძლებელი ხდებოდა რაიმე ღონისძიების ჩატარება. **თემურ ქორიძეს** და **ნუგზარ მოლოდინაშვილს** ლაპარაკს არ აცლიდნენ. ხალხი სცენაზე აიჭრა. დარბაზი ფაქტობრივად ორად გაიყო.

ძალიან შევწუხდი, რადგან ეს ის ხალხი იყო, რომლებიც ერთად იბრძოდნენ კომუნისტების წინააღმდეგ. დამავიწყდა მეთქვა, რომ გამოვიდა ჩემი სტუდენტი გიორგი მაისურაძე. არ ვიცი, რა გვეშველება. დათო ტურაშვილი, თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე, გიორგი მაისურაძე, რომლებმაც დაიწყეს ეროვნული მოძრაობა უნივერსიტეტში და რომლებსაც მე დიდ პატივს ვცემ, ფაქტობრივად ყოველთვის ზვიად გამსახურდიას უჭერდნენ მხარს. ამჟამად ისინი ზვიადის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ბევრს არ ესმის, რომ ეს სხვა თაობაა, ისინი წინააღმდეგები არიან დაჭერების, დემოკრატიის შეზღუდვის. ეს ის თაობაა, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. მეშინია, მათ რაიმე არ შეამთხვიონ. საშიში ვითარებაა. მაგალითად, დღეს მყავდა მოსწავლეები სახლში, მათ შორის ჩემი მეგობრის ზვეახ კვასხვაძის დისშვილი, ბაკურ გეგია. მან თქვა, რომ აკაკი ბაქრაძე გველია, ხოლო ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი დასაჭერია. ძალიან შევშფოთდი.

მეცნაურა ერთი რამ. 1978 წლის 14 აპრილის შემდეგ მთავრობა გამოსვლებისა და დემონსტრაციების მზადების ან დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს ცდილობდა ტელევიზიით ეჩვენებინა გადაცემა „ილუზიონი". ამას ისე მივეჩვიეთ, რომ, თუ „ილუზიონს" უჩვენებდნენ, მაშინვე დამირეკავდნენ მეგობრები და მეკითხებოდნენ: რა ხდება უნივერსიტეტში? დღეს ისევ

აჩვენეს „ილუზიონში" „ანჟელიკას" ორი სერია. მე მგონი, ყველაფერი მეორდება.

23 თებერვალს კინოს სახლთან მოეწყო მიტინგი ირაკლი წერეთლის თაოსნობით. მომიტინგეები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან არ წავიდნენ და წავიდნენ მთავრობის სასახლესთან.

საღამოს ტელევიზიით გამოვიდა აკაკი ბაქრაძე. მან წაიკითხა მიმართვა, სადაც სიმშვიდისა და შერიგებისკენ მოუწოდებდა. ძალიან აღელვებული ჩანდა, განსაკუთრებით ანონიმურ ქალებზე, რომლებიც პრესაში დაჭერებს და დაპატიმრებებს მოითხოვდნენ. აღსანიშნავია, რომ, თურმე, აკაკი ბაქრაძესაც წერენ მუქარის წერილებს.

ამჟამად ვუსმენ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუს, რომელმაც განაცხადა, რომ ის ინტელიგენცია, რომელიც მოითხოვს დაპატიმრებულების განთავისუფლებას, ხელს აფარებს დამნაშავეებს.

ცხინვალისთვის შუქის მიწოდებაზე შეეკითხნენ კორესპოდენტები. ზვიად გამსახურდიამ უპასუხა, რომ ენერგეტიკოსების კავშირი დამოუკიდებელია და მას არ ემორჩილება, გარდა ამისა იქ მიმდინარეობს გაფიცვაო.

ზვიად გამსახურდიამ ბრალი დასდო რუს სამხედროებს, რომ ისინი ცხინვალში იარაღს აწვდიან ექსტრემისტებს. რაც შეეხება გია ჭანტურიას პარტიას, ზვიადმა განაცხადა: განსხვავება არ არის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და მხედრიონს შორის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დანაშაულებრივი ორგანიზაციააო.

1 მარტი

დღეს, 12 საათზე უნივერსიტეტში მონვეულნი იყვნენ **ვალერიან ადვაძე** და **ჯანსუღ ჩარკვიანი. აღმოჩნდა, რომ საქტო დარბაზი დაკეტილი იყო.** დათო ტურაშვილი და სხვა ახალგაზრდები 93-ე აუდიტორიაში შევიდნენ. ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა, ამიტომ **ძალით გააღეს სააქტო დარბაზი.** აღმოჩნდა, რომ იქ რემონტს იწყებდნენ. მიკროფონები აღებული იყო. ვ. ადვაძემ დაგმო უზენაესი საბჭოს პოლიტიკა „სამხრეთ ოსეთში". ჯ. ჩარკვიანმა განაცხადა: სასაცილოა, რას წარმოადგენს ეს დამოუკიდებელი ენერგეტიკოსთა კავშირი, რომლის სურვილზეცაა შუქის გამორთვა. მან აღნიშნა, რომ ჯაბა იოსელიანის დაპატიმრება მხოლოდ იმის გამო, რომ იარაღი ჰქონდა, მიუღებელია, რადგან მაშინ საქართველოში 2 მილიონი კაცი უნდა დაიჭირო. ბოლოს ჯ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ უნდა შეწყდეს თავდასხმები, განსაკუთრებით აკაკი ბაქრაძეზე. თუ პირადად მასთან სახლში შეიჭრებიან მამაკაცები, მათ საკადრის პასუხს გასცემს, მაგრამ ახლა უფრო ქალები იჭრებიანო სახლებში.

დათო ტურაშვილმა აღნიშნა, რომ პრესა, რადიო, ტელევიზია მხოლოდ ცალმხრივად აშუქებს მოვლენებს. რა საზიზღრობაა, როდესაც ისევ ქვეყნდება „მშრომელთა წერილები". მაგალითად, აღმაშფოთებელია, როდესაც გორის ბამბეულის კომბინატის მშრომელები გმობენ უნივერსიტეტის გადაწყვეტილებებს. დათომ აღნიშნა, რომ ესაუბრნენ დეკანს, კორნელი დანელიას. დადგინდა, რომ ის პირველკურსელები დღის განყოფილებაზე, რომლებმაც გამოაქვეყნეს განცხადება გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში", ფაკულტეტს არ ჰყავს და რომ ამ საკითხს გაარკვევენ.

ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი მაისურაძემ აღნიშნა, რომ შეიარაღებული ფორმირებები ჰყავთ მერაბ კოსტავას საზოგადოებას, ილია მართლის საზოგადოებას და სხვებს.

2 მარტი

ვუყურებ „მოამბეს". გამოყავთ „სამხრეთ ოსეთში" მცხოვრები ქართველები, რომლებიც მოითხოვენ ჯაბა იოსელიანის დას-

ჯას. ყოველად აღმაშფოთებელია, რომ ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები საუბრობს იმაზე, თუ როგორ მიიღო ჯაბა იოსელიანმა პროფესორობა და ვინც ხმა მისცა მისი დისერტაციის დამტკიცებას, ისინიც, თურმე, უნდა დაისაჯონ. მართლაც სასაცილოა. ალბათ, ამ გლეხს უნდა გადაეცეს ჯაბა იოსელიანის სადოქტორო დისერტაცია და იქნება მოგვცეს დასკვნა, თუ რა ღირებულებები გააჩნია ამ დისერტაციას. ეს ახალი აღარ არის, ეს ძველი სიმღერაა.

4 მარტი

„მოამბეში" გადაცეს, რომ გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხის ტექნიკუმის საერთო კრებამ დაგმო უნივერსიტეტის პროფესორ-მასნავლებლები და სტუდენტები, რომლებიც მოითხოვენ ჯაბა იოსელიანის განთავისუფლებას.

უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასნავლებლებსა და იმ სტუდენტებს, რომლებმაც თავისი აზრი გამოთქვეს ჯაბა იოსელიანის გათავისუფლების შესახებ, გმობენ თბილისელი მოქალაქე ზაქაიძე და სხვები.

დღეს ნავიკითხე გაზ. „ცხოვრება", სადაც გამოქვეყნებულია ლადო ბახტრიონელის ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასადმი. არ დავინყებ ტექსტის გარჩევას, მოვიყვან რამდენიმე ადგილს წერილიდან: 1. ნუთუ თქვენ სერიოზულად ფიქრობთ, რომ ბაგრატიონებს ძალუძთ მისცენ ქართველ ერს ის, რაც კომუნისტებმა ვერ მისცეს, მაშინ როცა ისინი კომუნისტებზე დიდხანს მართავდნენ საქართველოს; 2) ბაგრატიონ მეფეებს სტალინზე, ორჯონიკიძეზე და მახარაძეზე ნაკლები დანაშაული არა აქვთ ჩადენილი; 3) ნუთუ თქვენ მართალი გგონიათ, რომ ქრისტიანობას შეუძლია ის მისცეს ერს, რაც კომუნისტებმა ვერ მისცეს.

როგორც ხედავთ, მეორე უკიდურესობაა ის, რასაც წერენ ზვიადის მოწინააღმდეგეები. ღმერთო, რა ეშველება საქართველოს?!

31 მარტი

დღეს რეფერენდუმია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. რა თქმა უნდა, ამის მომხრე ალბათ იქნება დაახლოებით 90%. საკრებულოს არჩევნებში ვერ გავიგე ვის ირჩევდნენ. ერთი ხმა ექიმს მივეცი და მეორე — გეოგრაფს. გეოგრაფს იმის გამო მივეცი ხმა, რომ ზურაბ სეფერთელაძემ მთხოვა: ჩემი კოლეგა არისო. რა აზრი აქვს ამ საკრებულოების არჩევნებს.

დღეს გაზ. „თავისუფალ საქართველოში" ვკითხულობდი მასალას უზენაესი საბჭოს წევრებთან ინტელიგენციის და სტუდენტების შეხვედრის შესახებ. ძალზე აღმაშფოთა სტუდენტ ფიქრია ჩიხრაძის გამოსვლასთან დაკავშირებით თემურ ქორიძის რეპლიკამ. კერძოდ, ფიქრიამ განაცხადა, რომ სიტყვაში გამოსვლის დროს ის ძალიან ღელავდა. თემურ ქორიძემ უპასუხა: „უნივერსიტეტშიც ღელავდით თქვენ". ამით მან ფიქრიას გაახსენა შეხვედრა უნივერსიტეტში (ეს შეხვედრა მოუწყვეს თემურ ქორიძეს 22 თებერვალს).

ფიქრია ჩიხრაძე: „ბატონო თემურ!... მე თქვენზე მინდა ვთქვა. მე თქვენი რამდენი გამოსვლაც მომისმენია ამგვარ თავყრილობებზე ყოველთვის ერთ-ერთი იმათგანი ხართ, ვინც არასოდეს ხელს არ უწყობს, რომ კონსტრუქციულად წარიმართოს დიალოგი...

თემურ ქორიძე: თქვენი უმწიფარი აზრის დემონსტრირების ადგილი აქ არ არის. დაუკვირდით ამას, თქვენს აბსოლუტურ უმეცრებაზე მეტყველებს ის, რასაც ახლა ლაპარაკობთ.

ფიქრია ჩიხრაძე: დიდი მადლობა კომპლიმენტებისათვის, ბატონო თემურ!

თემურ ქორიძე: ეს კომპლიმენტი არ არის, ეს სიმართლეა.

ღამით ვუყურებდი რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობას, სადაც დიდი თავდასხმებია ბორის ელცინზე. ყრილობამ „სამხრეთ ოსეთის" შესახებ მიიღო დადგენილება.

1. აღადგინოს „სამხრეთ ოსეთის" ავტონომია;
2. გაათავისუფლოს კულუმბეკოვი;
3. დააბრუნოს ლტოლვილები;
4. დაამყაროს სიმშვიდე;
5. თუ ეს პუნქტები არ შესრულდა, არ დაიდოს ხელშეკრულება საქართველოსთან.

როდესაც ეს მოვისმინე გულმა რეჩხი მიყო: ამას ალბათ სხვა აქციებიც მოჰყვება.

1 აპრილი

საღამოს რეფერენდუმის შედეგები გამოქვეყნდა. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 89%-მა. დამოუკიდებლობას ხმა მისცა 99%-მა.

ჩემი ვარაუდი „სამხრეთ ოსეთის" შესახებ მართლდება. დღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ ეთხოვოს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს „სამხრეთ ოსეთში" საგანგებო წესები გამოაცხადოს.

4 აპრილი

დღეს რექტორატიდან დარეკეს, რომ 12 საათზე სხდომათა დარბაზში მივსულიყავით, სადაც გაიმართებოდა სხდომა სამაჩაბლოს თაობაზე. სხდომათა დარბაზში წინა რიგში დავჯექით მე, ირაკლი შაფაქიძე, თემურ ხუროძე, ელგუჯა ხინთიბიძე და სხვები. სხდომა რექტორს, ნოდარ ამაღლობელს მიჰყავდა, უზენაესი საბჭოდან დაესწრო თემურ ქორიძე. სიტყვებით გამოვიდნენ ლევან ალექსიძე, ტარიელ კვანჭილაშვილი, ბეჟან ბარდაველიძე, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის მიერ მზადდებოდა სამაჩაბლოში საგანგებო წესების შემოღება და, რომ ჯარის ნაწილები უკვე შემოდიან სამაჩაბლოში.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა თემურ ქორიძე, რომელმაც საუბარი კარგად დაიწყო, მაგრამ უცებ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა ივანე ჯავახიშვილის სკოლა, ბერიტაშვილის სკოლა, შეიძლება ითქვას, თამაზ გამყრელიძის სკოლაც შეიქმნაო. ვერავინ მიხვდა, რა შუაში იყო ასეთი საუბარი. ბოლოს თემურ ქორიძემ აღნიშნა, რომ არ არის საჭირო უნივერსიტეტის ავტონომია. ამან დარბაზში დიდი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. სტუდენტებმა, რომლებიც გვერდით ფანჯრის რაფაზე იყვნენ ჩამომსხდარნი, კამათი გაუმართეს მას და პკითხეს, თუ რატომ არ ამტკიცებდა უზენაესი საბჭო უნივერსიტეტის წესდებას. თემურ ქორიძემ უპასუხა: უზენაესმა საბჭომ რატომ უნდა დაამტკიცოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება, თვითონ ჩაატარეთ რეფერენდუმი და თვითონვე დაამტკიცეთო. მე დამავიწყდა მეთქვა, რომ ქორიძემ აღნიშნა შემდეგი: საჭირო არ იქნება ამდენი მისაღები გამოცდა, სრულიად საკმარისია ერთი გამოცდა. გამეცინა, ეტყობა თემურ ქორიძემ არაფერი არ იცის მისაღები გამოცდების შესახებ. ოთხი გამოცდით ძლივს ვარჩევთ ჩასარიცხ კონტინგენტს და ეხლა გვინდა ერთი გამოცდით ჩავრიცხოთ. სხდომის ბოლოს ლევან ალექსიძემ წაიკითხა დეპეშის ტექსტი, რომელიც მიხეილ გორბაჩოვს გაეგზავნა.

არ მომწონს დღევანდელი 4 აპრილი, რადგან სწორედ 1989 წელს 4 აპრილიდან დაიწყო აპრილის ამბები. მაშინ აფხაზეთის საკითხი იდგა. მალე იგი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა. ღმერთო, გადაგვარჩინე ქართველობა, აღარ განმეორდეს 9 აპრილი.

9 აპრილი

9 აპრილი, ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დღე ქართველი ერისათვის, გადაიქცა ერთ-ერთ უბედნიერეს დღედ. დღეს გაიმართა უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც მოხსენებით გამოვიდა ზვიად გამსახურდია. მან წაიკითხა რეფერენდუმის მონაცემები და 9 აპრილი საქართველოს სახელმნიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა. მთელი დარბაზი ოვაციებით შეხვდა. ერთხმად გაიძახოდნენ: **„საქართველო“** და **„ზვიად“**. **ცრემლები მომდის, ვიცი ძნელი იქნება დამოუკიდებლობის მიღწევა, მაგრამ ეს დღე ისტორიაში შევა, როგორც უდიდესი დღე.** ამ დღით საქართველომ პირდაპირ ბრძოლაში გამოიწვია გორბაჩოვის დამპალი იმპერია. ღმერთო, შენ დაიფარე საქართველო! საღამოს ხუთ საათზე მთავრობის სახლთან გაიმართა მიტინგი. მე არ ვესწრებოდი, ტელევიზიით ვუყურე. გამოვიდა ზვიად გამსახურდია, რომელმაც ქართველ ხალხს სახელმნიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მიულოცა. ხალხი აღტაცებით შეხვდა. ყველა ბედნიერია. სიტყვით გამოვიდნენ **აკაკი ასათიანი**, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **მანანა ძოძუაშვილი, თენგიზ სიგუა**, მისი მოადგილე, ბაქარ გიგინეიშვილი და ბევრი სხვა. მეც ბედნიერი ვარ, მაგრამ რაღაც შიშის გრძნობა მიპყრობს. ღმერთო, ასეთი ბედნიერი იყოს ქართველი ერი. დიდი ბრძოლა მოგვინევს, მართალია, ინგრევა იმპერია, მაგრამ მისთვის არაფერს წარმოადგენს გაჟლიტოს პატარა ერი. ამჟამად რუსეთში მიმდინარეობს მეშახტეთა გაფიცვა, გაფიცვებია ბელორუსიაში. ჩემი აზრით, თუ რუსეთში არ მოისპო კომუნისტთა ბატონობა, გორბაჩოვი საქართველოში აუცილებლად ჯარებს შემოიყვანს.

10 აპრილი

იმპერია გააქტიურდა სამაჩაბლოში. ცხინვალის შესასვლელი შინაგანმა ჯარებმა დაიკავეს. ქართულ სოფლებში 25 ქართველი მილიციელი დააკავეს.

ზვიად გამსახურდიამ პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც აღნიშნა, რომ „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს გაფიცვები დასავლეთ საქართველოს რკინიგზაზე — ბათუმში და ფოთში. ეს არის პროტესტი სამაჩაბლოში იმპერიის აგრესიის წინააღმდეგ, რაც საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაში გამოიხატა.

11 აპრილი

იმპერიის ჯარები გააქტიურდნენ. დაიწყეს სამაჩაბლოში ქართული სოფლების დარბევა. ქართული მილიცია მთლიანად ჩამოაცილეს სამაჩაბლოს საქმეებს.

14 აპრილი

უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად ერთხმად აირჩია ზვიად გამსახურდია. გადაწყდა, პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები ჩატარდეს 26 მაისს. რა შეიძლება ითქვას ამ საკითხზე? რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს, მით უმეტეს ამ გაჭირვების დროს, სჭირდებოდა პრეზიდენტი, რომელიც აღარ დაელოდებოდა უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებს და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებდა. უზენაესი საბჭო ფაქტობრივად მაინც ზვიად გამსახურდიას დანამატი იყო, რადგან ქართველმა ხალხმა არჩევნებში ბლოკ „თავისუფალ საქართველოს“ და მის შემადგენელ პარტიებს ხმა მისცა მხოლოდ იმის გამო, რომ მას ზვიად გამსახურდია მეთაუ-

რობდა. ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორ საპრეზიდენტო საბჭოს შექმნის პრეზიდენტი, ვინ ეყოლება მრჩევლები, რადგან უზენაეს საბჭოში აშკარად ჩანს ბევრი დეპუტატის არაკომპეტენტურობა, ხშირად ვერ არჩევენ პარლამენტში არიან თუ მიტინგზე.

15 აპრილი

საქართველოში დაიწყო გაფიცვები მოთხოვნით – გაიყვანონ საბჭოთა ჯარები სამაჩაბლოდან. ჩერდება რკინიგზები. გაფიცვები ძირითადად მიმდინარეობდა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში.

24 აპრილი

ცხრა რესპუბლიკის წარმომადგენელმა, მათ შორის ბორის ელცინმა, ხელი მოაწერა მიმართვას, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეკონომიკური უპირატესობა მიენიჭება იმ რესპუბლიკებს, რომლებმაც ხელი უნდა მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ამ მიმართვას ხელს აწერს მიხეილ გორბაჩოვიც. მიმართვაში აღნიშნულია, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერიდან ექვსი თვის შემდეგ, არანაკლებ ექვსი თვით, დაითხოვენ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს, დეპუტატთა ყრილობას და აირჩევენ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს. ამ დოკუმენტში მნიშვნელოვანია ის, რომ აღიარებულია ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, საქართველოს, მოლდოვასა და სომხეთის რესპუბლიკების მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ.

რა შეიძლება ითქვას ამ დოკუმენტზე. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, გორბაჩოვის და ელცინის გაერთიანება არ იქნება სასურველი საქართველოსთვის. ცხადია, რაც მეტი არეულობაა რუსეთში, მით უკეთესია ჩვენთვის. მე მეშინია, რომ ამ მიმართვას არ მოჰყვეს იმ გაფიცვების შეწყვეტაც, რომელიც მიმდინარეობს ბელორუსიაში და მზადდება უკრაინაში. თუ რუსეთსა და ბელორუსიაში დამთავრდა გაფიცვები, მაშინ ჩვენი გაფიცვები გადაიქცევა ავანტიურად და მთლიანად საკავშირო მასშტაბით არავითარი გავლენა არ ექნება. პირიქით, ქართველი ერი ჩავარდება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში. უკვე აღარ იშოვება ბენზინი, კარაქი, არ თბება ბინები, როდემდე გავძლებთ, არ ვიცი. უზენაესი საბჭო დაკავებულია მხოლოდ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტით და საერთოდ არ ფიქრობს ეკონომიკაზე.

26 აპრილი

მგონი, მართლდება ჩემი სიტყვები. ბელორუსიის მეშახტეებს დაპირდნენ რუსეთის იურისდიქციაში გადაყვანას. ვნახოთ, რა მოხდება ბელორუსიაში.

29 აპრილი

უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მანქანით მივედით, პირველი საათი და 15 წუთი იყო. ჩემთან ერთად მანქანაში ისხდნენ მაია და თაზო, რომელიც საავადმყოფოში გვყავდა წაყვანილი. უცებ დავინახე შენობიდან გარეთ გამოსული ხალხი. ყველა ამბობდა, რომ 6 ბალიანი მინისძვრა იყო. ჩვენ არაფერი გვიგრძვნია.

ღამით, 10 საათსა და 40 წუთზე კვლავ მოხდა მიწისძვრა. შეგვეშინდა. ვაკეში წავედით დასაძინებლად. 12 საათსა და 40 წუთზე მიწისძვრა ისევ გამეორდა.

30 აპრილი

პირველ საათზე აჩვენეს კადრები. საშინელებაა, განსაკუთრებით დაზიანდა საჩხერის, ონის, ამბროლაურის რაიონები.

დილით, როდესაც უნივერსიტეტში მივედი, კარლო მეშველიანმა მითხრა, რომ პრორექტორ თემურ ხუროძესთან ჩავსულიყავი. ხუროძემ გამომაყოლა სპორტკლუბიდან ამირანი. სისხლის გადასხმის ცენტრში უნდა მივსულიყავით. წავედით ქავთარაძის ქუჩაზე. იქ უამრავი ხალხი იყო. ვნახე მთავარი ექიმი ჩხაიძე. მან მითხრა, რომ უნივერსიტეტში ბრიგადას გამომაყოლებდა. შეეთანხმდით 10 საათისთვის.

2 საათზე რექტორთან შევიკრიბეთ. იქ გადაწყდა ფულის შეგროვება. შეიქმნა შტაბი.

1 მაისი

დღეს გლოვის დღეა საქართველოში. გაფიცვები შეწყდა.

26 მაისი

დღეს პრეზიდენტის არჩევნებია. მანამდე ტელედებატები მიმდინარეობდა. მონაწილეობდნენ — ვალერიან ადვაძე, ირაკლი შენგელაია, თამაზ კვაჭანტირაძე, ჯემალ მიქელაძე. ამ მოვლენებს არ აღვწერ, რადგან საკმაოდ ცნობილია და ისტორიისთვის არ დაიკარგება. მე ჩემ პირად აზრს ვიტყვი. **ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა გამოსვლებში იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი კრიტიკაც, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ისინი ფაქტობრივად ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევენ მას. ამაზრზენია ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთაგან ძალიან ბევრი მლიქვნელის გამოსვლები პრესით, ტელევიზიით, რადიოთი. რა საჭიროა ზვიად გამსახურდიას ამდენი ქება. მან გაიმარჯვა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც არავითარი რეკლამა არ ჰქონდა. ახლა ის ხალხი გამოდის მის მხარდამჭერად, რომელიც გუშინ ხშირად ჩემს თვალწინ აგინებდა ზვიად გამსახურდიას. ეს ხალხი დაღუპავს ზვიად გამსახურდიას და საქართველოსაც.**

მიუხედავად იმისა, რომ ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს ბევრი შეცდომა მოსდის, არ ვმალავ რომ საპარლამენტო არჩევნებში ხმა მივეცი ზვიად გამსახურდიას. ვთვლი, რომ ამჟამად, როდესაც გამეფებულია ძალმომრეობა, ადვაძე, შენგელაია და კვაჭანტირაძე ვერ მოუვლიან საქართველოს. ამასთან ერთად მიმაჩნია, რომ **სახელმწიფოს მართვაში უნდა ჩაერთოს მთელი საქართველოს ინტელექტუალური ძალები და არა მიტინგზე ხშირად გამოსული პიროვნებები, რომელთაც ცოდნა არ ჰყოფნით გაუძღვნენ საქმეს. თუ ზვიად გამსახურდიამ არ გადადგა ნაბიჯები ეროვნული შერიგებისაკენ, მაშინ საქმე კატასტროფისკენ წავა, რადგან ამით მოსკოვი ისარგებლებს.**

28 მაისი

ინტერვიუ მივეცი რადიოს, სადაც **მივესალმე ზვიად გამსახურდიას არჩევას პრეზიდენტად.** ღმერთო, ბედნიერი იყოს საქართველო!

13 სექტემბერი

ვფიქრობდი, რომ აღარ გავაგრძელებდი დღიურის წერას, იძულებული ვარ განვაგრძო, რადგან მდგომარეობა ისევ დაიძაბა. მდგომარეობა შედარებით სტაბილური იყო ივნის-ივლისში. აგვისტოში მოხდა განხეთქილება. თენგიზ სიგუამ მოითხოვა, გადაეყენებინათ ის მინისტრები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მუშაობაში. ზვიად გამსახურდიამ,

პირიქით, პირადი განცხადების საფუძველზე გაანთავისუფლა თენგიზ სიგუა, საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, თენგიზ სიგუას მოადგილე ოთარ ქვილითაია. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ზვიად გამსახურდიამ მურმან ომანიძეს შესთავაზა. 19 აგვისტოს მოსკოვში დაიწყო პუტჩი. დილით, როდესაც ეს გავიგე, სურამში ვიყავი და თბილისში წამოვედი.

საღამოს ზვიად გამსახურდია ტელევიზიით გამოვიდა და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა. აშკარად დაბნეული ჩანდა. 20 აგვისტოს მივიღე „იზვესტია", სადაც დაიბეჭდა ხუნტის ბრძანებულებანი. ზვიად გამსახურდიას ბრძანებით, ეროვნული გვარდია გარდაიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ქვედანაყოფად. ეს იყო გვარდიის გადარჩენის ერთადერთი გზა. მოსკოვში ბორის ელცინის მეთაურობით რევოლუცია მოხდა. 21 აგვისტოს დაამხეს ხუნტა. 22 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ ბორის ელცინს წარმატება მიულოცა.

გაზეთ „დრონს" **თენგიზ სიგუამ** და **გოგი ხოშტარიამ** ინტერვიუ მისცეს, სადაც პრეზიდენტი არაკომპეტენტურობაში და მათ საქმეებში აშკარად ჩარევაში დაადანაშაულეს. ამას დიდი რეაქცია მოჰყვა. ორი დღე „მოამბეში" გადმოსცემდნენ პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებას — „პუტჩი საქართველოში". ძალზე აღმაშფოთებელი განცხადებაა. ისევ **ედუარდ შევარდნაძეს** დასდეს ბრალი და მას **ზურაბ წერეთელიც** მიაყოლეს.

ნოდარ ამაღლობელი რექტორობიდან გაათავისუფლეს. ამ დროს სურამში ვიყავი. რექტორად დანიშნეს თამაზ გამყრელიძე. მე ეჭვი შემეპარა, რომ ეს იყო ფარსი. თამაზ გამყრელიძეს ადრეც სთავაზობდნენ რექტორობას და დიდი საბჭოც მას უეჭველად აირჩევდა. მიუხედავად ამისა, თამაზ გამყრელიძე უარს ამბობდა რექტორობაზე და ძალიან საეჭვო იყო ახლა დათანხმებულიყო, მით უფრო, რომ უნივერსიტეტში კი არ ირჩევდნენ, არამედ პრეზიდენტი ნიშნავდა. თამაზ გამყრელიძე თბილისში არ აღმოჩნდა. როდესაც მოსკოვიდან დაბრუნდა მან „დრონში" გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ რექტორად დანიშვნა მასთან არ იყო შეთანხმებული. ჩემი აზრით, ნოდარ ამაღლობელის გაშვება უნდოდათ და თამაზ გამყრელიძის სახელს ამოეფარნენ. ხელისუფლებას სურს თავისი კაცის რექტორად დანიშვნა. 2 სექტემბერს საშინელი ფაქტი მოხდა კინოს სახლთან. გია ჭანტურია მიტინგს ატარებდა. მათ თავს დაესხა „ომონი", სროლა ატეხა და ხალხი დაიჭრა*.

მეორე დღეს ხმა გაავრცელეს, რომ თითქოს მომიტინგეებმა ესროლეს „ომონს". მაგალითად, მოიტანეს ომონელის ჯავშანჟილეტი, რომელსაც თითქოს ოთხი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მართლაც საშინელი ფარსია. ამის შემდეგ დაიწყო დიდი გამოსვლები. განხეთქილებაა თვით უზენაეს საბჭოში. ჯერ მოხდა განხეთქილება პრეზიდენტსა და **ვაჟა ადამიას** შორის. ვაჟა ადამიას კომისია შეუერთეს ნუგზარ მოლოდინაშვილის კომისიას და ორივე კომისიის თავმჯდომარედ ლევან ალექსიძე დაინიშნა.

19-21 აგვისტოს პუტჩის დროს ეროვნული გვარდიის ნაწილი, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, არ დაემორჩილა ზვიად გამსახურდიას ბრძანებას. გვარდიის ეს ნაწილი რკონში წავიდა. 3 სექტემბერს გვარდიელები რკონიდან ჩამოვიდნენ და შავნაბადზე დადგნენ. მათ განაცხადეს: თუ ომონი დაარბევდა მომიტინგეებს, მაშინ ისინი დაიცავდნენ მათ. საშინელი ისტერია დაიწყო შევარდნაძის წინააღმდეგ. სასაცილოა, რა შუაშია შევარდნაძე და იაკოვლევი? მთავრობის სასახლესთან პრეზიდენტის მომხრეები არიან. შიმშილობენ მესტიის რაიონის წარმო-

* იმ დღეს თბილისში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა დელეგაცია. ოპოზიციას სურდა ხელისუფლების პროვოცირება და კიდეც მიაღწია მიზანს.

მადგენლები. პირველ სკოლასთან მონარქისტული პარტიაა, ცოტა მაღლა – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, იმელთან — ირაკლი წერეთელი. გუშინ უნივერსიტეტში რომ მივედი, შიმშილობდნენ ჯანსუღ ჩარკვიანი, ბლოკი „თავისუფლება", „მწვანეები", ლიბერალური პარტია.

11 სექტემბერს ბორჯომში ნავედი. დილით, როდესაც ჩამოვედი, მითხრეს: ოთარ ჯაფარიძე დანიშნეს რექტორადო. ნამდვილად გამეხარდა. ჩანს, რადგან არეულობაა, ხელისუფლებამ ვერ გაბედა სხვა ვინმეს დანიშვნა რექტორად და ნორმალური პიროვნება მონახეს. 13 სექტემბერს, როდესაც უნივერსიტეტში მივედი, აღმოჩნდა, რომ რექტორის დანიშვნის ბრძანებაზე პრეზიდენტს არ ჰქონდა ხელი მოწერილი. თვითონ ოთარ ჯაფარიძეც უკვე რექტორად დანიშვნის წინააღმდეგი იყო.

იმავე დღეს მარიკა ლორთქიფანიძე დაიბარეს უზენაეს საბჭოში. ოთხი საათი ველოდებოდით მის დაბრუნებას კარლო მეშველიანი, ნოდარ ნონიკაშვილი, ავთანდილ წერეთელი, თემურ გვიმრაძე. მარიკა ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაცხადა, რომ ოთარ ჯაფარიძე დაუსმენიათ, რომ იგი კონგრესის მომხრეა, ხოლო მისი ქალიშვილი პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ მიტინგებზე დადისო. ჩემი აზრით, ოთარ ჯაფარიძეს ებრძოდა პრეზიდენტის მომხრეთა ის ჯგუფი, რომელსაც თავისი კაცის დანიშვნა უნდოდა რექტორად. საბოლოოდ გადაწყვიტეს ოთარ ჯაფარიძე მოვალეობის შემსრულებლად დამტკიცებინათ.

გამომრჩა მეთქვა, რომ უზენაეს საბჭოში ოპოზიციაში გადადის თედო პაატაშვილი, მერაბ ურიდია, ირაკლი მელაშვილი, მალხაზ კვანჭილაშვილი. მანამდე ოპოზიციაში გადავიდა დიხამინჯია. საოცარია, როგორ უნდა მოახერხო პრეზიდენტმა, რომ რამდენიმე თვეში ამხელა ოპოზიცია შეიქმნა მაშინ, როდესაც ივნისში ოპოზიცია უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა.

15 სექტემბერი

დღეს გაიხსნა უზენაესი საბჭოს სხდომა. ტელევიზიით სხდომა არ აჩვენეს. საღამოს წავედი უნივერსიტეტში მიტინგზე, სადაც გავიგე, რომ დეპუტატების ნაწილს დაუტოვებია უზენაესი საბჭოს სხდომა.

18 სექტემბერი

16 სექტემბერს რესპუბლიკის მოედანზე დიდი მიტინგი გაიმართა. მე დაგვიანებით მივედი. თენგიზ სიგუა გვარდიელებს მიყავდათ, მას ხალხი მიაცილებდა, ყველა ტაშს უკრავდა. აქ მთელი თბილისის ინტელიგენცია იყო თავმოყრილი.

17 სექტემბერს დაუპატიმრებიათ გია ჭანტურია და მისი მეუღლე ირინა სარიშვილი, ასევე ვახტანგ ტალახაძე. თვითმფრინავი, რომელშიც ისინი ისხდნენ, აეროპორტიდან აფრინდა, მაგრამ მალევე უკან დასვეს. მე მგონი რეპრესიების დაწყებას აპირებენ. ღმერთმა დაგვიფაროს!

ორი დღეა ტელეგადაცემები აღარ არის. მიმდინარეობს ტელევიზიის შენობის პიკეტირება. რადიოთი მოვისმინე მიტინგზე ზვიად გამსახურდიასა და აკაკი ასათიანის სიტყვები. ზვიადი ისევ აგრძელებს შევარდნაძის გინებას და პროვოკატორების დასახელებას. ასათიანი მერყეობს, ეტყობა სინდისი აწუხებს.

ღამით, პირველ საათზე შემთხვევით გავიგონე ტელევიზორის ხმა. ჩავრთე ტელევიზორი. გამოდიან ქალები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ თითქოსდა მათ ცემეს ირაკლი წერეთელმა და მისმა მეგობრებმა. დღეს, ეტყობა, ეს ქალები მიუშვეს ირაკლი წერეთლის ხალხზე. ეს აშკარა პროვოკაციაა. ამ გადაცემით აღიზიანებენ ხალხს, აჩვენებენ, რომ ქალებს გარდა ბავშვიც ცემეს. ეს სამოქალაქო ომის დასაწყისია.

ვინც ეს პროვოკაცია მოაწყო, სწორედ ის არის ჩასაქოლი.

21 სექტემბერი

დილიდანვე დაიწყო ზვიად გამსახურდიას გამოსვლა. მან განაცხადა, რომ პუტჩისტები ცდილობენ აიღონ მთავრობის სასახლე და მთელ მოსახლეობას მოუწოდა მოსულიყვნენ და დაეცვათ უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი. მთელი დღე ეს გადაცემა იყო.

22 სექტემბერი

როგორც გავიგეთ, ირაკლი წერეთლის ხალხი მთავრობის სასახლესთან დაჯდომას აპირებდა.

ზვიად გამსახურდიას დასახმარებლად რაიონებიდან ჩამოვიდა უამრავი ხალხი. ღამის ოთხ საათზე ისინი მიადგნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბარიკადებს და იმელს. მოხდა შეტაკება, არიან დაჭრილები და ნაცემები. ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ ბარიკადებს მიადგა მშვიდობიანი დემონსტრაცია, მათ დაუშინეს ქვები, იხმარეს ხელკეტები და გაზი. ღმერთო რა ხდება? ქართველები ერთმანეთზე მიუშვეს! რასაც ზვიად გამსახურდია აცხადებს, ეს იგივეა, რასაც კომუნისტები აცხადებდნენ 9 აპრილს: ჯარს მომიტინგეებმა ესროლეს ქვები, გამოიყენეს ხელკეტები და გაზი. ეს დღეც საქართველოს ისტორიაში შევა როგორც შავბნელი დღე.

25 სექტემბერი

დიდუბეში, თელასთან მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც სამი მილიციონერი და ორი გვარდიელი მოკლეს.

27 სექტემბერი

ღამით შავნაბადას თავს დაესხა მილიციელთა ქვედანაყოფი. მსხვერპლი არ არის.

შუადღისას ვიყავი ტელევიზიასთან. ირაკლი ბათიაშვილმა მოუწოდა ხალხს მშვიდობიანი მსვლელობა მოეწყოთ უნივერსიტეტისაკენ. ბევრი არ გაყვა.

მთელი დღე აცხადებენ, რომ ვაჟა ადამიამ მძევლად ჩაიგდო მერაბ კოსტავას დედა და სახლის სხვა მცხოვრებლები. ბრალდება, მართლაც, საშინელია. მაგრამ, რა იცის მთელმა საქართველომ, რომ ვაჟა ადამია იმავე სახლში ცხოვრობდა და იქ არის გაზრდილი. ის იყო ერთ-ერთი დიდი მეგობარი მერაბ კოსტავასი. რა საშინელებაა, როდესაც ასეთი ცილისწამება გადაიცემა ტელევიზიით. ჩემი აზრით, ტელევიზიის პროგრამა „მოამბე" უნდა მიეცეს პასუხისგებაში, ქართველთა შორის შუღლის გაღვივებისთვის.

29 სექტემბერი

ტელევიზიით ისევ გამოდიან მშრომელები, მაგალითად, ქუთაისიდან, ასევე ქარხნის დირექტორები და ა. შ.

1 ოქტომბერი

გუშინ თითქოს სროლა იყო ცირკთან. 29 სექტემბერს, ღამით, 10 საათზე, ტელევიზიასთან მოხდა აფეთქება. ჭურვი მოხვდა აგრომრეწვის შენობას. ორივე მხარე სხვადასხვანაირად ხსნის ამ ფაქტს. 30 სექტემბერს რუსთაველზე, მთავრობის სასახლესთან, დიდი მიტინგი იყო. ზვიად გამსახურდიამ მოუწოდა ხალხს ტელევიზიის შენობასთან წასულიყვნენ. ხალხი მოადგა გმირთა მოედანს, შემდეგ უკან გამობრუნდნენ. ტელევიზიით გამოსვლისას ავთანდილ

რცხილაძემ ოპოზიციას ბრალი დასდო, რომ მათ არ სურთ შერიგება. ამავე დროს აღნიშნეს, რომ პრეზიდენტის მომხრეები პირველ რიცხვში კიდევ ერთხელ შეეცდებიან ტელევიზიის დაკავებას. მე პირადად მიმაჩნია, რომ ეს არის დიდი ავანტიურა, რადგან ორი სხვადასხვა აზრის მქონე დიდი მასის შეხვედრამ შეიძლება მსხვერპლი გამოიწვიოს.

დღეს გაზ. „თბილისში" სათაურით — „ოცდაათი ვერცხლის ფასად" გამოქვეყნებულია ფინანსთა მინისტრის მოადგილის რ. კაკულიას სტატია. ეს სტატია რომ წავიკითხე, გული ცუდად გამიხდა, თურმე აკაკი ბაქრაძე, გარდა ერის მოღალატისა, ყოფილა ჩალიჩა, უკანონო თანხების მიმთვისებელი და კიდევ უამრავი რამ.

3 ოქტომბერი

გაზეთში გამოქვეყნდა თენგიზ კიტოვანის და ვაჟა ადამიას შეთანხმება. ისინი ტოვებენ ქალაქს, რათა ყველაფერი მშვიდობიანი გზით გადაწყდეს. თენგიზ კიტოვანმა განაცხადა: თუ დაიწყებენ ოპოზიციის დევნას, მაშინ იგი დაბრუნდებოდა ქალაქში.

საღამოს „მოამბეში" აჩვენეს ზვიად გამსახურდიას გამოსვლა მიტინგზე. ეს გამოსვლა იყო საშინელი. პრეზიდენტმა ქართველ ხალხს მიულოცა გამარჯვება (ნეტავი ვისზე?) და აღნიშნა, რომ ახლა პასუხი უნდა გაეცეს ყველას და მოვახდინოთ იმ დეპუტატების და ინტელიგენციის ნაწილის იზოლაცია, რომელნიც პუტჩისტებს უჭერდნენ მხარს.

4 ოქტომბერი

დილით დედაჩემი ნავიყვანე საავადმყოფოში. უნივერსიტეტში 12 საათზე დავბრუნდი. ხალხი შეშფოთებული იყო, სროლა არისო იმ ადგილას, სადაც დაბანაკდა კიტოვანი, კერძოდ თბილისის ზღვასთან. მართლაც, აღმოჩნდა ორი დაჭრილი. კიტოვანს ალყა აქვს შემორტყმული. ტელევიზიით გამოვიდა ზვიად გამსახურდია და ხალხს მოუწოდა, 2 საათზე მასთან მისულიყვნენ. ოპოზიციას კომუნისტი სანდრო კავსაძე მოუძღვისო. ეს მოწოდება რამდენჯერმე განმეორდა. საღამოს ტელევიზიით განაცხადეს, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისის ზღვაზე 20 საათიდან მოიხსნა ალყა. მეგონა, რომ ყველაფერი დაწყნარდა, მაგრამ 9 საათისთვის დიქტორმა, დავით სოკოლოვმა ტელევიზიით დაიწყო იგივე პანიკური განცხადებების გადაცემა, ყოველ ხუთ წუთში. თითქოს, მთავრობის სახლზე მოსალოდნელი იყო თავდასხმა თავისუფლების მოედნიდან. ხალხს მოუწოდებდნენ დასახმარებლად მისულიყვნენ.

დავით სოკოლოვმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ პროვოკატორები დარბიან და ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი აღარ არისო, რომ ეს ტყუილია. რა ხდება მთავრობის სასახლის წინ, არ გვეუბნებიან.

5 ოქტომბერი

დღეს დილით დედაჩემი ნავიყვანე საავადმყოფოში. მამაჩემმა მითხრა, რომ გუშინ რაღაც უბედურება მომხდარა მთავრობის სახლთან. ღმერთო ჩემო! რომ ვწერდი, არაფერი ინფორმაცია არ არის, რა ხდება მთავრობის სასახლესთანო, თურმე რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც 9 აპრილს ქართველებს ხოცავდნენ, ამჟამად, პირიქით, ქართველები დაერივნენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ტელევიზიით სოკოლოვმა ომახიანად განაცხადა, რომ სამი იერიში მოეწყო მთავრობის სასახლეზე, მეამბოხეებმა მოგვიკლეს ერთი და დაგვიჭრეს ათი კაციო. ამას ისე აცხადებს, როგორც

ლევიტანი აცხადებდა სამამულო ომის დროს, თუ რამდენი მოგვიკლეს და დაგვიჭრეს გერმანელებმა. ოპოზიციას, თურმე, უდანაშაულო ხალხისთვის ავტომატები უსვრია! ღმერთო, რა ხდება? დღეს გავიგე, რომ დილით პირდაპირ ქუჩაში აპატიმრებდნენ ხალხს. ტელევიზიით გვაჩვენეს, თუ როგორ დაესხა თავს ოპოზიცია პრეზიდენტის მომხრეებს. ამ დროს აჩვენებენ, თუ როგორ გავარდებიან ხოლმე მთავრობის მომხრეები ხალხის საცემრად და აშკარად ჩანს, მთავრობის სასახლიდან ისროდნენ, მაგრამ ჰაერში.

დღეს გამოაცხადეს, რომ 7 საათზე გაიმართება უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია. სესიაზე გამოვიდა ზვიად გამსახურდია. მისი სიტყვა არ შეიცავდა მოწოდებებს ოპოზიციის გასანადგურებლად. სამაგიეროდ ღამით ტელევიზიით აჩვენეს მთავრობის სასახლის წინ გამართული მიტინგი, სადაც ნაიკითხეს რეზოლუცია. რეზოლუცია მოუწდებდა სესიას, რომ პასუხისგებაში მიეცათ ოპოზიცია.

უნივერსიტეტში, ღამის პირველ საათზე მოვიდნენ: ირაკლი მელაშვილი, რომან გოცირიძე, ავთანდილ იმნაძე. მათ აღნიშნეს, რომ უზენაესი საბჭოს უმრავლესობა მათ სიტყვას არ აძლევს. სესიაზე ერთადერთი დადებითი ის იყო, რომ სხდომის დროს შემოვიდა თბილისის მერი თამაზ ვაშაძე, რომელმაც განაცხადა: ვაჟა ადამიას ხალხმა გადაკეტა რკინიგზა და საავტომობილო გზა ქარელთან. პრეზიდენტმა მოითხოვა პასუხი ეგო ვაჟა ადამიას, ჩემი აზრით, ვაჟა ადამია საკმაოდ ვაჟკაცურად იქცევა.

7 ოქტომბერი

დღის ორ საათზე ჩემმა სტუდენტმა გიორგი მაისურაძემ უნივერსიტეტთან მიტინგი გახსნა. მოვიდა ნოდარ ნათაძე, რომელმაც განაცხადა: პრეზიდენტი, რომელიც თავის ხალხს ესვრის, საბრალდებულო სკამზე უნდა იჯდესო. საღამოს ტელევიზიამ გადასცა, რომ უნივერსიტეტთან მიმდინარეობს მიტინგი და მომიტინგეებს მოუწოდა, არ დაძრულიყვნენ მთავრობის სასახლისკენ. ჩავჯექი მანქანაში და უნივერსიტეტში წავედი. იქ შეკრებილი იყო ძალზე ცოტა ხალხი და არავითარი მიტინგი არ მიმდინარეობდა. გამოვიდა მხოლოდ ზურაბ ქაფიანიძე, ამბობდნენ პახმელიაზე არისო. შემდეგ გამოვიდა ირინა სარიშვილი. უნივერსიტეტიდან ღამის 12 საათზე წამოვედი. წამოსვლამდე ვესაუბრებოდი ნიაზ ჯეირანაშვილს, იქვე იყო აგრეთვე ჩემი სიმამრი ნოდარ ნებიერიძე, გოგი ლორთქიფანიძე და სხვ. ყველა აღშფოთებულია, თუ როგორ უსწორდებოდნენ დემონსტრანტებს 5 ოქტომბერს.

8 ოქტომბერი

საღამოს მიტინგზე ვიყავი. ირინა სარიშვილი და მისი მომხრეები ახალი დაბრუნებულები იყვნენ მანიფესტაციიდან. ეს მანიფესტაცია მიმდინარეობდა ტელეგრაფთან, რადგან ისინი წინ აღარ გაუშვეს. ირინამ აღნიშნა, რომ ამ მანიფესტაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამით მოეხსნა ის შიში, რაც ადრე განიცადა.

ზემოთ გამომრჩა მეთქვა. 5 ოქტომბრის „საქართველოს რესპუბლიკა" ნავიკითხე. იქ იყო სტატია — „მათ უკვე გვესროლეს „ყვავილები". ჩემი აზრით, ეს სტატია შეიძლება შევადარო (შეიძლება უფრო მაღლაც დგას) „მოსკოვსკიე ნოვოსტში" გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც პირველად ითქვა სიმართლე 9 აპრილის შესახებ. ეს სტატია იყო მეხის გასროლა მთავრობისთვის. მასში აშკარად ჩანს, თუ როგორ უსწორდებოდა მთავრობა უიარაღო ხალხს. ძალიან გამიკვირდა, როგორ დაბეჭდეს ეს სტატია. საღამოს ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი გაათავისუფლეს რედაქტორობიდან. მამუკა, ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და ნავიდა ამ

გმირობაზე. მას, როგორც რედაქტორს, დიდი დანაშაული მიუძღვის ქართველი ერის წინაშე იმ დეზინფორმაციისთვის, რასაც ენეოდა მთელი თვეების განმავლობაში. მე არ შემიძლია მამუკა ფაჩუაშვილს ბრალი დავდო, რადგან ყველას გვეშლება რაღაც. მთავარია, საბოლოოდ აირჩიო წესიერი გზა.

9 ოქტომბერი

უზენაესი საბჭოს სესია გაგრძელებულა დილის ხუთ საათამდე. 3 საათზე დაიწყო სესიის ტრანსლაცია. დათო ბერძენიშვილმა წაიკითხა ირინა ტალიაშვილის კომუნისტური სულისკვეთებით დაწერილი ლექსი. დათო ბერძენიშვილი ამით იმას უსვამდა ხაზს, რომ იმხანად ანტიკომუნისტურ პოზიციაზე მდგარი ირინა ტალიაშვილი ადრე კომუნისტების მეხოტბე იყო. რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ უზენაეს საბჭოში თვითონ დეპუტატები ვერ შემოდიან, რადგან შენობაში შემოსულია 200 ფსიქიკურად დაავადებული ქალი და მამაკაცი ჯოხებით, ამ ბრბოს გამო დეპუტატები ძლივს გადიან შენობიდან. განიხილავენ კომუნისტი დეპუტატების საკითხს.

აშკარად ჩანს, რომ „ქარტია-91" კარგად არის მომზადებული. დმანისიდან გამოვიდა ნონიაშვილი. საშინელებაა, როგორ შეიძლება იგი დეპუტატი იყოს! თედო ნინიძემ აშკარად დაამტკიცა, რომ კანონი ირღვევა. თედომ ძალიან ვაჟკაცურად დატოვა პარლამენტი. ასევე კაცურად დატოვა პარლამენტი თემურ შაშიაშვილმა. მან განაცხადა, რომ დეპუტატებს არ უნდა ეჯავრებოდეთ ერთმანეთი.

მინდია სალუქვაძემ პრეზიდენტს უთხრა: „ბატონო პრეზიდენტო! თქვენ დიდი უნარი გაქვთ შენების ნაცვლად ნგრევისა. ამ პარლამენტით შორს ვერ წახვალთ." აგრესიულმორჩილი უმრავლესობა თავის საქმეს აკეთებს.

ყოფილი კომუნისტური პარტიის დეპუტატებს, 109 ხმით, უფლებამოსილება შეუწყვიტეს.

დაიწყო ზვიად გამსახურდიას მთავარი პოლიტიკური მოხსენება. მან თქვა: „მე რომ წავიდე, თბილისში ანარქია დაიწყება და მკვდარ ქალაქად გადაიქცევაო" (ამ ჭეშმარიტების იმხანად არავის, მათ შორის არც მე, სჯეროდა. ზვიადის სიტყვები მალე ახდა).

დაიწყო შეკითხვები. შეკითხვებს იძლეოდნენ: ნოდარ ნათაძე, რომან გოცირიძე, ირაკლი მელაშვილი, დათო ბერძენიშვილი. თანამომხსენებელი იყო თედო პაატაშვილი.

ელდარ შენგელაიამ მოითხოვა, რომ არცერთმა მხარემ არ იხმაროს ძალა და დაიწყონ მოძრაობა დემოკრატიისათვის. აკაკი ასათიანმა სწორად თქვა, რომ დაიღუპებიან მხოლოდ ქართველები, ქართველები, გინდა გვარდიიდან და გინდა მილიციიდან. ირინე ტალიაშვილმა მიუთითა, რომ უნდა დაისაჯოს ის, ვინც შეიარაღებული ახალგაზრდები მთავრობის სასახლესთან მიუშვა.

თემურ ქორიძემ აღნიშნა, რომ მზადდებოდა პრეზიდენტის და პარლამენტის დამხობა.

ღამით ვიყავი უნივერსიტეტთან. ხალხი ელოდებოდა სესიის დამთავრებას. დეპუტატები მიტინგზე უნდა მოსულიყვნენ. მათი დაცვა იკისრეს „ავღანელებმა". მე პირადად მომეწონა ავღანელთა კავშირის თავმჯდომარის ნოდარ გიორგაძის გამოსვლა. ამ დღეებში ალბათ გადაწყდება, დამყარდება თუ არა დიქტატურა საქართველოში. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მიჩვეული აღმოჩნდა მონობაში ცხოვრებას. სტალინის ფენომენი საკმაოდ არის გამჯდარი ქართველ ერში.

10 ოქტომბერი

საღამოა უნივერსიტეტის ეზოში მივედი. იქ მინდინარეობდა მიტინგი. გამოვიდა ლევან ღვინჯილია, რომელიც ნინა საღამოა დააპატიმრეს. მან თან მოიყვანა თავისი პატარა გოგონა. ღვინჯილიამ დაწვრილებით აღგვიწერა, თუ როგორ დააპატიმრეს. კერძოდ, ის მიყავდათ იაე, როგორც მონადირეებს მიაქვთ ნანადირევი და თან გარმემო ცეკვავდნენ. გზაში ქალები ცდილობდნენ შეეფურთხებინათ მისთვის. უზენაეს საბჭოში მას დაივდნენ ავთანდილ რცხილაძე, კოტე ფირცხალავა, მერე შემოსულა კულტურის მინისტრის მოადგილე ჯულიეტა მილდიანი, რომელსაც ღვინჯილიასთვის შეუგინებია. შემდეგ მას ბრალი დასდო დეპუტატმა ბურკაძემ (რომელიც, ისევე როგორც ღვინჯილია, ჩემი მეზობელია – მ. ვ.), თითქოს ღვინჯილიას პატიაშვილის დროს ეთქვა, რომ ძალით უნდა აეყარათ დემონსტრანტები აპრილის დღეებში. შემდეგ იგი წაუყვანიათ კიროვის რაიონის მილიციაში (ახლა კრწანისის სახელობისა) და მხოლოდ დილას გამოუშვიათ.

მიტინგზე გამოვიდა **გურამ ფანჯიკიძე**, რომელმაც წაიკითხა ნანყვეტი, თუ არ ვცდები, წივწივაძის ლექსიდან, რომელიც ეძღვნებოდა ავთო რცხილაძეს (როგორც ამბობდნენ, რცხილაძე ადრე მედოლე ყოფილა). ეს ლექსი იწყებოდა „დიმპიტაური, დამპიტაურით". გვიან ღამემდე ველოდებოდით დეპუტატებს.

13 ოქტომბერი

წინა დღეებში თენგიზ კიტოვანს გარდაეცვალა მამა, რომელიც უნივერსიტეტის პირდაპირ ცხოვრობდა. ამ დღეებში სიწყნარე იყო. უზენაეს საბჭოში იხილებოდა ეკონომიკური რეფორმები.

დღეს ჩართეს ააკავშირო და რუსეთის ტელევიზია.

31 ოქტომბერი

ამ დღეების ჭნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ რეჟტორად (უფრო სწორად, მოვალეობის შემასრულებლად) დაინიშნა **როინ მეტრეველი**. ძალზე მისასალმებელი ფაქტია. 21 ოქტომბერს ბატონმა როინ მეტრეველმა დიდი პასუხისმგებლობით დაიწყო რექტორობა. ერთი კვირის განმავლობაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა ნესრიგი უნივერსიტეტში.

მნიშვნელოვანი ფაქტი გახლავთ ის, რომ 1 იზოლატორში ისევ მოხდა აჯანყება, 4 კაცი მოკლეს, 22 დაჭრეს. გია ჭანტურია და გოგა ხაინდრავა არ მონაწილეობდნენ.

დღეს ვუსმენ გუშინდელ სესიას. მაია ნათაძემ განაცხადა, რომ ქალები პიკეტირებას აწყობენ და შენობაში არ უშვებენ დეპუტატებს. მაია ნათაძეს ნათელა ქუთელიამ მისცა შეკითხვა, რომ ძალადობა ხდება უნივერსიტეტში და ამის შესახებ რატომ ხმას არ იღებო.

ვალტერ შურლაიამ ძალზე ვაჟკაცურად თქვა, რომ ეს ქალები შლიან ყველა მოლაპარაკებას. გიორგი მარჯანიშვილმა ილაპარაკა, მაგრამ რა უნდოდა ეთქვა, ვერ გავიგე, ეტყობა, ნამეტანი ჭკვიანი ჰგონია თავი.

თედო პაატაშვილმა მოითხოვა, შემოეყვანათ დეპუტატები და დაეწყოთ სესია. გააგზავნეს ვახტანგ ცაგარეიშვილი და დილარ ხაბულიანი.

თედო პაატაშვილმა მოითხოვა ტელედეპარტამენტის საკითხი განეხილა პარლამენტს. გამოეპასუხა ბესარიონ გუგუშვილი. ხმების უმრავლეობით პაატაშვილის წინადადება უარყვეს.

1 ნოემბერი

დღეს გრძელდება უზენაესი საბჭოს სესია. მოხსენებით გამოვიდა ბესარიონ გუგუშვილი. გიორგი მარჯანიშვილი ნინააღმდეგია რუაეთთან ეკონომიკური კავშირის, ვიდრე რუსეთი პოლიტიკურად არ გვაღიარებს.

მოხსენებით გამოვიდა **მურმან ომანიძე.**

რომან გოცირიძემ აღნიშნა, — როცა ჩვენ ბალტიისპირეთის მაგალითები მოგეყავს, უნდა გვახსოვდეს, რომ ბალტიისპირეთში ისეთი ეკონომიკური რეფორმები ჩაატარეს, რომ მზად არიან გარდაქმნებისათვისო. დეპუტატები გოცირიძეს არ ალაპარაკებენ, უშლიან სიტყვის თქმას.

ნემო ბურჭულაძემ ნაიკითხა „მრგვალი მაგიდის" ნინადადება, იმის შესახებ, რომ თედო პაატაშვილი განთავისუფლდეს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან (საუბარი იყო ავთ. იმნაძეზე, მაგრამ არ მახსოვს, საიდან ათავისუფლებდნენ). ვაუა ადამიამ განაცხადა, რომ „მრგვალ მაგიდას" მისი ერთ-ერთი საზოგადოების (იგულისხმება მერაბ კოსტავას საზოგადოება – მ. ვ.) გარეშე უფლება არ პქონდა დაეყენებინა საკითხი თედო პაატაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ ავთო იმნაძის გადაყენებას შეაფასებს მთელი საქართველო.

თედო პაატაშვილმა განაცხადა, — მე არ გადამიხვევია იმ გეზისათვის, რასაც ითვალისწინებდა ბლოკი „მრგვალი მაგიდა", თვითონ ბლოკმა გადაუხვია თავისი გზიდანო. ნარმოდგენილი იყო დოკუმენტი აშშ სახელმნიფო დეპარტამენტისგან, რომელსაც პრეზიდენტმა „სიგუას ქალალდი" უნოდა. ამ დოკუემნტში ენერა, რომ აშშ შენუხებულია თბილისში მომხდარი ამბებით, იყო თხოვნა, მშვიდობიანად გადაეჭრათ საკითხები. პრეზიდენტმა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით განაცხადა, სიყალბეს ნუ ეწევითო.

მერაბ ურიდია გამოვიდა, არ აცლიან ლაპარაკს. მან განაცხადა, რომ თუ ეკონომიკურად არ გაეძლიერდით, ისე ვერ მივაღწევთ თავისუფლებას. მისი აზრით, შეცდომა იყო ის, რომ ჩვენი განთავისუფლება მივაბით კავკასიის საკითხს.

ნათელა ქუთელიამ განაცხადა, რომ ურიდია და პაატაშვილი არაკომპეტენტურები არიან.

ნემო ბურჭულაძემ კენჭისყრაზე დააყენა თედო პაატაშვილის გადაყენების საკითხი. ხმები არ ყოფნით. თედომ განაცხადა, ხვალ მე თვითონ გადავდგებიო. სულ 84 ხმა იყო, დააკლდა 6 დეპუტატის ხმა. განაცხადეს, რომ ქვორუმი არ იყო.

3 ნოემბერი

როდესაც სესიაზე გამოიტანეს საკითხი პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის დროებით შეჩერების შესახებ, კამათი არ გამართულა. პრეზიდენტმა განაცხადა, განმარტებას მე მივცემო. როცა გამოსვლა დაამთავრა, ზვიად გამსახურდიამ თქვა, რომ კამათი საჭირო არ იყო და საკითხი კენჭისყრაზე დაეყენებინათ. ნემო ბურჭულაძემ მაშინვე დააყენა საკითხი კენჭისყრაზე. ფაქტობრივად კამათი არ ყოფილა. ოპოზიციამ დაინყო პროტესტის გამოთქმა, მაგრამ არ აცალეს, საჩქაროდ ასწიეს ხელები და მიიღეს 94 ხმით. ეს იყო უმრავლესობის მიერ უმცირესობის დაჩაგვრის კლასიკური ნიმუში. ვაუა ადამიამ განაცხადა, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოება არ მონაწილეობს კენჭისყრაში, „დემოკრატიულმა ცენტრმაც" დაინყო ლაპარაკი, მაგრამ ეს აღარ აჩვენეს ტელევიზიით.

სხდომის ბოლოს გამოვიდა ეთიკის კომისიის თამჯდომარე ფირცხალაიშვილი. მე მგონი, მან ლაპარაკი არ იცის. ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ რამდენიმე დეპუტატი (რა თქმა უნდა, ოპოზიციიან – მ. ვ.) აცდენს სხდომებს, რის გამოც უნდა გავრიცხოთ უზენაესი საბჭოდანო. დეპუტატი

ღონღაძე გამოვიდა და თქვა, რომ ერთმა დეპუტატმა ბავშვი საოპერაციოდ ნაიყვანა მოსკოვში და იქიდან გამოაგზავნა დეპეშა. დეპუტატ ხუციშვილს ბოტკინი ჰქონია. ჩანდა, რომ კომისიას არ ჰქონდა საკითხი შესნავლილი, რის გამოც ეს საკითხი გადაიდო.

18 ნოემბერი

დღეს ჩვენმა დეკანმა, კარლო მეშველიანმა მითხრა, რომ სტუდენტები აპირებენ მიტინგის მოწყობას და ჩავიდეთ ეზოშიო. პირველ საათზე არ მეცალა და რომ მივედი ორს უკლდა თხუთმეტი წუთი. მიტინგი მიპყავდა სტუდენტ გიორგი მაისურაძეს. მან აღნიშნა, რომ დაპატიმრებულია მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე **თემურ ყორეოლიანი.** გამოვიდნენ სამედიცინო ინსტიტუტის, სულხან-საბა ორბელიანის და სხვა ინსტიტუტების წარმომადგენლები. ისინი გმობდნენ მთავრობის პოლიტიკას. მიტინგს ესწრებოდნენ ირაკლი მელაშვილი და დათო ტურაშვილი. ესწრებოდა რექტორიც. გულში გამკრა, ქვემოთ „ზვიადისტები" დარბოდნენ და ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. ამ დასწრებას, ჩემი აზრით, გამოიყენებენ როინ მეტრეველის წინააღმდეგ. მიტინგი რომ დამთავრდა სამს უკლდა ოცი წუთი. მომიტინგეთა ნაწილი სიონის ტაძრისკენ დაიძრა. მათ ზემელთან ქვემოთ ჩაუხვიეს, რადგან ამ დროს, 2 საათზე, მთავრობის სახლთან დანიშნული იყო მიტინგი.

2 დეკემბერი

29 ნოემბერს დანიშნული უზენაესი საბჭოს სხდომა ჩაიშალა. სხდომის დასაწყისში განცხადება გაუკეთებია მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრს ობგაძეს იმის შესახებ, რომ დაუჭერიათ საზოგადოების სამი წევრი. ამის შემდეგ გამოვიდა ზვიად გამსახურდია. პრეზიდენტს პასუხი გასცა ხავთასმა. დაიწყო არეულობა. ადამიასთვის პრეზიდენტს გამოურთვია მიკროფონი. შემდეგ ნათელა ქუთელიას უთქვამს აკაკი ასათიანისთვის, რომ იგი ხშირად აძლევდა სიტყვას ოპოზიციას. აკაკი ასათიანს განუცხადებია, რომ გადადგებოდა. პრეზიდიუმი გავიდა სათათბიროდ. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდნენ და თქვეს, რომ აკაკი ასათიანს გული ცუდად გაუხდა და საავადმყოფოში დაანვინესო. სხდომა ჩაიშალა.

3 დეკემბერს გაიმართა უზენაესი საბჭოს სხდომა. ადამია და ხავთასი ქალებმა დარბაზში არ შეუშვეს. ოპოზიციამ სხდომა დატოვა. დარჩენილებმა მალე მიიღეს კანონები. ხავთასს არაეთიკური მოქცევის გამო მოუხსნეს დეპუტატის უფლებამოსილება; მიიღეს კანონი უკანონო სამხედრო ფორმირებებთან დაკავშირებით; იდგა საკითხი სტუდენტთა მოთხოვნების შესახებ; განიხილეს ტელევიზიის საკითხი. ძალზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ბესარიონ გუგუშვილმა. ნამდვილად არ ველოდი ისე წაართვა ბესარიონ გუგუშვილმა მიკროფონი ავთანდილ იმნაძეს და ლაპარაკობდა როგორც ძველი ბიჭი (კერძოდ, ოპოზიციის მისამართით ამბობდა: წინილებივით გარბოდითო და სხვა). სხდომა მიყავდა ნემო ბურჭულაძეს. ეტყობა, აკაკი ასათიანს აღარც დაუბრუნებენ.

4 დეკემბერს უნივერსიტეტში სტუდენტებმა დაიწყეს აქცია. ღამით წავიკითხე „იზვესტიაში" მასალა სათაურით „Протест корифеев кино", სადაც ევროპის ცნობილი რეჟისორები სთხოვდნენ ზვიად გამსახურდიას გაეთავისუფლებინა მათი კოლეგა **გოგა ხაინდრავა.** ხელს აწერენ ბერლინში შექმნილი ევროპის კინოაკადემიის წევრები: ბერნარდო ბერტოლუჩი, ვინ ვენდერსი, იშტვან საბო, ანდრეი სმირნოვი, ელემ კლიმოვი, ნიკიტა მიხალკოვი.

9 დეკემბერი

სტუდენტები შიმშილობენ უნივერსიტეტში. დღეს უკვე ბევრი ხალხია უნივერსიტეტის ბაღში.

14 დეკემბერი

სტუდენტების მოთხოვნებს მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ამიტომაც ისინი დასხდნენ მთავრობის სასახლესთან. სტუდენტები მოითხოვენ პოლიტპატიმრების განთავისუფლებას, პრესის და ტელევიზიის თავისუფლებას. მოხდა შეხვედრა პრეზიდენტთან. ორი დღეა ამ შეხვედრას ტელევიზიით გადასცემენ. ტელევიზია მაინც ეშმაკობს. სტუდენტების ხმებს ახშობენ. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ მაღალი მომზადება აქვს სტუდენტობას. აშკარაა, მათ სიმართლე უნდათ, ვერ იტანენ ტყუილს, ისევე როგორც ვერ იტანდნენ ტყუილს 1988-1989 წლებში. ძალზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ბესარიონ გუგუშვილმა. ამ კაცს ეტყობა საერთოდ ცხოვრებაში არაფერი უნახავს და უცებ მოხვდა თანამდებობაზე. მე მოვიყვან ერთ მაგალითს. ერთ-ერთ სტუდენტს ბესარიონ გუგუშვილმა უთხრა: როგორ ელაპარაკები ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტსო. სტუდენტები სიცილით კვდებიან. როგორ, ბატონო ბესარიონ, მათ არ იციან, რომ პრეზიდენტი არჩეული არის ხალხის მიერ? ან კიდევ, გუგუშვილი აცხადებს, რომ ეს სტუდენტები წარმოადგენენ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 2-3%-ს.

გუშინ გარდაიცვალა ჩემი კათედრის გამგე პროფ. **აკაკი სურგულაძე.** ძალზე გული დამწყდა, იგი ჩემი ხელმძღვანელი იყო. ბედნიერი ვიყავი, როდესაც ბატონი აკაკის ბოლო ორ ლექციას დავესწარი.

დღეს „იზვესტიაში" არის ჯეიმს ბეიკერის სიტყვა. იგი აცხადებს, რომ აშშ დაეხმარება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის ყირგიზსტანსაც, სადაც არის დემოკრატია, მაგრამ არ დაეხმარებიან საქართველოს და აზერბაიჯანს. ბეიკერის აზრით, ზვიად გამსახურდია იმისი მაგალითია, თუ როგორ შეიძლებოდა კომუნისტური მმართველობიდან გადავიდნენ ადგილობრივ ავტორიტარულ მმართველობაზე. გუშინ „იზვესტიაში" რუსეთის პრემიერის მოადგილემ ეგორ გაიდარმა განაცხადა, რომ 1992 წელს საქართველოსთან ეკონომიკურ ხელშეკრულებას არ მოანერენ ხელს.

20 დეკემბერი

გუშინ კინოს სახლთან ირაკლი ნერეთელმა ჩაატარა მიტინგი. ხალხი საკმაოდ ბევრი იყო. დღეს, სამ საათზე, რესპუბლიკის მოედანზე დანიშნული იყო ოპოზიციის მიტინგი. რა თქმა უნდა, მთავრობის სასახლესთან პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგი გაიმართა, რომელიც ტელევიზიით აჩვენეს. ნეტა ამ მთავრობას ჭკუა არა აქვს, რომ ასეთ მიტინგს აჩვენებენ. ეს იყო საშინელება. გუშინ ღამით ტელევიზიით გამოვიდნენ დეპუტატები **ბიძინა გიორგობიანი, ავთანდილ რცხილაძე.** რცხილაძემ აჩვენა **დილარ ხაბულიანი,** რომელსაც სახეზე გაზი შეასხეს. ხაბულიანი იწვა, მერე იგი წამოაყენეს და თვალები აუხილეს. ეტყობა ეწვოდა თვალები. აჩვენეს კადრები, სადაც ჩანდა, თუ ოპოზიციის დიდ მანქანას როგორ გაჰყავდა მთავრობის მომხრეთა მიერ ჩახერგილი ავტობუსი. აჩვენეს ისიც, თუ **ოპოზიციონერთაგან ერთ-ერთს, თეთრქურთუკიანს როგორ აქვს ავტომატი ჩამოკიდებული.**

21 დეკემბერი

დღეს მთელი დღე რადიო და ტელევიზია გაპკივის: მოგვეშველეთ ოპოზიცია ემზადება მთავრობის სასახლის შტურმისთვისო.

ამას ხალხი ისე მიეჩვია, რომ ერთხელაც აღარ დაიჯერებენ და აღარავინ მიეშველება. გამომრჩა, გუშინ აჩვენეს პრეზიდენტის შეხვედრა სტუდენტებთან. ამჟამად შეხვედრა მის მომხრეებთან იყო და ხმებიც შესანიშნავად ისმოდა. ეს შეხვედრა წარმოადგენდა კომკავშირულ შეკრებას, რომელსაც ესწრებოდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

დღეს მნიშვნელოვანი ამბებია მოსალოდნელი. ალმა-ათაში ხვდებიან საბჭოთა კავშირის თერთმეტი რესპუბლიკის წარმომადგენლები. საქართველოდან ჩავიდნენ ნემო ბურჭულაძე და გურამ აბსანძე. აქ გადაწყდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ბედი, თუმცა ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რადგან ბელორუსიამ, უკრაინამ და რუსეთმა 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟის (ბელორუსიაში) შეხვედრაზე ფაქტობრივად გააუქმეს სსრკ. სსრკ საგარეო საქმეთა უკანასკნელი მინისტრი აღმოჩნდა ედუარდ შევარდნაძე.

22 დეკემბერი

ამ დღეს დილიდან დაიწყო ბრძოლა თბილისში. 12 საათისთვის დაიღუპა 3 და დაიჭრა 29 კაცი. ტელევიზიით გადმოსცეს, რომ მოიტაცეს ავთანდილ რცხილაძე. სროლა მიმდინარეობს მთავრობის სასახლესთან. ეს, ეტყობა, ოპოზიციის საკმაოდ კარგად მოფიქრებული გეგმა იყო.* ტელევიზიით გამწარებული გაპყვირინან გურამ პეტრიაშვილი, ქობულაშვილი, ნოდარ წულეისკირი, მანანა ძოძუაშვილი. ღმერთო ჩემო, აი, მთელი ძალები, ვისი გამოყვანაც ამ დღეს შეძლო პრეზიდენტმა! ტელევიზორიდან ისმის სროლის ხმა. არავის უნდოდა დაეჯერებინა, რომ საქართველოში განმეორდებოდა ბაზალეთის ომი. რას მოვესწარით 9 აპრილის შემდეგ! ქართველები ერთმანეთს ვხოცავთ! მე არ ვიცი ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ რაღა აზრი აქვს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობას, როდესაც ქართველები იღუპებიან! დაახლოებით ოთხი საათისთვის ტელევიზია გამოირთო, არ მუშაობს რადიოც.

5 საათსა და 40 წუთზე გამოვიდა ტელევიზიის დიქტორი. ძალიან მჟავე გუნებაზე. თქვა, რომ იყო შეფერხებები, ამჟამად სიმშვიდეა, არ არის სროლა.

8 საათია. ტელევიზორი დუმს. ეტყობა, რაღაც ხდება. შემატყობინეს, რომ რუსთაველზე სროლა აღარ არის. ჩემი აზრით, მთავრობას ცუდად აქვს საქმე, თორემ აქამდე უნდა გამოსულიყვნენ. თუ ადრე ასე ხშირად გამოდიოდნენ დეპუტატები, ახლა რაღა დაემართათ?

9 საათზე გადაცემა „ვესტიმ“ აჩვენა, თუ როგორ უტევდა ოპოზიცია მთავრობის სასახლეს. შემდეგ მეზობელმა ამოიტანა ამბავი ნოდარ ნათაძე მოკლესო. მე იმწუთშივე ვუთხარი, რომ ეს იქნება ტყუილი. ახლა არ მინდა შინ ყოფნა, ვეღარ გაეჩერდი, წავედი ანდროსთან და იქ დავლიეთ ბოღმაზე.

დღეს თუ არ დაუთმობს მთავრობა, ხვალ ყველაფერი ტრაგედიით დამთავრდება. ნუთუ ვერავინ ხვდება ამას მთავრობაში? ნუთუ ზვიადს მეგობარი არ დარჩა? ვის იმედზე ხართ, ბატონო ზვიად? ბატონო ზვიად! თქვენ უდიდეს პიროვნებად უნდა დარჩენილიყავით საქართველოს ისტორიაში.

23 დეკემბერი

დღეს უნივერსიტეტში სულ სხვადასხვა ხმები მოდის. გუშინ მთელი ღამე ისროდნენ.

---

* ოპოზიციის გამოსვლა ზუსტად 22 დეკემბერს შემთხვევითი არ იყო. 21 დეკემბერს იურიდიულად დაიშალა საბჭოთა კავშირი, რასაც ავტომატურად მოპყვებოდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს აღიარება მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ. ამის შემდეგ ოპოზიციის უმთავრესი არგუმენტი, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას მსოფლიო არ ცნობდა, გაქარწყლდებოდა (მ. ვ.).

თქვეს, რომ თენგიზ ეპიტაშვილმა აიღო თენგიზ კიტოვანის ყოფილი რეზიდენცია თბილისის ზღვაზე. დღეს ტელევიზიით მოვუსმინე თენგიზ სიგუას. მან თქვა, რომ პრეზიდენტს შევთავაზეთ წასულიყო ბათუმში, ხოლო იქედან – სადაც უნდოდაო. თენგიზ სიგუას თქმით, ზვიადი ჯერ დასთანხმებია, მაგრამ მერე გადაიფიქრაო. პირველი სკოლა და სამხატვრო გალერეა დამწვარია. ოპოზიციას არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაემართმა ბრძოლა რუსთაველზე. მეცოდება საწყალი ახალგაზრდობა, რომელიც ილუპება რუსთაველის პროსპექტზე. ამას ნარმოვიდგენდი 1990 წელს 9 აპრილის შემდეგ? როდესაც 9 აპრილს, გამთენიისას, 4 საათზე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოგვმართა სიტყვით და ყველანი დაწოქილები ვტიროდით, ერთმანეთს ვეხვეოდით. ვერ ნარმოვიდგენი, რომ 1991 წლის 22-23 დეკემბერს ერთმანეთის სისხლს დაღვრიდნენ ქართველები. ამ ბრძოლაში ვერცერთი მხარე ვერ გაიმარჯვებს, ორივე მხარეს ისტორია გასცემს საკადრის პასუხს. ხალხიც გადაირია. დღეს ხან ერთი გამოვარდება და გაპკივის — ოპოზიცია იმარჯვებსო და ზოგიერთი ამას სიხარულით ხვდება. შემდეგ მოვარდება მეორე და იტყვის — პრეზიდენტი იმარჯვებსო და ეხლა სხვები არიან გახარებულნი. რა უხარიათ ამ უბედურებს? ის, რომ ერთმანეთს ულტენ ქართველები! ძალიან მიმძიმს წერა, მე თვითონ საშინელ დღეში ვარ. ნინათ, როდესაც რუსთაველზე რუსის ჯარი იდგა, გასაგები იყო. მაშინ წახვიდოდი მართლა და თავს შეაკლავდი. ახლა რა ვქნა, ვის ვებრძოლო იარაღით, ქართველებს?

24 დეკემბერი

დღეს დილით უნივერსიტეტში ვიყავი. როგორც გავიგეთ, გუშინ ოპოზიციას შვეულმფრენით მთავრობის სასახლეზე ჩამოუგდია ასაფეთქებელი ნივთიერება, არიან დაჭრილები. ამჯერადაც სხვადასხვა ხმები მოდის. მდგომარეობა გაურკვეველია. ფაქტია, რომ მილიცია არ ერევა კონფლიქტში. დღეს „სვობოდნაია გრუზიაში" წერია, რომ მილიციამ „Проявила безпринципность и трусость." მილიცია, ჩემი აზრით, აბსოლუტურად სწორად იქცევა. რა ქნან, ვის ესროლონ? გუშინდელი ხმები იმის შესახებ, რომ ეპიტაშვილმა აიღო ბანაკი თბილისის ზღვაზე, სწორი არ აღმოჩნდა. მართალი არ გამოდგა ისიც, თითქოს კიტოვანი დაჭერილია. დღეს ორივე მხარე სხვადასხვა ინფორმაციას იძლევა. უნივერსიტეტში ოპოზიციის ერთი მომხრე შემოვიდა და თქვა: ეპიტაშვილი გადავიდა ოპოზიციის მხარეზეო. შემდეგ შემოვიდა ზვიადისტი და თქვა: ეპიტაშვილი ოთხი ჯავშანტრანსპორტიორით შევიდა მთავრობის სახლის ეზოში და იცავს მთავრობასო. დღეს, პირველ საათსა და 30 წუთზე, მთავრობის სახლთან სროლა განახლდა. მთაწმინდის რაიონში ტელეფონები გამორთულია. ისევ გამორთულია რადიო და ტელევიზია. გამომრჩა მეთქვა: გუშინ „მერმისის" არხზე გამოვიდა სიგუა. მან თქვა: საქართველოში ჩამოყალიბდა დიქტატორული რეჟიმი, დემონსტრანტებს მთავრობის სახლიდან ესროლესო. ოპოზიციამ შესთავაზა ზვიად გამსახურდიას წასულიყო ბათუმში, ხოლო იქიდან — სადაც სურდა. ამ წინადადებას პრეზიდენტი დაეთანხმა, რის გამოც სროლა შეწყდა, მაგრამ პირველ საათზე ზვიად გამსახურდიამ შეცვალა გადაწყვეტილება. თენგიზ სიგუამ განაცხადა, რომ ახალგაზრდა გვარდიელებს, რომლებიც მთავრობის სახლში არიან, უნდათ შინ წასვლა, მაგრამ არ უშვებენო.

25 დეკემბერი

დღეს, 12 საათისთვის, უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიტინგი. იყვნენ რაიონებიდან ჩამოსულები. გამოვიდნენ გიორგი მარჯანიშვილი და თემურ ქორიძე. მე, ემილ კოპალიანი,

გოჩა ხუნდაძე და თამაზ დვალი ვიყავით პირველ სართულზე. მოულოდნელად, ორი საათისთვის დემონსტრანტებმა დაიწყეს ბრახუნი კარებზე. კარი გაიღო და შემოვიდნენ ქალები, გიუებივით ჰქონდათ თვალები. თურმე ვიღაცას გამოუცხადებია, რომ უნივერსიტეტის სახურავზე ავიდნენ ოპოზიციონერები და სროლას დაიწყებენო. ჩვენ ავუხსენით, რომ უნივერსიტეტში არავინ შესულა, რომ დილიდან აქ ვართ და ყველას ვიცნობთ, მაგრამ ვერ დავაჯერეთ. მერე ვუთხარი ერთ ქალს, რომ, თუ უნდოდათ, წამოგვყოლოდნენ სხვენში და დავათვალიერებინებდით იქაურობას. რა თქმა უნდა, არ წამოგვყვნენ. ყაყანით იქაურობა აიკლეს. ერთი გაიძახოდა: მთელი უბედურება აქედან იწყებაო. მეორემ რექტორს ჰკითხა: როგორ აჩერებდნენ უნივერსიტეტში ისეთ მეცნიერს როგორც ნოდარ ლომოურია? რექტორმა როინ მეტრეველმა უპასუხა, რომ ლომოური არ არის უნივერსიტეტის თანამშრომელი და ისინიც ცოტათი დამშვიდნენ. შემდეგ ხალხი თანდათან დაიშალა. ისევ სხვადასხვა ცნობები მოდის. ზვიად გამსახურდიას მომხრეები ამბობენ, კიტოვანი დაჭრილია და პირველ საავადმყოფოში წევსო, ხავთასი ტყვედ ჩაიგდესო, ადამია კი გაიქცაო. მათივე ცნობით, სასტუმრო „თბილისის" პირველი სართული აღებულია. ოპოზიციის მომხრეები ამბობენ, რომ პრეზიდენტს დღეს ღამის 12 საათამდე მისცეს ბოლო ვადა, შემდეგ კი დაიწყებენ მთავრობის სასახლის შტურმსო. აქვთ რაკეტები „ზემლია-ვოზდუხ", სულ 4 ცალი. ეტყობა, დღეს ღამით გაირკვევა ყველაფერი. დღეს ოფიციალურად გადადგა მიხეილ გორბაჩოვი.

26 დეკემბერი

2 საათისთვის უნივერსიტეტელმა ზვიადისტებმა ისევ მოაწყვეს მიტინგი. აშკარად ჩანს, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია სამხედრო ძალით ჩაახშოს ოპოზიციის გამოსვლა. ამიტომ ფიქრობენ ხალხის მობილიზაციას. მართალია, ძალიან ტრაბახობენ, რომ ოპოზიციას ბოლო ელება, მაგრამ რაღაც არ მჯერა. საერთოდ იმდენ ტყუილს ლაპარაკობენ, რომ ჩემმა მტერმა უსმინა. ერთი გამაგებინა, ეს ეპიტაშვილი სად არის? როგორ ტრაბახობდნენ, ბანაკი თბილისის ზღვაზე აიღო, ორი ჯავშანტრანსპორტიორი ააფეთქა, თვითონ კი ოთხი ჯავშანტრანსპორტიორით შევიდა მთავრობის სახლის ეზოშიო.

27 დეკემბერი

„საქართველოს რესპუბლიკაში" ვკითხულობ: ვაჟა ადამიას ბანდებს დაკავებული აქვთ თავისუფლების მოედნის მხარე, სროლები მიმდინარეობდა პუშკინისა და ლესელიძის ქუჩებზე, კიტოვანის ხალხს დაკავებული აქვს კავშირგაბმულობის შენობა. გაზეთის ცნობით, დანარჩენ ტერიტორიას ეროვნული ძალები აკონტროლებენ. ამ პატარა განცხადებიდან ჩანს, რომ ხელისუფლებას კარგად არა აქვს საქმე, რადგან მაშინ უფრო სატრაბახოს დაწერდნენ. ჩემი აზრით, საბრძოლო გამოცდილება ოპოზიციის მხარეზეა. ადამიას ხალხი ნაბრძოლია სამაჩაბლოში. კიტოვანის ბიჭები ვნახე, მოგეწონება ისეთი ნაღდი თბილისელები არიან, საკმაოდ კარგი გარეგნობისა. ზვიადის გვარდიაც ვნახე, საცოდაობაა. ამავე დროს, უკანდასახევი გზა ოპოზიციის ძალებს არა აქვთ, რადგან ყველას დახვრეტენ. ამიტომ ოპოზიცია უფრო გულმოდგინებით იბრძვის. ზვიად გამსახურდიასთან თავმოყრილია მლიქვნელებისა და კარიერისტების ჯგუფი, მილიცია საერთოდ არ ეხმარება ხელისუფლებას, მათაც ხელს აძლევთ ოპოზიციის გამარჯვება, რადგან მთავრობა მათაც მოუტრიალდება და არ შეარჩენს უმოქმედობას.

დღეს ოპოზიციამ გაანთავისუფლა პოლიტპატიმრები.

28 დეკემბერი

შუქი გამორთულია. დაგვირეკეს და გვაცნობეს, რომ ტელევიზიით გამოდიან: ოპოზიციიდან — კიტოვანის მოადგილე და ხელისუფლებიდან – სამხედრო მინისტრის მოადგილე ბესიკ ქუთათელაძე. იწყება მოლაპარაკება. ეტყობა ზვიადის საქმე არ არის კარგად. ტელეფონით გვითხრეს, რომ ოპოზიციამ მთავრობის სასახლის ორი სართული აიღოო. გავრცელდა ხმა, ზვიადი დააპატიმრესო. 2 საათზე ჩემმა სიდედრმა დარეკა და გვითხრა: დიდი სროლა ატყდაო. არა მჯერა, რომ ზვიადი დაჭერილი ყავდეთ. ეტყობა, ოპოზიცია მთავრობის სასახლეში შევიდა, მაგრამ ზვიადი არ დანებდა. 5 საათსა და 30 წუთზე ტელევიზიით გამოვიდა დიქტორი თენგიზ ნათაძე. მან ასეთი ცნობა გადასცა: შეიკრიბნენ მინისტრი **ჯონი ხეცურიანი**, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი **ვანო ჭელიძე**, უშიშროების მინისტრის მოადგილე **ანზორ მაისურაძე**, მილიციის სკოლის დირექტორი გივი კვანტალიანი, სამხედრო მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ გიორგაძე, სამხედრო მინისტრის მოადგილე **ბესიკ ქუთათელაძე**, მერაბ კოსტავას საზოგადოებიდან და თენგიზ კიტოვანისგან — ანზორ საკანდელიძე. მათ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება: 18 საათიდან შეწყდეს ცეცხლი, ხოლო საღამოს 9 საათისთვის ორივე მხარე შეხვდეს მოსალაპარაკებლად, რომელი მხარეც არ გამოცხადდება მოლაპარაკებაზე, პასუხისმგებლობა მას დაეკისრება. 19 საათსა და 15 წუთზე თენგიზ ნათაძე აცხადებს, რომ ცეცხლი წაეკიდა სასტუმრო „თბილისს“ და კავშირგაბმულობის შენობას, ხოლო უზენაესი საბჭოს შენობიდან ისევ ისვრიან და მეხანძრეებს საშუალებას არ აძლევენ ცეცხლი ჩააქრონ. რამდენიმე მეხანძრე დაიჭრა და ითხოვენ, რომ შეწყდეს სროლა.

29 დეკემბერი

გუშინ ღამით გამოსულა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესიკ ქუთათელაძე, რომელსაც უთქვამს, რომ სამი დღე იყო პრეზიდენტთან და თვლის, რომ პრეზიდენტის მოქმედება ამჟამად არ არის სწორი. ზვიად გამსახურდიას ხშირად მოჰყავს გენერალ დე გოლის მაგალითი, მაგრამ ავიწყდება, რომ როდესაც დე გოლის გამო კინაღამ სამოქალაქო ომი დაიწყო საფრანგეთში, იგი გადადგა.

დღეს ტელევიზია არ მუშაობს. შინ ვარ. როგორც მითხრეს, საღამოს ზვიადისტები დაძრულან ტელევიზიისკენ, ხოლო ორ საათზე ოპოზიციას მიტინგი გაუმართავს უნივერსიტეტთან. რუსეთის რადიომ გადმოსცა, რომ ძალაუფლება გადავიდა აკაკი ასათიანის ხელში. ცნობილი არ არის, დათანხმდა იგი თუ არა ამას. ნოდარ გიორგაძეს გამოუცხადებია, რომ ავღანელები არცერთის მხარეზე არ იბრძოლებენო.

30 დეკემბერი

მდგომარეობა დღესაც გაურკვეველია. ქუჩაში მანქანითაც ძალზე საშიში გახდა სიარული. ჩემს მეზობელს, ზურიკო ახვლედიანს შემთხვევით მანქანა დაუცხრილეს რესტორან „მტკვართან“, ძლივს გადარჩა. არ გამართლდა ის ჭორი, თითქოს ზვიად გამსახურდია დაკავებული იყო. ამავე დროს აღნიშნეს, რომ ჯაბა იოსელიანი შეიარაღდა თავის მხედრიონთან ერთად. აკად. მინდია სალუქვაძემ სწორად უთხრა ზვიადს, რომ მას გააჩნდა დიდი დამანგრეველი ძალა და რომ მან თავისი მისია ამოწურა. ზვიადს არ გააჩნია აღმშენებლობის უნარი. მას რომ ბრძოლის დიდი უნარი აქვს დაამტკიცა არა მარტო მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, არამედ ახლაც. საოცარია, რომ ზვიადის

გარშემო ფაქტობრივად არ დარჩა გონიერი ადამიანი. ზვიადი ფაქტობრივად მარტო ებრძვის ყველა ოპოზიციურ პარტიას, ყველა შეიარაღებულ ფორმირებას. თბილისი მართლაც გადაიქცევა მკვდარ ქალაქად. სიენ-ენმა გადმოსცა, რომ **თბილისი ბეირუთს ემსგავსება.**

31 დეკემბერი

რა შესანიშნავი ახალი წელი გვითენდება ქართველებს! **რომელი მტერი, რომელი რუსის ჯარი დაანგრევდა ასე თბილისს? ისე იბრძვიან, თითქოს მტრის ქალაქში არიან.** არ ვიცი, როდის მომიწევს იმ რუსთაველის პროსპექტის ნახვა, სადაც ჩემი ახალგაზრდობა გავატარე. ალბათ, გული გამისკდება. რა ძნელი ყოფილა, როდესაც არაფრის გაკეთება არ შეგიძლია. **ქალაქი გადაიქცა ქურდებისა და ნარკომანების თავშეყრის ადგილად.** ყველა მამაძაღლი ცდილობს როგორმე ხელი მოითბოს, ქუჩაში გასვლა საშიშია. რა თქმა უნდა, იციან, რომ ეს ყველაფერი დაბრალდება ან პოზიციას ან ოპოზიციას. არაფერი ინფორმაცია არ არის. თქვეს მხოლოდ, რომ მურმან ომანიძე და ნოდარ გიორგაძე დააპატიმრესო. საღამოს 9 საათსა და 15 წუთზე ჩართეს ტელევიზია. გადასცეს ბესიკ ქუთათელაძის სიტყვა და აჩვენეს რუსთაველზე როგორ ინვის სახლები. გული მოგიკვდება. **მხოლოდ ილიას და აკაკის ძეგლები დგას ამაყად. ილია რომ ცოცხალი ყოფილიყო, დღეს მასაც მოკლავდნენ, ოღონდ კი მიზანს მიაღწიონ!**

1992 წელი

1 იანვარი

დღისით ვიყავით ანდრო ჭელიძესთან. მოვედით საღამოს 8 საათზე. ტელევიზია ჩაირთო. გამოდიან მოქალაქეები და საუბრობენ, რომ პრეზიდენტი უნდა გადადგესო. ღამით თენგიზ სიგუა გამოვიდა ტელევიზიით.

2 იანვარი

დღეს ქალაქი ფაქტობრივად მკვდარია. საშინლად აცივდა, არ არის გათბობა, ტელეფონები გამორთულია. საღამოს ჩართეს ტელევიზია. ფიქრია ჩიხრაძეს მოვუსმინე. აბსოლუტურად სწორად ილაპარაკა. აჩვენეს ოთარ მელვინეთუხუცესის შეხვედრა გურჯაანში, რომელმაც განაცხადა: მე არ მიმიცია პრეზიდენტისთვის ხმა, მაგრამ, როცა იგი აირჩიეს, ყოველ სუფრაზე მის სადღეგრძელოს ვსვამდიო, სანამ არ დაუშვებდა საბედისწერო შეცდომებსო. ოთარ მელვინეთუხუცესს ჰკითხეს, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ჯაბა იოსელიანთან. მან უპასუხა: ჯაბას და ჩემი მასწავლებელი იყო, მე მათ ოჯახში გავიზარდე. ჯაბა შესანიშნავი თეატრმცოდნეა, მან თავი გადადო საქართველოსთვის, ამიტომ მოვანერე მის განთავისუფლებაზე ხელიო. ო. მელვინეთუხუცესმა აღნიშნა: 9 აპრილს ყველა ერთად ვიყავით, ვინ მოახდინა ერის ორად გახლეჩა? არავის აქვს უფლება ერი გახლიჩოს. ზვიად გამსახურდიამ ყველა ძმაკაცი გაყიდა, ამიტომ არ შემიძლია მის გვერდით ვიყოო. მართლაც, როდესაც ზვიად გამსახურდიამ დაიწყო დაპირისპირება და გათიშა ეროვნული მოძრაობა, ეს დაპირისპირება შემდგომში გადავიდა მთელ ერში. აი, აქედან დაიწყო დიდი უბედურება. აკაკი ასათიანის მიმართვაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კატასტროფა ემუქრება. კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით აკაკი ასათიანის აზრით აუცილებელია:

1. შეიქმნას ეროვნული ხსნის კომიტეტი;
2. დაინიშნოს პარლამენტის ახალი არჩევნები.

აკაკი ასათიანი აცხადებს, რომ მას პრეზიდენტობაზე არც უფიქრია, მაგრამ არ ტოვებს თანამდებობას და იმედი აქვს მოსახლეობის მხარდაჭერისა.

გადაიცა სამხედრო საბჭოს მიმართვა: პრეზიდენტის ძალაუფლება გაუქმებულია, ხოლო ბესარიონ გუგუშვილი გადაყენებულია. შემოღებულია საგანგებო წესები – 23 საათიდან 6 საათამდე. სამხედრო საბჭოს სახელით ამ განცხადებას ხელს აწერდნენ თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი.

ინტერვიუ თ. კიტოვანთან და ჯ. იოსელიანთან. **თ. კიტოვანმა** თქვა: ჩვენ 19 სექტემბერს შეგვეძლო გადაგვეყენებინა გამსახურდია, მაგრამ იტყოდნენ, რომ ეს იყო პუტჩი. ახლა მსოფლიო მიხვდა, რომ ზ. გამსახურდია იყო დიქტატორი.

ვალერი კვარაცხელია შეეკითხა **ჯ. იოსელიანს:** რას იტყოდით პრეზიდენტის ძალით დამხობის შესახებ?

ჯ. იოსელიანი — პრეზიდენტმა აღიარა 1948 წლის ადამიანთა უფლებების დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია, რომ დიქტატორობის წინააღმდეგ ბრძოლა სამართლიანია. ჯ. იოსელიანმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 1978 წელს ზ. გამსახურდიას უზნეო გამოსვლამ შეგვარცხვინა ქართველებიო.

ვ. კვარაცხელია: თანამდებობა ხომ არ გინდათ?

ჯ. იოსელიანი: არ გამოვრიცხავ.

თ. კიტოვანი: მე გავაფრთხილე გამსახურდია, რომ, ვინც პირველი გაისროდა, ის წააგებდა. 22-ში დილით მათ გაისროლეს. ახლა რომ არ მომხდარიყო ეს ამბავი, ის 1937 წელს მოანყობდა.

ვ. კვარაცხელია: რა გარანტიაა, რომ დიქტატურა არ იქნება?

ჯ. იოსელიანი: საქართველო წავა საპარლამენტო გზით.

ვ. კვარაცხელია: უკვე კვირანახევარია ომი მიდის, თუ ძალები არ გეყოთ?

თ. კიტოვანი: ჩვენ თავს ვიკავებთ იმიტომ, რომ იქ ბევრი ბავშვია. იქ ზვიად გამსახურდია მიტინგებს ანყობს, ვადა ხვალამდე მივეცით. რაც სისხლი დაიღვრება მის ნამუსზე იყოს.

ვ. კვარაცხელია: იქნება თუ არა შურისძიება.

ჯ. იოსელიანი: წინააღმდეგი ვიქნები. მოვიდნენ ექსპერტები და ნახონ, რა ძალა გაგვაჩნია, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს.

თენგიზ ნათაძემ გადასცა ინფორმაცია: დღეს ჩამოვიდა სომხეთის დელეგაცია – მანუჩარიანი და ვარდანიანი. მათ დავალებული აქვთ შუამავლობა. 2 იანვარს 22 საათამდე ორივე მხარემ უნდა გამოაგზავნოს ნარმომადგენლები. თენგიზ სიგუა ითხოვს, რომ ბაკურ გულუა მოვიდეს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია აცხადებს: „ხალხი ილუპება, რუსთაველი განადგურებულია".

ტელევიზიით გამოვიდნენ ვახტანგ კიკაბიძე და ოთარ ლითანიშვილი. მათ თქვეს, რომ თავისი სურვილით მოვიდნენ ტელევიზიაში.

ვახტანგ კიკაბიძე: მინდა მოგილოცოთ ყველაზე უბედური 1992 წელი. თუ ჩვენ რაიმე არ მოვიმოქმედეთ, დავიღუპებით. დროა ხალხმა ტვინი გაანძრიოს. 31-ში მცხეთის გზატკეცილზე ვიყავი. **ვიცოდით, რომ დიდი იარაღი უნდა შემოსულიყო და გზა გადავკეტეთ.** გავაჩერეთ სასწრაფო, რომელშიც იდო 12 რაკეტა, რამდენიმე ავტომატი, არ ვასახელებ იმ ქალაქებს, საიდანაც იარაღი მოჰქონდათ. აფრიკის არცერთ ქვეყანაში არ არის ისეთი მდგომარეობა, როგორც ჩვენთან.

ოთარ ლითანიშვილი: რუსთაველის გამზირი დაინგრა. მიმაჩნია, რომ ტრაგედია მარტო ის არ არის, რომ შენობებს ანგრევენ, ტრაგედიაა ის, რომ მეგრელი — გურულს, დედა — შვილს ესერის... მე მინდა დავდგეთ ერთად.

ვახტანგ კიკაბიძე: მე ყვავილებით ხელში ნავედი ამ ხელისუფლების ასარჩევად.

3 იანვარი

დღეს მოვუსმინე პროფ. ნოდარ ლომოურს, რომელმაც ბრალი დასდო პრეზიდენტს შექმნილ ვითარებაში. როგორ შეიძლება, რომ ოპოზიცია იჯდეს სასტუმრო „თბილისში" და თვითონვე დანვას შენობა?! შემდეგ ოპოზიცია შევიდა მხატვრის სახლში და ისიც დანვეს, შევიდნენ კავშირგაბმულობის შენობაში და ისიც დანვეს.

ტელევიზიით გამოვიდა გურამ მუჩაიძე, შემდეგ ირაკლი სურგულაძე და სხვები. ირაკლი სურგულაძემ განაცხადა, რომ ზვიადი ცდილობდა პიროვნების კულტის დანერგვას და რომ ხელისუფლება ინტელიგენციის წინააღმდეგ იბრძოდა.

ლანა ღოღობერიძე: როგორ ერთ მუშტად ვიყავით შეკრული 9 აპრილის შემდეგ. ამ ხალხმა ჩაატარა მრავალპარტიული არჩევნები. რა მოხდა შემდეგ? შემოქმედებით ინტელიგენციას უნდოდა თავის საქმეს შედგომოდა. ჩვენ გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ „მრგვალი მაგიდა" შეძლებდა მდგომარეობის გაუმჯობესებას. პირველი დარტყმა მათ განახორციელეს „ქართულ ფილმზე". იმედი მაქვს, ნახავთ ამ ფირს. ნულეისკირი, გუგუშვილი და მარჯანიშვილი გვენივნენ გამზადებული ბრძანებით, ისეთი ბრძოლა გაგვიმართეს, თითქოს მტერს ებრძოდნენ. „ქართული ფილმი" აღარ არსებობს. მეორე ეტაპზე იყო ინტელიგენციის შეხვედრა პრეზიდენტთან. ჩვენ გვინდოდა გვეთქვა სიმართლე, რომ ხელისუფლებასთან დიალოგი გვინდოდა. მესამე ეტაპი სექტემბრის ამბებს უკავშირდება. სისხლი არ დაიღვრებოდა, ხალხში რომ არ ყოფილიყო გამჯდარი, ოპოზიციაში მოღალატეები არიანო.

ჩვენ თავს უნდა დავუბრუნდეთ. საქენერგომ მთელი წლის განმავლობაში ვერ გადაწყვიტა საწარმოს პრობლემები ვერც რესპუბლიკაში, ვერც მის გარეთ. გუგუშვილი იქამდე მივიდა, რომ უკანასკნელი მეტალი აზერბაიჯანში გაყიდა. იქ ყველა საწარმო მუშაობს, ჩვენთან 70% არ მუშაობს. ხელმძღვანელობაში მოვიდა ხალხი, რომელსაც უნდოდა თავი გამოეჩინა ლოზუნგებით. მე ვარ მომსწრე იმისა, რომ ფინანსთა მინისტრმა განაცხადა ასეთი რამ: არ არის საჭირო მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერებმა დაწერონ წიგნი და გაყიდონ.

ღამით მოვისმინე მინისტრების დანიშვნის შესახებ: სამხედრო მინისტრი — **შარაშენიძე,** შინაგან საქმეთა მინისტრი — **დავით სალარიძე,** ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — **ირაკლი მენაღარიშვილი,** ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — **ჯინჯიხაძე.**

15 საათზე გამოვიდა მარიკა ლორთქიფანიძე. მან განაცხადა — როცა საქართველო დამოუკიდებელ სამეფოებად დაიშალა და ქვეყნის ერთი ნაწილი თურქეთში აღმოჩნდა, მაშინაც არ დაშლილა ერთსულოვნება. შეგნება მაინც შენარჩუნებული იყო მონინავე ადამიანების მიერ. მერე იგონებს აჭარის დაბრუნებას. შემდეგ მარიკამ განაცხადა: ხდება ის, რაც ბოლშევიკებმა 70 წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს. მე მივმართავ ყველა ქართველს, ყველა ერთად უნდა ვიყოთ. ის, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში მოხდა ჩვენი გათიშულობის მიზეზი იყო. ზვიადს დიდი დამსახურება აქვს: ცნობილია მისი ბრძოლა ქართული ენის, ეკლესიისთვის და ბევრი სხვაც გააკეთა. ამჯერად ბატონმა ზვიადმა თავი უნდა გადადოს საქართველოსთვის. 2 სექტემბრის შემდეგ მე ვუთხარი ზვიადს: სამოქალაქო ომის გამო თქვენ მოგთხოვენ პასუხს, იმიტომ, რომ თქვენ ხართ პრეზიდენტი.

3 იანვარს გაიმართა პოლიტიკური პარტიების სხდომა, გამოქვეყნდა მათი განცხადება.

ტელევიზიით გამოდის **მანანა გიგინეიშვილი** და ამბობს: ბუნკერში ჩაკეტილი პრეზიდენტი გაიძახის, რომ, თუ ის დაიღუპება, დაიღუპება საქართველო. ამას ნინათ ზვიად გამსახურდია ჩვენს სტუდენტებს შეხვდა და უთხრა: იშიმშილეთ, მასების აგორება მე შემიძლიაო (ადრე გამოსულა აკაკი ბაქრაძე, მაგრამ შუქი გამორთული იყო). ბევრი სისულელე მოვისმინეთ, ამბობს ქალბატონი მანანა, თვითმარქვია მესიას ნუ დავანგრევინებთ საქართველოს.

გიგა ლორთქიფანიძე: ყველას ერთი აქვს ტკივილი.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგია იწონებს სამხედრო საბჭოს მიერ გენერალურ პროკურორად ვახტანგ რაზმაძის დანიშვნას.

კიტოვანის მოადგილემ განაცხადა, რომ პრეზიდენტს ხვალამდე მივცემთ დროს, თუ არა და ჩამოვაგდებთ ბომბს და შემდეგ მთავრობის სახლის ადგილას ავაშენებთ ეკლესიასო.

ერთი პატარა ბიჭი სოფ. ნიქოზიდან ტელევიზიით გამოსვლისას პყვება: 21 დეკემბერს დაგვირიგეს იარაღი, მოგვათავსეს ბუნკერში და იქიდან არ გვიშვებდნენ, უჩავას ხალხი მოვიდა, ის არის შტაბის უფროსი, მერე რამდენიმეს ავტომატები წაგვართვეს.

გამოვიდა დეპუტატი, სახეზე ვიცნობ. იგი გარკვეულ ხანს ყოფილა ცენტრალური კომიტეტის შენობაში. იქ იყო სოხუმის ბატალიონი და ომონი. სოხუმის ბატალიონის გამოყვანისას ამტყდარა სროლა ჩასასვლელთან. სროლა ამტყდარა მეორე სართულიდან, სამი კაცი დაჭრეს, გამოსვლის საშუალება არ მისცეს.

ექიმი **პაატა როინიშვილი:** უზენაეს საბჭოში მოვხვდი. იქ ორი მიცვალებული და 30 დაჭრილი იყო. ქუჩაში გამოვედი, აღმაშენებლის ხეივანში დამაკავეს, თან მქონდა ნაგანი და ყუმბარა. ბუნკერში იყო თვითმკვლელობის ცდა. გვარდიელებს წა-

მოსვლა უნდოდათ, მათ მითხრეს, რომ იარაღი არ ჰქონდათ.

გალის პრეფექტი: ჩავედი ბუნკერში, 22-27 კაცი ვიყავით. ეს იყო საშინელება.

ზუგდიდელი მილიციელი ქვარაია: ჩამოგვიყვანა მილიციის უფროსმა, გვქონდა მაკაროვის სისტემის პისტოლეტები.

მძღოლი ლაშხია: ამაყენეს ლოგინიდან 5 საათსა და 30 წუთზე. წამოვედით.

მილიციის კაპიტანი **ჩორგოლაშვილი**: ღამის ორ საათზე მომაკითხეს. მილიციის უფროსმა გამომძახა, ჩავჯექით ავტობუსებში, 43 კაცი იყო შეკრებილი, გვახლდა ფოთის მილიციის უფროსის მოადგილე მაიორი მიქაძე.

გადასცეს სამხედრო საბჭოს განცხადება: მეტრო დიდუბესთან გაიმართა მიტინგი, დაიღვარა სისხლი. სამხედრო კომენდატის ბრძანება: დაეკალოს მილიციის სამმართველოს არ დაუშვას ხალხის შეკრება.

ჯ. ჩარკვიანი: 31 დეკემბერს იმდენი სროლა იყო, გამიკვირდა. რა უხაროდათ? ეტყობა, იმდენად ანერვიულებულია ხალხი, რომ კონტროლს ვეღარ უნევენ. ოპოზიცია ებრძვის უზნეობას.

4 იანვარი

აკაკი ბაქრაძის ინტერვიუ გაიმეორეს. მან აღნიშნა:

ქართველებო! და არაქართველებო! არსებითად განადგურებულია რუსთაველის პროსპექტი. ღმერთმა არ ქნას, ეს მთელ საქართველოს მოედოს. მე გამოვაქვეყნე „ცნობიერების ლიბანიზაცია“, რომლის ყველა დადებითი თვისება გამოვამეღავნეთ. ისედაც გაპარტახებული ეკონომიკა დაინგრევა, გაიძარცვება მუზეუმები, არ იქნება თეატრი, კინო, მოისპობა განათლება. მივექანებით უფსკრულისაკენ. საქართველო დაქუცმაცდება, დავკარგავთ შიდა ქართლს, აფხაზეთი გამოეყოფა საქართველოს, თურქეთი წაგვართმევს აჭარას, აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებული ოლქების მოსახლეობა დახმარებისათვის მიმართავს თავიანთ სახელმწიფოებს.

აჩვენებენ „ქართულ ფილმში“ შეხვედრის კადრებს. „ქართული ფილმის“ თანამშრომლებს ეუბნებიან: რადგან ფულს ბიუჯეტი გიხდით, თქვენ ხართ დაქვემდებარებული ორგანიზაცია... რეზო ჩხეიძეს დიდი დამსახურება აქვს, მაგრამ ჰყავს ბევრი მოწინააღმდეგე, ამიტომ დირექტორის თანამდებობა უნდა გაუქმდეს და მმართველობა კოლექტიური გახდეს.

ბესარიონ გუგუშვილი: კინოსტუდია იყო სოციალისტური, სისტემა უნდა შეიცვალოს, რომ პროცესი დემოკრატიულად წარიმართოს, ახალი სისტემა შეიქმნება, უნდა შეიქმნას ადმინისტრაციული საბჭო კინოზე ომის შემდეგ ნახევარი მილიარდი დაიხარჯა.

ფულს, რომელსაც სახელმწიფო გაძლევთ, მისი სურვილით უნდა დაიხარჯოს. ლაშამ გვითხრა, ჩვენი აზრი უნდა გაინტერესებდეთო, კი ბატონო, მაგრამ ეს არის ბრძანება, უნდა მიეჩვიოთ, რომ მილიონების პატრონი თქვენ არა ხართ.

ელდარ შენგელაია: ამაში ჩაქსოვილია მთელი ჩვენი ცხოვრება, თქვენ კი პირდაპირ ბრძანებით მოხვედით, ეს უკვე შეცდომაა, მანამდე უნდა შევხვედროდით. ვინ გადანყვიტა, რომელმა პროფესიონალმა. მე მივმართე ქორიძეს, მან მითხრა: თუ კინოს საკითხი განიხილებოდა დავესწრებოდი მაინცო.

ნოდარ წულეისკირი: მე გირეკავდით გუშინ და გუშინწინ.

ელდარ შენგელაია: საბჭოთა სტრუქტურებმა ერთი წელია უარი თქვეს ამ დიქტატზე. მთავარია, რომ ჩვენი ბედი გადაწყვიტეს არაპროფესიონალებმა. მე არ მესმის (მიმართავს ნ. წულეისკირს), რა შუაშია პარტიები და კინოსტუდია. ყოველივე ამას დირექტორი გადააყოლეთ, რომელიც საერთოდ პოლიტიკაში არ ერევა. მხოლოდ ერ-

თობლივი მუშაობით შევძლებთ საქმის გაკეთებას. რას ნიშნავს ფართო მასების წარმომადგენელი? ეს არის კომუნისტური ფორმა.

ბ. გუგუშვილი: გარდაქმნა უნდა დაიწყოს და მასში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ლანა ღოღობერიძე: ჩვენ ყველამ ვიბრძოლეთ, რომ რუსეთის დიქტატურა დაგვენგრია და ეს ჩვენ მოვახერხეთ, გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ, კერძოდ „მრგვალმა მაგიდამ" და დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლეთ. მე მეშინია საერთოდ ასეთი შეცდომებით არ ვიაროთ. მე გავოცდი: მოსკოვიდან აღარ მიმიღია ბრძანება და ახლა თქვენ გვიგზავნით.

ბ. გუგუშვილი: ის, რაც თქვით, გასაგებია, მაგრამ ფულს გაძლევთ ჩვენ. თუ არ გინდათ ბრძანება, იყოს პროექტი.

ნ. ნულეისკირს წამოცდა: ხომ იცით, რატომ ხდება ყველაფერი ეს? (კერძოდ მან ყველას გააგებინა, რომ რეზო ჩხეიძის საკითხი გადაწყვეტილი იყო).

მამუკა კიკალეიშვილი: მაშინ რისთვის შეგვყარეთ? გამოგეკრათ ქვემოთ ბრძანება და ნავიკითხავდით. ცხვრები ხომ არ ვართ?

ქეთი დოლიძე: გვითხარით პირდაპირ, რომ რეზოს მოცილება გინდათ...

თემურ ბაბლუანი: ერთხელ მივიღე მონაწილეობა პოლიტიკაში. ეს იყო 9 აპრილს. ნეკნები დამიმტვრიეს. მამამ მითხრა: არ ჩაერიო პოლიტიკაში და არ მოიპაროო. ყველა ქართველები არა ვართ. სიყვარულის გარდა არაფერი გვიშველის. აქ არიან ისეთი პროფესიონალები, რომლებიც მსოფლიოს ყველა ქვეყანას დაამშვენებდნენ. თქვენ რაც არ უნდა თქვათ, ეს საქმე არ იცით. ახლა დანა რომ მოგცეთ და ქირურგად გაგიშვათ, ხომ არ მოკლავთ კაცს?

ნ. ნულეისკირი: ახლა ასეთი ვითარებაა, თქვენ რეზოს დამცველები ხართ და ჩვენ მოწინააღმდეგეები, ბრძანება არ შეიცვლება.

ლ. ღოღობერიძე: ამდენმა ხალხმა ამდენი ილაპარაკა, გამოდის, რომ სულ ტყუილად. გინდათ ცხვრები ვიყოთ, მე მეგონა რომ გესმით: საქმე ეხება ქართულ კულტურას.

ნანა ჯორჯაძე: მე თქვენი ცინიზმის გამო მეტირება, თქვენ მარიონეტები ხართ...

ომარ გვასალია: თქვენ ოთხი საათის განმავლობაში გისმენდით. არცერთმა არ მიიღო თქვენი ბრძანება...

გურამ ფანჯიკიძე გამოდის ტელევიზიით: ვერ წარმომედგინა, რომ ასე მოგილოცავდით. ამას წინათ მე, გოგი ქავთარაძე და თამაზ წივწივაძე მივდიოდით, მანქანა გაგვიფუჭდა, მუშებმა მანქანა გაგვიკეთეს და მერე გეკითხეს: სუნი გვდისო? გავოცდით. თურმე მთავრობის სასახლეში არსებული ტელევიზია აცხადება, რომ ინტელიგენცია აბუჩად იგდებდა მშრომელ ხალხს. რა ღვარძლი, ცილისნამება იყო მიმართული ინტელიგენციის წინააღმდეგ... „ლიტერატურული გაზეთი" ფაშისტურად გამოაცხადეს, ხოლო 70 მწერალი — მოღალატეთ, ისიც დანერეს, რომ მწერლები პუტჩშიც მონაწილეობდნენო.

მერაბ კოსტავას მეუღლე: ზვიად გამსახურდიას მოსვლამ სადამდე მიგვიყვანა. 1978 წელს, როდესაც მერაბი პერმში ვინახულე, ზვიადზე შეეკითხე: არა უშავს, მე ვაპატიე და აპატიებს მთელი საქართველო. როცა ზვიადი კოჩუბეიდან დაბრუნდა, მან თვითონ დაწერა, თითქოს ეს შეთანხმებული იყო კოსტავასთანო.

გიორგი მაისურაძე: ავთო რცხილაძემ გვითხრა — მოწამლული თაობა ხართო...

სტუდენტები ეკითხებიან აკაკი ასათიანს: რა უნდა იმის გაგებას თუ ვინ გასცა ბრძანება 2 სექტემბერს? ვინ არიან ის ქალბატონები, რომლებსაც იფარავენ პარლამენტის შენობაში.

ფიქრია ჩიხრაძე: ნუ მიეჩვიეთ იმ აზრს, რომ ადამიანები დეგენერატები არიან.

გვარდიის მთავარი ექიმი: 16 გვარდიელი მოკლეს, 60 დაჭრეს, ძირითადად სნაიპერებმა.

აეროპორტში აჩვენებენ ჩეჩნებს. რადიოთი ვუსმენ გიორგი და ელდარ შენგელაიებს.

ინტერვიუ მურმან ომანიძესთან: ბუნკერში რომ მივედი პირდაპირ შემაგდეს ოთახში, სადაც შევხვდი ნოდარ გიორგაძეს, ხელზე ბორკილები დამადეს. მე ვუთხარი: ან გამიშვით, ან ნუ დამცინით. გასროლის ხმა გავიგონე. მეც გამიყვანეს და კედელთან მიმაყენეს. ღამის 3 საათზე გამომიყვანეს, მანქანაში მეძინა. პრეზიდენტთან მქონდა საუბარი. ვინ მისცა მათ უფლება ასე დამცინონ? ჩემი მეგობრების დახმარებით გამოვედი. მე არ ვამართლებ არცერთ მხარეს. ზვიადს დიდი უნარი ჰქონდა მეგობრები მტრებად გადაექცია.

კორ.: როგორ დაიწყო შეტაკება?

მ. ომანიძე: ყველას იგნორირება და იმის რწმენა, რომ ყველაფერი შენ ხარ. მიუხედავად იმისა, რომ ის პრეზიდენტად აირჩიეს 87%-ით, ის მაინც დისიდენტად რჩებოდა...

სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდიუმი მხარს უჭერს პრეზიდენტის გადადგომას, რათა დამყარდეს მშვიდობა.

ირინა სარიშვილი: ამჟამად ზვიად გამსახურდია არ არის პრობლემა. საქართველოს სირცხვილი ის არის, რომ ის საქართველოს პრეზიდენტი იყო. მცირერიცხოვანი ნაწილი ფიქრობს, რომ უნდა გაუსწორდეს ოპოზიციას: არის ხალხი, რომლებიც ორივე მხარის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი. უმრავლესობა მხარს უჭერს ოპოზიციას. რომ არ ყოფილიყო ასეთი ხელისუფლება, არ იქნებოდა შეიარაღებული შეტაკება. მან მისი მხარდამჭერები მტრებად გადააქცია.

აჩვენებენ დათო ბერძენიშვილის გამოსელას 29 ნოემბერს, სადაც ის ამბობს, რომ პრეზიდენტის მოქმედებას ისტორია უარყოფითად შეაფასებს.

2 დეკემბერს გიორგი მაისურაძეს კარგი რამე უთქვამს: რუსთაველზე უცხოელი რომ გაივლის თავი ულან-ბატორში ეგონებაო (გულისხმობდა რუსთაველზე გაშლილ კარვებს).

5 იანვარი

ინტერვიუ შინაგანი ჯარების სარდალთან, **ვანო ჭელიძესთან**: სარდალი აცხადებს, რომ საომარ მოქმედებებს წყვეტენ...

ინტერვიუ ცნობილ თ. ეპიტაშვილთან.

კორ.: თქვენზე უამრავ ამბებს ყვებოდნენ, თბილისის ზღვის მიდამოები და რუსთაველი დაიკავაო...

ეპიტაშვილი: ერთი ტყვია არ გამისროლია, ქართველს ტყვიას არ ვესვრი. 8-10 დღეა გორიდან ნამოვედი. მდგომარეობა დაძაბულია, იტაცებენ ხალხს, პირუტყვს...

ინტერვიუ **მერაბ კვიტაიშვილთან**: სასწრაფო დახმარების მანქანის ბოლო გამოძახება გუშინ იყო. მძღოლებს ხშირად ეშინიათ.

6 იანვარი

გადმოსცეს, რომ ზვიადი, თანმხლებ პირებთან ერთად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შევიდა და შეიძლება სომხეთისაკენ გაემართოს.

ნოდარ გიორგაძე გამოდის ტელევიზიით. მასზე ამბობდნენ, რომ დახვრიტეს. ის ამბობს: ჩემი დაკავება გამომდინარეობდა იქიდან, რომ ზედმეტი ინიციატივა გამოვიჩინე სამშვიდობო საკითხებზე. თანამოაზრეები იქ ვერ მოვძებნე, ზოგიერთმა მანდილოსანმა განაცხადა, რომ თავს მოიკლავდა. ასეთი ზემოქმედების ქვეშ იყო ყველა, ვისაც მშვიდობა უნდოდა. ჩემმა ბიჭებმა ოთხჯერ შემომთავაზეს გასვლა უზენაესი საბჭოს შენობიდან, ერთი კაცის საშვით, მაგრამ უარი ვუთხარი. ჩვენ მორ-

ალური უფლება არა გვაქვს ერთი კაცით ავწონოთ ერის ბედი. აქ ისეთი რამე ნახეს ჩემმა ბიჭებმა ავღანეთში რომ არ უნახავთ. გული გიკვდება, როცა უყურებ, როგორ არ ინდობს ქართველი ქართველს.

აჩვენებენ რუსთაველის პროსპექტს. საშინელი სანახავია. პირველი სკოლა აღარ არსებობს, აღარ არსებობს მხატვრის სახლი.

დაჭერილები არიან ნემო ბურჭულაძე, ირინა ტალიაშვილი, მერაბ კიკნაძე, ტარიელ გელანტია.

საღამოს მონანილეობა მივიღე რეიდში, ვაჩერებდით ავტომობილებს და ვჩხრეკდით. გავაჩერე ერთი მანქანა. საჭესთან იჯდა ჩემი ყოფილი მეზობელი თამაზ შილაკაძე, სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი. მის გვერდით იჯდა ნოდარ ნათაძე. ორივეს გამოველაპარაკე და მალე დავცილდით. შემხვდა ერთი ფიზიკოსი, ვიცანი დოლიძე. ჩემთან ერთად იდგა ჩემი მეგობარი ვალიკო კანდელაკი. რამდენჯერმე მოვიდა ვაკის მილიციიდან შატო იოსელიანი.*

7 იანვარი

თენგიზ სიგუას გამოსელა: 6 იანვარს გაიმარჯვა სახალხო აჯანყებამ. დიქტატურის დამარცხება უსისხლოდ ვერ მოხერხდა. ეს აჯანყება მიზნად ისახავს სოციალისტური სტრუქტურების მოსპობას. მოვინანიოთ და ერთად გავიმარჯვებთ.

თამაზ ნინუა განთავისუფლდა უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან, დაინიშნა ანზორ მაისურაძე.

მერაბ კიკნაძეს მიადგა ერთი ტყვე და განაცხადა, რომ ის აგინებდა და ცემდა ტყვეებს. მერაბ კიკნაძემ უპასუხა, რომ არცერთ ტყვესთან ურთიერთობა არ ჰქონია, ტყვემ უთხრა: არ დამავიწყდება შენი სახეო. იმავე ტყვემ განაცხადა, რომ დეპუტატი დიასამიძე დაკავებული იყო. ის დეპუტატთა ოთახში იყო, სადაც ერთი დღე დაჰყო, მერე ჩვენთან იჯდაო. დაპატიმრებულებს იარაღი ჰქონდათ – ამბობს მერაბ კიკნაძე. მისი თქმით, ტყვეები სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ.

ჟურნალისტი: რას წარმოადგენს ბუნკერი?

მერაბ კიკნაძე: იქ არის სასადილო, ქვემოთ — მეორე ბუფეტი.

მიხეილ მჭედლიძე, ტელევიზიის თანამშრომელი, სასტიკად ნაცემი ჩანს.

გადასცეს დროებითი მთავრობის მიმართვა გაეროსადმი, სადაც დროებითი მთავრობა თავს უფლებამოსილად თვლიდა გამოეცხადებინა, რომ მოხდა საერთო სახალხო აჯანყება დიქტატორის წინააღმდეგ.

ინტერვიუ საქმეთა მმართველ **ჰამლეტ ჭიპაშვილთან**: საქმეთა მმართველობის აპარატი 76 კაციდან 216 კაცამდე გაიზარდა, მხოლოდ რამდენიმე კაცი დავრჩით, ძირითადად მოვიდნენ მანდილოსნები, ნერა-კითხვის უცოდინრები. თუ ვეტყოდი 9 საათზე კი არა 12 საათზე მოდითო, ისინი მეუბნებოდნენ: ეს კომუნისტური გადმონაშთი არისო.

ინტერვიუ **რომან გვენცაძესთან**. ინტერვიუ მიყავს მერაბ ბერაძეს.

რომან გვენცაძე: 7 საათსა და 30 წუთზე მოვიდა ცნობა, რომ შეიარაღებული ჯგუფი ჩხრეკას აწარმოებდა. შტაბი პირველ სართულზე იყო. იქ ქალები შემოვარდნენ. ჩვენ ეზოში გამოვედით, იქ იყო ქაოსი. მთავრობის მომხრე 150 კაცი იდგა კარვებთან, პირველ სკოლასთან. 10-15 გვარდიელი დადიოდა სამხატვრო გალერეასთან. გადავწყვიტე მილიციის კორდონი გამეკეთებინა, რომ რამე არ მომხდარიყო. 8 საათზე მილიციელებს დავუძახე და, როცა ნახევარი კორდონი გავაკეთეთ 60-70 გვარდიელმა უმიზნოდ სროლა დაიწყო. მილიციელები მომიტინგეებთან გაიქცნენ. ჭიჭინაძის ქუჩაზე რომ ავედი, იქ მოხდა ავტომატის ჯერის გასროლა. მე დავიჭერი, დავიწყე

* საღამოს შინ მივდიოდი ნუცუბიძეზე, ნასვამი ვიყავი. შემხვდნენ ნაცნობები და მითხრეს: არა გრცხვენია, ბანდიტები თარეშობენ და მოგვეხმარეო.

ფორთხვა აღმართზე. პრეზიდენტი არ იყო შენობაში, იქ მისი ცოლისდა იყო. **ჯემალ გოლეთიანმა** მიცნო და მან შენობაში შემიყვანა.

ინტერვიუ **აკაკი ბაქრაძესთან**, მიყავს ეგაძეს.

აკაკი ბაქრაძე: რაც მოხდა ყველამ ვნახეთ, ეხლა გავაცნობიეროთ, რაც მოხდა და გამოვძებნოთ გზა... ბიჭების სიკვდილს ვერავინ აანაზღაურებს.

ინტერვიუ **თ. კიტოვანთან**: კომენდატის საათი იმიტომ არის, რომ შეიარაღებული ბანდები ჰყავთ...

ჯაბა იოსელიანი: სიმშვიდე გვჭირდება. აპრილში გაიმართება პარლამენტის არჩევნები. შავნაბადაზე რომ თავს დაგვესხნენ რუსებისათვის 250 ათასი ჰქონდათ გადახდილი.

დღეს ე. ნ. „ზვიადისტების" დემონსტრაციები იყო სადგურთან, პროფკავშირების სახლთან. იქ დღეს სროლა იყო. არ ვიცი, რა მოხდა, რადგან ტელევიზიით არ აჩვენეს. ამბავი ძირითადად მოსკოვის გადაცემებიდან შევიტყვეთ.

8 იანვარი

დღეს ინტერვიუ იყო **ნოდარ გიორგაძესთან**. ძალიან თავშეკავებულად და ვაჟკაცურად ლაპარაკობდა. ერთი ეპიზოდი გაიხსენა, ცრემლები მომერია. თურმე, როდესაც დაკავებული ჰყავდათ მისი შვილი, ძალზე მძიმედ იყო და შოკში ჩავარდნილა. ნოდარს უთხოვნია ბადრაგით წამიყვანეთ და ბავშვი მაჩვენეთო. იქ ერთ ნამდვილად საზიზღარ პიროვნებას უთქვამს, რომ წერილი დამინერე და აქ მოგიყვან მთელ ოჯახსო. ღმერთო, რა ცინიზმია! იქ, ბუნკერში ძალიან აქტიურობდა ვაჭრობის მინისტრი კოპალიანიო.

აჩვენეს თენგიზ სიგუას პრესკონფერენცია უცხოელ და ქართველ ჟურნალისტებთან. მან აღნიშნა, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა დაახლოებით 200 მილიონი მანეთი წაიღო.

მოსკოვმა აჩვენა ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია. მან განაცხადა, რომ ის პრეზიდენტად რჩება. სომხეთში ჩავიდა საქართველოს დელეგაცია. ზვიადი მათ არ შეხვდა.

9 იანვარი

ინტერვიუ **ანზორ მაისურაძესთან**, უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან.

ანზორ მაისურაძე: ძალზე მძიმე სიტუაცია არის. შემაშფოთებელი ხმები მოდის დასავლეთ საქართველოდან. მძიმე მდგომარეობაა ზუგდიდში. საქართველო ორად იყოფა, გაისმის ხმები, რომ რიკოთი უნდა ჩაიკეტოსო.

კორ.: მართალია თუ არა, რომ დაარბიეს უშიშროების შენობა და რა ბედი ეწვია არქივს?

ანზორ მაისურაძე: ცენტრმა (მოსკოვმა – მ. ვ.) გვთხოვა, რომ არქივები რესპუბლიკის გარეთ გაგვეტანა. გარანტია არ გვქონდა რომ გადარჩებოდა. იძულებულნი იყვნენ დათანხმებულიყვნენ და არქივი სმოლენსკში გაიტანეს. იქ ნაწილი დაინვა. მთლიანად განადგურებულია თბილისში დარჩენილი არქივი.

კორ.: რატომ იყო განსხვავება მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასთვის მისჯილ სასჯელებს შორის?

ანზორ მაისურაძე: **მერაბი თავის კაცობით, ამაღლებული სულით, უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა. ახალი თაობა მერაბზე დიდ იმედებს ამყარებდა. ეს ინფორმაცია ჰქონდათ სუკში და ამიტომ ცდილობდნენ გაეხანგრძლიეებინათ მისთვის პატიმრობის ვადა.**

კორ.: თქვენი აზრით, ჯაბა იოსელიანი და 80-90 კაცი იყვნენ პოლიტიკური პატიმრები თუ არა? (პასუხი არ ჩამიწერია. მ. ვ.).

ინტერვიუ **გვარდიელ ხაჩატუროვთან**, რომელიც ტყვედ ჰყავდათ: 29-ში დამიჭირეს, 6-ში გამოვედით. ვიყავით 42 გვარდიელი და კიდევ 20 კაცი. კაჩეგარკაში ვეგდეთ, დუბინკებს გვირტყავდნენ.

ინტერვიუ **თენგიზ სიგუასთან**: სამხედრო საბჭო მოიხსნის უფლებამოსილებას. გამსახურდია და მისი ოჯახი იჯენევანში არიან, ცალკე სანატორიუმში...

ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან.

კორ.: თქვენ განაცხადეთ, რომ სიმშვიდეა.

ჯაბა იოსელიანი: ჩამოვიდნენ ოსეთიდან. მათ ქართულ მხარესთან მოლაპარაკება ჰქონდათ. დელეგაციაში ერთი ქართველი კაცია. ორივე მხარე კმაყოფილი უნდა იყოს. დღეს გავუშვებთ კულუმბეგოვს.

ინტერვიუ **ჭაბუა ამირეჯიბთან**: არის კავკასიის ხალხთა ისლამური სახელმწიფოს შექმნის საფრთხე. ან უნდა გამოვიჩინოთ გონიერება და ვიყოთ ერთად, ანდა მოვიდა ერის აღსასრული. მე ქართველი ერი უკვდავად მიმაჩნდა. პრეზიდენტი ვერ დაბრუნდება.

10 იანვარი

დღეს გამოქვეყნდა ინტერვიუ **ირაკლი მელაშვილთან და მერაბ ურიდიასთან.**

მერაბ ურიდია: მთლიანი შეფასება ძნელია. რაიმე რომ თქვა და მოვლენა შეფასდეს, ის ჯერ უნდა დამთავრდეს. ახლა საჭიროა ფიქრი, რომ მოხდეს სტაბილიზაცია. ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ ჩვენი როლი. ფრაქციამ თავისი შეხედულება გამოაქვეყნა 2 სექტემბრის შემდეგ. ჩვენი მიზანი სამოქალაქო მშვიდობა იყო. ჩვენ მიზანს ვერ მივაღწიეთ. ბოლო გაფრთხილება იყო ჩვენი წერილი პრეზიდენტისადმი, გაგზავნილი 19 დეკემბერს, რომელიც გამოქვეყნდა 21 დეკემბერს გაზ. „დრონში", სათაურით „კვანძი მალე გაიხსნება".

ირაკლი მელაშვილი: მოქმედებდა გამარჯვებულის ფსიქოლოგია. ფიქრობდნენ, რომ ხუთი წელი რაც გვინდა იმას გავაკეთებთო, რაც შეეხება მომავალს, იმიჯი უნდა გამოსწორდეს. დემოკრატიულ ცენტრთან ერთად შევიკრიბეთ 5 საათზე. ავირჩიეთ დელეგაცია... თედო პაატაშვილი, რომანგოცირიძე, ვაჟა ადამია, ზაალ კახიანი; შევხვედით თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს; იყო ეროვნული ყრილობის მონვევის ვარიანტი... ვიცი აკაკი ასათიანის აზრი, რომ ადრე თანახმა იყო.

დღევანდელ „იზვესტიაში" არის სერგეი ბაბლუმანიანის ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან, სადაც ის ამბობს, რომ ის არჩეულია ხალხის მიერ და თუ ისე მოხდა, რომ ხალხი თავის ხმას უკან წაიღებს, ის გადადგება. შემდგომ მან აღნიშნა, რომ ქვეყანაში გაგრძელდება ანარქია.

11 იანვარს გლოვის დღეა. გამოქვეყნდა პარლამენტის ნევრების განცხადება ეროვნული კრების მონვევის შესახებ.

მუხრან მაჭავარიანი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადადგა. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, თავმჯდომარე — გურამ ფანჯიკიძე. გაათავისუფლეს ხუტა ბერულავა. გაათავისუფლეს სოსო სიგუა. მის მაგივრად დაინიშნა თამაზ წივწივაძე. ღამით იყო გადაცემა „საღამო მშვიდობისა", ინტერვიუ დეპუტატ დიასამიძესთან: 27 დეკემბერს დამაკავეს, დაკავებული ვიყავი 28-ს ჩათვლით, ზოგი 22 რიცხვიდან იჯდა. მე ვუყურებდი როგორ ანამებდნენ, მერე გამლახეს. ჩემს იქ ყოფნაში რამდენიმე ახალგაზრდა კინაღამ ცემით მოკლეს. მე ანთებული სიგარეტით დამწვეს. გაიყვანეს ერთი მოქალაქე, რომელსაც პისტოლეტით ფეხი გაუხვრიტეს, დაჭრილი არ გადაიყვანეს საავადმყოფოში. მე, ექიმის კატეგორიული მოთხოვნით, საავადმყოფოში გადამიყვანეს.

აჩვენებენ 31 დეკემბერს გადაღებულ კადრებს. ზვიად გამსახურდია ბუნკერში მყოფ ხალხს ულოცავს ახალ წელს. საშინელი სცენაა, ისმის შეძახილები: ზვიადი, ზვიადი.

11 იანვარი

დღეს გლოვის დღეა. ინტერვიუ **რეზო ჭეიშვილთან.**

კორ.: როგორ მოხდა, რომ სიძულვილმა იმძლავრა?

რეზო ჭეიშვილი: დღეს გლოვის დღეა. დღეს საშუალება არა გვაქვს, რომ ძირითადი ანალიზი გავაკეთოთ. საქართველო გლოვობს. ორგანიზებულად უნდა აღვადგინოთ შენობები, მაგრამ ვინ გააცოცხლებს იმათ, ვინც დაიღუპა? ვინ აღადგენს ოჯახებს? ამის გამოსნორება როგორ მოხდება? რისთვის დაიღუპნენ? ჩვენ ვიცოდით, რისთვის გვეგლოვა 9 აპრილის გმირები. რა ჩავიდინეთ, რით გამოვიჩინეთ თავი? სწორედ იმ ადგილას ჩავიდინეთ ასჯერ, ათასჯერ მეტი უბედურება. 1937 წელს რუსთაველის იუბილე ვიზეიმეთ და ვამტკიცებდით, რომ სტალინი ჩვენი შვილია. რეზო თაბუკაშვილმა თქვა, რომ საქართველოს ისე იცნობენ, რომ ხელი მტკივა შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ჩვენებით. ეხლა მსოფლიოს ამ სიგლახით გავეცანით. ზოგიერთები ამბობენ, რომ არასტაბილური მდგომარეობაა არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში. ჩვენ ისე დაგვსჯიან, როგორც ერაყს.

კორ.: რა გზას ხედავთ?

რეზო ჭეიშვილი: მე ყოველგვარი ძალადობის ნინააღმდეგ გამოვდივარ, მაგრამ გზას ვერ ვხედავდი. ბოლო არ უჩანდა მოწოდებებს: ჩამოდით, მოვსპოთ ქართველი ხალხი. ქართველი ხალხი გამოუტანს განაჩენს მათ. სინათლეს ვერ ვხედავდი. ვინ უნდა დაგვეცვა. პრეზიდენტი უნდა დავიცვათ? გუშინ შემზარა პრეზიდენტის საახალნლო მილოცვამ. მან მოუწოდა, გავანადგუროთ ჩვენი მტრები. ვინ გავანადგუროთ: როდიონოვი, თურქები, თუ ვინ?

კორ.: გახსოვთ ინტელიგენციის შეხვედრაზე?

რეზო ჭეიშვილი: ერთი და იგივე ლაპარაკი. უმისამართო გამოსვლები, შეაძულეს ხალხს ის, ვისაც ეთაყვანებოდნენ.

კორ.: ისეთი მწერლები როგორც რეზო ჭეიშვილი, ძმები ჭილაძეები, ჭაბუა ამირეჯიბი უცბად მტრები გახდნენ და იდეოლოგობა დაეკისრა **გურამ პეტრიაშვილს.**

რეზო ჭეიშვილი: ყველაზე შემზარავი ეს იყო.

12 იანვარი

ჩემთვის საშინელი დღე იყო. შინ ვიყავით მე, მეუღლე, ორივე ბავშვი, მაიას ბიძაშვილი მზია ნებიერიძე. ვსვამდით მე, ზურა თავყელიშვილი და ანდრო ჭელიძე. საღამოს 8 საათისთვის ზურიკო ტუალეტში გავიდა და თურმე ამ დროს დარეკეს კარებზე. ზურიკომ დააპირა გაღება. მაიამ უთხრა: მოიცა, ქურდები არ იყვნენო. ზურიკომ გააღო და გაიხუმრა: რაღა ჩემ დროს იქნებიანო. უცებ შემოვიდა მილიციის ფორმაში ჩაცმული და ზურიკოს იარაღი დაადო. ჩემს მეუღლეს უთქვამს: ბავშვები არ შემიშინოთ და რაც გვაქვს სახლში გამოგიტანთო.

გამოიტანა რაც გვქონდა სახლში – 700 მანეთი. საქორწილო ბეჭედი, ძენკვი, რომელსაც ნათლობის ჯვარი ჰქონდა ჩამოკიდებული და თხოვა, ჯვარი დაეტოვებინათ. მათ დაუტოვეს. შემდეგ ისინი ოთახში შემოვიდნენ, სადაც მე და ანდრო ვიჯექით და იარაღი მოგვიშვირეს. მე წამოვდექი და ვუთხარი: რაც გინდათ წაიღეთ, საერთოდ რომელი ფულის პატრონი მე ვარ, რომ მოხვედით? ჩემი ქურთუკი უკვე ეცვა ერთს. ანდროს ქურთუკი და ფულიც მიაყოლეს. შეურაცყოფა არ მოუყენებიათ, ამითაც მადლობელი დავრჩი.

13 იანვარი

მოსკოვის გადაცემაში **ვახტანგ რაზმაძემ** თქვა: იმიტომ მომხსნეს, რომ გამსახურდიამ 28 კაცის დაპატიმრება მომთხოვა და უარი ვუთხარიო. რაზმაძის კაბინეტის კედლები დაცხრილეს.

თენგიზ სიგუამ განაცხადა: ზვიადმა მოატყუა ხალხი, რასაც დაპირდა არაფერი გაუკეთებია. მისი დაჭერა არ შეიძლება, რადგან სულით ავადმყოფიაო.

15 იანვარი

გუშინ იყო ინტერვიუ თენგიზ სიგუასთან, ვახტანგ რაზმაძესთან და ირაკლი მეგრელაძესთან.

სიგუამ განაცხადა, რომ სომხების ორი ავტობუსი ხელში ჩაიგდეს ზუგდიდელებმა და ზვიად გამსახურდიას და ტარიელ გელანტიას ჩამოსვლა მოითხოვეს.

ვახტანგ რაზმაძე: აღიძრა საქმე. ჩამოთვლილი იყო ბანკები, საიდანაც ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანხლებმა პირებმა ფული გაიტანეს.

საღამოს აჩვენებენ ინტერვიუებს ქუთაისიდან. ძირითადად საუბრობენ იმის შესახებ, რომ თბილისმა დაღუპა მთელი საქართველო. 14 იანვრის „იზვესტიაში" წერია, რომ სამეგრელოში შეიქმნა დაუმორჩილებლობის კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელიც ვალტერ შურლაიაა.

ინტერვიუ **რეზო მიშველაძესთან:** ყველამ თავისი აზრი უნდა გამოთქვას იმ დროს, როცა საჭიროა. კოშმარივით მახსოვს ეს ერთი წელი. პირველად გავოცდი ქარიშხალას სტადიონზე. ისეთი სიტყვა თქვა, ხელში აიყვანეს, ნინ ქორიძე მიუძღოდა და დირიჟორობდა. მეორედ გავოცდი მაშინ, როცა პრეზიდენტის არჩევნებისას ორჯერ განაცხადა: არ მინდა პრეზიდენტობა, მაგრამ ვერ ვხედავ კაცს, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ წაიყვანსო. შემდეგ ქუჩის ოპოზიციიდან 60 ათასი კაცი მივიდა, მაშინ კი თქვა: მე არ გადავდგებიო და რომ გადავდგე, რა გეშველებათო? კიდევაც რომ ასე ფიქრობდე, შენს ერზე ასე არ უნდა ლაპარაკობდე. შემდეგ დაიწყო ლანძღვაც. „ინტელიგენტები" ეუბნებოდნენ: ძალიან გულჩვილი ხარ, ჩქარა უნდა გაუსწორდეთ თქვენს მოწინააღმდეგეებსო. ირინა ტალიაშვილი და გურამ პეტრიაშვილი ტელევიზიით მიტინგის დაშლისაკენ მოუწოდებდნენ. ეს იყო სახალხო ამბოხება დიქტატურის წინააღმდეგ (ზუსტად ვერ ვიწერ – მ. ვ.).

15 იანვარს გაიმართა დეპუტატთა შეხვედრა, გადაწყდა საქართველოს სახალხო კრების მოწვევა.

პარიზიდან მოვიდა პაპუაშვილის ნერილი სიგუასადმი, სადაც წერდა, რომ თაყაიშვილის გაგზავნილ ნერილში მისი აზრებია და არა სათვისტომოსი.

ლეონ ტერ-პეტროსიანი: სომხეთის მთავრობამ საქართველოს მდგომარეობა გაითვალისწინა. სისხლის ღვრის შენყვეტის მიზნით 2-3 იანვარს თბილისში დელეგაცია გამოაგზავნა. 6 იანვარს ოპოზიცია, გამსახურდიას სომხეთში ნასვლას დათანხმდა, ოღონდ იარაღი უნდა ჩაებარებინათ და პოლიტიკური საქმიანობა არ უნდა განეგრძოთ.

გარდაიცვალა ირაკლი აბაშიძე, 19 იანვარს დაასაფლავებენ დიდუბის პანთეონში.

„ვრემიამ" გამოაცხადა, რომ ინჯევანიდან ზვიად გამსახურდია მინვოდში გაფრინდა. ახლა გამოაცხადეს, რომ **ზვიად გამსახურდია** გროზნოში ჩაფრინდა.

16 იანვარი

დღეს დილით გადმოუციათ, რომ ზვიად გამსახურდია უკვე ჩავიდა ზუგდიდში. ოპოზიციამ ვერ შეაფასა მისი უდიდესი ბრძოლის უნარი. **კაცმა, რომელმაც 30 ნე-**

ლინადი იბრძოლა, ფაქტობრივად მარტომ და ამდენ უბედურებას გაუძლო, ნუთუ ეგონათ, რომ ის ასე მალე დანებდებოდა. ახლა რა მოხდება, ღმერთის გარდა არავინ იცის! დიდი უბედურება დატრიალდება.

ინტერვიუ **თენგიზ სიგუასთან**: ჩვენ ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს მივეცით საშუალება 6 იანვარს გასულიყვნენ ბუნკერიდან და ნითელ ხიდზე გადასულიყვნენ. შემდგომში ისინი იჯევანში გაჩერდნენ. დავამყარეთ ურთიერთობა ლეონ ტერ-პეტროსიანთან. ჩვენ თანახმა ვიყავით, რომ იქ დარჩენილიყო გამსახურდიას ოჯახი და პირადი დაცვა. 12 იანვარს სომხეთმა დაარღვია პირობა, რადგან ისინი შეიარაღებულნი გამოუშვეს. გამსახურდიას მომხრეები ბოგდანოვკაში შემოიჭრნენ, 60 კაცი ახალციხეში დავაკავეთ. სომხეთში გავაგზავნეთ დელეგაცია, ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლები: რევაზ ყიფიანი, ელდარ შენგელაია, ჭაბუა ამირეჯიბი, სანდრო კავსაძე. პქონდათ შეხვედრა სომხეთის ინტელიგენციასთან და ლეონ ტერ-პეტროსიანთან. ძირითადი პრინციპი ის იყო, რომ გამსახურდიას არ უნდა მისცემოდა უფლება დაეტოვებინა სომხეთი. 34 კაცი ზვიადთან ერთად იჯევანიდან ერევანში ჩავიდა, იქედან კი გროზნოში გადაფრინდა, გროზნოდან — სოხუმში. სომხეთის ხელისუფლებამ პირობა დაარღვია. ღამე ველაპარაკეთ სომხეთის ხელისუფლებას. ისინი გამოგზავნიან თავიანთ დელეგაციას. ეს თვითმფრინავი მინერილია სოხუმის აეროპორტზე, რომელიც ამ დილით ზვიადის მომხრეებს ჰქონდათ დაკავებული. მან ზუგდიდში გამართულ მიტინგზე ხალხს სამოქალაქო ომისაკენ და აღმოსავლეთ საქართველოსკენ დაძვრისკენ მოუწოდა. ის ომის გასაგრძელებლად ჩამოვიდა. ვიმედოვნებთ, რომ სამხედრო შეტაკებას ავიცილებთ.

ინტერვიუ **თენგიზ კიტოვანთან**: გამსახურდია სოხუმში ჩამოვიდა და ზუგდიდელებს მიმართა, დაიწყონ ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოზე.

გამოაცხადეს, რომ ჭადრაკის სასახლეში შედგებოდა „მხედრიონის" შეკრება.

ჯაბა იოსელიანი: ყველამ იმუშაოს და ჩვენ ჩვენ საქმეს მივხედავთ.

დიდი ანარქიაა რუსეთშიც. დაიძაბა ურთიერთობა უკრაინასა და რუსეთს შორის შავი ზღვის ფლოტის გამო. ბორის ელცინმა სარატოვში განაცხადა, რომ შავი ზღვის ფლოტი არის რუსეთის. 2 იანვრიდან რუსეთში ფასების ლიბერალიზაცია დაიწყო. გავიდა ორი კვირა და ფასებმა კატასტროფულ დონეს მიაღწია. ხალხი უკმაყოფილოა. რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა რუსლან პასბულატოვი. საერთოდ რუსეთში მდგომარეობა იქით მიდის, რომ შეიძლება არმიამ აიღოს ძალაუფლება. 17 იანვარს მოსკოვში ოფიცერთა კორპუსი იკრიბება. ეს უკვე საშიშია, რადგან შეიძლება არმიამ მხარი დაუჭიროს პუტჩს. 1991 წლის აგვისტოს პუტჩში მონაწილეობდნენ არმიის უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები, რომლებიც ყველაფრით იყვნენ უზრუნველყოფილნი. ამჟამად კი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან პოდპოლკოვნიკები, პოლკოვნიკები და გენერალ-მაიორები. ეს უკვე სერიოზული ძალაა.

ამავე დროს მე მაფიქრებს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე რუცკოი, ავღანეთის ყოფილი გმირი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სამხედროებზე. მას არ მოსწონს ბორის ელცინის მიერ დაწყებული რეფორმების პროექტები და ახალგაზრდებით დაკომპლექტებული მთავრობა. ელცინის და მისი მთავრობის შეცდომა ის არის, ავიწყდებათ, რომ ეს რუსეთია. ის, რაც პოლონეთში მოხდა, არ შეიძლება მოხდეს რუსეთში. რუსეთი წარმოადგენს იმპერიას. რუსები არ დაიჯერებენ, რომ 8-10 თვეში მდგომარეობა გამოსწორდება. ამავე დროს ხალხი დაიღალა დაპირებებით. შესაძლებელია, რომ ერთ თვეში დამყარდეს არმიის დიქტატურა. ამას რუსეთის მოსახლეობა საკმაო კმაყოფილებით შეხვდება, რადგან მათ შეპირდ-

ებიან იმპერიის შენარჩუნებას. საქართველოში ჭიდილი იმით დამთავრდება, რომ რუსეთი ორივე დაპირისპირებულ მხარეს ბოლოს მოუღებს და საქართველოს მოსახლეობას ეტყვის; აი, გადაგარჩინეთ სამოქალაქო ომს! მსოფლიო საზოგადოებაც შეიძლება ამას დადებითად შეხვდეს, რადგან მათ ეშინიათ, ბირთვული იარაღი რომელიმე რესპუბლიკაში არ აღმოჩნდეს. რესპუბლიკებს შორის შესაძლებელია ატყდეს ლოკალური ომები. სამხედროები შემდგომში განაცხადებენ, რომ ქვეყანაში ანარქიაა და ძალაუფლებას ხელში აიღებენ. შემდეგ ძალაუფლებას გადასცემენ არჩეულ მთავრობას. ძალიან კი მეეჭვება, მაგრამ შეიძლება ამოტივტივდეს მიხეილ გორბაჩოვიც, რადგან ძალიან ჩუმად წავიდა და ახლაც დუმს. მან ძალზე კარგად იცის, რომ უკიდურესი ეკონომიკური მდგომარეობა ბოლოს მოუღებს ელცინის ავტორიტეტს. როდესაც საქართველოში რუსეთის სამხედრო დიქტატურა დამყარდება, მერე შეგვიყვარდება ისევ ქართველებს ერთმანეთი. საერთოდ ქართული ეროვნული მოძრაობა მრუდე გზით წავიდა. თავიდანვე აქცენტი აღებული იყო შეიარაღებაზე. ის ფული, რაც უნდა მოხმარებოდა ეროვნული საკითხების გადაჭრას, წავიდა შეიარაღებაზე, შეიარაღდა ფაქტობრივად ყველა პარტია. დღეს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ გაერთიანდა სულ სხვადასხვა შეხედულებების პარტიები და დაჯგუფებები. როდის დამთავრდება ყოველივე ეს? თუ ასე გაგრძელდა, ყველაფერი სამოქალაქო ომით დამთავრდება. თუ რუსეთში სამხედროების დიქტატურა დამყარდა, ისევ დავკარგავთ დამოუკიდებლობას.

17 იანვარი

დღეს შუქი არ არის. რადიოთი მოვისმინე თენგიზ კიტოვანის განცხადება, დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული ძალების შესვლის შესახებ. ქუთაისში კომენდატის საათი გამოაცხადეს. თუ საჭირო გახდა ზუგდიდშიც შევალთ, რადგან იარაღის შემოზიდვა უნდათო (სისხლის ღვრის გარეშე ვერ გადავრჩებით, თუ მესამე ძალა არ ჩაერია – მ. ვ.). ამიერკავკასიის ჯარების სარდლობამ განაცხადა: თუ ესენგეს ხელმძღვანელობამ და შაპოშნიკოვმა გვიბრძანა შეგვიძლია მესამე ძალის როლი ვითამაშოთო. ვაი სირცხვილი! სადამდე მივედით, ისევ რუსეთის არმიამ უნდა გვიპატრონოს. ჩვენ უფრო ბარბაროსები გამოვედით ვიდრე რუსები. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა განაცხადა, რომ არ დაუშვებდნენ დესტაბილიზაციას რესპუბლიკაში.

საღამოს რადიოთი ვუსმენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჯარების ოფიცერთა შეკრებას. მათ საკოორდინაციო ცენტრი შექმნეს, რომელშიც შევიდნენ ძირითადად პოდპოლკოვნიკები, პოლკოვნიკები და გენერალ-მაიორები. ვაი თუ გამართლდა ჩემი წინა დღის პროგნოზი! ამას ერქმევა ვაის გავეყარე და უის შეეყარეო. ახლა მახსენდება ჩემი ჩანაწერი სათაურით – „ნეტავ პალესტინელი ვიყო", დაწერილი 1989 წლის 13 აპრილს და შემდეგ გაგრძელებული. უნდა მოვძებნო ეს ჩანაწერი და გავაგრძელო. რას წარმოვიდგენდი, რომ ისევ მომინდებოდა პალესტინელობა. იქ უფრო სიმშვიდეა. ჩვენ ყველაფერი გადავიღეთ მათგან: ტერორიზმი, შინაომები და საერთოდ ყველაფერი მამაძაღლობა. ახლა ვნევარ. ორი დღე არც წყალია, არც შუქი. ვიყინებით. გარეთ ვერ გახვალ, თავს დაგესხმებიან და მანქანას ნაგართმევენ. მეშინია სახლში კიდევ ვინმე არ შემოვარდეს. როგორ უნდა ინატრო: რა კარგად ვიყავით ბრეჟნევის დროს, რა სიმშვიდე იყო. ჩამოეკიდა ეს მედლები და ორდენები ბრეჟნევს, რა მენაღვლებოდა.

დამავიწყდა დამეწერა, რომ მოსკოვში სამხედრო საკორდინაციო საბჭოში კანდიდატებად დაასახელეს ალქსნისი და პეტრუშევსკი.

18 იანვარი

ისევ არ არის შუქი. შუქი მხოლოდ ღამით მოვიდა. მანამდე რადიოს ვუსმენდი. თენგიზ სიგუამ განაცხადა, რომ ზუგდიდის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა გია ყარყარაშვილი. ზვიად გამსახურდიას მომხრეთა დემონსტრაცია ქუთაისს მიუახლოვდა. როგორც სიგუამ განაცხადა, დემონსტრანტებიდან ისროლეს, რამდენიმე კაცი დაჭრილია. შემდეგ უკან დაიხიეს. სიგუამ აღნიშნა, რომ, თუ რამდენიმე დღეში არ გაჩერდებიან დემონსტრანტები, მაშინ ჯარები დაიკავებენ ზუგდიდს.

9 საათზე „ვესტიმ" გადმოსცა, რომ რამდენიმე შეიარაღებული ავტობუსი მიუახლოვდა ქუთაისს, რამდენიმე გასროლის შემდეგ უკან გაბრუნდნენ და რომ ორი საათის წინ, თოფის გასროლის გარეშე, დაიკავეს სამტრედია. ტელევიზიით გადმოსცეს სიგუას ინტერვიუ უცხოელ ჟურნალისტებთან. მან განაცხადა, რომ მთელ საქართველოში სიწყნარეა. გამსახურდიას მომხრეები აქტიურობენ მხოლოდ 4-5 რაიონში. ყველაზე ცხელი ნერტილია ზუგდიდი. მიტინგები მიმდინარეობს სენაკში, სამტრედიაში, ფოთში. ფოთში შეიარაღებულმა ჯგუფმა დაიკავა ტურბაზა და იქ არიან გამაგრებულნი. ორგანიზატორი არის ფოთის პრეფექტი. ზუგდიდში ხელში ჩაიგდეს სამხედროების სანყობი. ოჩამჩირეში თავს დაესხნენ სამხედროებს და გაიტაცეს 22 ავტომატი. მათ მონოდებებსა და მოქმედებებს სუფთა სამხედრო ავანტურად ვთვლით. 6 იანვარს გამსახურდიასა და მის მომხრეებს მივეცით საშუალება, საქართველოს ტერიტორია დაეტოვებინათ. ეს გაკეთდა იმ მიზნით, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ინტერვიუში ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ მან იმიტომ დატოვა თბილისი, არ უნდოდაო სისხლის დაღვრა. მისი დაბრუნება კი საპირისპიროს გამოინვევს.

ამ დროს მოსკოვში აჩვენებენ ელადისლავ არძინბას ინტერვიუს, რომელმაც განაცხადა: „ჩვენზე მოქმედებს ის, რაც ხდება საქართველოშიო."

კორესპონდენტი ეკითხება თენგიზ სიგუას: რას იტყვით ზუგდიდში პრეზიდენტის გამოსვლის შესახებო?

თ.სიგუა: „სხვადასხვა ცნობები იყო. ერთის მიხედვით, ზუგდიდში გამსახურდიამ თავის მომხრეებს ომისკენ და სამეგრელო-აფხაზეთის სახელმწიფოს შექმნისაკენ მოუწოდა. მეორე ცნობის მიხედვით, გამსახურდია ზუგდიდში არ უნახავთ და ისმოდა მხოლოდ ხმა. შეიძლება ეს იყო ჩანაწერი, რადგან იგი ზუგდიდში არ ჩანს. შეიძლება გამსახურდია გალის რაიონში იყოს. 16-ში დილით რომ ნამდვილად ჩამოფრინდა, ეს ფაქტი დადასტურებულია, ის ნახეს გალში. რაც შეეხება სამხედროებზე თავდასხმებს, ჩვენი ხალხი არასოდეს დასხმია მათ თავს, ესხმიან გამსახურდიას მომხრეები. ჩვენ მივესალმებით ამიერკავკასიის სამხედროების ნეიტრალიტეტს. რაც შეეხება გამსახურდიას, ჩვენი თხოვნით, სომხებმა მას შესთავაზეს, რომ ინტელიგენციას შეხვედროდა, კერძოდ, აკად. ვახტანგ ბერიძეს, აკად. ანდრია აფაქიძეს, აკად. როინ მეტრეველს, გიგა ლორთქიფანიძეს, აკად. მარიკა ლორთქიფანიძეს. ზვიად გამსახურდია დათანხმდა, რომ თავის მომხრეებს მიმართავდა, დაწყნარებულიყვნენ. შემდეგ იგი გავიდა მეორე ოთახში, სადაც იყო მისი მეუღლე მანანა არჩვაძე და ცოლისდა. ოთახიდან ისმოდა ყვირილი, მუქარა, გამსახურდია გამოვიდა და უარი თქვა. სიგუამ განაცხადა აგრეთვე, რომ 22 დეკემბერს სამჯერ ელაპარაკა პრეზიდენტს: პირველად, 16 საათზე, გამსახურდია დათანხმდა დაეტოვებინა თბილისი, მაგრამ მოითხოვა თვითმფრინავი და გარანტია, რომ მივიდოდა აეროპორტამდე. მე მივეცი გარანტია. მეორედ 19 საათზე ელაპარაკე. მთხოვა 2-3 საათი, მიზეზად მეუღლის მძიმე მდგომარ-

ეობა დაასახელა. ჩვენ დავთანხმდით. 12 საათზე კი გამსახურდიამ უარი განაცხადა. აშკარა იყო, რომ ყველაფერი მასზე არ იყო დამოკიდებული. რაც შეეხება ჯოხარ დუდაევს, ის არ მალავს, რომ სამხედრო დახმარებას გაუწევს ზვიადის მომხრეებს. ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის სამხედრო ძალები უშუალოდ არ მიიღებენ მონაწილეობას კონფლიქტში, მაგრამ ფაქტია ის, რომ 25 დეკემბერს თვითმფრინავი ტუ-134, რომელშიც თითქოს სამშვიდობო დელეგაცია იმყოფებოდა, თბილისში დაეშვა. მასში იყვნენ: ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, 3 დეპუტატი და 20 კბილებამდე შეიარაღებული კაცი. ნახევარი საათით ადრე, კიტოვანის ბრძანებით აეროპორტში წავიდა ჯგუფი, რომლებმაც ეს ხალხი განაიარაღა. ამოიღეს 18 ავტომატი, გრანატები, 10 პისტოლეტი. ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროტესტი გამოთქვა, რომ საერთაშორისო ნორმების მიხედვით ეს იყო დიპლომატიურ-იურიდიული დარღვევა. ჩვენ განვუცხადეთ, რომ მეორედ ავაფეთქებთ თვითმფრინავს. ჯოხარ დუდაევმა განაცხადა, თითქოს არ იცოდა, რომ გამსახურდია გროზნოში იყო ჩასული.

კორ.: რას იტყვით, როგორ აპირებთ შემოირიგოთ მომიტინგეები?

თ.სიგუა: ფოთის პრეფექტმა იარაღის გამოყენებით აიძულა მოსწავლეები და პედაგოგები მისულიყვნენ მიტინგებზე, რომ 80% წინააღმდეგია იმისა, რასაც აკეთებს პრეფექტი. რთული ვითარებაა ზუგდიდში, სადაც სრული ინფორმაციული ვაკუუმი აქვთ, იქ არ არის პრესა, ტელევიზია. როცა ეს პრობლემა მოიხსნება, იქაც სინყნარე იქნება.

კორ.: რას იტყვით, ზვიად გამსახურდია, რომ კანონიერად არჩეული იყო.

თ.სიგუა: 28 ოქტომბერს არჩევნები იყო დემოკრატიული. 26 მაისს ზვიად გამსახურდიამ მიიღო უმრავლესობა, მინიმუმ 75%-ით, მაგრამ, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, შეცვალა მთელი კურსი. ის აძლიერებდა სოციალისტურ სტრუქტურებს, მონოპოლია გაუკეთა პრესას, რაც დაპირდა ხალხს, არ შეასრულა და რომ, ის ქმნიდა ტოტალიტარულ სახელმწიფოს და ოჯახურ დიქტატურას ამყარებდა. 22 დეკემბერს შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო მისმა ცოლისდამ. მან პოლიტიკური შეცდომები დაუშვა და საქართველო იზოლაციაში აღმოჩნდა. შეცდომები დაუშვეს ეკონომიკაშიც, რამაც გამოიწვია ეკონომიკის კრახი. ის უშვებდა შეცდომას საკადრო პოლიტიკაში, ნერგავდა კორუფციას. მას მკაცრი სასჯელი ეკუთვნის. ის ქართველმა ხალხმა უნდა გაასამართლოს, თუ სულიერად ავადმყოფი არ არის, მაგრამ მე ექიმი არ ვარ და საჭირო იქნება სერიოზული კონსილიუმი."

19 იანვარი

დღეს ისევ არ იყო შუქი. 9 საათზე საინფორმაციო გამოშვებაში გადმოსცეს საშინელი ცნობა: **გაძარცვეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.** ღმერთო ჩემო! ეს უდიდესი ქართველი მოკლეს, ჩვენს დროში ილიას და აკაკის ძეგლს ტყვიები დაუშინეს, ახლა კი ილიას სახლ-მუზეუმი გაძარცვეს. ვაი, ჩვენი ბრალი, რა ერი ვართ! მე რომ გამქურდეს გამიკვირდა: რომელი ფულის პატრონი მე მნახეს. ძალიან მიკვირდა, ცუდი არავისთვის გამიკეთებია და რატომ გამძარცვეს. ვაი, შე მართლა სულელო! ილია გაქურდეს **და რა მიკვირს, მე რომ გამქურდეს.**

გუშინ ღამით დაუკავებიათ 48 მოშიმშილე, აქედან თბილისელი იყო ოთხი. აჩვენეს სამი პიროვნება, ერთი ზუგდიდელია. ზუგდიდელმა თქვა, რომ ორი წელიწადია ცოლთან ცხოვრობს, პასპორტიც არა მაქვსო. მეორემ თქვა, ლენტეხში დავიბადეო და ორი წელიწადი ბოლნისში ვარო. მასაც პასპორტი არ ჰქონდა. მესამემ თქვა, გორიდან ვარო.

დღეს თქვეს, რომ სამეგრელოში „მხედრიონის" ერთი წარმომადგენელი მოკლეს. პრეფექტი ზვიად ძიძიგური გაიქცა დასავლეთ საქართველოში.

20 იანვარი

თენგიზ სიგუამ პრესკონფერენცია გამართა. აღნიშნა, რომ ქვეყანა თანდათან კალაპოტში დგება. გაიხსნა გზა ბათუმი-სამტრედია-თბილისი, ზუგდიდიც წყნარდება. ღამით ზუგდიდიდან დარეკეს და დელეგაცია გაიგზავნა მოსალაპარაკებლად. წინასწარი მონაცემებით ვიცი, მზად არიან ჩვენს წინადადებებზე, უნდათ გარანტიები. ფოთში გამსახურდიას ხალხია. სამხედრო საბჭოს დღესვე შეეძლო აეღო ფოთი.

გადაიცა სამხედრო საბჭოს განცხადება, რომ არავითარი რეპრესიები გამსახურდიას მომხრეთა მიმართ არ იქნება, დაისჯება ის, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი.

ფოთში 25 კაცით არიან მოლოდინაშვილი და ქობალია. დღეს სოხუმში ზურაბ კოპალიანი გამოჩნდა.

18-20 იანვარს გაიმართა კონგრესის მე-8 ყრილობა. თავმჯდომარეობდა მიხეილ ქურდიანი. მიიღეს რეზოლუცია: ვინაიდან 28 ოქტომბრის შემდეგ მოსულმა რეჟიმმა უარყო 1921 წლის კონსტიტუცია, თვითონვე დაიყენა თავი კანონგარეშედ, ამიტომ ეროვნული კრება მოიწვიეს, რათა დაენიშნათ საპარლამენტო არჩევნები.

21 იანვარი

გუშინ მოვისმინე რადიოთი, რომ ერთმანეთს შეხვდნენ ვალტერ შურღაიას, ლოთი ქობალიას, გია ყარყარაშვილისა და ჯაბა იოსელიანის წარმომადგენლები. ჯაბამ მათ წაუყენა ულტიმატუმი: 24 საათში დაეყარათ იარაღი.

22 იანვარი

სოხუმში გრძელდება მიტინგები. 70 ადამიანი მოსკოვში გაფრინდა. გაგრაში სიმშვიდეა. გაზ. „იზვესტიაში" წერია, რომ მანანა არჩვაძე სოხუმშია. სამტრედია-აბაშაში ორი კაცი დაიღუპა. ჯაბა იოსელიანი უკვე სენაკშია.

ვალტერ შურღაიამ განაცხადა, რომ მოსალოდნელია თავდასხმა ზუგდიდზე. შუქი ჩაქრა. რადიოთი გადმოსცესსა, რომ ფოთის მერი გადადგა. ჯაბა იოსელიანი ისევ სენაკშია, მიმდინარეობს მოლაპარაკება ზუგდიდთან.

28 იანვარი

არაფერი დამიწერია იმის გამო, რომ შინ არ ვიყავი. რამდენიმე სიტყვით გავიხსენებ ნინა დღეების მოვლენებს. სამხედრო საბჭოს ძალებმა დაიკავეს ფოთი. გუშინ მოხდა შეტაკება, სამი „მხედრიონელი" დაიღუპა და ექვსი დაიჭრა, 10 კაცი მოკლეს ზუგდიდის ბატალიონიდან. ღმერთო, რა საშინელებაs! იყო მოლაპარაკებები, მაგრამ ჩაიშალა. ამჟამად სამხედრო საბჭოს ძალები დგანან ცაიშთან, გუშინწინ დაიკავეს ხობი, ზუგდიდი უარს აცხადებს იარაღის ჩაბარებაზე. რა საშინელებაა, ნეტავ რა მოხდება? გაურკვეველია, სად არის ზვიად გამსახურდია. სოხუმიდან გაფრინდა თვითმფრინავი, რომელიც გროზნოში ჩაფრინდა. ჩემი აზრით, გროზნოდან ზვიად გამსახურდია საერთოდ არ ჩამოფრენილა სოხუმში. ვნახოთ, თუ გამართლდა ჩემი სიტყვები.

თბილისში ყოველდღე იმართება ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიტინგები.

29 იანვარი

გამოაცხადეს, რომ ეროვნული გვარდია და „მხედრიონი" შევიდნენ ზუგდიდში. ცაიშთან 4 კაცი დაიღუპა. ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა დატოვეს ზუგდიდი, ქალაქიდან გასვლის წინ ააფეთქეს ტელეგადამცემი, პურის საცხობი და პრეფექტურის შენობა. ეს მომხდარა გუშინ დილით. მთავრობამ დღეს ბინები უსასყიდლოდ გადასცა ხალხს, რაც მისასალმებელია. „ვესტიმ" მოსკოვიდან გადმოსცა, რომ საკდესის კორესპონდენტმა ინტერვიუ აიღო ზვიად გამსახურდიასთან, რომელმაც განაცხადა, რომ ის არის და რჩება პრეზიდენტად და განაგრძობს ბრძოლას. კორესპონდენტმა აღნიშნა, რომ ზვიად გამსახურდიას დასავლეთ საქართველოში შეხვდა.

ღამით ვლადისლავ არძინბამ რადიოთი გამოსვლისას განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია საერთოდ არ ჩასულა აფხაზეთში. ეს განცხადება დაემთხვა ჩემს აზრს და ამიტომ არ მჯერა, რომ კორესპონდენტმა დასავლეთ საქართველოში აიღო ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასაგან.

ტელევიზიით გადმოსცეს, რომ ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ჯეიმს ბეიკერს, ინგლისის, იტალიის, პორტუგალიის, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრებს. მიმდინარეობდა საუბარი საქართველოს ცნობისა და ჩვენი ქვეყნისათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის შესახებ.

31 იანვარი

1 თებერვლიდან პურის ფასი ათჯერ იზრდება, სამაგიეროდ მოსახლეობას მიეცემა კონპესაცია (40 მანეთი სულზე).

გამოქვეყნდა თბილისის კომენდანტის ბრძანება, რომლის ძალითაც 1 თებერვლიდან მკაცრი ზომები გატარდება მათ მიმართ, ვინც არ არის ჩაწერილი თბილისში. მათ ძალით გაყრიან თბილისიდან. ბრძანების თანახმად, მკაცრად აიკრძალა მიტინგები და შეკრებები. გუშინ ფართო მასშტაბის ომი მიმდინარეობდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. ესღა გვაკლდა!

ხვალ სპორტის სასახლეში დილის 11 საათსა და 30 წუთზე იკრიბებიან თბილისელები.

ფოთში სიმშვიდეაო, იტყობინება ჯაბა იოსელიანი. ასევე სიმშვიდეა ზუგდიდშიც. მხოლოდ საგანგებო რწმუნებულმა გია ყარყარაშვილმა განაცხადა, რომ სენაკში გაიგზავნა მისი მოადგილე, ოფიცერი, თუ არ ეცდები, დალაქიშვილი, რომელიც არხში იპოვეს მკვდარი.

ინტერვიუ ირაკლი წერეთელთან. კითხვაზე, თუ რატომ წავიდა თბილისიდან, მან უპასუხა: 4-5 ოქტომბერს ხელისუფლებამ დაგვაბრალა სროლის ატეხვა მაშინ, როდესაც თავად გვესროლეს. უნდა მოგვეწყო გრანდიოზული აქციები, მაგრამ ეს არ მოხდა. თვით უნივერსიტეტშიც არ მოხერხდა აქციების მოწყობა. ჩემს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ჩვენ არალეგარულად ჩავედით ზესტაფონში და ვფიქრობდით დაგვეცადა გაზაფხულამდე.

კორესპონდენტი ეკითხება, თუ რას აპირებს მომავალში პარტია. ირაკლი წერეთელი პასუხობს: უნდა აღდგეს 1921 წლის კონსტიტუცია.

1 თებერვალი

დღეს თბილისში გაიმართა მიტინგი. მეტი არაფერი ვიცი. სპორტის სასახლეში თბილისელების შეხვედრა იყო.

ინტერვიუ თენგიზ კიტოვანთან: გამსახურდიას მომხრეები იბრძვიან, არ ნყდება მიტინგები. არეულობაა აფხაზეთში, აფხაზეთის მთავრობას ხელს აძლევდა დესტაბილიზაცია. გათამაშებული იყო სომხების ორი ავტობუსის დაკავება.

2 თებერვალი

გუშინ 11 საათზე „ვესტის“ უჩვენებია ზვიად გამსახურდია. დღეს ტელევიზიით განაცხადეს, რომ ეს ორი კვირის წინ იყო ჩანერილი.

დღეს ზვიადისტების დემონსტრაცია დაიძრა სადგურიდან გმირთა მოედნისაკენ. მათ დახვდნენ დროებითი მთავრობის მომხრეები. ტელევიზიით ვნახე დემონსტრანტებზე როგორ მიუშვეს წყალი. ილაპარაკა გელა ლანჩავამ. არ ვიცი, რით დამთავრდება ეს კონფლიქტი. „ვესტიმ“ გადმოსცა, რომ გმირთა მოედანთან მოკლეს ერთი კაცი. სხვები ამბობდნენ, რომ კიდევ დაჭრილია 16 კაცი.

ჩემთვის ძალზე ძნელია ვწერო ამის შესახებ. მე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პოლიტიკაში ბოლოს ბევრი რამ არ მომწონდა, მაგრამ ახლა არ მინდა ესროლონ იმ ხალხს, რომელთაც სწამთ, რომ ისინი სიკეთეს აკეთებენ. ამიტომ გული მტკივა, რომ ეს ამბავი ხდება. არ ვიცი, რა მოხდება, მიჭირს წერა, მაგრამ ხელი რომ მომტყდეს, ამ საქმეს მაინც გავაგრძელებ. ახლა ვუსმენ საშინელებას. ინტერვიუ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ არკადი მარკოზიას ქალიშვილთან. არკადი მარკოზია დაიღუპა 22 დეკემბერს, როდესაც იგი მანქანით შემოდიოდა თბილისში. მთავარი ის არის, რომ მარკოზიას ქალიშვილი ყოფილა კონგრესის წევრი. მამა და შვილი ფაქტობრივად მტრები აღმოჩნდნენ. მე ასეთი რამ ვიცი ისტორიიდან, განსაკუთრებით სამოქალაქო ომების ისტორიიდან. გამახსენდა მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი“. რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ცხოვრებაში შემხვდებოდა ასეთი რამ! დღეს მე მზარავს, როდესაც დაღუპული მამის ქალიშვილი საუბრობს იმის შესახებ, შევიდეთ თუ არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და სხვა. არ მინდა ასეთი ეროვნული მოძრაობა, მეზიზღება ის მოძრაობა, რომელიც ნაშლის მამა-შვილს შორის უდიდეს სიყვარულს. ჩვენ ამ სიყვარულს უნდა გავუფრთხილდეთ და ამ სიყვარულის საფუძველზე უნდა ავაგოთ მომავალში სამშობლოს ბედნიერება. თუ მე, მერაბ ვაჩნაძეს, ჩემი შვილები არ მეყვარება ან მე არ ვეყვარები მათ, ეს დაღუპვის ტოლფასი იქნება. დღევანდელი „ღია კარი“ იყო საშინელება. ამისთანა ტელევიზია მართლაც არ არის საჭირო. განა რამდენი დღე გავიდა მამის მკვლელობიდან, რომ მიუხედავად განსხვავებული აზრისა, აქ, ტელევიზიაში თავისუფლად საუბრობს მისი ქალიშვილი.

ტელევიზია ცდება იმაში, რომ არ იცის ქართველი კაცის ბუნება. მაგალითად, როდესაც აჩვენებენ ბუნკერში ახალი წლის ღამეს, ამით მათი აზრით, უნდათ აჩვენონ ის, რომ ზვიადისტებს სიმღერისთვის არ ცალიათო. **ნუთუ არ ესმოდათ, რომ სვანები სვანურ სიმღერებს მღეროდნენ, ისინი უმღეროდნენ ერთგულებას და ვაჟკაცობას.** ეს სიმღერა, როგორც ჩანს, ზოგიერთებისთვის არის სასაცილო, თორემ დღეს საქართველოში ბევრ ვაჟკაცს მოსწონს ის. **ეს სიმღერა მოსაწონი იყო განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბუნკერში იყვნენ და სიკვდილს ელოდებოდნენ.**

დღეს ანდროსთან ვიყავი. ანდრო ჭელიძემ მითხრა: თუ ძალადობა ისევ დარჩება, თუ იქნება უარესი ძალადობა, რა აზრი ჰქონდა ამ სისხლისღვრასო?

3 თებერვალი

დღეს უნივერსიტეტში მივედი 11 საათსა და 30 წუთზე. ხალხი შეკრებილი იყო ეზოში – ზვიადის მომხრეები. როდესაც ზემოთ ავედი, მითხრეს, რომ პროფ. მარიკა ლორთქიფანიძეს შეურაცყოფა მიაყენესო. შევედი მარიკა ლორთქიფანიძესთან, რომელიც ძალზე გაკვირვებული და აღშფოთებული იყო. მან მითხრა: ვერაზე ვაჟთა სკოლასთან

გავიზარდე და რა სიტყვები არ გამიგონია, მაგრამ დღეს ისეთი სიტყვები მითხრეს, ნამდვილად არ გამიგონიაო. შემდეგ ზურგიდან ერთმა კაცმა ჩამარტყაო. საშინელება ხდება. მარიკა ლორთქიფანიძეს რომ კაცი დაარტყამს ან თუნდაც მუჯგულუნს უთავაზებს, მაშინ საქართველო თავის ჭკუაზე აღარ არის.

ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან: შედარებით კარგი ვითარებაა დასავლეთ საქართველოში. ფოთში ნავსადგური მუშაობს. ნორმალური ვითარებაა ზუგდიდშიც. ამუშავდა ტელევიზია. თბილისში ჩატარებული მიტინგი მიტინგი არ არის. ამას ფაშისტები აკეთებდნენ – წინ ქალებს უშვებდნენ. პროვოკაციებს აღვკვეთავთ. ადგილზე დაიხვრიტება პროვოკაციის მომწყობი. დემოკრატია არ არის ლობიოობა.

გალის მხრიდან აფხაზეთის მილიცია და შინაგანი ჯარი დგას. სოხუმელი კორესპონდენტი ესაუბრა რუდიკ ცატავას (გალის გამგებელია თუ პრეფექტი), რომელმაც თქვა, რომ შეხვდა სამხედრო საბჭოს წევრებს.

„ვესტიმ" გადმოსცა, რომ თბილისში მიტინგის დარბევის დროს დაიღუპა ორი და დაიჭრა 35 კაცი. **თბილისის ტელევიზია არაფერს აცხადებს.**

„ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ ერევანში, ალმა-ატასა და ბიშკეკში გაიხსნა ამერიკის საელჩოები. გაგიუდება კაცი, როგორ ყველამ გვაჯობა!

ვალერი კვარაცხელიას ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან.

ვ. კვარაცხელია: ბატონო ედუარდ! ფიქრობთ საქართველოზე?

ე.შევარდნაძე: მადლობელი ვარ ტელევიზიის და ვინც ჩვენ გვისმენს. ეს კითხვა უცნაურია, რადგან ჭეშმარიტი მამულიშვილი არ შეიძლება არ ფიქრობდეს სამშობლოზე. ყველა დრამატული მოლაპარაკების დროს ჩემი სამშობლო მედგა თვალწინ.

ვ. კვარაცხელია: არ დაგიმალავთ, რომ არის კატეგორია, რომელიც ფიქრობს, რომ თქვენ ნაკლებად ფიქრობთ საქართველოზე და არ იძლევით ინტერვიუებს.

ე. შევარდნაძე: მე კანონად მაქვს ქცეული, რომ ვიმეგობრო ჟურნალისტებთან. დისკუსიებში იმიტომ არ ვმონაწილეობდი, რომ ჩემი ჩართვა და დისკუსიებში მონაწილეობა გაართულებდა სიტუაციას, ამიტომ თავს ვიკავებდი.

ვ. კვარაცხელია: რა მოგეცა გარდაქმნამ?

ე. შევარდნაძე: ეს კითხვა ფართო პასუხს მოითხოვს. 1985 წლის მარტის და აპრილის პლენუმებამდე მქონდა საუბარი გორბაჩოვთან, რომ საჭიროა გარდაქმნა, ცვლილებები. გარდაქმნა რომ არა, რა თქმა უნდა, ვერც საქართველო და ვერც ბალტიისპირეთი ვერ განთავისუფლდებოდნენ, მაგრამ გადასვლა უნდა ყოფილიყო ეტაპობრივი და რბილი. გადასვლა თანამეგობრობაზე იყო კანონზომიერი, მაგრამ ნაჩქარევი.

ვ. კვარაცხელია: ამბობენ, რომ სამთა შეხვედრის ავტორი თქვენ ხართ.

ე. შევარდნაძე: ეს არ არის სწორი. აგვისტოში პუტჩის შემდეგ კი მქონდა საუბარი ბორის ელცინთან, რომ საერთოდ ცენტრი არ იყო საჭირო.

ვ. კვარაცხელია: როგორ წარიმართება საქმე?

ე. შევარდნაძე: უკვე დიდი წინააღმდეგობაა ფლოტისა და სტრატეგიული ძალების გამო. მაგრამ სახელმწიფოს მეთაურები, თუ შეძლებენ წარმართონ ცხოვრება სწორ, ნამდვილ პრინციპებზე, მას მომავალი აქვს.

ვ. კვარაცხელია: საქართველო უნდა შევიდეს თუ არა დსთ-ში?

ე. შევარდნაძე: ისე გამწვავებულია მდგომარეობა საქართველოში, რომ შეიძლება ღირდეს რეფერენდუმი.

ვ. კვარაცხელია: საერთაშორისო მასშტაბის სენსაცია იყო თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრობიდან წასვლა და მეჩვენება, რომ თქვენ ყველაფერი არ თქვით.

ე. შევარდნაძე: მე ბევრს არ დავამატებ. მაშინ რეალური იყო დიქტატორული რეჟიმი, ეს ჩემი ანალიზი იყო.

ვ. კვარაცხელია: როგორ დაბრუნდით და თუ თვლით, რომ თქვენი დაბრუნება საგარეო საქმეთა მინისტრად ერთი თვით შეცდომა იყო?

ე. შევარდნაძე: ალბათ, შეცდომა იყო, მაგრამ გარკვეული სიკეთის გაკეთება მინდოდა, ამიტომ დაბრუნდი აგვისტოს შემდეგ.

ვ. კვარაცხელია: ყოყმანობდით თუ არა?

ე. შევარდნაძე: ვყოყმანობდი, მაგრამ როდესაც ბორის ელცინს, ნორსულთან ნაზარბაევს შევხვდი, მაშინ დავთანხმდი... ეს იყო საერთო განწყობილება.

ვ. კვარაცხელია: გართულდება ერაყში კონფლიქტი?

ე. შევარდნაძე: ალბათ უფრო გაღრმავდება.

ვ. კვარაცხელია: გამსახურდიას პერიოდში თქვენ გაცხადებდნენ რენეგატად, თქვენ არ რეაგირებდით, რატომ?

ე. შევარდნაძე: ჩემთვის ძალზე მტკივნეული იყო. მე ვიცოდი, რა ინერებოდა, აქ ლაპარაკი არ იყო კრიტიკაზე. ძნელია, როდესაც შენს სამშობლოში ასე უდიერად გეპყრობიან. რამდენი უძილო ღამე მქონდა გატარებული. მე პასუხს არ ვცემდი, რადგან ჩემი მონაწილეობა გაართულებდა ახალ გზაზე გადასვლას. შეიძლება ვცდებოდი. მოვა დრო და ხალხი გაერკვევა.

ვ. კვარაცხელია: თქვენ იყავით კომუნისტური რეჟიმის დამცველი, იმპერიის მომხრე.

ე. შევარდნაძე: მე ვიყავი ერთგული კომუნისტი, მჯეროდა ამ იდეების, მე მიმაჩნდა, რომ ვემსახურებოდი ჩვენ ხალხს. ბევრ რამეში ვცდებოდი. ცხოვრებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ხელახლა გადაგვეხედა და რომ სხვა ცხოვრება უნდა დაგვეწყო (ამ დროს მოსკოვიდან აჩვენებენ დასავლეთ საქართველოს. ინტერვიუ ვალტერ შურლაიასთან).

შურლაიას ეკითხებიან: რას იზამთ ოპოზიცია რომ შემოვიდეს ზუგდიდში?

ვალტერ შურლაია: ჩვენ ხალხის გარეშე არაფერს არ ვაკეთებთ.

კორ.: ეს ხომ სამოქალაქო ომია?

ვ.შურლაია: ჩვენ არ გვინდა სამოქალაქო ომი.

მერაბ კიკნაძე: ეს არის ხუნტა, ეს უხეში ძალაა.

(ინტერვიუ გრძელდება ედუარდ შევარდნაძესთან).

ვ. კვარაცხელია: ამბობენ, რომ 9 აპრილის ამბებში ბრალი მიგიძღვით.

ე.შევარდნაძე: ეს აბსურდია, ამაზე კამათიც არ მინდა. მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ვერ შეაფასეს სიტუაცია.

ვ. კვარაცხელია: ამბობენ, რომ თქვენი მითითებით დახვრიტეს თვითმფრინავის გამტაცებლები.

ე.შევარდნაძე: იქნებ ღირდეს გამოელაპარაკოთ კარანაძეს, რომელიც ძალიან პრინციპულია, ან კითხოთ ვ. რაზმაძეს. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ წავედი აერპორტში, მაშინ სისხლი დაღვრილი იყო. თუ ერთი კაციც იტყვის, რომ მე გავლენა მომეხდინოს, მე ვაგებ პასუხს. ჩემი ბრალი ის იყო, რომ, როცა საქმე უმაღლეს საბჭოში გადავიდა, გაჩნდნენ ხელმომწერები.

ვ. კვარაცხელია: თქვენზე ამბობენ, რომ იბრძოდით, რათა ინტელიგენცია კრიმინალურ ინტელიგენციად გექციათ.

ე.შევარდნაძე: ახლა მინდა გავიხსენო ნოდარ დუმბაძე, რომელიც ნმინდა კაცი იყო, ისევე როგორც ვენორი ქვაჩახია, მერაბ მამარდაშვილი. მე არ მესმის, როგორ ჩამოყალიბდა კრიმინალური ინტელიგენცია. თუ ესენი კრიმინალური ინტელიგენტები არიან და მე მიმიძღვის მათ ჩამოყალიბებაში წვლილი, მაშინ მე ბედნიერი ვარ.

ვ. კვარაცხელია: ამბობენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს საქარ-

თველოსათვის არაფერი გაგიკეთებიათ. როცა დაინყო მოკავშირე რესპუბლიკების აღიარება, თქვენ არ შეგეძლოთ დახმარება?

ე.შევარდნაძე: არ შემეძლო. მე რომ ჩემი აზრი გამომეთქვა, ეს ჩემი დისკრედიტაცია და უნაყოფო ბრძოლა იქნებოდა.

ვ. კვარაცხელია: თუ საქართველო დემოკრატიის გზით ნავა, თქვენ დაეხმარებით?

ე.შევარდნაძე: მე დიდი იმედი მაქვს, საქართველომ გამოავლინა რა თავისი ნიჭი ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შეიძლება კიდევაც გაუსწროს სხვა ქვეყნებს, მაგრამ ევროპის აღიარების გარეშე ნამდვილ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ვ. კვარაცხელია: ჩემთვის ძნელია შეფასება მიეცე, თუ რა მოხდა საქართველოში: სამხედრო გადატრიალება, პუტჩი?

ე.შევარდნაძე: მე მგონი, ეს **დემოკრატიული რევოლუცია** იყო.

ვ. კვარაცხელია: პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს პუტჩი იყო და თქვენ მეთაურობდით.

ე.შევარდნაძე: თუ ეს რევოლუცია იყო და მე ვმეთაურობდი, მე ეს მიხარია, მაგრამ არ მინდა მე ეს მივითვისო, ისტორიკოსებმა თავისი სიტყვა უნდა თქვან.

ვ. კვარაცხელია: რა დახმარებები გაქვთ საქართველოსთვის?

ე.შევარდნაძე: ამის პერსპექტივები ფართოა. ჩქარა უნდა შეიქმნას დემოკრატიული ინსტიტუტები.

ვ. კვარაცხელია: თუ ყველაფერი კარგად წავიდა, რამდენი დრო დაჭირდება?

ე.შევარდნაძე: ამას ალბათ 3-4 ნელიწადი დასჭირდება, მაგრამ საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა გაერთიანდეს.

ვ. კვარაცხელია: ალბათ, ყველაზე მეტი ხელის შემშლელი ისევ კონფლიქტებია?

ე.შევარდნაძე: ჩემთვის ძნელი კითხვაა. მე ინფორმაცია ცოტა მაქვს, იქნებ შეკითხვა შემდგომისთვის გადაგვედო. ხალხი სულგრძელია, თუ ბატონ ზვიადის აქვს დამსახურება, არ დაუკარგავს და არც ცოდვებს დატოვებენ უყურადღებოდ. ყველაზე საშიში შურისძიებაა, მიტევება არის საჭირო.

ვ. კვარაცხელია: განუხებთ თუ არა ნოსტალგია, თუ დაბრუნდებით და შეუდგებით პოლიტიკურ მოღვაწეობას?

ე. შევარდნაძე: მე 9 აპრილის ამბების დროს ცენტრალური კომიტეტის შენობაში ვთქვი, რომ საქართველოში უნდა დავიმარხო. მინდა ემონანილეობდე დემოკრატიის ფორმირებაში. მე კარტერთან ერთად უნდა ჩამეტარებინა ღონისძიება და ეერ ემონაწილეობ, რადგან საქართველოში ომია. მინდა, რომ სარგებლობა მოეუტანო ხალხს. მე ერთი კითხვაც არ დამისვით იმის შესახებ, რომ მე ოპოზიციას ვხედებოდი – ხოშტარიას, ასათიანს.

ვ. კვარაცხელია: დომუხოვსკი დაგავიწყდათ.

ე. შევარდნაძე: მის სინდისზე იყოს, რაც დაწერა. მივიღე ქალები (45 ქალი), ორი საათი ვისაუბრეთ, მქონდა კონტაქტები.

ვ. კვარაცხელია: რა მიმართვა გექნებათ ქართველი ხალხისათვის?

ე. შევარდნაძე: მე მიმართვა გავუგზავნე ქართველ ხალხს. ეს იყო ცდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა. არ გაგვიტაცოს ანგარიშსწორების ცდუნებამ, შევრიგდეთ, მოვრიგდეთ.

ედუარდ შევარდნაძე, მართლაც ძალიან ჭკვიანია. ახლა განსაკუთრებით გამოადგება იგი საქართველოს. ძალიან მიჭირს თქმა, მაგრამ უნდა ვაღიარო: მას შეუძლია საქართველო გაიყვანოს მსოფლიო ასპარეზზე.

(ეს ინტერვიუ ჩაწერილი ყოფილა 14 იანვარს, 1992 წ.).

თენგიზ სიგუამ მოსთხოვა აფხაზეთის ხელისუფლებას, გახსნას რკინიგზა. თუ აფხაზებს ამის ძალები არ გააჩნიათ, მაშინ თვითონ გადაწყვეტს ამ საკითხს.

ვნახე ჩემი პატარა ბიჭის დახატული სურათი, **დაუხატავს მიტინგი და ხალხი**

ავტომატებით. მარტო ჩვენი თაობა კი არ დაილუპა, ეს პატარა თაობაც იღუპება.

4 თებერვალი

დღეს უნივერსიტეტში მივედი, შევიტყვე, რომ უნივერსიტეტთან ორი საათი იყო სროლა. არავინ დაშავებულა. სხვადასხვა აზრია. ზოგი გვარდიას აბრალებს, ზოგი ზვიადისტებს.

დღეს გამოაცხადეს რომ გვარდიის ნაწილები გალში შევიდნენ. სოხუმის აეროპორტი ამუშავდა. ელადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ ანარმოებენ მოლაპარაკებას. დღეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია იყო. ერთმა დეპუტატმა არძინბას ჰკითხა: ხომ არ გამოინვევდა სამხედრო საბჭოს ძალების შემოსვლა დესტაბილიზაციას აფხაზეთში? არძინბამ უპასუხა, რომ ალბათ პირიქით მოხდებაო.

6 თებერვალი

დღეს დილით, ექვს საათზე გია ყარყარაშვილი ყოველგვარი ექსცესების გარეშე შევიდა სოხუმში.

7 თებერვალი

დღეს გადმოსცეს, რომ მთავრობის ჯარები შევიდნენ გაგრაში. მოსკოვიდან გადმოსცეს, რომ ედუარდ შევარდნაძე და ბეიკერი აპირებენ თბილისში ჩამოსვლას. ეართველებმა კიდევ ერთხელ გავითქვით სახელი. მოსკოვმა გადმოსცა, რომ მოხდა „საუკუნის გაქურდვა". ავტომატიანები შევიდნენ რუ'თავის „აზოტის" ქარხანაში და წაიღეს 50 კილოგრამი პლატინა (260 მილიონი მანეთის). რატომ საქართველოს ტელევიზია არ გადმოსცემს ამის შესახებ?

გუშინ „ვესტიში" ზვიად გამსახურდიამ თქვა, რომ მიმართა უცხო ქვეყნებს, რათა არ ცნონ სამხედრო საბჭო, აგრეთვე წერილი მისწერა ბორის ელცინს, სადაც უკმაყოფილება გამოთქვა მის მიმართ.

9 თებერვალი

დღეს აჩვენეს ჩვენი გვარდიის შესვლა ლესელიძეში და გვარდიელების მისვლა რუსეთის საზღვრამდე. ცრემლები მომერია. ბორის კაკუბავამ და ეკლესიის მსახურებმა დალოცეს ქართული ჯარის შესვლა. გია ყარყარაშვილმა ჭიქა აიღო და მდ. ფსოუს წყლით დალია სადღეგრძელო. ამასაც მოვესწარი! ღმერთო, როგორ შეიძლება ეს არ გაგიხარდეს! ბიჭებო, თქვენ გაგიმარჯოთ! შენ გაგიმარჯოს, ჩემო გია ყარყარაშვილო!

15 თებერვალი

აქამდე არ ვწერდი, რადგან დიდი არაფერი მომხდარა. თენგიზ სიგუა იყო მოსკოვში დსთ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა თათბირზე, სადაც ხელი მოეწერა 10 რესპუბლიკასთან ეკონომიკურ შეთანხმებას. რუსეთთან შეთანხმება ვერ მოხერხდა.

ბეიკერი იყო შუა აზიაში, კავკასიაში, კერძოდ, აზერბაიჯანსა და სომხეთში, საქართველოში არ ჩამოსულა. **ერცელდება ხმები, რომ ედუარდ შევარდნაძე ჩამოყავთო.** სასაცილოა, როდესაც ასე ვმსჯელობთ. ფიქრობენ, რომ, რადგან შევარდნაძე ახლოს არის ბეიკერთან, ამიტომ ამერიკა ცნობს საქართველოში არსებულ რეჟიმს. არ იციან, **რომ პირადი ურთიერთობა და ძმაკაცობა მხოლოდ სანყისია პოლიტიკის და არა გადამწყვეტი ფაქტორი.** ალბათ, სანამ არ ჩატარდება არჩევნები, მანამდე არაფერი გვეშველება.

დაიწყო ტერორისტული აქტები. 8-9 თებერვალს ორჯერ ააფეთქეს ხიდი სენაკთან. თბილისში მილიციის ორი ლეიტენანტი მოკლეს, სამი დაჭრეს.

დღეს მოვუსმინე თემურ ქორიძეს. ძალიან ძნელია უსმინო კაცს, რომელიც პირველი იდეოლოგი იყო ზვიად გამსახურდიას დროს. ქორიძემ განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში პირველი ბზარი გაჩნდა მაშინ, როდესაც კვანტალიანი დანიშნეს ტელევიზიის თავმჯდომარედ და კოლექტივი წავიდა მის წინააღმდეგ, თუმცა კვანტალიანი თვითონაც აპირებდა წასვლას. საერთოდ მინდა აღვნიშნო რომ, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით სექტემბრიდან, თემურ ქორიძეს დიდად უარყოფითი თვისებები არ გამოუვლენია, თუმცა სტუდენტებთან შეხვედრის დროს, დეკემბერში ის მაინც ისევ ის ქორიძე იყო. მე თემურ ქორიძეში დავინახე პიროვნება, რომელიც ზვიად გამსახურდიას ერთგულების გამო კარგს არაფერს მოუტანდა საქართველოს. ისე კი საოცარია, როგორ მოახერხა ზვიად გამსახურდიამ, რომ ასეთი ერთგული კაცი გაენაწყენებინა.

გუშინ მოვუსმინე პოლკოვნიკ თ. ეპიტაშვილს, აღმოჩნდა, რომ, თურმე, ისიც უსაფუძვლოდ მოუხსნია ზვიად გამსახურდიას.

16 თებერვალი

ვუსმენ გადაცემას „საღამო მშვიდობისა". ინტერვიუ პეტრე ჩხეიძესთან.

პეტრე ჩხეიძე: აბაკელიამ დამირეკა პრეზიდენტის სახელით და მითხრა, რომ ოღონდ რუსეთის ჯარებმა მხარი დაგვიჭირონ და შევალთ დსთ-ში, აღვადგენთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, დავაბრუნებთ ლტოლვილებს. მეორედ ისევ აბაკელიამ დამირეკა, რომ მეთხოვა დახმარება რუსეთის ჯარებისათვის. მე ვუთხარი: პრეზიდენტმა თვითონ უნდა ითხოვოს რუსეთის ჯარებისაგან დახმარება. შემდეგ თვითონ პრეზიდენტმა დამირეკა მანქანიდან და მითხრა, რომ სჭირდებოდა დახმარება. შემდეგ ზვიად გამსახურდია ელაპარაკა სხვადასხვა პიროვნებებს. ერთმა მაღალი რანგის ჩინოსანმა მითხრა: დაიკარგეთ შენც და შენი პრეზიდენტიცო. მე ვიცი, რომ ეს საკითხი ოქტომბერში მზადდებოდა, პარლამენტშიც უნდა გაეტანათ განსახილველად, მაგრამ ზვიად გამსახურდია ოპოზიციას მოერიდა.

კორ.: რატომ იმალებოდა ეს ამბავი?

პეტრე ჩხეიძე: გამსახურდია ისეთი ლოზუნგებით მოვიდა ხელისუფლებაში, რომ მისთვის ძნელი იყო აეხსნა ხალხისთვის ამგვარი გადაწყვეტილება.

ინტერვიუ **ჯაბა იოსელიანთან.** იგი იხსენებს 23 ნოემბრის ამბებს. მხედრიონი ერთი თვე იყო ლიახვის ხეობაში, როცა მოვხსენით საკონფლიქტო სიტუაციები. წამოვედით, მაგრამ, როგორც კი წამოვედით, ისევ გართულდა ვითარებაო. ჯაბა იოსელიანმა აღნიშნა: მინდა გავიხსენო 26 მაისი. ამ დღეს გაგრაში მოსალოდნელი იყო ცუდი ამბები, მხედრიონის ნაწილი გაგრაში წავიდა, მე თვითონ 10-15 მანქანით წავედი ცხინვალში, მდგომარეობა განვმუხტეთ. საღამოს ნამოვედი ცხინვალიდან. დასაძინებლად დავწექი. მოირბინა ჩემმა შვილმა და მეუბნება: დიდი ამბებია ცხინვალში, ამის შესახებ ეხლა გამოაცხადა ზვიად გამსახურდიამო. მე ვუთხარი, რომ ეს ტყუილი იქნებოდა.

ტელევიზიით გადაიცა ინტერვიუ **ედუარდ შევარდნაძესთან.**

ნანა ჯაფარიძე: როგორი ორიენტაციის უნდა გახდეს საქართველო.

ედუარდ შევარდნაძე: საქართველომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს მართვის სისტემა, იგი უნდა იყოს ევროპული სტანდარტების. საქართველოს მომავალი ევროპის პროცესებშია.

ნანა ჯაფარიძე: ეკონომიკურად ჩვენ რომელი ქვეყნები დაგვეხმარებიან?

ედუარდ შევარდნაძე: კონკრეტულად ძნელია ამის თქმა. დღემდე ეს საკითხი აქტუალურად არ დგას. ეხლა უნდა გვქონდეს იმედი გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და აშშ-ის.

ნანა ჯაფარიძე: რას იტყვით დსთ-სთან დამოკიდებულების შესახებ?

ედუარდ შევარდნაძე: მე ამ ფორმალურ აქტს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ეს საკითხი მაინც სახალხო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. პირველ რიგში საჭიროა ორმხრივი ხელშეკრულებანი.

ინტერვიუ ბაკურ გულუასთან.

კორ.: მინსკში რატომ იყავით?

ბაკურ გულუა: პრეზიდენტმა მითხრა, რომ სანქციები ხორციელდებოდა. მე ვუპასუხე, ჩავიდეთ ალმა-ათაში, ტაში დავუკრათ, რომ იმპერია ინგრევა. მინსკში სხდომა რომ დაინყო, ჩემი გაძევება მოინდომეს. ლეონიდ კრავჩუკმა მხარი დამიჭირა: ჯერ მოვუსმინოთ და მერე გავაძევოთო.

კორ.: თუ გქონდათ შეხვედრა ელცინთან?

ბაკურ გულუა: შესვენებაზე შევედი იქ, სადაც პრეზიდენტები სხედან. სუფრაზე ედგათ „ენისელი". მირჩა სნეგურმა მითხრა სუფრასთან მოდიო და მეც მივედი. მე განვაცხადე: რატომ მაძევებთ კონფერენციიდან, რატომ არა აქვს საქართველოს უფლება აქ დარჩეს? მიპასუხეს: ძალიან გული გვატკინეთ, ჯერ მოვრიგდეთ და მერე ვილაპარაკოთო.

18 თებერვალი

მოსკოვის „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ გროზნოში ერთმანეთს შეხვდნენ ჯოჰარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია. საღამოს ექვს საათზე უნდა ყოფილიყო შეხვედრა ჟურნალისტებთან.

დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ **ბეიკერი** და **თენგიზ სიგუა**. წინა დღეს ერთმანეთს შეხვედრიან **ბეიკერი** და **შევარდნაძე**.

„მოამბეში" გადმოსცეს, რომ ჯაბა იოსელიანმა ედუარდ შევარდნაძეს წარმომადგენელი გაუგზავნა და საქართველოში მოინვია.

თბილისში მიტინგები აღარ იმართმება, მაგრამ ხალხი უკმაყოფილოა, განსაკუთრებით მძიმე კრიმინოგენური სიტუაციით და ეკონომიკური მდგომარეობით. პურის ფასის გაზრდის შემდეგ მოიმატა ფასმა ტრანსპორტზე. „ვესტიმ" გადმოსცა, რომ ზვიად გამსახურდიას სამხედრო აეროდრომზე დახვედა ჯოჰარ დუდაევი. **გამსახურდიას განუცხადებია, რომ არ აპირებს ემიგრაციაში წასვლას და რომ ჩამოვიდა ვიზიტით, როგორც პრეზიდენტი პრეზიდენტთან.**

19 თებერვალი

ინტერვიუ სი-ენ-ენის კორესპონდენტთან. კორესპონდენტის შეკითხვებს პასუხობენ **ჯეიმს ბეიკერი** და **თენგიზ სიგუა**.

ბეიკერი: ჩვენ არ გვინდა ქართველების იზოლაცია. ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არ ვყოფილვარ. ჩვენ უარყოფითად ვუყურებთ სამხედრო ძალის მიერ დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის დამხობას...

კორ.: ბატონო პრემიერ-მინისტრო, თანახმა ხართ თუ არა დააბრუნოთ პრეზიდენტი, თუ გცნობთ აშშ?

თ. სიგუა: ხალხი არ არის მზად დააბრუნოს გამსახურდია. პარლამენტი გადაწყვეტს, როგორი მმართველობა იქნება.

შეხვედრა 20 წუთის მაგიერ ერთ საათს გაგრძელდა.

აჩვენეს ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ. მან თქვა, რომ მეგობრული ვიზიტით არის ჩასული გროზნოში.

ეგაძის ინტერვიუ **თენგიზ სიგუასთან**.

თ. სიგუა: ბეიკერის ჩასვლა სხვა რესპუბლიკებში და არჩამოსვლა საქართველოში

განპირობებული იყო იმით, რომ დახმარების სქემაში საქართველო არ იყო. გარდა ამისა, ბეიკერი იმიტომ არ ჩამოვიდა, რომ თითქოს აქ აეროპორტები დანაღმული იყო. შეხვედრა გადანყდა 17 თებერვალს. შეხვედრის მონყობაში დაგვეხმარა ამერიკის ელჩი და დავით ჩიკვაიძე.

კორ.: რა პერსპექტივებია საელჩოების გახსნის თაობაზე.

თ. სიგუა: ბეიკერმა დაწერილებითი ინფორმაცია მიიღო. რაც შეეხება დიპლომატიურ ურთიერთობებს, ის შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალი პარლამენტი ეყოლება. რაც შეეხება ჰუმანიტარულ დახმარებებს, მან დაავალა თავის თანაშემწეებს, რომ განიხილონ ეს საკითხი. ალბათ, ერთ თვეში გადაწყდება ჰუმანიტარული დახმარების საკითხი.

20 თებერვალი

„ნოვოსტიმ" გადმოსცა: თენგიზ სიგუამ გამოაცხადა, რომ კენჭს არ იყრის მომავალ არჩევნებში. ასევე აღნიშნეს, რომ ზვიად გამსახურდია და ჯოპარ დუდაევი განაგრძობდნენ მოლაპარაკებებს და რომ მათ მოითხოვეს **რუსეთის ჯარების გაყვანა კავკასიიდან.**

21 თებერვალი

დღეს აჩვენებენ გუშინდელ ინტერვიუს **თენგიზ სიგუასთან.** მან ილაპარაკა ძირითადად ბეიკერთან შეხვედრის შესახებ. სიგუამ განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

კორ.: რატომ ამბობთ უარს არჩევნებში მონაწილეობაზე?

თ. სიგუა: მე მინდა სამეცნიერო სამუშაოზე გადასვლა.

კორ.: რას იტყოდით ზვიად გამსახურდიას განცხადებაზე, რომ ის აკონტროლებს სიტუაციას და მეთაურობს დაუმორჩილებლობას.

თ. სიგუა: როგორ აკონტროლებს, თქვენ თვითონ ხედავთ, იატაკქვეშეთში მოქმედებს. წინა კვირას ორჯერ აიფეთქეს რკინიგზა. ოთხი დღის წინათ დრანდასთან ნანილობრივ ააფეთქეს ხიდი.

კორ.: რას იტყოდით დემოკრატიული პარტიის განცხადებაზე კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ?

თ. სიგუა: წინა დღეებში ბეიკერი იყო შევარდნაძესთან. იყო ორი მომენტი, რის გამოც ბეიკერი არ ჩამოვიდა საქართველოში. ერთი ის, რომ საქართველო სქემაში არ იჯდა; მეორე ის, რომ პირადმა დაცვამ არ ურჩია. რაც შეეხება დემოკრატიული პარტიის განცხადებას, ყველა პარტიას აქვს უფლება გააკეთოს თავისი განცხადება. მთავრობა ერთი განცხადების გამო არ გადადგება, თუ მთლიანად დემოკრატიული მოძრაობა მოითხოვს, გადადგება.

კორ.: რას იტყოდით ბაგრატიონების ჩამოსვლაზე?

თ. სიგუა: ოფიციალური მოწვევა არ ყოფილა, ეს იყო კერძო მოწვევა.

კორ.: რას იტყოდით რუსი მოხალისეების ჩასვლაზე ცხინვალში? როგორი ურთიერთობა გაქვთ არძინბასთან?

თ. სიგუა: ჩვენ არ გვაქვს ცნობა, რომ რუს მოხალისეთა ლეგიონი იყოს ცხინვალში, რაც შეეხება მეორე შეკითხვას, შაბათს ჩვენი დელეგაციები ხვდებიან ერთმანეთს.

კორ.: რატომ იყო შტრაუსი დაინტერესებული, რომ შეხვედროდით ბეიკერს?

თ. სიგუა: მე ადრე მქონდა შეხვედრა შტრაუსთან.

კორ.: იცოდით თუ არა, რომ **გია ჭანტურია** და **თემურ ჟორჟოლიანი** უნდა შეხვედროდნენ ანდრეოტის?

თ. სიგუა: ჭანტურიას და ჟორჟოლიანს არ პქონდათ მთავრობისაგან რაიმე რწმუნებ-

ულება. მათ უფლება აქონდათ თავიანთი პარტიის სახელით შეხვედროდნენ და ესაუბრათ.

კორ.: როგორ გადაწყდება გამსახურდიას პრობლემა?

თ. სიგუა: მას ბევრი ბრალდება აქვს, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულა გამოძიება, ზოგი მოწმე საქართველოშიც არ არის. ძალიან დიდია კორუფცია, ფულის ტომრებზე იყო საუბარი.

კორ.: (კითხვა ვერ გავიგე – მ. ვ.).

თ. სიგუა: გვარდიამ თავისი მისია შეასრულა, სოხუმის აეროპორტი გაიხსნა და მატარებლები დადიან. ჩვენი მიზანი არ იყო გვარდია იქ დარჩენილიყო. თუ ვერ უზრუნველყოფენ მაგისტრალების დაცვას, ჩვენ ისევ მივმართავთ ამ ღონისძიებას.

კორ.: ზუგდიდზე რას იტყოდით და იქ არსებულ ბანდებზე?

თ. სიგუა: როცა პრეზიდენტი ეძახდა დასახმარებლად მოხალისეებს, მათ იარაღს ურიგებდნენ, შემდეგ ისინი იკარგებოდნენ. ისინი ძირითადად შავი სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ. დასავლეთ საქართველოში ორი ბანდა დავაპატიმრეთ. ამჟამად რამდენი ბანდაა, არ ვიცით.

კორ.: რა უშლის ხელს რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ხელშეკრულების დადებას?

თ. სიგუა: ეკონომიკური რეფორმის გატარებისათვის გვინდა 300-350 მილიონი, რუსეთი გვთავაზობდა კლირინგით გაცვლას, ეს არ გვაწყობდა.

კორ.: თუ აქვს დროებით მთავრობას კავშირი შევარდნაძესთან?

თ. სიგუა: მე ვთვლი, რომ ის ქართველია და ყველა ქართველს აქვს უფლება ჩამოვიდეს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ცხოვრებაში. მას დიდი ავტორიტეტი აქვს. მას შეუძლია ჩამოვიდეს და აქ შექმნას ფონდი. ალექსანდრე ჩიკვაიძესთან მქონდა ურთიერთობა და დამთანხმდა მინისტრობაზე.

ზუგდიდში 19-ში მოკლეს ერთი გვარდიელი და ერთი მოქალაქე. მოხდა აფეთქება გულრიფშში, 8 ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან.

„ეროვნული თანხმობის და აღორძინების კავშირმა" შევარდნაძის ჩამოსვლა მოითხოვა.

რამაზ საყვარელიძემ (ფსიქოლოგიის ცენტრმა) მოაწყო სოციოლოგიური გამოკითხვა. შეკითხვაზე: ვის შეუძლია სტაბილიზაციის დამყარება, პასუხი ასეთი იყო: **არ ვიცი – 15%, შევარდნაძეს – 15%, სიგუას – 3%, პრეზიდენტს – 2%, კიტოვან-იოსელიანს – 2%.**

22 თებერვალი

ინტერვიუ **თამრიკო ჩხეიძესთან.** თამრიკო ჩხეიძემ განაცხადა, რომ „მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებაში მოსვლამდე დიქტატორობისაკენ სწრაფვა დაიწყო. გამსახურდიამ პირველად ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ამოიჩემა და ისინი კრემლის აგენტებად გამოაცხადა. როცა ზურაბი სიკვდილის პირას იყო, ამ დროს გამსახურდია მას კრემლის აგენტად აცხადებდა. შემდეგ ეს ბევრმა იწვნია თავის თავზე.

კორ.: არაფერი არ იცით მერაბ კოსტავას სიკვდილის შესახებ? უკვე ორი წელიწადი გავიდა.

თ. ჩხეიძე: გამოძიებაზე იმედი არ დამიმყარებია... მე თვითონ ვცდილობდი გამერკვია, მაგრამ ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მერაბი თავს იკავებდა ზვიადთან ურთიერთობების გაფუჭებაზე, მაგრამ ძალიან განიცდიდა, როდესაც კრემლის აგენტებად აცხადებდნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს. ერთხელ ზვიადმა გამოაცხადა, ჩაექოლათ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მაშინ მერაბი გამოვარდა და იყვირა, რას შვრებითო?

ნერვები მეშლება. ახლა ვუყურებ მოსკოვში მირჩა სნეგურის ინტერვიუს, რომელიც დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მოლდავეთმა ამერიკასთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. მერე აჩვენეს ნორსულთან ნაზარბაევის ვიზიტი ინდოეთში. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ჩვენ აღმოვჩნდით ყველაზე ჩამორჩენილი რესპუბლიკა.

დღეს გამოვიდა ტელევიზიით სამხედრო საბჭოს სამართლებრივ-ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ბოჭორიშვილი, რომელმაც წაიკითხა საქართველოს 21 თებერვლის სამხედრო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება: **აღდგეს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.**

24 თებერვალი

თენგიზ კიტოვანი დაინიშნა **თენგიზ სიგუას** პირველ მოადგილედ და დაევალა უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების კურირება.

სოხუმში გრძელდება საპროტესტო აქციები.

25 თებერვალი

ინტერვიუ **ჯაბა იოსელიანთან** მიჰყავს ვალერი კვარაცხელიას.

ვ. კვარაცხელია: რას იტყოდით შექმნილი სიტუაციის შესახებ?

ჯ. იოსელიანი: ჩვენ გვინდა დემოკრატიულად მივიდეთ არჩევნებამდე. ჩვენ ვაწყდებით წინააღმდეგობებს ზოგიერთ რეგიონში. უკიდურეს მდგომარეობაში ძალას გამოვიყენებთ. სამხედრო მდგომარეობის დროს ტელევიზია უნდა იყოს ცენზურის ქვეშ, პოლიტიკური პარტიები უნდა გაუქმდეს. ხალხმა გამოთქვას თავისი აზრი. ჩვენთვის თავისუფლების პირველი დღეები ისეთია, როცა ავადმყოფი კრიზისიდან გამოდის.

ვ. კვარაცხელია: არსებობს საშიშროება, რომ სისხლი ისევ დაიღვაროს?

ჯ. იოსელიანი: ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. არიან ჯგუფები, რომელთაც სურთ რევანში აიღონ. ჩვენ, მხედრიონელები, ყველა დავწვებით, 2 ათასი კაცი ვართ და, არა თუ გამსახურდიას, სხვა დიქტატურასაც არ დავუშვებთ.

ვ. კვარაცხელია: დღეს საკონსტიტუციო ვაკუუმი არსებობს, აღდგა 1921 წლის კონსტიტუცია, რამდენად გამართლებული იყო ეს გადაწყვეტილება?

ჯ. იოსელიანი: ეს დაგეიანებულიც კი იყო, როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, გამსახურდიამ მაშინ არ აღადგინა, რადგან კონსტიტუციაში პრეზიდენტობა არ იყო.

ვ. კვარაცხელია: მოვიდა ტელემაყურებელთა შეკითხვები მძიმე კრიმინოგენური სიტუაციის შესახებ.

ჯ. იოსელიანი: „მხედრიონში" 90% ვაჟკაცები და წესიერი ხალხია, შეიძლება რაღაც პროცენტი იყოს, მაგრამ მათ ძალიან მკაცრად დავსჯით.

ვ. კვარაცხელია: როდის გამოვა ჯარი დასავლეთ საქართველოდან?

ჯ. იოსელიანი: როცა ფოთში ვიყავი, ნაწილი ამბობდა არ წახვიდეთ, ნაწილი — წადითო.

ვ. კვარაცხელია: როგორ აფასებთ ჭანტურიას პარტიას?

ჯ. იოსელიანი: მე ის მომწონს იმიტომ, რომ თანმიმდევრულია.

ვ. კვარაცხელია: რა თანამდებობა გაქვთ გათვალისწინებული შევარდნაძისთვის? როგორ აფასებთ შევარდნაძეს?

ჯ. იოსელიანი: სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორ შეიძლებოდა კომუნიზმის მოცილება. ამისთვის ერთი საშუალება არსებობდა, რომ ეს მომხდარიყო „ზემოდან", რადგან „ქვემოდან" ამის გაკეთება შეუძლებელი იყო.

სწორედ ამაში უდიდესი როლი აქვს შევარდნაძეს. **ასი წელი რომ გავა ჩვენ არაფერი არ ვიქნებით, შევარდნაძე კი დიდი ფიგურა იქნება. ყველა ქართველი იქნება დამნაშავე, რომელიც არ გამოიყენებს ამ შესაძლებლობას.**

ვ. კვარაცხელია: ფლობთ თუ არა სიტუაციას რესპუბლიკაში?

ჯ. იოსელიანი: ვფლობთ, მაგრამ ისე არა, როგორც ვფიქრობ.

ვ. კვარაცხელია: ყოფილი დეპუტატები ხელს უნყობენ თუ არა დესტაბილიზაციას?

ჯ. იოსელიანი: ჩვენ ვაცხადებთ ამნისტიას. ჩვენ არ ვაპატიებთ იმათ, ვინც ქართველ კაცს სახლს უწვავს. ადგილზე თუ მიუსწარით, მოვახდენთ მის ლიკვიდაციას.

ვ. კვარაცხელია: ამნისტია ხომ არ გამოინვევს კრიმინოგენური ვითარების გამნვავებას?

ჯ. იოსელიანი: ამნისტია ეხება პატიოსან კაცს. დამნაშავეს, თუ ისევ დაიწყებს დანაშაულის ჩადენას, მალე დაიჭერენ. პატიოსანი კაცი კი აღარ ჩაჯდება ციხეში.

ვ. კვარაცხელია: რას იტყვით „მხედრიონის" ბედზე?

ჯ. იოსელიანი: როდესაც ავირჩევთ პარლამენტს, „მხედრიონი" დაიშლება.

ვ. კვარაცხელია: ადრე ფიქრობდით პოლიტიკაზე?

ჯ. იოსელიანი: მთელი ცხოვრება პოლიტიკაზე ვფიქრობდი.

ვ. კვარაცხელია: ჩამოერთმევა თუ არა იარაღი „მხედრიონს"?

ჯ. იოსელიანი: ეხლა უკვე ვარჩევთ, ვის ჰქონდეს იარაღი.

ვ. კვარაცხელია: მიიღებს თუ არა „მრგვალი მაგიდა" არჩევნებში მონაწილეობას?

ჯ. იოსელიანი: ყველას აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა.

ვ. კვარაცხელია: ძალიან მერიდება, მაგრამ უნდა გკითხოთ თქვენი წარსულის შესახებ?

ჯ. იოსელიანი: ტერმინი „ვორ ვზაკონე" კომუნისტების მოგონილი იყო ლაგერებში ხალხი რომ დაეპირისპირებინათ ერთმანეთისთვის, რათა გარკვეული ნაწილი ადვილი სამართავი ყოფილიყო. 40 წელს ვიყავი ციხეში ქურდი, მერე კანდიდატი, დოცენტი, დოქტორი. ზვიად გამსახურდია კი, პირიქით: ჯერ კანდიდატი, მერე ქურდი.

ვ. კვარაცხელია: მიიღებს თუ არა არჩევნებში გამსახურდია მონაწილეობას?

ჯ. იოსელიანი: ვერ მიიღებს. თუ ის ჩამოვა, დავაპატიმრებთ, თუ არ ჩამოვა, საერთაშორისო სამართალს გადავცემთ.

ვ. კვარაცხელია: თქვენ ძალაუფლება იარაღით აიღეთ და დაამხეთ კანონიერი ხელისუფლება, სანამ აქამდე მიხვიდოდით, ამოწურული იყო თუ არა ყველა მშვიდობიანი მეთოდი.

ჯ. იოსელიანი: ყველა მშვიდობიანი მეთოდი ამოწურული იყო. თვითონ დაიწყეს სროლა. ჩვენ შევუთვალეთ, რომ გადამდგარიყო, მან ეს ჩვენ სისუსტედ მიიღო. ჩემი დაჭერის წინ ნათაძეს ვუთხარი: ჩვენ „მხედრიონელს" ესროლეს. მაშინ მისი გადაყენება არაფერი არ იყო, ნოდარი მოვიდა და მითხრა, არ გააკეთოო. მართალია, მაშინ რომ გადამეყენებინა, ის გმირი გამოვიდოდა და მე მოღალატე. როცა ინტელიგენციამ დაწერა თხოვნა, რომ თავდებში გამოვეშვით, მე მივწერე, რომ არ გამოვიდოდი.

ვ. კვარაცხელია: თქვენ ინვევდით დიალოგზე, მეც ვიწვევდი მათ დამჯდარიყავით, არ ნამოვიდნენ.

ჯ. იოსელიანი: არ მიყვარს სახალხოდ თავის გამოჩენა. **ზვიადი ჩემზე მეტყველი იყო, რა უჭირდა? მაგრამ მას პოზიცია არ ქონდა.**

აფხაზეთში გაიმართა სესია. ვლადისლავ არძინბამ მოხსენება გააკეთა აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და სიტუაციას კატასტროფული უწოდა. სესიამ მიიღო დადგენილება საგანგებო რეჟიმის შესახებ.

დაიძაბა ურთიერთობა ნალენჯიხაში, ზვიად გამსახურიას მომხრეებმა გამართეს მიტინგი.

სენაკში მდგომარეობა წყნარდება. დღეს სკოლებში სწავლა განახლდა.

1 მარტი

გაზაფხული დაიწყო. იქნება რამე გვეშველოს. ასეთი მძიმე, საშინელი ზამთარი არ მახსოვს, ამდენი ხანი შინ არასოდეს ვყოფილვარ. საღამოს სად გახვალ? დაბნელდებოდა თუ არა, 5 საათის შემდეგ, ფაქტობრივად ხალხი აღარ დადიოდა ქუჩაში. პატარა ბავშვივით მიხარია გაზაფხულის მოსვლა.

ამ დღეებში გამოვიდა ამნისტია. ასეთი ამნისტია საერთოდ არ ყოფილა — ძალიან ბევრი განთავისუფლდა. მოსახლეობა უკმაყოფილოა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ყაჩაღი გამოვიდა გარეთ. მეც უნდა ვიყო უკმაყოფილო, მაგრამ, როგორც ქრისტიანს, არა მაქვს უფლება ყველა მოვნათლო ბანდიტათ. თუ ნანილი გამოსწორდება, ესეც ბედნიერებაა საქართველოსთვის, რადგან დასაკარგი ხალხი არა გვყავს.

გადაცემა „საღამო მშვიდობის". ინტერვიუ ვაჟა ადამიასთან. მან განაცხადა, რომ ორი კვირა იავადმყოფა და რომ „მერაბ კოსტავას საზოგადოება" სამაჩაბლოში იმყოფება, რათა დაიცვას ქართველი მოსახლეობა.

2 მარტი

გადაცემა „პირისპირ". ინტერვიუ აკაკი ასათიანთან.

ვ. კვარაცხელია: როგორ აფასებთ იმას, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში მოხდა საქართველოში?

ა. ასათიანი: ათასგვარი აზრი არსებობს ბოლო მოვლენების შესახებ, ყველას ეშინია, რომ დაერქვას სახელი. **რეალურად მოხდა სამხედრო გადატრიალება. არც ერთ ქვეყანაში ამას არ უარყოფენ.** რამ გამოიწვია ეს ტრაგედია? ეს ორმხრივი მოვლენა იყო. ერთი მხრივ, ხელისუფლების მიერ კანონის უგულველყოფა და უმცირესობის დათრგუნვა, მეორე მხრივ, ოპოზიციის უპასუხისმგებლობა.

ვ. კვარაცხელია: მინდა გავიხსენოთ პროგრამა, რითაც მოხვედით თქვენ...

ა. ასათიანი: ჩვენ მივაღწიეთ მთავარს — დამოუკიდებლობას, რაც შეგვეძლო ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის და სიტყვა არ გაგვიტეხია. რაც შეეხება დემოკრატიის საკითხს, ერთხელ ვთქვი: ოღონდ დამოუკიდებლები გავხდეთ და დემოკრატიული კი არა, თუ გინდა ფაშისტური ან კომუნისტური რეჟიმი იყოსთქო. **ჩვენ ვფიქრობდით, რომ უპირველესი იყო დამოუკიდებლობის მოპოვება.**

ვ. კვარაცხელია: ჩემს პოზიციას მოგახსენებთ. თუ დამოუკიდებლობას მივაღწიეთ, ეს ზემოდან მოხდა და გამსახურდიას ხელისუფლების დამსახურება ნაკლებია. მაინც რამდენმა სახელმწიფომ გცნოთ?

ა. ასათიანი: ისრაელის მაგალითს გეტყვით, რომელსაც ბევრი ქვეყანა არ ცნობს. გოგა ხაინდრავა ჩემი სკოლელია. 9 აპრილს იქვე ეტრიალებდით ... მთავარი იყო ხალხის გათავისუფლება.

ვ. კვარაცხელია: მოვიდა პირველი კითხვები ტელემაყურებლებისგან. რას იტყვის აკაკი ასათიანი იმის შესახებ, რომ რუსთაველზე ძეგლის გახსნისას გამსახურდიას უწოდა წმინდა გიორგი?

ა. ასათიანი: წმინდა გიორგი ადამიანი იყო. ჩემი ბავშვობა 60-იან წლებს დაემთხვა. ვიცოდი, რომ ზვიადი საქართველოს განთავისუფლებისთვის იბრძოდა და სულ ვოცნებობდი, რომ მის გვერდით ვყოფილიყავი. მე გულწრფელი ვიყავი მაშინ. ზვიად გამსახურდიას როლს შთამომავლები განსჯიან.

ვ. კვარაცხელია: ბოლო პერიოდში რა ხდებოდა თქვენს და პრეზიდენტს შორის,

რაც ცნობილი არ იყო ფართო საზოგადოებისათვის?

ა. ასათიანი: მე ჩემი აზრი მქონდა, მაგრამ არ მინდა ამაზე ლაპარაკი, როგორც დღეს სხვები ლაპარაკობენ.

ვ. კვარაცხელია: რას იტყვით ამჟამად, რა გავაკეთოთ?

ა. ასათიანი: პრობლემა ჩემთვის ერთადერთია. მე მინდა დავეხმარო დაღუპულთა ოჯახებს. 1921 წლის კონსტიტუცია ამჟამად გამოუსადეგარია, ის სოციალისტურია, საერთოდ ხალხს უნდა ვკითხოთ, რა გვინდა. ტრადიციონალისტებმა ჯერ კიდევ 16 სექტემბერს განაცხადეს, რომ ახალი არჩევნები ჩაეტარებინათ.

ვ. კვარაცხელია: მაგრამ ნანილი იბრძვის, რათა აღადგინონ ძველი ხელისუფლება.

ა. ასათიანი: მე ვთქვი, რომ იმ პარლამენტის აღდგენა არ ღირს, რაც შეეხება პრეზიდენტის საკითხს, ის რეფერენდუმის გადასაწყვეტია.

ვ. კვარაცხელია: რამდენად მიზანშეწონილია გამსახურდიას ბრძოლა თანამდებობას დასაბრუნებლად?

ა. ასათიანი: მე რომ დანამდვილებით ვთქვა, მაშინ უნდა ვიცოდეთ, როგორ იბრძვის იგი.

ვ. კვარაცხელია: თუ ვინმე ფიქრობს იმაზე, რომ გამსახურდიას დაბრუნება სისხლისღვრის გარეშე არ შეიძლება?

ა. ასათიანი: ჩემი აზრით, არცერთი თანამდებობა ერთი ქართველის სისხლადაც არ ღირს.

ვ. კვარაცხელია: რა შეხედულების ხართ შევარდნაძის ჩამოსვლაზე?

ა. ასათიანი: შევარდნაძე ცალკე აღებული პოლიტიკური პირი არ იყო, ის იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მოღვაწე. მე ვერ გეტყვით, რომ სტაბილიზება არ მოხდება და სასიკეთო არ იქნება ეს საქართველოსათვის.

ვ. კვარაცხელია: შეუძლია თუ არა შევარდნაძეს კარგი საქმის კეთება?

ა. ასათიანი: გამოჩნდება საქმით. ერთხელ შევხვდით მე და პაატაშვილი შევარდნაძეს, პრეზიდენტმა გაგვაგზავნა და ვილაპარაკეთ.

ვ. კვარაცხელია: რას აკეთებდით ბათუმში თბილისში სისხლისღერის დროს?

ა. ასათიანი: მე გავაკეთე სამი განცხადება, მე ვერ ავიცილებდი თოფის გასროლას...

ვ. კვარაცხელია: როგორ აფასებთ გამსახურდიას ყოფნას დუდაევთან?

ა. ასათიანი: ეს გამსახურდიას საქმეა.

ვ. კვარაცხელია: რა როლი ჰქონდა პრეზიდენტის მეუღლეს?

ა. ასათიანი: თავს შევიკავებდი. მამაკაცებმა ქალებზე საუბრისგან თავი უნდა შეიკავონ.

3 მარტი

დღეს რადიომ ინტერვიუ აიღო ჩემგან (საღამოს 9 საათზე გადაიცა). შემეკითხნენ აკაკი ასათიანის ინტერვიუს შესახებ. მე ვუთხარი, სხვას რას ელოდით-თქო. აკაკიმ ვაუკაცურად ისაუბრა და ზვიად გამსახურდიას არაფერი დააბრალა, რადგან ზვიადი საქართველოში არ არის და პასუხს ვერ გასცემდა. ზვიად გამსახურდიას დაბრუნებაზე შემეკითხნენ. მე ვუპასუხე: **სისხლი რომ არ დაღვრილიყო, ამჟამად საქართველოში ისეთი ეკონომიკური და კრიმინოგენური სიტუაცია არის, რომ ალბათ რამდენიმე თვეში ისევ მოიწვევდნენ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჩატარდებოდა ახალი საპარლამენტო არჩევნები და პრეზიდენტის უფლებები ნაწილობრივ შეიზღუდებოდა.** დღეს ზვიად გამსახურდიას დაბრუნება დიდ სისხლისღვრას გამოიწვევს. თან მე აღარ მჯერა იმ კაცის, რომელსაც

მთელი ერი გვერდით ედგა და ფაქტობრივად ოპოზიცია არ ჰყავდა, მაგრამ ვერ გააერთიანა ქართველი ერი. ახლაც არ მჯერა, რომ ამას შეძლებს. მე ძალიან მწყინს, რომ ყველაფერი ასე მოხდა. როცა ხმა მივეცი ზვიადის პრეზიდენტობას ვფიქრობდი, რომ ჰქონდა კარგი გარეგნობა, იყო განათლებული, დიდი მწერლის შვილი და იმედი მქონდა, რომ იგი ნორმალურ ხალხს შემოიკრებდა, მაგალითად, როგორიც იყო ლევან ალექსიძე. სამწუხაროდ, რაც ხდებოდა, ლოგიკაში არ ჯდებოდა. **მთავრობა არ მიდიოდა არცერთ დათმობაზე. მარტო ტელევიზიის საკითხი რომ გადაეჭრათ, ალბათ, ეს ამბავი არ მოხდებოდა. არჩილ გოგელიამ,** ჩემი აზრით, უფრო მეტი სიკეთე გააკეთა თავისი ობიექტური გადაცემებით, ვიდრე კვანტალიანმა. შემდეგ ვისაუბრე, რომ თაობები იღუპებიან, ჩემი პატარა შვილები სულ ავტომატებით თამაშობენ. ნუ ვღუპავთ ჩვენს ახალგაზრდობას.

6 მარტი

გამოაცხადეს, რომ ედუარდ შევარდნაძე მოფრინავს თბილისში. აჩვენეს ინტერვიუ, სადაც მან განაცხადა: როცა ჩემს სამშობლოში არის შიმშილი და ქაოსი, მე არ შემიძლია დავდგე გვერდზეო.

ღმერთმა ქნას, რომ შევარდნაძემ გადაარჩინოს ჩემი დაღუპული ერი. ვინც ამას შეძლებს იმის გვერდით ვიქნები! **რა მნიშვნელობა აქვს წარსულს, მთავარია, რა სურს გააკეთოს ადამიანმა – სიკეთე თუ სიმუხთლე.** მე არა მწამს, რომ ზვიად გამსახურდიას არ უნდოდა ბედნიერება თავისი ხალხისთვის. დარწმუნებული ვარ: ზვიადს სჯეროდა, რომ სიკეთეს მოუტანდა სამშობლოს. მაგრამ რა საშინელ დღეშიც ჩააგდო საქართველო, ამას ის ვერც მიხვდება ვერასოდეს.

7 მარტი

დღეს აჩვენებენ, როგორ ჩამოფრინდა ედუარდ შევარდნაძე. მას აეროპორტში დახვდნენ თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი. შევარდნაძემ განცხადება გააკეთა: უნდა გითხრათ, რომ ლაპარაკი მიჭირს, სიხარულს ემატება ტკივილი და პასუხისმგებლობა, საქართველოს ძალიან უჭირს. შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს. **მე მივესალმები ჩემს მეგობარ ინტელიგენციას, რომელმაც იარაღი დაიჭირა ხელში.** მე მივესალმები საქართველოს ყველა კუთხეს... იმიტომ ჩამოვთვალე ეს კუთხეები, რომ ხაზი გამესვა, რა მნიშვნელობა აქვს ერთობას. მე მინდა გითხრათ: დიდი შრომა გველის, ძალიან ძნელია ამ მტკივნეული ეპოქიდან სხვა ქვეყნების დახმარების გარეშე გამოსვლა. ჩვენ ბევრი მეგობარი გვყავს ყოფილ სსრკ-ში, ევროპასა და აშშ-ში. ყველა მოძრაობას მივესალმები.

წავიდნენ სიონის ტაძარში. ედუარდ შევარდნაძეს კითხვას უსვამენ; როდის გვეშველება? არის შიმშილი, სიცივე...

ე. შევარდნაძე: აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ საზღვარგარეთი. მდგომარეობა უმძიმესია. თუ ყველა შევიგნებთ, რაც გველოდება, შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა. შემდეგ შევარდნაძე ეწვია საბურთალოს პანთეონს, სადაც ყვავილებით შეამკო 1991-92 წლის დეკემბერ-იანვარში დაღუპულთა საფლაეები.

8 მარტი

გვიან მოვედი. ტელევიზიით აჩვენებენ ინტერვიუს ედუარდ შევარდნაძესთან. შესავალი სიტყვა არ მომისმენია. ინყება შეკითხვები.

კორ.: რატომ ჩამოხვედით ასე ჩქარა?

ე. შევარდნაძე: კრიზისი უფრო უარესია, ვიდრე ვფიქრობდი მოსკოვში...

კორ.: მიიღებთ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში?

ე. შევარდნაძე: ხვალ უნდა შევხვდე პოლიტიკურ პარტიებს, ვნახოთ, რას გადავწყვეტთ ამ დღეებში.

კორ.: კადრების შესახებ რას იტყვით?

ე. შევარდნაძე: კადრებში მე ბევრი შეცდომები მქონდა. არჩევნებამდე ისეთი სტრუქტურები უნდა შეიქმნას, რომ (ჩაწერას ვერ ვასწრებ – მ. ვ.).

9 მარტი

სამხედრო საბჭო ქმნის სახელმწიფო საბჭოს, რომელშიც შევლენ ე. შევარდნაძე, თ. სიგუა, ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი. სახელმწიფო საბჭო აყალიბებს დარბაზს.

10 მარტი

სამხედრო საბჭოს დადგენილება: 1. არჩევნებამდე შეიქმნას სახელმწიფო საბჭო, 2. განისაზღვროს მისი შემადგენლობა, 3. გამოეცხადოს სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა, 4. შეწყდეს სამხედრო საბჭოს არსებობა.

სახელმწიფო საბჭოს დადგენილება:

1. ედუარდ შევარდაძე — სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.
2. ჯაბა იოსელიანი — მოადგილე.

პრეზიდიუმი: ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ედუარდ შევარდნაძე. დღეს საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. იმედი მესახება, რომ საქართველოს რამე ეშველება.

11 მარტი

ზუგდიდში არეულობაა. შევარდნაძე დღეს უკვე შეუდგა მუშაობას. იგი შეხვდა აშშ-ის ერთ-ერთი კომპანიის პრეზიდენტს და ირანის ტრანსპორტის მინისტრის პირველ მოადგილეს. ამავე დროს ეწვია ბავშვთა საავადმყოფოს, იყო პურის საცხობში.

„ვესტიმ" გაავრცელა ცნობა, რომ ხვალ გროზნოში გაიხსნება საქართველოს პარლამენტის სხდომა. საინტერესოა, რამდენი დეპუტატი დაესწრება.

„ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ **ედუარდ შევარდნაძემ ითხოვა, არ გაეყვანათ საქართველოდან რუსეთის ჯარები.**

„ვესტიმ" 11 საათზე გამოაცხადა: ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ალბათ დადგება საქართველოს ცნობის და მისი ევროპის თანამეგობრობაში მიღების საკითხი (ზუსტად ვერ გავიგე – მ. ვ.).

ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან. ეკითხება ამერიკელი კორესპონდენტი:

რას ფიქრობთ დასავლეთის დახმარებაზე?

ე.შევარდნაძე: პრინციპში დაგვეხმარებიან, არის იმედები...

12 მარტი

დღეს ჩატარდა სახელმწიფო საბჭოს პირველი სხდომა.

დღესვე განიხილეს ზუგდიდში შექმნილი მდგომარეობა. სინათლე გამოირთო, მალე ისევ ჩაირთო. დუგლას ჰერდმა, დიდი ბრიტანეთის ელჩმა, მიულოცა ედუარდ შევარდნაძეს.

„ნოვოსტიმ" 9 საათზე გადმოსცა, რომ გროზნოში შეიკრიბა საქართველოს პარლამენტი. სხდომას 70 პარლამენტარი ესწრებოდა. სიტყვით გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი.

გადმოსცეს, რომ ზუგდიდში გამაგრებულია 1500 ბოევიკი, ისინი ზვიად გამსახურდიას ემხრობიან.

13 მარტი

დღეს დილით უნივერსიტეტში შემხვდა თემურ ფიფია, რომელმაც მითხრა, რომ გალის რაიონში დაიჭირეს გვარდიის სარდალი გია ყარყარაშვილი და ბესიკ ქუთათელაძე, სამხედრო მინისტრის ყოფილი მოადგილე. ეს ცნობა ღამე „ვესტიმაც" დაადასტურა.

დღეს ამბობენ, რომ ზუგდიდში წავიდა თენგიზ კიტოვანი, გვარდიითა და ტექნიკით.

საღამოს „მაცნემ" გამოაცხადა, რომ ორი დღე მისცეს, რათა გაუშვან ყარყარაშვილი და ქუთათელაძე. „ვესტიმ" გადმოსცა, რომ მზადდება ტერორისტული აქტები შევარდნაძის, იოსელიანის და კიტოვანის მოსაკლავად.

დღეს, როგორც გავიგე, გროზნოში სესია მერაბ კიკნაძეს მიპყავდა. ზუსტად არ ვიცი, რისი იმედი აქვს ვალტერ შურღაიას, ალბათ, დახმარებას ელის ჩეჩნეთიდან. მათ იმედი აქვთ აგრეთვე იმისი, რომ შევარდნაძე ისე არ შეუტევს, როგორც შეუტევდა იოსელიანი და კიტოვანი, რადგან შევარდნაძე თავის იმიჯს გაუფრთხილდება. სწორედ ამიტომ მოაწყვეს ეს აშკარა გამოსვლა შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ და არა მის ჩამოსვლამდე.

14 მარტი

გვიან ღამით აჩვენეს ნაწამები და დამწვარი გვარდიელი. გული ცუდად გამიხდა.

ინტერვიუ **თენგიზ კიტოვანთან.** მან განაცხადა: ეს ვანდალიზმია. მე ვერ წარმომიდგენია, რას ებღაუჭება (გულისხმობს ზვიად გამსახურდიას – მ. ვ.). დროა წერტილი დავუსვათ... ეფიცავ, რომ ბოლომდე მივიყვან ამ საქმეს.

რ. გვენცაძე: მუხანათურად დაესხნენ მკვლელები. ოცი წელიწადია ვმუშაობ ორგანოებში, მაგრამ ასეთი დასახჩრებული ადამიანი არ მინახავსო. ამას გარდა, სამი მილიციელი დახვრიტეს. ღმერთო ჩემო, ღმერთო! ჯემალ სეფიაშვილთან რომ ვიყავი, ისევ მოვისმინე მისი სიმღერა „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები". ცრემლები მომერია, ისევე ვიტირე, როგორც 9 აპრილს. მერე ჩემმა ჯემალმა იმღერა ღმერთზე და მის სიყვარულზე. მოვედი შინ და ეს საშინელება დამხვდა.

ბატონო პრეზიდენტო! ნუთუ ამ სისხლის გამო არ ნერვიულობთ? ნუთუ არ გაწუხებთ, რომ ქართველები იღუპებიან?

17 მარტი

15 მარტს დაწვეს **კოლხური კოშკი.** რა ბარბაროსობაა! ყველა ამბობს, როგორ შეიძლებოდა კონსტანტინე გამსახურდიას სახლის დაწვა. კონსტანტინესი კი არა ზვიად გამსახურდიას სახლის დაწვაც არ შეიძლება!

ეს ორი დღეა ზუგდიდში მიმდინარეობს მოლაპარაკება სახელმწიფო საბჭოს დელეგაციას (ნოდარ ნათაძე, ირაკლი ბათიაშვილი, როგავა, მერაბ ურიდია, თემურ ფიფია, დიხამინჯია, გოგა ხაინდრავა) და ზვიადის მომხრეებს (ვალტერ შურღაიას, ვახტანგ ქობალიას, ჯემალ ქობალიას, გოჩა ბახიას) შორის. ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები: ოთარ ფაცაცია, მერაბ რაფავა, ზაურ ქობალია.

დღეს სახელმწიფო საბჭო იხილავს ერთობლივ შეთანხმებას. ტყვეებს ზუგდიდში კარგად ეპყრობიან. ურიდიას და ნათაძეს უნახავთ გია ყარყარაშვილი და ბესიკ ქუთათელაძე, რომლებმაც თქვეს, რომ კარგად გვეპყრობიანო. ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ძირითადი მოთხოვნები არის „მხედრიონის" და გვარდიის გასვლა სამეგრელოდან. ასევე ითხოვენ დამნაშავე გვარდიელების და მხედრიონელების დასჯას.

ამის შემდეგ ისინი თანახმანი არიან შეწყვიტონ შეიარაღებული წინააღმდეგობა და ცალკე ბატალიონად შევიდნენ გვარდიაში.

დღეს მოსკოვში შეიკრიბნენ ყოფილი სსრკ-ს სახალხო დეპუტატები. 2250 დეპუტატიდან ესწრებოდა 200. ამავე დღეს მიტინგი ჩაატარეს ნითელი დროშებითა და ლენინის სურათებით. 50000 ათასი კაცი მოითხოვდა ბორის ელცინის გადადგომას.

აჩვენებენ ზუგდიდში მყოფ ტყვე გვარდიელებს, რომლებმაც თქვეს, რომ ძალიან ვაუკაცურად გვექცევიანო. ცრემლები მომერია, ძალიან მიხარია. ერთმა თქვა: თვითონ არ ჭამენ და ჩვენ გვაჭმევენო. ეტყობა, რაღაც მოხდა, მომავალში ყველაფერი გაირკვევა.

10 საათია. აჩვენებენ ირაკლი ბათიაშვილს და გოგა ხაინდრავას. ბათიაშვილმა განაცხადა, რომ შეთანხმების ყველა პუნქტი მოინონა სახელმწიფო საბჭომ და მიიღებენ დადგენილებას.

გ. ხაინდრავა: ჩვენ უნდა მივხვდეთ, რომ ეს დაპირისპირება დამღუპველია.

წაიკითხეს სახელმწიფო საბჭოს დადგენილება.

ვუსმენ ირაკლი წერეთლის გამოსვლას, საკმაოდ კარგად ლაპარაკობს. მან განაცხადა: სახელმწიფო საბჭომ უნდა დაადგინოს და შექმნას დოკუმენტი, რომ ის 1921 წლის კონსტიტუციის სამართალმემკვიდრეა. არჩევნები ჩატარდეს შემოდგომაზე, შეიქმნას თავდაცვის საბჭო, დაინიშნოს თავმჯდომარე. გაუქმდეს გვარდია-მხედრიონი და შეიქმნას ერთი ჯარი.

ე. შევარდნაძე: მე არ შემიძლია ჩემი აზრი გამოვთქვა წინა მთავრობაზე, ეს დიდი პრობლემაა და ამჯერად მზად არ ვარ... მთავარი კითხვა არის — რა გვინდა? საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, ამისათვის უნდა ვიბრძოლოთ, საქართველოს დამოუკიდებლობას დიდი საფრთხე ემუქრება, რის დანგრევაც შეიძლებოდა დაინგრა, ყველაფერი მოიშალა. საქართველო გათიშულია და ფაქტობრივად სამოქალაქო ომია. ხვალინდელი დღე მაინცდამაინც მზიანი არ იქნება. წინათ საერთოდ არც ვიცოდი რა ღირდა ნავთობი, ის ისედაც მოდიოდა. ეხლა 400-500 მილიონი გვჭირდება. არ ვიცი, ნავთობი სად ვიშოვოთ.

თუ ცოტა არ დავმშვიდდით, უწესრიგო, მშიერ ქვეყანაში დემოკრატია ვერ იზეიმებს.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას. მე სკეპტიკურად ვუყურებ დსთ-ს. დსთ დიდხანს ვერ გაძლებს. რუსეთთან მოლაპარაკებების შედეგად უნდა დავდოთ ხელშეკრულება.

18 მარტი

დღეს ედუარდ შევარდნაძე უნივერსიტეტში იყო. მაინც და მაინც დღეს ვარ ავად.

ვახტანგ რაზმაძემ წერილი გაუგზავნა ჯოხარ დუდაევს, სადაც წერს: 4 იანვარს ზვიად გამსახურდიას მიმართ საქმე აღიძრა სამსახურის ანგარებით გამოყენების მუხლით, რაც დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით. ვახტანგ რაზმაძე ითხოვს ზვიად გამსახურდიას გადმოცემას საქართველოს პროკურატურისათვის.

მოსკოვიდან პირველ არხზე 9 საათსა და 55 წუთზე გადასცეს ინტერვიუ **ჯაბა იოსელიანთან.**

ჯ. იოსელიანი: როდესაც სამხედრო საბჭო დავაარსეთ პრეზიდენტი ისევ ბუნკერში იჯდა და ისროდა. აჩვენებენ ჯაბას სურათს, ის არის 65 წლის, 20 წელიწადი იჯდა ციხეში.

ჯ. იოსელიანი: ეხლა არ ღირს ლაპარაკი, მაშინ სხვადასხვა ხალხს ვიცნობდი.

კორ.: როგორ დაუძახეთ ახალგაზრდობას?

ჯ. იოსელიანი: თვითონ მოვიდნენ.

კორ.: იარაღი საიდან გქონდათ?

ჯ. იოსელიანი: მე თოთხმეტი წლიდან მქონდა... კაცი, რომელიც 100 ათასს

აკეთებს, ვთხოვდით ერთი ავტომატი ეყიდა... ნესიერ კაცს უჭირს იარაღის შოვნა, თორემ დამნაშავენი თვითონ შოულობენ.

კორ.: რას იტყვით გამსახურდიას მომხრე ქალებზე?

ჯ. იოსელიანი: ფემინიზაცია იყო. ისინი ძალიან შეუხედავები იყვნენ.

კორ.: სამეგრელოს საკითხი თუ არის?

ჯ. იოსელიანი: ეს იყო ხელოვნურად გამოყენებული.

კორ.: „სამხრეთ ოსეთის" საკითხზე რას იტყვით?

ჯ. იოსელიანი: უბრალოდ გადაწყდება, როცა იქნება კერძო საკუთრება.

კორ.: გამორიცხავთ, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე იქნება?

ჯ. იოსელიანი: პრეზიდენტი არ იქნება, შეიძლება იყოს პარლამენტის თავმჯდომარე.

ინტერვიუ **ედუარდ შევარდნაძესთან.**

კორ.: რას იტყოდით გამსახურდიაზე?

ე. შევარდნაძე: ეხლა მიმდინარეობს გამოძიება.

ე. შევარდნაძემ განაცხადა: **იოსელიანს დიდი ხანია ვიცნობ, უნიჭიერესი და „ვოლევოი" პიროვნებაა. სიგუა და კიტოვანი გმირები არიანო.**

20 მარტი

დღეს გადაცემაში „ნაშუადღეს" აჩვენეს ჟურნალისტ პაჭკორიას საუბარი. მან თქვა, რომ ზუგდიდში მოსახლეობის ნაწილი მიესალმა შეთანხმებას, ნაწილმა მიტინგი მოაწყო, მოითხოვა ზვიად გამსახურდიას დაბრუნება და უკმაყოფილება გამოთქვა შეთანხმების გამო. შემდეგ პაჭკორიამ აღნიშნა, რომ დაუკავშირდნენ გროზნოს, საიდანაც გეელაპარაკა მანანა არჩვაძე. მან თქვა, რომ დაუმორჩილებლობის კომიტეტმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და რომ ეს არის ზვიად გამსახურდიას აზრი. შემდეგ ზუგდიდში ელაპარაკა გოჩა ბახიას (მგონი, ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი იყო). მან თქვა, რომ საჭიროა გროზნოში კომისიის ჩასვლა შურღაიასთან ერთად.

დღეს ვახტანგ გოგუაძე დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს მდივნად. ირაკლი ანდრიაძე — საქმეთა მმართველად.

ღამის 12 საათზე „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ თბილისში საოცარი გამოძიება ინყება, სადაც საერთაშორისო ექსპერტებს მოინვევენ. **შევარდნაძემ განაცხადა, რომ თუ გამოძიება დაასკვნის, რომ ზვიად გამსახურდიას რეჟიმის დამხობა უკანონო იყო, მაშინ აღდგეს კანონიერი ხელისუფლებაო.**

21 მარტი

დღეს სასიხარულო ცნობა გადმოსცეს ტელევიზიით. გაანთავისუფლეს მძევლები, მათ შორის გია ყარყარაშვილი და ბესიკ ქუთათელაძე. ღმერთმა ქნას, მოხდეს შერიგება. ამ მშვიდობიანი მისიის დროს შემთხვევით დაიღუპა გვარდიელი შმაგი აფციაური. განცხადებაში ორივე მხრიდან ნათქვამია, რომ სასურველია ეს იყოს ბოლო ძმათამკვლელ ომში დაღვრილი ქართველის სისხლი.

23 მარტი

ედუარდ შევარდნაძე ორი დღე იყო კახეთში; ძალიან კარგად შეხვდნენ.

დღეს მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. **საქართველო ცნო ევროპის თანამეგობრობამ,** ფაქტობრივად მთელმა ევროპამ. კორესპონდენტი შეხვდა შევარდნაძეს და იოსელიანს და დაუსვა კითხვა: როგორ შეაფასებდნენ ამ მოვლენას? შევარდნაძემ ღიმილით უპასუხა: **„არ შეიძლება რაიმე ფაქტის „გაზვიადება".** ამ პასუხზე ორივეს გაელიმათ.

გადაცემაში „პირისპირ" იყო ნოდარ ნათაძე.

ვალერი კვარაცხელია: გილოცავთ, საქართველო 12-მა ქვეყანამ ცნო.

ნ. ნათაძე: ეს სასიხარულოა. ეს არის ერთი ნაბიჯი წინ.

ვ. კვარაცხელია: საშინაო ვითარება სულ უფრო დაძაბული ხდება. რას იტყოდით, რა ხდება ზუგდიდში?

ნ. ნათაძე: ვინც დაინყებს ან არ შეწყვიტს ძმათაშორის ბრძოლას, ის იქნება ყველაზე მეტი დამნაშავე, ის ორჯონიკიძეზე უარესად შევა საქართველოს ისტორიაში ზუგდიდში მე ჩემი ინიციატივით ჩავედი, დაველაპარაკე თედოს. მე კარგად ვიცნობ ვალტერ შურლაიას. ერთობლივად გვიმუშავია... დიდი დახმარება გაგვინია კუკური როგავამ. მივედით, იქ დაგვხვდა ვალტერი და დაიწყო პროექტის შემუშავება; სამჯერ ჩავედით, მესამედ რომ ჩავედით სიტუაცია შეიცვალა. დაუმორჩილებლობის კომიტეტმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა. კიდევ კარგი, სამხედროებს შორის მოლაპარაკება გაგრძელდა და კარგად დამთავრდა.

ვ. კვარაცხელია: რას გვეტყვით სახალხო ფრონტის შესახებ?

ნ. ნათაძე: სახალხო ფრონტი არის ზეპარტიული ორგანიზაცია. დღეს მთავარი საკითხია ჯანსაღი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ჩვენ ვიყავით ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც არჩევნების მომხრე იყო. აბსურდი იყო ბოიკოტის გამოცხადება. 28 ოქტომბერი უზარმაზარი გამარჯვება იყო, მიუხედავად მისი შემადგენლობისა.

ვ. კვარაცხელია: პარლამენტის სისუსტე ის იყო, რომ არჩევა მოხდა პროპორციული სისტემით და ხმა მისცეს ბლოკის ლიდერს.

ნ. ნათაძე: არჩევნები თუ ტარდება იმ ქვეყანაში, სადაც დემოკრატია არ არის, მაშინ ის დამლუპველია.

ვ. კვარაცხელია: შემოდის კითხვები – რას წარმოადგენდა დეკემბერ-იანვრის ამბები.

ნ. ნათაძე: ეს არის სახალხო აჯანყება

ვ. კვარაცხელია: სად იყო ნათაძე 22 დეკემბერს, როცა ატყდა სროლა (ტელემაყურებლის კითხვაა – მ. ვ.).

ნ. ნათაძე: სახლში ვიყავი, 17 დეკემბრის შემდეგ არ გამოვსულვარ. ჩემს წინააღმდეგ ისეთი კამპანიაა, რომ მე დამბრალდებოდა...

24 მარტი

გუშინ ევროპის თანამეგობრობიდან გვცნო საფრანგეთმა, დღეს — ესპანეთმა და გერმანიამ.

დღეს კიდევ ერთ სასიხარულო მოვლენა მოხდა ჰელსინკში. გაიმართა ჰელსინკის პროცესის მონაწილე სახელმწიფოთა თათბირი, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. საქართველო, სლოვენიასთან და ხორვატიასთან ერთად მიიღეს ამ პროცესის ნევრებად.

დღეს ტელევიზიამ გადმოსცა ზვიად გამსახურდიას წერილის შინაარსი. გამსახურდია წერდა, რომ საჭირო არ იყო მისი სახლის აღდგენა და რომ ის ვანდალიზმის აქტად უნდა დარჩენილიყო. შემდეგ აჩვენეს ნაწყვეტი გამსახურდიას გამოსვლიდან, სადაც ამბობს, რომ **ყოველი გასროლა მიმართული იქნება შევარდნაძის ნინააღმდეგ.**

დღეს გაიმართა სახელმწიფო საბჭოს სხდომა. განიხილეს რკინიგზის საკითხი. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საქართველოს რკინიგზის სამმართველო, რომელიც ტრანსპორტის სამინისტროს გამოეყო. განიხილეს საარჩევნო დებულება. პოლიტიკური პარტიები ისევ მოითხოვენ პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებას.

მოსკოვის „ნოვოსტიმ" აჩვენა, რომ მოსკოვში პრესკონფერენციას მართავდნენ **ირაკლი სურგულაძე, ნოდარ ლომოური, ნიკო ჭავჭავაძე, გიგა ლორთქიფანიძე.**

25 მარტი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა **თბილისში გაიხსნას აშშ-ს საელჩო.** ცრემლები მომერია. **დანიამ** და **საბერძნეთმა** ცნო საქართველო.

დღეს ჭადრაკის სასახლეში მწერალთა კავშირის ყრილობა გაიხსნა. ქალები შეეცადნენ ჩაეშალათ, დაწვეს წიგნები: ჯანსუღ ჩარკვიანმა თქვა, რომ ფაშიზმის შემდეგ ასეთი რამ არ ყოფილაო.

26 მარტი

დღეს ისრაელმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გვცნო. დღეს თენგიზ კიტოვანი იყო ასლან აბაშიძესთან.

დღეს მოვისმინე მაკა ჯოხაძის ინტერვიუ ბესიკ ქუთათელაძესთან. მე ადრეც ძალიან მომწონდა ეს პიროვნება მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეგობრები (ნადირაძეები) ამბობდნენ, ის ფიზკულტურის მასწავლებელი იყო და პირდაპირ დანიშნეს პრეფექტად საჩხერის რაიონში. მე ახლაც მომეწონა მისი გამოსვლა. ბესიკ ქუთათელაძემ განაცხადა: თუ ისევ აღდგა პარტიული თანამდებობის მომხრე პირების ბრძოლა, ისევ დაიწყება დაპირისპირება. ქუთათელაძემ თქვა, რომ ექსპრეზიდენტის მონოდება გროზნოდან მნიშვნელოვანია, თუ იგივე იქნება თბილისიდან. ქუთათელაძის განცხადებით, ხალხი უკვე დაიღალა. აბსოლუტურად სწორია, ხალხი მართლაც დაიღალა, ამას უნდა მიხვდეს ყველა პოლიტიკური პარტია და ყველა დაპირისპირებული მხარე. მე მომეწონა, რომ ქუთათელაძემ შეაქო ვალტერ შურღაია. რა ვქნა, ვალტერი მეც მომწონს. მე ვიხსენებ იმ დღეს, როდესაც შურღაიამ სესიაზე თქვა: „არ გააჭირეს ამ ქალებმა საქმეო". მასაც არ მოსწონდა ზვიად გამსახურდიას მომხრე ქალბატონების პარპაში, მე მგონია, რომ ვალტერ შურღაია სანდო კაცია, იმიტომ, რომ ბოლომდე ერთგულია ზვიადის. საინტერესოა, ზვიადი თუ დაუფასებს ამას. შეიძლება ვალტერიც მოღალატედ გამოაცხადოს.

27 მარტი

შევარდნაძე ჩავიდა გორში; შეხვდა გორის, ქარელის, კასპის რაიონების ხელმძღვანელებს. შემდეგ შეხვდა ლტოლვილებს.

ალექსანდრე დუბჩეკის წერილი მოვიდა შევარდნაძის სახელზე, სადაც ის შევარდნაძეს ულოცავს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას.

29 მარტი

სამეგრელოდან ცუდი ამბები მოდის. იქ გაავრცელეს ხმა, რომ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისთვის, 31 მარტისთვის, გაეთავისუფლებთ დასავლეთ საქართველოსო.

დღეს გაიმართა სახელმწიფო საბჭოს სხდომა. სახელმწიფო საბჭომ მოითხოვა: გაიხსნას სარკინიგზო და საავტომობილო გზები; შეთანხმების შედეგად შეიარაღებული ნაწილები დადგნენ განსაზღვრულ ადგილებში, ხოლო დანარჩენებმა ჩააბარონ იარაღი.

დღეს ინტერვიუ იყო თენგიზ კიტოვანთან. **მან განაცხადა, რომ გვარდია და „მხედრიონი" დაიკავებენ დასავლეთ საქართველოს.** კიტოვანმა აღნიშნა, რომ დაარღვია შეთანხმება და ისეთებთან როგორიც არის ბახია ლაპარაკი აღარ შეიძლება. კიტოვანის აზრით, 3-4 დღეში დაამთავრებენ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ლიკვიდაციას.

ღმერთო ჩემო! კიდევ სისხლი, როდემდე უნდა ვეღლიტოთ ერთმანეთი ქართველებმა!

31 მარტი

გუშინ, როდესაც მოლაპარაკება მიმდინარეობდა, გამოაცხადეს, რომ სოხუმიდან წამოვიდა ზვიად გამსახურდიას მომხრეთა კოლონა. კოლონა თბილისისკენ დაიძრა. საღამოს ინტერვიუ იყო თენგიზ კიტოვანთან. მან აღნიშნა, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა ორჯერ მოგვატყუეს და რომ გვარდია ხვალ შევა სამეგრელოში. გრიგოლეთთან ქალების ტანსაცმელში გადაცმულებს მოუკლავთ სამი მხედრიონელი და ერთი მილიციონერი. ეს იყო ხელისუფლების მიერ მონყობილი პროვოკაცია.

დღეს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. უნივერსიტეტთან იკრიბებოდნენ ქალები. არ ვიცი, რა მოხდა. ტელევიზიამ გადმოსცა, რომ უნივერსიტეტიდან ზვიადისტები თავისუფლების მოედნისკენ დაიძრნენ, ჰაერში სროლები გაისმა.

დღეს „ნეზავისიმაია გაზეტაში" ნავიკითხე ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან. მან აღნიშნა, რომ მუდმივად იქნება პრეზიდენტი. შევარდნაძეზე თქვა, რომ ის კრიმინალების ბანდას ჩაუდგა სათავეში.

დღეს მოსკოვმა და თბილისმაც გადმოსცა, რომ გროზნოში ჯოჰარ დუდაევის მოწინააღმდეგეებმა დაიკავეს ტელევიზია, ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზა, შინაგან საქმეთა სამინისტრო. ბრძოლები მიმდინარეობს ქუჩებში. ოპოზიცია მოითხოვს ჯოჰარ დუდაევის გადადგომას და პრეზიდენტობის გაუქმებას*.

1 აპრილი

ამ დღეს ყოველთვის ვხუმრობდი. ახლა ამის ხალისი არა მაქვს. დღეს ფოთთან (მალთაყვასთან) მოხდა შეტაკება, არიან დაჭრილები და მოკლულები.

დღეს იტალიის პრემიერ-მინისტრმა შევარდნაძეს გამოუგზავნა ტელეგრამა საქართველოს ცნობის შესახებ. ტელეგრამაში აღნიშნულია, რომ იტალია მზად არის საქართველოსთან დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა. მოვიდა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის ტელეგრამა, სადაც აღნიშნულია, რომ, მართალია, 26 დეკემბერს **ავსტრალიამ** ცნო საქართველო, მაგრამ მაშინდელმა მთავრობამ არ მოგვცა დემოკრატიის გარანტია. ამჟამად, როდესაც ქვეყნის სათავეში მოვიდა შევარდნაძე, საქართველოსთან ავსტრალია დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს.

საქართველო აღიარეს **ირლანდიამ, პოლონეთმა, ვიეტნამმა.**

გამოქვეყნდა შევარდნაძის მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი. მიმართვა შეიცავს თხოვნას, გაუწიონ დახმარება ყოფილ სსრკ-ის რესპუბლიკებს. შევარდნაძე წერს, რომ ის სასოწარკვეთილებაშია, როცა უყურებს ბავშვებს, რომლებსაც ბავშვური გამოხედვაც კი არა აქვთ.

2 აპრილი

დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი იყო ჩამოსული; შეხვდა ალექსანდრე ჩიკვაიძეს; კრწანისში ელაპარაკა შევარდნაძეს.

აჩვენეს მალთაყვასთან შეტაკების დროს დაღუპულები. საშინელებაა. დღეს კიდევ ერთი დაჭრილი გარდაიცვალა. გადმოსცეს, რომ კიტოვანი შეხვდა ქობალიას.

აჩვენებენ ნაწყვეტებს შევარდნაძის შეხვედრიდან უნივერსიტეტში. **აშკარად არ მომწონს, ეს არის იმ შეხვედრების მსგავსი წინათ რომ ეწყობოდა, როცა უნივერსიტეტის პარტიულ აქტივს ხვდებოდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.**

---

* მალე გაირკვა, რომ ჯოჰარ დუდაევს ებრძოდა არა ოპოზიცია, არამედ გადაცმული რუსი სამხედროები. რუსებმა ჯოჰარ დუდაევს შეუტიეს მას შემდეგ, რაც საქართველოდან განდევნეს ზვიად გამსახურდია. ეს აღიარა კიდეც ბ. ელცინმა 1994 წელს.

შეხვედრას ესწრებოდა ძირითადად უნივერსიტეტის დიდი საბჭო, რომელიც შედგება ხრუშჩოვ-ბრეჟნევისდროინდელი წევრებისაგან. მომეწონა ფიქრია ჩიხრაძის გამოსვლა. სამედიცინოს ზოგიერთი სტუდენტი აშკარა პროვოკაციებზე წავიდა. დარბაზიც არ იყო სწორი, როდესაც სიტყვის უფლებას არ აძლევდნენ მათ. დავინახე, როგორ წამოხტა სკამიდან აკაკი ირემაძე. აბა, შეიძლება იმ კაცის სხდომაზე დასწრება, რომელიც ორჯონიკიძეზე იყო შეყვარებული და დღესაც იმავე აზრზეა, რა უნდა ელაპარაკო ასეთ ხალხს!

დღეს შეეციამ ცნო საქართველო.

3 აპრილი

ფოთში სრული სიმშვიდეა. მანამდე იყო სროლები. ექსპრეზიდენტის მომხრეების ნაწილი კატარღით ნავიდა, ნაწილი, მგონი, დაიჭირეს.

გია უჩავა დანებდა და უარი თქვა ბრძოლაზე. სახელმწიფო საბჭოს ჯარები შევიდნენ აბაშაში, სენაკში, ხობში, ზუგდიდში.

გამოქვეყნდა ვალტერ შურლაიას წერილი ბორის ელცინსა და შაპოშნიკოვისადმი. წერილში აღნიშნულია, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის ჯარისკაცები და 20 ბეტეერი მონაწილეობდნენ. მოსკოემა გადმოსცა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილის ინფორმაცია, რომ რუსეთის სამხედრო ტექნიკა და ჯარისკაცები არ მონაწილეობდნენ კონფლიქტში და რომ თურქეთის საზღვართან გამსახურდიას მომხრეთა კატარღა დააკავეს. ავთანდილ ცქიტიშვილმა გვითხრა, რომ კატარღა უკან დაბრუნდა და ანაკლიაში დადგა. ტყვედ აიყვანეს კატარღის კაპიტანი და მისი მეუღლე.

დღეს **იაპონიამ** ცნო საქართველო.

6 აპრილი

დღეს გაიხსნა რსფსრ-ის დეპუტატთა ყრილობა.

ინტერვიუს **თემურ ქორიძისგან** იღებს ვალერი კვარაცხელია.

ვ. კვარაცხელია: მართალია, იდეალური არ იყო კანონი პრესის შესახებ, მაგრამ მაინც დემოკრატიული იყო. თქვენ რას ფიქრობთ?

თ. ქორიძე: ძალიან გაჭირდა მაშინ ამ კანონის მიღება. მე ტელევიზიის მეშვეობით განვაცხადე, რომ, თუ არ შესრულდებოდა კანონი, გადავდგებოდი. ჯერ კიდევ 14 იანვარს ვითხოვე გადადგომა, მაგრამ არ გამიშვეს. ჩვენი კომისია არ ერეოდა ტელევიზიის საქმეებში. ტელევიზიაში საშინელი მდგომარეობა იყო.

ვ. კვარაცხელია: რას იტყვით – ჯერ თავისუფლება და მერე დემოკრატია?

თ. ქორიძე: ეს ოფიციალურად არსად არ ეწერა, რადგან ეს აბსურდია... ერთი ნლის განმავლობაში ვერ დავიკვეხნიდით დემოკრატიით.

ვ. კვარაცხელია: ეხლა უფრო დემოკრატიულია ტელევიზია და პრესა?

თ. ქორიძე: გეთანხმებით, მაგრამ ოპოზიციური პრესა იყო მაშინაც.

ვ. კვარაცხელია: რატომ არ გადადექით, როდესაც ეს ამბები ხდებოდა?

თ. ქორიძე: 14 იანვარს მინდოდა გადადგომა. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ოპოზიციაში წასვლა არაფერს არ იძლეოდა. მე მინდოდა დამერწმუნებინა პრეზიდენტი, რომ დაგვენიშნა ახალი არჩევნები.

ვ. კვარაცხელია: საქართველოში არ არის ადამიანი, რომელიც არ შეაძრწუნა იმან, რაც საქართველოში მოხდა. სად დავუშვით შეცდომები, რამაც განაპირობა ეს მოვლენები?

თ. ქორიძე: მე ვფიქრობ, რომ დიდი ბზარი გაჩნდა კინოსტუდიისა და ტელევიზიის გამო. ამის მერე უფრო გაღრმავდა დაპირისპირება.

ვ. კვარაცხელია: გახსოვთ თუ არა, რომ 1991 წლის ოქტომბრის თვეში გამოვაქვეყნე წერილი, სადაც ვწერდი: გამსახურდიასთვის არსებობს ორი გზა – ან გადადგომა, ან სისხლისღვრით ხელისუფლების შენარჩუნება.

თ. ქორიძე: როცა გვარდია გაიყო, პრეზიდენტი უნდა გადამდგარიყო. ბესიკ ქუთათელაძემ განაცხადა ამის შესახებ. მეც იქ ვიყავი. პრეზიდენტი რომ გადამდგარიყო, ავიცილებდით სისხლისღვრას, მაგრამ შეიძლება ვერც აგვეცილებინა, რადგან გამსახურდიას ბევრი მომხრე ჰყავდა.

ვ. კვარაცხელია: 22 დეკემბერს სისხლი რომ დაიღვარა, მაშინ რა უნდა ექნა პრეზიდენტს?

თ. ქორიძე: პრეზიდენტი უნდა გადამდგარიყო. ის თანახმა იყო, მან ჩაიცვა და ხელჩანთით გამოდიოდა.

ვ. კვარაცხელია: როდემდე იყავით მასთან?

თ. ქორიძე: 22-ში ვიყავი, როდესაც პრეზიდენტი უკან შებრუნდა, მე წამოვედი.

ვ. კვარაცხელია: რას იტყვით გროზნოში მისი ყოფნის შესახებ?

თ. ქორიძე: ხელისუფლების დაბრუნების მიზნით იარაღით ბრძოლა არ იქნება გამართლებული, რანაირი ხელისუფლების დაბრუნებაზეც არ უნდა იყოს საუბარი. ჩვენ გვმართებს თავშეკავება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეკონომიკური კატასტროფის ნინამე ვდგავართ.

ვ. კვარაცხელია: გაქვთ თუ არა გარანტია, რომ მოღალატედ არ გამოგაცხადებენ? (ამ დროს აჩვენებენ გროზნოში ჩატარებულ სესიას, სადაც თემურ ქორიძეს დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყვიტეს. სიტყვით გამოვიდა ვახტანგ ცაგარეიშვილი. მან აღნიშნა: დეპუტატს, რომელიც არ გამოვიდა და არაფერი თქვა მომხდარის შესახებ, უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება).

თ. ქორიძე: ამაზე არ მიფიქრია. 1975-1976 წლებში, 1985-1986 წლებში და 1988 წელს ვინ იფიქრებდა, რომ ხელისუფლებაში მოვიდოდით. ადამიანებს, რომლებსაც, მართალია, გული შეტკივათ იმაზე, თუ რა შეემთხვა მათ სათაყვანებელ პიროვნებას, სხვანაირად უნდა ველაპარაკოთ. თუ დღევანდელი ოპოზიცია ხელს არ აიღებს შეიარაღებულ დაპირისპირებაზე, ეს იქნება დამღუპველი. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკური მეთოდებით იბრძვიან, მათთან შეიძლება დიალოგი.

ვ. კვარაცხელია: იყო მოლაპარაკებები შურღაიასთან, ქობალიასთან. მათ განაცხადეს, რომ მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძეა.

თ. ქორიძე: არ არის გასაკვირი, რომ შევარდნაძე სხვა შეხედულების იყო წინათ და ახლა სხვა შეხედულებისაა. მე ჩვეულებრივ მოვლენად მეჩვენება, რომ ის დემოკრატიის მხარეზე დადგა. შევარდნაძეს ყველაზე მეტად შეუძლია სარგებლობის მოტანა. მას არავინ ხელი არ უნდა შეუშალოს, ყველა უნდა დაეხმაროს, რადგან ერთი ნაბიჯით წინ წავიწიეთ. დღევანდელი ხელისუფლება ფრთხილად უნდა იყოს, არჩევნები ჩქარა უნდა ჩატარდეს.

ვ. კვარაცხელია: თუ აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას?

თ. ქორიძე: არა, არ ვაპირებ.

საკმაოდ ჭკვიანური ინტერვიუ ჰქონდა თემურ ქორიძეს. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ისინი დამარცხდნენ და ამიტომ ლაპარაკობს ასე. არა, ვაჟკაცობაა, ის, რასაც ამბობს, ამ საუბრის შემდეგ შეიძლება გამსახურდიას მომხრეები დღესვე გაუსწორდნენ ქორიძეს ფიზიკურად. თემურ ქორიძის პოზიცია ამჟამად ჯობია ზვიად გამსახურდიას მომხრეთა პოზიციას, რომლებიც ადრე ბევრს საუბრობდნენ და ახლა დამალულები არიან.

8 აპრილი

დღეს გაზეთებში დაიბეჭდა ჯორჯ ბუშის წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი. ნიდერ-

ლანდებმა ცნო საქართველო. ეს ქვეყანა მზადაა საქართველოსთან დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა.

დღეს გვცნეს ავღანეთმა, შვედეთმა და სამხრეთ კორეამ.

დღეს „რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულია ირაკლი წერეთლის ინტერვიუ. მას ეკითხებიან: მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ეროვნულ-დამოუკიდებლობის პარტია? ირაკლი პასუხობს, რომ ამისათვის საჭიროა რამდენიმე პირობა. ერთ-ერთი პირობა ასეთია: არჩევნები უნდა მოეწყოს პარტიული სიებით. საოცარია, ეს პარტიები ისევ თავიანთი საქმისთვის იბრძვიან, ფეხებზე პკიდიათ ყველაფერი. ნუთუ ირაკლი წერეთლის პარტიას ჰყავს ისეთი მოღვაწეები, რომ პარტიული სიით წარდგეს და შევიდეს პარლამენტში.

„ღია კარის" პროგრამით გამოდის თსუ-ს დოცენტი იზოლდა ჭიღლაძე. საუბრობს 9 აპრილის შესახებ. ყველას გამოყვანა როგორ შეიძლება ტელევიზიით! ის გვარწმუნებს, რომ 9 აპრილს მაცხოვარმა უკარნახა ირაკლი წერეთელს, რომ ეთქვა არ დაიშალოთო. მე მგონი, ირაკლის პარტიის ნევრია. ასეთი გამოსვლებით უფრო აღიზიანებენ ხალხს.

9 აპრილი

როდესაც საქმე 9 აპრილს ეხება, ყოველთვის ცრემლები მომდის. ახლა ცრემლები არ მომდის, აღარ მომდის იმის გამო, რომ, თურმე, სულ ტყუილად დაღუპულან ის საწყლები. მათ გაუკაფეს გზა ეროვნულ პარტიებს, რომლებიც ძალაუფლებისთვის იბრძოდნენ. ამას მოპყვა ხოცვა-ჟლეტა. აღმოჩნდა, რომ ამ დამოუკიდებლობას ისედაც მოვიპოვებდით.

11 აპრილი

ედუარდ შევარდნაძის სიტყვა მნერლებთან. მან თქვა, რომ ორი რამ დაემთხვა ერთმანეთს: 1) ეროვნული მოძრაობა და 2) რევოლუცია ზემოდან. ეს მოვლენა (ზვიადის ხელისუფლების პერიოდზე ამბობს – მ. ვ.) იმის ბრალია, რომ ჩვენ არ ვიყავით მომზადებულნი დამოუკიდებლობისთვის. საერთო პოლიტიკური კულტურა არ იყო მაღალი. არჩევნები თავისუფალი იყო, მაგრამ არ ვიყავით მზად არჩევისთვის. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი მაინც გონიერი აღმოჩნდა, მალე გამოერკვა, დიდი დრო არ დაუკარგავს. დღეს გვაქვს იმედი, რომ თავს დავაღწევთ დიდ განსაცდელს. ეს ურთულესი ბრძოლა იქნება. ერთი თვეა თქვენთან ერთად ვმუშაობ. ეხლა უფრო მეტი იმედი მაქვს. პირველ დღეებში სასონარკვეთილი ვიყავი. ნერვებმა არ უნდა გვიმტყუნოს. ეს ურთულესი მომენტი უნდა გავიაროთ. ეს შანსი თუ გავუშვით, ჩვენ თაობას ჯვარი უნდა დაესვას. ჩვენ კარგი მომავალი უნდა ავაშენოთ. დიდი საქმეები გაკეთდება მაშინ, როდესაც ერთად იქნება ქართველი ხალხი. ამ ერთობას ეყრება საფუძველი. თუ სულიერად დაბეჩავდა ხალხი, დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. საქართველოს დამსახურებაა ის, რომ მე დამნიშნეს საგარეო საქმეთა მინისტრად. იყო ავღანეთის ომის დამთავრება, ევროპის გათავისუფლება, სსრკ-ს დაშლა. ბევრ რამეს გავუძელი, რაც ნახევარი სიცოცხლის ფასად დამიჯდა. არც ერთ ლანძღვაზე პასუხი არ გამიცია. მაგრამ, როცა ეხლა ისევ გრძელდება ეს ლანძღვა, როცა გწერენ, ვინ მოგიწვია, შენ ქართველებმა არ დაგიძახესო. მოდი, ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს. მე ჩამოვედი, რომ ვიშრომო, რაღა დროს დიქტატორობა და ტოტალიტარიზმია. **ისეთი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ, რომ ერთმა კაცმა არ უნდა დაგვანგრიოს და ერთმა კაცმაც არ უნდა აგვაშენოს.** ყველაზე დიდი უბედურე-

ბა, რაც ემუქრება საქართველოს, ეს არის უგუნურობა და უმეცრება. მთელი სისტემა უნდა შეიქმნას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ძალიან მტკივნეული იქნება, ძნელი იქნება, როდესაც ერთ მოქალაქეს პურის ყიდვა გაუჭირდება, მეზობელი კი მილიონერი პყავს. უნდა გავიაროთ ის გზა, რაც გაიარეს გერმანიამ, იაპონიამ, სამხრეთ კორეამ და სხვ.

რეზო მიშველაძემ ანდრეი კოზირევთან დააყენა საკითხი საქართველოს ცნობის შესახებ. მე არ ვიტყოდი, რომ დავიღუპებით ან არ დავიღუპებით. დღეს რუსეთს უფრო სჭირდება საქართველოს ცნობა, რადგან მთელმა მსოფლიომ ცნო საქართველო. მე ვუთხარი, თუ გვცნობთ კარგი იქნება, თუ არა და კარგად იყავით. რუსეთის ჯარის შესახებ სტატუსი არ შეცვლილა. ეს საკითხი კარგად უნდა მოვიფიქროთ, უნდა დაიწყოს მოლაპარაკება. რუსეთის ბაზები უნდა იყვნენ საქართველოში ისე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ ფულს უხდის ფილიპინებს (3-4 მილიარდს). ჩვენ უნდა მივიღოთ სხვა გარანტიებიც. ევროპის და მსოფლიოს პროცესების წევრი რომ ვიქნებით, გვექნება გარანტიები. ჩვენ ნეიტრალური ქვეყანა უნდა ვიყოთ. აფხაზეთის დელეგაცია იყო ჩემთან, ვისაუბრეთ. მე მათ ვუთხარი: მორჩა, მოსკოვი აღარ ღებულობს გადანყვეტილებას, ამჟამად ყველაფერს თბილისი ნყვეტს. პასპორტებზე შეიძლება მშვიდად ვიყოთ, უკვე დაბეჭდილია და მალე გვექნება ახალი პასპორტები.

ექვსი თვეა მრენველობა არ მუშაობს, ამჟამად ცოტა გამოცოცხლდა. რომელი ხალხი გაუძლებდა იმას, რომ თბილისში სამი თვე მატარებელი არ შემოსულა. 4 მილიარდია დატაცებული. ავტომაგისტრალები დაკეტილია.

მილიცია უნდა აღდგეს თავის უფლებებში. იარაღის ამოღება დიდი პრობლემაა. მილიცია უნდა გავაძლიეროთ. ამ დღეებში ვაპირებთ მოვისმინოთ საკითხი კანონიერების დაცვისა და მილიციის რეფორმის შესახებ.

ეს ქალბატონ იზას უნდა ვუთხრა, რომ ბევრი ცოდვა დატრიალდა ფოთში, ზუგდიდში. ეს პირტიტველა ბიჭები (იგულისხმება „მხედრიონი" და გვარდია – მ. ვ.) უზრუნველყოფის გარეშე არიან. ეხლაც 6-7 დღის მარაგი წაიღეს. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ თვითონ ხალხმა უნდა დაიცვას თავი.

ბატონ არჩილს უნდა შეეეხმიანო: რატომ უნდა ვდევნოთ ქართული კულტურა? უნდოდათ ადამიანების დაბნელება, მე ამას გენოციდი დავარქვი. წიგნების დაწვა სამარცხვინო ლაქად დარჩება. ამ ფაქტზე ლაპარაკი კი არ უნდა დამთავრდეს, პირიქით, უნდა გამწვავდეს, რადგან ბავშვებს უნდა გავაგებინოთ, რომ ეს იყო სამარცხვინო ლაქა.

გენშერის ვიზიტი უბრალო ვიზიტი არ იყო, ეს ისტორიული ვიზიტი იყო. გერმანიის ფაქტორი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

აფხაზეთის ქართველობა უნდა შემობრუნდეს. აფხაზეთის საკითხს მოვაწესრიგებთ. ამბობენ: აი, გვარდია შეიდეს და ყველაფერი მოწესრიგდება. დაღვრილი სისხლი არ ნაიშლება. მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეეძლებთ ამ საკითხის გადაწყვეტას, როდესაც ხალხი დამშვიდდება აფხაზეთში, აფხაზეთის საკითხი აღარ იქნება.

აჭარის პრობლემა არ არის, რატომ ვალიზიანებთ აჭარას? მთავარია ის, რომ აჭარას უნდა ჩვენთან ცხოვრება. ყველაზე მწვავე პრობლემა არის ზუგდიდი. მინდა გაიგონ უმშვენიერეს სამეგრელოში, რომ ეჭვი არავის ეპარება, რომ იქ უნდათ საქართველოს ბედნიერება და რომ იქ არის საქართველოზე შეყვარებული ხალხი.

ვიწყებთ მუშაობას შიდა ქართლის პრობლემებზე. ჩვენ უნდა შეექმნათ ადმინისტრაციული დაყოფის ჩვენი კონცეფცია, რაც შეეხება მორიგებას, შერიგებას ბევრი ამას მტკივნეულად აღიქვამს. უნდა დავიწყოთ მარტივი პრობლემებით. ჩემს კოლეგებთან

მიჭირს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გვყავს 120 ათასი ლტოლვილი. მე მივდივარ აქედან იმედით, რომ ჩვენ ერთად ვართ.

მართლაც, ძალზე კარგი და გულიანი სიტყვა თქვა.

დღეს „ვესტის" ვუყურე. ბორის ელცინს დამნაშავეს უწოდებენ. რატომ უკვირს შევარდნაძეს, რომ მას ამ ხალხმა იუდა დაუძახოს.

ორ დღეს თბილისში იმყოფებოდა ჰანს დიტრიხ გენშერი. დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა **გერმანიასთან**. მივაღწიეთ უდიდეს მიზანს, ორი დღეა გახარებული ვარ.

20 აპრილი

ედუარდ შევარდნაძე აჭარაშია.

გაიმართა „ილია მართლის საზოგადოების" ყრილობა, ესწრებოდა 43 კაცი. აღმოჩნდა, რომ მათ არ მოსწონთ სახელმწიფო საბჭოს პოლიტიკა.

შეიქმნა პრემიერ-მინისტრის მოადგილის თანამდებობა, ამ თანამდებობაზე დაინიშნა ალექსანდრე კავსაძე. ის ამავე დროს არის ერთაშორის ურთიერთობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

21 აპრილი

ზუგდიდში სიმშვიდეა. დაუმორჩილებლობის კომიტეტს დადიანის მეთაურობით 20 კაციანი ჯგუფი გამოეყო.

შევარდნაძე ისევ აჭარაშია და ფოთში მიემგზავრება.

დღეს იყო ზვიადის მომხრეების სატელევიზიო გამოსვლა. მონაწილეობდნენ: კელენჯერიძე სამედიცინო უნივერსიტეტიდან, ეკა ხერხეულიძე (ეს ის გოგონაა ბუნკერში რომ იყო) და ცოტნე ბაკურია – ქრისტიანული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი. გოჩა კელენჯერიძემ გააკეთა სენსაციური განცხადება. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ აგვისტოს პუტჩის დროს შევარდნაძეს დაურეკია თბილისში და უთქვამს, რომ გამსახურდიას რეჟიმს სისხლში ჩავახშობო. მართლაც, სენსაცია არის! როდესაც გადაცემის წამყვანი შეეკითხა, თუ საიდან იცოდა ყოველივე ეს, გოჩა კელენჯერიძემ უპასუხა, რომ ეს თქვა ზვიად გამსახურდიამ და თუ გინდათ, მას შეეკითხეთო. სიცილი ვერ შეიკავე. გამახსენდა შალიკო ხვინგიაძე (როდესაც ხვინგიაძისა არ სჯერათ, ის იმწუთშივე პასუხობს: თუ არ გჯერათ, ჯიჯის ჰკითხეთ ალფაიძესო).

23 აპრილი

გუშინ ვერაფერი ვერ დავნერე, რადგან თაზო გვყავდა ონკოლოგიურ საავადმყოფოში. ექიმებმა მითხრეს: ამოსაჭრელი აქვსო ფეხზე რაღაც წანაზარდი. გული გამისკდა. მე და მაია საღამოს სიონის ტაძარში ვიყავით. იმ დღეს უწმიდესი და უნეტარესი, სქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ლოცულობდა. მე და მაია 2 საათი ელოცულობდით დაჩოქილები. ღმერთს შევევედრე, რომ ჩემი სიცოცხლე წაეღო, ოღონდ თაზოს არაფერი დაშავებოდა*.

დღეს პროკურატურაში დავესწარი შინაგანი საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სხდომას. ესნრებოდნენ რომან გვენცაძე და ვახტანგ რაზმაძე, აგრეთვე ვაჟა ადამია. ადამიამ საკმაოდ კარგად ილაპარაკა სამაჩაბლოს შესახებ. მან აღნიშნა, რომ საჭირო არ იყო კულუმბეკოეის გათავისუფლება, რადგან ის არის ერთ-ერთი დამნაშავე იმაში, რაც მოხდა. ვაჟამ გაიხსენა, რომ, როდესაც „სამხრეთ ოსეთში"

* ამ დღეს პირველად შევხვდი უწმინდესს. ერთ კვირაში თაზო სრულიად გამოჯანმრთელდა, ექიმებიც კი გაკვირვებულები დარჩნენ.

ტარდებოდა რეფერენდუმი, კულუმბეკოვს ელაპარაკა ცეკას მდივანი ძასოხოვი. ძასოხოვმა უთხრა კულუმბეკოვს გადაედო რეფერენდუმი. კულუმბეკოვი სასტიკი წინააღმდეგი იყო. ადამიამ აღნიშნა, რომ დასაწყისში ბლოკადაში მოაქციეს ცხინვალი ისე, რომ ფაქტობრივად ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ იყო. შემდეგ მოვიდა ბრძანება უკან დახევის შესახებ. შანსი იყო ეს ომი აგვისტოში დაგვემთავრებინაო.

დღეს მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — თბილისში აშშ-ს დროშა აღიმართა. აშშ-ს საელჩო დროებითი სასტუმრო „მეტეხში" განლაგდა.

25 აპრილი

გადაცემა ზუგდიდიდან. ალაპარაკეს დათო ქობალია – საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე. აჩვენეს ინტერვიუ ბესიკ ქუთათელაძესთან და გია ყარყარაშვილთან. ბესიკმა თქვა, რომ უფრო მეტს ველოდი ტელევიზიისაგანო. მაგალითად, არაფერს აჩვენებენ რუხზე მდგარ ბიჭებზე. სულ იმას აჩვენებენ, თუ როგორ ქურდავენ მოსახლეობას. აჩვენეთ ისინი, ვინც აკეთებს საქმეს. ახლა თავის ქება დაიწყო იმ ხალხმა, რომლებსაც არაფერი გაუკეთებიათ.

რუსეთის შინაგანმა ჯარებმა ცხინვალის დატოვება დაიწყეს.

1 მაისი

დღეს ამერიკიდან ჰუმანიტარული დახმარება ჩამოვიდა.

სოხუმში ჩაიშალა საქართველოში მოქმედი ყველა პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა, შეხვედრა ზვიადისტებს ჩაუშლიათ.

ინტერვიუ გელა ლანჩავასთან. მან აღნიშნა, რომ ზუგდიდში დაძაბულობაა, მაგრამ წინა პერიოდებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. უნდოდათ კარვების დადგმა, მაგრამ ჩვენ შევუშალეთ ხელიო.

დღეს შევარდნაძემ ირანის ელჩი მიიღო.

7 მაისი

დღეს სი-ენ-ენის გადაცემას ვუყურე, კერძოდ სომალის ამბებს. იქ, სადაც სამოქალაქო ომი დამთავრდა და დაიწყო შიმშილი. აჩვენეს როგორ გაუგზავნა გაერომ ბრინჯი და ხორბალი და სანყლები როგორ იტაცებდნენ ყოველივე ამას. ხალხი გაძვალტყავებულია. ასეთი რამ ჩვენც შეიძლება დაგვემართოს!

ისევ დაიწყო ტერორისტული აქტები. ხარაგაულთან ააფეთქეს ხიდი, ასევე მარნეულთან. ჭიათურის გვარდიას ნაართვეს 15 ავტომატი.

დღეს გამოაცხადეს, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა მოაწყვეს მიტინგი რუსთაველის მოედანზე. გამოაცხადეს, რომ მოხდა შეტაკება მოქალაქეებს შორის. ამდენი ხალხი რამ გადარია?

ფასები კატასტროფულად მატულობს. გუშინ ტელევიზიით ვუყურებდი სახელმწიფო საბჭოს სხდომას. განიხილეს ეკონომიკის საკითხები. ფაქტობრივად კატასტროფული მდგომარეობაა.

დღეს, როდესაც უნივერსიტეტში მივედი, მითხრეს, რომ დაიჭირეს კათედრის გამგე **თენგიზ კიკაჩეიშვილი** (გამსახურდიას მომხრე). მენყინა, როგორ შეიძლება პროფესორის ასე დაჭერა.

14 მაისი

თენგიზ კიკაჩეიშვილი გამოუშვეს. გუშინწინ და გუშინ ძალზე მძიმე მდგომარეობა იყო ქართლში. სოფ. ერედვში შვიდი კაცი მოკლეს. ფაქტობრივად ახალი ომი იწყება. შიდა ქართლში ჩავიდნენ შევარდნაძე და

იოსელიანი. ჩამოვიდნენ ძასოხოვი (ყოფილი ცეკას მდივანი), რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ოსეთში, ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

შევარდნაძე შევიდა ცხინვალშიც და მოლაპარაკება გამართა კულუმბეკოვთან. ცეცხლი შეწყდა.

რა ვაუკაცია! ცრემლები მომერია, როგორ შევიდა ცხინვალის ცენტრში!

17 მაისი

უმაღლესი საატესტაციო კომისიის განცხადება იყო, ზვიად გამსახურდიას უკან დაუბრუნეს სადოქტორო დისერტაცია. სასაცილოა!

აჩვენეს გივი ლომინაძის გამოსვლა ტელევიზიით.

18 მაისი

ღამით ვუსმენდი აჭარიდან დეპუტატ ოთარ ზოიძის გამოსვლას. მან გამოიყვანა გვარდიელები, რომლებიც დააპატიმრეს ბათუმში. როგორც ამბობენ, ისინი ჩასულები იყვნენ როსტომ დოლიძის დასაცავად. აჩვენეს ფირი, სადაც ასლან აბაშიძე ხვდება ქალაქის მოსახლეობას. დავუშვათ, რომ ასლან აბაშიძე არ არის სწორი, მაგრამ ნუთუ ტელევიზიის ხელმძღვანელობას ჭკუა არა აქვს, რომ ამწვავებს აჭარის საკითხს. ნუთუ არც ჭკუა, არც დაფიქრების უნარი არა აქვს იმას, ვინც ამას აკეთებს? აშკარაა, რომ უნდათ აჭარაში არეულობის დაწყება, რათა შემდეგ იქ ჯარები შეიყვანონ. შემდეგ იგივე განმეორდება აფხაზეთში. ვაი, თქვენს პატრონს! უნდა ვუსმინო იმ ზოიძეს, რომელმაც არჩევნების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკაში" ისეთი სტატია დაწერა კინაღამ ჭკუაზე გადავედი. მახსოვს ასეთ რამეს წერდა: თუ დეპუტატობის კანდიდატს არცერთ პარტიაში არ უნდა თავი წარადგინოს, მაშინ მან თავისი პარტია შექმნასო.

19 მაისი

დღეს გადაცემაში „პირისპირ" აჩვენეს ინტერვიუ **ედუარდ შევარდნაძესთან.**

ვალერი კვარაცხელია: თქვენ შვიდწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდით, რა შეიცვალა უკეთესობისაკენ და უარესობისაკენ?

ე. შევარდნაძე: მადლობა მოპატიჟებისათვის ხალხი გადაეღალე ლაპარაკით. ისევე როგორც ყოფილი სსრკ-ის ყველა რესპუბლიკაში, საქართველოშიც დიდი შემობრუნებაა. საქართველო გახდა დამოუკიდებელი.

სამწუხაროდ, ჩვენ მთლად მომზადებულნი არ აღმოვჩნდით ისტორიული პროცესისათვის. აღმოჩნდა, რომ ქართველი ერი ორად გაიყო, ორად გაიხლიჩა, ეკონომიკა დაინგრა, ხალხიც გაღარიბდა, ხდება შეტაკებები და კონფლიქტები, ნეგატიური მხარეები ღრმავდება – ასეთია ზოგადი და ზერელე შეფასება დღევანდელი დღისთვის.

ვ. კვარაცხელია: თქვენ უკვე ჩამოაყალიბეთ ეს თავისებურებანი, იქნება ცალცალკე დაგეხასიათებინათ ეს გაჭირვებანი.

ე. შევარდნაძე: მე დამხვდა გაჩანაგებული ეკონომიკა. თუ ავიღებთ 1988 წელს, სამრეწველო პროდუქცია დღეისთვის დაეცა 28%-მდე, სასოფლო – 30%-მდე, განახევრდა პირუტყვის სულადობა, სრული ფინანსური კრიზისია. დიდ შეშფოთებს იწვევს ის, რომ აშკარა გამოსავალს ვერ ვხედავთ. ეხლა უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ შევახსენოთ თავი საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ არ დაინყოს შიმშილი... ევროპის გაერთიანებამ გამოგვიყო 70 მილიონი ეკიუ, აქედან 40 მილიონი ხორბლის შესაძენად, ხოლო 30 მილიონი სხვადასხვა საქონელზე. აშშ-დან ველოდებით 40-50 მილიონ დოლარს.

გავწევრიანდით ევროპის ბანკში, ამითაც შეღავათი მოგვეცემა, მაგრამ უფრო პერსპექტიული გახლავთ შემდეგი: 1) პრივატიზაციის დაჩქარება, 2) უცხოური კაპიტალის შემოტანა, 3) ეკონომიკური კავშირების აღდგენა ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებთან.

ვ. კვარაცხელია: მაინც რა ვადებზე შეიძლება საუბარი, რომ მოსახლეობამ რაღაც შვება იგრძნოს?

ე. შევარდნაძე: 3-4 თვის მარაგი მაინც უნდა გვქონდეს.

ვ. კვარაცხელია: ხელოვნურად ხომ არ ხდება ფასების ანევა?

ე. შევარდნაძე: ჩვენ რომ ეკონომიკა მოვაწესრიგოთ 2-3 წელი დაგვჭირდება. ვმუშაობთ იმისთვის, რომ გაიზარდოს ხელფასები.

ვ. კვარაცხელია: რას იტყვით პოლიტიკურ დესტაბილიზაციაზე?

ე. შევარდნაძე: ეხლა ისეთი დროა, რომ პოლიტიკური უპასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს. ერთმა მოქალაქემ მითხრა, არ მინდა ასეთი დამოუკიდებლობაო. ყველამ უნდა გაიგოს, რომ მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის ფარგლებში ვიკამათოთ. ეხლა დეფორმირებულია ყველაფერი, ეს დანგრევამდე მიგვიყვანს. განა ეს პოლიტიკური ბრძოლაა, როცა რკინიგზასაც გადაკეტავ, ეს ბანდიტიზმია. ეს არის შენი ხალხის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება.

ვ. კვარაცხელია: ძალიან მაშფოთებს აჭარის ამბები, მეშინია რამე არ მოხდეს!

ე. შევარდნაძე: ძალიან იმედიანად დავბრუნდი ბათუმიდან. **მე მინდა მოვუწოდო ყველას, რომ ნუ ავრევთ ამ კუთხეს. ჩვენ რომ დალაგება ისე შეგვეძლოს როგორც არევა, კარგი იქნებოდა.**

ვ. კვარაცხელია: ზოგი ამბობს, რომ ცხინვალის პრობლემა შეიძლება ბოლოსდაბოლოს იარაღით გადაიჭრას.

ე. შევარდნაძე: მე, როდესაც ვიყავი იქ, ათობით ადამიანს ველაპარაკე. მე მათ თვალებში სიძულვილის ნაპერწკალი ვერ დავინახე. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, რომ ყველაფერი გადაწყდება საერთაშორისო სტანდარტების პირობებში.

ვ. კვარაცხელია: როდის გახდება საქართველო გაეროს წევრი?

ე. შევარდნაძე: ეს საკითხი განიხილება უშიშროების საბჭოში. რეკომენდაცია მოგვცა ინგლისმა.

ვ. კვარაცხელია: როგორი ურთიერთობა გაქვთ ელცინთან?

ე. შევარდნაძე: ჩვენ კეთილი ურთიერთობები გვაქვს, განსაკუთრებით აგვისტოს შემდეგ. რატომ არ ცნობს საქართველოს რუსეთი? აქ ბევრი პრობლემაა, შეიძლება ოსეთის გამო. მე სხვანაირად ვერ ვხსნი. ამით რუსეთი პოლიტიკურად აგებს.

ვ. კვარაცხელია: რას იტყვით საქართველო-ისრაელის თანამშრომლობაზე?

ე. შევარდნაძე: აქ დიდი პერსპექტივებია. მალე დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდება.

ვ. კვარაცხელია: როგორი იქნება საქართველოს ორიენტაცია – ამერიკული თუ ევროპული.

ე. შევარდნაძე: ჩვენ ორიენტირებული ვართ მეგობრობაზე, ჩვენ არ შეგვიძლია უგულვებელვყოთ თურქეთისა და ირანის ფაქტორები.

ვ. კვარაცხელია: რატომ ხდება ძველი კადრების აღზევება?

ე. შევარდნაძე: კომუნისტური რეჟიმის აღდგენა გამორიცხულია. ორიენტაცია გვაქვს ახალგაზრდობაზე, მაგალითად, ირაკლი ქადაგიშვილს დაევალა ორგანიზაციული საკითხები.

ვ. კვარაცხელია: თუ გიფიქრიათ საქართველოდან წასვლა?

ე. შევარდნაძე: წასვლა მიფიქრია მხოლოდ თანამდებობიდან, საქართველოდან ვერ გამაძევებენ, ძალიან საპასუხისმგებლო საკითხები გველოდება.

24 მაისი

დღეს ისევ ვაგრძელებ დღიურის წერას. გუშინწინ სოხუმში დააპატიმრეს ნუგზარ მოლოდინაშვილი. მე არ მინდა ბრალი დავდო ამ კახელს, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ზვიადგ გამსახურდიას, მაგრამ ამჟამად შეიარაღებული ბრძოლა არ გვჭირდება, ხალხი დაიღალა, ხალხს უჭირს, შიმშილობს. ადრე მე მშიერი ქართველი არ მინახავს.

მე შემძრა იმ ამბავმა, რომ სოფ. ფრისში, ოსების სოფელში, დახოცეს 32 კაცი, მათ შორის ქალები, ბავშვები. **ვინც ეს გააკეთა, ის არ არის ადამიანი, ის ქართველი არ არის, ის არის ბანდიტი და მკვლელი! როგორ შეიძლება ესროლო ბავშვს, ქალს? მე არ მინდა ოსებმა დაიჯერონ რომ, ეს აქცია მიმართულია ოსების წინააღმდეგ. ასეთი ბანდიტები მეც შემომივარდნენ სახლში, ისინი ასევე დახოცავენ ქართველებსაც, ისინი მკვლელები არიან და დანდობის ღირსნი არ არიან! როგორ იმეტებენ უმანკო ბავშვს? მიჭირს წერა, ცრემლები მახრჩობს.**

25 მაისი

დღეს, საღამოს 7 საათზე, თბილისში ჩამოვიდა **ჯეიმს ბეიკერი.**

გადაცემა „პირისპირ". ინტერვიუ ედუარდ შენგელაიასთან.

ვალერი კვარაცხელია: როგორ მუშაობს სახელმწიფო საბჭო?

ე. შენგელაია: მე კმაყოფილი ვარ სახელმწიფო საბჭოს მუშაობით. ერთ ხმაში მომღერალი გუნდი არ არის.

1 ივნისი

ვუყურებ გუშინდელი სახელმწიფო საბჭოს გაფართოებულ სხდომას, რომელიც შეეხებოდა მართლწესრიგის საკითხებს. **მართლაც, საქართველოში უმძიმესი მდგომარეობაა, ყველას იარაღი აქვს, ხალხი აღშფოთებულია, თუ ასე გაგრძელდა, ესენიც ცუდად დაამთავრებენ.**

სხდომა მიჰყავდა შევარდნაძეს. მოხსენებით გამოვიდნენ რომან გვენცაძე, ვახტანგ რაზმაძე და ჯონი ხეცურიანი. მათი გამოსვლები ზოგადი ხასიათის იყო. უფრო აქტიურად ისევ პარტიების წარმომადგენლები გამოვიდნენ (მაგალითად, ირაკლი მელაშვილი), ასევე იზა ორჯონიკიძე. კარგად გამოვიდა ერთი პიროვნება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან (ვინ იყო, ვერ ვიცანი).

9 ივნისი

ორი დღეა ომია სამაჩაბლოში. გვარდიამ აიღო ცხინვალის შესასვლელი, ავტოინსპექციის შენობა, სოფ. ფრისი და მამათუბანი. ღამით „მაცნეში" აჩვენეს სახელმწიფო საბჭოს სხდომა. სიტყვით გამოვიდა შევარდნაძე. მან დაგმო ცხინვალის ამბები. შევარდნაძემ განაცხადა, რომ ელაპარაკა კიტოვანს, რომელმაც უთხრა, რომ ბრძანება მას არ გაუცია.

11 ივნისი

გუშინ ყაზბეგში შევარდნაძე, კავსაძე და კიტოვანი შეხვდნენ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, გალაზოვს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ხეთაგუროვს. მოხდა შეთანხმება, რომ შეიქმნას ინტერნაციონალური ბატალიონი ავლანეთში მებრძოლთაგან და რომ უნდა შენყდეს ცეცხლი. გამომრჩა ერთი საკითხი. გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, სადაც გია ჭანტურიამ განაცხადა: **კიტოვანი და იოსელიანი უნდა გადადგნენო, 15 ივნისამდე გვარდია, „მხედრიონი" და სხვა შეიარაღებული**

ფორმირებანი შევიდნენ ყაზარმებში, ქუჩაში იარაღის ტარების უფლება უნდა პქონდეს მხოლოდ მილიციას.

15 ივნისი

გუშინწინ გორში მოხდა შეტაკება გვარდიელებსა და იქ განლაგებულ რუსეთის სატანკო ბრიგადას შორის. მოსკოვმა გადმოსცა, რომ რუსების მხრიდან დაიღუპა ორი სამხედრო, ერთი ქალი და ბავშვი, ხოლო გვარდიელებიდან — 12 კაცი.

გუშინწინ, შაბათს, 11 საათზე და 15 წუთზე ვიჯექით დეკანატში, გვქონდა სამეცნიერო საბჭოს სხდომა. **უცბად ისეთი აფეთქების ხმა გაისმა, რომ ვიფიქრეთ, მეორე კორპუსი ააფეთქეს-თქო.** აღმოჩნდა, რომ ხილიანის, ამჟამად ჩიქოვანის, ქუჩაზე ააფეთქეს მანქანაში დამონტაჟებული ბომბი. დაიღუპა ხუთი ადამიანი. **ამბობენ, ეს თავდასხმა ჯაბა იოსელიანზე მოაწყვესო.**

საღამოს გადმოსცეს, რომ 17 კაცი დაიღუპა გორში.

17 ივნისი

ტელევიზიით აჩვენეს გვარდიის მოქმედება ცხინვალთან. ცრემლები მომერია, რა დღეში არიან ბიჭები. მებრძოლები სწორად ამბობდნენ: ბევრს რომ ლაპარაკობენ ეს პოლიტიკური პარტიის ნარმომადგენლები, თვითონ ჩამოვიდნენ და იბრძოლონო.

აჩვენეს გორში რუსების მიერ დაჭრილი ბესიკ ქუთათელაძე. ღმერთო, გადაარჩინე ეს კაცი! ქუთათელაძემ დიდი სიმპათია დაიმსახურა. ახლა ის სიკვდილს ებრძვის. სწორად თქვა ქუთათელაძემ, რომ მხოლოდ 1500 კაცი დგას სამაჩაბლოში თოფ-იარაღით მაშინ, როდესაც მოსახლეობა 3-4 მილიონი არისო. ღმერთო, ჯანმრთელობა არ მინყობს ხელს, თორემ აქ რა გამაჩერებდა! ესეც რუსთაველის პროსპექტი ხომ არ არის, სადაც არ შემეძლო ქართველებისთვის მესროლა. ახლა მტერი გვესვრის, ფაქტობრივად რუსეთი. თუ გამოვმჯობინდი, აუცილებლად უნდა ნავიდე!

დღესვე გადაცემაში „საღამო მშვიდობისა" აჩვენეს გია ყარყარაშვილი, რომელიც ჩამოვიდა ცხინვალიდან და ინტერვიუ მისცა. მან განაცხადა: ველარ გავუძელი, უაზროდ იღვრება სისხლი, რისთვის იღუპება გვარდია, ეს ურაპატრიოტიზმში გვეთვლება, არ მინდა მე დამბრალდეს ეს სისხლი, როდესაც წავიკითხე სტატია „დრონში" მიეხვდი, რომ სწორი იყო ჩემი გადაწყვეტილება სარდლობის დატოვების შესახებ. რას ვაკეთებდით? ვიცავთ ქართულ სოფლებს, ჩვენ კი ქურდებად და ყაჩაღებად გამოგვიყვანეს.

აღარ შემიძლია, ცრემლები მომდის, სადაა სამართალი? სახელმწიფო საბჭოში რომ გამოიჭიმებიან და ბევრს ყბედობენ, ჩავიდნენ ცხინვალში და გვერდზე დაუდგნენ ამ ბიჭებს. ცხინვალში საბრძოლველად მათ სად სცალიათ, ისინი თანამდებობებისთვის იბრძვიან.

პირველ კორპუსში შემხვდა გია მამალაძე. მე მას ვუთხარი: ამ სამი წლის განმავლობაში გამოჩნდა, რომ ეროვნულ მოძრაობაში ერთი პროცენტია პატრიოტი, ისინი ეროვნულ მოძრაობაში მოვიდნენ მაღალ იდეალებისთვის, დანარჩენი კი მოვიდა იმისთვის, რომ ან თავი გამოეჩინათ, ან თანამდებობები დაეკავებინათ. გიამ მითხრა: ნახეთ, ჯერ ქუთათელაძე მოიცილეს, მალე გია ყარყარაშვილსაც და სხვებსაც მოიცილებენ. მისი სიტყვები გამართლდა: 19 საათზე და 45 წუთზე ტელევიზიის გადაცემა შეწყდა და გამოაცხადეს: თავის მანქანაში ააფეთქეს „მხედრიონის" ერთ-ერთი მოთავე თამაზ ყურაშვილი, „ბუღად" წოდებული.

აჩვენებენ ინტერვიუს ვაჟა ადამიასთან. ვაჟა ყოფილა სენაკში და ზუგდიდში, სადაც შეხვედრია ზაურ ქობალიას, ლოთი ქობალიას და ჯემალ ქობალიას. მან აღნიშნა, რომ საკმაოდ კარგად შეიარაღებული ახალ-

გაზრდები ჰყავთ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და რომ ისინი მოითხოვენ გარანტიებს.

19 ივნისი

დღეს წავიკითხე ნაირა გელაშვილის წერილი გაზ. „თბილისში" (17 ივნისი) სათაურით „ჩემი სათქმელი". წერილში საკმაოდ კარგად არის ნაჩვენები, რომ ფაქტობრივად დღეს საქართველოში სამხედრო ძალა ბატონობს.

მართლაც, დღეს საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. სანამ არ შეწყდება ბანდიტიზმი, არაფერი გვეშველება. არ უნდა გავმიჯნოთ ბანდიტი ზვიადის მომხრეა, იოსელიანისა თუ კიტოვანის. ბანდიტი არის ბანდიტი, რომელსაც ეროვნება არ გააჩნია.

22 ივნისი

მძიმე ამბებია მოლდავეთში. ქალაქ ბენდერში ომში ფაქტობრივად ჩაება რუსეთის მე-14 არმია.

ცხინვალში ავტოინსპექციის შენობაში განლაგებულ გვარდიელებს ცეცხლი გაუხსნეს სამი ვერტმფრენიდან. შევარდნაძემ ეს შეაფასა როგორც რუსეთის აგრესია. აღმოჩნდა, რომ სროლის ბრძანება გაუცია ცხინვალში ჩამოსულ რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, კონდრატიევს. შევარდნაძემ ამის შესახებ შეატყობინა გაეროს და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას. გუშინ რუსეთის მთავრობის სხდომა ჩაატარა რუცკოიმ.

გუშინწინ, ღამით ალექსანდრე რუცკოი გამოვიდა ტელევიზიით და საზიზღარი განცხადება გააკეთა მოლდავეთის და საქართველოს წინააღმდეგ. აღნიშნა, რომ რუსეთი დაიცავდა ამ რესპუბლიკებში ადამიანთა უფლებებს.

ედუარდ შევარდნაძემ გუშინ ღია წერილი გაუგზავნა ალექსანდრე რუცკოის. დღეს ბორის ელცინი ელაპარაკა შევარდნაძეს. გადაწყდა, რომ მოხდებოდა მათი შეხვედრა დაგომისში.

23 ივნისი

დღეს „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ **რუსეთი საქართველოს გაეროს წევრად გახდომის წინააღმდეგი წავიდა.** ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, თუ ეს მართალი აღმოჩნდებოდა, ის აღარ ჩავიდოდა დაგომისში. ღამით გადმოსცეს, რომ დროებით გადაიდო საქართველოს მიღება გაეროში.

24 ივნისი

დღეს დილით, 7 საათზე დამირეკა ანდრომ. ანდროსთან დაურეკავს ზაირას ნათესავს, ნუგზარ ფიფიას და უთქვამს, რომ რაღაც ამბები ხდება ტელევიზიასთანო. ანდრომ დამირეკა, იმიტომ, რომ მისი მამა ცხოვრობს ტელევიზიის პირდაპირ. მართლაც, როდესაც გადავრეკეთ, ანდროს მამამ გვითხრა: ქუჩაში დარბიან ავტომატიანები და ისვრიანო.

აღმოჩნდა, რომ დილით ვალტერ შურღაიამ დაიკავა ტელევიზია და აიღეს ანძა. შევარდნაძემ დროებით გადადო დაგომისში წასვლა, მაგრამ ტელევიზია მალე აიღეს. დააპატიმრეს შურღაია. შევარდნაძე დაგომისში გაფრინდა.

დღეს დილით ვლადისლავ არძინბას მომხრე ძალებმა სოხუმში აიღეს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დააპატიმრეს და სცემეს მინისტრი გივი ლომინაძე. იერიშს ხელმძღვანელობდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სერგეი ბალაფაში და ანქვაბი, რომელიც არძინბამ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.

გაირკვა, რა ხდებოდა ტელევიზიასთან. შურღაიას მომხრეები ჯერ თავს დაესხნენ შინაგანი ჯარების ქვედანაყოფს და წამოიღეს ტექნიკა. დილით შურღაიამ მიმართა მოსახლეობას მათთან მისულიყვნენ. დილით, 8 საათზე შევარდნაძემ მიმართა მოსახლეობას, რომ არ აყოლოდნენ პროვოკაციას, შემდეგ ალყა შემოარტყეს შურღაიას და ულტიმატუმი ნაუყენეს, რომ ერთ საათში დანებებულიყვნენ. იქ იყვნენ ჯაბა იოსელიანი, რომან გვენცაძე და თენგიზ კიტოვანი.

ინტერვიუ შევარდნაძესთან. მან აღნიშნა, რომ ესენი პოლიტიკოსები კი არა, ბანდიტები არიანო.

ვ. კვარაცხელია: იქნებ იმიტომ გააკეთეს, რომ არ ჩასულიყავით დაგომისში?

ე. შევარდნაძე: შეიძლება ამ ფაქტორმა დააჩქარა გამოსვლა, ისინი მოგვიანებით აპირებდნენ გამოსვლას.

ტელევიზიაში დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა **ბიძინა ჩოლოყაშვილი, ბიძინა დანგაძე, ეკა ხერხეულიძე.**

ზაზა დარასელი ესაუბრება **ჯაბა იოსელიანს.**

ჯ. იოსელიანი: მოულოდნელი ეს ამბავი არ იყო, ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ღონისძიება არ შეიძლებოდა. დღეს მომიყვანეს კაცი, რომელიც სამჯერ დავიჭირე და გავუშვი, რა ღორი უნდა იყოს ასეთი ადამიანი!

ზ. დარასელი: რისი იმედი ჰქონდათ?

ჯ. იოსელიანი: როგორც ის ამბობდა (გულისხმობს ზვიად გამსახურდიას – მ. ვ.), ავაგორებთ და მერე ენახოთო... მადლობა ხალხს. ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს დაგვიცავითო. ერთ საათში ხუთი ათასი კაცი მოვიდა თან მშიშარა იყო (იგულისხმება ზ. გამსახურდია – ვ. გ.). როდის ყოფილა ბიჭები მარტო გამეშვა. იქიდან (იგულისხმება მთავრობის სახლი – ვ. გ.) ეუბნება მიდით, მოდითო. სოხუმში შეუთვალა: ფეხშიშველა წადითო. 9 აპრილის შესახებ სიმართლე გითხრათ? შემდგომში გაირკვევა თუ რა მოხდა.

მე პირადად გაკვირვებული ვარ დღევანდელი დღით. რის იმედი ჰქონდათ? ნუთუ 100 კაცით შესაძლებელი იყო ძალაუფლების აღება? როგორ შეაცდინეს ვალტერ შურღაია? მე მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შემიძლია: ეს არის ე. წ. „ზვიადისტების" უდიდესი ფანტაზიების შედეგი. ზუსტად ასეთი ამბავი მოხდა, როდესაც გამსახურდია იყო ბუნკერში. მას მაშინაც ატყუებდნენ, რომ მთელი დასავლეთი მოდის დასახმარებლად 20 ბეტეერით და ა. შ. მახსოვს, დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს უნივერსიტეტში ამოვარდებოდნენ და ერთმანეთს ატყუებდნენ, თუ როგორ დაიჭირეს კიტოვანი, დაჭრეს სიგუა, რომელმაც თავი მოიკლა. თან რომ ყვებოდნენ, თვითონაც სჯეროდათ. 9 აპრილს, როდესაც ავტობუსებით წამოვიდნენ თბილისში, სენაკში გამართეს მიტინგი, მიტინგზე განაცხადეს, რომ თბილისში ბრძოლები მიმდინარეობდა და ხალხმაც დაიჯერა. ჩემი აზრით, ახლაც ატყუებდნენ შურღაიას, თქვენ დაიწყეთ და მთელი თბილისი დაგიჭერთ მხარსო.

25 ივნისი

ედუარდ შევარდნაძემ ბორის ელცინთან მოლაპარაკების დროს მიაღწია იმას, რომ 1 ივლისიდან რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდებოდა და რომ რუსეთი აღიარებდა საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობას. შემდეგ სტამბოლში გაფრინდნენ.

საღამოს ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ მთავრობის დადგენილებით აიკრძალა გაზეთი „იბერია-სპექტრი" და „თავისუფალი საქართველო". ეს აკრძალვა არ არის სწორი. დღეს ტელევიზიით აჩვენეს ჯანსუღ ჩარკვიანი. მას ნამეტანი მოუვიდა, როდესაც **გუშინდელი ამბები (ტელევიზიის აღება) შეადარა ქაჯეთის ციხის აღებას, ხოლო იოსელიანი, გვენცაძე და კიტოვანი ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონად გამოიყვანა.**

გუშინ ყოფილა თავდასხმები სენაკის, ხობის და ფოთის მილიციებზე. მონაწილეობდნენ 60, 100, 150 კაციანი შეიარაღებული ჯგუფები.

30 ივნისი

დღეს გამოაცხადეს, რომ დაიღუპა ბესიკ ქუთათელაძე. გული დამწყდა, თითქოს ახლობელი დამეღუპაო. ვაჟკაცი კაცი ჩანდა. ის მაინც ბედნიერია, რომ ქართველთა ტყვიით არ დაიღუპა და დაიღუპა რუსების მიერ ნასროლი ტყვიით.

დღეს, საღამოს 9 საათზე ჩემი გამოსვლა იყო რადიოთი, სადაც შევაფასე 24 ივნისს მომხდარი ფაქტი.

ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა წყნარდება. ერთმანეთს შეხვდნენ სამხედრო ხელმძღვანელები. მძიმე ტექნიკა დახიეს უკან 15 კილომეტრით. ორი დღეა სროლა არ არის.

ახლა გამახსენდა რადიოში ჩემი ინტერვიუ. ინტერვიუდან ამოიღეს ერთი მონაკვეთი. მე ვთქვი: დღევანდელმა ხელისუფლებამ ხალხს უნდა დაანახოს, რომ მთავრობა ხალხზე ზრუნავს. ამის კეთილი ჟესტი იქნებოდა, რომ **დაეთმოთ აგარაკები და მანქანები მრავალშვილიანი და დაღუპულთა ოჯახებისთვის.**

1 ივლისი

დღეს აჩვენეს გუშინდელ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე შევარდნაძის გამოსვლა, სადაც პირველად მისცა შეფასება **ზვიად გამსახურდიას, რომელსაც ფაშისტი უწოდა. ამაზე მეტი ცინიზმი შეიძლება? დიდი იმედი არა მაქვს, მაგრამ შეიძლება დადგეს დრო და შევარდნაძეს ასეთი შეფასების გამო შერცხვეს.**

2 ივლისი

დღეს მოსკოვში ალექსანდრე ჩიკვაიძემ და ანდრეი კოზირევმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ტელევიზიით გადასცეს ნუგზარ მოლოდინაშვილის ინტერვიუ, რომელმაც აღნიშნა, ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ სისხლისღვრა ვერ ავიცილეთო.

კითხვა: როგორ უყურებს იგი 24 ივნისის ამბებს?

ნ. მოლოდინაშვილი: ყველა ვარიანტში სიბრიყვე იყო.

დღეს „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ აშშ-ს კონგრესმა შეაჩერა რუსეთის და თანამეგობრობის ქვეყნებისათვის დახმარება. რუსებს ეგონათ, კომუნისტები დავამხეთ და მაშინვე გაეხდით დემოკრატებიო, მათ ეგონათ, რასაც ტყუოდნენ **მოლდავეთისა** და **საქართველოს** შესახებ მსოფლიო დაუჯერებდა. რუსეთი აცხადებდა, მე-14 არმია მოლდაველებისაგან თავს იცავსო მაშინ, როდესაც ეს არმია ომს ანარმოებდა მოლდავეთის წინააღმდეგ. ბოლოს „ნოვოსტის" ძლივს წამოცდა, აშშ-ის კონგრესმა მოითხოვა, რომ მე-14 არმიამ დატოვოს სუვერენული მოლდავეთი. ვალერი კვარაცხელიას ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან.

ვ. კვარაცხელია: დღეს იურიდიულად გაფორმდა ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის.

ე. შევარდნაძე: ეს ფაქტობრივად საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისია და მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამ დღეზე ოცნებობდნენ მრავალი თაობები...

ვ. კვარაცხელია: დიპლომატიური ურთიერთობები კი დამყარდა, მაგრამ რეაქციული ძალები ხომ არ იაქტიურებენ?

ე. შევარდნაძე: ჩემი აზრით, რეაქციულმა ძალებმა წააგეს, მაგრამ შემდგომში შეიძლება გააქტიურდნენ...

7 ივლისი

გუშინ, დილის ექვს საათზე, ნალენჯიხის სკოლა-ინტერნატში განლაგებულ „მხედრიონის" ნანილს თავს დაესხა 150 შეიარაღებული ზვიად გამსახურდიას მომხრე. მათ ორი სართული ააფეთქეს. აგრეთვე ააფეთქეს ჯავშანმანქანა და უაზი. „მხედრიონი" გამაგრდა მესამე სართულზე. მათთან ერთად იყო ჯაბა იოსელიანი. ბრძოლა 3 საათს გაგრძელდა. ჯაბას დაეხმარა ხობიდან წამოსული გიგა არველაძის რაზმი, აგრეთვე ქუთაისისა და ფოთის მილიცია. შუადღისას ნალენჯიხა გაანთავისუფლეს, დაიღუპა 8 „მხედრიონელი" და დაიჭრა 15. ეტყობა, ჯაბას და მისი „მხედრიონელების" ხელში ჩაგდება უნდოდათ, რათა გაეცვალათ ვალტერ შურღაიასა და მის მომხრეებში. ჯაბამ დღეს იხუმრა: ჩემმა ბიჭებმა თქვეს, მილიცია რომ დავინახეთ, პირველად გაგვეხარდა მისი დანახვაო. დღეს შევიდნენ ზუგდიდში.

ამავე დროს ცხინვალში იქმნება ერთობლივი ჯგუფი ქართველების, ოსებისა და რუსებისაგან, რომლებიც ჩადგებიან მებრძოლ მხარეებს შორის. ეს იქნება გამყოფი ჯგუფი.

დღეს საქართველოს გაეროში შესვლას მხარი დაუჭირა უშიშროების საბჭომ.

17 ივლისი

შიდა ქართლში უკვე დგას ე.წ. გამყოფი ჯგუფი. ცხინვალში ჯერჯერობით სიმშვიდეა.

დღეს ნავიკითხე ვალტერ შურღაიას წერილი ეახტანგ რაზმაძისადმი. მართლაც გულით არის დაწერილი. ისე ვწერ შურღაიაზე, რომ არ ვიცნობ, მაგრამ კარგ ვაჟკაცად მიმაჩნია. დღეს მიყვებოდნენ, რომ შურღაია აიძულეს და დააწერინეს ეს წერილიო. ჩემი აზრით, ამ წერილში არაფერი არ არის ისეთი, რომელიც ლახავდეს მის ღირსებას. პირიქით, ამჟამად არის მცდელობა, რომ რაღაც გზები გამოინახოს, რათა დაწყნარდეს საქართველო.

27 ივლისი

აქამდე ვერ ვწერდი იმიტომ, რომ არ ვიყავი შინ.

23-24 ივლისს ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფო საბჭოს წევრებთან ერთად სამეგრელოში გაემგზავრა.

23 ივლისს ის სენაკში შეხვდა საზოგადოებას. შენობის წინ იდგა ხალხი, განსაკუთრებით ქალები, რომლებიც ხელს უშლიდნენ შენობაში შევარდნაძის შესვლას. გამომსვლელებში საკმაოდ იყვნენ ძირითადად „მხედრიონის" და ნანილობრივ გვარდიის მიერ დარბეულები. ერთ-ერთმა გამომსვლელმა ნალენჯიხიდან თქვა: **„მხედრიონი" გზაზე ხალხს ართმევდა ფულს და ბეჭდებს და რომ სოფ. მუხურიდან 200 უნომრო მანქანა მოდიოდა.**

24 ივლისს, ჩხორონყუში შეხვედრის დროს, გამომსვლელებმა აღნიშნეს, თუ როგორ ართმევდნენ მანქანებს და როგორ ზიდავდნენ ავეჯს. ხალხი მართლაც ძალიან შენუხებული ჩანდა. შევარდნაძე ჩავიდა აბაშაშიც, ხობშიც. **ნალენჯიხაში შეხვედრა ვერ მოხერხდა, რადგან მოსახლეობა წინააღმდეგი წავიდა. ზუგდიდშიც ვერ ჩავიდა შევარდნაძე** – რა მოხდა, არ ვიცი. ტელევიზიით გამოაცხადეს: აფხაზეთში გამართული უზენაესი საბჭოს სესიის გამო შევარდნაძემ შეწყვიტა ვიზიტი და თბილისში დაბრუნდაო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სწორი განმარტება. აშკარა იყო, რომ ზუგდიდში რაღაც მოხდა. **შევარდნაძის ამ მოგზაურობიდან აშკარად გამოჩნდა, რომ სამეგრელოს მოსახლეობა ძალიან არის განამებული. ის, ვინც მხარს არ უჭერდა გამსახურდიას, ისინიც წინააღმდეგნი არიან ამ ხელისუფლების. არ შეიძლება**

სამეგრელოსთან სულ იარაღით საუბარი. ძალზე შეურაცხყოფილნი არიან ამაყი და დიდად სტუმართმოყვარე ქართველები. რა დაანყნარებს მათ, არ ვიცი. ჩემი აზრით, შევარდნაძე მანამდე უნდა ჩასულიყო სამეგრელოში, ვიდრე „მხედრიონს" გააგზავნიდა. გარდა ამისა, მას არ უნდა წაეყვანა ის ხალხი, რომლებიც განსაკუთრებით არაპოპულარები არიან სამეგრელოში, მაგალითად, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ გოგუაძე და სხვ. სამეგრელოში შექმნილი მძიმე მდგომარეობით ისარგებლა არძინბამ, გამოაცხადა აფხაზეთის რესპუბლიკა და, „თავის ჭკუით", აღადგინა 1925 ნლის კონსტიტუცია.

დღეს ვკითხულობ გაზეთს „7 დღე" (25, 23-29 ივლისი). შურღაიას შესახებ ჩემი სიტყვები გამართლდა. შევარდნაძე შეხვედრია ერთი საათით შურღაიას და შემდეგ ნერს: „რატომ იქცა ჩემს მტრად, ის საკმაოდ მოაზროვნე პიროვნებაა".

12 აგვისტო

31 ივლისს **საქართველო გახდა გაეროს ნევრი.** როგორც იქნა! ყველას თვალზე ცრემლი მოგვდის. გაჭირვების დროა დღეს საქართველოში, მაგრამ მაინც გამიმართლა – ისტორიკოსს ისტორიულ პერიოდში მომინია ცხოვრება. ამ ჩანაწერებსაც შემდგომში ისტორიული მნიშვნელობა ექნება.

დღე აღარ მახსოვს, რადგან ყოველდღე მისაღებ გამოცდებზე ვიყავი. გაიმართა დიდი დღესასწაული. გამოვიდა მანიფესტი, რომლის ძალითაც, ყველა პატიმარი, რომელიც გამსახურდიას მომხრე იყო და მის დასაცავად იბრძოდა, გაანთავისუფლეს.

ამ დღესასწაულზე ძალიან კარგი სიტყვით გამოვიდა ვალტერ შურღაია, ცრემლები წამომივიდა. ეს დღე უნდა ყოფილიყო შერიგების დღე. საღამოს შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩხორონწყუში თავს დაესხნენ მილიციას, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს. გუშინ ტყვედ აუყვანიათ რომან გვენცაძე და რამდენიმე პიროვნება. როგორ მოხდა, არ ვიცი. რამდენიმე დღის წინ შემთხვევით მოვხვდი შინაგან საქმეთა სამინისტროში. მე-9 სართულიდან ლიფტით ჩამოვდიოდი. ერთ-ერთ სართულზე უცებ პოლკოვნიკმა კუკური როგავამ თქვა: საჩქაროდ გამოდით, მინისტრს აგვიანდებაო. მე გამოვედი, კუკურის ვიცნობდი, გადავკოცნე. ის და გვენცაძე ჩავიდნენ ლიფტით. ძირს რომ ჩამოვედით, გვენცაძე და როგავა მანქანაში სხდებოდნენ, ეტყობა, დასავლეთში მიდიოდნენ.

30 აგვისტო

არ ვიცოდი, რა მძიმე მოვლენები მოყვებოდა ამ ამბებს. რომან გვენცაძე კი გაანთავისუფლეს, მაგრამ კუკური როგავა, მამია ალასანია, დათო სალარიძე და ზიბერტ ხაზალია დარჩნენ. ჩვენი ჯარები შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. გულრიფშთან აფხაზეთის გვარდიამ სროლა ატეხა. შემდეგ სოხუმი დაიკავეს, ჩამოხსნეს აფხაზეთის დროშა და ააფრიალეს საქართველოს დროშა. დაანგრიეს ლენინის ძეგლი. არძინბა გუდაუთაში გაიქცა. მანამდე მან უარი თქვა სიგუასთან, იოსელიანთან და კიტოვანთან მოლაპარაკებაზე. დაიწყო ბრძოლები. აფხაზების მხარეზე ომში ჩაება ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის ჯარები. მუსა შანიბოვმა, ამ კონფედერაციის პრეზიდენტმა, თბილისი გამოაცხადა უბედურების ზონად. ლესელიძე გვარდიის ხელში აღმოჩნდა, იქ შევიდა **კოტე ჯანჯღავა.** ბორის ელცინი არ რეკავს. მან თქვა, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავდა.

ახლა ვუსმენ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას. გუშინ მძიმე ბრძოლები იყო გაგრასთან, დაიღუპა 18 კაცი. გული მისკდება. დღეს წასვლა მინდა, მაგრამ ვერ ვარ კარგად. ვნახოთ, თუ უკეთესად ვიქნები, წავალ. ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი მიმართვა რადიოთი წაიკითხა ბათიაშვილმა.

მე ამ მიმართვისა მაინც არ მჯერა, ის შეთხზული იქნება. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ომი რომ დაიწყო ზვიად გამსახურდია არ უნდა დარჩენილიყო გროზნოში.

1 სექტემბერი

როგორც გადმოსცეს, ბრძოლები მიმდინარეობს მდინარე გუმისთასთან. გია ყარყარაშვილი გადავიდა მდინარეზე, ბრძოლაში 20 ტანკი მონაწილეობდა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ ბრძოლის დროს მას დაურეკა გია ყარყარაშვილმა და უთხრა, რომ გადასვლის დროს რუსებმა ესროლეს. იქით მხარეს რუსებს აქვთ ძალზე საიდუმლო ლაბორატორია, რომელსაც იცავს მათი რაზმი. შევარდნაძემ თქვა, რომ დაუკავშირდება ბეპაევს და შემდეგ გენადი ბურბულისს მოსკოვში. დილით დარეკა ბორის ელცინმა. გადანყვიტეს, რომ აფხაზეთში ჩავიდეს რუსების და ქართველების კომისია.

გუშინ ყვარელში გამოჩნდა 60-70 კაციანი შეიარაღებული რაზმი. ისინი აღმოჩნდნენ ზვიად გამსახურდიას მომხრეები. თენგიზ კიტოვანი ყვარელში ნავიდა. რამდენიმე კაცი შეიპყრეს, ერთ-ერთი მათგანი სკოლის მასწავლებელი იყო. ოპერაცია გრძელდება.

3 სექტემბერი

გუშინდელი გადაცემიდან ჯერ კიდევ გონს ვერ მოვედი. გადაცემაში „საღამო მშვიდობისა" აჩვენეს, როგორ ჩამოპყავდათ აფხაზეთში დაღუპული და დაჭრილი ბიჭები, როგორ ხვდებოდნენ მათ ოჯახის წევრები და ნათესავები, რომლებმაც არ იცოდნენ მათი ახლობლები გარდაცვლილნი იყვნენ თუ დაჭრილები. ცრემლებს ვერ ვიკავებდი. რა ვქნა, ფეხებმაც შემანუხა. ერთი კვირაა ნელნელა ვევარჯიშობ, იქნებ ფორმაში ჩავდგე. ბოლმა მახრჩობს. როცა ძალა მერჩოდა და გადარეული ვიყავი, მაშინ ყველა დაწყნარებული იყო. რამდენი რამ გადამხდომია თავს! ახლა მე დავწყნარდი და ყველა გადაირია, არადა სწორედ ახლაა საჭირო ჩემი ენერგია.

ყვარელში გრძელდება ოპერაცია ზვიადისტების ნინააღმდეგ. დღეს დაიბეჭდა ინტერვიუ გელა გოდერძიშვილთან. მან თქვა, რომ ყველა ზვიადისტი დაჭერილია. დაჭერილები ამბობენ, რომ შემთხვევით მოხვდნენ ყვარელში, არ უნდოდათ სროლა. ინტერვიუ ერთ-ერთ მათგანთან ემზარ კობერიძესთან: იმედი გვქონდა, რომ კახეთი ფეხზე დადგებოდაო. ერთ-ერთმა თქვა, რომ ვიქტორ დომუხოვსკის უნდა შემოეტანა იარაღიო.

დღეს ედუარდ შევარდნაძე და ბორის ელცინი ხვდებიან ერთმანეთს. ჯერ არაფერი ვიცი.

5 სექტემბერი

მოსკოვში ხელი მოაწერეს დოკუმენტს. 3 სექტემბრის დოკუმენტი ამჟამად დიდი გამარჯვებაა.* დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთის ჯარები რჩებიან აფხაზეთის ტერიტორიაზე, საზღვრებისა და რკინიგზის დაცვის მიზნით. არძინბას ტელევიზიით აჩვენებენ, აშკარად უხასიათოდ ჩანდა. ელცინმა აგრეთვე აღნიშნა, რომ არ ცნობს მთიელთა კონფედერაციას. აღნიშნული იყო, რომ აფხაზური გვარდია უნდა განიარაღდეს. აჩვენებენ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციას, რომელშიც მონაწილეობდნენ ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ სიგუა და ალექსანდრე ჩიკვაიძე.

ე. შევარდნაძე: ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო, რათა შეგვეჩერებინა სისხლისღვრა. ხალხი მხარს უჭერს ამ დოკუმენტს.

---

* იმხანად ვერ განვსაზღვრე, რომ სინამდვილეში ეს დამღუპველი იყო. სწორედ მისი შედეგი იყო გაგრის, ღესელიძის და განთიადის დაკარგვა (მ. ვ).

კორესპონდენტი სიგუას შეეკითხა: რას იტყვის მაროდიორობაზე აფხაზეთში. პასუხი გასცა შევარდნაძემ: მაროდიორობას ენეოდნენ ბანდიტები და შეიძლება ნაწილობრივ არმიის ნაწილებიც.

ვალერი კვარაცხელიას ინტერვიუ ე. შევარდნაძესთან.

ე. შევარდნაძე: გუშინ ერთიან და განუყოფელ საქართველოს საიმედო ბოძი შევუდგით. მნიშვნელოვანია რუსეთ-საქართველოს სწორად გაგებული ურთიერთობა, თანასწორთა თანამშრომლობა. ეს იყო დემოკრატიული ხელისუფლების თანამშრომლობა. მე ვიცი სიფრთხილე გვმართებს...

ვ. კვარაცხელია: რა მოყვება ამ დოკუმენტს?

ე. შევარდნაძე: ამ დოკუმენტს ის მოყვება, რომ ჩვენ გავჩერდით იქ, სადაც უნდა გავჩერებულიყავით. სისხლისღვრა უნდა შეწყდეს. გუშინდელი დღე ისეთი იყო, რომ ან უნდა გავჩერებულიყავით, ან ეს იქნებოდა აფხაზთა ფიზიკური მოსპობა და ქართველთა მორალური დამარცხება.

ვ. კვარაცხელია: ეს ხელშეკრულება დაიდო ორ სახელმწიფოს შორის, თუმცა ზოგი ფიქრობს, რომ ეს არის სამმხრივი შეთანხმება.

ე. შევარდნაძე: ჯერ ერთი, სამმხრივი არ არის, ეს არის ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის.

ვ. კვარაცხელია: იყო საშიშროება, რომ სამხედროები წინააღმდეგნი იქნებოდნენ, როგორ შეხვდნენ ისინი ამ მოვლენას?

ე. შევარდნაძე: წასვლის წინ გია ყარყარაშვილთან დავრეკე, უნდა გითხრათ, გია და მისი მეგობრები აქტიურად ემხრობოდნენ ჩემს აზრებს. გვიან ჩამოვედი, პირველი, რაც გავაკეთე ის იყო, რომ დილით დავურეკე გიას. მან მითხრა, რომ აქ არის. ეს არის საქართველოს ისტორია. ის სულგრძელი ბიჭია, იბრძვის და კონტაქტებიც აქვს აფხაზებთან.

ვ. კვარაცხელია: ესე იგი სამხედროები და საზოგადოება კარგად აღიქვამენ ხელშეკრულებას, მაგრამ ცუდი ხომ არ არის, რომ ეს არ მოეწონებათ აფხაზებს?

ე. შევარდნაძე: შეიძლება ზოგიერთ აფხაზს არ მოეწონოს, რადგან ეს დოკუმენტი არ იძლევა ცალკე გამოყოფის საშუალებას. სწორედ ამ ზოგიერთმა აფხაზმა დიდი ზიანი მიაყენა თავის ხალხს, რადგან აფხაზ ხალხს არა აქვს საომარი ქართველებთან, ისევე როგორც ქართველებს არა აქვთ საომარი აფხაზებთან. ბედნიერია ის, ვინც ხედავს, რომ ახალი ურთიერთობის მშენებლობა იწყება.

ვ. კვარაცხელია: ყველა ბედნიერები ვართ, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ სისხლი არ დარღვრილიყო და რომ ჯარი არ შესულიყო აფხაზეთში?

ე. შევარდნაძე: აქ მარტო ჯარის გადაადგილება არ იყო მიზეზი, საფუძველი უფრო ღრმა არის.

ვ. კვარაცხელია: თქვენ ხომ შეხვდით არძინბას?

ე. შევარდნაძე: არძინბასთვის რომ მტკივნეული იყო, მე მესმის. მე უნდა ხაზი გავუსვა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა დამოკიდებულებას, რომლებმაც უთხრეს არძინბას, რომ მას ხელი უნდა მოეწერა, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი გამოსვლაც უნდა გაიგოთ, ის ათჯერ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო. ჩვენ ვსაუბრობდით ამ დოკუმენტის შესრულებაზე. მე მჯერა, რომ ისინი ამას შეძლებენ.

ვ. კვარაცხელია: დოკუმენტის მიხედვით ჯარი უნდა იყოს იმდენი, რაც საჭიროა რკინიგზის და სხვა ობიექტების დასაცავად.

ე. შევარდნაძე: მე ელცინს ვუთხარი ტელეფონით, რომ ეს არ არის ჯარების ერთი კუთხიდან მეორეში გადაყვანა. მეშინია, რომ რეზერვისტები წამოვლენ. მარტო რკინიგზის დასაცავად 1500 კაცი გვჭირდება.

ვ. კვარაცხელია: როგორი იქნება დაქირავებულთა ბედი. დოკუმენტი თუ ავალდებულებს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს, რომ ალაგმონ მათი ყოფნა აფხაზეთში?

ე. შევარდნაძე: დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების

ხელმძღვანელთა დასწრებას მოლაპარაკებაზე. გადაწყდა, რომ დაიკეტება საზღვარი. ისინი გულწრფელად არიან დაინტერესებულნი, რომ დაქირავებულები არ წამოვიდნენ აფხაზეთში. ამით განსაკუთრებით არის დაინტერესებული რუსეთი.

ვ. კვარაცხელია: ზოგიერთი ფიქრობს, რომ ისინი სწორედ რუსეთმა გამოგზავნა.

ე. შევარდნაძე: მე ძალიან კარგად მესმის...

ბოლოს შევარდნაძემ აღნიშნა, რომ არა იმ ბიჭების სისხლი, ალბათ, ეს ხელშეკრულება არ იქნებოდაო.

მართლაც, ცრემლები მოსდის. **მე დღეს ვიტირე, როდესაც თენგიზ კიკაჩეიშვილის შვილის, რატის, პანაშვიდზე ვიყავი, რომელიც ფაქტობრივად ყოველდღე მხედებოდა უნივერსიტეტში. საოცრად კარგი ბიჭი იყო. როდესაც შევედი, დედა თავზე ხელს უსვამდა და ეფერებოდა. არ ვიცი, რა ვთქვა, რა ტრაგედიაა! ღმერთო, ყველა დაღუპული ნათელში ამყოფე! სინდისი მქენჯნის, რომ ასეთი ბიჭები იღუპებიან და არა მაქვს საშუალება, რომ მათ გვერდით ვიყო.**

6 სექტემბერი

დღეს სიგუა გაფრინდა სოხუმში. ძალიან მეეჭვება, რომ აფხაზები ასე მალე შეურიგდნენ ამ ხელშეკრულებას.

დღეს აჩვენეს სახელმწიფო საბჭოს სხდომა. აჩვენეს შევარდნაძის გამოსვლა, რომელმაც გააანალიზა ეს დოკუმენტი. მართლაც დიდი პიროვნებაა. ეტყობა მართლა ღმერთმა გამოგვიგზავნა ეს კაცი.

10 ოქტომბერი

ამ ხნის განმავლობაში ვერ გავაგრძელე წერა, რადგან მარჯვენა ხელის ძვალი გამეგზარა. ჩავხედე 6 სექტემბრის ჩანაწერს, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში გავაკეთე. ეჭვი მეპარებოდა, რომ აფხაზები შეასრულებდნენ ამ ხელშეკრულებას. ნუთუ ამას ვერ ხვდებოდნენ ჩვენები? არადა ეს სიგუა დიდ იმედებს იძლეოდა: ჯერ 15 სექტემბრამდე, მერე 25 სექტემბრამდე, თუ არ გაიყვანდნენ დაქირავებულებს, მათ მთლიანად გაანადგურებდნენ. მოხდა პირიქით, 1 ოქტომბერს აფხაზებმა დაარღვიეს ხელშეკრულება და ნახევარ საათში აიღეს გაგრა. სოხუმში გაფრინდა შევარდნაძე, რომელიც იქიდან ლესელიძეში ჩაფრინდა. მის ვერტმფრენს თავს დაესხნენ. აქ ჯარების სარდლად დაინიშნა გია ყარყარაშვილი. 3-4 ოქტომბერს აფხაზებმა და დაქირავებულებმა აიღეს განთიადი და ლესელიძე. **ამ ბრძოლების დროს ბევრი ქართველი ახალგაზრდა დაიღუპა. არ ვიცი, მოკლეს თუ არა გია ყარყარაშვილის ძმა, გოჩა, რომელიც ჩვენი სტუდენტი იყო. ძალიან კარგი ბიჭია ეს გოჩა.** მალე გაირკვევა, თუ ვინ იყო დამნაშავე ამ ტრაგედიაში. **აქ იყო ღალატიც, ლაჩრობაც, განუკითხაობაც.** ფაქტობრივად არ არსებობს ერთიანი არმია, ყველა პარტიას თავისი შეიარაღებული ძალები ჰყავს. ბიჭები გამოუცდელები არიან. მოწინააღმდეგეს კი ჰყავს განწრთნილი დაქირავებული მეომრები. **იღუპებიან სამშობლოს ნამდვილი პატრიოტები, თორემ მაროდიორს არაფერი მოსდის, რადგან ისინი იმწუთშივე გარბიან.**

ჩემი ფაკულტეტის სტუდენტებმა მოითხოვეს, რომ გაივლიან წვრთნას და საომრად წავლენ. ველაპარაკე რექტორს. 9 ოქტომბერს რექტორი როინ მეტრეველი და ლევან ალექსიძე შეხვდნენ მათ. ჩემი და სტუდენტების აზრით უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი წვრთნა, სადაც მომზადებას გაივლიან არა მარტო უნივერსიტეტის სტუდენტები, არამედ პროფესორ-მასწავლებლებიც. ამის შემდეგ მზად ვიქნებით, რათა მოვიგერიოთ მტრის თავდასხმა. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ბაზა, სადაც გავივ-

ლით ნერთნას და იარაღი გვექნება შენახული.

გუშინწინ მოსული იყო ვახტანგ გოგუაძე და ბლოკი „მშვიდობა". სტუდენტები და უნივერსიტეტის პრეს-კლუბი მათ გამოსვლას უარყოფითად შეხვდნენ. ჩემი აზრით, ახლანდელი ხელისუფლება კარგავს უნივერსიტეტის ახალგაზრდობის ნდობას.

12 ოქტომბერი

გუშინ ჩატარდა არჩევნები. ეს დღე მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება საქართველოს ისტორიაში. უამრავი ხალხი მოვიდა. მე ხმა მივეცი ედუარდ შევარდნაძეს. მაჟორიტარებიდან მერაბ აფაქიძეს, ხოლო პარტიებიდან 1 ხმა მივეცი „11 ოქტომბერს", 2 ხმა – მერაბ კოსტავას საზოგადოებას, 3 ხმა – ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

დღეს ცნობილი გახდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 76%-მა. სულ დათვლილია 52 ოლქი. ედუარდ შევარდნაძემ ამ ოლქებში მიიღო 92%. ახლა მაინც დაიჯერებენ, რომ ზვიად გამსახურდიამ 87% ნამდვილად მიიღო? რატომ არ ესმით, რომ იმ 87%-ში მეც ვიყავი და კიდევ უამრავი ქართველი, რომლებსაც გვჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება ზვიად გამსახურდიას დროს. ჩვენ იმედი გაგვიცრუვდა. თუ შევარდნაძე ნაიყვანს საქართველოს კატასტროფისკენ, როგორ შემეძლება მის გვერდით დგომა? ეს არ ესმის ზოგიერთს.

17 ოქტომბერი

დღეს ასაფლავებენ პოლკოვნიკ გოჩა ყარყარაშვილს, რომელიც ჩემი სტუდენტი იყო. როდესაც შევედი ეზოში გოჩას სურათთან ერთად მისი დაღუპული მეგობრების სურათები იყო „თეთრი არწივიდან".

შესანიშნავი ახალგაზრდობა იყურებოდა ამ სურათებიდან. ცრემლები წამომივიდა. ყოველი მომდევნო თაობა ყოველთვის სჯობს წინა თაობას. ისინიც აშკარად გვჯობნიან. გია ყარყარაშვილი გადავკოცნე და ეუთხარი: გოჩა შესანიშნავი სტუდენტი იყო, ჩამოყალიბდება ისტორიის ფაკულტეტის ბატალიონი და მას დაერქმევა გოჩა ყარყარაშვილის სახელი.

ერთი კვირაა ფაკულტეტზე დავრბივარ, ფულს და ტანსაცმელს ვაგროვებ ლტოლვილებისთვის. აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი გულგრილად არის განწყობილი ამ საქმისადმი. ნერვები მეშლება.

20 ოქტომბერი

ალექსანდრე ჩიკვაიძე და ლევან ალექსიძე მოსკოვში იყვნენ, მოლაპარაკება მიმდინარეობდა კოზირევთან. ფაქტობრივად ვერაფერზე შეთანხმდნენ.

22 ოქტომბერი

დღეს ძალიან გახარებული ვარ. ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა გზები გახსნეს და გვარდია გააცილეს. საკმაოდ თბილად გააცილეს. ღმერთმა ქნას, შერიგდნენ!

31 ოქტომბერი

დღეს ვახტანგ (ლოთი) ქობალია სოხუმში ჩავიდა, რათა გაეცნოს იქ მდგომარეობას. ისე ძალიან მეეჭვება, რომ მათ ჯაბა იოსელიანთან და თენგიზ კიტოვანთან ითანამშრომლონ. ალბათ, ისინი თუ წავლენ, მაშინ შეიძლება შეთანხმდნენ. ზვიადის მომხრეებმა ხელისუფლებიდან იმდენი წყენა ნახეს, რომ ვერც გაამტყუნებ. ხელისუფლება ყველას, ვისაც იარაღი

ჰქონდა აღებული, ბანდიტს ეძახდა. ამ დროს ხელისუფლებას თავად ჰყავს ბევრი ბანდიტი. 28 ოქტომბერს ჩემთან შემოვიდა ხუთი ყაჩაღი და მომთხოვეს 100 ათასი. სიცილით მოვკვდი და ვუთხარი, 50 ათასი ვალი მაქვს და ხომ არ გადამიხდითმეთქი. ბოლოს ვიდეო და მაგნიტოფონი წაიღეს.

1 ნოემბერი

ორი დღეა მიმდინარეობს შეტაკებები ოსებსა და ინგუშებს შორის. ეტყობა იშლება ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაცია. ჩეჩენი მოხალისეები მიდიან ინგუშების დასახმარებლად. ვლადიკავკაზში რუსებმა ორი სადესანტო პოლკი ჩაიყვანეს.

ღმერთო, იქნებ ისეთი მოვლენები დაიწყოს, რომ ჩვენთვის არ ეცალოს არც რუსეთს და არც ჩრდილოეთ კავკასიას!

2 ნოემბერი

ბავშვივით მიხარია, რადგან **ვახტანგ (ლოთი) ქობალია** და **ჯემალ ქობალია** წავიდნენ აფხაზეთში საბრძოლველად.

დღეს ქართულმა გვარდიამ დაიკავა რუსეთის ყაზარმა ახალციხეში. ამავე დღეს გია ყარყარაშვილმა დაიკავა რუსეთის ბაზა კახეთის გზატკეცილთან.

დღეს გამოვიდა ელცინის ბრძანება, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთ ოსეთსა და ინგუშეთში შემოიღეს კომენდატის საათი და სამხედრო წესები. გალაზოვმა განაცხადა, რომ მას არავინ არაფერს არ შეეკითხა. დიდი ამბებია მოსალოდნელი.

5 ნოემბერი

4 ნოემბერს გაიხსნა პარლამენტის სხდომა. პირველი შთაბეჭდილება ისაა, რომ ზვიად გამსახურდიასდროინდელ პარლამენტთან შედარება არ შეიძლება. შევარდნაძეს საკმაოდ ჰყავს ოპოზიცია.

მთავარი საკითხია კანონი ხელისუფლების შესახებ.

6 ნოემბერი

მნიშვნელოვანი საკითხი არის ზვიად გამსახურდიას მომხრეების მონაწილეობა აფხაზეთში საომარ ოპერაციებში, სადაც მძიმე მდგომარეობაა. 3 ნოემბრის ახალშენთან ბრძოლებში ჩვენებმა წარმატება მოიპოვეს, მაგრამ დაიღუპა 35 ქართველი ჯარისკაცი. **გული მეტკინა, როდესაც გავიგე, რომ დაიღუპა ნოდარ ამაღლობელის ვაჟიშვილი არჩილი.** ვახტანგ ქობალია გაფრინდა გროზნოში. იქიდან ჩამოვიდნენ ორი ჩეჩენი დეპუტატი და მათე ციხელაშვილი, რომელიც ჩემი ფაკულტეტის თანამშრომელი იყო და კარგად ვიცნობ. ამჟამად იგი ჩეჩნეთის პარლამენტის წევრია, ნარმოშობით ქისტი. ისინი გაფრინდნენ გუდაუთაში. რაღაც იმედი მომეცა.

დღეს თენგიზ სიგუამ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ ზუგდიდში ჩატარდა მიტინგი. ლოთი ქობალიამ მოითხოვა: შევარდნაძე გადადგეს, ჯარები გავიდეს აფხაზეთიდან, ჩამოვიდეს ზვიად გამსახურდია და მან დაიწყოს მოლაპარაკება აფხაზეთთანო. ეს ყოველივე ძალიან მეწყინა. არა მგონია ისეთმა პიროვნებამ, როგორიც ლოთი (ვახტანგ) ქობალიაა, ის თქვას, რაც განაცხადა სიგუამ. მე მაინც მჯერა ქობალიასი, **მე მჯეროდა ვალტერ შურღაიასი, ერთხელ მან გამიმართლა, ღმერთმა ქნას, და ახლა ლოთი ქობალიამ გამიმართლოს!**

დღეს შევარდნაძე პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს. დღესვე ღამით ჩატარდა სპიკერის არჩევნები. კენჭისყრა იყო ფარული. ორი კანდიდატურა იყო – ვახტანგ გოგუაძისა და ელდარ შენგელაიასი. 176

ხმით 76 ხმის წინააღმდეგ გაიმარჯვა ვახტანგ გოგუაძემ. ვახტანგ გოგუაძეს კარგად ვიცნობ და საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს მასთან. ძალიან მეეჭვება, რომ მან თავი გაართვას ამ მოვალეობას. ჩემი აზრით, ვახტანგ გოგუაძის არჩევა პირველი დიდი შეცდომაა, რომელიც პარლამენტმა დაუშვა.

7 ნოემბერი

სპიკერის მოადგილეებად აირჩიეს **რუსუდან ბერიძე**, რომელმაც აჯობა **ლია ცინდელიანს, ვახტანგ რჩეულიშვილს** და **გია კობახიძეს.** შემდეგ კომისიების შექმნა დაიწყო. პარლამენტის დიდი ნაწილი ცდილობს ბევრი კომისია შეიქმნას, რათა ჰქონდეთ ხელფასი, მანქანა. სწორად შენიშნეს სუმბათაშვილმა და იზა ორჯონიკიძემ, რომ მათ უნდათ დარგის კურატორები გახდნენ, ისევე როგორც იყო კომისიები გამსახურდიას უზენაეს საბჭოში. აშკარად ჩანს, რომ შევარდნაძეს და მის მომხრეებს აქვთ 120-130 ხმა და ამით აშკარად სჯობნიან მოწინააღმდეგეებს. ისიც ცხადია, რომ მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატები ხელისუფლების მორჩილი დეპუტატები არიან. ეს, რა თქმა უნდა, არ შეეხება ყველას, მაგალითად, ძალიან მომწონს თეიმურაზ შარაშიძე. ის არ არის მორჩილი, ეს მას გამსახურდიას დროსაც ემჩნეოდა.

დღესვე დაიწყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა. შევარდნაძემ წამოაყენა თენგიზ სიგუას კანდიდატურა. მასზე კარგად ილაპარაკეს შენგელაიამ, ნუგზარ ნადარაიამ, მურვანიძემ, კოტე გაბაშვილმა და სხვ. მამუკა გიორგაძემ სწორად შენიშნა, რომ სიგუამ დაპირება ბევრი იცის, მაგრამ, თუ იქნება გარანტია, რომ შესრულდება მისი დანაპირები. ირინა სარიშვილმაც სწორად შენიშნა, რომ სიგუა პირად ურთიერთობებში შესანიშნავი პიროვნებაა, მაგრამ მისი ეკონომიკური რეფორმა სრულიად მიუღებელია. ირინამ თქვა: ჩემი აზრით, უკეთესია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა შეითავაზოს ეს თანამდებობა, მაგრამ თვითონ შევარდნაძე წინააღმდეგიაო. ამჟამად სოციალური აფეთქების წინაშე ვდგავართ, ამიტომ არ ვმალავ, რომ მე სიგუას ხმას არ მივცემო.

აბსოლუტურად სწორია ირინას განცხადება. ხალხი ისე დაიტანჯა, რომ აღარ შეუძლია ძველის ატანა. საჭიროა მთავრობის ახალი შემადგენლობა. როგორც რუსეთში ელცინმა შეითავსა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, ასევე უნდა შეითავაზოს შევარდნაძემ. ხალხს რუსეთში სჯეროდა ელცინის და ამიტომ აიტანეს ამდენი გაჭირვება. ხალხი ვეღარ აიტანს სიგუას დაპირებებს, რომლებიც ხშირად არ სრულდება. ჭაბუა ამირეჯიბი გამოვიდა. ყოველგვარ ზღვარს გადავიდა სიგუას ქებისას.

თემურ ყორჭოლიანმა აღნიშნა თენგიზ სიგუას ვაჟკაცობა და შემართება და ისიც, რომ ის გუნდი, რომელც კონფრონტაციაში იყო ძველ მთავრობასთან, იქნება აჯობოს, რომ გადადგესო.

ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენთვის ადვილია სიგუას პიროვნულ თვისებებზე საუბარი, მაგრამ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია. პარლამენტმა უნდა მიიღოს პასუხი იმაზე, თუ რა გვეშველება ან რას მოიმოქმედებს სიგუა სამხედრო მაფიის ასალაგმავად.

დათო ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ აკვირვებს ის დრამატული ფონი, რომლითაც დაიწყო სხდომა. მისი აზრით, სამწუხაროა, რომ არ შეიძლება სიგუას თანამდებობა შეეთავსებინა სახელმწიფოს მეთაურს. სიგუას კანდიდატურა უნდა განვიხილოთ როგორც სახელმწიფო მეთაურისადმი ნდობა.

ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ადვილია ქვეყნის კრიზისი მთავრობას დავაბრალოთ, მაგრამ ის მთავრობა, რომელსაც სიგუა მეთაურობს, არის უვარგისი მთავრობა. სწო-

რია მამუკა გიორგაძე, რომ საჭიროა გარანტიები, კერძოდ, მთავრობის რადიკალური რეფორმა.

რეზო შავიშვილი თვლის, რომ, თუ კანონიერად ვირჩევთ სიგუას, ყოველად დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ის არ ნარდგეს თავისი ანგარიშით. თუ ეს არ მოხდება, მე ვაცხადებ: არ ვიქნები მართალი ჩემი ამომრჩევლების ნინაშე, თუ ხმას მივცემ სიგუასო.

ვახტანგ ძაბირაძე თვლის, რომ რაც დღემდე მოხდა ამაში მარტო სიგუას დადანაშაულება ძნელია. პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს მეთაურსაც.

სუმბათაშვილმა განაცხადა: სიგუას რომ ჰქონდეს კიდეც მოხსენება, ის ვერ გამოვა, რადგან ნინასწარ უნდა შეუთანხმდეს შევარდნაძეს.

ივლიანე ხაინდრავამ აღნიშნა, რომ, თუ სიგუას აირჩევენ, ის პასუხისმგებელი იქნება პარლამენტის და ხალხის წინაშე. ანგარიში რატომ უნდა ნარადგინოს, როცა პარლამენტს ის არ დაუნიშნავს? ჩვენ გვჭირდება რეფორმატორული მთავრობა.

პაატა კოლუაშვილი დაეთანხმა ბერძენიშვილსა და სუმბათაშვილს.

შალვა კეკელიამ მოუწოდა, მხარი დაეჭირათ შევარდნაძის კანდიდატურისათვის.

ირაკლი შენგელაიამ განაცხადა, რომ ხშირად მიმდინარეობს უმისამართო საუბარი: რა ხდება? ჩვენ არ ვამტკიცებთ და ჩვენვე არ შეგვიძლია გადავაყენოთ? მივცეთ სამი თვე.

გიგა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ირაკლიმ გამოსტაცა სათქმელი. ჩვენ კაცურად უნდა დავამტკიცოთ თენგიზ სიგუა (წავიდა სუფთა „პადხალიმობა" ამ თაობის ინტელიგენციიდან არაფერი გამოვა – მ. ვ.).

გურამ შარაძემ დასვა საკითხები: 1) ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეკონომიკური კრიზისი გამწვავდა რუსეთთან ჩვენი არასწორი ურთიერთობების გამო; 2) არის თუ არა რუსეთი საქართველოს გარანტი; 3) მისაღებია თუ არა ჩინური მეთოდი საქართველოსთვის.

ვახტანგ გოგუაძე განაცხადა, რომ ხალხი ელოდება გარდაქმნებს. არა მაქვს სიგუასადმი დიდი სიმპათია, მაგრამ ხმას ვაძლევო.

ნოდარ გიორგაძემ აღნიშნა, რომ სიგუამ დიდი როლი ითამაშა... მას შეუძლია მართოს, თუ გვერდით დაუდგება ის ხალხი, ვისაც მორალური უფლება აქვს მის გვერდით დადგესო.

ჯანსუღ ჩარკვიანს ვეღარ ვუსმენ, რადგან უაზროდ მლიქვნელობს.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა თენგიზ სიგუა. მან აღნიშნა, რომ უპირველესად საჭიროა არმიის შექმნა, სოფლის მეურნეობის წინ წამოწევა ... (ვეღარ ვასწრებ ჩაწერას – მ. ვ.).

ჩატარდა კენჭისყრა. თენგიზ სიგუამ მიიღო 104 ხმა, წინააღმდეგი იყო 61. სიგუა ვერ გავიდა. გავგიჟდები, ჩემმა მეუღლემ თქვა: სიგუა ვერ გავაო. მე ვუთხარი: თუ გინდა დაგენიძლავები, 150 ხმაზე ნაკლებს არ მიიღებს-მეთქი. ჩემი მეუღლის აზრმა გაიმარჯვა.

ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი, რომ კენჭისყრის აპარატი სწორი არ არის და ა. შ. სიტყვა მოითხოვა შევარდნაძემ. ამ დროს სიგუა წამოხტა და დაიძახა: ჩემს კანდიდატურას ვხსნი. შევარდნაძემ სიგუა გააჩერა და თქვა, რომ სხვა კანდიდატურა არა ჰყავს და ჩავატაროთ ფარული კენჭისყრაო. სიგუა ისევ იძახის: ვხსნი ჩემს კანდიდატურას (ამ დროს ტელევიზია გამოირთო).

8 ნოემბერი

კენჭისყრა გადმოიტანეს დღეისთვის. მოვიდა 202 დეპუტატი. შევარდნაძემ თქვა, რომ უწესრიგობა იყო ხმის დამთვლელ ელექტრონულ სისტემაში, გარდა ამისა, არ იყო სხვა კანდიდატურა და სთხოვა დეპუტატებს მიეღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და

ქარტია-91-მა კენჭისყრაში არ მიიღეს მონაწილეობა. 184 დეპუტატიდან სიგუას ხმა მისცა 164 დეპუტატმა.

თენგიზ სიგუა ნამდვილად დადებითი პიროვნებაა და ადამიანურად, გულით მინდოდა, რომ გასულიყო, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც და ქარტია-91-იც სწორი არიან, რადგან ერთხელ თუ დაარღვია პარლამენტმა თავისი გადაწყვეტილება, დაარღვევს მეორედაც და მესამედაც. ამიტომ ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს. ეს უნდა იყოს ბოლო დარღვევა.

10 ნოემბერი

პარლამენტის სესიამ განიხილა აფხაზეთის საკითხი, მაგრამ საღამოს სხდომას დეპუტატთა ნახევარი არ ესწრებოდა.

ბორის კაკუბავამ მოითხოვა, რომ რეგისტრაცია ჩატარებულიყო, რადგან აშკარად ჩანს პარლამენტის გულგრილი დამოკიდებულება აფხაზეთის საკითხისადმი. აბსოლუტურად სწორია ბორისი და ტყუილად გაბრაზდნენ ვახტანგ გოგუაძე და გიგა ლორთქიფანიძე.

დღეს რუსეთის სადესანტო ნანილები შევიდნენ ინგუშეთის ტერიტორიაზე. ჯოხარ დუდაევმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. ჩემი აზრით, ინყება დიდი საბრძოლო ოპერაციები, რომლებიც მართლა შეიძლება გადაიზარდოს კავკასიურ ომებში.

ჩემი სიტყვები მართლდება. გოგა ხაინდრავამ სოხუმიდან შემოთვალა, რომ საინფორმაციო საშუალებები სწორად არ აშუქებენ ზვიად გამსახურდიას მომხრეების პოზიციას აფხაზეთის საკითხშიო. მეც ასეთი შეშფოთება გამოვთქვი. დღევანდელ „საქართველოს რესპუბლიკაში" არის ინტერვიუ ჯემალ გამახარიასა და ლოთი ქობალიასთან. გამახარია წერს, რომ გროზნოში შეხვდნენ ზვიად გამსახურდიას, შემდეგ — ჯოხარ დუდაევს. დუდაევმა აღნიშნა, რომ ის ხელს არ უნყობდა ჩეჩნების მონაწილეობას აფხაზეთის ომში, თანახმაა ჩავიდეს სოხუმსა და გუდაუთაში და შეასრულოს სამშვიდობო მისია. შეხვედრას ესწრებოდა შანიბოვიც. ჯოხარ დუდაევმა განაცხადა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოწესრიგდეს.

ლოთი ქობალიამ აღნიშნა, შეიძლება ერთიანი ძალები ჩამოყალიბდეს და დაიცვან რკინიგზა, გზები. ორივემ აღნიშნეს, რომ უნდა დაიცვან საქართველოს ერთიანობა.

11 ნოემბერი

დღეს დილით, ათ საათზე დაიწყო პარლამენტის სესია. ერთი საათი უაზროდ ილაპარაკეს.

გამოვიდა გელა გოდერძიშვილი, რომელმაც თქვა: სირცხვილია, გუშინაც უაზროდ ვიმუშავეთო. მან დეპუტატებს საქმიანი მსჯელობისკენ მოუწოდა. ჩემი აზრით, სპიკერი და მოადგილეები ძალზე სუსტები არიან, მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს იურისტი.

ცრემლები მომივიდა, როდესაც პარლამენტის სხდომაზე გამოაცხადეს, რომ დეპუტატ მიხანაშვილს, რომელიც ავღანეთში იბრძოდა, დღეს შეეძინა შვილი. მიხანაშვილი გუშინ დაასაფლავეს, იგი სოხუმში დაიღუპა.

ინყება კომისიების თავმჯდომარეების არჩევა. ეთიკის კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დაასახელეს **ლუიზა შაკიაშვილი, რეზო შავიშვილი** და **თენგიზ ბუაჩიძე**. ჩემი აზრით, გავა შავიშვილი.

სამდივნოს თავმჯდომარედ დაასახელეს **ვასილ გოცირიძე** და **ლელი თირქია**. ჩემი აზრით, გავა ვასილ გოცირიძე.

საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ დაასახელეს **თედო პაატაშვილი, თამაზ გამყრელიძე, ელდარ შენგელაია, ზურაბ ყვანია**. ჩემი აზრით, გავა თამაზ

გამყრელიძე, მაგრამ სასურველია, რომ გავიდეს თედო პაატაშვილი.

თავდაცვის და უშიშროების კომისიის თავმჯდომარედ დაასახელეს **მამუკა გიორგაძე, ვალერი ვაშაკიძე, ნოდარ ნათაძე, პანტელეიმონ გიორგაძე.** ჩემი აზრით, გავა ნოდარ ნათაძე. სასურველია, რომ გავიდეს მამუკა გიორგაძე.

იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ დაასახელეს **შალვა ნათელაშვილი, რობერტ ღარიბაშვილი, ვახტანგ ხმალაძე.** პირველად გამოვიდა შალვა ნათელაშვილი. ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩემი აზრით, გავა ხმალაძე. ძალზე დიდი სიმპათია დაიმსახურა შალვა ნათელაშვილმა. შემეცვალა აზრი. ალბათ, გავა ნათელაშვილი.

ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს: **ვალერიან ადვაძე, მურთაზ ზანკალიანი** (მოხსნა კანდიდატურა), **მევლუდ ნიკლაური** (მოხსნა კანდიდატურა), **ჭინჭარაული, ზურაბ ანდრიაძე,** ჩემი აზრით, გავა ვალერიან ადვაძე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს **თემურ ბასილია** (ტრადიციონალისტთა პარტია), **მიხეილ ჯიბუტი** (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია). მათი გამოსვლები ვერ მოვისმინე.

განათლების და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს: **კოტე გაბაშვილი, რომან მიმინოშვილი.** წესით, კოტე უფრო კარგად იმუშავებს, განსაკუთრებით განათლების სისტემაში, მაგრამ რომან მიმინოშვილს გაიყვანენ.

კულტურის კომისიის თავმჯდომარედ დაასახელეს: **ელდარ შენგელაია.**

ჯანმრთელობის კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს: **თენგიზ გაზდელიანი, ზურაბ მურვანიძე** (მოხსნა კანდიდატურა), **მალხაზ დვალიშვილი.** ჩემი აზრით, გავა თენგიზ გაზდელიანი.

სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს: **გივი აბალაკი** (მოხსნა კანდიდატურა), **ნუგზარ ნადარაია, პაატა კოღუაშვილი** (მოხსნა კანდიდატურა), **როინ ლიპარტელიანი, სერგი რუხაძე.** ჩემი აზრით, გავა ნუგზარ ნადარაია.

მრეწველობის და მშენებლობის კომისიის თავმჯდომარედ დაასახელეს: **გელა ქვლივიძე, ნიკო ლეკიშვილი, არჩილ იოსელიანი, კონსტანტინე სალია, ჯიმშერ ციციშვილი.** ჩემი აზრით, გავა ნიკო ლეკიშვილი.

ადამიანის უფლებებსა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს: **ზურაბ გოგია, ფისო კორძაძე, გელა ნიკოლეიშვილი, ვახტანგ ძაბირაძე, ჩიტლოვი, ნიკო ჭავაჭავაძე** (მოხსნა კანდიდატურა). ჩემი აზრით, გავა ვახტანგ ძაბირაძე.

სოციალურ საქმეთა კომიისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს: **ვიქტორ ლორთქიფანიძე, თემურ მგელიაშვილი, ზურაბ მურვანიძე, ზაზა სიხარულიძე, ფრიდონ საყვარელიძე.**

მართლწესრიგის და კანონიერების კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს: **ვაჟა ადამია, ნოდარ გიორგაძე, კობახიძე ალექსი** (მოხსნა კანდიდატურა), **გივი ლობჟანიძე** (მოხსნა კანდიდატურა), **გივი ლომინაძე** (არ მოხსნა კანდიდატურა). წესით, გივი ლომინაძეს უნდა მოეხსნა კანდიდატურა, რადგან მას იმდენი პრობლემები დარჩა აფხაზეთში და ის იქ იმდენად საჭიროა, რომ ჯობდა მოეხსნა. წესით, ვაჟა ადამიას ეკუთვნის, მაგრამ გავა ნოდარ გიორგაძე.

ტურიზმის და სპორტის კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს: **ვახტანგ მუსელიანი, ბეჟან ხურციძე, რეზო ადამია.** ჩემი აზრით, გავა რეზო ადამია.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომისიის თავმჯდომარეებად დაასახელეს **თემურ ჟორჟოლიანი, როსტომ დოლიძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ირაკლი შენგელაია, ნიაზ ჯეირანაშვილი.** აქ ძნელი გადასანყვეტია, მაგრამ მისაღებად მეჩვენება თემურ ჟორჟოლიანი.

13 ნოემბერი

დღეს დეკანატში ვიჯექი. შემოვიდა სამი ახალგაზრდა, ეტყობოდათ, ნაომარი ბიჭები იყვნენ. მათ მითხრეს: გია ყარყარაშვილმა გამოგვგზავნა, გთხოვთ, რომ 12 საათზე პროფესორ-მასწავლებლები და გოჩას კურსელები მიხვიდეთ გოჩას ორმოცზე.

ღამით, 10 საათზე ტელევიზიამ გადაცემა მიუძღვნა გოჩა ყარყარაშვილის ხსოვნას. ეუყურებ საწყალ გოჩას, რომელიც 27 წლის ასაკში ცოცხალი აღარ არის და რომელსაც დიპლომის აღებაც არ ეღირსა. იგი მეექვსე კურსზე იყო. ცრემლები მომდის. მახსენდება, როგორ მოვიდა გოჩა იანვარში. მაშინ ახალი დამთავრებული იყო ბრძოლები რუსთაველზე. გოჩა ხელში იყო დაჭრილი (თუ არ ვცდები, გეკოს ტყვიით). მე დავეხმარე, რომ ჩაებარებინა გამოცდა გურანდა ჭოხონელიძესთან. გურანდა გოჩას ნიშანს არ უწერდა იმის გამო, რომ თვითონ ზვიადის მომხრე იყო. ერთ თანამშრომელს, რომელმაც არ იცოდა, რომ გურანდა ზვიადისტი იყო, მისთვის ტრაბახით უთქვამს: ეს იცით რა ვაუკაციაო, მან და მისმა ძმამ მთავრობის სახლი აიღესო. გურანდამ რომ გაიგო მისი სათაყვანებელი ზვიადი ამან გააგდოო, ლამის ჭკუაზე გადავიდა. იძულებული გავხდი გურანდა მომეტყუებინა, რომ გოჩა მიმყვებოდა იმ ბანდიტების შესაპყრობად, რომლებიც ახალი შემოსულები იყვნენ ჩემს ბინაში. გურანდა იძულებული გახდა დაეწერა ნიშანი.

ვკითხულობ გაზ. „ივერია-ექსპრესს", სადაც დაბეჭდილია ინტერვიუ ვალერი გაბელაიასთან. იგი მარნეულის პრეფექტი იყო, მერე ჩხორწყუში იყო წასული, არის ზვიად გამსახურდიას აქტიური მომხრე. ამჟამად მეთაურობს ქართველების ევაკუაციას გუდაუთიდან თბილისში და კარგ საქმეს აკეთებს. ამიტომ არ შეიძლება ქართველი კაცი მოვიძულოთ იმის გამო, რომ ის გამსახურდიას მომხრეა. ვალერი გაბელიამ აღნიშნა, რომ ვახტანგ ქობალიას საკმაოდ მკაცრად უთქვამს არძინბასთვის: „თუ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიას არ შენყვეტ, საქმე გექნება ერთ მუშტად შეკრულ გაერთიანებულ საქართველოს სამხედრო ფორმირებებთანო". მე სპეციალურად მოვიყვანე ეს ციტატა. ამ დროს სიგუა ავრცელებს ინფორმაციას ზუგდიდში გამართული მიტინგის შესახებ, მაგრამ მე უკვე არ მჯერა ასეთი ჭორების.

ვკითხულობ გაზ. „7 დღეს". ირინა სარიშვილმა დაადანაშაულა სიგუა, იმაში, რომ ის დესტაბილიზაციის ფაქტორი იყო სახელმწიფო საბჭოში. ირინა წერს, რომ სიგუამ გაყიდა სანარმოები. ბოლოს ირინამ აღნიშნა, რომ ქვილითაიას, ჯინჯიხაძეს და ნოდარ კაკულიას მორალური უფლება არა აქვთ იყვნენ თანამდებობაზე. დღეს საღამოს „მოამბეში" აღნიშნეს, რომ ამ სამმა პიროვნებამ უჩივლა ირინა სარიშვილს ვახტანგ რაზმაძესთან. მართლაც, ნამუსი არა აქვთ, რა სინდისით ჩივიან? ჯობია გაჩუმდნენ და უმტკივნეულოდ წავიდნენ, ვიდრე არ შეუტრიალდებათ საქმე. თუ ისინი სიგუამ წარადგინა, პარლამენტმა დაამტკიცა და შევარდნაძემ დანიშნა, მაშინ არაფერ კარგს არ უნდა ველოდეთ. ასეთი კადრებით ახალ საქართველოს ვერ აეაშენებთ. პარლამენტში მოხდა კომისიების თავმჯდომარეების არჩევა. ახლა მინდა შევადარო, გამოვიცანი თუ არა.

1. **საგარეო ურთიერთობების** თამაზ გამყრელიძე (გამოვიცანი).
2. **თავდაცვის და უშიშროების** ნოდარ ნათაძე (გამოვიცანი).
3. **იურიდიული კომისიის** – შალვა ნათელაშვილი (გამოვიცანი).
4. **ეკონომიკის საკითხთა კომისიის** – ვალერიან ადვაძე (გამოვიცანი).
5. **გარემოს დაცვის** – ნოღაიდელი (არ ვიცოდი ასეთი კომისია თუ იყო, ეტყობა გამომრჩა).

6. **ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისიის** — ირაკლი შენგელაია (შევცდი, მე მეგონა იქნებოდა თემურ ჟორჟოლიანი).
7. **განათლებისა და მეცნიერების კომისიის** – კოტე გაბაშვილი (მას ნამდვილად ეკუთვნოდა, მაგრამ მეგონა რომ გაიყვანდნენ რომან მიმინოშვილს).
8. **კულტურის კომისიის** – ელდარ შენგელაია.
9. **ჯანმრთელობის დაცვის კომისიის** – თენგიზ გაზდელიანი (გამოვიცანი).
10. **მრეწველობის და მშენებლობის კომისიის** – ნიკო ლეკიშვილი (გამოვიცანი).
11. **ადამიანთა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის კომისიის** – გიგა ლორთქიფანიძე (სულ არ ვიცოდი, თუ იგი მონაწილეობდა. უფრო ეკუთვნოდა ვახტანგ ძაბირაძეს).
12. **სოციალური საკითხების კომისიის** – ზაზა სიხარულიძე (შევცდი, მეგონა გავიდოდა ფრიდონ საყვარელიძე)
13. **მართლწესრიგის და კანონიერების კომისიის** – ვაჟა ადამია (ნამდვილად ეკუთვნოდა, მაგრამ მეგონა გაიყვანდნენ ნოდარ გიორგაძეს).
14. **სპორტის და ტურიზმის კომისიის** – ბეჟან ხურციძე (არ ვიცნობ).

15 ნოემბერი

გუშინ ვიყავით გოჩა ყარყარაშვილის ორმოცზე: მე, კარლო მეშველიანი და ავთო წერეთელი. გავედით საფლავზე პატარა ლილოში. გია ყარყარაშვილი მოვიდა და გვთხოვა სუფრაზე წავსულიყავით. ეზოში დიდი სეფა იყო გაშლილი. გიამ ჩვენ სამივე სახლში შეგვიყვანა. თამადა იყო თენგიზ კიტოვანი. იქ იყვნენ რომან გვენცაძე, ჯონი ქარჩავა (იმერეთის რწმუნებული), გენერალი გივი ლომინაძე და სხვები. თენგიზ კიტოვანმა გია ყარყარაშვილის დღეგრძელობის დროს აღნიშნა, რომ გია მათი გაზრდილია და როცა თავად წავიდა გვარდიის სარდლის თანამდებობიდან სარდლობა გადააბარა გიას. თენგიზ კიტოვანმა გია ძალიან თბილად მოიხსენია.

საღამოს ვკითხულობ გაზ. „რეზონანსს" (11 ნოემბერი). გამოქვეყნებულია მასალა შევარდნაძის სოხუმში ჩასვლის შესახებ, სადაც ის სოხუმის მოსახლეობას შეხვდა. სოხუმში ჩასულ შევარდნაძეს შალვა წულეისკირმა უთხრა, რომ ამჟამად სოხუმის მოსახლეობა ქალაქს ტოვებს არა იმდენად აფხაზთა და ჩრდილოეთ კავკასიელთა, არამედ გვარდიის და გვარდიელების შიშით. აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გივი ლომინაძემ განაცხადა: რომ არაა გამორიცხული შეიარაღებული შეტაკება სოხუმის მილიციასა და გვარდიას შორის. ასეთი ინციდენტი წინა დღით მომხდარა. შევარდნაძემ განაცხადა — „მე ან მოვკვდები, ან ერთიან არმიას შევქმნი".

ახლა ტელევიზიამ გადმოსცა, რომ კაკაბეთის ქუჩას ეწოდა გოჩა ყარყარაშვილის სახელი (გოჩა ამ ქუჩაზე ცხოვროდა).

გადაცემა „საღამო მშვიდობისა". ინტერვიუ ირინა სარიშვილთან. ირინამ აღნიშნა, რომ ოთარ ქვილითაიას, ჯინჯიხაძეს და ნოდარ კაკულიას პროკურორთან კი არა, სასამართლოში უნდა ეჩივლათ. თუ მათ მოაცილებენ, სიგუა აღარ არის საშიშიო. ირინამ განაცხადა: ხალხი იმიტომ მოვიდა არჩევნებზე, რომ მთავრობა შეეცვალა, მე არ მინდა, რომ ჩემი ამომრჩეველი მოვატყუოო.

ინტერვიუ **ირინა სარიშვილთან.**

კორ.: თქვენმა პარტიამ და ქარტია-91-მა გამოხატეთ თქვენი პოზიცია, თქვენი არცერთი წარმომადგენელი არ აირჩიეს კომისიის თავმჯდომარედ.

ი. სარიშვილი: მართალი ხართ, როდესაც საბიუჯეტო კომისიაში კენჭს იყრიდნენ ტრადიციონალისტთა და ეროვნულ-

დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები იქ სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი ბასილია გავიდა. ის ნოდარ კაკულიასთან და ოთარ ქვილითაიასთან არის ახლოს.

კორ.: თქვენ არ გეშინიათ?

ი. სარიშვილი: გუშინ ნოდარ კაკულიას მოთხოვნით შევიდნენ იმ ბანკში, სადაც არის ჩვენი ანგარიში და აიღეს სია, ვინ გვირიცხავს ფულს. მე მოვითხოვ პირდაპირ ეთერში მათთან ერთად გამოსვლას.

კორ.: მინდა გკითხოთ, არ დაიღალეთ?

ი. სარიშვილი: კი დავიღალე, მაგრამ ახლა დასვენება არ შეიძლება.

ინტერვიუ ოთარ ქვილითაიასთან.

კორ.: ალბათ ხვდებით, რატომ მოხვედით?

ო. ქვილითაია: პოლიტიკური მოღვაწე არა ვარ და პოლიტიკურ ინტრიგებში ნუ ჩამრევთ.

კორ.: მაშინ, რატომ აღძარით საქმე?

ო. ქვილითაია: მე საქმე აღვძარი როგორც სამეურნეო მუშაკმა. არცერთი ობიექტი არ არის გაყიდული. რაც შეეხება ბანკს, ის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში არ შედის და პარლამენტს ემორჩილება.

კორ.: ირინა მოითხოვს, რომ ტელევიზიით იყოს პირდაპირი ეთერი თქვენი მონაწილეობით.

ო. ქვილითაია: ჩვენ პირდაპირი ეთერით გამოსვლაზე თანახმა ვართ.

კორ.: ირინამ სერიოზული ბრალდება ნაგიყენათ, რომ ფაქტობრივად პრემიერ-მინისტრი იყო ქვილითაია.

ო. ქვილითაია: მე რომ მცოდნოდა, რომ თქვენ აიღეთ ინტერვიუ ირინასთან, მაშინ არ გიპასუხებდით. თქვენ, როგორც ქალს, მიკერძოება გახასიათებთ.

კორ.: თქვენ არ მიპასუხეთ კითხვაზე: იყავით თუ არა ნამდვილად პრემიერ-მინისტრი?

ო. ქვილითაია: ეს ბინძური პოლიტიკის გამოვლინებაა. სიგუა ისე მყარად დგას, რომ მას შეცვლა არ სჭირდება. მე ბუნებით კარიერისტი არ ვარ.

16 ნოემბერი

დღეს ტელევიზიით ვუსმენ **გოგა ხაინდრავას**, რომელმაც გაგრის ტრაგედიის შესახებ ისაუბრა: იქ ჯარები თვენახევარი იდგნენ და არცერთი სანგარი არ იყო გათხრილი, გვეგონა აფხაზეთში 100 ტანკით შემოვედით და ყველაფერი დამთავრდა.

ბადრი ფირცხელანი: უნესრიგოდ ვიქცეოდით აფხაზეთში, დაზვერვა არ იყო ფაქტობრივად.

გ. ხაინდრავა: ქართველ კაცს ვაუკაცობა არ აკლია, მაგრამ ჩვენი ჯარი არმიას კი არა, უფრო ბოშათა ბანაკს ჰგავდა.

ნუგზარ ჟღენტი: როგორ შეიძლება ქალაქს ტოვებდე და არ იფიქრო ვის ტოვებ იქ. იმისი შნოც არ ჰქონდათ, რომ მოსახლეობის უკან დახევა დაეცვათ, ჯერ ისინი გაგვეშვა და მერე დაგვეხია უკან. ურთიერთობა გაგრაში მოსახლეობასა და ჯარს შორის დისტანციური იყო.

19 ნოემბერი

გუშინწინ, დახურულ სხდომაზე, განიხილეს აფხაზეთის საკითხი. ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს.

საოცარი ამბები ხდება აფხაზეთში. როგორ შეიძლება ამ არმიით შესვლა აფხაზეთში! დღეს ვკითხულობ გაზ. „7 დღეს". თურმე, 3 ნოემბრის ბრძოლებში ისეთი არეულობა იყო, რომ მებრძოლების ძირითადი ნაწილი ზურგიდან არის მოკლული. საწყალ ჩემ სტუდენტს, ბადრი ჟვანიასაც, ეტყობა, ტყვია ზურგში აქვს მოხვედრილი. ჩვენმა ვერტმფრენმა შემთხვევით ჩვენები დაბომბა.

ინტერვიუ ბორის კაკუბავასთან. იგი ნერს, რომ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი დღეს პოლკოვნიკია, გუშინდელი ქუჩის ბიჭი კი — კაპიტანი, აფხაზეთში არ გვყავს ლეიტენანტი და სერჟანტი. თურმე, სოხუმელებს იარაღს არ აძლევენ. საოცარი ამბები ხდება! შევარდნაძე კი გამოდის და პარლამენტის სხდომაზე ამბობს, რომ ორი თვით საერთოდ გადასდონ თავდაცვის სამინისტროს საკითხი. არ ვიცი, შეიძლება ის მართალი იყოს, მაგრამ ხალხს აღარ შეუძლია ამდენი გაჭირვების ატანა. დღეს მითხრეს, რომ ბრძოლაში დაღუპულია ჭაბუა ამირეჯიბის ეაჟი, რომელიც ჩემი სტუდენტი იყო. ომში ნასვლის წინ ვნახე ირაკლი, ძალიან კარგი ბიჭი იყო.

20 ნოემბერი

ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით, სამხედრო მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი კამკამიძე, რომელიც კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ მუშაობდა.

21 ნოემბერი

დღეს ტელევიზიით აჩვენებენ **ირაკლი ამირეჯიბის** სურათს. ცრემლები მომდის, რა ბიჭი დაიღუპა! როგორ შეიძლებოდა ასე მოუმზადებლად შესვლა აფხაზეთში. არ იყო ეს სწორი გადაწყვეტილება, ისევე როგორც ზვიად გამსახურდიას დროს მოუმზადებლები შევედით „სამხრეთ ოსეთში".

ვკითხულობ ინტერვიუს ბორის კაკუბავასთან (გაზ. „რესპუბლიკა"): სამხედრო ნაწილების შემოყვანამ ქართული მოსახლეობა თავიდან გაამხნევა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ზოგ-ზოგმა ჩვენივე ქართველების ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი, რწმენა შეერყათ. იმ ბიჭების გვერდით, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ სამშობლოს დასაცავად, ბევრი არაკაცია, არ მეგონა, თუ საქართველოში ამდენი ნარკომანი ცხოვრობდა. ჩვენს ჯარში მყოფთა ერთი ნაწილი დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელია. ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ხელის მოთბობისათვის „იბრძვის". ვინც ნაღდად იცავს სამშობლოს, იღუპება კიდეც. აბსოლუტურად სწორია.

ბორის კაკუბავა მე პირველად ვნახე გალში ზაზა კაკუბავას ქორწილში. ობიექტურად აფასებს ვითარებას. მართლა პატრიოტები იღუპებიან. ბორისი სწორად შენიშნავს, რომ ძირითადად ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი. ბორისმა აღნიშნა: მართალია, თენგიზ კიტოვანმა თქვა, რომ აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას ათასი ავტომატი გადავეცითო, მაგრამ ეს ავტომატები ისევ ჩამოსულებს ხვდათ წილად.

24 ნოემბერი

დღეს დაიწყო მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება. რომან გოცირიძე ვიცე-პრემიერად დაამტკიცეს. ვერ ვუყურე ფინანსთა მინისტრის დამტკიცებას.

შევესწარი საგარეო ეკონომიკური ვაჭრობის მინისტრის თანამდებობაზე **იოსებ (სოსო) ცისკარიშვილის** დამტკიცებას. ეს პიროვნება გამოჩნდა ერთ დროს, როდესაც იგი მეცნიერების და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. მაშინ იგი გაათავისუფლეს იმისთვის, რომ ხელი შეუწყო ფილმ „მონანიების" გავრცელებას; მერე მუშაობდა უნივერსიტეტში დოცენტად; შემდეგ იყო რუსთაველის საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი; სიგუას დროს – საგარეო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე.

ნოდარ ნათაძემ ძველი ამბავი გაიხსენა: როდესაც სსრკ კონსტიტუციის პუნქტებს

იხილავდნენ, დოკუმენტის შექმნაზე ორი დღე მუშაობდნენ, მეორე დღისთვის დარჩათ ერთი აბზაცი, რომელიც გააკეთა სოსო ცისკარიშვილმა.

კოტე გაბაშვილმა ძალზე უცნაური განმარტება მისცა: შემუშავებულ დოკუმენტს ხელი მოანერა 60 ათასმა კაცმა. რა შუაში იყო ეს განცხადება? ხომ შეიძლება იმ დოკუმენტზე 200 ათასს მოეწერა ხელი. ირაკლი მელაშვილმა თქვა: აბსოლუტურად სწორი იყო ნოდარ ნათაძეო.

გიზო გელოვანმა მხარი დაუჭირა სოსო ცისკარიშვილს. ცისკარიშვილმა თქვა, კაკო ბაქრაძე გაგცემთ პასუხსო. მისმა გამოსვლამ არ დატოვა კარგი შთაბეჭდილება.

კენჭისყრის შედეგად სოსო ცისკარიშვილი ვერ გავიდა. მან დააგროვა 96 ხმა, სჭირდებოდა 112. პარლამენტის გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორი იყო.

სახელმწიფო მართვის კომიტეტის თავმჯდომარედ **ავთანდილ სილაგაძის** კანდიდატურა დაასახელეს, რომელსაც კარგად ვიცნობ. ის იყო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი. ჩემი აზრით, გავა. მან 166 ხმა მიიღო, წინააღმდეგი იყო 9.

კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დეპუტატი **რეზო შავიშვილი** წარადგინეს. ჩემი აზრით, გავა; მიიღო 172 ხმა, წინააღმდეგი – 8. ვახტანგ გოგუაძემ სწორად შენიშნა:მე რა ვქნა, ასეთი აქტიური დეპუტატები რომ დავკარგეო.

საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარედ გავიდა **ირაკლი ქადაგიშვილი**; მიიღო 157 ხმა, წინააღმდეგი – 25.

ეროვნული ბანკის თავმჯდომარედ წარადგინეს **დემურ დვალიშვილი. არ შეიძლება მისი დანიშვნა.** ის იყო მახარაძის (ოზურგეთის) რაიკომის მდივანი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი, მაგრამ მას არ უმუშავია საბანკო სისტემაში. ჩემი აზრით, ვერ გავა. არ მომეწონა შევარდნაძის განცხადება, რომ იყო ახალგაზრდების კანდიდატურები, მაგრამ მათ კარგად არ ვიცნობთო. ეს არ არის სწორი განცხადება. დვალიშვილი გავიდა; ხმა მისცა 151-მა, წინააღმდეგი — 23.

ვიცე-პრემიერად დაამტკიცეს **ზურაბ კერვალიშვილი**, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, „აზოტის" დირექტორი. მას ჩაბარეს მრეწველობა, მშენებლობა და სხვ. კარგი კაცი ჩანს. 170 ხმა მიიღო, წინააღმდეგი იყო 7.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრად **არველაძე** გავიდა (ინსტიტუტის დირექტორი).

ტრანსპორტის მინისტრად წარადგინეს პროფ. **მიხეილ გურგენიძე**. კარგი კანდიდატურა ჩანს, ჩემი აზრით, გავა. გურგენიძემ მიიღო 157 ხმა, წინააღმდეგი იყო 14.

არქიტექტურის და მშენებლობის მინისტრად წარადგინეს **გურამ თევზაძე**; ნამდვილად ეკუთვნის, გავა (გავიდა).

კავშირგაბმულობის მინისტრად წარადგინეს **ფრიდონ ინჯია**. ჩემი აზრით, გავა; გავიდა 144 ხმით, წინააღმდეგი — 30.

ვიცე-პრემიერად წარადგინეს **ავთანდილ მარგიანი** (სოფლის მეურნეობის დარგში). ჩემი აზრით, გავა. ძლივს გავიდა, მიიღო 117 ხმა, წინააღმდეგი — 54.

სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის მინისტრად წარადგინეს **გიორგი კვესიტაძე**, აკადემიკოსი, ინსტიტუტის დირექტორი. მართლაც კარგი პიროვნებაა; 161 მომხრე, 17 წინააღმდეგი.

ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ წარადგინეს **ვალერიან ვაშაკიძე**, ისტორიკოსი; გავა; მიიღო 175 ხმა, 8 — წინააღმდეგი.

სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცეს აკად. **გიგაური**; 133 მომხრე, 16 — წინააღმდეგი.

25 ნოემბერი

1. განათლების მინისტრად წარადგინეს კოტე გაბაშვილი; გავა; გავიდა 138 ხმით.

2. კულტურის მინისტრად წარადგინეს დავით მალრაძე; გავა; გავიდა 145 ხმით.

3. ჯანმრთელობის მინისტრად წარადგინეს **ირაკლი მენაღარიშვილი**; გავა; გავიდა 167 ხმით.

4. მეცნიერების და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარედ წარადგინეს პროფ. ლევან ჯაფარიძე, სამთო-მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი; გავა; გავიდა 133 ხმით.

5. იუსტიციის მინისტრად წარადგინეს ძალიან კარგი იურისტი ჯონი ხეცურიანი; ვერ გავა, რადგან ზვიადის დროს იყო მინისტრი. დიასამიძე ეკითხება ხეცურიანს: თქვენ ძალიან იაქტიურეთ ბათუმში გამსახურდიასთან ერთად და აჭარას მოახვიეთ არასასურველი პიროვნება, კვლავ აპირებთ თუ არა ამ გზით სიარულს.

ჯონი ხეცურიანი: თქვენ ამახინჯებთ ფაქტებს. მე ვესწრებოდი იმიტომ, რომ კონსულტაცია გამეწია, რადგან საკითხი ასე იდგა – კენჭისყრა ჩაეტარებინათ ფარული თუ ღია. მე ვუთხარი, რომ კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს.

ო. მელქაძე: თუ გაქვთ მორალური უფლება იყოთ მინისტრი, როდესაც მიიღეთ საარჩევნო კანონი აფხაზეთში.

გურამ მუჩაიძე: თავი შევიკავოთ ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელების ლანძღვისაგან. ჩვენი აზრით, ჯონი ხეცურიანი არის ნამდვილი პროფესიონალი იურისტი.

ხაჟთასი: ხეცურიანი პარლამენტში, მახსოვს, მორიდებული იყო, მაგრამ შემდეგ დეპუტატების საქმეებში ერეოდა. ის პრეზიდენტის მეუღლესთან ათანხმებდა კანდიდატურებს.

ალექსანდრე ბერიძემ მხარი დაუჭირა ხეცურიანის კანდიდატურას.

აკაკი ასათიანმა ძალზე დადებითად დაახასიათა ჯონი ხეცურიანის კანდიდატურა.

ნაკაშიძემ მხარი დაუჭირა, მაგრამ ძირითადად ილაპარაკა ასლან აბაშიძის არჩევნებზე.

იზა ორჯონიკიძე: შენიშვნები სწორი იყო.

რობერტ ღარიბაშვილი: გამიკვირდა, რომ იუსტიციის მინისტრად ეს პიროვნება წამოაყენეს. დღეს საქართველოს სჭირდება ძალიან პრინციპული კაცი, თვითონ თქვას უარი.

მამუკა გიორგაძე: მთავარი არის, რა შედეგები მოყვა მის მოღვაწეობას.

თამრიკო ჩხეიძე: არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, თუ თავის დროზე ვინ რა თქვა, მთავარია, რას გააკეთებს (სწორი პოზიციაა, რადგან არავინ არის უნაკლო).

მურვანიძემ ხაზი გაუსვა ხეცურიანის პროფესიონალიზმს.

თენგიზ კიტოვანმა განაცხადა: ხმა მივცეთ პროფესიონალიზმსო.

სიტყვა მოითხოვა **შევარდნაძემ**. მან განაცხადა: ხეცურიანს ცოდვები ბევრი აქვს. ერთად ვმუშაობდით 8-9 თვის განმავლობაში. მას შეუძლია გადაწყვეტილებები შეასრულოს. შეიძლება ამ სიტყვამ გადაარჩინოს ხეცურიანი. თენგიზ ჩხეიძემ ფაქტობრივად გაიმეორა შევარდნაძის სიტყვა.

ლუიზა შაკიაშვილი: მე თამრიკოს საპირისპირო აზრი მაქვს. როცა ქვეყანა კატასტროფის წინაშეა, ასე არ შეიძლება კანდიდატების განხილვა. იქნება ყველასთვის ერთად გვეყარა კენჭი. თქვენ, ბატონო შევარდნაძე, ხშირად გითქვამთ, რომ აპარტეიდული კანონი მიიღეს აფხაზეთშიო.

თამარ ჩხეიძე: მე ვგულისხმობდი, რომ საერთოდ ცოდვის მომენტი არ უნდა გამოვიყენოთ.

მერაბ ურიდია: შენიშვნა წინა პარლამენტს ეხება და არა იუსტიციის მინისტრს.

ჯონი ხეცურიანი: მე ვაკეთებდი იმას, რაც პატიოსან კაცს უნდა გაეკეთებინა. რაც შეეხება აფხაზეთის საარჩევნო კანონს, იყო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა ეს კანონი. მე არ მინდა ჩემს მასწავლებელზე ვილაპარაკო (საუბარია ლევან ალექსიძეზე – მ. ვ.). მე ამ კანონთან საერთო არაფერი მქონია.

ჯაბა იოსელიანი: მე თავს შევიკავებ კენჭისყრისაგან. სამართალდამცველებმა უნდა დაიცვან კანონი. ხშირად გვესმოდა

სიტყვა „კანონიერი მთავრობა". როგორ შეიძლებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტის დანესება არჩევნების გარეშე, ხალხმა არ იცოდა, რა უფლებები ჰქონდა პრეზიდენტს.

ივლიანე ხაინდრავა: ყველა უკანონობის საფუძველი ყოფილა ჯონი ხეცურიანი, თითქოს 250 კაცი არაფერ შუაში არ არის. ცოტა ფართო წრემ უნდა აიღოს ამაზე პასუხისმგებლობა.

გივი ლომინაძე: უზნეობა იქნებოდა, რომ არ მეთქვა. ჯონი ხეცურიანს აფხაზეთის კანონთან შეხება არ ჰქონია.

ელდარ შენგელაია: ვიზიარებ ხაინდრავას პოზიციას, რომ მეტ-ნაკლებად ყველა ვიყავით დამნაშავე.

ირაკლი წერეთელი: შეგნებულად არ მინდოდა მეთქვა, რადგან კულისებში მიდის ჩურჩული, ჩაშვება. მოდი ვილაპარაკოთ პროფესიონალიზმზე. რაც გავიცანი ეს კაცი, შთაბეჭდილება შემექმნა, რომ, პროფესიული თვალსაზრისით, ღრმად არის თავის საქმეში ჩახედული. ჩვენ ისე ვლაპარაკობთ, თითქოს სახელმწიფოს მეთაური გვყავდეს დავით აღმაშენებელი. როცა დრო შეიცვლება, მაშინ ვნახოთ.

გია კობახიძე: აქ ჩვენ ვილაპარაკოთ, როგორი მინისტრი იქნება.

თენგიზ სიგუა: მთავარი საკანონმდებლო ორგანო იყო პარლამენტი.

ვაჟა ადამია: ვერ დავეთანხმები, რომ ხეცურიანს არ შეეძლო ეხელმძღვანელა მაშინ, როდესაც პრემიერ-მინისტრს მაგიდის ქვეშ ვეძებდი.

თენგიზ სიგუა რეპლიკას ესვრის: მოეშვით მაგ სისულელეებს!

ვაჟა ადამია: მე არა ვარ მიჩვეული ასე მელაპარაკონ. მეც არ ვარ პროფესიონალი. პრეზიდენტი ამბობდა: კბილის ექიმიაო და გენერალი გვინდაო. მაშინ ხეცურიანი იყო ერთადერთი კაცი, რომელიც ხმას იღებდა პირველი სამი თვის განმავლობაში. თქვენ ხმას არ იღებდით (თენგიზ სიგუამ რეპლიკა ისროლა: ერთი კანონი მიიღეს!). ვაჟა ადამიამ რამდენიმე კანონი დაასახელა. სიგუამ უპასუხა: ეს იუსტიციის სამინისტრომ განიხილოსო. ვაჟა ადამიამ უთხრა: ეს სიცრუეა, რომელიც ბევრჯერ გითქვამთო.

დ. ბერძენიშვილი: მე არ მახსოვს აგვისტომდე სიგუას გამოსვლა და მახსოვს გიას გამოსვლა ნათაძის შესახებ.

მდგომარეობა დაიძაბა. ვაჟა ადამია ითხოვს სიტყვას. კამათი სხვა კუთხით წავიდა. არავის არ უნდა დაესვა საკითხი მორალის შესახებ. არ არის საჭირო, ვინ რა გააკეთა წინა პარლამენტში.

კენჭისყრის შედეგად ჯ. ხეცურიანმა მიიღო 88 ხმა და ვერ გავიდა.

ოთხ საათზე დეპუტატებმა მოითხოვეს განმარტება მიეცა გელა გოდერძიშვილს, რა მოხდა საგარეჯოში. გოდერძიშვილმა განაცხადა რომ მანქანაში მჯდომი ექვსი შეიარაღებული ფორმიანი, რომლებიც აფხაზეთიდან დაბრუნდნენ, ცუდად მოიქცა. მათ მოითხოვეს საწვავი, არ მისცეს. საღამოს მობრუნდნენ, ბენზინის გამყიდველები იქ აღარ იყვნენ. მაღაზიაში სიგარეტი მოითხოვეს. მერე ააფეთქეს ხელყუმბარა, სამი კაცი დაიღუპა, მათ შორის ხუციშვილი ოთარი, რომელიც შემთხვევით იყო იქ. მანქანიდან მშვიდობიან მოსახლეობას ესროლეს. ერთი მამასთან მივიდა, ესროლეს და მოკლეს. 15 წლის ბავშვს შეყვნენ და დაცხრილეს, 10 ტყვია ესროლეს. ხალხმა ისინი სიცოცხლეს გამოასალმა. კახეთში მეუბნებიან: შვილო რა გინდათ, ვშრომობთ გვშია, გეცივა, ამ დროს კი თქვენი ავტომატიანები ხალხს გვიხოცავენო. დღეს მილიცია უძლურია, მათი ბრალი არ არის, დაჭერილებს ხშირად აშვებინებენ. კახეთის გზა დავკეტეთ. მილიციის უფროსები კარებში ელოდებიან ჩემს გამოსვლას. მალე კახეთსაც არევენ.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე წარმოადგინეს **ალექსანდრე ჩიკვაიძის** კანდიდატურა. ის არ ესწრებოდა, რადგან ინგლისში იყო. რა თქმა უნდა, გაეა. ლექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო 144 ხმა.

ინფორმაციის და სადაზვერვო ბიუროს თავმჯდომარედ წარმოადგინეს **ირაკლი ბა-**

თიაშვილის კანდიდატურა. კიტოვანმა განაცხადა, ბათიაშვილმა მშვენივრად მიხედა საქმესო. ირაკლი წერეთელმა დაადასტურა. ბათიაშვილმა მიიღო 151 ხმა.

რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პოსტზე წარმოადგინეს **თედო ნინიძე**. სულ ვფიქრობდი, რატომ არ არის ნინიძე იურიდიული კომისიის თავმჯდომარე. ამის შესახებ ვკითხე ლევან ალექსიძეს, რომელმაც მიპასუხა: დეპუტატი არ არისო; მერე გავიფიქრე, რომ იუსტიციის მინისტრი გახდება-მეთქი, ახლა კი გენერალურ პროკურორად ნამოაყენეს. შევარდნაძეს უთქვამს, რატომ იუსტიციის მინისტრად არ წარმოადგინოთო. **სწორი არ იყო შევარდნაძე. ნინიძე ნამდვილად კარგი მინისტრი იქნებოდა.**

იზა ორჯონიკიძემ სწორად შენიშნა: რა უნდა იქ, მგლებში უშვებთო.

ლუიზა შაკიაშვილმაც განაცხადა, რომ სჯობდა ნინიძის იუსტიციის მინისტრად წარდგენა. 154 ხმით ნინიძე დაამტკიცეს გენერალურ პროკურორად.

შინაგან საქმეთა მინისტრად წარდგენილია **თემურ ხაჩიშვილი**. ის ბათიაშვილის პირველი მოადგილეა. მან თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ საკმაოდ ვაუკაცი ბიჭი ჩანს. ღმერთმა ქნას, რომ გაამართლოს. დღეს ამ თანამდებობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან საქართველოში უნდა დამყარდეს სიმშვიდე. მოხდა საოცარი ამბავი: ხაჩიშვილმა 108 ხმა მიიღო, დააკლდა ერთი ხმა. ამ დროს გიორგი ბარამიძეს გაუფუჭდა პულტი. მოვიდა ელდარ შენგელაია, რომელიც მხარს უჭერს. ასევე მოვიდა კვარაცხელია, ისიც მხარს უჭერს; გავიდა.

27 ნოემბერი

ნავიკითხე ინტერვიუ ლოთი ქობალიასთან (გაზ. „დრონი" № 43). აქ აშკარად ჩანს, რომ სამეგრელოს რეგიონში დაიწყო შეტაკებები შეიარაღებულ ფორმირებებს შორის. 12 ნოემბერს ზუგდიდში ააფეთქეს მილიციის შენობა, დაიღუპა 4, დაიჭრა 1 ლოთი ქობალიას რაზმიდან; ამ ინციდენტში დაადანაშაულა ჯაბა იოსელიანი და ჯემალ ქობალია, რომლებიც სენაკში შეხვედრიან ერთმანეთს; 40 წუთი უსაუბრიათ ერთი-ერთზე. „ჯემალი იგივე ჯაბასი" არისო — თქვა ლოთი ქობალიამ. მან აგრეთვე თქვა, რომ ჯეჯელავების და ნაროუშვილის წინააღმდეგ ყველა ჩემს გვერდით არისო.

კითხვა: როგორია თქვენი დამოკიდებულება აფხაზეთის ომისადმი?

პასუხი: რაც მთხოვეს, თითქმის ყველაფერი გავაკეთე, მინდოდა ქართველ ერს რამეში გამოვდგომოდი. მთავრობის ჯარებს სოხუმისკენ გზა გავუხსენი. მე თვითონ გაგიძღვებით-მეთქი, თუ ვინმე სროლას გაბედავდა, ტყვია პირველად ჩემგან მოხვდებოდა შუბლში. სამეგრელოს მობილიზაცია გამოვაცხადე, მოქმედი გვარდიის გარდა 15 ათასი კაცის გამოყვანას და ბატალიონების შექმნას ვაპირებდი. კიტოვანმა თავისი სიტყვა უკან წაიღო. ამას გარდა, ჩემი წასვლის შემდეგ უსაფრთხოების გარანტია არავინ მომცა, მწარე გაკვეთილიც ჩამიტარეს. ჩვენი შეთანხმების შემდეგ 20 კაცი დააპატიმრეს. რისი იმედი უნდა გვქონოდა? არც იმას გამოვრიცხავდი, რომ ფრონტზე წასულს, სოხუმში დამარტყამდნენ.

კითხვა: თქვენ ბრალად გედებათ კატეგორიული მოთხოვნა აფხაზეთიდან ქართული შენაერთების გამოყვანის თაობაზე.

პასუხი: მე ვგულისხმობდი კრიმინალების გამოყვანას, ვინც ქურდობს, მარდიორობს, ქართველი ჯარისკაცის სახელს რომ არცხვენს. ასეთი ხალხი ეროვნულ არმიაში არ უნდა მსახურობდეს.

ვერ გავიგე, ლოთი ქობალიას რაში დებენ ბრალს? სწორია ლოთი, როცა ამბობს: ის ხალხი, ე. წ. „მებრძოლები", რომლებიც თავიანთ ხალხს ძარცვავენ, მარტო გამოსაყვანი კი არ არის, არამედ დასასჯელია. ამ კაცს აქვს თავისი შეხედულებები. მართალია, ის ისევ ფიქრობს გამსახურდიაზე, მაგრამ, რას იზამ, მას ასე სწამს.

დღეს „რეზონანსში" წავიკითხე, რომ ჯემალი ქობალია 24 ნოემბერს ბრძოლებში მონაწილეობდა ოჩამჩირე-ტყვარჩელის მიმართულებით.

28 ნოემბერი

პირადულზე არ ვწერ ხოლმე, მაგრამ დღეს მინდა ჩავწერო. გუშინ ძალიან ცუდად ვიყავი, არ მეგონა, თუ კიდევ გავაგრძელებდი წერას. დღეს თუ აქტიური არა ვარ და მემატიანე გავხდი, გამონვეულია იმით, რომ ახალგაზრდობაში ბევრი დავიდარაბა გადამხდომია თავს. მოუსვენარი ვიყავი, პატარაობიდანვე სულ ცემა-ტყეპაში გავიზარდე, შიშის გრძნობა არ მქონია. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა სიკვდილისთვის ჩამიხედა თვალებში. იყო შემთხვევა, როცა დანა დამარტყეს, დანა გულთან გაჩერდა, მაინც მოვასწარი აცილება. ერთხელ რკინის ძელის თავში ჩარტყმისგან რამდენიმე საათით გათიშული ვიყავი და მკვდარი ვგონებივართ. კაციც დამიჭრია (მკლავში). სასაცილო ის არის, რომ ეს კაცი ამჟამად პარლამენტის წევრია და დღეს მეგობრებიც ვართ. ბევრი რამ მქონდა ცხოვრებაში გადატანილი, მაგრამ, როდესაც მაია შემიყვარდა და შევქმენით ოჯახი, გვეყოლა ორი კარგი ბიჭი (უფროსი მერვე, უმცროსი მესამე კლასშია), მას შემდეგ სულ ამათ დავტრიალებ. ბედნიერი ვარ ოჯახში, სულ იმას ვფიქრობ: ოღონდ ჩემს შვილებს ელირსოთ ცხოვრება ბედნიერ საქართველოში, ჯანდაბას ჩემი თავი! ჩემმა თაობამ ყველაფერი გადაიტანა და ამასაც გადავიტანთ. ვცხოვრობ ჩემი ოჯახის გამო. დიდი გაჭირვეა, ცხოვრება ძალზე ჭირს. **მთელი დღე ვმუშაობ, ვარ დოცენტი, თსუ ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე დროს ვარ დეკანის მოადგილე პარმენ მარგველაშვილთან და დეკანი კომერციულ ინსტიტუტში, ჯემალ აფციაურთან, ვამზადებ კერძოდ აბიტურიენტებს. ვუძღვებ იმის გამო, რომ არ მინდა ჩემი პატარები მივატოვო ამ გაჭირვებაში, არ მინდა ნარკომანი ქართველები გაიზარდონ, მინდა, რომ თავიანთ თავს და საქართველოს გამოადგნენ.**

ნეტავი დამანახა დაწყნარებული ევროპული საქართველო და ამ საქართველოში გაზრდილი ჩემი ვაჟკაცები, მაშინ ჩემთვის სიკვდილიც ბედნიერება იქნება. შეიძლება ვინმემ იფიქროს: შე კაი კაცო, ბანდიტურყაჩაღურ საქართველოში იცხოვრე და არ გინდოდა სიკვდილი, რაღა სიამოვნება უნდა მოგანიჭოს სიკვდილმა, როცა ევროპულ და ბედნიერ საქართველოში იცხოვრებო? საქმე ისაა, რომ ჩემნაირი კაცი დიდხანს არ უნდა ამყოფო ასეთ ცხოვრებაში, რადგან მიხვდება, თუ რა არის კარგი ცხოვრება და მაშინ მისთვის საშინელება გახდება სიკვდილის შიში. **მე ისევ ვიმეორებ: რომ არა ჩემი შვილები დღესვე ავიფეთქებდი თავს, ოღონდ თან წავიყვანდი იმ ქვეყნად რამდენიმე უჯიშო, გამყიდველ და, რაც მთავარია, კაცისმკვლელ ქართველს, რათა მათ ნაშიერს ჩემი შვილები არ შეენუხებინათ.**

ეკითხულობ გოგა ხაინდრავას ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „დრონში" (47). ცოტა ხნით ადრე იყო გოგას ძმის, ივლიანეს ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ გოგას წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებაო. მაშინაც გავიფიქრე, რომ არ იყო საჭირო პრესაში ამის დაწერა და მით უმეტეს დღეს სათაურით – „შეთქმულება გიორგი ხაინდრავას წინააღმდეგ ჩაიფუშა". რა საჭიროა აქ თამაზ ნადარეიშვილის და ბორის კაკუბავას მოხსენიება, რომლებიც ნლების განმავლობაში იბრძვიან აფხაზეთში ქართველების დასაცავად, მით უმეტეს ბორის კაკუბავა. მათ შეთქმულება არ უნდათ. ისინი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არიან. ისინი იქაურ ქართველებს დაპირდნენ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება მათ გვერდით იქნებოდა და რომ ისინი არ დაიჩაგრებოდნენ, როგორც იჩაგრებოდნენ ნლების განმავლობაში აფხაზი ექსტრემისტებისაგან. იქაურ ქართველობას იმედი მიეცა, მაგრამ დავტოვეთ გაგრა, ლესელიძე, განთიადი და გამოვ-

იქეცით. მათ დაკარგეს ახლობლები, სახლი, და თავიანთ სამშობლოში ლტოლვილებად გადაიქცნენ. ამავე დროს მიმდინარეობს მარადიორობა. **როგორი საქმეა, როცა დახმარებას ელოდები და ამის სანაცვლოდ გძარცვავს შენივე ხალხი?** რა ქნან ახლა ნადარეიშვილმა და კაკუბავამ, რა პასუხი გასცენ აფხაზეთის ქართველობას? მე მესმის გოგა ხაინდრავასი, რომ მას სიკეთის გაკეთება უნდა, თორემ, რატომ უნდა ნვალობდეს იქ, სოხუმში, როდესაც შეეძლო აქ მჯდარიყო თბილად პარლამენტში. ამიტომ ორივე მხარე უნდა გაუფრთხილდეს ერთმანეთს. **ეს ომი, სამწუხაროდ, ქართველებისთვის არ გადაიქცა სამამულო ომად. ომი ძალიან არაპოპულარული გახდა მოსახლეობაში. თუ დროზე არ დავიბრუნეთ აფხაზეთი, კრახი გარდაუვალია. მე მეშინია, ქართველები ერთმანეთს არ დაეჯახონ. როდესაც ადამიანს ეხმარები, არ უნდა დაამადლო და, რაც მთავარია, არ შეიძლება გქონდეს ზიზღი რომელიმე ხალხისადმი (ვგულისხმობ აფხაზებს – მ. ვ.), ცუდი და კარგი ყველა ხალხშია. 2-3 ოქტომბერს, როდესაც აიღეს გაგრა, იქ ბევრი ქართველი მეზობელმა აფხაზებმა გადაარჩინეს. სწორედ ამის შესახებ ვნერდი, როცა სამაჩაბლოში კონფლიქტი დაიწყო. რა შუაში იყო ოსი გლეხი, რომელიც მთელი ცხოვრება მიწაზე მუშაობს და არ ერევა პოლიტიკაში და მაინც სახლს გადაუწვავ? დამნაშავე ხალხი კი არ არის, არამედ ხელისუფლება!**

8 დეკემბერი

დღეს პარლამენტის სხდომაზე არაფერი იყო საინტერესო. საღამოს შვიდ საათზე სიტყვა მისცეს ირაკლი წერეთელს, რომელიც რამდენიმე დღეა ითხოვდა სიტყვას. ირაკლიმ განაცხადა: დღეს ბევრი ვაჟკაცი იბრძვის აფხაზეთში, მაგრამ შეიარაღებულ ძალებში არის უდისციპლინობა და მათ არ ჰყავთ ერთიანი ხელმძღვანელობა, სწორედ ამას მოჰყვა გაგრის დაცემა. გაუგებარია, რატომ შეჩერდნენ ჩვენი ჯარები ეშერასთან, რატომ არ დავიკავეთ ოჩამჩირე, ტყვარჩელი... საბოლოოდ ირაკლიმ წარმოადგინა წინადადებები:

1. პარლამენტმა მიიღოს დადგენილება, რომ აფხაზეთში ომს აწარმოებენ აფხაზი ექსტრემისტები, ასევე უცხო სახელმწიფოდან შემოსული ჯარები და რომ რუსეთი აწარმოებს მცირე ომს საქართველოს წინააღმდეგ.

2. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდეს საგანგებო წესები. პარლამენტმა უნდა მიიღოს დადგენილება გენერალური შტაბის შესახებ, ეს შტაბი უშუალოდ უნდა დაემორჩილოს მთავარსარდალს.

გარდა ამისა, ირაკლი წერეთელმა წამოაყენა ასეთი წინადადებები: აიკრძალოს აფხაზეთიდან თვითნებურად წამოსვლა, აღირიცხოს იარაღი, საერთოდ ვიცოდეთ, რამდენი ჯარისკაცი გვყავს, ყველამ გაატაროს რეგისტრაციაში თავისი იარაღი.

ამჟამად ეუყურებ „სი-ენ-ენის" გადაცემას. აჩვენებენ სომალის, სადაც უამრავი ხალხი შიმშილით იღუპება. საწყალი ბავშვები საცოდავ დღეში არიან, მარტო ძვალი და კანი აქვთ შერჩენილი. მახსენდება აკაკი ბაქრაძის წერილი, სადაც იყო საუბარი იმის შესახებ, რომ „სომალიზაცია" შეიძლება საქართველოშიც მოხდეს. რაც შეეხება „ლიბანიზაციას", რომლის შესახებაც საუბრობდა ბატონი აკაკი, მე ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ თემურ გვიმრაძეს ახსოვს, დეკანატში რამდენჯერ მითქვამს, **რომ თბილისი შეიძლება ბეირუთს დაემსგავსოს-მეთქი.** სომალიში რამდენიმე სამხედრო დაჯგუფებაა, რომლებიც საშუალებას არ აძლევენ ამერიკელებს, რომ დახმარება მიაწოდონ მშიერ ხალხს. ამჟამად ამერიკელები ამზადებენ 26 ათას ჯარისკაცს, რათა სურსათი შეიტანონ სომალიში.

შევარდნაძე რომ არ იყოს ამჟამად საქართველოში, თავისუფლად შეიძლება იგივე ამბები განმეორდეს ჩვენშიც.

1993 წელი

20 იანვარი

17 იანვარს, საღამოს, მე, ანდრო ჭელიძე, ზურა თავყელიშვილი და ვოვა ბურჭულაძე შევედით დასალევად დავითაშვილის ქუჩაზე ე. წ. რესტორან „ტვინში". ერთ ოთახში დავსხედით. იქ სულ ოთხი მაგიდაა. ერთ მაგიდასთან ქალი და მამაკაცი ისხდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ რაღაც ფაცაფუცი ატყდა. ოთახში შემოვიდა რამდენიმე მამაკაცი. მათ დაათვალიერეს, თუ ვინ იყო რესტორანში და გავიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა ირაკლი ბათიაშვილი და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი ავთანდილ იოსელიანი, რომელიც ადრე აფხაზეთში მუშაობდა. ბოლოს შემოვიდა გია ყარყარაშვილი. ერთმანეთი გადავეკოცნეთ. ისინი ჩვენს პირდაპირ დასხდნენ მაგიდასთან. მათი დაცვის ნევრები სხვა მაგიდასთან დასხდნენ. ჩვენი მაგიდები საკმაოდ ახლოს იყო ერთმანეთთან. როდესაც დაღუპულების სადღეგრძელო წარმოთქვეს, ჩვენც ფეხზე ავდექით. მე პირადად გიას ძმა სანყალი, გოჩა გავიხსენე. საუბარი საკმაოდ ხმამაღლა მიმდინარეობდა მათ სუფრაზე, მაგრამ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა შეიმჩნეოდა. ეტყობოდა, გია არ იყო კმაყოფილი პარლამენტით, გავიგონე მისი სიტყვები: ერთი გამომიყვანა პარლამენტშიო! მე რომ ეს შემომესმა, ვუთხარი: გურამ მუჩაიძემ ხომ გადმოგცა მოკითხვა-მეთქი. გიას გაეცინა და თქვა: ჯობია გურამმა თავისი შვილი გამოუშვას საბრძოლველადო. გავიგე ისიც, რომ უთანხმოება ჰქონდათ „მხედრიონთან". შემდეგ გიამ იკითხა: ნუთუ საქართველოში არ მოიძებნება კაცი შევარდნაძის გარდაო? მერე ჩვენ მოგვმართა: რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, მაინც ამასთან მოვა ინფორმაციაო და მიუთითა ირაკლიზე. ყველას სიცილი აგვიტყდა. ისინი დიდხანს არ გაჩერებულან, დამშვიდობებისას ისევ გადავეკოცნეთ ერთმანეთი და მე გიას ვუთხარი: **გია, გენაცვალე, იცოდე, რომ უფროსი თაობა არაფრის გამკეთებელია, ჩემი თაობა ჯობია იმით, რომ უფროსი თაობებისაგან განსხვავებით, ხელს არ შეგიშლით, ისევ თქვენმა თაობამ უნდა გააკეთოს ყველაფერი.**

გუშინ შევარდნაძე ირანში გაფრინდა და დღეს დაბრუნდა. ხელი მოაწერეს 17 დოკუმენტს.

მე დამავიწყდა მთავარი –რატომ ხვდებოდნენ ირაკლი ბათიაშვილი და ავთანდილ იოსელიანი გია ყარყარაშვილს. 12 იანვარს ირინა სარიშვილმა განაცხადა, რომ შავნაბადაზე და თბილისის ზღვაზე გვარდიის ნაწილები განლაგდნენ. კიტოვანმა „იბერიასპექტრში" უარყოფითად შეაფასა პარლამენტის მოღვაწეობა. მან განაცხადა, რომ მზადდება კომუნისტების რევანში ეროვნულ მოძრაობაზე და რომ კომუნისტებს მიეტმასნა ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი. ირინა სარიშვილმა თენგიზ კიტოვანს გადატრიალების მოწყობის მცდელობაში დასდო ბრალი და მისი განთავისუფლება მოითხოვა. უფრო ადრე ასეთივე განცხადება გააკეთა გიორგი ჭანტურიამ, რომელმაც განაცხადა, რომ 7 იანვარს უნდა მომხდარიყო გადატრიალება.

22 იანვარი

გაზეთ „7 დღეში" დაიბეჭდა ინტერვიუ გია ყარყარაშვილთან. ამ ინტერვიუში გია უარს აცხადებს ბრიგადის მეთაურობაზე. მან განაცხადა, რომ ის დანიშნულიც არ ყოფილა ბრიგადის მეთაურად. დათო აფციაურის ოჯახური პირობების გამო ბრიგადის მეთაურობიდან განთავისუფლების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ბატალიონს და ამის შემდეგ სულ მათ აბრალებდნენ, თუ სადმე საქმე მარცხით მთავრდებოდა. კერძოდ, გენერალი კამკამიძე მას ბრალს სდებდა იმაში, რომ ჩაიშალა ტყვარჩელის აღება, ასევე დივიზია „თბილისელის" ხალხი რომ დაიღუპა, ისიც, თურმე, მათი ბრალი ყოფილა. მოკლედ, გია ყარყარაშვილს აღარ შეეძლო ჯარისკაცები-

სთვის თვალებში შეეხედა. საჭირო არ იყო რუსი გენერლების (კამკამიძის – ავტ.) ჩამოყვანა. რაც შეეხება თენგიზ კიტოვანს, მას უფლება არა აქვს ხელმეორედ მოახდინოს გადატრიალება, გადატრიალების შემდეგ მან სათავეში ისევ კომუნისტები მოიყვანა.

ჩემი აზრით, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის დიდი შეცდომაა გიასადმი ასეთი დამოკიდებულება. გენერალ გია ყარყარაშვილის სწამთ ნამდვილ მეომრებს. გია განასახიერებს ახალგაზრდა რესპუბლიკის ახალი ტიპის გენერალს, მაგრამ შევარდნაძეს და სხვებს ისევ ძველი ტიპის გენერლების იმედი აქვთ. ნუთუ მათ დაავიწყდათ ისტორია? ცნობილია, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქაში ხალხის ნიაღიდან გამოსული უბრალო წარმოშობის სრულიად ახალგაზრდა გენერლები, რომლებსაც არ ჰქონდათ დიდი სამხედრო განათლება, ამარცხებდნენ ავსტრიის ცნობილ ფელდმარშლებს. გია არ არის ის მორჩილი პიროვნება, როგორიც უნდა, რომ ჰყავდეს დღევანდელ ხელისუფლებას. ხელისუფლებას არ ესმის, რომ ის მათი ყურმოჭრილი ყმა არასოდეს გახდება, მაშინ ის აღარ იქნებოდა გია ყარყარაშვილი!

23 იანვარი

დღეს „მოამბეში" გადმოსცეს ედუარდ შევარდნაძის განცხადება, რომელიც მან გააკეთა უშიშროების საბჭოში. გუშინ, 14 საათზე და 30 წუთზე, 50 შეიარაღებული პირი თავს დაესხა რუსეთის მესაზღვრეთა ნანილს. 2 რუსი ჯარისკაცი მოუკლავთ და 70 ცალი ავტომატური იარაღი გაუტაციათ.

დღეს რუსეთის დელეგაციასთან დაიწყო მოლაპარაკება (ყველაფერი ამიტომ მოხდა). ძალზე ცუდი ფაქტია, ნეტავ ამას არ მოჰყვეს შეიარაღებული კონფრონტაცია და ნეტავ გიას ხალხი არ იყო ამაში გარეული!

23 იანვარს შეიკრიბა 35 პოლიტიკური პარტია, რომლებმაც განაცხადეს, რომ **„აუცილებლად მიაჩნიათ" ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყება**, ვინაიდან აშკარაა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები, უმეტესწილად, დაკომპლექტებულია პრორუსული და პროკომუნისტური ძალებით, რომელთაც არ სურთ რუსეთის აგრესიის აღკვეთა და ჩვენი ქვეყნის სრული განთავისუფლება. შეიქმნა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათათბირო. დადგენილებას ხელს აწერენ: სახალხო ფრონტი, მწვანეები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვ.

გუშინ ედუარდ შევარდნაძე შეხვდა სტუდენტებს. მე ადრე ვთქვი, რომ ხელისუფლება დაკარგავს სტუდენტობას.

3 თებერვალი

გუშინ მივეცი ინტერვიუ რადიოში, რომელიც გადასცეს საღამოს 9 საათზე. ინტერვიუში აღვნიშნე, რომ წინათ დღევანდელი ხელისუფლების დიდი იმედი მქონდა, მაგრამ ახლა ფაქტობრივად აღარა მაქვს, რადგან აშკარა **ხდება კომუნისტური წყობილების რესტავრაცია.** ცხადია, XX საუკუნის 60-70-იანი წლის კადრებისაგან ბევრს არაფერს უნდა მოველოდეთ. ისინი მონობაში არიან გაზრდილნი და ისევ თანამდებობებს ებღაუჭებიან. **50-55 წლის ადამიანებისაგან 10% თუ გამოდგება. ჩემი თაობა (40-45 წლის ასაკის) ნაკლებ მონობაში გაიზარდა, მაგრამ არც ამ თაობისაგან გამოვა რამე. ჩემი აზრით, ისევ 23-25 წლის ახალგაზრდები თუ გადაარჩენენ საქართველოს.**

საქართველოს პარლამენტის შესახებ მინდა აღვნიშნო, რომ ნანილობრივ მომწონს **11 ოქტომბრის ბლოკის ერთი ჯგუფი, ქარტია-91, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ტრადიციონალისტები და განსაკუთრებით მომწონს მერაბ კოსტავას საზოგადოება. არ მომწონს ბლოკი „მშვი-**

დობა". არც ის, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული დეპუტატები ელოდებიან, როდის დანიშნავენ მათ რაიონის გამგებლებად, ანუ ისევ რაიკომის მდივნობა უნდათ. ამიტომ სხედან ისინი ჩუმად პარლამენტში, ხმას არ იღებენ. მათ ნამუსი არა აქვთ. ნამუსი არა აქვთ ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებსაც, რომლებმაც ფაქტობრივად გაამართლეს ზვიად გამსახურდიას ნათქვამი, რომ ისინი ძირითადად თანამდებობებისთვის იბრძოდნენ. მე მახსენდება ისინი, ვინც უნივერსიტეტის ბაღში იკრიბებოდნენ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ამ ადამიანებისაგან ყველამ მიიღო თანამდებობა. არცერთმა მათგანმა არ განაცხადა, რომ მათ არ სჭირდებათ თანამდებობა და რომ ისინი, როგორც ადრე ამბობდნენ, იბრძოდნენ მხოლოდ ზვიად გამსახურდიას „დიქტატორული" რეჟიმის წინააღმდეგ. ჩემს წინა ჩანაწერებში აღვნიშნე, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საკადრო პოლიტიკა. ჩემი აზრით, ედუარდ შევარდნაძესაც დიდი შეცდომები მოსდის საკადრო საკითხში. იგი აწინაურებს კომუნისტური რეჟიმის დროს მოღვაწე ხალხს. ამ ხალხმა ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა. მართალია, არიან წესიერი ხალხიც, რომელთა გამოყენებაც შეიძლება. მაგალითად, **მე ძალიან მომწონს ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი, ყოფილი ფუნქციონერი, მაგრამ განათლებული და საკმაოდ უშიშარი კაცი, რომელიც მუნჯივით არ მჯდარა წინა პარლამენტში.** ჩემი აზრით, არ შეიძლება სამეგრელოს ამბების შემსწავლელი კომისიის შექმნა, რომელსაც სამეგრელოს მოსახლეობა არ ენდობა. მაგალითად, როდესაც ედუარდ შევარდნაძე წავიდა სამეგრელოში, რათ უნდოდა ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელიც არ უყვართ სამეგრელოში. ბოლო შეკითხვა კორესპონდენტმა დამისვა აფხაზეთის შესახებ. მე ვუთხარი, რომ აფხაზებმა გვესროლეს და ამას არ მოველოდითო. ეს უკვე შეცდომის აღიარებაა, რადგან ისეთი დიდი პოლიტიკოსი როგორც ედუარდ შევარდნაძეა ყველაფერს უნდა ითვალისწინებდეს. მე ტერიტორიების დაკარგვის კი არ მეშინია, არამედ იმისი, რომ ჩვენ ვკარგავთ აფხაზეთის ქართველობას, რადგან მათ არც შეეკითხეთ, უნდოდათ თუ არა, რომ ჩვენ იქ შევსულიყავით და აგვენიოკებინა იქაურობა. სანყლებს არც ბინები აქვთ, არც საჭმელი და კიდევ შეურაცყოფას ვაყენებთ, როცა ვამბობთ, რომ ზოგიერთი მათგანი ბინას ყიდულობს ვაკეშიო. კი ბატონო, ვთქვათ 10 კაცმა იყიდა ბინა, მაგრამ 100 ათასი ხომ უპატრონოდ არის, იმათზე რატომ არ ვფიქრობთ. ბორის კაკუბავას, რომელიც ამდენი წელია იბრძვის აფხაზეთში, საქართველოს პარლამენტში შეურაცხყოფას აყენებენ. სირცხვილია, საქართველოს მთავრობის წევრები გაზ-31-ით დაქროდნენ, მაშინ, როდესაც სასნრაფოებს არა აქვთ ბენზინი და ხალხი იღუპება. ვერ ხვდებიან, **რომ ხალხი უკიდურეს გაჭირვებაშია და ამას სოციალური აფეთქება მოჰყვება.**

3 მარტი

ჩემი სიტყვები მართლდება. ხელისუფლების წინააღმდეგ იქმნება ძლიერი ოპოზიცია. კერძოდ, გაერთიანდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ტრადიციონალისტები, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მათ მხარეზე აღმოჩნდნენ რესპუბლიკელები. მე არა ვთვლი სხვა პარტიებს, რომლებიც პარლამენტში არ არიან. ჩემი აზრით, ოპოზიცია გახდება „ქარტია-91". 21 თებერვალს ფილარმონიაში ჩატარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათათბიროს მეორე კონფერენცია, სადაც მოხდა ინციდენტი. კერძოდ, აფეთქდა რაღაც პაკეტი, არავინ დაზიანებულა. ამ დროს სიტყვით ნოდარ ნათაძე გამოდიოდა. კონფერენციას ზვიად გამსახურდიას მომხრეებიც ესწრებოდნენ.

ნავიკითხე გაზეთი „შანსი" (23–28 თებერვალი). აქ არის ინტერვიუ ვაჟა ადამიასთან და აკაკი ასათიანთან. მე ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი და ვცემ ვაჟა ადამიას, კარგ ქართველ ვაჟკაცს. მისი ინტერვიუც ამის მაჩვენებელია. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთში, თუნდაც სამშვიდობო მისიით, რკინიგზაზე და სხვა სასიცოცხლო ობიექტებზე კონტროლის მიზნით ქართული ჯარის შეყვანა არ შეიძლებოდა იქამდე, ვიდრე სამეგრელოს პრობლემა არ გადაიჭრებოდა. რა ბოროტებაც ჩაიდინეს სამეგრელოს მიმართ, ბევრჯერ ითქვა და აღარ გავიმეორებ (მეც ასე ვთქვი რადიოთი). როგორ შეიძლებოდა სამეგრელოს გაძარცვის შემდეგ, როდესაც მთელი სამეგრელო აგინებს ამ მთავრობას, შესულიყვნენ აფხაზეთში. რაც შეეხება ვაჟა ადამიასა და აკაკი ასათიანს შორის დამოკიდებულებას, ყველას ახსოვს, ადრე ადამიამ მოითხოვა ასათიანის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენება. ამჟამად ადამიამ აღნიშნა ასათიანის და მისი პარტიის, ტრადიციონალისტების მტკიცე პოზიცია, რომლებიც მათ დაიკავეს დღეანდელი ხელისუფლების მიმართ.

აკაკი ასათიანმა ინტერვიუში ზვიად გამსახურდია შეადარა თეიმურაზ I-ს, ხოლო ედუარდ შევარდნაძე – როსტომ-ხანს. აკაკი ასათიანმა აღნიშნა: „როგორია რეალური სურათი ჩვენ უკეთ ვიცით, ვიდრე შევარდნაძემ. სწორად გამიგეთ, იმის პრეტენზია კი არა გვაქვს, რომ ჩვენ ბატონ ედუარდზე ჭკვიანები ვართ. არა, ჩვენ მეტად გამოცდილები ვართ, რადგან საკუთარ მხრებზე გადავიტანეთ ბევრი ტკივილი, ბევრი სიხარულიც. შვიდი ნელინადი პატარა დრო არ არის. ამას გარდა შევარდნაძე დღემდე მოწყვეტილია რეალობას, უტყუარ ინფორმაციას. სხვათა შორის, ეს სჭირდა ბოლო ეტაპზე ზვიად გამსახურდიას და ვთვლი, რომ კრახის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ესეც იყო. ხელისუფლებას რეალური ინფორმაცია უნდა ჰქონდეს. შევარდნაძეს ისეთი გარემოცვა ჰყავს და ისეთი მხარდამჭერები, რომ რეალურ ინფორმაციას არასოდეს მიაწვდიან, ისინი არ არიან ამაში დაინტერესებულნი და იმიტომ".

აბსოლუტურად სწორად საუბრობს აკაკი ასათიანი. მართლაც, ეს ედუარდ შევარდნაძის უდიდესი ნაკლია. მახსოვს, როდესაც 21 თებერვალს უნდა გამართულიყო ეროვნული ძალების კონფერენცია ტელევიზიამ, გაზეთებმა „საქართველოს რესპუბლიკამ", „თბილისმა" ატეხეს საშინელი კამპანია ამ კონფერენციის საწინააღმდეგოდ, განსაკუთრებით კი ირაკლი წერეთლის მიმართ, რომელიც ფაქტობრივად მოღალატედ გამოიყვანეს. გამოყავდათ ინტელიგენციის წარმომადგენლები და მიდიოდა ლანძღვა. ეს ხომ იგივეა, რაც ხდებოდა ზვიად გამსახურდიას დროს, ოღონდ მაშინ პირიქით იყო – ამ ინტელიგენციას აგინებდნენ. ღმერთო ჩემო! მე როგორ თანაუგრძნობდი მათ. ამჟამად ისინიც იმავეს აკეთებენ. სწორედ ამის გამო მოხდა ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა შევარდნაძესთან. ნუთუ შევარდნაძე ვერ ხვდება, რომ მართლაც, ამ ერთი მუჭა „პადხალიმი", ე. ნ. „ინტელიგენციის" დრო დამთავრდა და რომ მათ ხალხში არავითარი პატივისცემა არა აქვთ! ესენი არიან — გიგა ლორთქიფანიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ნოდარ ლომოური, ჯანსუღ ჩარკვიანი, ლანა ღოღობერიძე, თამაზ კვაჭანტირაძე და სხვ. მე პირადად ამ ადამიანების შემოქმედებას პატივს ვცემ, მაგრამ მათ თავი უნდა დაანებონ იმ პოლიტიკას, რომელიც მიმართმულია ფაქტობრივად ერთი კაცის გალმერთებისკენ.

დღეს ედუარდ შევარდნაძე სოხუმში გაფრინდა. ისე ძალიან იკლავს თავს, მაგრამ მართლა მძიმე მდგომარეობაშია. ჩემი აზრით, თუ ერთ თვეში არ განთავისუფლდა ტყვარჩელი, ორ თვეში ყველაფერი კატასტროფით დამთავრდება და შევარდნაძეს მაინც მოუწევს ნასვლა.

5 მარტი

დღეს მამაჩემის დაბადების დღეა. გადაცემა მიდის ტელევიზიით, სოხუმიდან გადმოსცემენ. ედუარდ შევარდნაძე ხვდება ჯარისკაცებს. მართლაც ვაჟკაცი კაცია, ცრემლები მომივიდა. გამოვიდა ჯარისკაცი გუდაუთიდან, რომელსაც დედ-მამა მოუკლეს, ცოლიძმა და მეუღლე გარდაეცვალა, სიმამრი დაეკარგა, ერთადერთი ბავშვი სადღაც სანატორიუმში ჰყავს.

12 მარტი

ამ დღეებში პარლამენტში მიმდინარეობს დებატები რუსეთთან ხელშეკრულების დადების შესახებ. საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. ბევრ ორგანიზაციაში ოთხი თვეა ხელფასი არ მიუღიათ. რუსეთი ცდილობს ისარგებლოს საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და ზეგავლენა მოახდინოს მთავრობაზე. რუსეთი არავის გვიყვარს, დარწმუნებული ვარ, რომ არც ედუარდ შევარდნაძეს, მაგრამ დღეს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა რუსეთთან კატასტროფა იქნება საქართველოსთვის. ვის უნდა ჩვენი საქონელი და მით უმეტეს ცარიელი განცხადებები, რომ ჯობია დღეს გაიჭირვოთ და მერე მთლიანად თავისუფლები ვიქნებით. ანტირუსული განცხადებები დღეს დამღუპველია საქართველოსთვის, რადგან ხალხი დაიღალა, მოშივდა, შესცივდა, დადის დაუბანელი, ნანილი გაყაჩაღდა. ამის მეტი რალა უნდა გაიჭირვოს ერმა, რომელმაც დღეს თავისი სახე დაკარგა. გუშინწინ ქალაქის პროკურორი მიშა ქურდაძე სახლთან დაცხრილეს. ათი დღის განმავლობაში მკვლელების ხელით დაიღუპა 31 ადამიანი. ამდენი ადამიანი არ ეწირება აფხაზეთის ომს. რუსეთშიც მძიმე მდგომარეობაა. ორი დღეა მიმდინარეობს რუსეთის საბჭოების ყრილობა, რომელიც ბორის ელცინმა დატოვა. თუ რუსეთშიც სამოქალაქო ომი დაიწყო, ეს მსოფლიოს დაღუპავს.

დღეს ტელევიზიით გადაიცა ინტერვიუ თენგიზ კიტოვანთან. კიტოვანმა აღნიშნა, რომ ლოთი ქობალიამ დააკავა შვიდი ტანკი და არ დააბრუნა, მანვე გააჩერა და ვაგონებიდან გადმოტვირთა ტყვია-ნამალი. ეს არის ქართველი ერის ღალატი, ჩვენ ამას არ შევარჩენთ, როცა შევალთ სამეგრელოშიო. ასეთი ინტერვიუები ბევრი მომისმენია — **„გადავუვლით“, „მოვსპობთ“, „შევალთ“** და ა. შ., რამდენჯერაც შეიდნენ, მაგრამ ლოთი ქობალიას რაზმებს ხალხი კი არ აკლდება, არამედ ემატება. მე მეზიზღება სიტყვა **„შევალთ“, რომელსაც ყოველთვის მოჰყვება ქართველი ხალხის ტანჯვა, აწიოკება. ერთხელაც ასეთი შესვლის დროსაც კისერს წაიტეხენ.** ჯობს აფხაზეთს მიხედონ და დაანებონ თავი ლოთი ქობალიას, რომელიც, ჩემი აზრით, ნესიერი კაცია. ახლა წავიკითხე მისი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: მე, ვახტანგ (ლოთი) ქობალია, ვიცავ კანონიერებას, რკინიგზას და ა. შ. **ლოთისაც და სამეგრელოს მოსახლეობასაც დაანებეთ თავი!** ნუთუ დღეს ამის დროა! მახსოვს, როდესაც ცხინვალის მოვლენებისას მძიმე დღეები იდგა და ყველა ამ საკითხით ვიყავით დაკავებულნი, მაშინ ზვიად გამსახურდიამ გაგზავნა გოგი მარჯანიშვილი და ბესარიონ გუგუშვილი „ქართულ ფილმში“, რათა მოეხსნათ რეზო ჩხეიძე. მაშინაც ვფიქრობდი: რა დროს რეზო ჩხეიძის მოხსნაა, როდესაც ფაქტობრივად ომი მიმდინარეობდა სამაჩაბლოში. დღესაც, როდესაც ომია აფხაზეთში (რომელიც შეიძლებოდა არ დაწყებულიყო და, რომელიც დღეევანდელი ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო), დრო არ არის კიტოვანის მიერ ასეთი განცხადებების კეთებისა. **ჩემი აზრით, ახლა რომ სამეგრელოში შევიდნენ, მარტო სამეგრელოს და აფხაზეთს კი არ დაკარგავენ, არამედ**

ეს გახდება საქართველოში დიდი სამოქალაქო ომის დასაწყისი. თუ სამხედრო მინისტრი თვითონ წყვეტს ჯარების შესვლის საკითხს სამეგრელოში, მაშინ შევარდნაძე ბუტაფორია ყოფილა. უმჯობესია შევარდნაძე კაცურად დაიღუპოს სოხუმის მისადგომებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას დაეკარგება მასზე შთაბეჭდილება, როგორც ნამდვილ პოლიტიკოსსა და უშიშარ კაცზე, რომელსაც თავის დროზე არ ეშინოდა ლაზიშვილების, გეგეშიძეების და სხვების, მათ შორის რომანოვისა და ანდროპოვისა.

მე ვისურვებდი, რომ ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ისტორიაში შევიდეს იმ პიროვნებად, რომელმაც ყველაზე დიდი გაჭირვების დროს მთელი დრო და ენერგია მხოლოდ საქართველოს ბედნიერებას მოახმარა. მინდა დავიჯერო, რომ ახლა შევარდნაძეს უნდა სიკეთე გააკეთოს, მაგრამ ამის შესაძლებლობა არა აქვს, რადგან ღრმად შეტოპა იქ, საიდანაც გამოსვლა ძალიან ძნელია. სადამდე მივიდა ერი! ჩემ პატარა შვილს, თაზოს ვეუბნები: უნდა გამიგონო, რომ მალე გაიზარდო-მეთქი. მე ჩემი და ჩემი თაობის ბავშვობა მახსოვს, გვინდოდა მალე გავზრდილიყავით, იმიტომ, რომ უფროსი თაობა კარგად ცხოვრობდა და, რაც მთავარია, იყო სიმშვიდე. ჩემმა ბიჭმა მიპასუხა, რომ არ უნდა მალე გაიზარდოს, რადგან ურჩევნია, რომ მოიცადოს იმ დრომდე, სანამ უკეთესი ცხოვრება იქნება. როდესაც ეს მოვისმინე, **გავოგნდი, ეს საშინელებაა! ბავშვს არ უნდა, რომ გაიზარდოს იმიტომ, რომ ეშინია. ის უყურებს, როგორ იღუპება უფროსი თაობა ან ომში, ან კლავენ ქუჩაში. ამიტომ არის, რომ ამ ჩემ ღლაპს არ უნდა დიდი ასაკისა გახდეს. მას ურჩევნია მულტფილმებს უყუროს, ვიდრე ამ ორომტრიალში ჩაერთოს.**

16 მარტი

14, 15, 16 მარტს ბომბავდნენ სოხუმს. 16 მარტს დილით დაიწყეს შეტევა სოხუმზე. დილით დაძაბული მდგომარეობა იყო პარლამენტში. სხდომა უნდა დაწყებულიყო ათ საათზე, მაგრამ დაიწყო თერთმეტზე. ინფორმაციით გამოვიდა შევარდნაძე. მან აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგემ შეძლო ორ ადგილას გაერღვია ფრონტი. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ფაქტობრივად ეს საქართველო-რუსეთის ფართომასშტაბიანი კონფლიქტია. მან განაცხადა, რომ შეასრულებს თავის სიტყვას და გაფრინდება სოხუმში. მართლაც, აჩვენეს სოხუმში ედუარდ შევარდნაძის ჩასვლა. საღამოს გადმოსცეს, რომ შეტევა გუმისთასთან მოიგერიეს. გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაციისთვის მზადყოფნა. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადებულიყო.

17 მარტი

პარლამენტის სხდომას ვუყურებ. 6 საათსა და 45 წუთზე სამუშაო ჯგუფს ქმნიან რუსეთში წასასვლელად. სასაცილო რამე თქვა ვახტანგ გოგუაძემ, როდესაც ვაჟა ადამიას, აკაკი ასათიანს და თემურ ბასილიას მიმართა: ნუ გეწყინებათ, უკეთეს ქვეყნებში გაგიშვებთო. ხალხი გაოგნდა. ისინი, პრინციპულად რომ სვამენ საკითხს რუსეთში წასვლის შესახებ, ვახტანგ გოგუაძეს მიაჩნია, რომ გასეირნება უნდათ. ამაზე კუპრეიშვილმა გოგუაძეს მიუგო: რაც განაცხადეთ უსინდისობა არისო. ვახტანგ გოგუაძემ ბოდიში მოიხადა, ასე არ უნდა მეთქვაო, მაგრამ რომელ ქვეყნებთანაც თქვენ გინდათ მუშაობა, იქ იმუშაოეთო. ღმერთო ჩემო, ამისთანა კომიკოსი სპიკერი მთელ მსოფლიოში არ იქნება!

დღეს ჩვენების აშკარა უპირატესობა ჩანს სოხუმის ფრონტზე. მოსკოვმა გამოაც-

ხადა, აფხაზი პარტიზანები უკან იხევენო. ტელევიზიით აჩვენებენ სოხუმს, საშინელებაა. როგორც იქნა თენგიზ კიტოვანი ჩავიდა სოხუმში. ტელევიზიით გამოვიდა აკაკი ბაქრაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთი ასე მალე არ დათმობს პოზიციებს და საბჭოთა კავშირის ნანგრევებში ბევრი ყოფილი რესპუბლიკა მოჰყვებაო. რუსეთმა ჩვენ ომი ჯერ კიდევ 1989 წლის 9 აპრილს გამოგვიცხადა. სისხლი იღვრება, მაგრამ თავისუფლება მაინც მოვა. აკაკი ბაქრაძემ გაიხსენა დიდგორის ბრძოლა, როცა ქართველებმა უკან დასახევი გზები ჩაიხერგეს. ა. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ უნდა შეწყდეს ქიშპობა, ერთადერთი რაც გვჭირდება ეს არის ერთიანობა და სიმტკიცე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო დაიღუპება.

„ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ ბრძოლებში 300 აფხაზი დაიღუპა, ხოლო ქართველთა მხრიდან — 35 ჯარისკაცი. რაღაც არ მჯერა!

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ არცერთი რუსი ჯარისკაცი არ მონაწილეობდა სოხუმისათვის ბრძოლებში.

დღეს „იბერვიზიაში" ვუსმენ ინტერვიუს **ასლან აბაშიძესთან**. ასლან აბაშიძემ განაცხადა: თუ რამე კარგი იყო საქართველოში ეს ყველაფერი დღეს არის აჭარაში. დღეს მეუბნებიან, რა მოგცათ დადებითი ტიხომიროვას ფილმმა. რა უნდა მოეცა? მეც ბევრი რამ არ მომწონს, რასაც ჩემზე ამბობენ საქართველოს ტელევიზიით. სწორად ამბობს ასლან აბაშიძე, რომ ხალხში არის ნოსტალგია, რადგან ხდება მკვლელობები და სხვა უბედურება. ხალხი საბჭოთა კავშირის შემდეგ მოელოდა ბედნიერებას, მაგრამ ჩავარდნენ სავალალო მდგომარეობაში.

კორესპონდენტი ეკითხება ასლან აბაშიძეს: რას იტყვით პავლე გრაჩოვის ჩამოსელაზე?

ასლან აბაშიძე: მე, როცა მოვისმინე კომენტარები მისი ჩამოსვლის შესახებ, მაშინ მოსკოვში ვიყავი... ამის შემდეგ ასლან აბაშიძის ინტერვიუ ვეღარ მოვისმინე. დაანებონ თავი ამ ჭკვიან კაცს. **ასლან აბაშიძე რომ ყოფილიყო ზვიად გამსახურდიას მაგივრად, იგი დღესაც საქართველოს პრეზიდენტი იქნებოდა და საქმეც კარგად ნავიდოდა.**

18 მარტი

ედუარდ შევარდნაძე წინა ხაზზე იყო. ის ჯარისკაცებს ამხნევებდა.

„ნოვოსტიმ" 21 საათზე გადმოსცა, რომ აფხაზებმა დაკარგეს 40 კაცი, ქართველებმა 600 (გუდაუთის ცნობა). გამოვიდა რუსეთის არმიის პრესცენტრის უფროსი, ვიღაც გენერალ-მაიორი. მან განაცხადა, რომ თუ მოხდება თავდასხმა რუსეთის სამხედრო ობიექტებზე, მთელი ძალებით დავარტყამთო.

სასაცილო იყო მინისტრ **პავლე გრაჩოვის განცხადება, რომ, თურმე, ჩვენ ავანყეთ შვიდი თვითმფრინავი (სუ-25), შევეღებეთ მნვანედ და ჩვენ თვითონ ვბომბავთ სოხუმს, ე. ი. საკუთარ თავს. რუსეთი ისევ ისეთი რჩება.** ადრეც ასეთი ტიპის განცხადებები იყო, ლეონიდ ბრეჟნევის და იური ანდროპოვის დროს, როდესაც ავღანელებს აბრალებდნენ, რომ ისინი თვითონ ბომბავდნენ თავიანთ ქალაქებს და ხოცავდნენ თავიანთ ხალხს. ასეთივე ტიპის განცხადება იყო, როდესაც ჩამოაგდეს კორეის სამგზავრო თვითმფრინავი „ბოინგი".

დღეს „მაცნემ" გადმოსცა ჩეჩნეთის პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის განცხადება: რომ თითოეული ჩეჩენი, რომელიც მონაწილეობს ქართველების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში აფხაზეთში, იბრძვის თავისი ქვეყნის წინააღმდეგ, რადგან ამ ომში საქართველოს წინააღმდეგ მონაწილეობს რუსეთი. ამის შემდეგ ნაწილობრივ გამწვავდა ურთიერთობა აფხაზებსა და ჩეჩნებს შორის, ორი ჩეჩენი მოკლეს ზურგიდან გასროლით.

„მაცნეში" იყო აფხაზეთში ჩეჩნების სარდლის განცხადება, რომ ისინი არ დატოვებენ მცირერიცხოვან ერს (აფხაზებს), მაგრამ, თუ დაიწყება ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, მაშინ ისინი საქართველოს მხარეზე იბრძოლებენ.

20 მარტი

ვკითხულობ გაზეთ „შანსს", სადაც დაბეჭდილია ინტერვიუ ლოთი ქობალიასთან სათაურით „ქართველების წინააღმდეგ მე იარაღს არ ავიღებ". ამ ინტერვიუთი აშკარად მართლდება ჩემი შეხედულება ამ პიროვნებაზე. ლოთი არის ნესიერი და თავის სამშობლოზე შეყვარებული ადამიანი. იმავე გაზეთში არის მოთავსებული სტატია „ხუთი დღე ზუგდიდში". არ ვიცი, როდის მობრუნდება სამეგრელოს მოსახლეობა ჩვენსკენ, ამას დიდი დრო უნდა, მათ არასოდეს დაავიწყდებათ ის შეურაცყოფა, რაც მიაყენეს ამ მხარეს. გავა დრო და არავის არაფერი არ შერჩება, ყველას მიეზღვება სამაგიერო. გუშინწინ სოხუმის მახლობლად ჩამოაგდეს რუსეთის თვითმფრინავი სუ-25, დაიღუპა მფრინავი. „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ თვითმფრინავი გეგმურ ფრენას ანარმოებდაო. ამას რა კომენტარი უნდა გაუკეთო!

დღეს, საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე, ტელევიზიით გამოვიდა ბორის ელცინი. მისი სიტყვა მიმართული იყო რუსეთის დეპუტატთა ყრილობისადმი. დიდი ამბები იწყება რუსეთში.

22 მარტი

ჩემი სიტყვები მართლდება. გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ **თენგიზ კიტოვანი** და **ლოთი ქობალია**, მოხდა შერიგება. დღეს ისინი ერთად იყვნენ სენაკში და ხობში, აპირებენ ერთად იბრძოლონ აფხაზეთში.

26 მარტი

ინტერვიუ **თენგიზ კიტოვანთან.**

კორ: რას იტყვით ლოთი ქობალიაზე?

თ. კიტოვანი: ქობალიამ მოუწოდა სამეგრელოს მოსახლეობას, რომ მონაწილეობა მიეღოთ აფხაზეთში მიმდინარე საომარ ოპერაციებში. ყველაფერი კარგად იქნება.

კორ: ხალხი რას ამბობს.

თ. კიტოვანი: ზვიადიზმის ფაქტორი არსებობს, მაგრამ განწყობილება კარგია. ყველამ უნდა იფიქროს საქართველოს ერთიანობაზე.

„მაცნემ" გადმოსცა, რომ ფოთის და ხობის მოსახლეობის შეიარაღებული რაზმები წავიდნენ საომრად აფხაზეთში.

29 მარტი

გული მაქვს ცუდად. გუშინ სოციალ-ეკონომიკური ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე შემოვიდა პროფ. ჯემალ აფციაური, ჩემი მეგობარი, რომელსაც დავა ჰქონდა ინსტიტუტის დამფუძნებლებთან. ჯემალს თავისი უნივერსიტეტი უკვე გახსნილი ჰქონდა და უნდა ეთქვა საბჭოსთვის, რომ ის კი არ გაათავისუფლეს სოციალ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორობიდან, არამედ ახალი უნივერსიტეტი დაარსდა და ამიტომ წავიდა. როდესაც ჯემალი სიტყვას ამბობდა, უცებ დაიძახა „ვაიმეო" და ჩვენ თვალწინ ჩაიკეცა. შემდეგ მე და ზანდი ბოცვაძემ გადავიყვანეთ საავადმყოფოში, კამოს ქუჩაზე, რომელიც ინსტიტუტის პირდაპირაა, მაგრამ ვერაფერი უშველეს. შემდეგ ცუდად გახდა ერთ-ერთი დამფუძნებელი, ისიც საკაცით გადავიყვანეთ (სანიტრები საერთოდ არ ჰყავდათ). ამ დროს ჩემ მეუღლეს გამოუვლია ინსტიტუტში ჩემთან. ინსტიტუტთან მანქანა მყავდა დაყენებული, მე თვითონ საავად-

მყოფოში ვიყავი. ჩემმა მეუღლემ დაიწყო ჩემი ძებნა. ინსტიტუტის დარაჯმა უთხრა, რომ ვიღაც კაცი მოკვდა და პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანესო. ჩემ მეუღლეს უფიქრია, რომ ეს მე ვიყავი და გამოქცეულა საავადმყოფოში, სადაც პირდაპირ ვესტიბიულში დავარდნილა გულშეღონებული. ამ დროს დაიძახეს: კიდევ ერთი ქალი კვდებაო. როდესაც ვესტიბიულში შევედი, დავინახე ჩემი მეუღლე უგონოდ დასვენებული იატაკზე. უცებ ვიყვირე და მერე არაფერი მახსოვს. რატომ ვწერ ამის შესახებ? დღეს აშკარაა, რომ სიცოცხლე არაფრად არ ღირს, მართლაც, როგორც ჩიტი ისე გაფრინდება, როგორც გაფრინდა ჩემი ჯემალის სული. ხალხი ველარ უძლებს ამდენ გაჭირვებას. მართლაც მძიმე დღეები უდგას საქართველოს!

დიდი ამბებია რუსეთში. გუშინ მოსკოვში დეპუტატთა ყრილობაზე დეპუტატებმა დააყენეს საკითხი პრეზიდენტ ბორის ელცინის და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რუსლან ხასბულატოვის განთავისუფლების შესახებ. დაიწყო ფარული კენჭისყრა. მთელი მოსკოვი გარეთ იყო გამოსული, გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ ბონერი და შემდეგ ბორის ელცინი. ბორის ელცინმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ხალხმა აირჩია და თუ 25 აპრილს რეფერენდუმზე მას ხალხი მხარს არ დაუჭერს, ის გადადგება. კენჭისყრის შედეგად ბორის ელცინის გადადგომას 62 ხმა დააკლდა. ასევე ვერ გადაირჩიეს რუსლან ხასბულატოვიც. ყრილობა ჩიხში მოექცა. საქართველოში იწყება კუპონების შემოტანა. არ ვიცი, მე ვარ სულელი, თუ ეს მთავრობა. მე არა ვარ ეკონომისტი, მაგრამ ამ კუპონებს გლეხი და კომერციული სტრუქტურები რომ არ მიიღებენ, ნეტავ ეს არ იციან? ამ გაძვალტყავებულ სახელმწიფოს რომ არაფერი გააჩნია, რის იმედზე უშვებენ კუპონს? რა მოპყვება ამას? ხალხი მშიერია და ამ ერთ თვეში, ალბათ, მოითხოვს მთავრობის გადაყენებას, რომელსაც მოპყვება პარლამენტის დათხოვნაც. ამის შემდეგ რჩება ორი გზა: ან ედუარდ შევარდნაძის დიქტატურა, ან მისი გადადგომა. შევარდნაძის გადადგომას მოპყვება ანარქია. არსებობს ზვიად გამსახურდიას დაბრუნების შანსიც.

ჩემი აზრით, კუპონების შემოღება ეს არის მთავრობის კრახი, ეს არის სრულიად მოუმზადებელი რეფორმა. ამ მთავრობას ხალხის არ ესმის, მისი შემადგენლობის 90% გასაყრელია, რაც შეეხება პარლამენტს, იქიდან გასაშვებია მხოლოდ 20%. სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის სპიკერის, **მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველთა 98% გასაშვებია.**

30 მარტი

დღეს ირაკლი ბათიაშვილი გამოვიდა პარლამენტის სხდომაზე და მოპყვა, რაც წერია გაზეთებში: ზუგდიდში მიტინგი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, საზოგადოებრივი გაერთიანება „ჭყონდიდელის" თავმჯდომარე და სხვ. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ლოთი ქობალია, რომელმაც აღნიშნა, რომ ის არ მიდის ამჟამად აფხაზეთში და შეეცდება მშვიდობიანი გზით მოაგვაროს ეს საკითხი, ხოლო, თუ აფხაზეთის საკითხი არ გადაწყდება მშვიდობიანად, შემდეგ იფიქრებს სხვაგვარ მოქმედებაზე. ირაკლი ბათიაშვილმა აღნიშნა, რომ ის პირველი მიესალმა ქობალიას გადაწყვეტილებას, როდესაც აპირებდა საომრად წასვლას აფხაზეთში, მაგრამ ეს ტყუილი აღმოჩნდა. არ ვიცი, მე ისევ მჯერა ლოთი ქობალიასი და იქნებ ღმერთმა მოგვხედოს. შემდეგ პარლამენტში სიტყვით გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. მან აღნიშნა, რომ სამეგრელოში დიდი მოძრაობაა აფხაზეთის საომარ

ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად და რომ სოხუმში უკვე ჩასულები არიან რაზმები ფოთიდან, ხობიდან. სოხუმში ზუგდიდელებიც იბრძვიან; საომრად ემზადებიან სენაკში, აბაშაში, მარტვილში. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სურს მადლიერებით მიმართოს სამეგრელოს მოსახლეობას.

31 მარტი

დღეს შესრულდა ორი წელი იმ რეფერენდუმის ჩატარებიდან, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 99%-მა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას. 31 მარტი არის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე. მიუხედავად მისი შეცდომებისა, **ზვიადი მაინც შევა საქართველოს ისტორიაში, როგორც ეროვნული მოძრაობის დიდი მოღვაწე.** დღეს ალბათ გაიმართება მიტინგები თბილისში. ამჟამად ეკითხულობ „იბერია-სპექტრს", სადაც გადმობეჭდილია ასლან აბაშიძის ინტერვიუ „მოსკოვსკიე ნოვოსტიდან", რომელიც მიპყავს ვლადიმერ კონსტანტინოვს.

ერთ-ერთ კითხვაზე ასლან აბაშიძე პასუხობს: „Аджария исконно грузинская земля, государственность Грузии исторически берет начало отсюда. Аджария всегда была ревностной хранительницей единства Грузии, самых лучших, самых древних традиций нашего народа...

Грузия не сможет отделиться от Грузии. Мы не от Грузии хотим отделиться, а решительно отмежеваться лишь от тех решений и действий, которые ведут к ее расчленению и хаосу".

კაცი, რომელიც ამას ამბობს და თან მოსკოვის გაზეთში, როგორ შეიძლება, რომ არ დააფასო. შეიძლება მისი მოქმედება ყოველთვის არ ჯდებოდეს დემოკრატიულ ჩარჩოებში, მაგრამ რა დემოკრატიულობაზე არის ლაპარაკი, როდესაც საქართველო გახდა ბანდიტების და ნარკომანების ქვეყანა. ძალიან უნდათ ბათუმის გაძარცვა და განსაკუთრებით საზღვარზე გასვლა, მაგრამ ასლან აბაშიძე გაეჩხირათ ყელში და ვერაფერს უშვებიან.

მე შეიძლება ბრალი დამდონ: ჯერ მურმან ომანიძეს აქებდი, შემდეგ — ვალტერ შურლაიას, ლოთი ქობალიას, ახლა — ასლან აბაშიძეს. ჩემი აზრით, აქ სიმპათია-ანტიპათიაზე არ არის ლაპარაკი. მე, როგორც ისტორიკოსი, დარწმუნებული ვარ, რომ მათ უყვართ საქართველო და ეს ხალხი საქართველოს გამოადგება. აბა, ვინ მიყვარდეს? ნარკომანებით და ბანდიტებით გარშემორტყმული პიროვნებები, რომელთა ხელშეწყობით იძარცვება ქართველი ხალხი, იღუპება ახალგაზრდობა, ნადგურდება ყოველივე და არაფერი შენდება.

აბა, წაიკითხეთ ასლან აბაშიძის ინტერვიუ, სადაც იგი წერს: „В прошлом году сдали четыре школы, построили, менее чем за два года, более ста мостов через горные реки, в том числе самый большой в Грузии длиной 476 метров. Мы освободили всех жителей всех районов от уплаты сельхозналогов, налогов на домовладение, горные, менее богатые районы, освобождены от платы за электричество и пользование канатной дорогой. Совместно с крупнейшей английской аудиторийной фирмой разрабатывается проект создания в Аджарии свободной экономической зоны. Есть проект реконструкции Батумского порта с участием фирм Грузии, США, Англии, строительство нового аэропорта, нефтеперерабатывающего и мукомольного завода. Все это станет заметным вкладом в возрождение экономики всей Грузии».

1 აპრილი

გაზ. „რეზონანსში" დაიბეჭდა მასალა სათაურით „სერჟანტი-სიმუსი – ქობალია

ბუჩქებში". დაანებონ თავი ლოთი ქობალიას, ხან ადიდებენ, ხან აგინებენ. მე ვიმეორებ: მას აქვს თავისი შეხედულება და ამბობს, რომ „აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მშვიდობიანი გზით". წინა ჩანაწერში მე ერთად მოვიხსენიე პიროვნებები: ომანიძე, აბაშიძე, ქობალია, შურღაია, რომლებიც, რა თქმა უნდა, განსხვავებული ადამიანები არიან და არ შეიძლება მათი გაერთიანება. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ქართველ კაცს უნდა შეხედო დადებითი მხრიდან და ქართველს არ უნდა გძულდეს ქართველი. თუ უარყოფითი ჭრილით განიხილე ადამიანი, უარყოფითი თვისებები ყველას გააჩნია, მათ შორის ყველა ქართველსაც. ვინც განსაკუთრებით სხვაზე წერს ცუდს, მას თვითონ გააჩნიათ უამრავი უარყოფითი თვისება.

3 აპრილი

მოსკოვის ტელევიზია პირდაპირ ეთერში გადმოსცემს ინტერვიუს ედუარდ შევარდნაძესთან.

კითხვა: თუ ემთხვევა თქვენი და კიტოვანის შეხედულებები?

ედუარდ შევარდნაძე: არის განსხვავებები, მაგრამ ძირითადად ერთნაირი შეხედულებები გვაქვს.

კითხვა: რას იტყოდით აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე?

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენ არ გვაწყობს ომი, მით უმეტეს ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ, ომი არც აფხაზებს აწყობთ, ეს აწყობს მესამე მხარეს. ამავე დროს არის მაგიური წრეები. უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებობენ რეაქციული წრეები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში დასპეციალდნენ ამ საქმეში... ჩვენთვის მთავარია, როგორ გამოვიდეთ ამ კრიზისიდან...

კითხვა: რას იტყოდით საქართველოს ფედერაციულ მონყობაზე?

ედუარდ შევარდნაძე: ფედერაციული მონყობა არ არის პანაცეა, გუშინ გვქონდა კონსტიტუციის შემმუშავებული კომისიის სხდომა, რომელსაც კიდევ ერთი ნელი სჭირდება მუშაობისთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთის ავტონომია დარჩება და აფხაზების ყველა ავტონომიური უფლება დაცული იქნება.

კითხვა: რამდენი ხანი შეიძლება გაგრძელდეს ეს კონფლიქტი?

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენ არ გვინდოდა ბრძოლა, პირველივე დღეებიდან ეცდილობდით მშვიდობის დამყარებას და ამიტომ მოვანერეთ ხელი მოსკოვში 3 სექტემბერს ხელშეკრულებას, რომელიც დაარღვიეს აფხაზებმა.

კითხვა: რა ნინააღმდეგობას აწყდებით რუსეთის მხრიდან.

ედუარდ შევარდნაძე: ყველაფერი სნორად მიდიოდა 3 სექტემბრამდე, როცა ეს ხელშეკრულება სრულდებოდა... გუდაუთაში სამხედროები თვითნებურად მოქმედებდნენ, იმედი მაქვს, ელცინი რომ დაბრუნდება, ნორმალური ურთიერთობა დავამყაროთ... რუსეთის უმაღლესმა საბჭომ რამდენჯერმე მიიღო დადგენილება, რომელიც შეურაცხყოფას გვაყენებდა... ამჟამად სოჭში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს გრაჩოვი, სიგუა და კიტოვანი, დოკუმენტები მზად არის.

კითხვა: რა რწმუნებულებებით ჩამოდის გრაჩოვის და თქვენი დელეგაციები. შევა თუ არა საქართველო დსთ-ში.

ედუარდ შევარდნაძე: არა მგონია ეს მოხდეს, რადგან ხალხი დსთ-ში შესვლის წინააღმდეგია...

კითხვა: გამსახურდია რომ დაბრუნდეს საქართველოში, გაასამართლებენ თუ არა მას?

ედუარდ შევარდნაძე: მე არა ვარ გენერალური პროკურორი, დრო გვიჩვენებს.

კითხვა: როგორი კრიმინოგენური სიტუაციაა საქართველოში?

ედუარდ შევარდნაძე: ძალიან ნელი ტემპით მიდის კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორება.

კითხვა: რას იტყვით, ახლა მზე დასავლეთიდან ამოდის, თუ, როგორც ადრე – ჩრდილოეთიდან.

ედუარდ შევარდნაძე: это злобный вопрос. მე ისევ მჯერა, რომ საქართველო და რუსეთი თანასწორ ურთიერთობებს დაამყარებენ.

7 აპრილი

გუშინ სოჭში დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს დელეგაციასა (თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი) და რუსეთის დელეგაციას (პავლე გრაჩოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. პასტუხოვი) შორს.

დღეს ეკითხულობ გაზ. „მიმომხილველს", სადაც დაბეჭდილია ირაკლი გელოვანის სტატია სათაურით „ერთი ყაჩაღის ოდისეა", რომელიც ლოთი ქობალიას ეხება. ამ ბოლო ხანს დიდ ადგილს ვუთმობ ჩემს ჩანაწერებში ლოთი ქობალიას, რადგან მიმაჩნია, რომ ამ კაცს შეუძლია დიდად სასარგებლო საქმე გააკეთოს საქართველოსთვის. რამდენიმე დღის წინ ვუყურებდი, როგორი ოვაციებით ხვდებოდა მას ხალხი. ლოთი ქობალიას ტაშს უკრავდა ყველა, მათ შორის ქალიც, ბავშვიც და მოხუციც. რა გამოდის, ისინიც ყაჩაღები არიან? ამიტომ ამ სტატიის დამწერს უნდა ჰქონდეს ტვინი და უბრალოდ ადამიანური პატიოსნება. ის წერს, რომ ზუგდიდში ლუმპერები შეიკრიბნენო. ეს აზრი საბოლოოდ თუ არ მოსცილდა ქართველი კაცის აზროვნებას, მაშინ საქართველო დაიღუპება. ჩემი აზრით, სწორედ ეს ე. წ. „ლუმპერები" ჯობია გამდიდრებულ და ე. წ. „ინტელიგენტი" ოჯახების ნარკომან შვილებს, რომლებიც ნარკოტიკის გამო საქართველოს კი არა საკუთარ ოჯახს გაყიდიან.

სწორედ დღეს გადმოსცეს ტელევიზიით, რომ გორის პოლიციის სამორიგეოს თავს დაესხა 6 ავტომატიანი, რომლებმაც მანამდე გაზ-24 წაართვეს მოქალაქეს. ბანდიტებმა მოითხოვეს 2 პიროვნების განთავისუფლება, რომლებიც ნარკოტიკებზე იყვნენ დაჭერილები. იმ ორის გარდა კიდევ 7 პატიმარი გაუშვეს.

8 აპრილი

9 აპრილი პარლამენტის სხდომაზე გამოცხადდა დასვენების დღედ.

გუშინ ტელევიზიით აჩვენეს, რომ ბაქოში დაიჭირეს **პეტრე გელბახიანი** და **ვიქტორ დომუხოვსკი**, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დოლიძის ქუჩაზე აფეთქების მოწყობაში.

ამჟამად პარლამენტში იხილება კანონი თვითმმართველობის შესახებ. ვახტანგ გოგუაძე გამოდიოდა და უცებ ამიტყდა სიცილი, რადგან განაცხადა „ეს საქმე კარგად დაგვაკვალიანებსო". მთელი საქართველო ამ სიტყვებზე იცინის. ვახტანგ გოგუაძე კი ძალიან ხშირად ხმარობს ამ სიტყვას, ვერაფრით ვერ გადაეჩვია.

გამომრჩა, ტელევიზიით გადმოსცეს, რომ ინგირთან სამხედრო მატარებელი გააჩერეს და მოითხოვეს ვიქტორ დომუხოვსკისა და პეტრე გელბახიანის განთავისუფლება. ასეთი მეთოდებით არ შეიძლება ბრძოლა.

გაზ. „ივერია-ექსპრესი" (7 აპრილი) წერს: **ბათუმის დელეგაციამ სოხუმში ჩაიტანა დახმარება — 50 ტონა ტვირთი, ამავე დროს ბათუმში შექმნილია აფხაზეთის დახმარების შტაბი.**

ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ მეჩვენებინა, როცა აგინებენ ასლან აბაშიძეს ხაზი გაუსვან იმასაც, **თუ რა დიდ დახმარებას უწევს ეს ადამიანი აფხაზეთს.**

9 აპრილი

ისევ ვუსმენ სიმღერას „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები", ისევ ცრემლები მომდის. **რა ერთიანი იყო მაშინ საქართველო და თავი კი უბედური გვეგონა, რა ვიცოდით, წინ რამდენი უბედურება გველოდებოდა.**

13 აპრილი

გუშინ და დღეს ედუარდ შევარდნაძე უკრაინაში იმყოფებოდა. საკმაოდ წარმატებით ჩაიარა შეხვედრამ ლეონიდ კრავჩუკთან. ედუარდ შევარდნაძე აშკარად მოკავშირეებს ეძებს რუსეთის წინააღმდეგ და აბსოლუტურად სწორად იქცევა.

14 აპრილი

ვაი, რა მალე გასულა 15 წელი! რამდენი რამე მახსენდება 14 აპრილთან დაკავშირებით.

დღეს ზვიადის მომხრეებმა ჩაატარეს მიტინგი, რომელიც დაურბევიათ.

15 აპრილი

დღეს პარლამენტის სხდომაზე ერთი კურიოზი მოხდა. ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, რომ მიტინგის დასარბევად ძაღლები მოიყვანესო. ვახტანგ გოგუაძე შეეკითხა: რომელ ძაღლებზეა ლაპარაკი? ატყდა სიცილი. ირაკლი მელაშვილმა ჰკითხა: თქვენ რომელ ძაღლებს გულისხმობთ? ვახტანგ გოგუაძე დაიბნა და ასე უპასუხა: მეც ხომ მინახია ძაღლი და ვიცი, რომ ოთხი ფეხი აქვსო.

17 აპრილი

გუშინ გვიან ღამით ვუყურებდი „ეზგლიადს". გადაიცა ინტერვიუ რუსეთის პარლამენტის უშიშროების ქვეკომისიის თავმჯდომარესთან (გვარი არ მახსოვს). მანამდე აჩვენებდნენ ბოსნიას და ჰერცოგოვინას და მსჯელობდნენ, თუ რატომ დაკარგა რუსეთმა გავლენა ბალკანეთზე. ალაპარაკებდნენ სერბებს, რომ, ვითომ, ისინი განიცდიან ყველაზე დიდ გაჭირვებას და რომ ევროპა და აშშ, თურმე, ტყუილად ჩაგრავს მათ. ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის ნმინდა იმპერიული იდეოლოგიის გამომჟღავნება. ყველამ კარგად იცის, რომ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში უკვე დაიღუპა 140 ათასი კაცი, ძირითადად მუსლიმები. ქვეკომისიის თავმჯდომარემ აშკარად აღიარა რუსეთის მონაწილეობა ტაჯიკეთის ამბებში. მან თქვა, რომ რუსეთის ინტერესებში შედის ტაჯიკეთის საზღვრების დაცვა ავღანეთთან, რადგან იქიდან ნარკოტიკები და იარაღი პირდაპირ რუსეთში შემოვაო. **30 ათასი კაცი დაიღუპა ტაჯიკეთში სამოქალაქო ომის შედეგად და მაინც მოახერხა რუსეთმა თავისი მომხრე მთავრობის დასმა.**

რუსეთი ისევ რუსეთია. ბორის ელცინმა გუშინწინ ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აჭარას, აფხაზეთს და „სამხრეთ ოსეთს" უნდა რუსეთთან შეერთება და რომ საქართველოს ჯარები უნდა გავიდეს აფხაზეთიდან.

22 აპრილი

ამ რამდენიმე დღის წინ გამოვიდა თენგიზ კიტოვანის ბრძანება, რომ დასვენების მიზნით „მხედრიონი" გამოსულიყო ოჩამჩირის რაიონიდან. აშკარად ჩანდა, რომ რაღაც ხდებოდა. ბევრი ჭორი დაირხა, მაგრამ მე ვხვდებოდი, რომ ეს დაკავშირებული იქნებოდა ლოთი ქობალიასთან.

ძალიან გამიხარდა, რომ ლოთი ქობალია ოჩამჩირისაკენ დაიძრა და განაცხადა, რომ ის მშვიდობიანი გზით ეცდება მოაწესრიგოს შეიარაღებული კონფლიქტი. მართლაც, ჩემი აზრით, ეს რაზმი არის მშვიდობის დამყარების ერთადერთი იმედი, რადგან ლოთი ქობალიას ხალხი არ მონაწილეობდა ამ ომში. უაღრესად პატიოსანი ხალხი შემოიკრიბა ქობალიამ. „მხედრიონშიც" არიან ნესიერი ადამიანები, მაგრამ ბევრი ნარკომანი და ბანდიტიცაა. რას იტყვის ახლა პროფ. **ნოდარ ლომოური, რომელმაც „საქართველოს რესპუბლიკაში" რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა საზიზღარი სტატია „საქართველოს ოპოზიცია არ უნდა"** (თუ „არ სჭირდება", არ მახსოვს ზუსტად). **ნოდარ ლომოური დასცინის და ქართველი ხალხის ღალატში დებს ბრალს ლოთი ქობალიას.** ეს სტატია ძალიან არ მომეწონა. ლომოური დასაწყისში წერს, რომ რაღაც ფარატინა, ნაგლეჯი გაზეთი არსებულაო („საქართველოს სამრეკლო"). პროფესორმა, ისტორიკოსმა გაზეთი, რომც არ ვარგოდეს, ჯერ უნდა ნაიკითხო და მერე შეაფასო. ნოდარ ლომოური კი თვითონ აცხადებს, რომ ეს გაზეთი არც წაუკითხავს და არც ნაიკითხავს.

26 აპრილი

დღეს ვუსმენ თენგიზ კიტოვანს, გია ყარყარაშვილის და თენგიზ კიტოვანის მოადგილეების პრესკონფერენციას. კიტოვანმა განაცხადა, რომ ის იყო ერთადერთი, რომელიც 4 საათი ელაპარაკა ედუარდ შევარდნაძეს, რომ ჩამოსულიყო მოსკოვიდან. ამიტომ აცხადებს დიდი ჭორია, რომ ის თითქოს გადატრიალებას ამზადებს შევარდნაძის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, განსხვავება მათ შორის არის. ეს განსხვავება ისაა, რომ მას აქვს კომუნისტური „მიმლენიები", ხოლო ის მოვიდა ეროვნული მოძრაობიდანო. პრესკონფერენციიდან აშკარად ჩანდა, რომ თენგიზ კიტოვანსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის დაძაბულობაა, რაც ერთი შეკითხვიდანაც გამოჩნდა. თენგიზ კიტოვანს შეეკითხნენ გენერალ ფიფიაზე, რომელიც მას თან ჰყავდა აფხაზეთში (გენერალ ფიფიაზე ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ის საბჭოთა კავშირის სუკის დიდი თანამდებობის პირი იყო. პირადად შევარდნაძე საჭიროდ არ თვლიდა რამდენიმე სადაზვერო სამსახურის არსებობას და მათ შორის ფიფიას სადაზვერვო სამსახურს, რომელიც ოფიციალურად იყო მინისტრთა საბჭოს უშიშროების და თავდაცვის განყოფილების გამგე). თენგიზ კიტოვანმა ამ შეკითხვაზე განაცხადა, რომ გენერალ ფიფიაზე დიდი თანამდებობები ჰქონდათ სხვებს მოსკოვშიო (იგულისხმება ედუარდ შევარდნაძე) და არაფერი გაუკეთებიათ საქართველოსთვისო. თენგიზ კიტოვანს შეახსენეს, რომ ის არ იყო პარლამენტის მიერ დამტკიცებული. ამის პასუხად მან განაცხადა, რომ ეს ჯარს და ხალხს უნდა შეეკითხოთო. საქართველოში აშკარად ჩანს დიდი დაპირისპირება. ცხადია, ლოთი ქობალია მხარს დაუჭერს თენგიზ კიტოვანს, რადგან სამეგრელოს აოხრებაში ისინი ბრალს სდებენ ძირითადად ედუარდ შევარდნაძეს. ედუარდ შევარდნაძეს, ვიმეორებ, დიდი შეცდომები მოსდის საკადრო პოლიტიკაში, რადგან მან გეზი აიღო მხოლოდ ძველ კომუნისტ მუშაკებზე და ინტელიგენციის იმ ნაწილზე, რომელთაც არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნია ხალხში. ეს ის ხალხია, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ თავიანთ თავზე და ოჯახის უზრუნველყოფაზე ზრუნავდნენ, არ აღელვებდათ და არც აღელვებთ საქართველოს ბედი.

დღეს უჩვენეს თათბირი მართლმსაჯულების თაობაზე. მოხსენებით გამოვიდა თენგიზ სიგუა. მან აღნიშნა, რომ ორი თვე გავიდა უკანასკნელი თათბირიდან და

არაფერი შეცვლილა. დაფიქსირებულია 204 განზრახ მკვლელობა, გაუპატიურების რიცხვი ორჯერ გაიზარდა. თენგიზ სიგუას გამოსვლა იყო უნიათო და არაფრის მთქმელი. კოტე გაბაშვილმა განაცხადა, რომ ნელს დანაშაული იმიტომ გაიზარდა, რომ შარშან არ ფიქსირდებოდა ბევრი დანაშაული. თემურ ხაჩიშვილმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა არის მძიმე, სამხედროები არავითარ კანონს არ ექვემდებარებიან, პოლიციას უნევს პირისპირ დარჩენა ამ ბანდებთან, ერთი ალიყური რომ მოხვდეს რომელიმე დემონსტრანტს, მთელი პარლამენტი ფეხზე დგას, ხოლო, როცა პოლიციელებს კლავენ, მაშინ არავინ არაფერს ამბობსო. თემურ შაშიაშვილმა აღნიშნა, რომ მძიმე მდგომარეობა არის ქუთაისში.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. მან განაცხადა, რომ საქართველო ჯერ ნახევრად სახელმწიფო არისო.

5 მაისი

ამ რამდენი დღის წინ გაზ. „იბერია-სპექტრში" გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103 თანამშრომლის მიმართვა ედუარდ შევარდნაძისადმი. ამ მიმართვაში მოითხოვდნენ მის გადადგომას. რა თქმა უნდა, ამ ხელმოწერის ავტორები არიან ე. წ. „ზვიადისტები". თსუ რექტორატმა და ადმინისტრაციულმა საბჭომ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ძირითადი კოლექტივი არ ინონებს ამ მიმართვას. ამას მოპყვა ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს განცხადება. ეს მე უკვე აღარ მომეწონა, რადგან ჩანდა, რომ **ინყება კამპანია ზემოდან, ისეთივე კამპანია, რომელსაც მიჩვეულები ვიყავით 70 წლის განმავლობაში.** გუშინ მივედი ისტორიის ფაკულტეტზე. წინა ხანებში, ავადმყოფობის შემდეგ ფაქტობრივად არ დავდიოდი. დეკანმა, კარლო მეშველიანმა მითხრა, ძალიან კარგი, რომ გამოხვედიო, რადგან ხვალ არის დანიშნული ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა და რომ საბჭოზე უნდა დაგეეგმო პროფ. ვახტანგ ჯანჯღავა და დოც. მიტო ლეთოდიანი, რომლებმაც მოანერეს ხელი 103 თანამშრომლის მიმართვას. ორივე პიროვნებას დიდ პატივს ვცემ, ისევე როგორც ისინი მე. დეკანს განვუცხადე, რომ პირადად მე არ ვეთანხმები იმ 103 კაცის მიმართვის შინაარსს, მაგრამ მათ თავიანთი აზრი გააჩნიათ. მე არავითარი უფლება არა მაქვს ისინი დავგმო და თან იმ მეთოდებით, როგორც ეს ხორციელდებოდა ადრე, საბჭოთა კავშირის დროს და ხორციელდებოდა თვით ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროსაც. მშვენივრად მახსოვს, როგორ გმობდა სოფელ ბაკურციხის პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი უნივერსიტეტის კოლექტივს. კარლო მეშველიანს პირადად ვუთხარი, რომ ჩემთვის ნერვიულობა არ შეიძლება, რადგან ფაქტობრივად ერთი თვე ვინექი მწვავე იშემიის გამო, ხოლო საბჭოს სხდომას, პროტესტის ნიშნად, არ დავესწრები და წერილობით ვაცნობებდი საბჭოს ჩემი არდასწრების მიზეზის შესახებ. ამ საუბარს ესწრებოდა პროფ. გურამ ლორთქიფანიძე, რომელიც შემეკამათა. გია ავალიშვილმა დამამშვიდა და მითხრა, რომ ჩემთვის ნერვიულობა არ შეიძლებოდა.

საღამოს პარლამენტის სხდომას ვუყურებ. თემურ ხაჩიშვილი გამოვიდა სიტყვით. მას პოლიციის დამატებითი ნაწილები შეუყვანია ხობში. ამან დიდი შეშფოთება გამოიწვია სამეგრელოში. ლოთი ქობალია საჩქაროდ დაბრუნდა უკან ოჩამჩირედან. თენგიზ კიტოვანმა თემურ ხაჩიშვილს უთხრა, ეს სპეციალურად გააკეთეთო, რითაც ჩაშალეთ მოლაპარაკებაო. სიტყვით გამოვიდა ჯაბა იოსელიანი. მან განაცხადა,

რომ ლოთი ქობალია 120 კაცით ოჩამჩირედან კურდღლივით გამოიქცაო. ჯაბა იოსელიანმა პოლიტიკურ პარტიებსაც გადაუარა. აშკარად ჩანდა, „მხედრიონი" ნაწყენი იყო, რომ ოჩამჩირედან გამოიყვანეს და ამიტომ შეიყვანა თემურ ხაჩიშვილმა პოლიციის ნანილები ხობში. ადრე აკაკი ასათიანმა სწორად თქვა, და მეც დავწერე ამის შესახებ, რომ ლოთი ქობალიასთან შერიგებას თბილისიდან ჩაშლიანო. მამუკა გიორგაძემ, რა თქმა უნდა, მხარი დაუჭირა თემურ ხაჩიშვილს. ერთმა დეპუტატმა ნამოიძახა, არ გამიხდა ლოთი ქობალია ნაპოლეონიო და, რომ ის არის ბანდის მეთაურიო. რევაზ შავიშვილმა თენგიზ კიტოვანს უთხრა: რა მოხდა 120 კაცით შევიდა ქობალია აფხაზეთში, ჩვენ კი გავაფეტიშეთო, თქვენ ქობალია პირველს მოგჭრით თავსო.

თენგიზ კიტოვანმა განაცხადა, რომ ბევრი რამ გამოსნორდა, არცერთი ხიდი აღარ ფეთქდება, გზები გაიხსნა და თქვენ გინდათ, რომ ერთმანეთი ისევ დავჭამოთო. აბსოლუტურად სწორი განცხადებაა!

ჯანსუღ ჩარკვიანი: რომელი გვადი ბიგვაა გამოსწორებული ლოთი ქობალია. მან თემურ ხაჩიშვილს მიმართა, სწორი გზა გაქეს არჩეულიო.

მერაბ ურიდიამ განაცხადა, რომ იყო სენაკში. პოლიციის შეყვანამ ისევ მისცა საბაბი ლოთი ქობალიას. წალენჯიხა, ჩხორონყუ, ზუგდიდი არ გვენდობა ეგზეკუციების გამო. არ უნდა მიგვეცა საბაბი ლოთი ქობალიასთვისო.

ჯაბა იოსელიანი: ხალხი გადაიღალა, პოლიციას უნდა მივცეთ თავისუფლება.

ირინა სარიშვილი: მომეცით უფლება განცხადება გავაკეთო.

ედუარდ შევარდნაძე: ლოთი ქობალიას არ უნდა მივცეთ ფორმალური საბაბიც კი, რომ თუნდაც ხუთი კაცით უკან გამობრუნდეს... რანაირი შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიძლება არსებობდეს, თუ მას უფლება არ ექნება გადააადგილოს პოლიცია. ამ საკითხში სადავოს ვერ ვხედავ... ჯობს თავი დავანებოთ მეგრულ და ანტიმეგრულ საუბრებს. ჩვენ ვამაყობთ ამ კუთხით.

ედუარდ შევარდნაძემ ნახევარი საათით შესვენება გამოაცხადა. თენგიზ კიტოვანი აღარ მოვიდა შესვენების შემდეგ. ირინა სარიშვილიმა განაცხადა, რომ თავისი განცხადება მან გააცნო თენგიზ კიტოვანს. მან აღნიშნა, რომ საქართველოში ფაქტობრივად ომია, ომის დროს ქვეყანას არ ჰყავს თავდაცვის მინისტრი და ვიცე-პრემიერი. უმოკლეს ვადაში ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფოს მეთაურმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. სახელმწიფოს მეთაურმა გააკეთა განცხადება, რომ მოვა დრო, როდესაც ყველაფერს იტყვის. მოვითხოვთ დავთქვათ დღე და საბოლოოდ ითქვას ვინ ვინ არის. სახელმწიფო გადატრიალება უკვე მიმდინარეობს, როცა თენგიზი ლაპარაკობს სულ ხუმრობს და იცინის... ასეთი ხუმარა მინისტრი არასერიოზულად მიმაჩნია.

ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ადრე არ იცნობდა არმიის შენაერთებს, ამიტომ მიაჩნდა, რომ ჯობია ისევ თენგიზ კიტოვანი დარჩენილიყო. გამონათქვამებში ფრთხილი უნდა ვიყოთ, ამაში მეც ვცოდავო, ხუთშაბათს განვიხილოთ პრემიერის მოადგილის და თავდაცვის მინისტრის თანამდებობის საკითხიო.

6 მაისი

დღეს გიორგობაა. ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს დღე.

დილით პარლამენტის სხდომაზე თქვეს, რომ პრემიერის მოადგილის და სამხედრო მინისტრის საკითხი განიხილებოდა საღამოს სხდომაზე. ოთხ საათზე დაიწყო საღამოს სხდომა. ედუარდ შევარდნაძე არ ჩანდა.

სიტყვით გამოვიდა პრივატიზაციის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე. გავიდა ერთი საათი და ორმოცი წუთი. პოეტმა გენო კალანდიამ დაიძახა: რა დროს აქციებზეა საუბარი, მოვიდეს სახელმწიფოს მეთაური და თავდაცვის მინისტრი და პასუხი გაგვცენ სოხუმი რომ იბომბებაო. აკაკი ბობოხიძემ ეეღარ მოითმინა და იყვირა: აღარ გეყოთ დროის გაყვანა? იქ მოლაპარაკება მიმდინარეობს და ამდენი ხალხი ტყუილად ესხედვართო! ჯერჯერობით კამათი პროვოკაციაზე გრძელდება. ირაკლი ნერეთელმა ეეღარ მოითმინა და დაიძახა: რომელი ლუკმის გადაყლაპვაც არ შეგვიძლია არ უნდა წავეპოტინოთო, გვეყოფა უაზრო ლაპარაკი სოფლის მეურნეობაზე! 5 საათსა და 45 წუთზე ვახტანგ გოგუაძემ შეაჩერა სხდომა. შესვენების დროს აჩვენეს, რომ 2 **საათზე და 30 წუთზე ორი თვითმფრინავი შემოფრინდა სოხუმის თავზე და ოთხი პარაშუტით გადმოაგდეს ოთხი ბომბი, ბავშვი და ქალი დაიღუპნენ.** სახლები დანგრეულია. კიდევ კარგი, პარაშუტით რომ გადმოყარეს ბომბები. სოხუმელებმა თქვეს, რომ უამრავი ხალხი ყოფილა ერთგან გასვენებაზე, მათ დაინახეს როგორ ცვიოდა ბომბები და გაქცევა მოასწრეს. საშინელება ხდება! ვინც ჯარი შეიყვანა აფხაზეთში და **ეს მომენტები არ გაითვალისწინა, ნამდვილად დასაჭერები არიან. რას ერჩოდნენ ამ საწყალ ხალხს, იქ მცხოვრებლებს, რომლებიც გაძარცვეს და მიატოვეს. ახლა ფაქტობრივად მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა იბრძვის. სწორად აღვნიშნე რადიოინტერვიუში, რომ ტერიტორიები კი არა, აფხაზეთში მცხოვრებელ ქართველები დავკარგეთ, ჩვენ მათ კი არ დავეხმარეთ, არამედ გავაუბედურეთ.**

საღამოს 7 საათზე განახლდა პარლამენტის სხდომა. გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. მან განაცხადა, რომ ომი გაჭიანურდა... რომ შესთავაზა თენგიზ კიტოვანს პრემიერის მოადგილის თანამდებობა და რომ ემუშავათ როგორც მუშაობდნენ. მან კატეგორიულად უარი განაცხადა. დღეს დილით ვისაუბრეთ თავდაცვის საბჭოზე, საბჭოს წევრებმაც თხოვეს თენგიზ კიტოვანს, მაგრამ მან სხდომა დატოვა... 15 წუთის წინ კიდევ ვთხოვე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ის დეპუტატად აპირებს დარჩენას. არავითარი გადატრიალება არ მოხდება, ხალხი მხარს არ დაუჭერს გადატრიალებას, გადატრიალების მომხრეები მხოლოდ ნაძირლები შეიძლება იყვნენ. თუ გვინდა ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ ... პირველი, რაც მინდა გაცნობოთ ისაა, რომ მე მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება თენგიზ კიტოვანისადმი. მე მას მადლობა მინდა გადავუხადო, მისი როლი დიდია, რაც მან გააკეთა თავის ხალხთან ერთად თუ ის მოისურვებს ჩამთვალოს თავის მეგობრად და თანამებრძოლად. დღეს ქვეყანაში საომარი მდგომარეობაა, ამიტომ ვიცე-პრემიერზეც ვიფიქროთ, მაგრამ აუცილებელია დღესვე განვიხილოთ სამხედრო მინისტრის თანამდებობის საკითხი. იყო მრავალი წინადადება, იყო მოსაზრება, რომ პოლიტიკური მოღვაწე დაგვენიშნა ან დაგვენიშნა ძველი გამოცდილი გენერალი. მე არჩევანი გავაკეთე ახალგაზრდა კაცზე და მინდა შემოგთავაზოთ გენერალ გია ყარყარაშვილის კანდიდატურა. იგი პატრიოტი კაცია და გამოცდილიც. მე ვპირდები, რომ მხარში ამოვუდგები, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მან ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა (ცრემლები მომდის ისე მიხარია, რადგან გიას მართლა ეკუთვნის ეს თანამდებობა).

ნოდარ ნათაძემ მხარი დაუჭირა. **თემურ ჟორჟოლიანმა** განაცხადა: ვიცით არმიის სურვილი და ამიტომ მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ კანდიდატურას.

ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ ის გახარებულია გია ყარყარაშვილის დანიშვნით და რომ მთელი მისი სამსახური მას მხარში ამოუდგება.

თენგიზ სიგუა: გიას კარგა ხანია ვიცნობ, მხარს ვუჭერ. ის დიდი სიყვარულით სარგებლობს მის თანამებრძოლებს შორის.

გიასთვის მოულოდნელი იყო ეს დანიშვნა. იგი ჯერ გაჯიუტდა, მთელი დღე დასჭირდათ, რომ დაეყოლიებინათ.

მამუკა გიორგაძემ მხარი დაუჭირა.

დათო ბერძენიშვილმა განაცხადა, ჩვენ მივესალმებით ამ გადანყვეტილებასო.

ვალერი კვარაცხელიამ განაცხადა, რომ გია სულით ხორცამდე პატრიოტი კაცია. მინდა გიორგობა მივულოცო.

ქართლოს ღარიბაშვილმა მხარი დაუჭირა.

ჭაბუა ამირეჯიბმა განაცხადა, რომ გიას დიდი ორგანიზატორული ნიჭი გააჩნია.

რეზო ჯაფარიძემ მხარი დაუჭირა და ამავე დროს აღნიშნა კიტოვანის დიდი დამსახურება.

იზა ორჯონიკიძე: გია, შვილო, ძმაო, შენ უანგარო სამსახურს გაუმარჯოს.

ჩატარდა კენჭისყრა, მომხრე აღმოჩნდა 149 დეპუტატი, ნინააღმდეგი 10.

სიტყვით გამოვიდა გია ყარყარაშვილი. მან განაცხადა: მინდა მადლობა მოვახსენო თენგიზ კიტოვანს. მე ის გავიცანი, როდესაც ცხინვალში დამჭრეს და იქიდან გამომიყვანეს. მერე ერთად ვიყავით, მადლობა პირადად ჯაბა იოსელიანს.

ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ უნდა მადლობა გადაუხადოს თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანს.

8 მაისი

წავიკითხე გუშინდელი „საქართველოს რესპუბლიკა", სადაც თითქმის მთელი გვერდი აქვს დათმობილი უნივერსიტეტის 103 თანამშრომლის მიმართვის დაგმობას. ვატყობ ისევ ძველი დრო დგება. აქ არის იურიდიული, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების განცხადებები, შუქია აფრიდონიძისა და სხვათა განცხადებები. ჩემი აზრით აბსოლუტურად არ არის საჭირო ასეთი პროპაგანდა.

როდესაც გია ყარყარაშვილს ნიშნავდნენ, გამიკვირდა ჯაბა იოსელიანს რატომ გადაუხადა მადლობა გია ყარყარაშვილმა. აღმოჩნდა, რომ ჯაბა იოსელიანს თვითონ უთქვამს უარი უშიშროების და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე და მხარი დაუჭერია გიას კანდიდატურისთვის.

ედუარდ შევარდნაძემ თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი დააჯილდოვა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. ამ ორი ფიგურის ჩამოცილება მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება საქართველოს ისტორიაში, რადგან დღემდე სულ ლაპარაკობდნენ, რომ **ედუარდ შევარდნაძე მათ ჩამოიყვანეს და ის ასრულებს მათ ნება-სურვილს. ალბათ, ერთ თვეში ამას მოჰყვება სიგუას ჩამოცილებაც, მის ადგილს, ალბათ, ედუარდ შევარდნაძე დაიკავებს.**

ამ დღეებში გუდაუთაში მიმდინარეობდა სამშვიდობო მოლაპარაკება აფხაზეთის სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, სოსლანიევს და ლოთი ქობალიას შორის. ამ მოლაპარაკებას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა სოხუმიდან, თამაზ ნადარეიშვილის მხრიდან. მან განაცხადა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ არა არძინბასთან. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ზურაბ ლაბახუას განთავისუფლება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობიდან. ზურაბ ლაბახუამ მოსკოვში ინტერვიუ მისცა „ნეზავისიმაია გაზეტას". აღმოჩნდა, რომ მას არძინბასაგან საკმაოდ განსხვავებული აზრი გააჩნია.

16 მაისი

7 მაისს ბოლნისში სვანებმა სცემეს მოდებაძე. მას ბოლნისელები გამოექომაგნენ

და ლილე ქალდანი დაჭრეს, დაიჭრა ორი ბოლნისელიც. სვანებმა საავადმყოფო დაიკავეს და ყველას ესროდნენ. მათ თავიანთი ხალხი აფრინეს დმანისში, მარნეულში და საშველად სვანები იხმეს. მეორე დღეს ორი სვანი დაჭრეს. იქ ჩავიდა თენგიზ სიგუა, მეორე დღეს — ედუარდ შევარდნაძე.

11 მაისს ქუთაისში რუსების ბატალიონის ტერიტორიაზე „მხედრიონი" შევიდა. რუსებმა მოკლეს 7 და დაჭრეს 10 კაცი.

14 მაისს ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში. გადაწყდა, 20 მაისიდან შეწყდეს ცეცხლი აფხაზეთში. ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი. გია ყარყარაშვილი შეხვდა პავლე გრაჩოვს. გიამ განაცხადა, რომ ზეპირად შეთანხმდნენ ეშერიდან ლაბორატორიის გატანაზე.

25 მაისი

20 მაისიდან, მცირე დარღვევებით, მაგრამ მაინც სრულდება შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ძალზე მძიმე მდგომარეობაა კრიმინოგენური თვალსაზრისით. ამას რა ეშველება, არ ვიცი. დღეს ვკითხულობ გაზ. „რეზონანსს": ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში მოხდა 160 მკვლელობა. ქართველები ერთმანეთს ხოცავენ. გახსნილია სულ 10 მკვლელობის საქმე. **რომელ ეროვნულ გრძნობებზე ვლაპარაკობთ? 14-15 მარტს დიდი შეტევა დაიწყო სოხუმზე, სულ დაიღუპა ასამდე ქართველი, ერთ კვირაში კი მოკლეს 160 კაცი. რა ეშველება საწყალ საქართველოს, რომელიც ყაჩაღებისა და ბანდიტების ქვეყანა ხდება.**

გაზ. „რეზონანსში" გამოქვეყნდა ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან. იგი აცხადებს: მელაკუდები (გულისხმობს ლოთი ქობალიას) სად დარბიან, არ მაინტერესებსო. ქობალია თავისი 100 კაცით — „ეს შეიარაღებული გლეხობა, უტუ მიქავას ვარიანტია".

აშკარად ჩანს, რომ ჯაბა იოსელიანი ბოლომდე შეურიგებელია ამ რაზმისადმი და ეს კარგს არაფერს მოგვიტანს.

26 მაისი

დღეს ჩატარდა სამხედრო აღლუმი. ზვიადისტები იკრიბებოდნენ ფილარმონიასთან, მაგრამ მათ მიტინგის ჩატარების საშუალება არ მისცეს.

27 მაისი

დღეს პარლამენტის სხდომაზე იხილებოდა საკითხი, რათა „მხედრიონის" ბაზაზე შექმნილიყო „მაშველთა კორპუსი", როგორც სახელმწიფო კომიტეტი. წინა სხდომაზე პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფაქტობრივად იქმნება ახალი სამინისტრო და ამიტომ მოინვიეს თენგიზ სიგუა. დღეს პარლამენტის სხდომაზე თენგიზ სიგუამ განაცხადა, რომ ასეთი ორგანო შექმნილია თავდაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ახალი სტრუქტურის შექმნა არ არის საჭიროო.

დღეს „მხედრიონმა" დაიწყო საპროტესტო აქცია ოპერის ბაღში. არ ეიცი შიმშილობენ თუ არა. ყოველ შემთხვევაში დღეს რომ გავიარე ოპერასთან, იქ საკმაო ხალხი ტრიალებდა.

28 მაისი

გაზ. „რეზონანსში" დაიბეჭდა ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან. მან ძალზე ცუდად მოიხსენია თენგიზ სიგუა. ჯაბასთან მისულა თენგიზ კიტოვანი. გაზეთში წერია, რომ თენგიზ კიტოვანს უთქვამს ჯაბასთვის: მე ეხლა მოვედი მეგობრების და ძმაკაცების

სანახავად, თუ საჭირო იქნება მთელ გვარდიას მოგიყვანო. ჯაბა იოსელიანმა აღნიშნა, სამი მთავრობა გამოვიცვალეთ, მეოთხესაც გამოვიცვლითო.

დღის პირველ საათზე შეიკრიბა პარლამენტის საგანგებო სესია. სიტყვით გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. მან თქვა, რომ მინისტრთა საბჭოში შეიქმნა კომისია, რომელიც ორ კვირაში შეიმუშავებს სტატუსს „მაშველთა კორპუსის" შესახებ. სამ საათზე კიროვის პარკში იყო „მხედრიონის" შეკრება. იქ მივიდა ედუარდ შევარდნაძე, კოტე გაბაშვილი, ვახტანგ გოგუაძე. აქცია შეწყდა.

2 ივნისი

ედუარდ შევარდნაძე ჩავიდა ყაზახეთში, დღეს იგი ჩინეთშია.

საქართველოში საშინელი ეკონომიკური მდგომარეობაა. რა თქმა უნდა, გამართლდა ჩემი სიტყვები – კუპონი უფასურდება. ერთი დოლარი 3200 კუპონი ღირს, რუსული მანეთი — 1200 კუპონი. თავდაპირველად ერთი-ერთზე იყო რუსული მანეთი და კუპონი. ე. ი. ჩვენ ხელფასები სამჯერ შემცირდა. უმეტეს მაღაზიებში კუპონს არ იღებენ. მალე ამას, როგორც ვამბობდი, მოჰყვება მთავრობის ნევრების შეცვლა. რომან გოცირიძეს ალბათ გადააყენებენ. მართლაც, მთავრობა არაფერს აკეთებს და ალბათ ვერც გააკეთებს, ისეთი სიტუაციაა საქართველოში.

4 ივნისი

დღეს ხელფასები გაორმაგდა, მაგრამ რას უშველის ეს?

ირაკლი ნერეთელმა გუშინ პარლამენტის სხდომაზე მოითხოვა ედუარდ შევარდნაძის გადადგომა. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გააკრიტიკა შევარდნაძე, რადგან ის გადამჭრელ ზომებს არ იღებს და არა ჰყავს ერთიანი გუნდი. დღეს გამოქვეყნდა გია ჭანტურიას ინტერვიუ, სადაც მან ირაკლი ნერეთლის მოთხოვნას ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შესახებ სიბეცე უწოდა. გია ჭანტურიამ სწორად თქვა, რომ ახლა სხვა რომ ავირჩიოთ, სანამ ის ავტორიტეტს მოიპოვებს წლები გავაო.

დღეს ვკითხულობ, რომ გაძარცვეს ნიკოლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი. ხალხი გადაგვარდა. სწორად ეწერა გუშინ, მე მგონი, გაზ. „დრონში", რომ **ჩვენ იმ მხეცებს დავემსგავსეთ, რომლებიც ზოოპარკში იზრდებიან და გალიიდან გამოშვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრება აღარ შეუძლიათო.** რა გვეშველება, არ ვიცი, რა საჭიროა ასეთი დამოუკიდებლობა, თუ ერი საბოლოოდ წახდა, გადაგვარდა და თაობები მოისპო.

10 ივნისი

გუშინ ჩამოვიდნენ ანდრეი კოზირევი, ბარანიკოვი და ბორის გრომოვი. შემდეგ ისინი გუდაუთასა და სოხუმში გაემგზავრნენ.

დღეს პარლამენტის სხდომაა. დიდი ამბებია კუპონის გაუფასურებასთან დაკავშირებით.

ვახტანგ გოგუაძემ შენიშვნა მისცა ნოდარ ნათაძეს, რომელიც თენგიზ სიგუას ეპასუხებოდა. ნათაძემ ვახტანგ გოგუაძეს მიმართა: „თქვენი შენიშვნა თქვენთვის დააკონკრეტეთო. დვალიშვილსა და თენგიზ სიგუას შორის დიდი კამათი გაიმართა. ამით ჯაბა იოსელიანი ერთობოდა და იცინოდა. ბოლოს მან განაცხადა, რომ ბანკებს ავუკრძალოთ კრედიტის გაცემა და „მხედრიონს" იარაღის ტარებაო.

ედუარდ შევარდნაძემ აბსოლუტურად სწორად შენიშნა, რომ საკითხი მოუმზადებელი იყო. შევარდნაძემ განაცხადა, რომ

პარლამენტში ბზარი გაჩნდა და რომ არცერთი ქვეყანა აღარ დაგველაპარაკებაო.

15 ივნისი

გუშინ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ პოლიტიკას გადავყევით და ეკონომიკა დაგვაინყდაო (ამას ისე ამბობს, თითქოს ჩემი ბრალი იყოს). **ეს ეკონომიკის დავიწყება კი არ არის, არამედ ეკონომიკის დანგრევაა.** ამჟამად პურზე საშინელი რიგებია, ხალხი ძირითადად ფეხით დადის. მოძრაობს რამდენიმე ტროლეიბუსი, რომელთა სახურავებზეც ხალხი სხდება. საქართველო ფაქტობრივად განადგურებულია. თითქმის არცერთ პოლიტიკოსს არ ადარდებს ხალხის ბედი.

16 ივნისი

ამ ორი დღის წინ ტელევიზიით გამოვიდა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი დავით ზეიკიძე და საზოგადოებას სთხოვა, რომ 16 ივნისს, დილის 10 საათზე დაგეგმილ თბილისის პოლიციის შეხვედრას დაესწრებოდნენ პარლამენტის, მთავრობის და პარტიების წარმომადგენლები და, რომ ბოლოს და ბოლოს საჭიროა თბილისში წესრიგი დამყარდეს.

ირაკლი წერეთელმა გაზ. „ივერია ექსპრესისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იწყებს გამოსვლებს შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით და თუ პოლიცია ჩვენ ხელს შეგვიშლის, სულ უბრალოდ, ჩვენ მათ ვცემთო, ჩვენ ძლიერი მამაკაცები გვყავსო. მეორე დღეს დავით ზეიკიძემ განაცხადა, რომ ასეთი ბიჭები თუ ჰყავდა ირაკლი წერეთელს, სად გადაიკარგა ზეიდ გამსახურდიას მმართველობის ბოლო პერიოდშიო.

გუშინ ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ საზოგადოების შეხვედრა თბილისის პოლიციასთან არ შედგებოდა. რატომ არ შედგებოდა ეს შეხვედრა ტელევიზიის პირველ არხს არ განუმარტავს. შემდეგ „იბერვიზიამ" გამოაცხადა, რომ დავით ზეიკიძე გაათავისუფლეს და რომ თბილისის პოლიციამ დაინყო გაფიცვა. აჩვენეს გაფიცულებიც. აღმოჩნდა, რომ **დავით ზეიკიძე ისე გაათავისუფლეს, მისთვის არც უთქვამთ. არ ვიცი, რატომ გაათავისუფლეს იგი, მაგრამ დავით ზეიკიძე აქტიური და ენერგიული კაცია და შეიძლება იმიტომ გაათავისუფლეს.** მას საკმაოდ პრინციპული პოზიცია ეკავა, **როდესაც „მხედრიონი" გაფიცული იყო. რას შვრება ედუარდ შევარდნაძე? ვერაფერი გავიგე მისი პოლიტიკის. ედუარდ შევარდნაძე ფაქტობრივად ვეღარაფერს აკეთებს, ქვეყანა ინგრევა.**

17 ივნისი

ინტერვიუ გია ჭანტურიასთან. მან აღნიშნა: გაუმართლებელი იყოო დავით ზეიკიძის განთავისუფლება. ედუარდ შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, მისი ხელმძღვანელობით გვინდა, რომ აღდგეს საქართველო. მაგრამ რთული ხალხი აღმოჩნდით და საშუალება არ მივეცით მას. ჩამოსვლა ედუარდ შევარდნაძის ნება იყო, ხოლო გადადგომა მისი ნება არ არის. ძალიან სწორად თქვა გიამ, რომ **ედუარდ შევარდნაძე უნდა გავანთავისუფლოთ დამყაყებული აზროვნების მქონე გარემოცვისგან და რომ უნდა დანინაურდეს ახალგაზრდობა. რაც შეეხება კომუნისტების გამოცდილებას, ეს უარყოფითი გამოცდილებაა. არ არსებობს ერთიანი გუნდი, ჩვენ ღიმილით, ტაშფანდურით უფსკრულისაკენ მივდივართ.** უნდა მივმართოთ რადიკალურ ზომებს. ადამიანს არ უნდა ეშინოდეს, რომ

შვილს მოსტაცებენ ან პირადად მას მოკლავენ. შიმშილს კიდევ მოითმენს ადამიანი, მაგრამ, რაც საქართველოში ხდება, იმის მოთმენა შეუძლებელიაო.

23 ივნისი

გუშინწინ ედუარდ შევარდნაძე გაემგზავრა ბელგიასა და გერმანიაში. ქალაქში ძალიან ჭირს პურის შოვნა, ხალხი ღამეებს ათენებს პურის რიგებში.

სენაკში გადაკეტეს რკინიგზა. ლოთი ქობალია იმუქრება. კაცმა არ იცის, რა ხდება სამეგრელოში. იქ ჩავიდა თემურ ხაჩიშვილი.

25 ივნისი

გუშინ საშინელი დღე იყო სოხუმში. მასირებული თავდასხმა მოხდა არტილერიის გამოყენებით. დაიღუპა 12 მშვიდობიანი მოქალაქე, დაიჭრა 33. ამ დროს პარლამენტის სხდომებზე დეპუტატები არც დადიან. ტელევიზიამ საშინელი პროპაგანდა დაინყო ლოთი ქობალიას წინააღმდეგ. ხალხს არწმუნებენ, რომ ის შეკრულია აფხაზებთან, ამზადებს „გრადის" ტიპის არტილერიას და ა.შ.

ჩემი აზრით, სანამ ქვეყანაში წესრიგი არ დამყარდება, ამ ომს ვერ მოვიგებთ.

29 ივნისი

ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა გერმანიიდან და ბრიუსელიდან. პარლამენტის სხდომები გრძელდება. აკაკი ასათიანის გამოსვლა იყო ზომიერი. **ირინა სარიშვილმა ისევ მოითხოვა ნესრიგის დამყარება.**

ჯუმბერ პატიაშვილმა კარგად ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ საქართველოში კანონი არ მოქმედებს და მიხედონ შინაგან საქმეებს, რადგან მათი გადაჭრის გარეშე არაფერი გამოვა (აქ ჩვენი აზრები დაემთხვა ერთმანეთს).

გია ყარყარაშვილი გამოვიდა და განაცხადა: ორი თვეა, რაც ის დანიშნულია სამხედრო მინისტრად, ხშირად გაისმის საყვედურები არმიის მიმართ. რა დააშავეს მათ, ვინც სანგრებში სხედან? მესმის, რომ არის ყაჩაღობა და მთლიანად წესრიგი არაა დამყარებული, მაგრამ დღითიდღე საქმე მაინც წინ მიდის. უცებ ომს ვერ მოვიგებთ. გია ყარყარაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი ხელშეკრულების დასადებად ჩამოვა. მზადაა ხელშეკრულების ტექსტიც.

თამაზ ნადარეიშვილმა სწორად აღნიშნა: აფხაზეთის საკითხი რომ იხილებოდა 58 დეპუტატი შეიკრიბა მხოლოდ, ახლაც ყველა შინ გარბის. საქმეს რომ გაეცნონ, სოხუმში უნდა ჩაბრძანდნენ დეპუტატები.

30 ივნისი

ედუარდ შევარდნაძე გამოვიდა პარლამენტში და განაცხადა: „ჩვენ დავდეთ ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ევროპის უდიდეს სახელმწიფოსთან – უკრაინასთან". გამეცინა, ადრე ზუსტად ასე თქვა ზვიად გამსახურდიამ: ჩვენ გვცნო ევროპის უდიდესმა სახელმწიფომ და ყველა ელოდა საფრანგეთს, ინგლისს ან გერმანიას, მან კი გამოაცხადა — უკრაინა.

ედუარდ შევარდნაძის მოხსენების შემდეგ გამოვიდა თენგიზ კიტოვანი და თქვა: ეს მოხსენება ჰგავს 70-იანი წლების, კომუნისტების პერიოდის მოხსენებასო.

2 ივლისი

დღეს მძიმე დღეა. მთელი ღამე ბომბავდნენ სოხუმს. დაბომბვა გაგრძელდა დილითაც. ისროლეს 200-მდე ჭურვი. ოჩამ-

ჩირესთან დესანტი გადმოსხეს (600 კაცი). რვა საათზე გადმოსცეს, რომ ზუგდიდში გამოსულა დეპუტატი მაქაცარია, რომელსაც ნაუკითხავს გამსახურდიას ბრძანება. თითქოს ამ ბრძანებით ლოთი ქობალიას ჯარისკაცებმა უნდა დატოვონ პოზიციები აფხაზეთში.

სიმართლე გითხრათ, გავშტერდი. როგორ შეიძლება ასეთი ტყუილის თქმა, არ დამიჯერებია და არც დავიჯერებდი, რომ ასეთ საზიზღარ ბრძანებას გასცემდა ზვიად გამსახურდია. მართლაც, 10 საათზე გადმოსცეს, რომ ეს ტყუილია. ძალიან გამიხარდა, რომ ლოთი ქობალია 800 კაცით შევიდა ოჩამჩირეში.

3 ივლისი

დღეს გადმოსცეს, რომ ოჩამჩირესთან გადმოსხმულ დესანტს ქართველები უტეევენ. მოწინააღმდეგემ დაკარგა 150 კაცი. როგორც იქნა ტელევიზიამ აღიარა, რომ ამ ბრძოლებში მონაწილეობს ლოთი ქობალიას რაზმი. აგრეთვე აღნიშნეს ისიც, რომ ლოთი ქობალიას მებრძოლები აქტიურად იბრძვიან. ქობალიას დაეღუპა 3 მეომარი. ნეტავ ამ გადაცემას რომ უყურებენ, არ რცხვენიათ გუშინდელი გადაცემის ავტორებს!

ბორის ელცინის მითითებით საჩქაროდ ჩამოფრინდა ბორის პასტუხოვი. იგი გუდაუთაში იყო.

4 ივლისი

გუმისთასთან დაიწყო შეტევები. ოჩამჩირესთანაც დიდი ბრძოლებია.

5 ივლისი

სოფ. შრომა სულ გაანადგურეს არტილერიით. ხალხი ადრე გაიხიზნა. აშკარად ფართომასშტაბიანი შეტევა იწყება სოხუმზე. ედუარდ შევარდნაძე სოხუმშია. ჩვენ ძლივს ვაკავებთ შეტევას. ანდრეი კოზირევმა გუშინ განაცხადა, რომ აფხაზები თავიანთ დედაქალაქს ბომბავენო და თუ ორ დღეში ხელი არ მოანერა ორივე მხარემ ხელშეკრულებას ცეცხლის შენყვეტის შესახებ, მაშინ რუსეთი ეკონომიკურ და სხვა სანქციებს გამოიყენებსო.

7 ივლისი

მიმდინარეობს მძიმე ბრძოლები. აშკარაა, ყველაფერი მალე გადაწყდება. გაეროს უშიშროების საბჭომ წინადადება წამოაყენა აფხაზეთში გააგზავნონ 50 მეთვალყურე.

განსაკუთრებით მიხარია, რომ ლოთი ქობალიას რაზმი აქტიურად იბრძვის ოჩამჩირის რაიონში. **რა სიდამპლეს არ წერდნენ, რომ, თითქოს ის შეკრულია აფხაზებთან და იცოდა, რომ სოხუმს უნდა თავს დასხმოდნენო. ნეტავ, თუ რცხვენიათ იმათ, ვინც ამას წერდა!**

8 ივლისი

ისევ მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს. ჩემი აზრით, ჩვენი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია, რომ გახსნეს ოჩამჩირე-სოხუმის გზა. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლებია ტამიშთან. რაც შეეხება **რუსეთს, ის თითქოს დემოკრატიული გახდა, მაგრამ ჩვენთვის უფრო საშიშია, ვიდრე მიხეილ გორბაჩოვის დროს იყო. რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებები, რომელთაც სურდათ ცარიზმის რუსეთის დემოკრატიულ რუსეთად გადაქცევა, უფრო საშიშნი იყვნენ პატარა ერებისთვის, ვიდრე ცარიზმის მოხელეები.** ამის მაგალითად მოვიყვანთ ცნობილი დეკაბრისტის პავლე პესტელის ცნობილი „კონსტიტუციის" მე-11 მუხლს, რომელიც შეეხებოდა კავკა-

სიას. პაველ პესტელი წერს: კავკასიის ხალხი უნდა დაიყოს ორად – „მშფოთვარე" და „არამშფოთვარე" ხალხებად. „მშფოთვარენი" უნდა გასახლებულიყვნენ შორეულ მხარეში, ხოლო „არამშფოთვარე" ხალხის რუსიფიკაცია უნდა მომხდარიყო. დიდი სიფრთხილე გვმართებს რუსეთთან მიმართებაში. **ჩვენი გულისთვის მსოფლიო რუსეთს არ გადაიკიდებს და საქართველოს მიმართ ისევე მოიქცევა, როგორც 1921 წელს.**

9 ივლისი

ირაკლი ქადაგიშვილი იყო ჯოხარ დუდაევთან. მან განაცხადა, რომ ჩეჩნები არ მიიღებენ მონაწილეობას აფხაზეთის ომში, რადგან აფხაზებს უნდათ რუსეთთან შეერთება. ჩემი აზრით, საქართველო ჯოხარ დუდაევთან კარგად უნდა იყოს, რადგან ის დიდი ძალაა რუსეთის წინააღმდეგ.

აკაკი ბაქრაძის საოცარი წერილია „ივერია-ექსპრესში". იგი თენგიზ სიგუას მისამართით ამბობს: ომის დროს ქვეყნის მართვა არ შეიძლება თხოვნით, ქვეყნის მართვა შეიძლება მხოლოდ ბრძანებით, განკარგულებით, სასჯელით. თუ ხელისუფლებას ეს არ შეუძლია, უნდა წავიდეს, რადგან დედამინის ზურგზე არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ასე არსებობა და ვერც საქართველო იარსებებს. **ჩვენ ვუყურებთ თბილისს. განა თბილისში ვინმეს ეტყობა, რომ ომია საქართველოში და რომ საქართველოში ახალგაზრდები იღუპებიან – არავის არ ეტყობა ეს.** ხალხო! თუ აფხაზეთში ომი წავაგეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ხვალ საქართველო არ იარსებებს.

ახლა ირკვევა, რომ 2 ივლისს, როცა ტამიშთან დესანტი გადმოსხეს აფხაზებმა, მათ აფხაზურ სკოლასთან ალყაში მოაქციეს 80 ქართველი მებრძოლი, საიდანაც გადარჩა მხოლოდ 30 კაცი (გაზ. „7 დღე").

10 ივლისი

დღეს ბედნიერი დღეა. რა სამწუხაროა, რომ გული მაწუხებს, თორემ აქ რა გამაჩერებდა. დღეს ჩვენებმა აიღეს ტამიში და სოხუმი ბლოკადისგან გათავისუფლდა. ორივე მხრიდან ქართველები შეერთდნენ. ეს ძალზე დიდი გამარჯვებაა! ამავე დროს გუმისთაზეც უკუაგდეს აფხაზები. სასიხარულოა, რომ თანდათან ეს ომი სამამულო ომის ხასიათსაც იძენს. განსაკუთრებით მიხარია, რომ სამეგრელომ და პირად ლოთი ქობალიას რაზმებმა დიდი როლი ითამაშეს ამ ბრძოლებში. ისინი მართლა ვაჟკაცები არიან. ტამიშთან გამარჯვების შემდეგ ისინი წავიდნენ სოხუმის დასაცავად. ცრემლები მომდის.

14 ივლისი

გუშინ გია ყარყარაშვილმა (14 ივლისის 12 საათიდან) 24 საათი მისცა აფხაზებს, რათა დაეტოვებინათ სოფელი შრომა, ახალშენი და შეეწყვიტათ ცეცხლი. წინაალმდეგ შემთხვევაში ქართველები დაიწყებენ შეტევას. ღმერთმა ქნას და რაიმე გარდატეხა მოხდეს, რათა მშვიდობიანი მოსახლეობა გადარჩეს. ვნახოთ, რა იქნება.

18 ივლისი

გუშინ დაიწყო ქართველების შეტევა **შრომაზე** და **ახალშენის** მიმართულებით. ვნახოთ, როგორ დამთავრდება.

ჩამოსული იყო ბორის ელცინის წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი. მან ჩამოიტანა გეგმა ცეცხლის შეწყვეტის პირობების შესახებ. ედუარდ შევარდნაძემ უარი განაცხადა, ვნახოთ, რით დამთავრდება ეს ყველაფერი.

თამაზ ნადარეიშვილის ნაცვლად აფხაზეთში დაინიშნა ჟიული შარტავა. ასეთი პიროვნება საჭიროა ამგვარ თანამდებობაზე. მე ვფიქრობდი, რომ ჟიული ძალიან გამოდგებოდა შინაგან საქმეთა მინისტრად, მაგრამ ეს დანიშვნაც საჭიროა, რადგან ის საკმაოდ მკაცრი და წესრიგის მოყვარულია.

19 ივლისი

დღეს „ნოვოსტიში" გამოვიდა ვლადისლავ არძინბა და განაცხადა: თუ პოლიტიკური მეთოდებით არ გადაწყდა სოხუმის საკითხი, ჩვენ მას ბრძოლით ავიღებთო.

დღეს პარლამენტის სხდომაზე ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ, თუ რუსები აიღებენ სოხუმს, „მხედრიონი" პარტიზანულ ბრძოლებზე გადავა.

დღეს ტექნიკური კომისია ჩამოვიდა გაეროდან.

23 ივლისი

დღეს პარლამენტში დაისვა საკითხი მთავრობის გადადგომის შესახებ. ირინა სარიშვილმა ხუთ ფრაქციასთან ერთად დააყენა ეს საკითხი.

დღეს ტელევიზია აჩვენებდა ედუარდ შევარდნაძის შეხვედრას მწერლებთან. მან განაცხადა, რომ დღეს ბევრი აუბრალოებს ურთიერთობას რუსეთთან. ათეული წლები ერთად ვიყავით და არ შეიძლება უარი ვთქვათ ყველაფერზე, ეს ძალიან ძვირი დაგვიჯდა. რუსეთმა რომ სეპარატიზმის დახმარებაზე აიღო გეზი, ამაში გარკვეული წელილი ჩვენც მიგვიძღვის... გაეროს არცერთ რეზოლუციაში არ არის მითითებული, რომ ჩვენ აგრესორები ვართ.

დღეს 50000 ათასი კუპონი გადავრიცხე თავდაცვის ფონდში.

24 ივლისი

დღეს პარლამენტის სხდომა იყო. ვერ მოვუსმინე. იხილებოდა საკითხი მთავრობის გადადგომის შესახებ. მე ერთ ეპიზოდს შევესწარი, სადაც თენგიზ კიტოვანმა ბრალი დასდო კორუფციაში მწვანეებს, კერძოდ 102 მილიარდის მიღებაში. ზურაბ ჟვანიამ პარლამენტში განაცხადა, რომ ეს ბრალდება კომიკურ ხასიათს ატარებს, რადგან ამას აცხადებს თენგიზ კიტოვანიო.

26 ივლისი

გუშინ მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. რუსეთმა გააუქმა არა მარტო 1961-1991 წლებში გამოცემული რუსული ფული, არამედ 1992 წელს გამოცემულიც.

გუშინ გაიმართა პარლამენტის დახურული სხდომა. იხილებოდა ხელშეკრულების ტექსტი აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. საბოლოოდ პარლამენტმა დაადგინა, რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს ედუარდ შევარდნაძემ. სატელევიზიო მიმართვაში ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ის მოაწერს ხელს ხელშეკრულებას და თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას. ტექსტი არ არის ცნობილი, ის გაზეთში გამოქვეყნდება.

ტელევიზიით გადმოსცეს, რომ ლოთი ქობალიას ერთი რაზმი შევიდა სენაკში. ისევ ატყდა აჟიოტაჟი. არა და ეს რაზმი შევიდა სენაკში, რათა ტექნიკა შეეკეთებინა და შეეგროვებინა მოხალისეები.

28 ივლისი

დღეს სოჭში გაფრინდა საქართველოს დელეგაცია ვახტანგ გოგუაძის ხელმძღვანელობით, რათა ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ამ ხელშეკრულების შესახებ დიდი ამბავია ამტყდარი. ამ რამდენიმე დღის წინ აკაკი ბაქრაძე და ნოდარ ნათაძე ტელევიზიით გამოვიდნენ და უარყოფითად შეაფასეს ეს ხელშეკრულება.

დღეს პარლამენტში ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და ქარტია 91-მა მეტად უარყოფითად შეაფასეს ხელშეკრულება ცეცხლის შენყვეტის შესახებ. ჩემი აზრით, პირობები მძიმეა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. საქართველო ფაქტობრივად განადგურდება, თუ არ დაიდება ზავი. მიმაჩნია, რომ შეცდომა იყო აფხაზეთში შესვლა, დღეს რომ არ დავდოთო ზავი, შემდგომში მაინც დავდებთ და კიდევ უფრო უარესს.

დღეს „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ ვახტანგ გოგუაძემ და სოკრატ ჯინჯოლიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შენყვეტის შესახებ.

30 ივლისი

გუშინ ლოთი ქობალიას რაზმი აკაკი ელიავას ხელმძღვანელობით შევიდა სენაკში. ელიავა დაინიშნა სამხედრო კომენდანტად.

31 ივლისი

სენაკიდან გადიან ლოთი ქობალიას რაზმები.

3 აგვისტო

ამ რამდენიმე დღის წინ ჯაბა იოსელიანი გამოვიდა ტელევიზიით. მისმა გამოსვლამ ძალზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ჯაბა იოსელიანმა ქობალიას ხალხს დეგენერატები უნოდა. დღეს შემზარა ერთმა ფაქტმა. სამტრედიიდან იყო ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან. ის საომრად იყო გამზადებული. „მხედრიონი" ოფიციალურად აპირებდა ოჩამჩირეში წასვლას სამეგრელოს გავლით. რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ლაშქრობა სამეგრელოში. თუ ეს განხორციელდა, ეს იქნება სამოქალაქო ომის დასაწყისი. თუ ეს მართლა მოხდა, მაშინ შევარდნაძის ... ეგ კაცი არ ყოფილა! ეს იქნება ამ ხელისუფლების დასასრული, რასაც დიდი სიამოვნებით მივესალმები. თუ უდანაშაულო მოსახლეობა ისევ ააწიოკეს, უნდა წავიდე და ვიომო მათ დასაცავად.

6 აგვისტო

ხობში იმყოფება ჯაბა იოსელიანი. ედუარდ შევარდნაძეს თუ დავუჯერებთ, ის ოჩამჩირეში მიდისო. არადა დღეს გაზეთში წერია, რომ ხობში „მხედრიონმა" დააკავა ლოთი ქობალიას დისშვილი პაპასკირი – სოხუმელი, შეიარაღებული ძალების ოფიცერი.

გუშინ პარლამენტმა მეორედ არ დაამტკიცა ბიუჯეტი. კანონის თანახმად, მთავრობას ერთი კვირა ეძლევა, რომ შეასწოროს ბიუჯეტი. მაგრამ აშკარა იყო, რომ პარლამენტი კიდევ არ დაამტკიცებდა ბიუჯეტს. დღეს პარლამენტის სხდომაზე მთავრობა გადადგა. გუშინ თენგიზ კიტოვანმა დააყენა საკითხი ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შესახებ. დღეს ედუარდ შევარდნაძემ თვითონ დააყენა საკითხი მისდამი ნდობის შესახებ. პარლამენტმა ეს საკითხი არ მიიღო და ედუარდ შევარდნაძეს დაევალა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

თბილისში საშინელი კრიმინოგენური სიტუაციაა. დიღომში ვიცე-პოლკოვნიკი ელბაქიძე, ვიღაც მაიორი (გვარი არ მახსოვს) და ასეულის მეთაური სიგარეტს და სასმელებს ართმევდნენ ე. წ. „ბუტკაში". როდესაც წინააღმდეგობა შეხვდათ, გაისროლეს, 3 წლის ბავშვი და დედამისი დაიჭრნენ. აღშფოთებულმა მოსახლეობამ ორი

მათგანი მოკლა, ერთი მძიმედ არის დაჭრილი. გუშინ კოლმეურნეობის ბაზართან მხედრიონელებმა ერთი პოლიციელი მოკლეს. მხედრიონელები საზამთროს ართმევდნენ გამყიდველს. პოლიციელებმა ორი მათგანი მოკლეს და ოთხი დაიჭირეს. მუხიანის ბაზრობას თავს დაესხა 30 სამხედრო-ფორმიანი და ბაზარი გაძარცვეს. ყოველ ნაბიჯზე სროლებია.

გუშინ ჩემ ყოფილ სახლში ვიყავით, გასაღები უნდა გადამეცა ახალი მეპატრონისათვის. აივანზე რომ გავედით, ვიღაცამ ავტომატი ისროლა, პირდაპირ ყურთან ჩამიარა ტყვიამ. ჩემი მეუღლე და მეზობელი თამუნა საჩქაროდ შევიყვანე შინ, შემდეგ ისევ ისროლეს. დღეს ის ხელისუფლება გაიმარჯვებს, რომელიც დაამყარებს წესრიგს.

დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში" ნავიკითხე ედუარდ შევარდნაძის სიტყვა, სადაც მან აღნიშნა, რომ ტელეფონით ესაუბრა ლოთი ქობალიას, რომელიც დაპირდა, რომ თვითონ გააცილებდა „მხედრიონს" ოჩამჩირემდე. ღმერთმა ქნას, რომ ქართველებმა ისევ არ დაღვარონ ერთმანეთის სისხლი. სენაკის ბატალიონმა აკაკი ელიავას ხელმძღვანეობით დატოვა სენაკი და ზუგდიდში შეუერთდა ლოთი ქობალიას. ჯაბა იოსელიანი შევიდა ხობში. ჯაბა იოსელიანს, ლოთი ქობალიას და თენგიზ კიტოვანს შორის გაიმართა მოლაპარაკება. ჯაბა იოსელიანმა მოითხოვა მძიმე ტექნიკის გადაცემა. „მხედრიონმა" გადაწყვიტა ზუგდიდში შესვლა, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ბატალიონმა უარი განაცხადა.

13 აგვისტო

გაზ. „7 დღეში" დაიბეჭდა ინტერვიუ ასლან აბაშიძესთან. ინტერვიუში აშკარად სწორად არის ახსნილი სამეგრელოს ამბები. ასლან აბაშიძე ნამდვილად დადებით როლს თამაშობს. როცა ქობულეთში მიმდინარეობდა მოლაპარაკება, ასლანს, კიტოვანს და ქობალიას შორის, მოულოდნელად ჯაბა იოსელიანმა დაიკავა სენაკი და ხობი. გუშინ აჩვენეს ინტერვიუ გია ყარყარაშვილთან. იგი ძალიან კარგად ერკვევა არსებულ სიტუაციაში და ღირსეული სამხედრო მინისტრია.

14 აგვისტო

დღეს შესრულდა ერთი ნაღინადი, რაც დაიწყო აფხაზეთის ომი. ვინ იყო დამნაშავე, ამას ისტორია გაარკვევს, მაგრამ ვინ გასცემს დღეს პასუხს ამდენი დაღუპულის ოჯახს, გაუბედურებულ ხალხს, რომელთაც არც სახლი დარჩათ, არც ქონება და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად გადაიქცნენ. დღეს ინტერვიუში გია ჭანტურიამ კარგად თქვა: დღეს ამბობენ, როგორ შეიძლება ამ დროს მთავრობის შეცვლაო. მთავრობა მაშინ უნდა შეიცვალოს, როცა ქვეყანა ინგრევა, ხოლო, თუ ყველაფერი კარგად არის, მაშინ მთავრობა რატომ უნდა გადადგესო.

20 აგვისტო

დღეს პარლამენტის სხდომაზე ედუარდ შევარდნაძემ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნამოაყენა ზუგდიდის გამგებლის, ოთარ ფაცაციას კანდიდატურა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, რესპუბლიკელებმა და მერაბ კოსტავას საზოგადოებამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. 125 ხმით ოთარ ფაცაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. მე პირადად მივესალმები ასეთ გადაწყვეტილებას, რადგან ამ კაცს ძალიან უყვარს უპირველესად თავისი სამშობლო და თავისი კუთხე — სამეგრელო. ოთარ ფაცაცია მაშინ დადგა ზუგდიდის გამგებლად, როცა ის ქაღალდის

კომბინატის ცნობილი დირექტორი იყო და საკმაოდ უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა. ოთარ ფაცაცია საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, რათა ქართველებს შორის სისხლი არ დაიღვაროს. მისი დანიშვნა საჭირო იყო იმიტომ, რომ თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ის პიროვნება, რომელიც არ მონაწილეობდა ზვიად გამსახურდიას დამხობაში. ოთარ ფაცაცია აგრეთვე დიდ როლს ითამაშებს რუსეთის საქმიან წრეებთან ურთიერთობების დამყარებაში. ღმერთმა ქნას, რომ საქართველო გაერთიანდეს.

29 აგვისტო

28 აგვისტოს ლოთი ქობალიას რაზმებმა დაიკავეს სენაკი, დააპატიმრეს გენერალი ელგუჯა ბუცხრიკიძე, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. მათ დაიკავეს აბაშაც და მგონი ხობიც. მე ამ დროს ზესტაფონში ვიმყოფებოდი. „მხედრიონს" დღეს შეკრება აქვს თბილისში. რა მოხდა, არ ვიცი. რატომ გამწვავდა მდგომარეობა? არადა თემურ ხაჩიშვილი და ჯაბა იოსელიანი იყვნენ ასლან აბაშიძესთან და რაღაცაზე მოილაპარაკეს. მერე იოსელიანმა განაცხადა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად უნდა მოგვარდესო. სენაკში პოლიციამ ფაქტობრივად წინააღმდეგობა არ განია.

პარლამენტში ნოდარ ნათაძემ განაცხადა, რომ დაუშვებელია სამეგრელოში „მხედრიონის" შეყვანა. ირაკლი წერეთელმა განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების 90% არ იბრძოლებს სამეგრელოში. ვინ უნდა შევუშვათო, ძირითადად ყაჩაღები და მორფინისტები არიანო, ამერიკას უნდა ვთხოვოთ, რომ წესრიგი დამყარდეს, რადგან საქართველოში სომალიზაცია ინყებაო.

დავით კუპრეიშვილმა უთხრა ედუარდ შევარდნაძეს: ისტერია დაიწყო პარასკევს, რაც ტელევიზიას და ხალხს გადაედოო. ედუარდ შევარდნაძემ სთხოვა, გაემეორებინა ის, რაც თქვა. მან გაიმეორა: ეს ისტერია იყოო. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: მაგაზე გაგცემთ პასუხსო.

პაატა კოღუაშვილმა განაცხადა, რომ ვახტანგ გოგუაძემ მოაწყო პროვოკაცია, რადგან სხვა საკითხზე გადაგვიყვანაო. გამოვიდა დავით ბერძენიშვილი. ამ დროს შემოვიდა გია ყარყარაშვილი და მისი მოადგილე (გვარი არ მახსოვს). ისინი დასხდნენ ირაკლი წერეთელთან — ერთი ერთ მხარეს, მეორე მეორე მხარეს. მართალია, საუბარში იღიმებიან, მაგრამ აშკარა იყო, რომ ირაკლიმ თავისი გამოსვლით შეურაცხყოფა მიაყენა თავდაცვის სამინისტროს. კერძოდ, ირაკლიმ აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტრო შედგებოდა ცალკეული ბატალიონებისაგან, რომლებიც არავის ემორჩილებიან და როცა ახსენა მორფინისტები და ყაჩაღები სწორედ ამ სამინისტროს შეეხებოდა. არა მგონია, სასიამოვნო საუბარი ჰქონოდათ.

ირინა სარიშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე არავითარი შენიშვნა არა გვაქვს, **მაგრამ შიდაპოლიტიკური კურსი რადიკალურად უნდა გარდაიქმნასო. სწორი არ იყო, როცა წავედით გარკვეულ დათმობაზე დამნაშავე სამყაროსთან. ჩვენ მოვითხოვთ პასუხს მანამ, ვიდრე მოსახლეობას ტყავს გააძრობდნენ. აპირებთ თუ არა მდგომარეობის გამოსწორებასო?**

31 აგვისტო

ზუგდიდში ჩამოვიდა ბესარიონ გუგუშვილი. გზები გადაკეტილია. ავთანდილ მარგიანმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ თბილისში პურის სამი დღის მარაგი არისო.

ინტერვიუ **ჯაბა იოსელიანთან, თემურ ხაჩიშვილთან, გიორგი ვაშაკიძესთან**. მათ აღნიშნეს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, ამ

უნყებას გამოსწორება სჭირდებაო, ამ უნყებაში ბანდიტთა ხროვები გაერთიანდნენო. ჩვენ, რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, საქართველოს ვერ დავაქუცმაცებთ, ჩვენ ულტიმატუმი ნავუყენეთო სამინისტროს.

თემურ ხაჩიშვილმა აღნიშნა, რომ პოლიციამ თავისი სისხლით უნდა ჩამოინმინდოს სირცხვილი. ზოგიერთმა პოლიციელმა განაცხადა, ქართველს ვერ ვესვრითო. აბა, ვის უნდა ესროლოს პოლიციელმა? ჩავატარებთ დიდ სამხედრო ოპერაციას, როდესაც იქნება ბრძანება სახელმწიფო მეთაურისა და პრემიერისო.

ჩემი აზრით, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. საწყალი საქართველო! ღმერთმა ქნას, არ იყოს ბრძოლა. როგორ მაინტერესებს, მაინც რა მოხდა, რამ აიძულა ან ვინ აიძულა ლოთი ქობალია შესულიყო სენაკში, აბაშაში და ხობში? ერთი რამ აშკარაა, რომ ხალხი უკმაყოფილოა დღევანდელი მთავრობით, განსაკუთრებით პარლამენტით და ამით უნდა ისარგებლოს ზვიად გამსახურდიამ და დაიწყოს დიდი გამოსვლები.

3 სექტემბერი

გუშინ პარლამენტის სხდომა სრული კრახით დამთავრდა. ამ დღეებში აშკარად გამოჩნდა, რომ ლოთი ქობალიას რაზმებს არ გადაუკეტავთ საავტომობილო და სარკინიგზო გზები.

ედუარდ შევარდნაძე ჩაფრინდა ასლან აბაშიძესთან. იყო სამმტრედიაშიც. **მე განსაკუთრებით მაღელვებს მდგომარეობა თბილისში და ინტელიგენციის ნაწილის დამოკიდებულება სამეგრელოში განვითარებული მოვლენებისადმი. ისე ამბობენ: „შევიდნენ“ და „გადაუარონ“ ზვიადისტებსო, ვითომც არაფერი. საინტერესო ის გახლავთ, რომ ამას არ ამბობს ახალგაზრდობა, ძირითადად ესენი არიან ასაკში შესული ადამიანები, რომელთაც ინტელიგენტობის დიდი პრეტენზია გააჩნიათ. ბატონი შოთა ნიშნიანიძე შემხვდა და მკითხა აბსოლუტურად სწორად: „ხანდახან არა გრცხვენია, რომ ქართველი ხარო“? მართალია ბატონი შოთა. ქართველების ნაწილს უნდა, რომ ჩქარა მოხდეს შეტაკება. ღმერთო, გადაარჩინე ქართველობა ამ უაზრო სისხლის ღვრას!**

4 სექტემბერი

გადმოსცეს, რომ მოხდა შეთანხმება, რათა ტვირთი გაატარონ ფოთიდან.

დღეს ედუარდ შევარდნაძემ ჩაატარა თათბირი უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებით. მე გამიკვირდა, რომ იუბილესათვის რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ჩარიცხა 100 ათასი დოლარი, ბანკმა „გულანმა“ 100 მილიონი კუპონი. ჩემი აზრით, ჯობია ეს თანხა გაჭირვებულებს მოახმარონ.

დაიბეჭდა ინტერვიუ მურმან ომანიძესთან. ნამდვილად ჭკვიანი კაცია. მან კარგი რამე თქვა: რუსეთთან ახლოს უნდა ვიყოთო. წესრიგი უნდა დავამყაროთ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო. ბევრი ბიზნესმენი გარბის შეიარაღებული ფორმირებების თარეშის გამო.

10 სექტემბერი

ქობულეთში, ასლან აბაშიძის შუამავლობით, მიმდინარეობდა მოლაპარაკება ავთანდილ მარგიანს, ვახტანგ რჩეულიშვილს, ზურაბ ჟვანიასა და ზვიად გამსახურდიასდროინდელ უზენაესი საბჭოს წევრებს შორის. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. უზენაესმა საბჭომ მოითხოვა, რომ ეცნოთ მათი ხელისუფლება. **ასლან აბაშიძე ძალიან კარგ როლს თამაშობს, ცდილობს სისხლი არ დაიღვაროს.**

დღეს თბილისელთა შეკრება იყო. ყველას ამოუვიდა ყელში ამდენი ბანდიტობა, ხალხი

ქუჩაში ვერ გასულა, არის სროლა, ადამიანების გატაცება. კარგი სიტყვა თქვა დავით ზეიკიძემ, ბოლოს ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ კვირიდან საგანგებო წესებს შემოიღებენ.

14 სექტემბერი

დღეს პარლამენტის სხდომაზე იხილებოდა კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ. ჯაბა იოსელიანი საკმაოდ მკვახედ გამოვიდა ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ. შესვენების შემდეგ ედუარდ შევარდნაძე ძალზე აღელვებული იყო. მან განაცხადა, წელიწადნახევარი ვითმენდი შეურაცხყოფებსო, ახლა ვეღარ მოვითმენ და გამოაცხადა გადადგომა. ერთი საათის შემდეგ სხდომა გაგრძელდა. სხდომა მიჰყავდა **ვახტანგ რჩეულიშვილს**. მე ავად ვარ, მაგრამ შემატყობინეს, რომ მთელი თბილისი მივიდა პარლამენტის შენობასთან.

ვახტანგ რჩეულიშვილმა მოსთხოვა ჯაბა იოსელიანს, რომ მას განემარტა თავისი პოზიცია. ჯაბამ განაცხადა: მე ისევ ედუარდ შევარდნაძის მომხრე ვარ, მაგრამ შეუზღუდავი არ უნდა იყოსო. 149 ხმით არცერთის წინააღმდეგ პარლამენტი ედუარდ შევარდნაძის გადადგომის წინააღმდეგი ნავიდა.

გია ყარყარაშვილმა კარგად თქვა: ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მზადდებოდა შეთქმულება, ასე ცხოვრება არ შეიძლება, უნდა ნავიდეს ის ხალხი, ვინც ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ გამოდის და ვინც ნებით არ ნავა, მე თვითონ ძალით გავიყვანო. მთელი თბილისი შეიკრიბა პარლამენტის შენობასთან. გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. მართლაც საოცარია, კარგად შეხვდა ხალხი. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ორი პირობა აქვს: 1) შეიკრიბოს პარლამენტი და გამოაცხადოს საგანგებო წესები, 2) სამი თვით პარლამენტმა თავი დაითხოვოს. ედუარდ შევარდნაძემ თქვა: მადლობა თქვენ კაცობისათვის, სინათლისათვის, რომელიც თქვენ აქ მოიტანეთ, ყოველი ჯანსაღი აზრისათვის. აქ მთელი საქართველოა, მისი სინდისი და ნამუსი და ამიტომ მინდა დავამთავრო ჩემო სისხლო და ხორცო. მინდა საქართველოს მისამართით ვთქვა: საქართველო არ მოკვდება, გაუმარჯოს ერთ ძლიერ, მაღალკულტურულ საქართველოს.

გამოვიდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II: „ჩვენო სულიერო შვილებო! დღეს მე წარმოვადგენ არა მარტო თბილისელებს, არამედ საქართველოს. დიდი ხანია არ ვყოფილვართ ისეთ გასაჭირში, როგორც დღეს. შეუძლებელია შევარდნაძის გადადგომა. 16 წელია მე ვარ კათალიკოს-პატრიარქი. ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში ბევრი მძიმე დღეები მინახავს, გადადგომა რომ ასე ადვილი იყოს, მე გადავდგებოდი. დღეს, ბატონო ედუარდ, დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ. ამიტომ არ შეიძლება, რომ გადადგეთ...“

9 საათსა და 30 წუთზე შეიკრიბა პარლამენტი. 130 ხმით (წინააღმდეგი არავინ ნასულა) დაამტკიცეს საგანგებო წესები.

15 სექტემბერი

დღეს პარლამენტის სხდომაზე მიიღეს დადგენილება, მუშაობის ორი თვის ვადით შეჩერების შესახებ.

გუშინ, დილის ექვს საათზე ლოთი ქობალიას რაზმებმა გადმოლახეს მდ. რიონი და დაიკავეს სოფ. ჯაპანა. დაიღუპა 9 კაცი. აშკარაა, იწყება სამოქალაქო ომი. ჩემთვის ძალზე მძიმეა ამ სტრიქონების წერა. მე პირადად, როგორც წინა ჩანაწერებიდან ჩანს, ყოველთვის ვხედავდი ვახტანგ (ლოთი) ქობალიაში ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს და პატრიოტს, რომელიც ყოველთვის იმას ამბობდა, რომ არ დაღვრიდა ქართველის სისხლს. ღმერთო, გონს მოიყვანე ქართ-

ველობა! დაიწყება ისეთი რამ, რომელიც უმართავი გახდება და უკან, ფეოდალური ხანისაკენ გადაგვაგდებს.

16 სექტემბერი

გუშინ ღამით ჩამოვიდნენ მოსკოვიდან ოთარ ფაცაცია და გია ყარყარაშვილი. სნორად თქვა გიამ, რომ „რუსეთთან ჩვენი კარგი ურთიერთობა არ აწყობს ბნელ ძალებს და რომ მე ადრე ვუთხარი ქობალიას, რომ ის გამოდის სეპარატისტული ძალების აგენტი. მე ბედნიერი ვარ, რომ მოსკოვშიც და აქაც დავრწმუნდი, ყველაზე გულწრფელი საქართველოში არის სახელმწიფოს მეთაური".

დასავლეთ საქართველოს ამბებმა მალე უკანა პლანზე გადაინია. აფხაზებმა ისარგებლეს ქართველთა შორის უთანხმოებით და დაიწყეს შეტევა ყველა ფრონტზე. ედუარდ შევარდნაძე ელაპარაკა ბორის ელცინს. შედეგი არ ჩანს. ედუარდ შევარდნაძე ჩაფრინდა სოხუმში.

44 დეპუტატი დაჯდა პროტესტის ნიშნად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ. აჩვენეს ვახტანგ გოგუაძის ინტერვიუ, რომელმაც განაცხადა, რომ ესაუბრა ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც თხოვა მათ, დაშლილიყვნენ, რადგან სოხუმზე შეტევა აღარ მიმდინარეობსო. ამ აქციას მეთაურობდა ზურაბ ჟვანია.

18 სექტემბერი

აფხაზები უტევენ სოხუმს. ტელევიზიით გამოვიდა კოტე გაბაშვილი და მოწოდებით მიმართა თბილისის მოსახლეობას 9 საათსა და 30 წუთზე შეკრებილიყვნენ ჭადრაკის სასახლეში. აშკარად ჩანს, რომ სოხუმში მდგომარეობა მძიმეა. წავედით მე, ანდრო ჭელიძე, ნოდარ ხონელიძე და ზურაბ თავყელიშვილი. მანამდე ტანსაცმელი გამოვიცვალეთ, შევიარაღდით, როგორც შეგვეძლო, ოჯახებს დავემშვიდობეთ, რათა შეკრების შემდეგ პირდაპირ წავსულიყავით სოხუმში. როდესაც მივედით ე. წ. „კიროვის ბაღში" მთელი თბილისი იქ იყო. მაგრამ სჭირდებოდათ ომში გამოცდილი და ავტომატური იარაღით შეიარაღებული პიროვნებები. გვიან ღამემდე ვიყავით, მაგრამ გამოცდილი და ავტომატებით შეიარაღებული მხოლოდ 40 კაცი აღმოჩნდა. ჩვენნაირი ხალხი ბევრი იყო, მაგრამ არავის არ სჭირდებოდა. ამ დროს ეგებულობდით ახალ ამბებს პაველ გრაჩოვისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრების შესახებ. სულ ცრემლები მომდიოდა, როცა მოვისმინე ფილარმონიის წინ ერთ-ერთის მანქანის რადიოთი ლოთი ქობალიას განცხადება. იგი ექვსი ათასი კაცით მიდიოდა სოხუმში, მოვისმინე აგრეთვე ჯაბა იოსელიანის განცხადება, რომ ისიც მიემართებოდა სოხუმში. დღეს მდგომარეობა გამოკეთდა, მაგრამ დამშვიდების უფლება არავის გვაქვს.

20 სექტემბერი

სოხუმის გარეუბნებში ბრძოლები გრძელდება. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა განაცხადა, რომ არ გამოიყენებს რუსეთის ჯარებს, რადგან არ უნდა რუსი ჯარისკაცების სისხლი დაიღვაროს. რუსეთმა აშკარად გასწირა საქართველო. ამჯერად მთავარია, რომ სოხუმი გადარჩეს. სასიხარულო ის არის, რომ ლოთი ქობალიას რაზმები შედიან ოჩამჩირეში. გაიხსნა სარკინიგზო და საავტომობილო გზები. თანდათან ეს ომი იღებს სამამულო ომის ხასიათს.

„ნოვოსტში" გადმოსცეს ვახტანგ გოგუაძის ინტერვიუ, სადაც მან თქვა (ეს მისი პირადი აზრია), რომ ჩვენ გადაგვარჩენს დსთ-ში შესვლა.

ინტერვიუ **ედუარდ შევარდნაძესთან.** მან აღნიშნა რომ „მომავალი დრო და საერთაშორისო სამართალი გამოიძიებს იმ საშინელებას, რასაც სჩადიან აფხაზები. სოხუმის დაკარგვა იქნება საქართველოს დაშლის დასაწყისი. მიმდინარეობს მძიმე ბრძოლები. მინდა გამოვთქვა სიამოვნება სამეგრელოს რაზმების შემოსვლის გამო. სოხუმი ალყაშია. მშიშარა კაცი ვერ დაიცავს ქალაქს. ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი არასწორ ხმებს ავრცელებს, თითქოს ჩვენ ვამბობთ, რომ სოხუმის ბედი გადაწყვეტილია".

გადაცემა აფხაზეთის მოვლენების შესახებ. გია ყარყარაშვილი: ჩამოვლენ თბილისიდან. ყველა გვერდში გვიდგას: თბილისი, ქუთაისი, ყველა უწყება. საჭიროა გამოაშკარავდეს, თუ ვინ ებრძვის საქართველოს. იმდენი ჭურვი, რაც სოხუმს და ოჩამჩირეს დაეცა, არ ექნებოდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქებსაც კი. თავი უნდა დავიცვათ აგრესიისაგან, მზად უნდა ვიყოთ. მონინააღმდეგე გამარჯვებას ვერ იზეიმებს.

ჟიული შარტავა: დღევანდელი მოლაპარაკებისა არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ მძიმედ მიმდინარეობს მოლაპარაკება. **შეიძლება ცეცხლი არ განახლებულიყო, მაგრამ არის მუხანათობა, დიდია ნგრევა.**

ირაკლი ბათიაშვილი: საერთოდ მდგომარეობა რთულია, ჩვენი ყველაზე დიდი მტერი არის შიში და პანიკა. ყველაფერი კეთდება, ძალები კიდევ არის საჭირო. ეს ბრძოლა წმიდათანმიდაა.

კოტე გაბაშვილი: გამოუცდელებისა და უიარაღოების ჩამოსვლას სოხუმში აზრი არა აქვს.

ინგლისელი კორესპონდენტი ეკითხება ედუარდ შევარდნაძეს: რატომ ჩამოხვედით?

ედუარდ შევარდნაძე: მე დავპირდი, რომ ბოლომდე ვიქნებოდი სოხუმში.

კორ.: ვინ არის დამნაშავე?

ედუარდ შევარდნაძე: მესამე ძალა.

კორ.: ვინ არის ეს მესამე ძალა?

ედუარდ შევარდნაძე: ეს პრეზიდენტს... (ვერ ვარჩევ – მ. ვ.)

კორ.: რას მოელით დასავლეთის სახელმწიფოებისგან?

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენ ველით მათ პოლიტიკურ და მორალურ მხარდაჭერას.

მოგვიანებით გამოვიდა ირინა სარიშვილი: „მე არ ვაპირებდი გვიან ღამით გამოსვლას. ეს მაიძულა გოგუაძის გამოსვლამ, რადგან, როდესაც ომია, პირადი აზრის გამოთქმა არ შეიძლება. რა შეიძლება ითქვას საქართველოს დსთ-ში შესვლაზე? დსთ-ში შესვლა გამოსავალი არ არის, რადგან სისხლისღვრა არავის არ უნდა. აზერბაიჯანი შევიდა დსთ-ში ალიევის სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ რა მოიგო ყარაბახის საკითხში? არაფერი. ნუ გგონიათ, რომ ამით აფხაზეთს დავიბრუნებთ. თუ დასავლეთის სახელმწიფოები ხელს არ გაანძრევენ, ჩვენ ომს ვერ მოვიგებთ. მართალია, საქართველო ომში დამარცხებულია, მაგრამ საქართველო არ დაღუპულა. პოლიტიკური მდგომარეობა საიმედოა და საქართველო არ ამონყდება. მე მივმართავ ყველას, ვინც წასვლას აპირებს სოხუმში: სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი ტყუილად არ დაიკარგება. ყველაზე უარესია მონობა. თავი უნდა შევიკავოთ ისეთი გამონათქვამებისაგან, რომელიც არ ემთხვევა სახელმწიფოს მეთაურის აზრს.

„მაცნეში" გადმოსცეს, რომ თენგიზ კიტოვანმა საკმაოდ კარგი როლი ითამაშა. იგი თვითონ გაემართა დაფნარისაკენ ულენტთან. მას დახვდნენ ტარიელ გელანტია და სხვები. გზა გაიწმინდა.

21 სექტემბერი

საღამოს 8 საათზე მოსკოვის ტელევიზიით გამოვიდა ბორის ელცინი. მან დაითხოვა პარლამენტი და ახალი არჩევნები

დანიშნა 11-12 დეკემბერს. ეს იყო ფაქტობრივად სახელმწიფო გადატრიალება. ეს უდიდესი მოვლენა არის რუსეთის ისტორიაში: რუსეთი ან წავა დემოკრატიის გზით, ან დაიწყება სამოქალაქო ომი და მაშინ მთელ მსოფლიოს საფრთხე დაემუქრება.

ვნახოთ, იქნებ რაიმე ეშველოს საქართველოს. რუსეთის პარლამენტი საქართველოს დიდი მტერი იყო. ნათქვამია: წყალწაღებული კაცი ხავსს ეჭიდებოდაო.

დღეს კონსტიტუციურ-დემოკრატიულ გაზეთში მოთავსებულია გია ყარყარაშვილის კარიკატურა, სადაც ის შედარებულია მმატროს ჟელეზნიაკოვს, რომელმაც 1918 წლის 6 იანვარს გარეკა რუსეთის დამფუძნებელი კრება. კარიკატურაზე წარწერაა: „რევოლუციის ისტორიული მემკვიდრე", „რევოლუცია – მატროსი ჟელეზნიაკოვი". ამის გამკეთებელს ნამუსი ხომ უნდა ჰქონდეს! სირცხვილი არ არის, კაცს, რომელიც სოხუმში იმყოფება და თავგამოდებით იბრძვის, ასეთი შარჟი მიუძღვნა!

დღეს, 16 საათსა და 50 წუთზე აფხაზებმა ჩამოაგდეს სამგზავრო თვითმფრინავი. დაილუპა ეკიპაჟის 4 წევრი და 21 მგზავრი, მათ შორის ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები. თვითმფრინავი აფრენილებდა რეისს სოხუმი — ადლერი. ბრძოლები მიმდინარეობს ოჩამჩირეში, ტამიშთან, მაიმუნების საშენთან. გუშინ სოხუმში შეიჭრნენ, მაგრამ ქართველებმა უკან გამოაძევეს.

24 სექტემბერი

ძალიან მიჭირს წერა. **გაოგნებული ვარ — ორი სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს.**

დღეს აჩვენეს იმ ბიჭების გვამები, რომლებიც დაილუპნენ ამ თვითმფრინავებში. მათ სროლაც ვერ მოასწრეს. ჩანდა, რომ ძირითადად დამწვრები იყვნენ. ბოლმა და ცრემლები მახრჩობს. მთელი იმედები იმაზეა, რომ სოხუმს დაეხმარონ ოჩამჩირედან ჭუმბერიძისა და ლოთი ქობალიას რაზმები, რომლებიც მძიმე ბრძოლებით მიდიან ნინ. დღეს მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს სოხუმის გარეუბნებში. რატომ აღარა ვარ ახალგაზრდა! მოხალისეების ჩაწერა ხდება 18-დან 25 წლამდე. ამ გულმაც გამიჭირა საქმე. ეჰ, ძველი დრო იყოს! ახალგაზრდობაში მე ვიყავი გადარეული, ნეტავ როგორ ჩერდებიან ეს ახალგაზრდები თბილისში? როცა მათი თანატოლები ილუპებიან, ისინი უსაქმოდ სეირნობენ თბილისში.

დღეს მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა იყო. ესნრებოდა ოთარ ფაცაცია. საქართველო დსთ-ს ეკონომიკურ ზონაში შევიდა, როგორც ასოცირებული წევრი. რას ნიშნავს ეს, თვითონაც არ ვიცი.

იმედი მაქვს, რომ სოხუმი არ დაეცემა. სოხუმი გადაიქცევა საქართველოს გამაერთიანებლად. აფხაზებმა ამ ბოლო შეტევების გამო საბოლოოდ გაიფუჭეს სახელი. გაეროს უშიშროების საბჭომ, ნატომ, ევროგაერთიანებამ დაგმეს მათი მოქმედება. რუსეთი ისევ თამაშობს. ბორის ელცინს თავისი გასაჭირი აქვს. რუსეთის უმაღლესმა საბჭომ აირჩია ვიცე-პრეზიდენტი — რუცკოი. მათ გადააყენეს სამხედრო მინისტრი პაველ გრაჩოვი, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები. მაგრამ რეალური ძალაუფლება ისევ ბორის ელცინის და მისი მინისტრების ხელშია. თეთრ სახლთან შეკრებილია პარლამენტის მომხრე ხუთი ათასი კაცი. დღეს პირველი სისხლი დაიღვარა. კერძოდ დსთ-ს გაერთიანებულ შტაბზე თავდასხმის დროს მოკლეს ერთი მილიციელი. ასევე შემთხვევით დაიღუპა იქ მყოფი ქალი.

25 სექტემბერი

სოხუმში მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ მისი დამცველები მაგრად დგანან. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ჯარები ვერ შეერ-

თდნენ. ისინი მძიმე ბრძოლებს აწარმოებენ კოდორ-ახალდაბასთან. გადმოსცეს, რომ ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა სენაკში და მერე წავიდა ზუგდიდში. მეტი არაფერი ვიცი. ახლა გადმოსცეს თემურ შაშიაშვილის ინტერვიუ. **ლევან თედიაშვილს თვითმფრინავში შვილი დაეღუპა.** თავად სოხუმში იყო და ამას პირადად უყურებდა. საოცარია, რამდენი ტრაგედია ტრიალებს და ეს თბილისს თითქოს არ ემჩნევა, აქ ჩვეულებრივ მიმდინარეობს ცხოვრება. არ ვიცი, რა ვქნა, გული გასკდომაზე მაქვს, ვწევარ. იმის გამო, რომ არაფრის გაკეთება არ შემიძლია, უფრო ცუდად ვხდები. სოხუმში რომ წავეყვანეთ, უკეთესად ვიქნებოდი. აქ ყოფნა საშინელებაა.

27 სექტემბერი

დღეს, პირველ საათზე მოხდა ტრაგედია – **სოხუმი დაეცა.** ედუარდ შევარდნაძის განცხადებაში ნათქვამია, რომ გუშინ იძულებული იყო **თანხმობა განეცხადებინა დსთ-ში შესვლაზე** და რუსების დივიზიის შემოყვანაზე. რომ არა ღალატი, არ დავმარცხდებოდით. ისტორია განსჯის ყველაფერსო.

28 სექტემბერი

დღეს ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა თბილისში. ის გამოფრინდა საქართველოს და არა რუსეთის თვითმფრინავით. **დღეს გადმოსცეს, რომ გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ჟიული შარტავა.** ბევრი ქართველი გადადის სვანეთის მიმართულებით. წარმომიდგენია, რა ხდება სოხუმში. **ისტორია ყველას განსჯის, ვინც იყო დამნაშავე.** დღეს ბევრს ლაპარაკობენ ღალატზე. გასარკვევია, ვინ ულალატა, მას ქართველი ხალხი შეაჩვენებს! **არავის არაფერი არ შერჩება.** გაიმართა ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენცია. მან თქვა, რომ სოხუმის აღების გეგმა დამუშავებული იყო რუსეთის შტაბებში. მე მგონი, გერმანელ ფაშისტებსაც არაფერი გაუკეთებიათ ამის მსგავსი. მათ დაანგრიეს სოხუმი, დახვრიტეს უდანაშაულო ხალხი. ჩვენი მიზანია ამ ტერიტორიების დაბრუნება და შენარჩუნება. დღეს საქართველოს უჭირს, ჩვენ ნახევრად მშიერი ხალხი ვართ. ჩვენ დაგვაჩოქეს, მაგრამ მეტს აღარ დავიჩოქებთ. თავი იჩინა შინააშლილობამ. მაგრამ მჯერა, რომ ქართველები შეძლებენ გაერთიანებას. ეკონომიკას გამოვაცოცხლებთ. მერე ვიდავოთ... მე მადლობელი ვარ ჟურნალისტებისა, რომლებიც სინამდვილეს აშუქებდნენ...

პრესკონფერენციაზე ედუარდ შევარდნაძეს დაუსვეს კითხვები:

კორ.: ვინ გააჩაღა აფხაზეთის ომი, რატომ არ გაარღვიეს ბლოკადა?

ედუარდ შევარდნაძე: ჯერ არ მოსულა დრო, ცივი გონებით უნდა განვსაზღვრო... შინაურ საქმეებს მერე უნდა მივხედოთ.

კორ.: რას იტყვით შარტავას დაღუპვის და ჟენევის მოლაპარაკების შესახებ?

ედუარდ შევარდნაძე: მე გუშინ ქალაქი შემოვიარე ქვარიასთან ერთად, შეეედი მინისტრთა საბჭოში, გავაგზავნე იქ ავღანელთა 60 კაციანი რაზმი. ჩემი იქ ყოფნის დროს მოვიდა შარტავა, ვილაპარაკეთ ევაკუაციის შესახებ, კერძოდ, მინისტრთა კაბინეტის შესახებ. ბოლო საუბარი ტელეფონით დღის სამ საათზე შედგა. ის ითხოვდა დამატებით ძალებს, მაგრამ მხოლოდ 15 კაცი გავაგზავნე. ჩემი დავალებით პასტუხოვი ელაპარაკა არძინბას, რომელმაც განაცხადა, რომ დერეფანს გახსნიდა. ქალაქიდან მოდიოდა ცნობა, რომ ხალხს ხვრეტენ. ბოლოს გავიგე პასტუხოვისგან, რომ ხუთი ოფიცერი გაგზავნეს, რათა გამოეყვანათ **შარტავა.** არ ვიცი, ზუსტია თუ არა ცნობა მისი დაღუპვის შესახებ. ის ჩემს ხელში გაიზარდა და ძალიან ვაფასებ. ეს ყველაფერი პასტუხოვის კისერზე იყოს. ჟენევაში ჩვენ რამდენჯერმე მივეცით თანხმობა. სანამ საერთაშორისო

ორგანიზაციები ასეთ პასიურ პოზიციებს დაიკავებენ, სიმშვიდე არ იქნება.

კორ.: თქვენ ამბობდით, რომ, თუ სოხუმი დაეცემოდა თქვენ გადადგებოდით.

ედუარდ შევარდნაძე: მე რომ დავრწმუნდები, რომ არის ჩემი შემცვლელი პიროვნება იმ წუთშივე დავტოვებ პოსტს.

კორ.: გამსახურდია დაბრუნდა და უნდა, რომ ძალაუფლება დაიბრუნოს.

ედუარდ შევარდნაძე: თუ ხალხი თანახმა იქნება, მე თანახმა ვარ. ეს უნდა გადაწყვიტოს არჩევნებმა.

კორ.: ელცინთან შეხვედრა როდის იქნება?

ედუარდ შევარდნაძე: მე ველაპარაკე, მაგრამ ეხლა შეხვედრა მიზანშეწონილი არ არის.

კორ.: რას იტყვით დსთ-ში შესვლის შესახებ?

ედუარდ შევარდნაძე: ეს იყო ბოლო შანსის გამოყენება, რაც მისცემდა სტიმულს სოხუმში განლაგებულ საპარაშუტო ბატალიონს სამშვიდობო ძალების როლი შეესრულებინათ. მეორედ არ მაქვს უფლება ჩემი ხალხის გარეშე ეს გადავწყვიტო.

ფრანგი კორესპონდენტი: რამდენადაც ცნობილია, სამხრეთით იყო ჯარი, რომელმაც მონაწილეობა არ მიიღო ბრძოლებში?

ედუარდ შევარდნაძე: პირველი დიდი ნაწილი ცდილობდა გაერღვია ზღუდე, მეორე ნაწილმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო.

კორ.: რამდენი ლტოლვილია და სად ცხოვრობენ?

ედუარდ შევარდნაძე: მთელი მოსახლეობაა, ცხოვრობენ საშინელ მდგომარეობაში.

29 სექტემბერი

დღეს უამრავი ტრაგიკული ცნობა მოდის აფხაზეთიდან. დაიღუპა მამია ალასანია, პოლკოვნიკი, რომელსაც ახლოს ვიცნობდი და ძალიან კარგი კაცი იყო. საზარელი ამბები დატრიალებულა სოხუმში. გაოგნებული ვარ.

გადაცემა „საღამო მშვიდობისა"-ში გადასცეს: ზვიად გამსახურდიას ბრძანება მიუცია ლოთი ქობალიასთვის, რომ მხოლოდ სოხუმელები გაეშვა საბრძოლველად და თვითონ კი არ წასულიყო.

გული მტკივა. საქართველო იღუპება, არ ვიცი, რა ვქნა. აქ ბევრი გაიძახის ჩავქოლოთ ზვიადისტები და სისხლით დავიცვათ თბილისიო. თბილისში რაც ხდება, ამის ატანა არ შეიძლება. დღეს ვიდექი ბარნოვის ქუჩაზე და ვუყურებდი შეიარაღებულ ახალგაზრდებს, რომლებიც უცხოური მანქანებით გოგონებთან ერთად დაგრიალებენ, ყიდულობენ კონიაკს, სიგარეტს და ერთობიან. არ შემიძლია მათ გვერდით ვიომო. აი, ეს არ არის თბილისი! ამ მთავრობას ჯერ ნესრიგი თბილისში უნდა დაემყარებინა და მერე დასავლეთ საქართველოში.

გადაცემა „საღამო მშვიდობისაში" ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან.

მამუკა არეშიძე: იქნებ საჭირო არ იყო ლოიალობა იმ პირების მიმართ, რომლებიც ხიდებს აფეთქებდნენ, ხალხს იტაცებდნენ?

ედუარდ შევარდნაძე: როცა კურსი ავიღეთ შერიგებაზე ჩვენ გაუმართლებელ დათმობებზე მივდიოდით. ვიფიქრეთ, ხალხი გაიგებდა... ჩვენ ჯერ ნახევრად სახელმწიფო ვართ, თან დემოკრატიულ საფუძველებზე.

მ. არეშიძე: როდემდე შეიძლება ვიყოთ ფორმირების პროცესში?

ედუარდ შევარდნაძე: მე ვამბობდი, რომ ნორმალურ ვითარებაში საჭიროა 2-3 წელი. ჩვენ არ მოგვეცა ამის საშუალება, ჩვენ კიდევ ვომობთ. ეხლა გაშიშვლდა რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგობანი და რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, ძნელი სათქმელია. ჯერ ყველაფერი არ დაღუპულა, მაინც ვფიქრობ, არის გამოსავალი.

მ. არეშიძე: როდის დაასახელებენ მათ, ვინც აქამდე მიიყვანა საქმე. ვის გულისხმობდით მეხუთე კოლონაში?

ედუარდ შევარდნაძე: ამას დრო სჭირდება.

მ. არეშიძე: რომ არ მომხდარიყო კონფრონტაცია, ოჩამჩირედან რომ დაგხმარებოდნენ, შეძლებდით თუ არა, რომ შეგვენარჩუნებინა სოხუმი.

ედუარდ შევარდნაძე: სოხუმში რომ ვიყავი, იყო შემთხვევები მთელი ბატალიონი მოიხსნა თავდაცვიდან. ამიტომ მთლიანად ოჩამჩირის დაჯგუფებაზე დაბრალება არ არის სწორი.

მ. არეშიძე: თუ არ გვყავდა ნორმალური ჯარი, ხომ არ სჯობდა არ დაგვეწყო ეს კონფლიქტი?

ედუარდ შევარდნაძე: ჩვენ კონფლიქტი არ დაგვიწყია (ეხლაც იმეორებს ისევ ძველ გამონათქვამებს, ხიდების დაცვას და ა.შ. – მ. ვ.).

მ. არეშიძე: რა გზებით ფიქრობთ, რომ შეიცვალოს მდგომარეობა?

ედუარდ შევარდნაძე: მე ვიცოდი, სადაც მოვდიოდი, პოლიტიკოსისათვის ეს თვითმკვლელობა იყო, მაგრამ, რომ ჩამოვედი შემაძრწუნა არსებულმა მდგომარეობამ... რა არის გამოსავალი? 1. ქართველების ელემენტარული პასუხისმგებლობა, საერთო დიალოგი; 2. უნდა ვილაპარაკოთ სიმართლე იმის შესახებ, რაც აფხაზეთში დატრიალდა. რუსეთს დარჩა იმპერიული მისია. 3. **დღეს მსოფლიო საბოლოოდ შემობრუნდა საქართველოსკენ.*** დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ მსოფლიო მოგვეშველება. მაგალითად, გენშერმა დარეკა, აფორიაქებულია თეთრი სახლი... მსოფლიომ გაიგო, რა არის საქართველო.

მ. არეშიძე: მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი არა მარტო საქართველოს, არამედ თქვენც გებრძვით.

ედუარდ შევარდნაძე:... ძალიან დიდია ის ძალები, რომლებიც ვერ შეეგუენ იმპერიის დანგრევას და მათ შორის ბევრი დემოკრატიც არის.

ედუარდ შევარდნაძემ შემდგომში განაცხადა, რომ ოჩამჩირის რაიონში ჩემს ნარმომადგენლად დავნიშნე თენგიზ კიტოვანიო (ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩემი გუშინდელი გამოსვლა ტელევიზიაში სწორი ყოფილა. როდესაც შემეკითხნენ – რას იტყვით ღალატზე და მოღალატეებზეო? მე ვუთხარი: ასეთი შეკითხვა არ უნდა დამისვათ, რადგან მე ჯერ არ ვიცი, ვინ არის მოღალატე და საერთოდ, თუ ამჟამად დავიწყეთ ამაზე საუბარი, დაიწყება სამოქალაქო ომი. ორი დღეა გაზეთები და ტელევიზია თენგიზ კიტოვანს აგინებს და დღეს ედუარდ შევარდნაძემ თავის წარმომადგენლად დანიშნა. ამიტომ თავი უნდა შევიკავოთ).

30 სექტემბერი

საშინელება ტრიალებს საქართველოში! საშინელება. ისტორიიდან არ მახსენდება ისეთი საშინელება, რაც მოხდა აფხაზეთში. ყოველ წუთს მესმის ნაცნობების დაღუპვის შესახებ. თუ ვინმე ნორმალური ქართველი კაცი დაიჭირეს, ყველა დახვრიტეს. გადმოსცეს, რომ დაიღუპა **დიმა ჯაიანი** თავის შვილთან ერთად. მახსოვს, ეს კარგი მსახიობი სტუდენტობის პერიოდიდან, საკმაოდ სიმპათიური, რუსთაველზე სეირნობდა ხოლმე. ჩამოასვენეს ჟიული შარტავას ცხედარი. მითხრეს, საშინელი ნაწამები არისო. ისინი მებრძოლები კი არა, სადისტიმკვლელები ყოფილან. არ ინდობენ ქალებს და ბავშვებს. ნაწამები შიშველი ქალების სხეულებს პოულობენ ზღვაში. დღეს აფხაზებმა აიღეს ოჩამჩირე. საშინელება ტრიალებს. ხალხი, ჯარი და ტექნიკა ერთად გარბის. 30-40 ათასი ადამიანი გულრიფშიდან მიდის სვანეთის მთებისკენ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მათ გზაში ხვდება

* ნუთუ ამისათვის სოხუმის დაკარგვა იყო აუცილებელი?

ზოგიერთი გარეწარი ქართველი და ძარცვავს ამ გაუბედურებულ ხალხს. ღმერთო, მიუზღვე სამაგიერო ყველას, ვინც არის დამნაშავე ამ უბედურებაში! ლოთი ქობალიამ დაიხია ზუგდიდისკენ. არ ვიცი, რა ხდება, მე ამ კაცს დღესაც პატივს ვცემ და იმ დროსაც პატივს ვცემდი, როდესაც აგინებდნენ. ღმერთო, ნუ გამიცრუებ იმედს! გვიან შევიტყვეთ, რომ აფხაზები შევიდნენ გალში.

1 ოქტომბერი

დღეს ედუარდ შევარდნაძემ შექმნა საგანგებო კომიტეტი და სათავეში ჩაუყენა ჯაბა იოსელიანი. ეტყობა, ედუარდ შევარდნაძე ამკაცრებს საშინაო პოლიტიკას. **არა მგონია, იოსელიანის დანიშვნამ რამე სიკეთე მოუტანოს საქართველოს. ჩემი აზრით, ეს დანიშვნა დააჩქარებს სამოქალაქო ომს და ედუარდ შევარდნაძის კრახს.**

2 ოქტომბერი

დღეს დილით ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა დაიწყეს შეტევა ფოთზე. ქალაქს იცავს შავნაბადას ბატალიონი კობა კობალაძის მეთაურობით. შუადღისას დაიღუპა ექვსი კაცი, დაიჭრა – 60.

რას ნიშნავს ეს? ფაქტობრივად დაიწყო სამოქალაქო ომი. ეს ომი დიდი ხანია მიმდინარეობს საქართველოში, ხან ჩუმად, ხან აშკარად. დღეს კი დაიწყო ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომი. თუ წინათ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს არ ჰქონდათ ტექნიკა, შეიარაღება და სამთავრობო ჯარები ადვილად შედიოდნენ დასავლეთ საქართველოში, ახლა მათ ტექნიკაც გააჩნიათ და ძალაც. ედუარდ შევარდნაძის მომხრე ძალა ფაქტობრივად განადგურდა აფხაზეთში. საქართველოს ისტორიაში დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი პერიოდი. მე წინათაც ვნერდი: რა ქნას ჩემნაირმა ხალხმა, რომელიც საქართველოში საკმაოდ ბევრია. მე ადრეც ვფიქრობდი, როგორ უნდა ვესროლო ქართველებს? მე შემიძლია ვესროლო ყაჩაღს, ბანდიტს, გინდ ედუარდ შევარდნაძის მომხრე იყოს და გინდა ზვიად გამსახურდიასი. ეს სამოქალაქო ომი ფსიქოლოგიურად მომზადებული იყო. მე ამაზე ადრე ვნერდი. **განსაკუთრებული ბრალი ამაში მიუძღვის ე. ნ. „ინტელიგენციის" წარმომადგენლებს, რომლებიც მოუწოდებდნენ ელაშქრათ სამეგრელოზე.** ეგიჟდებოდი ასეთი გამოსვლების გამო. ასეთი მდგომარეობა არის მეორე მხარესაც, სადაც, ალბათ, მოუწოდებენ ლაშქრობისაკენ თბილისზე. კი მაგრამ, მე და ჩემი ოჯახი რა შუაში ვართ? **ბანდიტმა არ იცის და არც აინტერესებს არც ეროვნება, არც კუთხურობა, არც თბილისელობა, ბანდიტი ბანდიტია.** ჩემთან სახლში ორჯერ შემოვიდნენ და საქორწილო ბეჭედიც არ შემარჩინეს. რა ვქნა ახლა? ამ ბანდიტებთან ერთად წავიდე და ვიბრძოლო? ეს ხომ გამორიცხულია! **მე მივდიოდი აფხაზეთის ომში გარეშე მტრის და არა საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების წინააღმდეგ.**

დღეს, თავიანთი ჭკუით, ე. ნ. „სახალხო ლაშქარს" აგროვებენ. **ხალხი ჭკუაზეა გადასული. მეგრელებს აგინებენ. რა შუაშია მეგრელობა? ისევ ვიმეორებ. მე შემიძლია ვესროლო გარეშე მტერს, ბანდიტს და ყაჩაღს.**

ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან.

ედუარდ შევარდნაძე: მთელი აფხაზეთის ქართველობა ლტოლვილებად იქცა. 40 ათასამდე ადამიანი მიდის სვანეთის მთებისაკენ, ბევრი იღუპება, ჩამოთოვა. თაეი რომ გავართვათ, მთელი რესურსების გამოყენება დაგვჭირდება. ამ დილით მივდიოდი სვანეთში. სამწუხაროდ, დილით დამირეკეს, რომ უტევენ ფოთს, გაჩაღდა ბრძოლა, ფოთი მათ დაიკავეს. როდესაც ჩვენ მანქანებს ვეძებთ, სურსათს ვაგროვებთ,

რომ დავეხმაროთ ლტოლვილებს, ამ დროს მათ ქალაქი აიღეს. მათ ადამიანური სახე დაკარგეს. ძნელია, როცა ქართველი ქართველს ესვრის. **ჩემთან იყო კობა კობალაძე და მითხრა: არ ვიცი, როგორ ვესროლოო. მე სვანეთი გამოვაცხადე ეროვნული უბედურების ზონად.**

ზაზა ალექსიძე: მეტ ლოიალობაში გდებენ ბრალს, აგრეთვე იმაში, რომ ედუარდ შევარდნაძეს გამორჩა, რომ მას აზიურ სახელმწიფოებთან აქვს საქმე.

ედუარდ შევარდნაძე: იმ სამ ხელშეკრულებაზე უნდა მოგვეწერა ხელი. სამწუხაროდ, ღალატი ყველაზე მძიმე მომენტია საქართველოს ისტორიაში. მსოფლიომ დაინახა, რომ ჩვენ მართალი ვიყავით და მართალი ვართ. ზუგდიდის ფორმირებებმა ზურგში ლახვარი ჩაგვარტყეს. მე თავს ვარწმუნებდი, რომ ქართველები გაერთიანდებოდნენ. უნდა ვეძებოთ გამოსავალი.

ზ. ალექსიძე: თურმე თქვენ და ირაკლი ბათიაშვილმა იცოდით, რომ ასე განვითარდებოდა მოვლენები, მათ შორის ფოთის აღებაც.

ედუარდ შევარდნაძე: შეფასებები უკვე გამოითქვა. მიზეზების ძიების დრო არ არის. იქ აფხაზებმა გაილაშქრეს, აქ ჩვენმა მოქალაქეებმა. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს. მე უნდა გავაფრთხილო ისინი, რომ შეჩერდნენ. ბევრი ხალხი დაიღუპება. ამით, გარდა ჩვენი მტრისა, ვერავინ მოიგებს. ქუთაისში მთელი პირველი საარმიო კორპუსი არის, ხდება ძალების კონცენტრაცია, ჯობია დაანებონ თავი ცეცხლთან თამაშს, თორემ მათ მოუწევთ პასუხისგება. სამარცხვინო ფურცელი ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში.

ზ. ალექსიძე: პირველად რომ ჩამოხვედით, შერიგებისკენ მოუწოდებდით. გჯერათ, რომ ეს გაფრთხილება რეალური და ანგარიშგასაწევია?

ედუარდ შევარდნაძე: სახელმწიფოს მეთაური უფრო სასტიკი უნდა იყოს, მაგრამ იმდენი სისასტიკე ნახა ჩემმა თაობამ და საქართველომ, რომ არ შემეძლო სწრაფად არ ნავსულიყავით დემოკრატიისაკენ.

ჩემი აზრით, ზვიად გამსახურდიას მომხრეები შეცდნენ, როდესაც ფოთი აიღეს. შეიძლება ეს სტრატეგიულად გამართლებული იყო, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი აშკარად გადადის ედუარდ შევარდნაძის მხარეზე მაშინ, როცა ბევრი ფიქრობდა, რომ ედუარდ შევარდნაძის დრო დამთავრდა. თვით ლტოლვილებიც, რომლებიც ედუარდ შევარდნაძეს აბრალებდნენ ყველაფერს, ახლა ძალიან დაბოღმილები არიან ზვიად გამსახურდიას მომხრეებზე. ლტოლვილები ამბობენ: ამ გაჭირვების დროს, რა დროს ფოთის აღება იყოო. ძალიან გამიხარდა, რომ გადარჩენილა და **ცოცხალია დიმა ჯაიანი, მსახიობი, რომელზეც მე ვწერდი.**

4 ოქტომბერი

გუშინ დილით ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა აიღეს ხონი. მსხვერპლი არ ყოფილა. გუშინ ვიყავი მერიაში, მინდოდა გამეგო, სად წამელო დახმარება ლტოლვილებისათვის. აზრზე არ არიან, რა ქნან. სრული ქაოსია.

გუშინ რუსეთიდან ჩამოვიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ადამიშინი, პასტუხოვი და შოიგუ. თითქოს მთავარი იყო ლტოლვილების საკითხი, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ დგას ზვიად გამსახურდიას საკითხი. ჩემი აზრით, შეთანხმდნენ. ეს დღესვე გამოჩნდა, როდესაც ხონი დაიბრუნეს.

რუსეთში დიდი ამბები მოხდა. დაიწყო შეტაკებები ბორის ელცინის მომხრეებსა და ალექსანდრე რუცკოის მომხრეებს შორის. რუცკოის მომხრეებმა აიღეს მოსკოვის მერია, მათ მეთაურობს გენერალი მაკაშოვი.

დაიწყო შეტაკებები ოსტანკინოს დაკავების მიზნით. მოსკოვში ყოველივე ამან ისეთი სახე მიიღო (როგორც ქრისტიანს, მეუხერხულება ამის დანერა), რომ მიხარია.

რუსებმაც ნახონ, რა არის ხალხის დახოცვა, რა არის სიკვდილი, რომელსაც თავად თესავენ საქართველოში. მოსკოვში ტანკები შეიჭრნენ და თეთრ სახლს ალყა შემოარტყეს. ბორის ელცინს არმიამ დაუჭირა მხარი. გაათავისუფლეს მერია და ოსტანკინო, დაიწყო ბრძოლები თეთრ სახლთან. საოცარი სანახავი იყო, თუ როგორ ესროდნენ ტანკები ყუმბარებს თეთრ სახლს. თეთრი სახლი მალე დანებდა. მთელმა მსოფლიომ მხარი დაუჭირა ბორის ელცინს, მათ შორის ედუარდ შევარდნაძემაც. სამტრედიასთან შეტევა წამოიწყეს ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა, მაგრამ უკუაგდეს. მათ აბაშასთან ხიდი ააფეთქეს. დღეს გადარჩენილი დიმა ჯაიანი გამოვიდა ქუთაისის ტელევიზიით. ის გაოგნებული ამბობდა, რომ ხალხი სვანეთის მთებში იღუპება და რა დროს შეტევა იყოო. ტიროდა კაცი. ეს ზვიად გამსახურდიას მომხრეების უდიდესი შეცდომა იყო. რა დროს ომია, როცა ბავშვები იყინებიან სვანეთში. ერთი სამი თვის ბავშვი დიმა ჯაიანის ხელში გაყინულა. დღეს ჩემმა მეუღლემ ნაიღო სადგურში საკვები და ფული ლტოლვილებისათვის. აუცილებლად უნდა გავარკვიო: ნუთუ ვცდებოდი ლოთი ქობალიაში, რომელიც ამბობდა ქართველს თოფს არ ვესვრიო? ნუთუ არ შეიძლება საერთოდ ადამიანების ნდობა? გავგიჟდები ნამდვილად!

5 ოქტომბერი

გუშინ საღამოს დააპატიმრეს რუტკოი, ხაზბულატოვი, მაკაშოვი, ბარანიკოვი, დუნაევი.

რაც შეეხება მდგომარეობას საქართველოში, ეკითხულობ გრიგოლ რობაქიძის მიერ 1915 წელს დაწერილს: „ქართველებს მრავალი მტერი ჰყავს. შესაძლოა. მე კი სხვა რამ მაფიქრებს: ქართველ ერს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს: ეს არის თვითონ ქართველი ერი, პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა: დაუნდობლობა, გაუტანლობა, შური, ღვარძლი ერთიმეორეში. უნდა მოისპოს ეს ცოდო. რით?"

საოცარი სიტყვებია. გაოგნებული ვარ. დღესაც ასეა ქართველი ერი, გაყოფილია ორად. ორივე მხარე მზად არის საბოლოოდ გაანადგურონ ერთმანეთი, ორივე ფიქრობს საბოლოოდ ამოძირკვონ ერთმანეთი. სამწუხაროდ, ორივე მხარეს მიაჩნია, რომ მათ არცერთს არავითარი შეცდომა არა აქვთ დაშვებული და არაფრის გაგონება არ სურს. მე მეცოდება საბრალო ქართველი კაცი თავისი ოჯახით, რომელიც ცდილობს იშრომოს, ოჯახი არჩინოს, კარგი შვილები აღუზარდოს სამშობლოს და ამ დროს ვილაც პოლიტიკოსების ამბიციების გამო ან გასროლილი ყუმბარით, ან უნდა დაიღუპოს, ან სახლი დაენგრეს, ან მოსავალი მოესპოს. სამწუხაროდ, ამ ქართველ კაცზე არავინ ფიქრობს. დღეს იტყვიან: რა დროს ესაა, ახლა ხომ ომია! კი მაგრამ, ყველას ხომ არ შეუძლია ბრძოლა? ისევ ვიმეორებ: ზვიად გამსახურდიას მომხრეებშიც არიან წესიერი ადამიანები და ედუარდ შევარდნაძის მომხრეებშიც. სამწუხაროდ, სნორედ ისინი დაიღუპებიან, თორემ ბანდიტი, ავაზაკი ყოველთვის მოახერხებს გაქცევას და თავის გადარჩენას. ღმერთო, გადაგვარჩინე ამდენ სისხლისღვრასა! ამბობენ, ხონში ოპერაცია კარგად ჩატარდაო, მაგრამ მაინც დაიღუპა რამდენიმე ახალგაზრდა. ნუთუ საქართველოს აქვს უფლება დაკარგოს თავისი შვილები.

გუშინ ტელევიზიით, გადაცემაში „საღამო მშვიდობისა" მოგვასმენინეს საუბარი ზუგდიდიდან გუდაუთაში. ზუგდიდიდან ულოცავდნენ სოხუმის და ოჩამჩირის აღებას, მაგრამ უკმაყოფილონი იყვნენ, აფხაზებმა გალი დაიკავეს, რადგან ამაზე არ გვქონია შეთანხმებაო. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს სიმართლეა, თუ ეს მართალია, ეს ხომ საშინელებაა! ვის ეულოცავთ? იმათ, ვინც პატარა ბავშვებს აუპატიურებდა, ხოცავდა და ფატრავდა ქართველ ქალებს, ხვრეტავ-

დნენ მამაკაცებს! როდესაც ნაიკითხავენ ჩემს ჩანაწერებს, მიხვდებიან, რომ ყოველთვის ვეძებ ადამიანში კარგს, არ მინდა დავინახო ცუდი, მაგრამ ეს უკვე ცუდი არ არის, ეს საშინელებაა!

დღეს ასაფლავებენ ჟიული შარტავას. ძალიან დამწყდა გული. მართლაც ეაჟკაცურად მოქმედებდა აფხაზეთში და გმირულადაც დაიღუპა. დღეს მალთაყვას ხიდთან და სამტრედიასთან იყო შეტაკებები. აშკარად ეტყობა, რომ დღეს, მაქსიმუმ ხვალ სამთავრობო ძალები დაიწყებენ შეტევას. სამნუხაროა, რომ იდეოლოგიურადაც ამზადებენ ამ შეტევას. ტელევიზიით გამოიყვანეს აკადემიკოსები ოთარ ჯაფარიძე და მარიკა ლორთქიფანიძე, რომლებმაც მოითხოვეს სასწრაფოდ შეტევა.

დღეს უნივერსიტეტში გავრცელდა ხმა, რომ დაიღუპა რეზო მიშველაძის ვაჟი აჩიკო. რეზო სასწრაფოდ წავიდა ქუთაისში. იქნებ ჭორია? ხონთან ერთი კაცი დაიღუპაო მხოლოდ და რაღა რეზოს ვაჟი იქნება ის საწყალი! სამწუხაროდ, მართალი ყოფილა. ახლა ტელევიზიით აჩვენეს სანყალი ბიჭი. ღმერთო, რა ძნელია, როგორ დაიღუპა ქართველი ქართველის ხელით? ნუთუ ზვიად გამსახურდიას არ აწუხებს ის ამბავი, რომ ამდენი ახალგაზრდა იღუპება, ნუთუ არ შეიძლებოდა მოქცეულიყო ისე, როგორც ელჩიბეი. მე არ შემიძლია გავამართლო ხოცვა-ულტა ქართველებს შორის, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი, მით უმეტეს, რომ ეს ომი ორივე მხრიდან იდეოლოგიურადაც მზადდებოდა. ერთი მხარე ამბობს, რომ ეს ომი არის მიმართული არა სამეგრელოს, არამედ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. მეორე მხარე ამბობს, რომ ისინი ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მოდიან და არა თბილისის დასალაშქრავად. ნეტავ უმტკივნეულოდ დამთავრდეს ეს ყველაფერი! თუმცა ამისი შანსი არ არსებობს, იმიტომ, რომ არც ერთ მხარეს არ უნდა აღიაროს თავისი შეცდომები და გამოძებნოს შერიგების გზა.

თუ ცოცხალი ვიქნები, მინდა შევხვდე ლოთი ქობალიას და გავიგო, გულწრფელი იყო ის თუ არა, როცა ამბობდა, რომ ქართველს არ ესროდა. დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ამ ომმა დიდი გაქანება მიიღო, ის მთელ საქართველოს ჩაითრევს, ცხადია, მეც აღმოვჩნდები ამ საგიჟეთში, რადგან, თუ დაკარგავ ახლობელს, მაშინ შურისძიება დაგიბნელებს გონებას. საქართველოს ღუპავს ამბიციები.

6 ოქტომბერი

გალში უკვე დახოცეს ასამდე კაცი, ხალხს ძარცვავენ, ყველაფერი მიაქვთ. ბრძოლა იყო მალთაყვასთან. ზვიად გამსახურდიას მომხრეებიდან დაიღუპა 15 კაცი, დაიჭრა – 50. სამტრედიაშიც ისროლეს. დაიღუპა ორი მშვიდობიანი მცხოვრები. ეს ყველაფერი ტელევიზიით მოვისმინე. რა თქმა უნდა, არ ვიცი იქით მხარეს რამდენი დაიღუპა. გია ვაშაკიძემ (მინისტრის მოადგილემ) თქვა, რომ ჩვენ ტანკების გასროლით ვუპასუხეთო. რა თქმა უნდა, იქითაც დაიღუპებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა. მძიმე მდგომარეობაა ლტოლვილებში, რომლებიც სვანეთის უღელტეხილით მიდიან. საშინელებაა, იღუპებიან ძირითადად მოხუცები და ბავშვები.

7 ოქტომბერი

დღეს ვიყავი რეზო მიშველაძის ერთადერთი შვილის პანაშვიდზე. სანყალი რეზო გადამეხვია, ორივე ვტიროდით. საშინელებაა, განადგურებული ნამოვედი. როგორც ისტორიკოსს, ყოველთვის მაინტერესებდა, რა მდგომარეობაში იყო ზნეობრივად საქართველო, როდესაც კლავდნენ ილია ჭავჭავაძეს.

მე ვნახე ის, თუ როგორ ესროდნენ ილიას ძეგლს რუსთაველზე, როგორ

დაცხრილეს მისი ძეგლი საგურამოში, როგორ გაძარცვეს მისი სახლ-მუზეუმი ყვარელში!

მე ვნახე ქართველი ერი ერთ მუშტად შეკრული – ეს იყო 9 აპრილის შემდეგ.

მე ვნახე თანამდებობებისთვის და ამბიციებისთვის მებრძოლი ქართველები.

მე ვნახე ქართველი, რომელიც „ტყვის სყიდვას“ ეწეოდა. რა განსხვავებაა ახლანდელ, ე. ნ. „შინაურ მამლუქობასა“ და „ტყვის სყიდვას“ შორის? ახლაც იტაცებენ ბავშვებს, მამაკაცებს, ქალებს და გამოსასყიდს ახდევინებენ.

მე ვნახე ქართველობა, რომლის ნაწილი ომში გმირულად იღუპება, მეორე ნაწილი – გულგრილი ადამიანები – ლტოლვილებს არ ეხმარება, მესამე ნაწილი, საზიზღარი ადამიანები – ლტოლვილებს გზაში ყველაფერს ართმევს. ღმერთმა დაგვიფარა, რომ კიდევ არის ხალხი, რომელიც ლტოლვილებს ეხმარება.

მე ვნახე ქართველობა, რომელიც სამოქალაქო ომში ერთმანეთს ხოცავს. სწორედ ამ ომის მსხვერპლთან ვიყავი დღეს მე.

დღეს კინაღამ გავგიჟდი. ინტელიგენციის ნაწილმა მოითხოვა, რომ ავიაციის გამოყენებით დაიბომბოს დასავლეთ საქართველო. როცა მე ვუთხარი, რომ დაბომბვისას ბავშვები დაიღუპებიან-მეთქი, მათ მიპასუხეს: მერე რა მოხდაო. ნამდვილად არ მეგონა, თუ მოვესწრებოდი 1937 წლის დაბრუნებას. სულ მიკვირდა, 1937 წელს, როგორ ასმენდნენ, როგორ უხაროდათ ადამიანთა გაუბედურება. ახლა აღარ მიკვირს. ეს ორი დღეა დაიწყეს ე. წ. „ზვიადისტთა“ დაპატიმრება. დაიჭირეს ჩემი ნაცნობები: მანანა ლაბაძე და მისი მეუღლე რომიკო ანჯაფარიძე, უნივერსიტეტის პროფესორი ლერი გოგოლაძე. როგორ შეიძლება მათი ციხეში ყოფნა? არადა ბრბოს უხარია ყოველივე ეს. დეკანატში ბევრი შემოდის და კითხულობენ: ნუთუ არ დაიჭირეს პროფესორი ვახტანგ ჯანჯღლავა და მიტო ლეთოდიანი? ვატყობ, როცა შეიტყობენ, რომ ჯერ არ არიან დაპატიმრებულნი, ძალიან სწყინთ. გავგიჟდები. მე პირადად ვახოს და მიტოს შეხედულებებს არ ვიზიარებ, მაგრამ, როგორ შემიძლია ნარმოვიდგინო ისინი ციხეში! ვახტანგ ჯანჯღლავა 70 წლამდე ასაკისაა, პყავს შვილები, შვილიშვილები, მიტო ლეთოდიანს სამი პატარა შვილი პყავს, რომლებსაც მის გარდა პატრონი არა პყავთ. მესმის კიდევ დაჭერა იმათი, ვინც ხელისუფლებას იარაღით ებრძვის, მაგრამ დაჭერა იმიტომ, რომ ადამიანს თავისი აზრი აქვს, თუგინდ მცდარიც, ეს ხომ იგივეა, რასაც მიჩვეული ვიყავით მთელი 70 წლის განმავლობაში. არ ვიცი, ამ მოკლე დროის განმავლობაში რატომ გამოამჟღავნა ქართველმა ერმა ამდენი უარყოფითი თვისება. აქ არის კომპლექსი ყველანაირი ცუდის, რაც ჰქონია საქართველოს: ღალატი, შური, დასმენა, ყაჩაღობა, კაცისკვლა. ავიაციით დავბომბოთ დასავლეთ საქართველო – ზვიადის მომხრეთა რაიონები – ამას ამბობდნენ აკადემიკოსები, პროფესორები და დოცენტები, ე. ი. ამას ამბობენ საქართველოს ცნობილი ადამიანები, ე. ნ. განათლებული და სწავლული ხალხი. არ ვიცი, რა ქენა, რა ქნას ჩემნაირმა ქართველმა, რომლებიც საქართველოში საკმაოდ არიან.

რუსეთის ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ 7 ოქტომბერს, საღამოს ბორის ელცინს შეხვდნენ ალიევი, ტერ-პეტროსიანი და შევარდნაძე. ამ შეხვედრაზე გადაწყდა ძალზე ბევრი საკითხი. კერძოდ, გადაწყდა, რომ რუსეთი გამოვა ამიერკავკასიის მფარველად. რუსეთმა დაანახვა ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს, რომ, თუ დააპირებენ გასვლას მისი გავლენის სფეროდან ეს გადაიქცევა ტრაგედიად თითოეული ქვეყნისათვის. როცა სომხეთში გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ და სათავეში მოვიდა ტერ-პეტროსიანი, ყარაბახის ომში უპირატესობა მაშინვე

აზერბაიჯანის მხარეს გადავიდა – დაიწყო სომხების დეპორტაცია ყარაბახიდან. ეს იყო სომხების ტრაგედია. შემდეგ აზერბაიჯანში გაიმარჯვა სახალხო ფრონტმა. მალე სომხეთი შეეკრა რუსეთს. "ახლა აზერბაიჯანელების დეპორტაცია დაიწყო ყარაბახიდან. ყარაბახს ვინ ჩივის, როცა აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% სომხებმა მიიტაცეს. აზერბაიჯანის არმია მარცხს მარცხზე განიცდის. ამ დროს აზერბაიჯანი გამოსულია დსთ-დან. მალე აზერბაიჯანში პრეზიდენტ ელჩიბეის დაამხობენ და მოვა ცნობილი ჰეიდარ ალიევი, რომელიც საჩქაროდ აგვარებს ურთიერთობებს რუსეთთან და შედის დსთ-ში. სომხებმა შეტევა შეაჩერეს. ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ საჭიროა უფრო მოქნილი პოლიტიკა რუსეთთან. ის დემაგოგიური განცხადებები, რომლითაც გამოდიან ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე, თამრიკო ჩხეიძე, საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე, კარგ შედეგებს არ მოიტანს. მე მესმის კარგია, რომ გაიყვანონ რუსებმა ჯარი, მაგრამ რუსებმა ისეთ დღეში ჩაგვაგდეს, რომ, პირიქით, ახლა დაიწყება ხვეწნა: ოღონდ ლტოლვილები დაგვაბრუნებინეთო, ოღონდ ზვიად გამსახურდია გააძევეთ და რაც გინდათ ის ჰქენით, რამდენ ხანსაც გინდათ იმდენ ხანს დარჩითო!

8 ოქტომბერი

ჩემი სიტყვები მართლდება. დღეს მოსკოვში შეხვდნენ – ბორის ელცინი, ედუარდ შევარდნაძე, ჰეიდარ ალიევი, ლეონ ტერ-პეტროსიანი. ინტერვიუში ტერ-პეტროსიანმა განაცხადა, რომ ჩვენ საქართველოს საქმეებში არ ვერევით, მაგრამ ერთი საერთო საზრუნავი გვაქვს – რკინიგზის მაგისტრალებიო. გადაწყდა, რომ ისინი ერთად გააკონტროლებენ რკინიგზას.

ედუარდ შევარდნაძემ მოსკოვში მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო შედის დსთ-ში.

ჩემი აზრით, სხვა გამოსავალი ამჟამად არ არის. ჩვენ დამოუკიდებლობის ნაწილს ვთმობთ, რათა გადავრჩეთ. ჩვენ ჯერ-ჯერობით ღირსნი არ ვყოფილვართ სრული დამოუკიდებლობისა. **მართალია, ყველაფერში მთავარი დამნაშავე არის რუსეთი, მაგრამ რუსეთს ჩვენ ჩვენი მოქმედებებით შევუწყვეთ ხელი და ამიტომაც ვისჯებით.**

მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ზვიად გამსახურდიას ბრძოლას დასავლეთ საქართველოში ფაქტობრივად წარმატების არავითარი შანსი აღარ დარჩა. ტყუილად იღუპება ხალხი. ტელევიზიით გადასცემენ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს, იმის თაობაზე, თუ რომელი პროგრამა აინტერესებს მაყურებელს. პირველ ადგილზე გავიდა გადაცემა „მაცნე". ერთ დონეზე გავიდნენ პარლამენტის სესიების გადაცემა და გადაცემა „ცხოველთა სამყაროში". ჩემი აზრით, ორივე გადაცემა მართლაც ძალზე ჰგავს ერთმანეთს.

11 ოქტომბერი

დაპირისპირება დასავლეთ საქართველოში გრძელდება. დსთ-ში შესვლა გია **ჭანტურიამ უარყოფითად შეაფასა და მას უწოდა უმოკლესი გზა დაღუპვისაკენ. ირაკლი ბათიაშვილი გადადგა,** მის ნაცვლად დაინიშნა იგორ გიორგაძე. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა შოთა კვირაია, ეროვნული ბანკის მმართველად ნოდარ ჯავახიშვილი. გია ჭანტურიამ განაცხადა, რომ რუსეთიდან ედუარდ შევარდნაძე დსთ-ში შესასვლელად არ ჩამოგვიყვანიაო.

13 ოქტომბერი

დღეს „საქართველოს რესპუბლიკაში" გადმობეჭდილია ინტერვიუ ანდრეი კოზირევთან. როდესაც მას შეეკითხნენ აფხაზეთის შესახებ, მან განაცხადა: „უზენაესი

საბჭო" მხარს უჭერდა ექსტრემისტებს აფხაზეთში, ახლა, ვფიქრობ, იქ წესრიგი დამყარდებაო. კოზირევმა იქვე შენიშნა: „ეს რეგიონი ჩვენი საარსებო ინტერესების ზონაა, თუ რუსეთი იქ თავის პოზიციას დაკარგავს, ჩვენ სხვა ძალები შეგვცვლიან და ამას გარდუვალად მოჰყვება დესტაბილიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ დღეს საქართველოს დაშლას დავუშვებთ, ხვალ იგივე საფრთხეს წააწყდება რუსეთი, შეიქმნება უსაშინლესი პრეცედენტი". მართალია, დიდი იმედი არა მაქვს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს და მინდა ოპტიმისტი ვიყო. დღეს ისეთი გაჭირვებაა საქართველოში, რომ აღარ ვიცი რა ვთქვა. ისევ გრძელდება ყაჩაღობა. გუშინ საჩხერის გზაზე ორი კაცი მოკლეს – ერთი მილიციის კაპიტანი და ერთი გვარდიელი. მკვლელობა ჩაიდინეს ყაჩაღებმა, რომლებიც მანქანებს იტაცებდნენ. ბენზინს, რომელიც ქუთაისიდან უნდა მიდიოდეს სვანეთში ლტოლვილებისთვის, ორ მესამედს გზაში იტაცებენ. ამავე დროს ამ გაჭირვებულ და გაუბედურებულ ხალხს ხვდებიან ქართველი ავაზაკები და ძარცვავენ. რაზე შეიძლება კიდევ ვისაუბრო? დარწმუნებული ვარ, ჰუმანიტარული დახმარების მეათედი არ მიდის ლტოლვილებთან.

16 ოქტომბერი

ღამით „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ რუსეთის დესანტი მიადგა ფოთს, რადგან ზვიადისტები ძარცვავენ ფოთში შემოსულ ტვირთს, რომელიც ეკუთვნის სომხეთს და აზერბაიჯანს და მიაქვთო გასაყიდად თურქეთში.

17 ოქტომბერი

რამდენიმე საათში, ფოთში რუსეთის დესანტის შესვლის შესახებ „ნოვოსტის" ცნობიდან, ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა დილით დაიწყეს შეტევა სამტრედიაზე. შეტევა საკმაოდ წარმატებული იყო. მე დეკანთან ვიჯექი, როცა მარიკა ლორთქიფანიძემ დაურეკა კარლო მეშველიანს და სთხოვა მასთან მისულიყო. კარლო რომ უკან დაბრუნდა, უხასიათოდ იყო, მოკლედ მითხრა: საქმე ცუდად არისო. მალე დარეკა რექტორის თანაშემწე გულიკომ, რომ რექტორი საჩქაროდ ეძებს ოთარ ჯაფარიძეს და მარიკა ლორთქიფანიძესო. მე მივედი მარიკასთან, იგი ძალზე ცუდ გუნებაზე იყო. მარიკას კაბინეტიდან რომ გამოვედი შეკრებილი თანამშრომლები უკვე საუბრობდნენ, რომ სამტრედია დაიკავეს ზვიად გამსახურდიას მომხრეებმაო. მართლაც, ტელევიზიით გადმოსცეს, ძირითადი სამთავრობო ძალები ალყაშიაო, ხოლო ნაწილი უკან იხევს ქუთაისისკენო. გამოვიდა გენერალი ჭუმბურიძე, რომელიც ახალი დანიშნული იყო გვარდიის სამმართველოს უფროსად. მან განაცხადა, რომ სამტრედიასთან დგას „მხედრიონი", მოხალისეები და სხვადასხვა რაზმი და რომ ყველა მსხვილი შენაერთი უნდა ექვემდებარებოდეს თავდაცვის სამინისტროსო. ეს შეეხებოდა გვარდიასაც, რომელიც უშუალოდ დაემორჩილა ედუარდ შევარდნაძეს. ეტყობა, არის უთანხმოება გია ყარყარაშვილთან, რადგან ამ მოვლენებში იგი არ ჩანს. არ ვიცი, რა ემართება ედუარდ შევარდნაძეს. მე წინათაც ვწერდი, როგორ შეიძლებოდა ჯაბა იოსელიანის დანიშვნა საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელსაც დაუმორჩილეს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური და თავდაცვის სამინისტრო. როდესაც არსებობს უშიშროების საბჭო, რა საჭიროა საგანგებო კომიტეტი? ერთი თვის წინ ედუარდ შევარდნაძემ ბრალი დასდო ჯაბა იოსელიანს და თემურ ხაჩიშვილს იმაში, რომ მათ ჩაშალეს ოპერაცია, როდესაც უნდოდათ 120 კაციანი ბანდის შეპყრობა რუსთავში. ამ ბანდაში ედუარდ შევარდნაძე გულისხმობდა

რუსთავის „მხედრიონს“. ამ დროს ტელევიზიით აჩვენეს, რომ ჰუმანიტარულ ტვირთებს სვანეთში აცილებს სწორედ რუსთავის მხედრიონი. რა ქნას ახლა მილიციამ? ის ხალხი, ვინც უნდა დაეჭირათ, ამჟამად მათი უფროსები გახდნენ. არ ვიცი, როგორ დამთავრდება ეს სამოქალაქო ომი, მაგრამ ასე ცხოვრება ნამდვილად აღარ შეიძლება. ილუპება მშვიდობიანი მოსახლეობა. ტელევიზია, ისევ ვიმეორებ, დიდ პროპაგანდას უწევს დღევანდელ ხელისუფლებას. კვანტალიანის თავმჯდომარეობის დროს ტელევიზია დიდი ერთგულებით ემსახურებოდა ზვიად გამსახურდიას, მაგრამ, სინამდვილეში, უფრო მეტ ზიანს აყენებდა მის ხელისუფლებას. ასევე ხდება დღესაც. კერძოდ, გადმოსცეს, რომ ზვიად გამსახურდიას მხარეზე ძირითადად ჩეჩნები და კონფედერაციის ჯარისკაცები იბრძვიანო და, თურმე, როდესაც სამტრედიასთან სამთავრობო ჯარებიდან ქართველი ჯარისკაცები ტყვედ ჩაიგდეს, მათ ადგილზე ხვრეტავენ ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის ჯარისკაცებიო. რა თქმა უნდა, არ მჯერა და არც დავიჯერებ ამას! ამით აღიზიანებენ ხალხს. **თბილისის მოქალაქეთა კავშირის შეკრებაზე გამოვიდა რეზო ამაშუკელი. სხდომას ესწრებოდნენ ნოდარ ლომოური, შოთა ნიშნიანიძე და სხვები. რეზო ამაშუკელმა მოუწოდა ფილარმონიაში შეკრებილიყვნენ 2 საათზე. ერთ-ერთ საკითხად უნდა განეხილათ ნოდარ ნათაძის განცხადება. ვაი, ამათ პატრონს!**

ღამის 12 საათზე გამოაცხადეს, რომ დაინყებოდა ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან.

ნატო ონიანი: კეთდება განცხადებები, რომ სამთავრობო ჯარებს შეუძლიათ დაამყარონ წესრიგი და ამ დროს, პირიქით, იკარგება ქალაქები.

ედუარდ შევარდნაძე: აქ ანგარიშგასაწევია ის, რომ ქართველები ებრძვიან ერთმანეთს. ამავე დროს პრაქტიკულად საქმე გვაქვს ინტერვენციასთან. როდესაც დაიკარგა სოხუმი, აფხაზეთი გამსახურდიამ და მისმა ამფსონებმა აღიარეს, რომ აფხაზებმა ზუგდიდსა და წალენჯიხის რაიონებში რამდენიმე სოფელი დაიკავეს. ჩეჩნები და ბოევიკები უტევდნენ სამტრედიას, მათ ფულს უხდიან. როდესაც ფოთი დაიკავეს, მათ გაძარცვეს ქალაქი, დაიტაცეს 5 ათასი ტონა შაქარი, ხორბალი... ხუთი ათასზე მეტი მილი, 20 ათასს თურქეთში გასატანად ამზადებდნენ. რუსეთის მეშვეობით გადავკეტეთ ეს გზები. მათი შეტევა უნდა შევაჩეროთ, ქუთაისი ფეხზე დგას, მიმდებარე რაიონებიც. უნდა აღვადგინოთ წესრიგი.

ნ. ონიანი: რეალურია ის, რასაც თქვენ ბრძანებთ?

ედუარდ შევარდნაძე: თუ ღალატი არ იქნება, რეალურია. არის ტექნიკა, იარაღი, საბრძოლო მასალები და ხალხი. სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული პანიკიორების წინააღმდეგ. ძალიან ცუდ სამსახურს უწევს თავიანთ სამშობლოს ის ხალხი, ვინც თავს გვახვევს დისკუსიას ესენგეს შესახებ... მე არ შემიძლია არ ვუპასუხო ამაზე ერთ-ერთ დეპუტატს (გულისხმობს ნოდარ ნათაძის განცხადებას). მე არ ვიცი, რა უფლება ექნება მას ექსპრეზიდენტი თუ შემოვა. ეს არის საზიზღრობა, დამცირება... მე მინდა გაცნობოთ, რომ ვუბრძანე თავდაცვის მინისტრს დაიძრნენ დასავლეთ საქართველოში. მე ვუბრძანებ უშიშროებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს არ დაინდონ მოღალატეები. ლიბერალიზაცია და გულმონყალება არის დანაშაული. თუ ისინი ამას ვერ გააკეთებენ, მე მათ მოვხსნი. მე მოველი, რომ პროკურატურა, იუსტიცია ამუშავდება როგორც საჭიროა. ეყოთ კეკლუცობანა. პროფესიონალებს ხელი არ უნდა უკანკალებდეთ. უნდა აღიკვეთოს უკანონო ფორმირებების თარეში. თუ ყველა ისე იქნება, როგორც თბილისში, საქართველო გაიმარჯვებს. ყოფილი პრეზიდენტი გროზნოში დაბრუნდება (ეტყობა, გია

ყარყარაშვილმა მხარი დაუჭირა ედუარდ შევარდნაძეს, მხოლოდ მას თუ შეუძლია შევარდნაძის გადარჩენა – მ. ვ.).

ნ. ონიანი: თქვენ ახსენეთ პანიკიორები. დაირხა ხმა, რომ თქვენ ინფარქტი გაქვთ.

ედუარდ შევარდნაძე: თვითაღდგინების ძალა მაქვს, მე მწყობრში ვარ მტრის ჯინაზე.

„მაცნემ" გამოაცხადა, რომ აიღეს ხონიც.

18 ოქტომბერი

დღეს დილით „ნოვოსტიმ" გადმოსცა ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ, სადაც მან აღნიშნა, რომ „ზვიადისტებმა" დაიკავეს ქვეყნისათვის სასიცოცხლო რაიონები, მათ შორის სამტრედია და განსაკუთრებით ფოთი, რომელიც წარმოადგენს ამიერკავკასიის ჭიშკარს და თუ ფოთი მალე არ განთავისუფლდება, დაიწყება შიმშილი. **ედუარდ შევარნაძემ თხოვნით მიმართა რუსეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს, გამოყონ სამხედრო კონტიგენტები, რათა აღადგეს წესრიგი რკინიგზაზე. შევარდნაძემ აღიარა, რომ საკუთარი ძალებით წესრიგის აღდგენა მას არ შეუძლია.**

ოთარ ფაცაცია შეხვდა ვიქტორ ჩერნომირდინს.

დღეს ფილარმონიაში შედგა თბილისელების შეხვედრა ედუარდ შევარდნაძესთან. მე არ ვესწრებოდი ამ შეხვედრას, რადგან აქ ძირითადად შეკრებილია ხალხი, რომელთა დიდ ნაწილს ყბედობის გარდა არაფერი შეუძლია. მათ ამგვარი შეკრებები გადააქციეს სალაყბოდ და მოხუცების, ე. წ. სასეირნო-სალაყბო ბაღად, სადაც წყნარი ცხოვრების დროს დომინოს ითამაშებდნენ, ახლა კი დროს კლავენ ისტერიული გამოსვლებით. მერე წავლენ შინ და ამბობენ, რომ დიდი საქმეები გავაკეთეთო. საქართველო იღუპება ამ მოლაყბეების და „პადხალიმების" ხელში. ედუარდ შევარდნაძის უბედურება ის არის, რომ მას იმ ხალხის სჯერა, რომლებიც კარგად იყვირებენ ტრიბუნიდან და დაუმტკიცებენ მას ერთგულებას. **გუშინ მან ქალაქის მერის თანამდებობიდან გაათავისუფლა კოტე გაბაშვილი და გაუშვა ელჩად გერმანიაში. კოტე რომ ქალაქის მერად არ გამოდგებოდა, მისი დანიშვნის დღესვე ვთქვი. მართალია, გამიხარდა, ჩემი სკოლის მეგობარი რომ დანიშნეს ქალაქის მერად, მაგრამ ჩემზე ხომ არ არის საქმე, კოტეს ძალიან კარგი ჰუმანიტარული განათლება აქვს მიღებული და ძალიან კარგი განათლების მინისტრი იქნებოდა, მაგრამ არა თბილისის მერი.**

ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან. ჯაბა იოსელიანმა განაცხადა: ღალატი მოხდა, ცოტა მომავალზე უნდა იფიქრონ. უბედურება ის არის, რომ საქართველო გაყიდეს სკამების გამო ... ყველაფერი კარგად იქნება, სულ მოკლე ხანში ყველაფერი დამთავრდება, ჩვენ მხარეს არის დასავლეთიც და რუსეთიც.

ინტერვიუ **თენგიზ კიტოვანთან.** თენგიზ კიტოვანმა აღნიშნა, რომ ყველაფერი დაუდევრობის ბრალი იყო, ყველამ უნდა აგოს პასუხი, ზოგიერთი ხელმძღვანელი თავის ადგილზე არ ზის, ყველამ პასუხი უნდა აგოს, მალე გამარჯვებას მივაღწევთო.

გუშინ ჟენევაში სანდრო კავსაძე შეხვდა ედუარდ ბრუნერს.

დღეს გადაიცა სახელმწიფო მეთაურის პრესსამსახურის განცხადება იმის შესახებ, რომ მოსკოვის **სატელევიზიო გადაცემაში, რომელსაც ადრე „იტოგი" ერქვა და ამჟამად ჰქვია „ეოსკრესენიე", ნათქვამი** იყო, **რომ გასარკვევია საქართველოს რომელი ნაწილი შედის ეხლა დსთ-ში, რადგან ამჟამად საქართველო ხუთ ნაწილად არის დაყოფილიო.**

19 ოქტომბერი

დღეს მთელი დღე „ნოვოსტი" გადასცემს ედუარდ შევარდნაძის თხოვნას

რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის მთავრობებისადმი, რათა მათ აღმოუჩინონ დახმარება საქართველოს.

ექვს საათზე „ნოვოსტიმ“ გადმოსცა, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა უბრძოლველად დაიკავეს ლანჩხუთი, სადაც მიტინგი ჩაატარა ზვიადმა. მიტინგზე მან განაცხადა, რომ ყველას აპატიებდა, ვინც კი დაყრიდა იარაღს.

დღეს ვერ მოვისმინე გია ყარყარაშვილის ინტერვიუ „ალიონში“. მერე „ნოვოსტიმ“ გადმოსცა, რომ უთანმოება არის საქართველოს ხელმძღვანელობაში, კერძოდ, გია ყარყარაშვილმა გააუქმა მთავარსარდლის ბრძანება და ყველა სამხედრო ნაწილი დაუმორჩილა თავდაცვის სამინისტროს. ვგრძნობდი, რომ განხეთქილება იყო. გამაგიჟებს ედუარდ შევარდნაძე! ვინ აძლევს ასეთ სულელურ რჩევებს? ადრე თვითონ ამბობდა, რომ არმია ერთიანი უნდა იყოსო, მერე გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც გვარდია აღარ შედიოდა თავდაცვის სამინისტროში.

ისმება კითხვა, რატომ განიცდიან მარცხს სამთავრობო ჯარები? ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა და კერძოდ, ლოთი ქობალიამ, რომელსაც ძალზე დასცინის თბილისის ინტელიგენცია, ხან მძღოლს უწოდებს და ხან ექსპედიტორს, შექმნა საკმაოდ დისციპლინირებული არმია. ამ არმიას ერთი იდეოლოგია და ერთი მიზანი აქვს. რა დაუპირისპირეს მას. „მხედრიონი“ ცალკე მოქმედებს, ედპ-ს რაზმი ცალკე, ე. წ. „საძმოები“ საერთოდ არავის ემორჩილებიან და საბრძოლველად გამოსადეგი არ არიან, რადგან უმეტესი ნარკომანია. **ჩემი აზრით, რუსეთმა თუ არ უშველა, ედუარდ შევარდნაძის საქმე ნასულია. ედუარდ შევარდნაძემ იმდენი იდიოტი შემოიკრიბა თავის გარშემო, რომ სულ მიკვირს, სად მოძებნა ეს ხალხი. რაც შეეხება თბილისს, აქ ისევ დარბიან შეიარაღებული ნაბიჭვრები და ნარკომანები, ქუჩაში ვეღარ გამოხვალ.**

საღამოს 9 საათზე „ნოვოსტიში“ გადმოსცეს ანდრეი კოზირევის ინტერვიუ, სადაც მან აღნიშნა, რომ ფოთიდან უნდა დავიცვათ რკინიგზა, რადგან შიმშილი ემუქრება თბილისს და რომ ეს რკინიგზა მიდის სომხეთში და აზერბაიჯანშიო.

20 ოქტომბერი

ღამის პირველისნახევარზე ჩემ მეუღლეს ვეკითხები: რა ჩავწერო დღევანდელ მოგონებებშითქო. მაიას არასოდეს უთქვამს ასეთი რამ: „ჩემო მერაბ, რუსებმა საბოლოოდ გვიქნეს თავზეო“. აბსოლუტურად სწორია! დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ვითხოვდით, რომ რუსების ჯარებმა დატოვონ საქართველოს ტერიტორია. პარლამენტის ერთი ნაწილი ითხოვდა რუსეთის ჯარის გასვლას აფხაზეთის ტერიტორიიდან, ხოლო მეორე ნაწილი მოითხოვდა მათ გაყვანას მთლიანად საქართველოს ტერიტორიიდან. შემდეგ მიიღეს დადგენილება რუსეთის ჯარების საქართველოდან გასვლის შესახებ. ისე გახარებულები წავიდნენ დეპუტატები სახლებში, თითქოს რუსის ჯარი მეორე დღესვე შეასრულებდა ამ გადაწყვეტილებას.

მე მაშინ ვფიქრობდი და მეცინებოდა: გვიან ღამით რატომ მიიღეს ეს დადგენილება, როგორ შეიძლება გვიან ღამით გავყაროთ საწყალი რუსი ჯარისკაცებიმეთქი. ახლა კი ამ პარლამენტის დიდი ნაწილი ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით იხვეწება: საქართველოში რუსების ჯარი ცოტაა და მათ დასახმარებლად კიდევ შემოიყვანეთ სომხეთის და აზერბაიჯანის ჯარებიო. დღეს საქართველოში უკვე არის აფხაზების, ოსების, ჩეჩნების, ადიღეელების, ყაბარდოელების ჯარი. ალბათ, მალე დახმარებას ვთხოვთ სადამ ჰუსეინს, რომ ერაყის ჯარებიც შემოიყვანონ. დღეს ვალერიან ადვაძე გამოვიდა „ნოვოსტიში“ და

გაჰკიოდა: ჩვენ კადრები არა გვყავს, ტექნიკა არა გვაქვს, რუსის ჯარის გარეშე არ შეგვიძლიაო ცხოვრებაო.

ღამით აჩვენეს პავლე გრაჩოვის გამოსვლა, რომელიც სავარძელში იყო გადანოლილი და ამბობდა: რატომ უნდა დავეხმაროთ საქართველოს, როდესაც ის ჯერ არ არის დსთ-ს წევრი და არ შედის დსთ-ს კოლექტიური უშიშროების კომიტეტშიო. ჩემი მეუღლის ნათქვამი გამახსენდა. თუ თავი არ გვქონდა, მაშინ თავიდანვე ვყოფილიყავით ამ გაერთიანებაში, მაგრამ ჩვენმა სულელობამ და უამრავმა დანაშაულმა მიგვიყვანა აქამდე. ჩვენი ტელევიზია რიხიანად აცხადებს: მოვსპეთ 20 მოწინააღმდეგე, ავაფეთქეთ ტანკი, ჯაშანმანქანა. გადაიცემა ჯაბა იოსელიანის სიტყვები ზვიადისტების მოსპობის მონოდებით. თითქოს მართლაც უცხოპლანეტელების ჯარებს ვებრძვით. რა სანყლები ვართ! ჩემი თავი მეზიზღება ტელევიზორს რომ ვუყურებ და ამას რომ ეწერ.

22 ოქტომბერი

დღეს დილით მოულოდნელად ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა აიღეს ოზურგეთი. ტელევიზიით გადმოსცეს, რომ იყო შეთანხმება ლოთი ქობალიასთან, რომ არ შევიდოდა ოზურგეთში, თუ სამთავროო ჯარები გავიდოდნენ ქალაქიდან.

საღამოს გადმოსცეს, რომ სამთავრობო ჯარები ბრძოლით შევიდნენ სამტრედიაში, უბრძოლველად დაიკავეს ლანჩხუთი, დაბოლოს, გაათავისუფლეს ოზურგეთი. აშკარაა, რომ რუსეთი უკვე მხარს უჭერს ედუარდ შევარდნაძეს. „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ **ზვიად გამსახურდიას გაუგზავნია წერილი გაეროში, სადაც აღნიშნავს, რომ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობენ რუსეთის ჯარები. „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ ამიერკავკასიის ჯარების ჯგუფი ამზადებს გეგმას, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ჯარებთან ერთად, დაიცვან რკინიგზა ფოთიდან. ლოთი ქობალიას განუცხადებია, რომ რუსეთმა გაგვყიდაო. აშკარაა, რომ რუსეთმა ზვიად გამსახურდია გაწირა.** ეტყობა, მალე სამტრედიას მოპყვება აბაშა და სენაკი. რა საშინელებაა, ორივე მხრიდან უაზროდ იღუპებიან ახალგაზრდა ქართველები. თუ რუსების გარეშე ვერაფერს გააკეთებდნენ, რაღა საჭირო იყო ამდენი უბედურება?

გადაცემა „საღამო მშვიდობისა". ინტერვიუ გია ყარყარაშვილთან. გიამ სწორად თქვა, რომ მოღალატეები გმირებად აქციეს, გმირები კი მოღალატეებად. მან აღნიშნა რომ ახალგაზრდა თაობა აქტიურად უნდა ჩაებას მიმდინარე მოვლენებში. სწორედ ის თქვა, რაც მე ვუთხარი გიას რესტორანში შეხვედრის დროს. ერთი სარდალი ხონში, მეორე სარდალი ვანში, მესამე ქუთაისში, თბილისში ორი სარდალი. შეიძლება პასუხის გაცემა კითხვებზე: როგორ შევედით აფხაზეთში? ვინ შეაჩერა ჯარი? ვინ გამოიყვანა?

23 ოქტომბერი

დღეს, საღამოს ხუთ საათზე სამთავრობო ჯარები შევიდნენ მარტვილში. ექვს საათზე აბაშიდან დაუბომბავთ სამტრედია. მე გადმოგცემთ მხოლოდ საქართველოს ტელევიზიის ინფორმაციას. რა ტყუილად იღუპებიან ქართველები! მე მგონი, ამჟამად **მსოფლიოში მეორე ადგილზე ვართ სომალელების შემდეგ საკუთარი სულელობით.** გუშინ ედუარდ შევარდნაძემ ოფიციალურად მოანერა ხელი ხელშეკრულებას დსთ-ში შესვლის შესახებ.

ღამით წავიკითხე სტატია „საქართველოს რესპუბლიკაში" სათაურით – ღალატი სვანეთის მთებში. სტატიის ნაკითხვამდეც ვიცოდი დაახლოებით რა ხდებოდა, მაგრამ წაკითხვის შემდეგ ცუდად გავხდი. მოვიტანე ციტატას: „დაქანცულ, თავსდამტყდარით

გაოგნებულ ჯარისკაცებს იარაღს ართმევ-დნენ, უმონყალოთ ძარცვავდნენ ლტოლვილ მოსახლეობას, თითქმის შიშველ-ტიტველს ტოვებდნენ ხალხს. ნინააღმდეგობის განევის დროს არაერთი კაცი მოკლეს, ბრძოლის ქარ-ცეცხლს გადარჩენილი, თითქმის სამშვი-დობოს გამოსულები. ალბათ ბევრს ახსოვს კადრები ტელერეპორტაჟიდან: გზისპირებზე დასვენებული გვამები, ყოველი მათგანი როდი იყო დაღლილობით, შიმშილით და სიცივით გარდაცვლილი, ზოგი თანამოძმის ხელით იყო მოკლული (გაიხსენეთ გვერდით ჩამვლელთა შეძახილები: „ვაი, სისხლი ატყვია")". რაზე შეიძლება ლაპარაკი? არ ვიცი, ნუთუ ასეთი საზიზღარი ერი ვართ? რა გვინდა ჩეჩნებისა და აფხაზებისგან, როცა ჩვენ თვითონ ვძარცვავთ და ვკლავთ ამ უბედურებს. მე წარმომიდგენია იმ კაცის თვალები, რომელიც გადაურჩა აფხაზებს და საკუთარი თანამოძმე კლავს. **თუ ედუარდ შევარდნაძეს არ შეუძლია ამ საკითხების მოგვარება, მაშინ არ მინდა მისი დემოკ-რატობანას თამაში. მაშინ საჭიროა ასლან აბაშიძისნაირი მკაცრი და სამართლიანი მოღვაწე. საქართველოს დღეს მხოლოდ ახალი სიო გადაარჩენს. დღეს საზოგა-დოება არის დამპალი, საზიზღარი.** საჭიროა მესამე ძალა, რომელიც აღმოფხვრის რო-გორც ზვიადიზმს, ასევე შევარდნაძიზმსაც. რა განსხვავებაა: თუ ზვიადი გაჭირვების დროს მიტინგს ინვევდა მთავრობის სასახლესთან, ახლა შევარდნაძის მომხრეები ფილარმონიაში იკრიბებიან; **თუ ზვიადის დროს ქალები ჭარბობდნენ, ფილარმო-ნიაში მოხუცების შეკრებაა, ახალგაზ-რდობა საერთოდ არ მონაწილეობს. არც ზვიადის მიტინგებზე იყო განსხვავებული აზრი, ასევეა ფილარმონიაშიც, სადაც განსხვავებულ აზრს ვერ მოისმენ. თუ ზვიადის მიტინგებზე წამყვანი იყო ავთანდილ რცხილაძე და გვერდს უმშვე-ნებდა გურამ პეტრიაშვილი, აქ წამყვანი არის რეზო ამაშუკელი თავისი დაბოღმილი გამოსვლებით, მას გვერდით ჰყავს ჯანსუღ ჩარკვიანი და ნოდარ ლომოური.** ადრე, როდესაც იტყოდნენ სიტყვით გამოვა ზვიად გამსახურდიაო, იწყებოდა კივილი, ტაში, ოვაციები. **როდესაც ფილარმონიის დარ-ბაზში ედუარდ შევარდნაძეს თენგიზ სიგუამ სიტყვა მისცა, დაინგრა დარბაზი ტაშისგან და ოვაციებისაგან. მე გავოგნდი. თვითონ ედუარდ შევარდნაძემაც აღნიშნა: დიდი მადლობა, რომ კიდევ ტაშს უკრავთ კაცს, რომელმაც აფხაზეთი დაკარგაო. ჩემთვის მართლაც გასაოცარი იყო. სწორედ ედუარდ შევარდნაძის მმართვე-ლობის დროს დაიკარგა აფხაზეთი, დაი-ღუპა ათასობით ქართველი, გაუბედურდა და უსახლკაროდ დარჩა 250 ათასი ქართ-ველი, ყაჩაღობამ, ბანდიტობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, პროფესორის ხელ-ფასით ნახევარ კილო ხორცს ვერ იყიდი, ქართველების 90% შიმშილობს. მაშინ რა საჭიროა ასეთი კერპთაყვანისმცემლობა? არ მესმის და არც შემიძლია ამის გაგება!**

24 ოქტომბერი

საღამოს ცხრა საათზე გადმოსცეს, რომ სამთავრობო ჯარებმა აიღეს აბაშა, ბრძო-ლები მიმდინარეობს მდინარე ტეხურთან.

მოსკოვიდან პირდაპირი ეთერით ინტერვიუ **ედუარდ შევარდნაძესთან.**

კორ.: რას იტყვით, თქვენი ავტო-რიტეტი დაეცემა თქვენს სამშობლოში?

ე. შევარდნაძე: მე დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობის 60% დამიჭერს მხარს. იყო უარყოფითი გამოხმაურებებიც. ცხოვ-რება გვიჩვენებს, რომ მე სწორი გადაწყვეტ-ილება მივიღე.

„ლიტერატურულ საქართველოში" დაი-ბეჭდა გენო კალანდიას სტატია — **„ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით".** ამ სტა-ტიაში **დიდ მადლობას უხდის სოფ. ჭუბერის მოსახლეობას, სადაც თითოეულ**

ოჯახს 30-40 კაცი პყავდა შეხიზნული. ძალზე დროული სტატია იყო, რადგან ადრე სვანებზე თბილისში სულ ცუდს ლაპარაკობდნენ და წერდნენ. საქართველოს ყველა კუთხეში არიან კარგებიც და ცუდებიც.

გენო კალანდიას სტატიაში არის კიდევ ერთი მომენტიც. ტელევიზიით ყოველდღე გადაიცემოდა, რომ ზუგდიდმა დაკეტა გზები და არ უშვებს ლტოლვილებსო. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია თბილისში. აღმოჩნდა, რომ ზუგდიდში ყოველდღე მიპყავდათ ლტოლვილები, რისთვისაც შექმნილი იყო სპეციალური ბრიგადა, ყოველდღე 15-20 მანქანას აგზავნიდნენ ზუგდიდიდან, რომ ლტოლვილები ჩამოეყვანათ. დიდი მადლობა გენო კალანდიას.

25 ოქტომბერი

დღეს ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა დატოვეს ფოთი, ქალაქი სამთავრობო ჯარებმა დაიკავეს. ედუარდ შევარდნაძემ მიმართა ზვიადისტებს, რომ იარაღი დაეყარათ.

საღამოს გადმოსცეს, ქუთაისის პოლიციას შვიდი შეიარაღებული პირი დაესხა, რათა იარაღი გაეტაცათ. სამი პოლიციელი დაჭრეს, რომელთაგან ორი მძიმედაა დაჭრილი. დაიწყეს ძებნა და პოლიციამ დააკავა აბაშიდან მომავალი ორი უნომრო მანქანა. მათ შორის იყო ორი ქალი. დაკავებულებს სამეგრელოში უყაჩაღიათ, მოპქონდათ ნაძარცვი. ყველა კანონიერი ფორმირებების წარმომადგენელი აღმოჩნდა. იმის ნაცვლად, რომ ომის დროს მაროდიორები ადგილზე დახვრიტონ, თემურ შაშიაშვილმა განაცხადა: თუ დაკავებულები აღიარებენ დანაშაულს, ეცდება ტელევიზიით მათი გვარები არ გამოაცხადონო. სასაცილოა. ნუთუ ასეთი მეთოდებით უნდათ მშვიდობის დამყარება?

30 ოქტომბერი

ნინა დღეებში სამთავრობო ჯარებმა დაიკავეს სენაკი, ხობი. ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა ისევ დაიბრუნეს ხობი, მაგრამ იმავე დღეს დაკარგეს. ტელევიზიითა და გაზეთებით გავრცელდა ხმა, რომ აფხაზეთიდან ზვიად გამსახურდიას მოუვიდა დახმარება — 12 ავტობუსი მეომრებით, სისტემა „გრადი" და სხვა ტექნიკა.

სიმართლე არ ვიცი, რადგან ჩვენი ტელევიზია ბევრს ტყუის. დღეს დილით ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა დაიკავეს ხობი და სენაკი. დღეს გენერალი გია გულუა გაათავისუფლეს ტყვეობიდან მისმა თანამშრომლებმა. გაზ. „ივერია-ექსპრესში" წერს, რომ აბაშაში დახვრიტეს საქართველოს საჰაერო ძალების მთავარსარდალი გენერალი ზ. ნაირაშვილი, რომელიც მოლაპარაკებას ანარმოებდა ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან.

დღევანდელ გაზეთ „ახალ თაობაში" არის სტატია – „მამების პარადი ფილარმონიის დარბაზში". მეც სნორედ ამის შესახებ ვწერდი. ფილარმონიის დარბაზში სულ ხანშიშესული ხალხი იყო და თითქმის არ იყო ახალგაზრდობა. ამ შეკრებაზე ერთ-ერთ ახალგაზრდა იურისტს უთქვამს: „საქართველო დღეს დამარცხდა, იგი დაამარცხა შევარდნაძის პოლიტიკამ". ეს ახალგაზრდა „ჯიკავ-ჯიკავით შეაგდეს კულისებში". რამდენიმე კაცს უთქვამს: „ესენი „ზვიადისტებზე" უარესები არიანო".

31 ოქტომბერი

დღეს სამთავრობო ჯარები დავით თევზაძის მეთაურობით სენაკში შევიდნენ. ზვიად გამსახურდიას მომხრეებს უცდიათ ფოთთან და აბაშასთან რკინიგზასთან მიახლოება, რუსეთის ნაწილებს მათთვის უსვრიათ. საქართველოს ტელევიზიამ

განაცხადა, რომ ზვიადისტებს საკადრისი პასუხი გასცეს რუსებმაო. რა დღეში ვართ! როგორ ვტიროდით 9 აპრილს რუსის ჯარისკაცების მიერ დახოცილ ჩვენს თანამემამულეებს! ახლა კი ტრაბახით ვაცხადებთ: ზვიადისტებს საკადრისი პასუხი გასცეს რუსებმაო. რა უხარიათ? რუსები რომ ქართველებს ხოცავენ? სამწუხაროდ, იშლება ის ზნეობრივი საყრდენი, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს საქართველო.

გუშინდელ „ახალგაზრდა ივერიელში" იყო ინტერვიუ **დათო ტურაშვილთან.** საქმე შემდეგში გახლდათ: შეიქმნა ახალგაზრდული მოძრაობა „ახალი თაობა". ამ მოძრაობაში შევიდა თითქმის ყველა ახალგაზრდული ორგანიზაცია: საზოგადოება „თაობა", ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი, ახალგაზრდობის კონსერვატორული კავშირი, ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმმართველობა, ქრისტიან-დემოკრატები, სრულიად საქართველოს საქველმოქმედო ორგანიზაციები, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი, ახალგაზრდა დემოკრატთა კავშირი. დათო ისევ ისეთია. მე პირადად, თუ რამე ნათელი დამრჩა 1988-90 წლების ეროვნული მოძრაობიდან ეს იყო დათო ტურაშვილთან, ფიქრია ჩიხრაძესთან, ნიკო ნიკოლოზიშვილთან, გია მამალაძესთან და სხვებთან ურთიერთობა. ისინი, მართლა ალალ და საღ ძალას ნარმოადგენდნენ, რომელთაც საქართველო უყვარდათ. მერე ეროვნულ მოძრაობას შემოეტმასნენ კარიერისტები, აფერისტები, ნარკომანები, ბანდიტები და კაცისმკვლელები.

დათომ სწორად თქვა: „საქართველოს მთავრობების კი არა თაობების შეცვლა იხსნის". სწორედ ეს ეუთხარი მე გია ყარყარაშვილს და სწორედ ასეთივე აზრის იყო გიაც. ვიმეორებ: ეს 60-70 წლის ხალხი სულ გამოშტერდა, მათთან ლაპარაკი საერთოდ არ შეიძლება. ამ რამდენიმე დღის ნინ ისტორიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ისევ ბობოქრობდა ეს თაობა: ჩვენ დროს რამდენიმე სახელმნიფო გამოცდას აბარებდნენო! დაავიწყდათ, რომ დღეს საქართველოში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, არის შიმშილი. ამ გაჭირვების დროს კიდევ ორი სახელმნიფო გამოცდა დაუმატეს და სულ გადარიეს ისედაც გადარეულ ეპოქაში მცხოვრები ჩემი სტუდენტები. მე გამოვედი ნინააღმდეგი, მაგრამ ოთარ ჯაფარიძის გარდა არავინ დამიჭირა მხარი.

4 ნოემბერი

დღეს სამთავრობო ჯარები შევიდნენ ხობში. გაზ. „ივერია-ექსპრესში" ეწერა, რომ ზვიად გამსახურდიამ ლოთი ქობალიას ნაცვლად გვარდიის სარდლად დანიშნა ზარანდია.

დღეს ფოთში შემოვიდა რუსეთის ექვსი გემი, ნაპირზე გადმოვიდა 500 მედესანტე.

5 ნოემბერი

დღეს ჩხოროწყუში შევიდნენ სამთავრობო ჯარები. ლოთი ქობალიას გადაყენების შესახებ ცნობა ტყუილი აღმოჩნდა.

8 ნოემბერი

გუშინწინ სამთავრობო ჯარები შევიდნენ ზუგდიდში.

ინტერვიუ **ედუარდ შევარდნაძესთან** მიპყავს ეგაძეს. მან განაცხადა, რომ მთავარია სისხლი არ დაიღვარაო. მე მივმართე მოსახლეობას, რომ იარაღი დაეყარათ. ჩვენ დილით შევედით ზუგდიდში, ბევრი ოჯახი იყო გაძარცული. შემოსასვლელში დაიღუპა თამაზ შონია — სამურზაყანოს ბატალიონის უფროსი და ორი მისი ამხანაგი. შურისძიების გრძნობა არ გაგვაჩნია.

9 ნოემბერი

გამომრჩა იმისი აღნიშვნა, რომ ამ რამდენიმე დღის წინ თავდაცვის მინისტრის გია ყარყარაშვილის მანქანა ააფეთქეს. დღევანდელ „ივერია-ექსპრესში“ დაბეჭდილია ინტერვიუ **გია ყარყარაშვილთან.** მან განაცხადა, რომ აფეთქება არ ცოდნიათო. თავდასხმა აშკარად გიაზე მზადდებოდა. გიამ თქვა, რომ მის წინ წავიდა ლანჩავას მანქანა, მერე ნყალტუბოს გამგებლისა და შემდეგ -- ქუთაისისა. გიამ აღნიშნა: ორი თვის წინ რომ გაეკეთებინათ ეს, ვერ გავიგებდი ვინ მოანყო, მაგრამ ახლა ცხადია ვისი გაკეთებულიცაა (გიამ აშკარად იცის აფეთქება ვისი მონყობილია – მ. ვ.).

საოცარი კაცია გია. იგი, როგორც ჯარისკაცი და გენერალი, თავს სნირავდა საქართველოს ბედნიერებისათვის, ახლა კი ყოველ ნუთს ელოდება სიკვდილს არა აფხაზებისგან, არა ჩეჩნებისგან, არამედ ქართველებისგან.

იქამდე მივედით, რომ აშკარად გვიხარია, როცა რუსები იკავებენ ფოთს, რკინიგზას, გზატკეცილებს. ხალხი იმაშია დარნმუნებული, რომ მათ არ დააყაჩაღებენ, მანქანას არ ნაართმევენ და სახლში არ შეუვარდებიან.

8 საათზე ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან. მან აღნიშნა, რომ **სურს რუსების ნანილი შევიდეს ზუგდიდში, რომ მათ ფოთში იდეალური ნესრიგი დაამყარესო.**

ზუგდიდში შევიდა თვითონ შავი ზღვის ფლოტის სარდალი ადმირალი ბალტინი სამხედრო ტექნიკითა და მედესანტეებით.

გაზეთ „რეზონანსში“ ნერია, როცა სამთავრობო ჯარები დაიკავებდნენ ხოლმე ქალაქს, შემდეგ იქ შედიოდა დაახლოებით 300 კაციანი ჯგუფი, რომელიც ასუფთავებდა ქალაქს: მიაყენებდნენ მანქანებს და ძარცვავდნენ მოსახლეობას, გაპქონდათ ავეჯიც.

10 ნოემბერი

გადაცემა „ვესტნიკში“ აჩვენეს ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: ამ 15-20 დღის წინათ განვაცხადე, რომ სამოქალაქო ომი დაიწყო, მაგრამ დღეს ეფიქრობ, რომ ეს არ არის სამოქალაქო ომი, ეს არის ბრძოლა ბანდიტების წინააღმდეგ. ნაწილს კიდევ სჯეროდა, მაგრამ ახლა დარწმუნდნენ, რომ ისინი იბრძოდნენ თავისუფლებისთვის კი არა, ძალაუფლებისთვის.

კორ.: ფოთზე რას იტყვით, გუშინ იქ იყავით, რას იტყვით რუსეთის ჯარების ჯგუფზე, მედესანტეებზე?

ე. შევარდნაძე: ბალტინი და მისი რაზმი **ჩვენი ინიციატივით მოვიწვიეთ, ჩვენ ვთხოვეთ პრემიერ-მინისტრს ჩერნომირდინს, უკრაინის პრეზიდენტს კრავჩუკს. ისინი ყურადღებით მოეკიდნენ ჩვენს თხოვნას.** შედეგები ბრწყინვალეა. მოქალაქეებმა მოიავენეს, თითქმის არ ხდება დანაშაული. გამოჩდნენ იტალიისა და სხვა სახელმწიფოების გემები. ეხლა იმედი მაქვს, რომ მივიღებთ საქონელს, თან მარაგი გვიმთავრდება. ჩვენ კარგად ვთანამშრომლობთ მათთან. ჩვენ მათ ზუგდიდში შევიყვანეთ, შემდეგში არა იზოლირებულად, არამედ ერთად უნდა ვიმუშაოთ.

კორ.: ამბობენ, რომ შეტაკებები ბრის ენგურზე.

ე. შევარდნაძე: მე გაკვირვებული ვარ, მე თვითონ ვიყავი იქ, ასეთი რამ არ მომხდარა. გაკვირვებული იყო, რომ ზოგიერთმა ოფიციალურმა მხარემაც დაიჯერა. უნდა გავიგოთ, ვინ გავრცელა ეს ლაპარაკი.

კორ.: რას იტყვით იმის შესახებ, რომ ... რომ მოლაპარაკებას ... ... თან და გაეროს ნარმომადგენელ ... ... რთან. თუ შეიძლება მეტი ... გადაიჭრას ეს საკითხი?

ე. შევარდნაძე: მე მგონია, რომ ჩვენ ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ.

პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს ლტოლვილების საკითხია.

12 ნოემბერი

ინტერვიუ ასლან აბაშიძესთან. აბაშიძემ განაცხადა: ლტოლვილ მამაკაცებს დიდძალი იარაღი აღმოაჩნდათ, ამიტომ ჩვენ მათ ვთხოვეთ დაეტოვებინათ ტერიტორია, ოჯახები კი დარჩენილიყვნენ. ველით პროვოკაციებს. გუშინ და გუშინწინ მოვანყვეთ პრეზიდიუმის სხდომები. უნდათ შიდა დაძაბულობის კერების მოწყობა, ტერორიზმი... მოკლედ, მთელი კომპლექსია დამუშავებული. ჩვენ სათანადო დავალებები მივეცით ყველას. ველით ყველაფერს, ცილისწამებას. ეს შეიძლება მოხდეს დღეს, ხვალ...

მეორე არხზე ასლან აბაშიძესთან ინტერვიუს პარალელურად პირველ არხზე ინტერვიუ მიდის ედუარდ შევარდნაძესთან.

დღეს ძალიან ძნელია ჩემთვის წერა. ვგრძნობ, რომ საქართველოში არის უდიდესი დამანგრეველი ძალა, ათასობით ყაჩაღი, ბანდიტი, ნარკომანი, მაფიოზი, ქურდი, რომელთაც არ შეუძლიათ მშვიდობიან დროში ცხოვრება. არიან აფხაზეთის ტრაგედიაში დამნაშავენი. ერთადერთი აჭარა არის გადარჩენილი, იქაც უნდათ შესვლა. აჭარაში შესვლა საქართველოს დაღუპვაა.

აჭარა უნდათ საძარცვავად გადააქციონ. თუ ეს მოხდა, მაშინ ედუარდ შევარდნაძე ყოფილა ყველაფრის მიზეზი. მე ადრე ვწერდი: ჭკვიანი პოლიტიკოსია ასლან აბაშიძე, დღეს ასეთი ხალხია საჭირო. რაც შეეხება ლოთი ქობალიას, ისევ ვიმეორებ, რომ ის არის ვაუკაცი. თუ ლოთი ქობალია ისტორიაში ცუდად შევა ეს მის ბუნებასთან არ იქნება დაკავშირებული, ეს გაპირობებული იქნება ზვიად გამსახურდიას და მისი მომხრეების დამარცხებით, რომლითაც ისარგებლა ახლანდელმა მთავრობამ და ლოთი ქობალია საქართველოს მოღალატედ გამოაცხადა, ხოლო თავიანთი ბანდიტები და ყაჩაღები გმირებად მონათლეს. რაც მთავარია, აფხაზეთში მარცხიც ლოთი ქობალიას დააბრალეს.

18 ნოემბერი

რამდენიმე დღეა არაფერს ვწერდი. **ვაკვირდებოდი ჩვენი ტელევიზიის გადაცემებს. სულ ტყუიან. სულ სამეგრელოში მიმდინარე სტაბილიზაციაზე ლაპარაკობენ, მაგრამ არ მჯერა, რადგან სამეგრელოში დატოვეს „მხედრიონი“. გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ასეთი ცნობა: როდესაც სამთავრობო ჯარები შევიდნენ ფოთში 200 ავტომანქანა წაიღეს და მხოლოდ რუსების შესვლის შემდეგ შეჩერდა ძარცვა. რაც შეეხება ზუგდიდს, დღევანდელ „ქართულ ქრონიკებში“ ასეთი ცნობა იყო გამოქვეყნებული: წაიღეს 500 მანქანა, არიან ოჯახები, რომლებიც ორჯერ და სამჯერ დააყაჩაღეს.**

თბილისში კატასტროფული მდგომარეობაა. როგორც უნდათ ისე დადიან შეიარაღებული ავტომატიანები, **ართმევენ მანქანებს,** ბაზრებში თარეშობენ, მილიცია ფაქტობრივად არ არსებობს. ჩემი მეულლის ბიძაშვილი ჩამოვიდა ზესტაფონიდან და თქვა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე დგანან შეიარაღებულები და პირდაპირ ძალავენ ხალხს ფულს, უარის შემთხვევაში იმუქრებიან, რომ საბურავებს დაუხვრიტავენ. კატასტროფული მდგომარეობაა ქვემო ქართლში. იქ აზერბაიჯანელი მოსახლეობდა გაიფიცა, რადგან თარეშობენ მკელელები. განსაკუთრებით გავრცელდა ხალხის მოტაცება. უკანასკნელ დროს 8 კაცი მოიტაცეს გამოძალვის მიზნით. აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა სახელმწიფო მდივანი და შეხვდა მოსახლეობას, შემდეგ — ედუარდ შევარდნაძეს. აქ კონფლიქტის ახალი კერა

მნიფდება, მერე იტყვიან, რუსებმა მოგვიწყვესო. **თუ ასე გაგრძელდა ედუარდ შევარდნაძე ყველას შეაჯავრებს თავს გარდა ბანდიტებისა და მაფიოზებისა, რომლებიც თარეშობენ მთელ საქართველოში. ადვილი შესაძლებელია, დასავლეთ საქართველოდან ისეთი ნიაღვარი დაიძრას, რომელსაც ვერავინ შეაჩერებს. ჩემი აზრით, ედუარდ შევარდნაძისა და მისი თაობის დრო წავიდა. ის სრულიად უსუსურად გამოიყურება. მეტი უბედურება რაღა გინდა: საქართველოს 98% შიმშილობს, საღამოს ხუთი საათის შემდეგ ქუჩაში ვერ გახვალ. ისევ ვიმეორებ: ახალმა თაობამ – გაუხრწნელმა ადამიანებმა — უნდა ააშენოს ახალი საქართველო და არა ძირმომპალმა, გაფუჭებულმა და გათახსირებულმა თაობამ, რომელმაც დაღუპვამდე მიიყვანა იგი. ძალიან მიჭირს ამის წერა. როგორი იმედი მქონდა ედუარდ შევარდნაძის! მაგრამ იმდენი უბედურება მოხდა მის დროს, რომ გიჟიც რომ დაეყენებინათ საქართველოში სახელმწიფოს მეთაურად, ამდენი უბედურება არ მოხდებოდა.** ედუარდ შევარდნაძის უბედურება ის არის, რომ შვიდი წლის განმავლობაში არ იყო საქართველოში და ვერაფერი გაიგო, რა მოხდა ამ წლებში. **ის დაეყრდნო ძველ პარტიულ აფერისტებს და ყაჩაღებს. ახლა ვფიქრობ, ნეტავ სულ არ ჩამოსულიყო საქართველოში.**

დღეს აჩვენებენ სოსო ჟღენტს. ის იყო იმერეთის პოლკის მეთაური, ლოთი ქობალიას მოადგილე, ერთ-ერთი აქტიური მონაწილე სამტრედიასთან, დაფნართან ბრძოლებისა. სოსო ჟღენტმა დაიკავა ოზურგეთი და ლანჩხუთი. ის ამჟამად უშიშროების სამინისტროში ჰყავთ. მან ნაიკითხა მიმართვა თავისი პოლკისადმი, სადაც აღნიშნა, რომ ნებაყოფლობით ჩაბარდა და მოუწოდებს იგივე გააკეთონ სხვებმაც, რადგან წინააღმდეგობის გაგრძელება უაზრობაა.

21 ნოემბერი

დღეს ფილარმონიაში შეიქმნა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი". თავმჯდომარედ აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე. ეს არის ის პარტია, რომლის შესახებაც ამდენს საუბრობენ. ჩემი აზრით, ეს პარტია ადრე უნდა შექმნილიყო. მასში შეივიდნენ: საზოგადოება „თბილისელი", „ერთობა და კეთილდღეობა" და მწვანეთა პარტია. ვფიქრობ, **თუ ეს პარტია კომუნისტურ პარტიას დაემსგავსება, მაშინ კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. ვნახოთ...**

26 ნოემბერი

გუშინ გაიმართა პარლამენტის სხდომა. პირდაპირი რეპორტაჟი არ ყოფილა. გვიან ღამით აჩვენეს „პარლამენტის დღიური".

ედუარდ შევარდნაძემ წამოაყენა წინადადება ორი თვით გაგრძელებულიყო საგანგებო მდგომარეობა და ახსნა ის მოვლენები, რაც მოხდა ბოლო ორი თვის განმავლობაში. **ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ დასასრულს უახლოვდება ბრძოლა „ზვიადიზმის" წინააღმდეგ, რომელსაც უწოდა შავი ჭირი და რომ საქართველო გადარჩა დაშლას.** ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მეორე ეტაპზე საჭიროა ბრძოლა მაფიოზური კლანების წინააღმდეგ. ამავე დროს მოითხოვა, ორი თვით შეეჩერებინათ პარტიების მოღვაწეობა. მე მოვუსმინე **გია კობახიძის** გამოსვლას (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), რომელმაც სწორად თქვა, რომ საქართველო ამ მდგომარეობამდე არ უნდა მისულიყო. ივლიანე ხაინდრავამ (რესპუბლიკური პარტია) ბრალი დასდო ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც დაარღვია კანონმდებლობა, როდესაც პარლამენტის ნებართვის გარეშე შექმნა უშიშროების სამინისტრო. ქვეყანას არა აქვს ბიუჯეტი და არ ექნება მეორე წელსაც. ამავე

დროს მან აღნიშნა, რომ არ არის დამტკიცებული მინისტრთა კაბინეტი.

ლუიზა შაკიაშვილმა აღნიშნა, მეც ვენდობოდი ედუარდ შევარდნაძესო, მაგრამ იმედები გაგვიცრუა, მოვიდა როგორც დემოკრატი და ახლა აცხადებს მომბეზრდა პლურალიზმიო. **რეზო შავიშვილმა** ედუარდ შევარდნაძეს ასე მიმართა: რატომ შეგვაჯავრეთ ეს პარლამენტი, რატომ მიიყვანეთ კუპონი ამ მდგომარეობამდე. **ნოდარ ნათაძე** მოითხოვდა ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გამოკვლევას. **რევაზ შავიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ედუარდ შევარდნაძემ შექმნა პარტია, სადაც მოადგილედ ჰყავს ისეთი ხალხი, რომლებიც ზვიად გამსახურდიას რეჟიმის დროს რესტორნებში ან კიდევ უზნეო ქალებში დასეირნობდნენ** (ჩემი აზრით, ეს არის რეზო ამაშუკელი – მ. ვ.). ამ დროს ედუარდ შევარდნაძემ დატოვა დარბაზი. შესვენების შემდეგ გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. მან განაცხადა: არ ვიცი, რა მემართება, ეტყობა, ასაკის ბრალია, რადგან პოლიტიკოსი ასე არ უნდა იქცეოდესო (იგულისხმებოდა ის, რომ მას გაბრაზებულს არ უნდა დაეტოვებინა პარლამენტის სხდომა, რადგან იმწუთშივე, ექვს საათზე, მოსკოვმა გამოაცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძემ დატოვა პარლამენტის სხდომა – მ. ვ.). მან აღნიშნა, რომ არც ტყვიის ეშინია და არც სიკვდილის, არც ბრბოსი (ამას ვერ დაუკარგავ, რომ მართლაც არა აქვს ამის შიში – მ. ვ.), მაგრამ ზოგიერთი თქვენგანის მეშინიაო, რადგან შეურაცხყოფა არ მომაყენოს, რომლის ატანა მე არ შემიძლია და რომ, კიდევ ვიმეორებ, ჩემ გადაფურთხებულს არ ავლოკავ. მირჩევნია ქუჩა დავხვეტო, ვიდრე ასეთი შეურაცხყოფა მოვისმინო. მე ახლა დაგტოვებთ და როგორ გადაწყვეტილებასაც მიიღებთ იმას დავემორჩილებიო.

პარლამენტმა ორი თვით გააგრძელა საგანგებო ნესები, მაგრამ უარი თქვა ორი თვით შეეჩერებინათ სხდომები.

რა განვითარებას უნდა ველოდოთ. ჩემი აზრით, მომავალ სხდომებს აღარ დაესწრებიან ედუარდ შევარდნაძის მომხრეები, არ შეიკრიბება ქვორუმი და ამიტომ სხდომებიც არ შედგება.

ღამით ვკითხულობ გაზეთ „რესპუბლიკას", სადაც დაბეჭდილია ინტერვიუ **დიმა ჯაიანთან** – სოხუმის თეატრის დირექტორთან, რომელსაც ჩემ მოგონებებში გამოვეთხოვე, რადგან ყველას დაღუპული გვეგონა. **დიმა ჯაიანი გულწრფელად ამბობს, რომ იმ დროს, როდესაც მისი მსახიობები იბრძვიან, თანამდებობის პირთა შვილები საზღვარგარეთ დადიან სასწავლებლად. ის თვითონ სენაკელია. როცა ქობალიას რაზმი იდგა სენაკში სულ ოთხი ოჯახი გაძარცვეს, ხოლო როცა შევარდნაძის ჯარი შევიდა, თითოეული ოჯახი ათჯერ მაინც გაძარცვეს.** მერე გვიკვირს, მხარს რატომ არ უჭერენ დღევანდელ მთავრობასო. ან კიდევ, რა ხალხია დანიშნული დასავლეთში თანამდებობებზე? რა, არ იციან, ვინ არიან? გამსახურდია და ქობალია ვინც ბრძანდებიან კარგად ვიცი, მაგრამ თუკი არჩევანზე მიდგება საკითხი, ისევ ქობალიას პოზიციას ვირჩევდი, ვიცი მაინც ვინაა, ვიდრე იმ ნიღბოსნებს დღეს რომ ასე არიან, ხვალ კი ისე. ახლა საკადრო პოლიტიკა. რაიონებში, კერძოდ, დასავლეთში, ზოგი ისეთია დანიშნული, რომ იმათ როგორ შეიძლება ენდოს კაცი. დავიჯერო, არ იციან, ვის ნიშნავენ, თუ სწორედ მაგნაირები აძლევთ ხელს. უამრავს ჩამოსცილდა თავისდაუნებურად ნიღაბი, სწორედ ნიღაბთცვენის დრო დადგა. მაგრამ, რა გინდა? ისევ ისე არიან „მოყუჩებულები" ხელმძღვანელ, თბილ თანამდებობებზე.

საოცარია, დღეს სულ ამას ვიმეორებ: ნუთუ ედუარდ შევარდნაძე ვერ ხედავდა, ვის ნიშნავდა, ვინ იყვნენ, შესტკიოდათ თუ არა გული საქართველოზე. ნუთუ რეზო ამაშუკელის თაოსნობა გადაარჩენს საქართველოს? ნამდვილად სასაცილოა.

28 ნოემბერი

გადაცემა „სალამო მშვიდობისა". ნანა ჯაფარიძე ესაუბრება სოსო ჟღენტს.

ნ. ჯაფარიძე: რას იტყოდით, მართალი იყო თუ არა, რომ გამსახურდიასა და ქობალიას შორის არსებობდა განსხვავებული?

ს. ჟღენტი: ბევრ პოლიტიკოსს არ ანყობდა, რომ ლოთი რაზმებს აგზავნიდა აფხაზეთში და ამის გამო მოგვიწია ლოთის, მე და ჯომარდავას (ბატალიონის უფროსია) გროზნოში ჩასვლა და ახსნა-განმარტებების მიცემა.

ნ. ჯაფარიძე: რა მოხდა ზუგდიდში, რომელიც ძალიან გამაგრებული იყო? რა მოხდა, რომ ფაქტობრივად თოფი არ გავარდნილა, ისე დანებდა ქალაქი?

ს. ჟღენტი: ზუგდიდი არ იყო გამაგრებული, არავის ამისათვის არ ეცალა, ყველა ფიქრობდა თავშესაფარზე, დაგროვილის გადამალვაზე. ლოთიმ სწორი გადანყვეტილება მიიღო, რომ არ გაამაგრა ზუგდიდი.

ნ. ჯაფარიძე: რა იყო, რატომ უფრთხილდებოდნენ ზუგდიდს, რამდენი ჯარისკაცი ჰყავდა ლოთის ისეთი ვინც იბრძოდა?

ს. ჟღენტი: 600-700 კაცი იყო ისეთი, ვინც იბრძოდა.

ნ. ჯაფარიძე: ვინ იყო სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე და ვინ შედიოდა ამ საბჭოში?

ს. ჟღენტი: ზვიად გამსახურდია, ქობალია, აბსანძე, ლაკია (შტაბის უფროსი), ბოკუჩავა, გელანტია და მე.

ნ. ჯაფარიძე: რატომ გადადექით, ქობალიასთან პატაკით რატომ მიხვედით?

ს. ჟღენტი: მე შემეძლო სხვასავით გავპარულიყავი, მაგრამ შემდგომი ბრალდება უაზრობად ჩავთვალე. ამავე დროს გამომჟღავნდა ალიანსი აფხაზებთან. მე არ შემეძლო იმ ხალხთან ყოფნა, რომელნიც ყვავდნენ, როგორ აჭრიდნენ ყურს ქართველებს და სხვ. ზოგიერთი სიამოვნებით უსვამდა. ჩემმა ბიჭებმა უარი თქვეს მათთან ერთად ბრძოლაზე.

ნ. ჯაფარიძე: ბოლოს თუ არა გამიგეთ-ქილება თქვენსა და ლოთის შორის?

ს. ჟღენტი: მან პატაკი მშვიდად მიიღო.

ნ. ჯაფარიძე: მან იცოდა, რომ თქვენ იმიტომ გადადექით, რომ მათ გვერდზე ბრძოლა არ შეგეძლოთ?

ს. ჟღენტი: ლოთიმ ერთხელ იკითხა: რატომ შემოიყვანეს ესენი?

ნ. ჯაფარიძე: თქვენ არ იცოდით, რომ ქობალია ჩავიდა გუდაუთაში?

ს. ჟღენტი: მე ვიცოდი, რომ ის ჩავიდა ტყვია-წამლისთვის.

ნ. ჯაფარიძე: არ გიფიქრიათ, თუ რატომ მისცემდნენ ტყვია-წამალს?

ს. ჟღენტი: ლოთს პატივს აცემდნენ. რაც შეეხება ჭორს იმის შესახებ, რომ თითქოს ლოთიმ ტყვარჩელის დაჯგუფებას იარაღი მისცა, ეს არ შემიძლია დავადასტურო.

ნ. ჯაფარიძე: ის ხალხი, ვინც სამხედრო საბჭოში იყვნენ, როგორ გაიქცნენ?

ს. ჟღენტი: ძალიან ბევრმა შეატყო, რომ ბრძოლა ნაგებული იყო, ზოგმა მაროდიორობაში იშოვა ფული, ზოგმა — ჩაის ფაბრიკებიდან, ზოგმა — ბათუმის მიმართულებით, ზოგმა — აფხაზეთის მიმართულებით.

ნ. ჯაფარიძე: როდის მიხვდით, რომ ნააგეთ?

ს. ჟღენტი: ფოთში, სენაკში, ბოლოს სამტრედიაში მომხდარმა მაროდიორობამ დამარნმუნა, რომ ომს ვერ მოვიგებდით. ეს განსაკუთრებით სამტრედიაში ვიგრძენი. ჩვენ, როდესაც შევედით ლანჩხუთში და ოზურგეთში, იქ არ იყო მაროდიორობა, ყველა გაფრთხილებული მყავდა, ჩემმა მეგობრებმა არ იკადრეს მაროდიორობა.

ნ. ჯაფარიძე: გამსახურდიას მომხრეებმა ბოლოამდე გამოიჩინეს ერთგულება გამსახურდიასა მიმართ თუ არა?

ს. ჟღენტი: როდესაც ზუგდიდს პირველად დაარტყეს, კიბალამ გამსახურდია დაავიბადათ.

ნ. ჯაფარიძე: რამდენი კაცი ჰყავდა გამსახურდიას?

ს. ჟღენტი: მე რაც მითხრეს დაუჯერებელია – 3 ათასი კაცი.

ნ. ჯაფარიძე: თქვენ გჯეროდათ პრეზიდენტის?

ს. ჟღენტი: მე ამ კაცის გულისთვის იარაღით მიბრძოლია, ალბათ მჯეროდა მისი და ამიტომ ვეძახდი პრეზიდენტს.

1 დეკემბერი

გუშინ ჟენევაში დაიწყო მოლაპარაკება. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჯაბა იოსელიანი. მასში შედიოდნენ სანდრო კავსაძე, უკლება და სხვები, აგრეთვე აფხაზეთის ახლად დანიშნული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია. აფხაზების მხრიდან ხელმძღვანელი იყო სოკრატ ჯინჯოლია, რუსეთის მხრიდან — ბორის პასტუხოვი. ესწრებოდნენ აშშ-ს და საფრანგეთის წარმომადგენლები. შეხვედრა ორი საათის დაგვიანებით დაიწყო, რადგან სოკრატ ჯინჯოლიამ განაცხადა, რომ ის არ ცნობს ე. წ. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზურაბ ერქვანიას. დღესაც გაგრძელდა მოლაპარაკება, ჯერ არ ვიცი, რა მოხდა.

26 ნოემბრისა და 30 ნოემბრის „ივერია-ექსპრესში" გამოქვეყნდა ფიქრია ჩიხრაძის ინტერვიუ გია ყარყარაშვილთან სათაურით „მოღალატე ვინც იყო, ის გამოაშკარავდა კიდეც".

იქ დასვეს ასეთი შეკითხვა: ვინც კოდორთან იყო მათი მოქმედება შეფასდა ღალატად. თქვენ რას იტყვით?

გიამ სწორად უპასუხა, რომ „ბრძოლა რომ არ ნდომებოდათ, ოჩამჩირემდეც არ ჩამოვიდოდნენ... გამოდის, რომ ვინც ახალდაბამდე მოვიდა და მტყუანი აღმოჩნდა და ვინც სამტრედიასაც არ გაცდა, ის კიდევ მართალი და დაფასებულია".

ფიქრია ჩიხრაძე შეეკითხა გიას: საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შექმნის შესახებ რას იტყვით? გიამ უპასუხა: მთელი საქმიანობა უნდა წარიმართოს ისე, რომ ახალგაზრდობას მოუმზადოს სარბიელი. ყველაზე მეტად იმისი მეშინია, რომ ამ მოძრაობაში ახალი თაობის როლი არ დაიჩრდილოს. თუ ეს ასე არ მოხდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთი დიდი ნაბიჯი იქნება გადადგმული ხვალინდელი დღისკენ.

მე ვეთანხმები გიას, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც მე ვფიქრობ, **„საქართველოს მოქალაქეთა კავშირში" ძალაუფლებას აიღებს ის ხალხი, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ თანამდებობებს, ბიუროკრატიას, დროსტარებას, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და, ბოდიში ამ სიტყვაზე, ადრეც და ახლაც ფეხებზე ჰკიდიათ საქართველო. ღმერთმა ქნას, რომ იმ ხალხმა აიღოს ინიციატივა, ვისაც გული შესტკივა საქართველოზე და დაეხმარება ქვეყანას თავისი ცოდნით, საქმიანობით.** მაგრამ მათ რიგებში მე ვერ ვხედავ ასეთ ხალხს. ჩემთანაც, ისტორიის ფაკულტეტის საბჭოს წევრები ისევ ისე მუშაობენ თითქოს არაფერი მომხდარა, ისევ ოცნებობენ ნიკო კეცხოველისდროინდელ სტუდენტობაზე და საყვედურებს უცხადებენ იმ სტუდენტებს, ვინც ხშირად ვერ დადის ლექციებზე. საწყალმა ბავშვებმა როგორ უნდა იარონ, როდესაც არ მუშაობს ტროლეიბუსი, ავტობუსზე ხომ ოცნებაც არ შეიძლება. ერთადერთი ტრანსპორტი მეტროა, თუ საერთოდ ჩახვედი შიგნით და თუ დაჯექი ვაგონში, შეიძლება 3-4 საათი ერთ გაჩერებაზე იყო გაჩერებული, რადგან ხშირად არ არის დენი. **ყველაზე დიდი ხელფასით შეიძლება იყიდო 10 ცალი კვერცხი. ეკონომიკაში კატასტროფული მდგომარეობაა, ასეთი მდგომარეობა არ იქნება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. ხალხი შიმშილობს. ყოველ ნაბიჯზე მანქანებს იტაცებენ. დარბის**

შეიარაღებული ხალხი, არავითარი კანონი არ მოქმედებს. ახლა „ნოვოსტიმ“ გადმოსცა, რომ ჟენევაში მოხდა შეთანხმება ქართველებსა და აფხაზებს შორის. მთავარი ის არის, რომ ორივე მხარემ უარი თქვა იარაღის გამოყენებაზე. გადაწყდა, რომ გაიგზავნება სამშვიდობო ჯარები. თუ აფხაზეთში არ შევიდნენ რუსეთის ჯარები, იქ არცერთი ლტოლვილი არ დაბრუნდება და თუ მათი დაბრუნება გადაიდო, აფხაზეთს დავკარგავთ. შემდგომში ჩვენ უნდა შევქმნათ დისციპლინებული არმია, რომ დავიცვათ ჩვენი მოქალაქეები.

დღეს ედუარდ შევარდნაძე ჩავიდა ბათუმში და მივიდა რუსეთის დივიზიაში. მას თან ახლდა ასლან აბაშიძე. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ბალტინის მედესანტეები გავიდნენ ფოთიდან. ალბათ, შევარდნაძეს ამჯერად უნდა, რომ რუსების ეს დივიზია გამოიყენოს დასავლეთ საქართველოში, სადაც ისევ გრძელდება მაროდიორობა. ბათუმის დივიზიის გამოყენება დიდი შეღავათი იქნება დასავლეთ საქართველოსთვის. ნეტავ თბილისშიც გამოჩნდნენ რუსები საპატრულოდ, თორემ ცხოვრება შეუძლებელია. ღმერთო, სადამდე მივედით! წინათ თუ გული მისკდებოდა და ვერ ვიტანდი რუსის ჯარს, ახლა გვიხარია მისი შემოსვლა.

4 დეკემბერი

ტელევიზიით აჩვენეს, რომ უშიშროების სამსახურს ჩაბარდა აკაკი ელიავა, ლოთი ქობალიას მოადგილე. ეს ის აკაკი ელიავაა, რომელიც აცხადებდა, რამდენიმე საათში ავიღებთო თბილისსო. ხვალ იქნება მასთან ინტერვიუ. საოცარ ქვეყანაში ვცხოვრობთ! დღეს გაზეთ „ახალ თაობაში“ ვკითხულობ გია ჭანტურიას ინტერვიუს. გია იტალიაში იყო და შეხვდა რომის პაპს, რომელსაც თავისი პირადი დანაზოგიდან 30 ათასი დოლარი გადმოუცია საქართველოსთვის. ამავე დროს ტელევიზიით გადმოსცეს, რომ დღეს თავს დაესხნენ თბილისში რომის პაპის ელჩს, რომელიც გაძარცვეს, დაბოლოს, ბენზინიც წაართვეს. ნუთუ ეს სახელმწიფოა?

9 დეკემბერი

გუშინწინ ტელევიზიაში აჩვენეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეიდი თბილისიდან ბათუმამდე. გადაცემა მიჰყავდა პრესცენტრის უფროსს ვახტანგ გოგოლიშვილს. რაც ვნახე, საშინელებაა! მცხეთასთან ცალცალკე დგანან: საგზაო პოლიცია და სამხედრო პოლიცია, მცხეთის ბატალიონის უფროსს გამოუგზავნია თავისი ხალხი, ცალკე იდგა „მხედრიონი“. ყველანი ცალცალკე ძარცვავენ მგზავრებს. გზაში შემოხვდათ გაძარცვული მგზავრები, აგრეთვე გაძარცვული ავტობუსები. მგზავრებმა ითხოვეს, რომ გაეცილებინათ ისინი, რადგან კიდევ დახვდებოდნენ და მძარცველებისათვის ფული არ ჰქონდათ. მართლაც, ერთი ავტობუსი ქუთაისთან გააჩერეს, ავტობუსში ავიდა ახალგაზრდა ავტომატით და მოითხოვა რუსული ფული, 50 ათასი მანეთი. შემდეგ ინტერვიუ აიღეს ამ ახალგაზრდისგან. მან განაცხადა, რომ არის ქუთაისის მერიის თავდაცვის შტაბის წევრი, ხელფასს არ უხდიან და ამიტომ თვითონ იღებს ფულს. თითქოს არაფერი, მილიციამ ხელიც არ ახლო მას. შემდგომში დაფნართან „მხედრიონის“ ჯგუფი შემოხვდათ, რომლებიც გზაზე იდგნენ და ყაჩაღობდნენ. მილიციას არც ეს ჩაუგდია რაიმედ. შემდეგში შემოხვდათ ავტობუსი, რომელსაც აცილებდა უნომრო მანქანა. მანქანაში იჯდნენ ავტომატიანები, მანქანა მოპარული იყო. მოკლედ, სრული განუკითხაობაა!

დღეს წავიკითხე გაზეთი „7 დღე“, რომელშიც დაბეჭდილია სტატია – „მათი

გზა საქართველოდან არსად არ მიდის". საშინელებაა! ამ სტატიაში ლაპარაკია, თუ როგორ საშინლად გაძარცვეს თბილისიდან ჩასულებმა სამეგრელო. თითქოს მტრის ქვეყანაში იყვნენო! რისიც მეშინოდა, სწორედ ის ხდება. **სამეგრელოს არასოდეს დაავიწყდება ის დამცირება, რაც ამ მხარემ განიცადა.** რა შუაშია უბრალო კაცი, რომელსაც არაფერი დაუტოვეს, სახლებში უვარდებოდნენ, ძარცვავდნენ, ცემდნენ და შეურაცყოფას აყენებდნენ!

ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ეს! მე და ჩემი ოჯახი რა შუაში ვართ? ვთქვათ, სამეგრელოდან რომ წამოვიდნენ, მათ ჩვენ უნდა დაგვარბიონ? სამეგრელოს დარბევა არავის შერჩება!

დღეს ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა დოკუმენტებს. თბილისში სპეციალურად მინსკიდან ჩამოსული იყო (გვარი არ მახსოვს) დსთ-ს საბჭოს მდივანი. მან თქვა, **რომ საქართველო დსთ-ს სრულუფლებიანი წევრი გახდა.** ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: გაფორმდა ის, რაზედაც შევთანხმდით მოსკოვში.

შემდეგი ეტაპი არის აშხაბადის შეხვედრა. იქ დსთ-ს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეები შეხვდებიან, შემდეგ მოხდება რატიფიკაცია. ჩვენ ეს გვჭირდება. ბევრი სვამს კითხვას: ხომ არ იქნება ეს იმპერიის აღდგენა? „არა, არ იქნება" – თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

16 დეკემბერი

12 დეკემბერს რუსეთში ჩატარდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 53%-მა. სრულიად მოულოდნელად, პირველ ადგილზე გადის ვლადიმერ ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. ეს გახლავთ ულტრარადიკალური პარტია. ვლადიმერ ჟირინოვსკი ოცნებობს რუსეთის იმპერიის აღდგენაზე პოლონეთისა და ფინეთის ჩათვლით. ამავე დროს მიიღეს რუსეთის ახალი კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის მიხედვით, რუსეთის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს აღარა აქვთ სუვერენიტეტი. არჩევნები არ ჩატარდა ჩეჩნეთში, თათრეთში და ხაკაისში. რა თქმა უნდა, რუსეთი შეეცდება ამ რესპუბლიკების დამორჩილებასაც. დიდი ამბებია ჩეჩნეთში. ტელევიზიამ გადმოსცა, რომ დღეს რუსებმა ალყა შემოარტყეს ჯოხარ დუდაევის ადმინისტრაციულ შენობას გროზნოში.

21 დეკემბერი

ამ რამდენიმე დღის ნინ ჩატარდა ოპერაცია „სვირის საძმოს" წინააღმდეგ. ასეთი ოპერაციები ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. **თბილისში სრული განუკითხაობაა, პოლიცია საერთოდ არ ჩანს. ეს, რა თქმა უნდა, ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის დავით ზეიკიძის ბრალი არ არის. გუშინ ზეიკიძემ დიდი გულისტკივილით განაცხადა: ვინ იცავს ქალაქში წესრიგს? თითქმის ყველა და თითქმის არავინ. მე ვაფრთხილებდი, რომ მაფია მომძლავრდა. ეხლა მაფიის წინააღმდეგ თითქმის შეუძლებელია ბრძოლა, რადგან ოფიციალურ სტრუქტურებში მოხვდნენ ბანდიტები, რომელთაც ოფიციალურად აქვთ იარაღი და ოფიციალურადაც ყაჩაღობენ, ოფიციალურად არსებობს საძმოები – გლდანის, ნაძალადევის, ვაკის, ვაშლიჯვარის, ისნის და ა.შ. ბოლოს ზეიკიძემ განაცხადა, რომ ჩვენ ერთმანეთში ვართ გულადები, ხოლო უცხოსთან — კურდღლები.** ამიტომ საჭიროა, რომ გარეშე ძალა დავიქირავოთ (200 კაცი). მაგალითად, როგორც იყო ფოთში, სადაც დამყარდა წესრიგი. სხვა გამოსავალი არ არისო.

საშინელი ამბებია ქვემო ქართლში.

დღეს ვიდეოკამერა ნაართვეს უცხოელებს, რომლებმაც ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოიტანეს და გაჭირვებულ ხალხს ურიგებდნენ. უცხოელები ჰუმანიტარული ტვირთის დარიგების პროცესს ვიდეოკამერით იღებდნენ. **ქუჩაში რომ გავდივარ არ ვიცი, ცოცხალი მივალ სახლში თუ არა. ისე ატყდება ხოლმე ავტომატების სროლა, ვითომც არაფერი. არ ვიცი, რა დაემართა ედუარდ შევარდნაძეს,** ამბობენ, ძალა არა აქვსო. როგორ შეიძლება ძალა არ ჰქონდეს? ამხელა უშიშროების სამინისტრო შეიქმნა, არც შინაგან საქმეთა სამინისტროა პატარა. კიდევ ვიმეორებ: ეს კატასტროფაა, რაღაც ელოდება, არ ვიცი. **დღეს უნივერსიტეტში კათედრის გამგეს აქვს ხელფასი 100 ათასი კუპონი მაშინ, როდესაც 1 დოლარი უდრის 100 ათას კუპონს. მინიმალური ხელფასი არის 23 ათასი კუპონი, რომლებიც ლტოლვილებს ურიგდებათ, ე. ი. მათ 25 ცენტი აქვთ თვეში. ხალხის 98% შიმშილობს. სანამ ნესრიგი არ დამყარდება, არაფერი გვეშველება.** გუშინ „საქართველოს რესპუბლიკა" წერდა, რომ ძლივს შემოიტანეს კრედიტით 102 ცისტერნა ბენზინი, საიდანაც 24 ვაგონი შეიარაღებულმა პირებმა მოხსნეს და წაიღეს ლილოში. რა, არ იციან ვინ არიან ისინი? 40 ბანდიტი თავს დაესხა გლდანის პოლიციას და თავიანთი თანამზრახველი გაათავისუფლეს, რომელსაც, გამოძალვის მიზნით, გატაცებული ჰყავდა 18 წლის ბიჭი. არავითარი საგანგებო წესები არ არსებობს. მახსენდება ჰიუგოს „93 წელი". ჩვენი 1993 წელი საშინელებაა!

22 დეკემბერი

ორი წელი სრულდება, რაც თბილისში ომი დაიწყო. მართალია, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ბევრი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ **აღმოჩნდა, რომ იარაღით ხელისუფლების დამხობა იწვევს დაუსჯელობის სინდრომს. სწორედ ავტომატიანი კაცი გახდა ამ ორი წლის განმავლობაში პირველი კაცი.**

გუშინ ვწერდი სწორედ იმ სინდრომის შესახებ, რომელიც ბატონობს ამჟამად საქართველოში და კერძოდ თბილისში.

დღეს 11 საათსა და 45 წუთზე შატბერაშვილის ქუჩაზე მოკლეს ჯაბა იოსელიანის ორი უახლოესი თანამებრძოლი – ზაზა ვეფხვაძე და გია სვანაძე. კიდევ ერთი იყო მათთან ერთად, მაგრამ არ ვიცი, ვინ იყო. ამ საქმის გახსნა ძალიან ძნელია, რადგან მათ იმდენი მტერი ჰყავდათ, რომ ვერაფერს გაიგებ. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს „მხედრიონის" წინააღმდეგ დაწყებული აქცია, რომელსაც სხვა მკვლელობაც მოჰყვება.

თავდაცვის სამინისტროს განცხადება: აშხაბადიდან რომ დაბრუნდნენ იგორ გიორგაძეს გია ყარყარაშვილისთვის უთქვამს: შენი ბრალია აფხაზეთის დაკარგვა და რატომ არ მოაწერე ხელი აშხაბადში შეთანხმებასო.

23 დეკემბერი

ქვემო ქართლის შესახებ რამდენჯერმე ვწერდი. აქ ე. წ. „სვანების ჯგუფი" (ამ ჯგუფებში სვანებიც იყვნენ და საქართველოს ყველა კუთხიდან ჩასული ბანდიტებიც) ატერორებს როგორც აზერბაიჯანელ, ისე ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას. ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. მაშინ ძლივს დააწყნარეს მოსახლეობა. გავიდა რამდენიმე დღე და გუშინწინ ვინმე კახა მენთეშაშვილს გამოედევნენ, რადგან მანქანა არ გააჩერა, ესროლეს, მენთეშაშვილის მანქანა აზერბაიჯანელებს დაეჯახა. ერთი აზერბაიჯანელი დაიღუპა, კახა მენთეშაშვილიც დაიღუპა. ადგილობრივმა მოსახლეობამ გუშინწინ გზა გადაკეტა.

გუშინ ისევ მოკლეს ორი აზერბაიჯანელი და ორიც დაჭრეს. მოსახლეობა გაამწარეს. ამ ამბების წერისას ცრემლები წამომივიდა. სანყალი ხალხი!

დღეს ედუარდ შევარდნაძე გაფრინდა აშხაბადში დსთ-ს მეთაურთა შეხვედრაზე. **სადამდე მიგვიყვანეს! ველოდებოდით, იქნება რუსის ჯარმა დაგვიცვას ბანდიტებისა** და კაცისმკვლელებისაგან. ვაი, ჩვენი ბრალი, არ ვყოფილვართ თავისუფლების ღირსნი!

25 დეკემბერი

დღეს ტელევიზიით გადასცეს უშიშროების სამინისტროს პრესცენტრის განცხადება. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ თავდაცვის სამინისტროში გუშინ გამოცხადდა განგაში და რომ გააჩერეს უშიშროების სამინისტროს ორი მანქანა. ზუსტად ვერ გავიგე, მაგრამ აშკარად იყო ნათქვამი, რომ უშიშროების თანამშრომლებს შეურაცხყოფა მიაყენა პირადად თავდაცვის მინისტრმაო. შემდეგ აფეთქება მოახდინეს კონტრდაზვერვის შენობაში, ზარალი ასეული მილიონობით განისაზღვრებაო. აშკარაა, რომ ერთმანეთს დაეჯახა თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროები. თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ 24 დეკემბერს აეროპორტში იგორ გიორგაძემ ბრალი დასდო ყარყარაშვილს აფხაზეთის დაკარგვაში. აგრეთვე ბრალი დასდო იმაში, რომ ხელი არ მოანერა აშხაბადში ხელშეკრულებას. გიორგაძეს უთქვამს ყარყარაშვილისთვის: დაგაპატიმრებო.

ედუარდ შევარდნაძემ შექმნა კომისია ოთარ ფაცაციას ხელმძღვანელობით, რათა გამოიძიონ ეს საქმე.

26 დეკემბერი

დღეს რუსთაველზე გავედი ოჯახთან ერთად. მაშინვე უკან მოვატრიალე მანქანა. პარლამენტთან დგას დანჯღრეული ჯავშნიანი მანქანები. ერთ-ერთი ჯავშნიანი მანქანა რუსთაველზე გამოვიდა, ზედ ავტომატიანი ხალხი იჯდა. პარლამენტთან ტრიალებდნენ „დუბლიონკებში" გამოწყობილნი, ავტომატიანები. მოკლედ ყველაფერი ძველი ბიჭების თავყრილობას წააგავდა, თანაც საკუთარი მანქანებით იყვნენ მოსულნი.

გუშინ ორი კაცი ჩაცხრილეს ჩოლოყაშვილის ქუჩაზე. ედუარდ შევარდნაძე ისე იქცევა, თითქოს არაფერი ხდებაო. როგორ შეიძლება ამდენი უფორმო შეიარაღებული ადამიანის თარეში. დღეს ვკითხულობ გაზეთ „კავკასიონს", სადაც სწორად წერია, რომ დღეს „საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა დაუცველი სოციალურად, სამართლებრივად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად. ჯერ უნდა დავიცვათ ადამიანის მთავარი უფლება – სიცოცხლე".

28 დეკემბერი

ძალიან მომეწონა გია ჭანტურიას გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ ძველი თაობა უნდა წავიდეს და უნდა მოვიდეს ახალი თაობა. მან აღნიშნა, რომ საქართველოში ამჟამად კატასტროფული მდგომარეობაა, არიან ბანდიტები და დაქირავებული მკვლელები.

სასაცილოა თუ სატირალი, არ ვიცი. გუშინ მანქანა წაართვეს ქალაქის პრემიერს კოტე კაპანაძეს, რომელიც კურირებს ქალაქის მილიციას. მანქანა წაართვეს გლდანის რაიონის პროკურორსაც. ედუარდ შევარდნაძეს რომ წაართმევენ მანქანას, ალბათ, შემდეგ გაბრაზდება.

როდესაც ამას ვწერდი შემოვარდა ჩემი პატარა ვაჟი – მეოთხეკლასელი თაზო და მითხრა, რომ ლექსი დაწერა. მინდა თვითონ ჩაწეროს:

„ქარი მიდის ქარი მოდის
და ქუჩაში არის სროლა,
ხალხს არ ეშინია იმიტომ,
რომ ისინი შეჩვეულნი
არიან სროლას.

თუ გააბრაზე ქურდი,
მოვა და დაგახლის
ტყვიას თავში.
იქით კაცი ყვირის, გიჟი გადარეული,
იმასაც დააკერებს ტყვიას.
უცბათ მილიცია მოდის, ქურდებს არ ეშინიათ.
მილიციელები ტყუილად დარბიან,
ისინი ქურდებისკენ კი არ მირბიან
თავს იცავენ ტყვია არ დამახალონო".

როდესაც ჩემმა უფროსმა შვილმა, მეცხრეკლასელმა, ლექსი შემომიტანა გავშრი, რადგან ახალგაზრდობას მომავლის არავითარი იმედი აღარ გააჩნია.

„წავიდა ცხოვრება, როგორც ნიავი,
გვარხევს გრიგალი, როგორც მინდორში ლერწამს.
წავიდა ცხოვრება, დაჭკნა, როგორც ფოთოლი,
მიდის ხალხი ისე, რომ ვითომც არც მოსულან.
ჩხუბობს ხალხი, მაგრამ არც კი იციან რაზე ჩხუბობენ.
ისვრიან, ისვრიან, ჩიტები ეელარ გალობენ,
ილევა სიცოცხლე, ვითარცა სანთელი,
წვავენ ბოროტნი, ვითარცა ცეცხლი.
წავა ხალხი, ზოგი იქით, ზოგი აქეთ,
ჯოჯოხეთში ამოაფრქვევს ბოროტების გუგუნი,
ხოლო სამოთხეში კი ბულბულის ხიდზე
დავინახავთ მომავალ ანგელოზებს".

29 დეკემბერი

მძიმე დღეებია. დღეს სამი ბანკის მმართველი დაიკარგა. ქალაქს არავინ აკონტროლებს. **დღეს ქუჩაში გაზეთ „ახალი თაობის" რედაქციის თანამშრომლები თვითონ ყიდიან გაზეთს, რადგან მთავრობას არ აწყობს ასეთი გაზეთის არსებობა.** „ახალ თაობაში" ვკითხულობ: თენგიზ სიგუამ აღიარა, რომ როგორც ზვიადი ნიშნავდა მინისტრებს, ისევე ნიშნავს ედუარდ შევარდნაძეცო. მას გაზეთ „ნოვია გაზეტაში" მოყავს მაგალითი, რომ ედუარდ შევარდნაძემ ორჯერ ნასამართლევი თემურ ხაჩიშვილი დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად. გაზეთი „ახალი თაობიდან" შევიტყვე, რომ რუსთაველზე ჯავშნიანი მანქანები რომ დაქროდნენ და დუბლიონკიანი ბიჭები ავტომატებით რომ იდგნენ, ისინი ყოფილან რუსთავის „მხედრიონიდან", რომლებიც იცავდნენ ედუარდ შევარდნაძეს. ეს ის რუსთავის „მხედრიონია", რომელიც 1992 წლის სექტემბერში უნდა დაეჭირათ. როგორც მაშინ ედუარდ შევარდნაძე ამბობდა, რუსთავში ჩატარდა ოპერაცია 120 ბანდიტის წინააღმდეგ და ეს ოპერაცია გაყიდეს, რაც ბრალდებოდა თემურ ხაჩიშვილს. ნუთუ ახლა სირცხვილის გრძნობა არა აქვს ედუარდ შევარდნაძეს, რომ სწორედ ის, როგორც თვითონ უწოდებდა, „ბანდიტები" იცავენ მას! გული გამისკდება, მეტი აღარ შემიძლია!

1994 წელი

3 იანვარი

რვეულებს ეტყობა როგორი მდგომარეობაა საქართველოში. **რვეულები, რომელშიც მიწერია ეს მოგონებები, ძველია, ნახევრად დახეული, რადგან მაშინ რვეულის შოვნაც ძნელი იყო. ამ საახალწლო დღეებმა ისე ჩაიარა, კაცს გარეთ გასვლის სურვილი არა აქვს. ახლოს თუ ცხოვრობს მეგობარი, მასთან თუ მიხვალ, თორემ შორს წასვლა** და მილოცვა ან მანქანის წართმევად დაგიჯდება, ან კიდევ სროლაში მოპყვები. ჯობია არ გახვიდე შინიდან. ძირითადად დადიან იმ მანქანებით, რომელშიც ზის სამი-ოთხი შეიარაღებული ბანდიტი, ისინი თავისუფლად დათარეშობენ, მილიცია არ არსებობს. თუ 1994 წელი ისეთივე იქნება, როგორც 1993 წელი, საქართველო და ქართველი ერი ალბათ აღარ იარსებებს. ვისაც შეეძლო წასვლა საქართველოდან, წავიდა. ზამთარში გათბობა საერთოდ არ არის, არ არის შუქი.

პროფესორის ხელფასი უდრის ნახევარ დოლარს. საქართველოს მოსახლეობის 98% შიმშილობს, ქვეყანაში სრული ქაოსია. თანამდებობებზე არიან ან ბანდიტები, ან კიდევ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აფერისტები. ედუარდ შევარდნაძეს ვერ ვცნობ, მისი საკადრო პოლიტიკა უარესია, ვიდრე ზვიად გამსახურდიასი. რა აქვს ჩაფიქრებული, ვერ ვხვდები, ხალხი მისგან სულ რაღაცას ელოდება, ამბობენ: „აცალეთ, ეხლა მოიფიქრებს რამესო". ამ მოფიქრებაში გავიდა ორი წელიწადი და რაც უბედურება მოხდა, იმაზე მეტი რაღა შეიძლება მოხდეს. ყოველდღე იტაცებენ ხალხს და თხოულობენ გამოსასყიდს, თან საუბარია ასიათასობით დოლარზე. ყველამ იცის, ვინც იტაცებს. ეს ხდება მთელ საქართველოში. ხმას ვერ ამოიღებ, რადგან თითოეულ ასეთ ჯგუფში 100-150 კაცია გაერთიანებული. მთელი საქართველო გაძარცვეს, **სომალიზე უარესი მდგომარეობაა. დღეს მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც ამდენი ბანდიტი და ყაჩაღი იყოს. კაცის სიკვდილი ჩალის ფასი გახდა. გაჩდნენ დაქირავებული მკვლელები, ოღონდ ფული მიეცი და ვისაც გინდა იმას მოკლავენ.** ამიტომ არის, როდესაც ჩამოდიხარ ამხელა პოლიტიკოსი, არ უნდა მოისვა ბანდიტები გვერდით. **მე უკვე ეჭვი მეპარება, რომ დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალება საერთოდ ედუარდ შევარდნაძის მოწყობილია.** ღმერთო ჩემო, როგორი იმედი მქონდა ამ კაცის, როგორც ღმერთს ისე ველოდებოდი მის ჩამოსვლას! ერთ თვეს მოვითმენ როგორმე, რადგან იმედის ნაპერწკალი კიდევ მაქვს, შემდეგ კი მას ჩემზე მეტი მტერი არ ეყოლება!

4 იანვარი

დღეს „ქართულ ქრონიკაში" წავიკითხე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართვა ქართველი ერისადმი, სადაც ძალზე სნორად არის ნათქვამი:

„საქართველოში პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და დამნაშავე ელემენტების თარეშმა კულმინაციას მიაღწია. სამწუხაროდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ მდგომარეობა ოდნავაც არ გამოასწორა, რადგან დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური დანაშაულის აღმოფხვრა თუ პოლიტიკური სტაბილიზაცია დაეკალათ, ხშირ შემთხვევაში, იმ პირებს, რომლებიც თავად არიან შემჩნეულნი ანტისახელმწიფოებრივ კრიმინალურ ძალებთან მჭიდრო კავშირში, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირის კომპეტენცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს...

ამ ბოლო დროს სიტუაცია დაამძიმა ტერორისტულმა აქტებმა, რომლებიც გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკით და ცინიზმით. სახეზეა უსაშინლესი რამ – საქმე

გვაქვს დაქირავებული ინსტიტუტის დანესებასთან*.

ნესრიგის და დამნაშავეობასთან უკომპრომისო ბრძოლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიისა და სახელმწიფოს გადარჩენა. დღესაც არ არის გვიან, ანი მაინც დავიწყოთ ბრძოლა გადარჩენისთვის. ეს მართლა ბრძოლა უნდა იყოს და არა კამპანიური ნახევარლონისძიებანი. აშკარა პოლიტიკური აქცენტებით „ძველები" (არა მხოლოდ ასაკობრივი გაგებით) უნდა წავიდნენ მთავრობიდან. მათი უმეცრება, უუნარობა, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, კორუმპირებულობა და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან უმჭიდროესი კონტაქტები არის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ზნეობრივი კრიზისის, აგრეთვე საბოტაჟის მიზეზები, რაც სახეზე გვაქვს. მხოლოდ ახალ ზნეობრივ, გონიერ და ძლიერ ერთობას ძალუძს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა".

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ განცხადებას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია რამდენჯერმე აფრთხილებდა ედუარდ შევარდნაძეს, რომ იქმნებოდა არა დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო, არამედ ყაჩაღური საქართველო. მართლაც, ამჟამად სახეზეა ყაჩაღური სახელმწიფო, სადაც ბატონობს ავტომატიანი კაცი. **ედუარდ შევარდნაძე ამჟამად ბუტაფორიას წარმოადგენს.**

5 იანვარი

საღამოს ექვს საათზე მოსკოვიდან „ნოვოსტიმ" გადმოსცა, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. საღამოს 7 საათზე საქართველოს ტელევიზიის მეორე არხმა გადმოსცა სააგენტო „იფრინდას" დაუდასტურებელი ცნობა: 31 დეკემბერს გროზნოში ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შორის მოხდა შეტაკება, ზვიად გამსახურდია დაიჭრა და ერთი კვირის შემდეგ თავი მოიკლაო.

მოუსმინე ინტერვიუს ქალაქის პოლიციის უფროსთან, **დავით ზეიკიძესთან. ეს პიროვნება საკმაოდ ვაჟკაცი კაცია, მაგრამ, რად გინდა, ჯაბას და „მხედრიონის" რომ უფროსად დაუნიშნავ, რა უნდა ქნას. მას გია ყარყარაშვილივით დაემართა: როცა ედუარდ შევარდნაძე გადადგომას აპირებდა, ჯაბას და „მხედრიონის" გამო, მას გვერდში ამოუდგნენ სწორედ გია ყარყარაშვილი, დავით ზეიკიძე და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მერე ედუარდ შევარდნაძემ მათ სუყველას ზურგი შეაქცია და გია ყარყარაშვილს და დავით ზეიკიძეს უფროსად ჯაბა იოსელიანი დაუნიშნა.**

ინტერვიუში დავით ზეიკიძემ თქვა ის, რასაც მე ვფიქრობდი. გასაკვირია, რომ ეს თქვა პოლიციელმა და არა პოლიტიკოსმა. დავით ზეიკიძემ აღნიშნა: ყველაზე ადრე სტუდენტობა ჩამოცილდა ეროვნულ მოძრაობასო (ინგულისხმებოდა ზვიად გამსახურდიას პერიოდი) და ახლაც ამ მთავრობას ჩამოსცილდა სტუდენტობა. მეორე, რაც დავით ზეიკიძემ თქვა, ის იყო, რომ არავის არაფერი შერჩებაო. ვინც დღეს იარაღით აწიოკებს ხალხს, ის არ ფიქრობს თავის ოჯახზე. გავა დრო და ისინი დაინვალიდდებიან ან მოკვდებიან და მერე მათ ოჯახებს მიაკითხავს გამწარებული ხალხი. ოჯახის წევრები კი, ცხადია, არაფერ შუაში არ არიანო – **აბსოლუტურად სწორად აღნიშნა დავით ზეიკიძემ. ნუთუ ამდენ სიავეს რომ ჩადიან არ ფიქრობენ შვილებზე? მათზე კარგი რა გააჩნიათ? მაგრამ ამ ნაძირალების უმეტესობა ხომ ნარკომანები არიან, ნარკოტიკია მათი ცხოერება, ოჯახიც და შვილებიც.**

„მაცნემ" გადმოსცა, „სი-ენ-ენმა", „ნოვოსტიმ" და „ევრონიუსმა" გაავრცელეს ინფორმაცია, რომ დასავლეთ საქართველოში თავი მოიკლა ზვიად გამსახურდიამ. დამატებით ცნობებს მოგანვდითო.

* რა იცოდა გიამ, რომ თვითონაც დაილუპებოდა დაქირავებული მკვლელების მიერ.

9 საათზე მე თვითონ მოვუსმინე „ნოვოსტის“. გამოაცხადეს, რომ ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეუღლემ მანანა არჩვაძემ განაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში „მხედრიონის“ ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ზვიადს და მის მომხრეებს და ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო.

მოტანილი ფაქტები ძალიან რეალურად მეჩვენა, მაგრამ მაინც თავს ვიკავებ კომენტარებისგან.

9 იანვარი

ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ვითარება. ჩეჩნეთიდან ჩამოვიდნენ ვიცე-პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მისთვის და საქართველოსთვის ზვიად გამსახურდიას სიკვდილს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მისი მოძრაობა ძირითადად დამარცხებული იყო. როგორც ფიქრობენ, ზვიად გამსახურდია ზუგდიდის რაიონში უნდა დაასაფლავონ, ზუგდიდიდან 30 კილომეტრზე მდებარე მაღალმთიან სოფელში. ყველაფერი ჯერ ზუსტად არ არის ცნობილი.

დღეს გადმოსცეს, რომ პოლიციის და ეროვნული გვარდიის ნაწილები შევიდნენ დმანისის რაიონში. რამდენიმე კადრი აჩვენეს, როდესაც ოჯახებში აღმოჩნდა მოპარული მანქანების ნაწილები, ზოგან მოპარული „მერსედესები“, „კამაზები“. ეს მხოლოდ ეპიზოდი იყო. ფქვილით სავსე უზარმაზარი მანქანა გააჩერეს, რომელიც მოპარული იყო და გაჰქონდათ სომხეთში. ამ ამბავს სანყალი მშიერი ბავშვები ისე საცოდავად უყურებდნენ, რომ პოლიციამ ერთი ტომარა ფქვილი იქვე მისცა ბავშვებს. საშინელი სანახავი იყო! ამ გადაცემას ხვალ ენახავთ. საშინელება ხდება ქვემო ქართლში. ვნახოთ, თუ დამყარდა წესრიგი, მე ისევ ტაშს დავუკრავ ედუარდ შევარდნაძეს.

დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ ვკითხულობ ინტერვიუს ნაირა გელაშვილთან.

კითხვა: „როგორ განსაზღვრავდით დღევანდელი საქართველოს ყოფას“?

ნ. გელაშვილი: „დღევანდელი საქართველო, ასე ვთქვათ, მისი წესიერი საზოგადოება, არის მძევალი კრიმინალური ჯგუფების ხელში. ესაა სამხედრო-მაფიოზური დაჯგუფებები და ყოვლად აპოლიტიკური შეიარაღებული ბანდები, იმიტომ, რომ არ არსებობს ძალა, რომელიც წინ აღუდგება, წესრიგს დაამყარებს და ბოლოს და ბოლოს დაისჯება დამნაშავე... ედუარდ შევარდნაძე აღმოჩნდა ძალაუფლების გარეშე, რომელსაც არ ჰყავდა და არც ამჟამად ჰყავს სამხედრო ძალა“. აბსოლუტურად ვეთანხმები!

კითხვა: თქვენს წერილებში კრიმინალური სამყაროს ასეთი მომძლავრების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებას ასახელებთ და ეს მართლაც თვალნათლივია, სურს ყველას აღიარება თუ არა სურს.

ნ. გელაშვილი: თავიდან, როცა ეს ამბები დაიწყო, 91-ის სექტემბერში მოგეხსენებათ ძალზე არეული სურათი იყო, ბევრს ვერ გაერკვია, თუ რა ხდებოდა ან ეს კიტოვანი ვინ იყო, ან ეს სიგუა? ვინც მათ პირადად არ ვიცნობდით, ვერ მივხვდით, ასე რატომ იქცეოდნენ: ეს ამბოხი იყო მმართველობის არადემოკრატიული წესის წინააღმდეგ, თუ ბრძოლა ხელისუფლებისთვის? მაგრამ, მალევე, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ისინი და მათთან დაკავშირებული პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებისთვის იბრძოდნენ და ამის მერე მათ აღარც გავკარებივარ. ინტელიგენციამ უნდა აღიაროს, რომ არ უნდა დამდგარიყო მათ გვერდით“.

დღეს გამოქვეყნდა ვახტანგ გოგუაძის მიმართვა პარლამენტისადმი, რომ უნდა

შევიდეთ მანეთის მიმოქცევის ზონაში (ალბათ, სხვა გამოსავალი არ არის, ხალხი შიმშილით კვდება – მ. ვ.).

20 იანვარი

აქ ფურცელია ამოხეული, ჩემმა უფროსმა შვილმა ამოხია. საერთოდ მინდოდა დამემთავრებინა იმ საზიზღვარი ამბების აღწერა, რომელიც მე დავიწყე 1989 წლის 4 აპრილიდან. მინდოდა საერთოდ დამემთავრებინა ჩემი სიცოცხლეც, მომბეზრდა ეს განწამებული ცხოვრება, ადამიანთა ასეთი გადაგვარება, მთელი უბედურება. ამ საზიზღარი წლების ყველაზე ცუდი შედეგი მაინც ის იყო, რომ ზნეობრივად შეიცვალა ხალხი. როცა მე ეს დავწერე, მართალია, ნასვამი ვიყავი (ხშირად მინევს ნასვამს წერა), მაგრამ გონება სრულიად საღი მქონდა, როდესაც ვწერდი უკანასკნელ სტრიქონებს. ჩემს ოჯახს ვემშვიდობებოდი. ეტყობა ჩემი შვილი მაკვირდებოდა და როდესაც ტუალეტში შევედი, რომ თავი მომეკლა, მას უცებ წაუკითხავს ჩემი ჩანაწერი და ტუალეტი წიხლით შემოანგრია. მე, სიმართლე გითხრათ, აღარ ვიცოდი, რა მექნა! ახლა ვაგრძელებ ჩემს ჩანაწერებს იქამდე, სანამ ჩემი გული გაუძლებს. როგორც ქრისტიანმა, თავი არ უნდა მოიკლა, მაგრამ ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ იქნება თვალები დავხუჭო და აღარ გავიღვიძო. **ზვიად გამსახურდიას აღსასრული ისევე ტანჯული აღმოჩნდა, როგორი ტანჯულიც იყო მთელი მისი ცხოვრება.** მანანა არჩვაძემ გროზნოდან შემოთვალა, რომ ექსპერტებს არ გაეკეთათ ზვიადის გვამი.

ჯაბა იოსელიანი ჟენევიდან დაბრუნდა. ოპოზიციამ დაგმო ხელშეკრულება, რომელიც დადო ჯაბა იოსელიანმა.

დღეს ედუარდ შევარდნაძე საფრანგეთში გაფრინდა.

25 იანვარი

საფრანგეთში საკმაოდ ბევრი და საინტერესო შეხვედრები იყო. ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს, ვაჭრობის ყოფილ მინისტრს როლანდ დიუმას, ბუტროს გალის, იუნესკოს თავმჯდომარეს და სხვ.

ამ დღეებში შიდა ქართლში პოლიციამ ჩაატარა ოპერაცია. გუშინ ჩატარდა ოპერაცია ე. წ. „გლდანის საძმოს" წინააღმდეგ, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ბანდიტური დაჯგუფება იყო. აშკარად დაიწყო დადებითი მოვლენები. პოლიციამ დაინახა, რომ პატრონი ჰყავთ, მათაც, ეტყობათ, ყელში ამოუვიდათ ყველაფერი. ძალზე ბევრი რეკეტიორი და მხედრიონელი საეჭვო ვითარებებში იღუპება. „მხედრიონი" აშკარად დაშინდა. ღმერთმა ქნას, ასე გაგრძელდეს! მაშინ მე პირველი დავუკრავ ტაშს ედუარდ შევარდნაძეს.

გუშინ დამირეკა პროფკავშირების თავმჯდომარე ედუარდ ჯულაბაშვილმა. ჩავედი მასთან. თურმე უნივერსიტეტის პროფკავშირების პრეზიდიუმის წევრი ვყოფილვარ, არც ვიცოდი. **უნივერსიტეტიდან „ზვიადისტების" გაძევების საკითხს იხილავდნენ, კერძოდ, უნდა ემსჯელათ ელიზბარ ჯაველიძის, ბიმურზა აფრასიძის, დოჭვირისა (სახელი არ მახსოვს)** და სხვების სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ*. თქვეს, რომ ოთხი თვეა ისინი არ დადიან სამსახურში, გამონერილი აქვთ ხელფასი და არ იღებენ. მათი საბუთები გადავამონმე, მათ განთავისუფლებაზე კათედრის გამგეებიც კი არ აწერდნენ ხელს. მივხვდი, რომ **არ უნდათ, აიღონ პასუხისმგებლობა და პროფკავშირების საშუალებით ცდილობენ მოიცილონ ზვიადის მომხრეები უნივერსიტეტიდან.** მე დიდი ჩხუბი ავტეხე, თუმცა უმეტეს მათგანს პირადად არ ვიცნობდი. მე განვაცხადე: **როდესაც ზვიად გამსახურდი-**

* ცხადია, ამას ითხოვდა ხელისუფლება.

ამ აიღო სამტრედია და აქ თბილისში ძალიან ბევრი კანკალებდა შიშისგან, მაშინ მე თანახმა ვიქნებოდი მათი სამსახურიდან გათავისუფლებაზე. როცა დაიღუპა ზვიად გამსახურდია, მაშინ გავაჟკაცდნენ ზოგიერთები და ზვიადისტებს სამსახურიდან ათავისუფლებენ. თუ ისინი ოთხი თვე არ დადიოდნენ სამსახურში, მაშინ რას აკეთებდნენ კათედრის გამგე და დეკანი? რატომ არ გაანთავისუფლეს ისინი ადრე? მე მოვითხოვე, რომ სხდომა გადაგვედო და მოგვეწვია კათედრის გამგეები. დღეს ედუარდმა მითხრა, რომ გუშინ დაუბარებია რექტორს და ძალიან გაბრაზებულა*, უკითხავს, ვინ არიანო პროფკავშირის პრეზიდიუმის წევრები? ედუარდს დაუსახელებია. რა თქმა უნდა, რექტორი მიხვდებოდა, რომ ჩემს გარდა არავინ გამოვიდოდა წინააღმდეგი. მარტო ელიზბარ ჯაველიძის და სხვების გამო კი არ ვიკლავ თავს, აქ ჩემი ღირსების საკითხი დგას. გავა წლები, მე ცოცხალი არ ვიქნები და ჩემ შვილებს შეიძლება უთხრან: მამაშენმა ხელი მოაწერა პროფესორ-მასწავლებლების უნივერსიტეტიდან გაძევებასო.

ვკითხულობ გაზეთ „კოლაჟს". დაბეჭდილია ინტერვიუ დიმა ჯაიანთან. მე მომყავს ადგილები მისი საუბრიდან, რომელსაც აბსოლუტურად ვეთანხმები: „საქართველოში უზარმაზარი მაფია მუშაობს. ამერიკაში ჯერ სახელმწიფო შეიქმნა და შემდეგ მაფია. საქართველოში ჯერ მაფია შეიქმნა და ახლა უნდათ სახელმწიფოს შექმნა. ასე არაფერი გამოვა. მე ვსაყვედურობ ხოლმე სახელმწიფოს მეთაურს, რომ მან ვერ შეადგინა ის გუნდი მის გვერდით რომ იდგებოდა. „მოქალაქეთა კავშირში" ბევრი კარგი ადამიანია, მაგრამ ბევრმა საკუთარი გამორჩენისთვის მოიყარა თავი იქ. თუ არ მოხდა მათგან განმენდა, კომპარტიაზე უარეს პარტიას მივიღებთ. ერთი კი ნამდვილად შემიძლია ვთქვა: ახალი კავშირის ლიდერი ვაჟკაცი კაცია. დღეს საქართველოში საოცარი ბოროტება ბოგინობს. უცნაური ხალხი ვართ საერთოდ. საშუალო არ გაგვაჩნია – ან გარეწრები ვართ, ან ძალიან კარგები.

28 იანვარი

გუშინ შედგა თსუ პროფკავშირების პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. ჩემი მოთხოვნით, მას დაესწრნენ კათედრის გამგეები და დეკანები, აგრეთვე კადრების განყოფილების გამგე პალადი ჯინჯოლავა. რამდენიმე კაცის საკითხი ადვილად გადაწყდა, რადგან ისინი, გაჭირვების გამო, ოჯახებით იყვნენ ნასულები რუსეთში სამუშაოდ.

დოჭვირის საქმეზე ხმა ვერ ამოვიღე, რაგან კათედრის გამგეს და დეკანს ყველა ღონე უხმარიათ: შეუტყობინებიათ, რომ გამოცხადებულიყო სამსახურში, მიუციათ საყვედური, უკანასკნელი საყვედური, დაბოლოს, ისეე დაკავშირებიან, რომ დაბრუნებულიყო სამსახურში, მაგრამ უარი უთქვამს. ასეთივე ზომები გაუტარებიათ ბიმურზა აფრასიძის მიმართაც, რის გამოც მისი დაცვაც არ მოხერხდა.

ბოლოს მოიტოვეს ყველაზე მთავარი – პროფესორ ელიზბარ ჯაველიძის საკითხი. საქმე ისაა, რომ წინა სხდომებზე მხოლოდ სექტემბრის თვის ბიულეტენი იყო წარმოდგენილი, არ იყო სამი თვის ბიულეტენი. რადგან წინა სხდომაზე მე არ მივეცი თანხმობა ელიზბარის განთავისუფლებაზე, მეორე დღეს მოიტანეს ელიზბარ ჯაველიძის სამი თვის ბიულეტენი. **მე ისეთი თვალით მიყურებდნენ, თითქოს ელიზბარი მე გავაფრთხილე და მოვატანინე ეს ბიულეტენები.** სხდომაზე აღნიშნეს, რომ ჯობდა წინა სხდომაზე გაგვეთავისუფლებინა ჯაველიძეო.

კათედრის გამგემ ნოდარ ჯანაშიამ თქვა, რომ ელიზბარ ჯაველიძის მიღებაზე მას საერთოდ ხელი არ მოუწერია, ისე მიიღო

* ჩემთვის აკად. როინ მეტრეველს არც შენიშვნა მოუცია და არც არაფერი უგრძნობინებია.

თვითონ რექტორმაო. პალადი ჯინჯოლავამ აღნიშნა, რომ ჯაველიძის ბიულეტენი არის 11 იანვრამდე, დღეს კი 27 იანვარია, ამიტომ გავათავისუფლოთო. იურისკონსულტმა აღნიშნა, რომ იურიდიულად მის განთავისუფლებისთვის ყველა საბუთი არსებობს, წარმოდგენილია ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი. ამის შემდეგ საკითხი დააყენეს კენჭისყრაზე. შვიდმა კაცმა ხმა მისცა ელიზბარ ჯაველიძის განთავისუფლებას. მე და გეოგრაფმა თენგიზ ჯანჯღავამ თავი შევიკავეთ. მე მოვითხოვე სიტყვა და ვითხოვე ჩემი სიტყვა ოქმში შეეტანათ. **მე აღვნიშნე, რომ ელიზბარ ჯაველიძეს ცხოვრებაში შევხვედრივარ მხოლოდ ერთხელ. თუ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ ელიზბარ ჯაველიძეს ყველა კანონის დაცვით ეკუთვნის უნივერსიტეტიდან განთავისუფლება, ეს გაფორმდეს ოქმში. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მე არაკაცურად მიმაჩნია დღეს ამის გაკეთება, რადგან ყველამ იცოდა, რომ პროფესორი ელიზბარ ჯაველიძე ადრეც არ დადიოდა სამსახურში. თუ უნდოდათ, მაშინ გაენთავისუფლებინათ, როდესაც ზვიად გამსახურდიამ სამტრედია აიღო, მაგრამ ვერ გაბედეს. მაშინ მეც თანახმა ვიქნებოდი და ეს ვაჟკაცურიც იქნებოდა. ახლა, როდესაც გაიგეს, რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალი აღარ არის და მისი მომხრეების გამარჯვების შანსი აღარ არის, ყველა გავაჟკაცდა. მე დამარცხებულ კაცს წიხლს ვერ დავაჭერ.** ვიმეორებ, რომ ელიზბარ ჯაველიძეს ცხოვრებაში შევხვედრივარ მხოლოდ ერთხელ. ამიტომ ვიკავებ თავს. ამით დამთავრდა სხდომა. ალბათ, რექტორს ამბავს მიუტანენ, მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. **ამ ცხოვრებაში ღირსებისა და კაცობის მეტი არაფერი დამრჩა და ამის წართმევაც უნდათ.** მთელი უნივერსიტეტი დღეს ჩემზე ლაპარაკობდა, რომ მე „ზვიადისტებს“ ვიცავ. რა პრიმიტიული გახდა უმრავლესობა!

დღეს გამოაცხადეს, რომ რუსთავში საპარიკმახეროში ააფეთქეს რუსთავის „საძმოს“ მეთაური თემურ ტალახაძე. ეს ცნობილი პიროვნებაა. ის გამოიყენეს ზვიადის წინააღმდეგ.

30 იანვარი

დღეს გადაცემაში „საღამო მშვიდობისა“ გადაიცა ინტერვიუ ვალტერ შურღაიასთან. ჯერ აჩვენეს მისი გამოსვლა 1992 წლის 30 ივნისს. მან აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც მიტინგზე გამოვდიოდი, გულწრფელი ვიყავიო. 24 ივნისის შემდეგ მე არცერთ სამხედრო ოპერაციაში, ასევე არც პოლიტიკურ საქმეებში არ ვმონაწილეობდიო.

ნ. ჯაფარიძე: რატომ აღგიდგინეს დეპუტატობა?

ვ. შურღაია: როცა მე აღმადგინეს ზუგდიდში, მაშინ ზვიად გამსახურდია არ იყო ზუგდიდში.

ნ. ჯაფარიძე: რა იცით ზვიადის სიკვდილის შესახებ?

ვ. შურღაია: მე მხოლოდ ეჭვი მაქვს, რომ თავს არ მოიკლავდა.

შემდეგ გადაიცა ინტერვიუ ზაურ ქობალიასთან.

ნ. ჯაფარიძე: თქვენ იყავით უზენაეს საბჭოში ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარე.

ზ. ქობალია: ჩემს კომპეტენციაში შედიოდა პოლიტიკური საკითხები, მიტინგების მოწყობა და ა. შ.

ნ. ჯაფარიძე: თქვენ თვლით, რომ დამნაშავე არა ხართ?

ვ. შურღაია: განსხვავებული აზრის გამო თუ აპატიმრებენ, კი ბატონო.

ნ. ჯაფარიძე: ვინ აფეთქებდა ხიდებს?

ვ. შურღაია: ჩვენთვის უცნობია.

ნ. ჯაფარიძე: გია გულუა რომ დააპატიმრეს?

ვ. შურღაია: ჩვენ ვგმობდით.

ნ. ჯაფარიძე: იარაღი საიდან გქონდათ?

ვ. შურღაია: ვახტანგს მოლაპარაკება ჰქონდა კიტოვანთან, ჩამოდიოდა დათუაშვილი.

კორესპონდენტი კაცი: – იცით, რომ ქობალიას ხალხმა დახვრიტა, მაგალითად, ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე?

ზ. ქობალია: ჩემთვის უცნობია.

ნ. ჯაფარიძე: თქვენ მთავარი მონინააღმდეგე იყავით, რომ სამეგრელოდან წასულიყვნენ მოხალისეები აფხაზეთში.

(აჩვენეს კადრები, როდესაც გოგა ხაინდრავა ჩასული იყო ზუგდიდში და ესაუბრებოდა ზაურ ქობალიას).

ნ. ჯაფარიძე: რა იცით გამსახურდიას სიკვდილის შესახებ?

ზ. ქობალია: მე მხოლოდ საინფორმაციო საშუალებიდან გავიგე.

აჩვენეს ჯოხარ დუდაევის გამოსვლა, რომელმაც ძალიან აქო ზვიად გამსახურდია. მან აღნიშნა, რომ ესმოდა, რასაც ქართველი ხალხი განიცდიდა, იმის გამო, რომ მისი პირველი პრეზიდენტი უნდა დასაფლავებულიყო ჩეჩნეთში.

ინტერვიუ **მურმან ომანიძესთან.**

მამუკა არეშიძე: ბატონო მურმან, რატომ არიდებთ თავს ჟურნალისტებს?

მ. ომანიძე: იმიტომ, რომ ჟურნალისტები ყოველთვის კვეცავენ ინტერვიუებს.

მ. არეშიძე: ბატონი ასლანი ამბობდა, რომ მეკითხებოდნენ საიდან ხარო და როცა ეპასუხობდი, მეუბნებოდნენ: შევარდნაძის ქვეყნიდანო?

მ. ომანიძე: მართალია, მეც ასეთი ამბავი შემემთხვა ფილიპინებზე.

მ. არეშიძე: თქვენთვის თბილისი რა არის?

მ. ომანიძე: გულის ნანილი.

მ. არეშიძე: ბატონო მურმან, შვილიშვილი რომ შეგეკითხოთ, რა გააკეთეთ თბილისისთვისო?

მ. ომანიძე: მე გავაკეთე, რაც შემეძლო და კიდევ მინდა, მაგრამ არ მაკეთებინებენ.

აბსოლუტურად სწორია მურმან ომანიძე. მან 600 ათასი დოლარი აჩუქა საქართველოს მაშინ, როდესაც ახლა უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები გადასულნი არიან იმაზე, რამდენი წაგლიჯონ ქვეყანას.

1 თებერვალი

დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ განიხილა აფხაზეთის საკითხი. გაეროს დამკვირვებლებს 7 მარტამდე გაუგრძელეს ვადა, რათა ისინი დარჩნენ კონფლიქტის ზონაში. უშიშროების საბჭომ მოუნოდა ორივე მხარეს, განაგრძონ მოლაპარაკება აფხაზეთის სტატუსის შესახებ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საფუძველზე. უშიშროების საბჭოს არ განუხილავს საკითხი რუსების ჯარებისთვის სამშვიდობო ძალების სტატუსის მინიჭების შესახებ. ხვალ, ერთი დღით ადრე ბორის ელცინამდე, ჩამოდის გრაჩოვი. დღეს „ნოვოსტიმ" გადმოსცა ცნობა, რომ **გადადგა თავდაცვის მინისტრი** გია ყარყარაშვილი, მიზეზები ცნობილი არ არის. საქართველოს ტელევიზია არაფერს გადმოსცემს. თუ ეს მართალია, და ალბათ მართალია, ეს დაკავშირებულია გრაჩოვის ჩამოსვლასთან. საქმე ისაა, რომ გია აღარ ჭირდებათ. ის გამოიყენეს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, ახლა კი ჭირდებათ მორჩილი გენერალი, რომელსაც, რასაც ეტყვიან, იმაზე მოაწერს ხელს. მე, პირადად დიდ პატივს ვცემ გიას, მის ვაჟკაცობას, ალალ-მართლობას. ის მხოლოდ 27 წლის არის, მისი დრო კიდევ მოვა. ვიმეორებ: ახალმა თაობამ საბოლოოდ უნდა გადაარჩინოს საქართველო. გოგუაძეს, ფაცაციას, მარგიანს, რომლებიც დღეს მთავრობაში არიან, არ შეუძლიათ საქართველოს გადარჩენა.

3 თებერვალი

დილით გადმოსცემენ ბორის ელცინის ჩამოსვლას თბილისში.

გუშინ „ნოვოსტიმ“ გადმოსცა, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ერთსულოვნად მოითხოვა, რომ ბორის ელცინი არ ჩავიდეს საქართველოში და თუ ჩავა ხელი არ მოაწეროს საქართველოსთან ხელშეკრულებას. საქმე ის გახლდათ, რომ აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ და „სამხრეთ ოსეთის“ უმაღლესმა საბჭოებმა მიმართვა გაუგზავნეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს.

„ნოვოსტიმ“ გადმოსცა ბორის ელცინის სიტყვები თბილისში გამოფრენის წინ. მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ, მაგრამ რატიფიკაციას არ მოვახდენთ, ვიდრე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემა არ გადაწყდებაო. შუქი გამოირთო და ველარ ვუყურებ ტელევიზორს, შემდეგ განვაგრძობ.

საღამოს შუქი ჩაირთო. ბორის ელცინს ჩამოყვნენ თბილისში: ანდრეი კოზირევი, პავლე გრაჩოვი, მოსკოვის და პეტერბურგის მერები – იური ლუჟკოვი და ანდრეი სობჩაკი, ჩერნომირდინის პირველი მოადგილე სოსკოვეცი.

ანდრეი კოზირევმა აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება სტიმული უნდა იყოს რატიფიკაციამდე. შემდეგ გამოვიდნენ გურამ ნიკოლაიშვილი და პაატა დათუაშვილი, გრაჩოვმა თქვა, რომ ვსაუბრობდით რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ, რომელთაც მანდატი არ გააჩნიათო.

16 საათისთვის ბორის ელცინი ენვია უწმინდეს და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს.

ბორის ელცინმა და ედუარდ შევარდნაძემ პრესკონფერენცია ჩაატარეს. შემდეგ ისინი ნავიდნენ მეცნიერებათა აკადემიაში. პრესკონფერენციაზე ბორის ელცინმა განაცხადა: „ჩვენი ხალხი ერთი ბედით არის დაკავშირებული, ჩვენი ურთიერთობა მტკიცეა. რუსები იცნობენ ილია ჭავჭავაძეს, ჩვენ მოვაწერეთ ხელი ორ ქვეყანას შორის „მეგობრობისა და თანამშრომლობის“ ხელშეკრულებას, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ... უნდა აღვადგინოთ ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობანი. რუსეთი მზად არის დაეხმაროს ლტოლვილებს. ჩვენ მივმართეთ გაეროს და რუსეთის არმია მზად არის მონაწილეობა მიიღოს ლტოლვილების დაბრუნებაშიო.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: ეს ხელშეკრულებანი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ერთიერთობის განვითარებას. განვიხილეთ სამხედრო საკითხებიც, ჩვენ შევთანხმდით ბაზურ სისტემაზე, მოვაწერეთ ხელი პროტოკოლს, რომ გადავიდეთ ამ სისტემაზე. მთავარი საკითხი არის აფხაზეთი. განვიხილეთ „სამხრეთ ოსეთის“ საკითხი, მე ვუთხარი, რომ მიზეზები არ არსებობს, რომ ეს საკითხები არ გადავწყვიტოთ.

მოსკოველი კორ.: რას იტყოდით საქართველოსთვის კრედიტების გამოყოფაზე და საქართველოსსამანეთო ზონაში შესვლის შესახებ?

ბორის ელცინმა უპასუხა, რომ კრედიტების საკითხი გადაწყდა მთავრობების დონეზე, რაც შეეხება სამანეთო ზონას, შევთანხმდით, რომ ეს ძნელი საკითხია და რომ უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს, რათა არცერთი მხარე ამით არ დაზარალდეს.

„იბერვიზია“: რატომ უყურებს რუსეთის სათათბირო ასე უარყოფითად ამ ხელშეკრულებას?

ბ. ელცინი: სახელმწიფო სათათბიროში ამის შესახებ მიდის დისკუსიები, მე იმედი მაქვს, რომ სათათბირო პოზიტიური იქნება ამ საკითხის მიმართ.

„ინტერფაქსი“: როგორ შეუწყობს ხელს ეს ხელშეკრულება მშვიდობას მთელ კავკასიაში?

ბ. ელცინი: თუ არ დავარეგულირეთ აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ საკითხები, ძნელი იქნება შემდგომი ურთიერთობანი.

აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლებმა იმუშაონ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (შეიძლება ბოლო ფრაზა ზუსტად ვერ ჩავწერე – მ. ვ.).

ედუარდ შევარდნაძე: მე ვეთანხმები ელცინს. საქართველო ყველაზე მეტად არის დაინტერესებული ამ საკითხის გადაწყვეტით.

„საქინფორმი“: როგორ აფასებენ უშიშროების საბჭოს რეზოლუციას?

ბ. ელცინი: რეზოლუცია შეესაბამება როგორც აფხაზეთის და საქართველოს, აგრეთვე რუსეთის ინტერესებს.

მედვედევი („ოსტანკინოს“ ტელევიზიიდან): აფხაზეთი შეშფოთებულია, რომ რუსები არ დაეხმარონ საქართველოს არმიას.

ბ. ელცინი: დახმარება არის მინიმალური, ჯარის ნაწილების რაოდენობაც, ეს არც დღეს ხდება და არც ხვალ იმისდამიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, კონტროლს გავუწევთ. ეს არმია არის საქართველოსი, ე. ი. აფხაზებისაც და „სამხრეთ ოსეთისაც“.

კორესპონდენტი **ბახტაძე**: რას იტყვით, საქართველომ ხომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ახლა კი დათმობებზე მიდის?

ედუარდ შევარდნაძე: კომპრომისების გარეშე არ შეიძლება. დღეს თბილისში, საკუთარ სახლში, ნიკოლოზ აზიზბეკოვის 17-ში ააფეთქეს სამხედრო მინისტრის მოადგილე ნიკუშა კეკელიძე. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ რამდენიმე ათეული სახლი დაზიანდა. აფეთქების მეორე ვარიანტიც იყო, როდესაც იქ მივიდა ხალხი, 12 საათსა და 50 წუთზე, მეორე ბომბი აფეთქდა. მცირე კონტუზია მიიღო გია ყარყარაშვილმა. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, რომ მასთან ერთად დაიღუპა ვიკა პირტახია, ჩემი კარგი ნაცნობის და კარგი კაცის, რომან პირტახიას ქალიშვილი.

5 თებერვალი

ხელშეკრულების ტექსტი არ გამოქვეყნებულა, ამიტომ მიჭირს საუბარი.

დღეს „ივერია-ექსპრესში“ არის **ირაკლი ბათიაშვილის ძალზე საინტერესო წერილი „მანკიერი წრე“**. გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში. აღმოჩნდა, რომ აფხაზეთში შესვლამდე, 1992 წლის აგვისტოს, თუ არ ვცდები, 12-ში თუ 13-ში ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით შეკრებილან ძალისმიერი სამინისტროების ხელმძღვანელები, პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო საბჭო, სადაც უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აფხაზეთში შესვლას. **გია ყარყარაშვილისთვის წინა დღეს უთქვამთ, რომ აფხაზეთში შედიოდნენ, რაც შეეხება შტაბის უფროსს ცქიტიშვილს, მას ყოველივე მეგობრებისგან შეუტყვია.**

ამ სტატიაში არის ეროვნული მოძრაობის ისტორია და ამდენად ძალიან საინტერესოა.

7 თებერვალი

საღამოს 9 საათზე „ნოვოსტიმ“ გადმოსცა, რომ საქართველოს და ჩეჩნეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ექსპერტიზის გარეშე გადაასვენებენ ზვიად გამსახურდიას ჩეჩნეთში.

9 თებერვალი

დღეს გაგრძელებაა ირაკლი ბათიაშვილის სტატიისა — „მანკიერების წრე“. ირაკლი სწორად ამბობს, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებიდან დაიწყო კრიმინალური ელემენტების გაბატონება. ის აღიარებს თავის შეცდომას და თვლის, რომ არ უნდა წასულიყო ზვიადის

წინააღმდეგ. სამწუხაროდ, მეც ვერ გავაცნობიერე ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ, თუ რა საშიში ძალა მოვიდოდა.

სტატიის ბოლოს ირაკლი სწორად შენიშნავს, რომ წესრიგის დამყარება უნდა დაიწყოს „ზევითაც", რადგან, როდესაც მოქალაქე ხედავს, რომ სახელმწიფოს ყაჩაღები განაგებენ, იგი მთლიანად გულაცრუებულია ან პოტენციური ყაჩაღია. კრიმინალური ხელისუფლება თავად არის ქვეყანაში საყოველთაო დანაშაულებრივი სიტუაციის გამეფების მიზეზი. ჩვენ გვჭირდება ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც თავად გათავისუფლებულია კრიმინალურ-მაფიოზური ჭუჭყისგან, ქვეყანაში დაამყარებს წესრიგს, პასუხისმგებლობას და დისციპლინის ატმოსფეროს, რომელიც არ იქნება შიდა ქართული სამკვდრო-სასიცოცხლო კონფრონტაციის ობიექტი.

11 თებერვალი

დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ედუარდ შევარდნაძე და გია ყარყარაშვილი. საუბარი ერთ საათს გაგრძელდა. მერე გიამ პრესკონფერენცია გამართა და ძალიან კაცურად და ვაუკაცურად თქვა, რომ, როცა რუსები აპირებდნენ შემოსვლას სოხუმში, მე წინააღმდეგი წავედი და გარკვეული ბრალი მიმიძღვის 250 ათასი ლტოლვილის წინაშეო. ეს ვაუკაცური სიტყვა იყო და გიამ არ გადაბრალა ედუარდ შევარდნაძეს, მით უმეტეს, რომ მარტო მას არ მიუღია ეს გადაწყვეტილება. გიამ განაცხადა, რომ აპირებს სასწავლებლად წასვლას. ალბათ, სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ამ მთავრობაში გიას ადგილი არ არის, ის მომავლის კაცია, როცა მოვა ახალი თაობა, რომელიც მართლა გადაარჩენს საქართველოს. გია სულ 26 წლის არის, ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ის იქნება ბრწყინვალე გენერალი, რომელსაც ისურვებდნენ მსოფლიოს საუკეთესო არმიები. თუ ცოცხალი დავრჩი, კიდევ ვნახავ გიას თავის თანამდებობაზე. თუ ეს ასე არ მოხდა, მინდა ჩემმა შვილებმა გადასცენ გიას, რომ მე მას დიდ პატივს ვცემდი, თუ არადა მინდა, როცა ჩემი შვილები წაიკითხავენ ჩემს ჩანაწერებს გიას გადასცენ, რომ მე დიდ პატივს ვცემდი მას და მის დაღუპულ ძმას – გოჩას.

15 თებერვალი

თბილისი მკვდარ ქალაქს დაემსგავდა. აცივდა, თოვლი მოდის. ხალხი ძირითადად ფეხით თუ დადის, რადგან ტროლეიბუსი და ავტობუსი საერთოდ არ მოძრაობს. შუქი გრაფიკითაა, დილის 6 საათიდან 8 საათამდე და ღამის 10 საათიდან 12 საათამდე. გათბობაზე და ცხელ წყალზე ფიქრსაც დიდი ხანია თავი დავანებეთ. ძირითადად შინ ვართ, ლოგინში ვწევართ, რომ არ გავიყინოთ. უნივერსიტეტში რამდენიმე საათით მივდივარ. იქ საერთოდ საყინულეა. რომ არ გავიყინოთ, დერეფანში დავდივართ ჩქარი ნაბიჯებით. სკოლებში სწავლა შეწყდა.

7 თებერვლიდან აფხაზებმა შემოუტიეს გალის სოფლებს. გამოჩნდა დევნილების ახალი ნაკადი, რომლებიც თოვლში გადადიან წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში. გზაში ხალხი იღუპება. **სიკვდილი აღარაფერს ნიშნავს, გულებიც გაგვეყინა და გაგვიქვავდა.** საქართველო კატასტროფის წინაშეა. თუ ასე გაგრძელდა, დავიღუპებით. შევარდნაძემ გუშინ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ, თუ გაერო დროზე არ მიიღებს ზომებს, მაშინ საქართველო იძულებული იქნება რუსეთს მისცეს სამშვიდობო სტატუსი, რადგან მოვლენები უმართავი გახდება. დაიწყება სისხლისღვრა, რომლის შეჩერებაც შეუძლებელი იქნება. აფხაზები უკვე მოითხოვენ, რომ რუსეთის ჯარები განლაგდნენ მხოლოდ მდინარე ენგურთან და არა მთელ აფხაზეთში, რაც ნიშნავს იმას,

რომ ვერცერთი დეენილი ველარ შევა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

18 თებერვალი

გუშინ, ღამით აჩვენეს, თუ როგორ გახსნეს ზვიად გამსახურდიას კუბო. მას ეცვა შავი კოსტიუმი. გული შემიწუხდა, ძალიან შემეცოდა. მისი ცხოვრება წამება იყო და წამებითვე დამთავრდა. არ ელირსა დასაფლავება მამის გვერდით. მოვა დრო და ზვიადს გადმოასვენებენ თბილისში და პატივს მიაგებენ, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს.

ხელისუფლებას დიდი სურვილი აქვს, რომ მთელი ტრაგედია, რაც საქართველოში დატრიალდა, ზვიად გამსახურდიას დააბრალოს და თვითონ ანგელოზები გამოვიდნენ. ავინყდებათ, რომ გავა დრო და ისტორია ყველას მიუჩენს თავის ადგილს...

24 თებერვალი

დღეს ჩეჩნეთში აღინიშნა ჩეჩენი და ინგუში ხალხების დეპორტაციის 50 ნლისთავი. პრეზიდენტმა ჰოჯარ დუდაევმა გროზნოში ჩაატარა სამხედრო აღლუმი. ამავე დღეს გროზნოში დიდი პატივით დაასაფლავეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ზვიად გამსახურდიას წესი აუგეს **მეუფე ამბროსიმ** (ქათამაძემ) და **მღვდელმა კონსტანტინემ** (კოღუაშვილმა). მეუფე ამბროსის ეკუთვნის შესანიშნავი სიტყვები: **„ზვიად გამსახურდია იყო უგვირგვინო მეფე, უანაფორო მოძღვარი და სნორუპოვარი რაინდი“.**

(პირველი წიგნის დასასრული)

პირთა საძიებელი

ა

აბაკელია ვაჟა 97
აბალაკი გივი 136
აბაშიძე ასლან 111, 119, 142, 155, 158-160, 175-177, 196, 200, 205, 219
აბაშიძე ირაკლი 85
აბსანძე გურამ 67, 203
ადამია ვაჟა 23, 57, 59-61, 64, 65, 69, 83, 117, 118, 122, 136, 138, 143, 152, 154
ადამია რეზო 136
ადვაძე ვალერიან 51, 56, 136, 137, 194
ავალიშვილი გია 163
ავსაჯანიშვილი ეთერ 35
ალასანია მამია 127, 183
ალექსიძე 31
ალექსიძე გოგი 33
ალექსიძე ზაზა 186
ალექსიძე ლევან 33, 49, 53, 57, 105, 130, 131, 142, 144
ალიევი ჰეიდარ 180, 189, 190
ამაღლობელი არჩილ 132
ამაღლობელი ნოდარ 31, 45, 53, 57, 132
ამაშუკელი რეზო 192, 196, 202
ამბროსი, მეუფე (ქათამაძე) 223
ამირეჯიბი ირაკლი 140
ამირეჯიბი ჭაბუა 83, 84, 86, 133, 140, 166
ანდრიაძე ზურაბ 136
ანდრიაძე ირაკლი 109
ანთაძე კოტე 32
ანქვაბი ალექსანდრე 123
ანჯაფარიძე რომიკო 189
არეშიძე მამუკა 183, 184, 219
არველაძე (მინისტრი) 141
არველაძე გიგა 126
არაშიძე გურამ 31
არჩვაძე-გამსახურდია მანანა 88, 90, 109, 215, 216
არძინბა ვლადისლავ 17, 88, 91, 96, 99, 102, 123, 127-129, 137, 166, 173, 182
ასათიანი აკაკი 54, 58, 62, 65, 70, 75, 79, 83, 95, 103, 104, 142, 152, 154, 164, 170
ასათიანი ვალერი 37
აფაქიძე ანდრო 45, 88
აფაქიძე მერაბ 131
აფრასიძე ბიმურზა 216, 217
აფრიდონიძე შუქია 166
აფციაური დათო 149
აფციაური შმაგი 109
აფციაური ჯემალ 145, 156, 157
ახვლედიანი ზურიკო 70

ბ

ბაბლუანი თემურ 79
ბაბუნაშვილი გია 33
ბადრიძე შოთა 39
ბათიაშვილი ირაკლი 59, 107, 108, 127, 143, 144, 149, 157, 165, 180, 186, 190, 221, 222
ბაკურია ცოტნე 117
ბარამიძე გიორგი 144
ბარდაველიძე ბეჟან 53
ბასილია თემურ 136, 139, 154
ბაქრაძე აკაკი 8, 12, 32-34, 39, 41, 50, 51, 60, 77, 78, 82, 141, 146, 155, 172, 174
ბალაფში სერგეი 123
ბახია გოჩა 107, 109, 111
ბახტაძე (კორესპონდენტი) 221
ბახტაძე დემურ 40
ბეიკერი ჯეიმს 66, 91, 96, 98, 99, 121
ბეპაევი 128
ბერაძე მერაბ 81
ბერიტაშვილი 53
ბერიძე ალექსანდრე 142
ბერიძე ვახტანგ 88
ბერიძე რუსუდან 133
ბერულავა გია 37-39, 45
ბერულავა ხუტა 83
ბერძენიშვილი დავით 62, 80, 133, 134, 143, 166, 176
ბლიაძე ნოდარ 35
ბობოხიძე აკაკი 165
ბოკუჩავა 203
ბოლქვაძე დავით 219
ბონერი ელენე 157
ბოცვაძე ზანდი 156
ბოჭორიშვილი ალექსანდრე 101
ბრუნერი ედუარდ 193
ბუაჩიძე თენგიზ 135
ბურკაძე (დეპუტატი) 63
ბურჭულაძე ეოვა 149
ბურჭულაძე ნემო 64, 67, 81

ბუში ჯორჯ 37, 111, 114
ბუცხრიკიძე ელგუჯა 176

გ

გაბაშვილი კოტე 39, 133, 136, 138, 141, 163, 168, 179, 180, 193
გაბელაია ვალერი 137
გაზდელიანი თენგიზ 136, 138
გალაზოვი 121, 132
გალი ბუტროს 216
გამახარია ჯემალ 135
გამსახურდია ზვიად 8, 10, 11, 13-15, 21, 23, 26-28, 36, 39, 49-52, 54, 56-62, 64-66, 68-71, 75-77, 79, 80, 82-92, 94-115, 117-119, 121, 123-128, 131-133, 135, 137, 142, 144, 151-153, 157-159, 163, 169-171, 177, 182, 183, 185-188, 190-192, 194-198, 202, 203, 207, 209, 213-219, 221-223
გამსახურდია კონსტანტინე 107
გამყრელიძე თამაზ 34, 35, 37, 38, 53, 57, 135-137
გამყრელიძე ოთარ 34
გელანტია ტარიელ 81, 85, 180, 203
გელაშვილი ნაირა 123, 215
გელბახიანი პეტრე 160
გელოვანი გიზო 141
გელოვანი ირაკლი 160
გენშერი ჰანს დიტრიხ 117, 184
გვასალია ომარ 79
გვენცაძე რომან 81, 107, 117, 121, 124, 127, 138
გვიმრაძე თემურ 58, 146
გიგაური (აკადემიკოსი) 141
გიგინეიშვილი მანანა 77
გიორგაძე იგორ 190, 207, 208
გიორგაძე მამუკა 49, 133, 134, 136, 142, 164, 166
გიორგაძე ნოდარ 62, 70, 71, 80, 82, 134, 136, 138
გიორგაძე პანტელეიმონ 136
გიორგობიანი ბიძინა 66
გოგელია არჩილ 105
გოგია ზურაბ 136
გოგიაშვილი მანანა 39
გოგიაშვილი ომარ 39
გოგოლაძე ლერი 189
გოგოლიშვილი ვახტანგ 205
გოგუაძე ემზარ 49
გოგუაძე ვარლამ 33
გოგუაძე ვახტანგ 31-34, 36, 39, 45, 46, 109, 127, 131-135, 141, 154, 160, 161, 165, 168, 173, 174, 176, 179, 180, 215, 219
გოდერძიშვილი გელა 128, 135, 143
გოლეთიანი ჯემალ 82
გორბაჩოვი მიხეილ 5, 8, 9, 23, 24, 25, 37, 38, 41, 53-55, 69, 87, 93, 171
გოშაძე (ფილოლოგი) 35
გოცირიძე ვასილ 135
გოცირიძე რომან 61, 62, 64, 83, 140, 168
გრაჩოვი პავლე 155, 159, 160, 167, 179, 181, 195, 219, 220
გრომოვი ბორის 168
გუგუშვილი ბესარიონ 50, 63-66, 75-79, 153, 176
გულუა ბაკურ 76, 97
გულუა გია 197, 218
გუმბარიძე გივი 10, 45, 50
გურგენიძე მიხეილ 141

დ

დადიანი 117
დაველაძე (ისტორიკოსი სტუდენტი) 32
დათუაშვილი პაატა 219, 220
დანგაძე ბიძინა 124
დანელია კორნელი 40, 51
დარასელი ზაზა 124
დარჩიაშვილი დათო 36
დემეტრაძე გოგი 39
დვალი თამაზ 38, 69
დვალიშვილი დემურ 141, 168
დვალიშვილი მალხაზ 136
დიასამიძე 81, 83, 142
დიხამინჯია 58, 107
დოლიძე (ფიზიკოსი) 81
დოლიძე როსტომ 119, 136
დოლიძე ქეთი 79
დომუხოვსკი ვიქტორ
დოჭვირი 216
დუბჩეკლი ალექსანდრე 111
დუდაევი ჯოჰარ 89, 98, 99, 104, 106, 108, 112, 135, 155, 172, 206, 219, 223
დუმბაძე ნოდარ 94
დუნაევი 187

ე

ებანოიძე გულიკო 33, 191
ეგაძე ოთარ 39, 98
ელბაქიძე 174
ელიავა აკაკი 174, 175, 205
ელჩიბეი აბულფას 188, 190
ელცინი ბორის 23-25, 37, 53, 55, 57, 86, 87, 93, 94, 96, 97, 108, 112(სქ.), 113, 117, 120, 123, 124, 127-129, 132, 133, 153, 156, 157, 159, 161, 167, 171, 172, 179-181, 183, 186, 187, 189, 190, 219, 220
ენუქიძე გურამ 45
ეპიტაშვილი თენგიზ 68, 69, 80, 97
ერქვანია ზურაბ 204
ეფიმოვი 10

ვ

ვალენსა ლეხ 4
ვარდანიანი 76
ვაშაკიძე გიორგი 176, 188
ვაშაკიძე ვალერი 136, 141
ვაჩნაძე თამაზ 55, 61, 117, 208
ვაჩნაძე მერაბ 36, 45, 92
ვეფხვაძე ზაზა 50, 207

ზ

ზანკალიანი მურთაზ 136
ზარანდია გოჩა 198
ზაქაიძე (თბილისის მოქალაქე) 52
ზეიკიძე დავით 169, 178, 206, 214
ზოიძე ოთარ 119

თ

თაბუკაშვილი ლაშა 78
თაბუკაშვილი რეზო 38, 39, 84
თავყელიშვილი ზურა 84, 149, 179
თედიაშვილი ლევან 182
თევზაძე გურამ 31, 34, 141
თევზაძე დავით 197
თითმერია ლევან 31, 34
თირქია ლელი 135

ი

იაზოვი დიმიტრი 38, 41
იაკოვლევი 57
იარუზელსკი ვოიცეხ 4
ილია II (სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი) 18, 46, 117, 178, 220
იმნაძე ავთანდილ 61, 64, 65
ინჯია ფრიდონ 141
იოსელიანი ავთანდილ 149
იოსელიანი არჩილ 136
იოსელიანი შატო 81
იოსელიანი ჯაბა 23, 27, 50-52, 70, 75, 82, 83, 86, 90, 91, 93, 97, 98, 100-102, 105-109, 119, 121-124, 126, 127, 131, 142, 144, 160, 163, 164, 166-168, 173-176, 178, 179, 185, 191, 193, 204, 207, 216
ირემაძე აკაკი 113
ისაკაძე თედო 7, 46, 50

კ

კავსაძე ალექსანდრე 60, 86, 117, 121, 193, 204
კაკაბაძე ირაკლი 46
კაკუბავა ბორის 96, 135, 140, 145, 146, 151
კაკუბავა ზაზა 140
კაკულია ნოდარ 137-139
კაკულია რეზო 60
კალანდია გენო 165-197
კამკამიძე 140, 150
კანდელაკი ვალიკო 81
კაპანაძე კოტე 208
კარანაძე 94
კარტერი ჯიმი 95
კახიანი ზაალ 83
კახნიაშვილი ჯემალ 40
კეკელია შალვა 134
კეკელიძე ნიკუშა 221
კელენჯერიძე გოჩა 117
კერვალიშვილი ზურაბ 141
კვანტალიანი თემური 49, 97, 105, 192
კვანტალიანი გივი 70,
კვანჭილაშვილი მალხაზ 58
კვანჭილაშვილი ტარიელ 46, 53
კვარაცხელია ვალერი 75, 76, 93, 94, 95, 101-104, 110, 113, 114, 119-121, 124, 125, 129, 130, 166

კვასხვაძე ზევახ 31, 50
კვაჭანტირაძე თამაზ 56, 152
კვესიტაძე გიორგი 141
კვირაია შოთა 190
კვირიკაძე ირაკლი 31
კვიტაიშვილი მერაბ 80
კიკაბიძე ვახტანგ 76
კიკალეიშვილი მამუკა 79
კიკაჩეიშვილი თენგიზ 118, 130
კიკაჩეიშვილი რატი 130
კიკნაძე ზურაბ 31, 34, 35, 36, 45
კიკნაძე მერაბ 81, 94, 107
კიტოვანი თენგიზ 23, 27, 57, 60, 63, 68-70, 75-77, 82, 83, 86, 87, 89, 91, 100, 101, 105-107, 109, 111, 112, 121, 123, 124, 127, 128, 131, 138, 140, 142, 144, 149, 150, 153, 155, 156, 159-165, 167, 170, 173-175, 180, 184, 193, 215, 219
კობალაძე კობა 185, 186
კობახიძე ალექსი 136
კობახიძე გიორგი 133, 143, 201
კობერიძე ემზარ 128
კოზირევი ანდრეი 112, 116, 125, 131, 168, 171, 190, 191, 194, 220
კოლი ჰელმუთ 5
კონდრატიევი 123
კონსტანტინე, მღვდელი (კოლუაშვილი) 223
კონსტანტინოვი ვლადიმერ 158
კოპალეიშვილი თეიმურაზ 34
კოპალიანი ემილ 31, 33, 34, 36, 68
კოპალიანი ზურაბ 90
კოპალიანი ჯუმბერ 50
კოსტავა მერაბ 7, 8, 11, 36, 37, 39, 40, 51, 59, 64, 65, 79, 82, 100, 131
კოლუაშვილი პაატა 124, 136, 176
კოჩეტკოვი 9
კრავჩუკი ლეონიდ 25, 161, 199
კრეცი ეგორ 6
კუპრეიშვილი 154
კუპრეიშვილი დავით 176

ლ

ლაბაძე მანანა 189
ლაბახუა ზურაბ 166
ლადო ბახტრიონელი 52
ლაკია გურამ 201
ლანჩავა გელა 92, 118, 199
ლაპიაშვილი გოგი 36
ლეთოდიანი დიმიტრი 163, 189
ლეკიშვილი ნიკო 136, 138
ლეჟავა თემურ 49
ლიგაჩოვი ეგორ 41
ლითანიშვილი ოთარ 76
ლიპარტელიანი როინ 136
ლობჟანიძე გივი 136
ლომინაძე გივი 119, 123, 136, 138, 143
ლომოური ნოდარ 69, 76, 110, 152, 162, 192, 196
ლორთქიფანიძე გიგა 77, 88, 110, 134, 135, 138, 152
ლორთქიფანიძე გოგი 61
ლორთქიფანიძე გურამ 34, 49, 163
ლორთქიფანიძე ვიქტორ 136
ლორთქიფანიძე მარიკა 34-36, 58, 77, 88, 92, 93, 152, 188, 191
ლორთქიფანიძე ნიკო 168

მ

მაისურაძე ანზორ 70, 81, 82
მაისურაძე გიორგი 36, 40, 50, 51, 61, 65, 79, 80
მაკაშოვი 186, 187
მამალაძე გია 40, 41, 46, 122, 198
მამარდაშვილი მერაბ 94
მარგველაშვილი პარმენ 32, 34, 38, 145
მარგიანი ავთანდილ 141, 177, 219
მარი გია 31, 39
მარკოზია არკადი 92
მარჯანიშვილი გიორგი 50, 63, 64, 68, 76, 153
მაღრაძე დავით 141
მაჭავარიანი მუხრან 83, 157
მახარაშვილი ბეგლარ 33
მგელაძე გურამ 50
მგელიაშვილი თემურ 136
მეგრელაძე ირაკლი 85
მელაშვილი ირაკლი 34, 38, 39, 58, 61, 62, 65, 83, 121, 133, 141, 161
მელაძე ოლეგ 31, 142
მენაღარიშვილი ირაკლი 77, 142
მენთეშაშვილი კახა 207
მესხიძე 40
მეტრეველი როინ 63, 65, 69, 88, 130, 217
მეღვინეთუხუცესი ოთარ 75
მეშველიანი კარლო 34, 56, 58, 65, 138, 163, 191

მილდიანი ჯულიეტა 63
მიმინოშვილი რომან 136, 138
მიქელაძე ჯემალ 56
მიშველაძე აჩიკო 188
მიშველაძე რეზო 85, 116, 188
მიხანაშვილი (დეპუტატი) 135
მოდებაძე 166
მოლოდინაშვილი ნუგზარ 50, 57, 90, 121, 125
მურვანიძე 133, 136, 142
მუსელიანი ვახტანგ 136
მუჩაიძე გურამ 76, 142, 149
მჭედლიშვილი 45
მჭედლიძე მიხეილ 81

ნ

ნადარაია ნუგზარ 133, 136
ნადარეიშვილი თამაზ 145, 146, 166, 170, 173
ნადირაძე ელდარ 31, 37
ნადირაძე მიშა 31
ნაზარბაევი ნურსულთან 23, 38, 94, 101
ნათაძე თენგიზ 70, 76
ნათაძე მაია 63
ნათაძე ნოდარ 7, 23, 31, 36, 38, 61, 62, 67, 81, 102, 107, 110, 136, 137, 140, 141, 143, 151, 165, 168, 174, 176, 190, 192, 202
ნათელაშვილი შალვა 136, 137
ნაირაშვილი ზ. 197
ნაკაშიძე 142
ნაროუშვილი 144
ნებიერიძე მზია 84
ნებიერიძე ნოდარ 61
ნებიერიძე-ვაჩნაძე მაია 38, 55, 84, 145
ნიკოლაიშვილი გურამ 220
ნიკოლეიშვილი გელა 136
ნიკოლოზიშვილი ნიკო 46, 198
ნინიძე თედო 62, 144
ნინუა თამაზ 81
ნიქაბაძე 35
ნიშნიანიძე შოთა 177, 192
ნონიაშვილი 62
ნონიკაშვილი ნოდარ 32, 33, 58
ნოღაიდელი ზურაბ 137

ო

ომანიძე მურმან 33, 57, 64, 71, 80, 158, 159, 177, 219
ონიანი ნატო 192, 193
ორჯონიკიძე იზა 121, 133, 142, 144, 166

პ

პაატაშვილი თედო 58, 62-64, 83, 104, 135, 136
პაპასკირი ზურაბ 174
პაპუაშვილი 85
პასტუხოვი ბორის 160, 171, 172, 182, 186, 204
პატიაშვილი ჯუმბერ 9, 10, 32, 37, 38, 170
პაჭკორია (ჟურნალისტი) 109
პეტრიაშვილი გურამ 67, 84, 85, 196
პირტახია ვიკა 221
პირტახია რომან 221

ჟ

ჟვანია ზურაბ (უცხოეთის განყოფილება) 34
ჟვანია ზურაბ 33, 34, 35, 133, 135, 173, 177, 179
ჟირინოვსკი ვლადიმერ 206
ჟორჟოლიანი თემურ 65, 99, 133, 136, 138, 165
ჟღენტი ნუგზარ 139
ჟღენტი სოსო 201, 203, 204

რ

რაზმაძე ვახტანგ 77, 85, 94, 108, 117, 121, 126, 137
რამიშვილი ოთარ 31
რაფავა მერაბ 107
როგავა კუკური 107, 110, 127
როდიონოვი იგორ 9, 10, 32, 37-39, 84
როინიშვილი პაატა 77
რუდიკ ცატავა 93
რუცკოი ალექსანდრე 86, 123, 186, 187
რუხაძე სერგო 136
რჩეულიშვილი ვახტანგ 133, 177, 178
რცხილაძე ავთანდილ 59, 60, 63, 67, 79, 196

ს

საკანდელიძე ანზორ 70
სალარიძე დავით 77
სალუქვაძე მინდია 62, 70
სანიკიძე გორდა 50
სანიკიძე ლევან 36, 50
სარიშვილი ირინა 45, 49, 58, 61, 80, 133, 137-139, 149, 164, 170, 173, 176
საყვარელიძე რამაზ 100
საყვარელიძე ფრიდონ 136, 138
სეფერთელაძე ზურაბ 52
სეფიაშვილი ჯემალ 107
სვანაძე გია 207
სიგუა თენგიზ 23, 27, 54, 56-58, 68, 75, 76, 81-83, 85, 86, 88, 90, 95, 96, 98-101, 106, 109, 124, 127-130, 132, 133, 135, 137-140, 143, 159, 160, 163, 166-168, 172, 196, 209, 215
სიგუა სოსო 83
სილაგაძე ავთანდილ 141, 165
სიხარულიძე ზაზა 136, 138
სნეგური მირჩა 98, 101
სობჩაკი ანდრეი 41, 220
სოკოლოვი დავით 60
სოსლანიევი 166
სუმბათაშვილი 49, 133, 134
სურგულაძე აკაკი 66
სურგულაძე ირაკლი 76, 110
სხირტლაძე დათო 127

ტ

ტალახაძე ვახტანგ 58
ტალახაძე თემურ 218
ტალიაშვილი ირინა 62, 81, 85
ტერ-პეტროსიანი ლეონ 85, 86, 189, 190
ტოგონიძე მურმან 40
ტურაშვილი დათო 7, 31, 32, 34, 37, 40, 41, 45, 46, 49, 50, 51, 65, 198

უ

ურიდია მერაბ 58, 64, 83, 107, 142, 164
უჩავა გია 77, 113

ფ

ფანჯიკიძე გურამ 63, 79, 83
ფაჩუაშვილი მამუკა 61, 62
ფაცაცია ოთარ 107, 175, 176, 179, 181, 193, 208, 219
ფირანიშვილი პაატა 37
ფირცხალავა კოტე 63
ფირცხელანი ბადრი 139
ფიფია თემურ 50, 107
ფიფია ნუგზარ 123
ფორაქიშვილი ზურაბ 34
ფოფხაძე ნუგზარ 33, 34, 50

ქ

ქადაგიშვილი ირაკლი 120, 136, 141, 172
ქავთარაძე გოგი 79
ქალდანი ლილე 167
ქარჩავა ჯონი 138
ქაფიანიძე ზურაბ 61
ქვარაია 182
ქვაჩახია ვენორი 94
ქვილითაია ოთარ 57, 137-139
ქვლივიძე გელა 136
ქობალია დათო 118
ქობალია ვახტანგ (ლოთი) 90, 107, 112, 114, 122, 131, 132, 135, 137, 144, 153, 156-164, 166, 167, 170-179, 181, 183, 185, 187, 188, 194, 195, 198, 200-203, 205, 219
ქობალია ზაურ 107, 122, 218, 219
ქობალია ჯემალ 107, 122, 132, 144, 145
ქობულაშვილი 67
ქორიძე თემურ 50, 52, 53, 62, 68, 78, 85, 97, 113, 114
ქუთათელაძე ბესიკ 70, 71, 107, 109, 111, 114, 118, 122, 125
ქუთელია ნათელა 63, 64, 65
ქურდაძე მიშა 153
ქურდიანი მიხეილ 90

ღ

ღარიბაშვილი რობერტ 136, 142
ღარიბაშვილი ქართლოს 166
ღვინჯილია ლევან 50, 63
ღოღობერიძე ლანა 76, 79, 152

სარჩევი

შესავლის მაგიერ 4
1989 წელი 29
1990 წელი 43
1991 წელი 47
1992 წელი 73
1993 წელი 147
1994 წელი 211